



Friedrich Naumann
STIFTUNG

FÜR DIE FREIHEIT

საპროტესტო სახლი - საქართველო

ავტორები

ფრედერიკ ბასტია
ლუდვიგ ფონ მიზესი
ჰენრი ჰეზლიტი
ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი
მილტონ ფრიდმენი
ჰანს ფ. სენჰოლცი
მარი ნ. როთბარდი
ალან გრინსპენი
უოლტერ ბლოკი
ჰანს-ჰერმან პოპე
ჯორჯ სელჯინი
ლოურენს უაითი
გიდო პულსმანი
ჯეფრი მ. პერბენერი
გია ჯანდიერი
აკაკი ცომაია
პაატა შეშელიძე

თავისუფლების ბიბლიოთეკა
ნომერი VII, 2010

თავისუფლების ფული



მოცემული ლურსმული ნარჩენა აღმოჩენილია შუაგზის ნაპირის ანტიკური ძეგლის - სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზის დარბაზის საპარკო დარბაზში, რომელიც დაარსდა 2000 წელს.

შუაგზის ნაპირის ანტიკური ნარჩენების აღმოჩენის შესახებ დაგეგმილია მუდმივი მონიტორინგის დაგეგმვა, რომელიც დაეხმარება მონიტორინგის დაგეგმვაში.

ახალი კონსტრუქციის სახლის რეკონსტრუქციის მიზნით დაგეგმილია მონიტორინგის დაგეგმვა, რომელიც დაეხმარება მონიტორინგის დაგეგმვაში.

კრებული მომზადებულია ეკონომიკური ცოდნის გამაერთიანებელი საზოგადოება "ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს" მიერ, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდთან (გერმანია) თანამშრომლობით.

სარედაქციო ჯგუფი მადლობას უხდის ყველას ვინც მონაწილეობა მიიღო კრებულის გამოცემაში. განსაკუთრებით, პროფ. დოქტორ გილო შულსმანს სტატიების შერჩევაში მნიშვნელოვანი მონაწილეობისთვის; აგრეთვე, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს და დოქტორ თენგიზ ვერულავას ისტორიული მონეტების ფოტოასლების მონოდექსტისთვის.

სარედაქციო საბჭო:

დრ. ვოლფგანგ იონი
დრ. გილო შულსმანი
დრ. თენგიზ ვერულავა
გია ჯანდია
ნიკო გორგაძე
აიატა შაველიძე

მთავარი რედაქტორი და ლინგვისტური კორექტორი

დრ. თენგიზ ვერულავა

მთავარი თანა-რედაქტორი და გარეკანის ესკიზის ავტორი

აიატა შაველიძე

ტექნიკური რედაქტორი

ნიკო გორგაძე

რედაქტორების თანამემგზ

გიორგი ჩიქოვანი

მთარგმნელები

ნიკო გორგაძე

თამარ ხვთისიაშვილი

თინათინ ლაპრაშვილი

ხათუნა ასოგაძე

ლევან როინიშვილი

დრ. თენგიზ ვერულავა

დამკაბადონებელი

ირაკლი შაველიძე



Friedrich Naumann
STIFTUNG

FÜR DIE FREIHEIT

AUTORS

Frédéric Bastiat

Ludwig von Mises

Henry Hazlitt

Friedrich von Hayek

Milton Friedman

Hans F. Sennholz

Murray N. Rothbard

Alan Greenspan

Walter Block

Hans-Herman Hoppe

George Selgin

Lawrence H. White

Guido Hulsmann

Jeffrey M. Herbener

Gjajandieri

Akaki Tsomaia

Paata Sheshelidze

LIBRARY OF LIBERTY
BOOK VII, 2010

**MONEY OF
LIBERTY**



THIS INSCRIPTION WAS FOUND IN THE ANCIENT MESOPOTAMIAN CITY-STATE OF LAGASH EXCAVATIONS, LIKELY TO INCLUDE BC IN 2300.

A LITERAL TRANSLATION FROM THE SHUMERIAN LANGUAGE IS "RETURN TO THE MOTHER" AND USED TO EXPRESS ENSLAVEMENT. IT WAS PRONOUNCED AS "AMA GI" AND IS BELIEVED TO BE THE FIRST WRIT-TEN EXPRESSION OF THE IDEA OF LIBERTY.

VIOLET COLOR LOGO OF NEW ECONOMIC SCHOOL - GEORGIA SYMBOLICALLY DEPICTS PROCESS OF EDUCATION AND READ AS "SCHOOL OF LIBERTY"

ISSN 1987-541X
UDC 338.24.021.8+338.2+32.021.8
R - 487

The book is prepared by the Society for Dissemination of Economic Knowledge "New Economic School – Georgia" in cooperation with Friedrich Naumann Foundation, Germany. Editorial group would like to express its deep gratitude to every person who participated in the preparation of this publication. Especially: Professor Dr. Guido Hulsmann for his decisive role in selecting of articles; the Georgian National Museum and Dr. Tengiz Verulava for providing photocopies of ancient coins used in Georgia.

Editorial board:

DR. GUIDO HULSMANN
DR. WOLFGANG JOHN
DR. TENGIZ VERULVA
GIA JANDIERI
NINO GORGADZE
PAATA SHESHELIDZE

Editor in chief and linguistic editor

DR. TENGIZ VERULAVA

Co-editor in chief and cover designer

PAATA SHESHELIDZE

Technical editor

NINO GORGADZE

Assistant of editors

GIORGI CHIKOVANI

Translators

NINO GORGADZE
TAMAR KHVTISIASHVILI
TEONA LAVRELASHVILI
KHATUNA AKHOBADZE
LEVAN ROINISHVILI
TENGIZ VERULAVA

Layout maker

IRAKLI SHESHELIDZE

© SERIES OF PUBLICATIONS OF NEW ECONOMIC SCHOOL - GEORGIA
"LIBRARY OF LIBERTY", 2010
© "MONEY OF LIBERTY", 2010
PUBLISHED BY LTD "TZIGNIS SAKHELOSNO", 2010

სარჩევი

გიდო ჰულსმანი. ნინასიტყვაობა.....	7
I. ფულის არსი	
ფრედერიკ ბასტია. რა არის ფული?.....	9
ლუდვიგ ფონ მიზესი. ფულის ადგილი ეკონომიკურ საქონელს შორის.....	27
ლუდვიგ ფონ მიზესი. ფულის არანეიტრალურობა.....	40
ჰანს-ჰერმან ჰოპე. რამდენად შესაძლებელია დეკრეტული ფული? - ანუ ფულისა და კრედიტის დეგრადაცია.....	47
II. ფულის ოპტიმალური სახე	
გიდო ჰულსმანი. უტილიტარისტული შეხედულებები ფულის წარმოებასთან დაკავშირებით.....	68
მარი ნ. როთბარდი. ოქრო, როგორც საკრედიტო ფულის მერყევი კურსის საპირწონე.....	81
მილტონ ფრიდმენი. გაუნაღებელი ქალაქის ფულის სარესურსო დანახარჯი.....	92
ჰანს-ჰერმან ჰოპე, გიდო ჰულსმანი, უოლტერ ბლოკი. ფიდუციალური გაცვლის საშუალების წინააღმდეგ.....	98
ჰანს ფ. სენჰოლცი. ჩიკაგოს მონეტარული ტრადიცია ავსტრიული თეორიის ქრილში.....	129
ალან გრინსპენი. ოქრო და ეკონომიკური თავისუფლება.....	142
III. ფული და სახელმწიფო	
ლუდვიგ ფონ მიზესი. "ბარბაროსული გადმონაშთის დასაცავად": რატომ გასვარეს კაპიტალიზმის მტრებმა ოქროს სტანდარტი.....	148
მარი ნ. როთბარდი. მექანიზმი ინფლაციისთვის. ფული, სახელმწიფო და თანამედროვე მერკანტილიზმი	151
ჰანს-ჰერმან ჰოპე. საბანკო სისტემა, ეროვნული სახელმწიფოები და საერთაშორისო პოლიტიკა: ამჟამინდელი ეკონომიკური წესრიგის სოციოლოგიური რეკონსტრუქცია.....	162
ჯორჯ სელჯინი, ლორენს უაითი. ფისკალური თეორია მონეტარულ სისტემაში სახელმწიფოს როლის შესახებ.....	187
გია ჯანდიერი. შეიძლება თუ არა ცენტრალური ბანკის ნდობა?.....	205
აკაკი ცომაია. თანამედროვე მონეტარიზმი და ეკონომიკური თავისუფლება?.....	213
IV. მონეტარული რეფორმები	
ჰენრი ჰეზლიტი. იდეალური ფულის ძიებაში.....	233
ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ ჰაიეკი. საგადამხდელი საშუალების არჩევანი, ინფლაციის შეჩერების გზა.....	243
ჯეფრი მ. ჰერბენერი. ინფლაციის ეპოქის შემდგომ: ავსტრიელი ეკონომისტების წინადადებები ფულადი რეფორმების თაობაზე	254
პაატა შეშელიძე. ფული, რეფორმა და მომავალი.....	269
თენგიზ ვერულავა. რედაქტორის ბოლოსიტყვაობა	283

Content

Guido Hülsmann. Preface	7
I. The Nature of Money	
Frederick Bastiat. What is Money?	9
Ludwig von Mises. The Position of Money Among Economic Goods	27
Ludwig von Mises. The Non-Neutrality of Money	40
Hans-Herman Hoppe. How is Fiat Money Possible? - or, the Devolution of Money and Credit.....	47
II. The Optimal Type of Money	
Guido Hülsmann. Utilitarian Considerations on the Production of Money	68
Murray N. Rothbard. Gold vs. Fluctuating Fiat Exchange Rates	81
Milton Friedman. The Resource Cost of Irredeemable Paper Money	92
Hoppe, Hülsmann and Block. Against Fiduciary Media	98
Hans F. Sennholz. Chicago Monetary Tradition in the Light of Austrian Theory	129
Alan Greenspan. Gold and Economic Freedom	142
III. Money and the State	
Ludwig Von Mises - In Defense of the "Barbarous Relic": Why The Enemies of Capitalism Smear The Gold Standard.....	148
Murray N. Rothbard. Money, the State and Modern Mercantilism	151
Hans-Herman Hoppe. Banking, Nation States, and International Politics: A Sociological Reconstruction of the Present Economic Order.....	162
George Selgin & Lawrence H. White. A Fiscal Theory of Government's Role in Money.....	187
Gia Jandieri. Sould We Trust to National Bank?	205
Akaki Tsomaia. Modern Monetarism	213
IV. Monetary Reform	
Henry Hazlitt. The Search for Ideal Money	233
Friedrich von Hayek. Choice in Currency: A Way to Stop Inflation	243
Jeffrey M. Herbener. After the Age of Inflation: Austrian Proposals for Monetary reform.....	254
Paata Sheshelidze. Money, Reform and Future	269
Tengiz Verulava. Editorial Summary	283

გიდო ჰულსმანი

ფილოსოფიის დოქტორი, საფრანგეთის ქალაქ ანჟეს უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი; აშშ-ში, ალაბამას შტატის ქალაქ ობურნში, მიზე-სის სახელობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. წინამდებარე კრებულის სარედაქციო საბჭოს წევრი.



წინასიტყვაობა

ადამიანებს შორის ურთიერთობა ან თანხმობის საფუძველზე მყარდება ან იძულებით. თანხმობა საფუძველად უდევს ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობას, კლუბებსა და ასოციაციებს, აგრეთვე საბაზრო გაცვლებს და საჩუქრებსაც კი. ძალადობა კი, პირიქით, დანაშაულებრივ ქმედებაში ვლინდება, როგორც არის ქურდობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება და მკვლელობა. თუმცა, ძალადობა მთავრობის ქმედებაშიც შეინიშნება, მაგალითად, გადასახადების დაკისრებაში, სამხედრო დანაშაულსა და ბიზნესის რეგულირებაში.

ძირითადი განსხვავება, ერთი მხრივ, კრიმინალურ დაჯგუფებებსა და, მეორე მხრივ, სახელმწიფო მოხელეებს შორის ლეგიტიმურობაში მდგომარეობს. სახელმწიფო მოხელეების ქმედება, რომელიც კრიმინალების ქმედებაზე არანაკლებ ძალადობრივია, ხალხის თვალში ლეგიტიმურია. სწორედ აქედან გამომდინარე განსაზღვრავს მას ქვებერი სახელმწიფოს, როგორც სამსახურს, რომელიც "ძალადობის ლეგიტიმურად გამოყენების მონოპოლიით" სარგებლობს.

მშვიდობიანი მოქალაქეები ერთხმად ეწინააღმდეგებიან კრიმინალების ძალადობას, მაგრამ რამდენად უნდა ეგუებოდნენ სახელმწიფოს ძალადობას? ამასთან დაკავშირებით აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ყველა ცივილიზაციამ გვეხდებიან ტოტალიტარული იდეების დამცველები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ყველა სოციალური პრობლემა მთავრობამ უნდა გადაჭრას. მეოცე საუკუნეში ამ იდეის საფუძველზე ნაციონალური სოციალიზმი (გერმანია, იტალია) და ინტერნაციონალური სოციალიზმი (საბჭოთა კავშირი, ჩინეთი) წარმოიშვა. დიდი სახელმწიფოების ეს ექსპერიმენტები საშინელი მარცხით დასრულდა. მათ უპრეცედენტო მასშტაბის კონფლიქტები და ომები გამოიწვიეს და მშვიდობიან პერიოდშიც კი ხალხს შიმშილობა და უბედურება მოუტანეს.

ცხადია, ტოტალიტარული მთავრობა სახელმწიფოს საუკეთესო ფორმა არ არის. მაშასადამე, მხოლოდ ორი ლოგიკური ალტერნატივაა გვრჩება.

პირველი, სრულიად გავაუქმით მთავრობა. ერთი შეხედვით ეს შეიძლება სისულელედ მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ამ იდეას ხანგრძლივი და კარგად ცნობილი ტრადიცია აქვს. ამჟამად კვლავ არსებობს მეცნიერთა ფართო ჯგუფი, ვისი აზრითაც მთავრობა სულ არ არის საჭირო. საზოგადოებრივი ურთიერთობა მთლიანად ურთიერთთანხმობაზე უნდა იყოს აგებული და დამნაშავეთა დასჯაც კი თანხმობის საფუძველზე ხდებოდეს. ამასთან, ისტორიული ფაქტია, რომ არსებობდნენ ქვეყნები, სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე

მთავრობა არ არსებობდა. ასეთი იყო შვეიცარია საფრანგეთის რევოლუციამდე, ირლანდია ინგლისელებისგან დაპყრობამდე, და ამერიკის შეერთებული შტატები სამოქალაქო ომამდე. ტოტალიტარიზმის მეორე ალტერნატივაა შეზღუდული მთავრობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა იმ კონკრეტული უფლება-მოვალეობებით უნდა შემოიფარგლოს, რომელთა შესრულებაც მხოლოდ მთავრობას შეუძლია, ან მთავრობას უკეთ შეუძლია შესრულება, ვიდრე კერძო სექტორს. მაგრამ როგორია ეს მისია? აქაც აზრთა დიდი სხვადასხვაობა გვხვდება.

ერთ-ერთი ასეთი საკამათო მისიაა ფულის წარმოება. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ფული მხოლოდ მთავრობამ უნდა გამოუშვას. მეორენი ფიქრობენ, რომ ფული მთავრობამაც უნდა გამოუშვას და კერძო სექტორმაც, მესამე ჯგუფის თანახმად კი ფულის გამოშვება შეიძლება და უნდა იყოს კიდევაც მთლიანად კერძო სექტორის ხელში. წინამდებარე წიგნი სწორედ ამ მესამე თვალსაზრისის გაცნობას ემსახურება. ეს არის სტატიებისა და წიგნის ცალკეული თავების ნაკრები, სადაც წარმოდგენილია ზოგიერთი პრინციპული არგუმენტი ფულის კერძო ან კონკურენტული წარმოების სასარგებლოდ და ნებისმიერი მონეტარული ინტერვენციონიზმის საწინააღმდეგოდ. მისი გამოქვეყნება ძალიან საჭიროა და დროულია.

დიახ, საჭიროა, რადგან დიდი ხანია კრიტიკული საჯარო განხილვა არ გამართულა მთავრობის როლის შესახებ ფულის საკითხში. პრაქტიკულად, ფულისა და საბანკო საქმის ყველა ექსპერტი ან პროფესორია ეკონომიკის დარგში, ან ცენტრალური ბანკის თანამშრომელია. ე.ი. ეს ექსპერტები მთავრობის მიერ დაფინანსებულ უნივერსიტეტებში ან დანესებულელებში საქმიანობენ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ უმეტესობას თანამდებობა არა მხოლოდ კომპეტენტურობის გამო აქვს მიღებული, არამედ იმიტომაც, რომ ისინი თავიანთ დამსაქმებელს ეთანხმებიან მონეტარული ინტერვენციის საჭიროებისა და სარგებლიანობის საკითხზე. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ისინი საპირისპირო მოსაზრებების განხილვის აუცილებლობას ვერ ხედავენ.

წინამდებარე წიგნი ძალიან დროულია იმიტომაც, რომ ამჟამინდელი მსოფლიო ფინანსური კრიზისი პირდაპირ მონეტარული ინტერვენციების შედეგად განვითარდა. ცენტრალურ ბანკებს არაუზრუნველყოფილი დეკრეტული ფულის გამოშვებით, სავარაუდოდ, საბანკო და მთელი ფინანსური სისტემის სტაბილიზაცია უნდა მოეხდინათ. მაგრამ სტაბილიზაციის ასეთმა პოლიტიკამ უპასუხისმგებლო და მცდარი არჩევანისკენ უბიძგა ბანკირებს და ინვესტორებს. მათ განსაკუთრებული რისკის შემცველი ინვესტიციები გამოანახეს განსაკუთრებით მაღალი მოვების დაპირებით, რადგან "რისკის" ნაწილი ცენტრალური ბანკებიდან მომავალი დახმარებით იყო ნაციონალიზებული. გარდა ამისა, მათ შეამცირეს საკუთარი უსაფრთხოების ზომები რისკის მიმართ აქტივების საოცრად დაბალი თანაფარდობით, რაც ხშირ შემთხვევაში 1-3%-მდე დაბალი იყო. მართალია, ცალკეული ბანკებისა და ინვესტორების თვალსაზრისით ასეთი არჩევანი რაციონალურს წარმოადგენდა, მაგრამ, ცხადია, მთლიანობაში კატასტროფული იყო. თუმცა, არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს, რომ ეს არჩევანი ე.წ. სტაბილიზაციის პროცესსა და დამოუკიდებლად კი არ გაკეთდა, არამედ სწორედ ამ პოლიტიკის გამო. მონეტარული და ფინანსური სტაბილიზაციის პოლიტიკა დესტაბილიზაციის გამომწვევი აღმოჩნდა.

დროა მსოფლიოს ყველა მოქალაქე, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებიც, რომლებიც ამდენი წელიწადია არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით იტანჯებიან, დაფიქრდნენ მონეტარული ინტერვენციის მავნე შედეგებზე და მონეტარულ თავისუფლებაზე იფიქრონ. ამაში, რასაკვირველია, წინამდებარე სტატიები დაგეხმარებათ.

ფრედერიკ ბასტია

1801 - 1850

ფრედერიკ ბასტია (*Frédéric Bastiat*) - ფრანგი მენარმე, პოლიტიკოსი, ეკონომისტი და მწერალი. კლასიკური ლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ინტელექტუალური წინამორბედი.

ფრედერიკ ბასტია დაიბადა 1801 წლის 30 ივნისს ქ. ბაიონში (საფრანგეთის ბასკეთი). 9 წლის იყო, როდესაც დაობლდა და ბაბუამ წაიყვანა გასაზრდელად. ჩვიდმეტი წლის ასაკში სკოლა მიატოვა და ბაბუას საევაჭრო კომპანიაში დაიწყო მუშაობა, სადაც პრაქტიკაში შეისწავლა ნაპოლეონის ომების შემდგომი პერიოდის საგარეო ვაჭრობის პირობები. ეს ის დრო იყო, როდესაც სახელმწიფო მაქსიმალურად ერეოდა ვაჭრობაში, რის გამოც საგარეო ვაჭრობის ბრუნვა შემცირდა. ბევრმა ვაჭარმა მიატოვა ბაზარი, რასაც მეზღვაურთა და საზღვაო პორტების მუშათა უმუშევრობა მოჰყვა.

ფრედერიკი 25 წლის იყო, როდესაც ბაბუა გარდაეცვალა. ბაბუამ მთელი თავისი ქონება მას დაუტოვა. ფრედერიკმა კომპანიის სამართავად მენეჯერი დაიქირავა, თვითონ კი თვითგანათლებას მიჰყო ხელი.

პირველი წიგნი 1834 წელს გამოსცა და ბორდოს, ლიონისა და ლე ავრის ვაჭრებს მიუძღვნა, რომლებიც იმპორტირებულ პროდუქტებზე გადასახადების გაუქმებას მოითხოვდნენ. ბასტიას მტკიცებით, გადასახადების სრული გაუქმება საყოველთაო სარგებლობას განაპირობებდა. მისი სიტყვები მოგვიანებით ცნობილ ლოზუნგად იქცა: "თქვენ კეთილდღეობა გჭირდებათ მხოლოდ რჩეულთათვის. მე - კეთილდღეობა ყველასათვის!"

1844 წელს ფრანგულ ჟურნალ "Journal des Economistes" გამოქვეყნებულმა პამფლეტმა "ინგლისისა და საფრანგეთის გადასახადების გაუქმების შესახებ", ბასტიას აღიარება მოუპოვა. იგი ცნობილი გახდა ფრანგულ და ბრიტანულ საქმიან წრეებში, რომლებიც მხარს უჭერდნენ თავისუფალ ვაჭრობას. 1846 წელს იგი აირჩიეს ფრანგული აკადემიის წევრად, 1848 წელს არჩეულ იქნა საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში, თუმცა, ტუბერკულოზის მძიმე ფორმის გამო უკვე არ შეეძლო საჯაროდ გამოსვლა. ბასტიას ძირითადი ნაშრომები გამოიცა 1850 წელს. გარდაიცვალა იმავე წლის დეკემბერში.

ბასტია მრავალ თემას შეეხო: მცდარი ეკონომიკური წარმოდგენების მხილვას მიუძღვნა „ეკონომიკური სოფიზმები“ (1845), პროტექციონიზმის კრიტიკას – „მენანთლების პეტიცია“ (1845), ეკონომიკური კანონზომიერებების ახსნას – „ეკონომიკური პარამონიები“ (1850). მისი მთავარი შრომებია: „კაპიტალი და პროცენტი“ (1849), „ის რაც ჩანს და ის რაც არ ჩანს“ (1850), „კანონი“ (1850). მასვე ეკუთვნის, შოტლანდიელი ფილოსოფოსისა და ეკონომისტის, ადამ სმიტის ნაშრომების ამონარიდებიდან მომზადებული კრებული, სახელწოდებით „ადამ სმიტის სიბრძნე“.

ფრედერიკ ბასტია მხარს უჭერდა კერძო საკუთრებას, თავისუფალ ვაჭრობასა და ხელისუფლების შეზღუდვას. მისი აზრით, თავისუფალი ბაზარი წარმოადგენს ინდივიდებს შორის პარამონიის წყაროს. საფრანგეთის პარლამენტის წევრად ყოფნისას მან შეძლო ძლიერი არგუმენტები წარმოედგინა პროტექციონიზმის, იმპერიალიზმის და კომუნისმის წინააღმდეგ, რამაც, ბევრის აზრით, 1848 წელს საფრანგეთში კომუნისმის დამკვიდრების შეჩერება განაპირობა.



ფრედერიკ ბასტია

რა არის ფული?¹

თარგმნა თამარ ხეთისიაშვილმა

„საძულველი ფული! საძულველი ფული!“ გულისტკივილით წამოიძახა ეკონომისტმა ფ.-მ, როგორც კი საფრანგეთის ფინანსური კომიტეტიდან გამოვიდა, სადაც სულ ახლახან ქალაქის ფულის გამოშვების საკითხი განიხილეს.

„რაშია საქმე?“ ვიკითხე მე. „რას უნდა ნიშნავდეს ამ სამყაროს ღვთაებრივი წარმონაქმნთაგან ყველაზე დიდი საოცრების ეს უეცარი შეძლება?“

ფ. საძაგელი ფული! საშინელი ფული!

ბ. თქვენ მე ამალეღვეთ. მე მესმის რომ მშვიდობა, თავისუფლება, ცხოვრება დაკნინებულია და ბრუტუსიც ისე შორს წავიდა, რომ შესაძლოა ითქვას, „ღირსებავე შენგან მხოლოდ სახელია დარჩა!“, მაგრამ რა შეიძლება მომხდარიყო ახლა?

ფ. საძაგელი ფული! საშინელი ფული!

ბ. მოიცათ, მოიცათ, ეგებ ცოტა გამარკვითო. აბა, რა შეგემთხვათ? კრესოსი ხომ არ ცდილობდა გავლენა მოეხდინა თქვენზე? ან იონმა ხომ არ გიღალატათ? სმითი ცილს განამებდათ დოკუმენტებში?

ფ. მე საქმე არ მაქვს კრესოსთან; ჩემი პიროვნება, თავისი უმნიშვნელობით, სმითის მხრიდან ყოველნაირი ცილისწამებისგანაა დაცული; იგივე ეხება იონს...

ბ. აჰ, ახლა მივხვდი. როგორ უნდა ვყოფილიყავი ასეთი ბრმა? თქვენ ხომ სოციალური რეორგანიზაციის, ე.წ. „ფ“-ს სისტემის თანაინიციატორი ხართ. საზოგადოების თქვენეული მოდელი სპარტანულ საზოგადოებაზე უფრო სრულყოფილია, და, მაშასადამე, ფულს იქ არაფერი ესაქმება. თქვენ კი ის განუხებთ, თუ როგორ დაარწმუნოთ თქვენი ხალხი, რომ თავიანთი საფულებები უბრალოდ სანაგვეზე მოისროლონ. თქვენ რას იზამდით? ეს ის ქვაა, რომელზეც ყველა რეორგანიზატორი ფეხს იტყის. საოცრება იქნებოდა, თუ ის შეძლებდა ყველა არსებული წინააღმდეგობის გადალახვას, და თუ მთელი კაცობრიობა დათანხმდებოდა, რომ მისი თითებისთვის იოლად საძირად ცვილად გადაქცეულიყო; მაგრამ ადამიანი სრულიადაც არ გავს რბილ ცვილს; ისინი უსმენენ, ტაშს უკრავენ ან უარყოფენ და ცხოვრებას ისევე ისე აგრძელებენ, როგორც მანამდე.

ფ. მადლობა ღმერთს, მე კვლავ თავისუფალი ვარ ასეთი მოდური მანიისგან. სოციალური კანონების შემუშავების მაგივრად, მათ ვიკვლევ იმ სახით, რომლითაც განგებამ დაადგინა, და მე აღფრთოვანებული ვარ, რომ ისინი მომაჯადოებლნი არიან საკუთარი პროგრესულობით. სწორედ ამიტომ, რომ ვჩივი: „საზიზღარი ფული, საძულველი ფული“

ბ. მაშინ, თქვენ პრუდონის მიმდევარი ყოფილხართ? ამ შემთხვევაში თვითდაკმაყოფილებისთვის ძალიან მარტივი გზა არსებობს. თქვენი საფულე მდინარეში მოისროლეთ და მხოლოდ მცირედი დანაზოგი შეინახეთ ბანკში.

ფ. თუკი ფულის სანაინალმდეგოდ ვტირი, მაშინ, სავარაუდოდ, მისი ყალბი შემცველი უნდა შევიწყნარო?

¹ ნერილი „რა არის ფული?“ პირველად გამოქვეყნდა 1849 წლის აპრილს, „Journal des économistes“-ში. შემდგომში დაიბეჭდა თხზულებათა სრულ კრებულში (1863 წ. ტომი V, გვ 64-93).

² პიერ-ჟოზეფ პრუდონი (1809-1865), ფრანგი პუბლიცისტი, სოციალისტური მიმდევრობის პოლიტიკური ფილოსოფოსი და ეკონომისტი, ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ბ. ამ შემთხვევაში მე კიდევ ერთი რამ უნდა ვივარაუდო. თქვენ ახალი დიოგენე¹ ხართ, და აპირებთ, რომ მდიდრებისადმი ზიზღით განმანწყოთ.

ფ. ლმერთმა დამიფაროს ამისგან! ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ მდიდრებისთვის არ არსებობს ცოტა უფრო მეტი ან ცოტა უფრო ნაკლები ფული. ისინი წარმოადგენენ პურს - მშვიდისთვის, ტანსაცმელს - შიშველისთვის, სანავაჯს - თქვენს გასათბობად, ნავთს - დღის ნათელის გასახანგრძლივებლად, სამსახურებრივ ნინსვლას - თქვენი ვაჟისთვის, განსაზღვრულ ულუფას - თქვენი ქალიშვილისთვის, გამოსასვლელ დღეს - მომქანცველი სამუშაოს შემდეგ, საგულე წამალს - სნეულისთვის, უქონელი კაცის ხელში ჩაქურებულ მცირედ დახმარებას, ქარიშხლისგან დამცავ თავშესაფარს, დარდით გადაღლილი გულის მალამოს, ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების გაბედნიერებით მიღებულ შეუდარებელ სიამოვნებას. მდიდრები წარმოადგენენ მაცალითს, დამოუკიდებლობას, ღირსებას, რწმენას, ქველმოქმედებას; ისინი თავად არიან პროგრესი და ცივილიზაცია. მდიდრები იმ ორი საოცარი პროცესის, შრომისა და გაცვლის, შესანიშნავ შედეგს წარმოადგენენ, რომლებიც თავად კიდევ უფრო უწყობენ ხელს ცივილიზაციას, ვიდრე თვით მდიდრები.

ბ. კარგი! ისე საუბრობთ, რომ თითქოს ხოტბას ასხამდეთ მდიდრებს, მაშინ, როცა, ზუსტად რამდენიმე წუთის წინ წყევლა-კრულვით ავსებდით მათ!

ფ. რატომ? ნუთუ ვერ ხედებით, რომ ის მხოლოდ ეკონომისტებს ეხებოდა? მე ფულზე იმიტომ ვდარდობ, რომ მასთან დაკავშირებით ყველას შეცდომა მოსდის, როგორც ახლახან თქვენ მდიდრებთან დაკავშირებით მოგივიდათ. ეს შეცდომა, თავის მხრივ, უთვალავ ხარვეზსა და უბედურებას იწვევს. მე ფულზე იმიტომ ვდარდობ, რომ მისი ფუნქცია საზოგადოებისთვის ნათელი არ არის და ასახსნელადაც რთულია. მე მასზე ვდარდობ, რადგან ასეთი ვითარება ყირაზე აყენებს ყველაფერს: საშუალებები მიზნებად მიიჩნევა, დაბრკოლებები - ხელშემწყობ გარემოებებად, ალფა - ომეგად; რადგან მისმა არსებობამ, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისთავად სასარგებლოა, მაინც საბედისწერო შეხედულება გააბატონა, პრინციპები დაამახინჯა, წინააღმდეგობრივი თეორია ჩამოაყალიბა, რომელმაც მრავალი სხვადასხვა გზით ხელი შეუწყო კაცობრიობის გაღატაკებას და სისხლით მორწყა მთელი დედამიწა. მე იმიტომ ვდარდობ მასზე, რომ ვგრძნობ უუნარო ვარ იმ შეცდომასთან ბრძოლაში, რომელიც მასთან დაკავშირებით წარმოიშვა, მე ვერ ვამარცხებ მას გრძელი და დახვეწილი მოხსენებით, რომელსაც არავინ მოუსმენს. ოჰ! ნეტავ შემეძლოს მომთმენი და კეთილმოსურნე მსმენელის პოვნა!

ბ. კარგით, გამოდის, რომ მსმენელის არყოლის გამო, თქვენ ისევ გალიზიანებული რჩებით. მე მოგისმენთ - ისაუბრეთ, ნაიკითხეთ ლექცია, თავს ნურაფრით შეიკავებთ.

ფ. მიირღებით რომ ინტერესს გამოიჩინეთ?

ბ. მე გპირდებით რომ მოთმინებას ვიქონიებ.

ფ. ეს სულაც არ არის ბევრი.

ბ. ეს ისაა, რისი გაღებაც შემიძლია. დაიწყეთ, და უპირველეს ყოვლისა ამიხსენით თუ რატომ წარმოადგენს ფულთან დაკავშირებული შეცდომა, თუ რა თქმა უნდა ასეთი შეცდომა არსებობს, ყველა ეკონომიკური შეცდომის საფუძველს?

ფ. კეთილი, შეგიძლიათ დამარწმუნოთ, რომ სიმდიდრე ფულთან არასოდეს აგლრევიათ? ბ. ვიცი, მაგრამ, რა იქნებოდა ასეთი აღრევის შედეგი?

ფ. მნიშვნელოვანი არაფერი, თუკი შეცდომა თქვენს გონებაში მოხდება და თქვენივე საქმიანობაზე არ აისახება. თქვენ აკვირდებით, რომ შრომისა და გაცვლის მეშვეობით,

¹ დიოგენე სინოპიდან (ძ. წ. 412 - ძვ. წ. 323) - ბერძენი ფილოსოფოსი, ცინიკოსი. აცხადებდა, რომ არაფერი ესაჭიროებოდა. ყველაფრისაგან თავისი განდგომის თვალნათლივ საჩვენებლად მთელ საბერძნეთში მოგზაურობდა; ცხოვრობდა ღვინის ცარიელ კასრში და აბუჩად იგდებდა ბერძნულ ცივილიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ დედამიწაზე იმდენი აზრია, რამდენი თავიცაა, ჩვენ ყველანი მაინც ერთნაირად ვმოქმედებთ.

ბ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ ვთანხმდებით წონასწორობის და გრავიტაციის თეორიებზე, მაინც ერთი და იმავე პრინციპებით ვმოძრაობთ.

ფ. სწორია. ადამიანს, რომელიც ასაბუთებს, რომ ძილში ჩვენი თავი და ფეხები ადგილს იცვლიან, შეუძლია ამ საკითხზე მშვენიერი წიგნი დაწეროს, მაგრამ იგი მაინც ისევე დადის, როგორც ყველა სხვა ადამიანი.

ბ. მეც სწორედ ასე ვფიქრობ. თუმცა, გადაჭარბებული მჭერმეტყველებისთვის ის მაღევე დაისჯება.

ფ. ადამიანი, რომელიც თვლის, რომ ნამდვილი სიმდიდრე ფულია, შეიძლება შიმშილით დაიღუპოს, თუკი ამ აზრს არ შეიცვლის. ესაა მიზეზი იმისა, რომ ეს თეორია მცდარია. შესაძლოა, არ არსებობს მართებული თეორია, მაგრამ ასე ასახავს იგი ჭეშმარიტებას, როგორც გამჟღავნებულა ყველა დროსა და ყველა ადგილას.

ბ. მესმის, რომ პრაქტიკული თუ პირადი ინტერესების გავლენით, მცდარი ქმედებებით გამოწვეული საზიანო შედეგები გამოსწორებისკენ იქნებიან მიდრეკილნი. მაგრამ თუკი იმას, რაზეც თქვენ საუბრობთ, ძალზედ მცირე გავლენა აქვს, რატომ გაღელვებთ მაშინ ასე ძალიან?

ფ. იბიტომ რომ, როცა ადამიანი სათავისოდ მოქმედების ნაცვლად, სხვების მაგივრად იღებს გადაწყვეტილებებს, პიროვნული სარგებელი, როგორც ფხიზელი და გონიერი გუშაგი, აღარ არსებობს, რომ წამოიყვიროს: „შეჩერდი, პასუხისმგებლობა მცდარ ადგილასაა!“ ეს პიტერია მოტყუებული, ხოლო ჯონი იტანჯება; საკანონმდებლო სისტემაში ჩადებული სიყალბე, აუცილებლად მთელი მოსახლეობის ქცევის წესად გადაიქცევა. დააკვირდით განსხვავებას. როცა ფული გაქვთ და ძალიან მშვიდი ხართ, ფულის რა თეორიაც არ უნდა გქონდეთ, რას შევებით?

ბ. საცხოვრებელ მივიღივარ და ცოტაოდენ პურს ვყიდულობ.

ფ. ხომ არ ყოყმანობთ ფულის გამოყენებისას?

ბ. ფულის ერთადერთი დანიშნულებაა ვიყიდოთ ის, რაც გვსურს.

ფ. და თუ მცხოვრებს სწყურია, მაშინ იგი რას გააკეთებს?

ბ. იგი ღვინის ვაჭართან მიდის და ღვინოს ყიდულობს იმ ფულით, რაც მე მას პურში გადაუხადე.

ფ. ნუთუ მას არ ეშინია, რომ ამით ის საკუთარ თავს გაანადგურებს?

ბ. ნამდვილი განადგურება ჭამა-სმისგან თავის შეკავება იქნებოდა.

ფ. და ყველა, ვინც თავისუფალია, ამგვარად მოქმედებს?

ბ. ეჭვგარეშე. თქვენ გგონიათ, რომ ისინი შიმშილით მოკვდებიან, რომ პენი შეინარჩუნონ?

ფ. მე ვთვლი, რომ ისინი ბრძნულად მოქმედებენ და ვისურვებდი, რომ თეორია საყოველთაო პრაქტიკის მხოლოდ სამართლიანი ანარეკელი ყოფილიყო. მაგრამ, ამჯერად წარმოიდგინეთ, რომ თქვენ კანონმდებელი ხართ, დიდი იმპერიის აბსოლუტური ხელმწიფე, სადაც არ არსებობს ოქროს საბადოები.

ბ. არც თუ ისე უსიამოვნო თხზულებაა.

ფ. და კიდევ, წარმოიდგინეთ, რომ ღრმად ხართ დარწმუნებული იმაში, რომ სიმდიდრე მხოლოდ და მხოლოდ ფულია. ამ შემთხვევაში რა დასკვნას გააკეთებდით?

ბ. დაეასკვნიდი, რომ ჩემი ხალხის გასამდიდრებლად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს - სხვა ხალხთა ფულის მითვისება.

ფ. ეს კი ნიშნავს, რომ სხვას გააღატაკებდით. პირველი დასკვნა, რომელთანაც მიხვალთ სწორედ ესაა - ერს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოგება, როდესაც სხვა აგებს.

ბ. ეს აქსიომა ბეკონმა⁴ და მონტენმა⁵ შეიმუშავეს.⁶

ფ. ეს სამწუხაროა, რადგან იგი გულისხმობს, რომ პროგრესი შეუძლებელია. ორი ერი, ორი ადამიანი ვერ შეძლებენ ერთმანეთის გვერდით კეთილდღეობის მიღწევას.

ბ. მეჩვენება, რომ ამ პრინციპის შედეგი სწორედ ესაა.

ფ. რადგან ყველას აქვს მოთხოვნილებები, ყველას გააჩნია გამდიდრების ამბიცია, განგების კანონიდან გამომდინარე, ისინი ირგვლივ თავისსავე მსგავს ქმნილებებს ანადგურებენ.

ბ. ეს ქრისტიანობა კი არა პოლიტიკური ეკონომიაა.

ფ. ამგვარი დოქტრინა საზოგადოებას, მაგრამ განვგვრძოთ. მე აბსოლუტური ხელმწიფე გაგხადეთ. მხოლოდ მსჯელობით არ უნდა დაკმაყოფილდე, უნდა იმოქმედო. შეუზღუდავი ძალაუფლება გაგაჩნიათ. როგორ აღიქვამდით ამ დოქტრინას - სიმდიდრე ეს ფულია?

ბ. მე ვეცდებოდი, რომ ფულის რაოდენობა ჩემს ხალხში მუდმივად იზრდებოდა.

ფ. მაგრამ თქვენს სამეფოში საბადოები არ არის. როგორ გაუმკლავდებოდით ამ ამოცანას? რას მოიმოქმედებდით?

ბ. ვერაფერსაც ვერ ვიზამდი: უბრალოდ, სიკვდილით დასჯას დაეანებსებდი ქვეყნიდან დოლარის გატანაზე.

ფ. თუკი ისე მოხდება, რომ თქვენი ხალხი ერთდროულად მდიდარიც და მშიერიც იქნება?

ბ. როგორც არ უნდა იყოს, იმ სისტემაში, რასაც ახლა ჩვენ განვიხილავთ, თუ მათ დოლარის საზღვრებს გარეთ გატანის უფლებას მიეცემთ, ეს ნიშნავს, რომ მათ გალარბების ნება დაერთოთ.

ფ. გამოდის, რომ მათ იმ პრინციპებით მოქმედებას აიძულებთ, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება თქვენს ქმედებას მსგავს მდგომარეობაში ყოფნისას. რატომ?

ბ. რადგან მე ჩემი პირადი შიშული მალელებს, ხოლო ხალხის შიშული კანონმდებლებს არ ალელეებთ.

ფ. მაშინ გეტყვით, როცა ადამიანები მშვირები არიან, თქვენი გეგმა ჩავარდება, ხოლო ხელმძღვანელობა შესაძლოა არც ისე საკმარისად ფხიზელი აღმოჩნდეს, რომ ხელი შეუშალოს დოლარის გადინებას და ხორბლის შემოტანას სამეფოში.

ბ. თუ ასეა, მაშინ ეს გეგმა, მცდარია თუ არა, მაინც უშედეგოა; იგი არც კარგს მოიტანს და არც ზიანს მიაყენებს არავის. ამგვარად, შემდგომ განხილვას არც საჭიროებს.

ფ. დაგავინყდათ, რომ თქვენ ხართ კანონმდებელი. როცა კანონმდებელი ექსპერიმენტებს ატარებს სხვებზე, იგი უმნიშვნელო წვრილმანებზე არ უნდა დარდობდეს. ეს ნარუმატებლობის პირველი საზომია. თქვენ შედეგის მისაღწევად სხვა საშუალებებიც უნდა გამოიყენოთ.

ბ. რა შედეგი?

ფ. ცუდი მახსოვრობა გქონიათ. თქვენს ხალხში ფულის რაოდენობის გაზრდა, რომელიც სიმდიდრის ნამდვილ წყაროდ მიიჩნევა.

ბ. დიახ. ბოდიშს გიხდით. მაგრამ, როგორც მუსიკაზე ამბობენ ხოლმე ცოტაც საკმარისიაო; ჩემი აზრით, სხვადასხვა მიზეზების გამო, იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკურ

⁴ ფრენსის ბეკონი (1561-1626) ინგლისელი ფილოსოფოსი, ემპირიზმის ფუძემდებელი.

⁵ მიშელ მონტენი (1533-1592) ფრანგი პუმანისტი ფილოსოფოსი, მორალისტი, მწერალი.

⁶ მეთექვსმეტი, მეჩვიდმეტი საუკუნეებში ეს თეორია თითქმის საყოველთაოდ მიღებული იყო ევროპაში.

ეკონომიაზე. უნდა გავითვალისწინო, მაგრამ სინამდვილეში არც კი ვიცი როგორ შევიმუშავო.

ფ. კარგად დაფიქრდით. ჯერ ერთი, მსურს ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ თქვენი პირველი გეგმა ამ პრობლემის მხოლოდ აკრძალვებით გადაწყვეტას გულისხმობს. სიმდიდრის შემცირების თავიდან აცილების საშუალება სამეფოდან დოლარის გადინების შელუღებაა, მაგრამ ეს სიმდიდრის გაზრდის გზა არ არის.

ბ. აი, ახლა მგონი ვხედვები... ხორბალი, რომელიც შემოდის ქვეყანაში... ნათელი აზრი მომდის თავში... ნამონყება მახვილგონივრულია, საშუალებები უტყუარი. მგონი ახლა ვხედვები.

ფ. ახლა, ამასთან დაკავშირებით უნდა გკითხოთ - რას ხედვებით?

ბ. იმას, თუ როგორ უნდა გაიზარდოს ფულის რაოდენობა.

ფ. როგორ აპირებთ, გეთაყვა?

ბ. განა აშკარა არაა, რომ ფულის მთელი მასის მუდმივად ზრდის პირველი პირობა უნდა იყოს, ის რომ მას არც ერთი პენი არ უნდა მოაკლდეს?

ფ. ნამდვილად.

ბ. და მეორე, რომ მას ფული მუდმივად უნდა ემატებოდეს?

ფ. ნამდვილად ასეა.

ბ. მაშინ პრობლემაც მოგვარდება, უარყოფითად ან დადებითად; თუ, ერთი მხრივ, მე უცხოელებს არ მივცემ საშუალებას წაიღონ ჩემი ფული და მეორე მხრივ დაგავალდებულებ მათ, რომ ჩემს ქვეყანაში არსებულ ფულის მასას კიდევ დაამატონ ფული.

ფ. უკეთესობისკენ მიდინარეობს.

ბ. და ამისთვის ორი ძალიან მარტივი კანონი უნდა დაინეროს, სადაც ფულის ხსენება საჭირო საერთოდაც არ იქნება. ერთის მიხედვით, ჩემ ქვეშევრდომებს აკრძალვებათ ნებისმიერი სახის საგნის ყიდვა საზღვარგარეთ; ხოლო მეორეს მიხედვით, მათ მოეთხოვებათ, რომ რაც შეიძლება მეტი გაყიდონ უცხოეთში.

ფ. კარგად მოფიქრებული გეგმაა.

ბ. სიახლეა? ხომ არ დავაპატენტო ჩემი გამოგონება.

ფ. ასეთი რამის გაკეთება არ გჭირდებათ; ამგვარი შესაძლებლობა თქვენზე ადრე სხვებმა განჭვრიტეს. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ ერთ რამეს.

ბ. და რა არის ეს?

ფ. მე აბსოლუტური მონარქობა გიბოძეთ. როგორც გავიგე, თქვენ გასურთ ქვეშევრდომებს უცხოური ნაწარმის შექმნა აუკრძალოთ. ამისთვის ქვეყანაში უცხოური ნაწარმი არ უნდა მოხდეს. ამისგან ოცდაათი თუ ორმოცი ათასი საბაჟო დაგიცავთ.

ბ. ეს საკმაოდ ძვირი იქნება. მაგრამ რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ფული, რასაც ისინი მიიღებენ ქვეყნიდან აღარ გავა.

ფ. ნამდვილად; და ამ სისტემაში ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია. მაგრამ რას გააკეთებთ ნათელი საზღვარგარეთ გაყიდვების გასაზრდელად?

ბ. მე ამას წავახალისებდი გარკვეული ჯილდოთი, რომლის წყარო ჩემი ხალხისათვის კარგი ჯადასახადების დანესება იქნება.

ფ. ამ შემთხვევაში, ექსპორტიორები, არსებული კონკურენციის გამო, პროპორციულად შეამცირებენ ფასებს, რომლებიც უცხოელებისთვის ხსენებული ჯილდოს შესაბამისი იქნება.

ბ. და მაინც, ფული ქვეყნის საზღვრებს გარეთ არ გავა.

ფ. რა თქმა უნდა. ეს გასაგებია. მაგრამ თუ თქვენ სისტემას სარგებელი მოაქვს, მაშინ სხვა ქვეყნის მთავრობებიც დაიწყებენ მის გამოყენებას. ისინი თქვენ მსგავს გეგმებს

შეიმუშავენ; მათ საკუთარი საბაჟოები ექნებათ და საკუთარ მიწაზე თქვენს ნაწარმს არ შეუშვებენ; და მათთან, ისევე როგორც თქვენთან, ფულის რაოდენობა შეიძლება არც კი შემცირდეს.

ბ. მე მეყოლება ჯარი, რომელიც მათ საბაჟოებს ალაგმავს.

ფ. მათაც ეყოლებათ ჯარი და თქვენ დაგიპირისპირდებიან.

ბ. მე ხომალდებს შევიარალებ, დაპყრობით ომებს ვანარმოებ, შევიძინ კოლონიებს და ჩემი ხალხისთვის შევექმნი მომხმარებელს, რომლებიც ვალდებული იქნებიან, რომ ჩვენი მარცვლეული მიირთვან და ჩვენი ღვინო დალიონ.

ფ. სხვა მთავრობებიც ამასვე გააკეთებენ. ისინი არ შეეუბებიან თქვენს დაპყრობებს, შემოგედავებიან კოლონიებსა და მომხმარებლებს; შედეგად ყველა მხარე ომში ჩაერთვება და ყველა ნამდვილ ქაოსში ჩაეფლობა.

ბ. მე გავზრდი გადასახადებს და საბაჟო ოფიცრების რაოდენობას, ჯარსა და საზღვაო ფლოტსაც გავაორმაგებ.

ფ. სხვა ქვეყნებიც იგივეს გააკეთებენ.

ბ. ჩემი ძალ-ღონე უნდა გავაორმაგო და დავძაბო.

ფ. სხვებიც გააორმაგებენ. ამავდროულად, ჩვენ არ გვექნება იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ გაყიდვებში წარმატებებს მიაღწევთ.

ბ. დიას ეს სიმართლეა. კარგი იქნება თუ სავაჭრო მიღწევები ყველაფერს გაანეიტრალებს

ფ. და სამხედრო მიღწევებსაც, აგრეთვე. და, მითხარით, ეს მეზაყეები, ჯარისკაცები და შეიარაღება, და ეს მძიმე გადასახადები, მარადი ქიშპობა მიუღწეველი მიზნისთვის, მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ მუდმივად ღია თუ საიდუმლო ომის მდგომარეობაში ყოფნა - კანონმდებლების მიერ აღიარებული იდეის - „სიმდიდრე ფულია; და თუ ფულის რაოდენობა გაიზრდება მაშინ სიმდიდრეც გაიზრდება“ - ლოგიკური და გარდაუვალი შედეგი არ არის იმ იდეისა, რომელიც, როგორც თქვენ ამბობთ, არ მოქმედებს არცერთ ადამიანზე, რომელიც საკუთარი თავის ბატონ-პატრონია?

ბ. აქსიომა თუ სწორია, მაშინ კანონმდებლებმა უნდა იმოქმედონ ისე, როგორც მე აღვწერე, თუმცა შედეგად საყოველთაო ომს მივიღებთ; თუ აქსიომა მცდარია, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანები ერთმანეთის განადგურების გზით, საკუთარ თავს ვნებენ.

ფ. გაისხენეთ, სანამ მეფე გახდებოდით, სწორედ ამ აქსიომამ მიგიყვანათ შემდეგი თვალსაზრისის ლოგიკურ გამართლებამდე: - იმას, რასაც ერთი იძინს, ვილაც სხვა კარგავს. ერთის სარგებელი მეორის დანაკარგია: - ეს თვალსაზრისი ადამიანებს შორის აუცილებელ დაპირისპირებას გულისხმობს.

ბ. მნიშვნელობა არ აქვს ფილოსოფოსი ვარ თუ კანონმდებელი. როცა ვფიქრობ თუ ემოქმედებ იმ პრინციპით, რომ ფული სიმდიდრეა, მე ყოველთვის ერთ დასკვნამდე ან ერთ შედეგამდე მივივარ, და ეს საყოველთაო ომია. კარგია, რომ შედეგები განხილვის დასაწყისშივე მიუთითეთ; სხვაგვარად, არასდროს მეყოფოდა მოთმინება ბოლომდე ჩავძიებოდი ეკონომიკის თქვენეულ ხედვას, რაც სიმართლე რომ გითხრათ, ჩემსას არ შეესაბამება.

ფ. რას გულისხმობთ? მე ამაზე სწორედ იმ დროს ვფიქრობდი, როდესაც თქვენ ფულის თაობაზე ჩემს უკმაყოფილებას მოკარით ყური! მე ვჩიოდი, რომ ჩემს ხალხს არ ექნებოდა გამბედაობა ესწავლა ის, რისი ცოდნაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ბ. და მაინც, შედეგები ძალიან საზარელია.

ფ. შედეგები! აქამდე მხოლოდ ერთი აღვნიშნე. ალბათ კიდევ უფრო დამლუპველ შედეგებზეც უნდა მესაუბრა.

ბ. მაოცებთ! ფულის და სიმდიდრის აღრევით კიდევ სხვა რა საშინელება შეიძლება ელოდოს კაცობრიობას?

ფ. ძალიან ბევრი, დროს წაიღებს მათი ჩამოთვლა. ეს დოქტრინა ერთ-ერთია უთვალავ შესაძლებლობას შორის. უძველესს, რომელსაც ჩვენ სწორედ ახლახან გავცვანით, აკრძალვითი სისტემა ჰქვია; მომდევნოა, კოლონიალური სისტემა; მესამე, კაპიტალის სიძულვილი; და ბოლოს, ქალაღდის ფული.

ბ. ქალაღდის ფული იგივე შეცდომისგან წარმოიშვა?

ფ. დიახ, უშუალოდ. ადამიანების ომითა და გადასახადებით გაუბედურების შემდეგ, კანონმდებლები საკუთარი იდეების ერთგულნი დარჩნენ და ასე გადაწყვიტეს: „ადამიანების ტანჯვა ფულის უქმარისობის ბრალია. ჩვენ უნდა შევექმნათ ის.“ რადგან ძნელია ძვირფასი ლითონის გამრავლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა აკრძალვის რესურსები უკვე ამონურულია, ისინი ამატებენ, „ჩვენ პირობით ფულს შევექმნით, ამაზე ადვილი არაფერია, და ამის შემდეგ ყველა მოქალაქეს საფულე სავსე ექნება, ყველა მდიდარი იქნება.“

ბ. ფაქტობრივად, ეს შესაძლებლობა უფრო სწრაფად წყვეტს საკითხს, ვიდრე რომელიმე სხვა და არც საგარეო ომებს იწვევს.

ფ. მაგრამ მას სამოქალაქო უბედურებამდე მივყავართ.

ბ. ნუნუნებთ. კითხვას ჩაულრმავდით. პირველად ვარ ასე სულსწრაფი, რომ გავერკვე არის თუ არა ფული (ან მისი ნიშანი) სიმდიდრე.

ფ. თქვენ ამ ადამიანებს დაასაჩუქრებთ, რათა მოთხოვნილებები უმალ არ დააკმაყოფილონ დოლარის მონეტებით, ან ჩეკებით. თუ მზიერები არიან, მაშინ პური უნდათ; თუ შიშვლები - ტანსაცმელი; თუ ავად არიან, მაშინ წამალი სჭირდებათ; თუ ცივიათ - თავშესაფარი და გასათბობი საშუალება; სწავლისათვის - წიგნები; სამოგზაუროდ - ეტლი და ასე შემდეგ. ქვეყნის სიმდიდრე ამ ყველაფრის სიმრავლესა და სწორ გადანაწილებაში მდგომარეობს. შეგიძლიათ შეიმეცნოთ და გაიხაროთ, რომ ბეკონის თვალსაზრისი: „იმას, რასაც ერთი ადამიანი იღებს, მეორე აუცილებლად კარგავს“ - მცდარია. ეს თვალსაზრისი მონტენა უფრო დამაბნეველი სიტყვებით გამოხატა: „ერთის მოგება მეორის ზარალია“. როდესაც სემმა, ქამმა და იაფეტმა დაინანილეს დედამინა, მათ ნამდვილად შეეძლოთ აეშენებინათ, ამოეშროთ, დაეთესათ და მოემკათ და ამით გაუმჯობესებინათ საცხოვრებელი პირობები, საკვები და ტანისამოსი, მიეღწიათ სრულყოფილებისათვის და გამდიდრებულიყვნენ - მოკლედ, ისე დაეკმაყოფილებინათ საკუთარი სიამოვნება, რომ ერთმანეთისთვის არაფერი დაეკლოთ. იგივეა ორი ერის შემთხვევაშიც.

ბ. ეჭვგარეშეა, რომ ორმა ერმა, ისევე როგორც ნათესაური კავშირის არმქონე ორმა ადამიანმა, უფრო მეტი და უკეთესი მუშაობით, შესაძლოა ერთდროულად მიაღწიონ წარმატებას, ერთმანეთისთვის ზიანის მიყენების გარეშეც. ეს სწორედ ისაა, რასაც მონტენის და ბეკონის თვალსაზრისი უარყოფს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ორ ადამიანსა თუ ორ ერს შორის გაცვლების შედეგად, როცა ერთი რალაცას იღებს, მაშინ მეორემ უსათუოდ უნდა წააგოს. ამკარაა, რომ გაცვლა თავისთავად არაფერს მატებს საჭირო საგნების იმ მრავალფეროვნებას, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობდით; გაცვლის შემდგომ, ერთ-ერთი მხარე მიჩნეულია, როგორც მხარე, რომელმაც რალაც მოიგო, ხოლო მეორე მხარე, რომელმაც ეს რალაც წააგო.

ფ. თქვენ გაცვლის შესახებ ძალიან არასრულყოფილი, უარყოფითი და მცდარი იდეა ჩამოაყალიბეთ. თუ სემი დასახლებულია ბარში, სადაც მარცვლეულის ბარაქიანი მოსავალი მოდის, იაფეტი ფერდობზე, სადაც ვაზი ხარობს, ხოლო ქამი, ნოყიერ საძოვარზე - მათი საქმიანობის განსხვავებულობა, სრულებითაც არ აენებს მათ და შესაძლოა მათი კეთილდღეობის ზრდასაც შეუნყოს ხელი. ასე შრომის დანაწილების გამო ხდება, რაც

გაცვლით ურთიერთობებს მოაქვს, და წარმოებული მარცვლეულის, ღვინის და ხორცის წარმოების ზრდას იწვევს, რომელიც შემდგომ გასაცვლელად უნდა იქნეს გამოყენებული. როგორ იქნება სხვაგვარად, თუ თქვენ მათ შორის თავისუფალ გაცვლას დაუშვებთ? როგორც კი ერთ-ერთი ძმა აღმოაჩენს, რომ თანამშრომლობას მარტო მუშაობასთან შედარებით დანაკარგები მოაქვს, იგი უმაღლეს შეწყვეტს გაცვლას. გაცვლას ჩვენი მაღლიერება მოსდევს. ის გარემოება, რომ იგი დასრულებულია, ამტკიცებს მის სიკეთეს.

ბ. მაგრამ ბეკონის თვალსაზრისი ოქროსა და ვერცხლის შემთხვევაში შეესაბამება სიმართლეს. თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ გარკვეულ დროს მსოფლიოში მათი განსაზღვრული რაოდენობა არსებობს, ნათელია, რომ ერთი საფულე სხვა საფულის დაცარიელების გარეშე ვერ გაიყვება.

ფ. და თუ ჩაითვლება, რომ ოქრო სიმდიდრეა, ბუნებრივია, დასკვნა იქნება, რომ გაცვლის შედეგად სიმდიდრე ერთიდან მეორე ადამიანის ხელში გადადის, ხოლო პროგრესს ადგილი არ აქვს. საუბრის დასაწყისშივე აღვნიშნე იგივე. ამის საპირისპიროდ, თუ სიმდიდრედ მიიჩნევთ იმ მრავალ საჭირო ნივთს, რომლებსაც მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ვიყენებთ, მაშინ დავასკვნით, რომ ერთობლივი კეთილდღეობა შესაძლებელია. ფული ამ საჭირო ნივთების ერთიერთგაცვლის გამარტივებას ემსახურება. ამისათვის, ოქრო, ასევე ნაკლებად იშვიათი ვერცხლი და კიდევ უფრო ნაკლებად იშვიათი სპილენძი თანაბრად გამოიყენება. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, აშშ-ის მსგავს ქვეყანაში, სადაც ეს საჭირო ნივთები ხელმისაწვდომია გაცვლებისთვის, მოსახლეობა ორჯერ უფრო გამდიდრდება, მიუხედავად იმისა, რომ ფულის რაოდენობა უცვლელია; მაგრამ ასე არ იქნებოდა ფულის გაორმაგებისას, რადგან ამ შემთხვევაში ხელმისაწვდომი საჭირო საგნების რაოდენობა არ იზრდება.

ბ. საკითხავი ისაა: აქვს თუ არა დოლარების რაოდენობის ზრდას უშუალო გავლენა საჭირო ნივთების რაოდენობის ზრდაზე?

ფ. რა კავშირი შეიძლება არსებობდეს ამ ორ ტერმინს შორის? საკვები, ტანსაცმელი, სახლები, სანავი, ეს ყველაფერი ბუნების და შრომის შედეგია, მეტად ან ნაკლებად დახელოვნებული შრომის, რომელიც გავლენას ახდენს მეტად ან ნაკლებად ლიბერალურ ბუნებაზე.

ბ. თქვენ ერთი უდიდესი ძალა გამოგრაზთ და ეს გაცვლაა. თუ აღიარებთ, რომ ეს ძალაა და თქვენივე თქმით დოლარი მის გამარტივებას უწყობს ხელს, ასევე ისიც უნდა დაუშვათ, რომ მას წარმოებაზე ზემოქმედების არაპირდაპირი ძალა გააჩნია.

ფ. მაგრამ მე დავამატე, რომ იშვიათი ლითონების ცოტა რაოდენობა ისევე ამარტივებს გარიგებას, როგორც ნაკლებად იშვიათი ლითონების დიდი რაოდენობა; აქედან კი გამომდინარეობს, რომ ადამიანები სულაც არ მდიდრდებიან, თუ ვალდებულნი არიან, რომ მათთვის საჭირო ნივთები ფულის უფრო დიდ რაოდენობაზე გაცვალონ.

ბ. თქვენ ფიქრობთ, რომ კალიფორნიაში აღმოჩენილი საბადოები არ გაზრდის მსოფლიოს სიმდიდრეს?

ფ. მთლიანობაში მე არ მჯერა, რომ ისინი კაცობრიობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შეუწყობენ ხელს. თუ კალიფორნიული ოქრო უბრალოდ ანაცვლებს იმას, რაც მსოფლიოში დაიკარგა ან განადგურდა, მაშინ მას შეიძლება გამოყენება მოვეხერხოთ. მაგრამ თუ იგი ფულის რაოდენობას ზრდის, მაშინ იგი ფულს გააუფასურებს. ოქროს მომპოვებლები უფრო მდიდრები იქნებიან ვიდრე მის გარეშე იქნებოდნენ. მაგრამ ისინი, ვის ხელშიც გაუფასურებული ოქრო მოხვდება, ნაკლებ სარგებელს მიიღებს იგივე რაოდენობის თანხით. მე ამას ვერ დავარქმევ გაზრდას. ეს მხოლოდ სიმდიდრის წანაცვლებაა.

ბ. ეს შესაძლებელია. მაგრამ ადვილად ვერ დამარწმუნებთ, რომ მე უფრო მდიდარი არ ვიქნებოდი (ყველა სხვა გარემოების უცვლელი პირობით), როცა ორი დოლარი მექნებოდა ერთის ნაცვლად.

ფ. მე არ უარყოფ ამას.

ბ. ის, რაც ჩემთვის მართალია, ჩემი მეზობლისთვისაც მართალია, ჩემი მეზობლის მეზობლისთვის და ასე შემდეგ, ერთიდან მეორეზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამგვარად, თუ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მოქალაქეს უფრო მეტი დოლარი აქვს, ამერიკის შეერთებული შტატები უფრო მდიდარი უნდა იყოს.

ფ. აქ კი თქვენ გავრცელებულ შეცდომას იმეორებთ, როცა ასკენით, რომ ის რაც ერთზე ახდენს გავლენას, სხვებზეც ახდენს გავლენას, რაც პიროვნულ და საზოგადო ინტერესების აღრევას იწვევს.

ბ. რატომ? რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი? რაც ერთისთვის სიმართლეა, ყველა სხვისთვისაც სიმართლე უნდა იყოს. და რა არის ეს ყველა, თუ არა ინდივიდების ერთობა? შეიძლება ისიც მითხრათ, რომ თუ თითოეული ამერიკელი უცაბედად იწით უფრო მაღალი გახდება, ამერიკელების საშუალო სიმაღლე არ გაიზარდება.

ფ. ყოჩაღ, ჯანსაღად აზროვნებთ. მაგიტომაცაა, რომ ეს შეხედულება ასეთი გავრცელებულია. თუმცა, მოდით მცირედი გამოცდა მოვანყობთ. ვთქვათ, ათი ადამიანი თამაშობს. სიმარტივისთვის დავუშვათ, მათ შემუშავეს პირობა, რომ თითოეული აიღებს ათ ყეტონს და მათ მაგივრად თითოეული მათგანი ას დოლარს დადებს შანდლის ქვეშ, თითოეული ყეტონს და ათ დოლარს შესაბამისად. თამაშის შემდგომ გამარჯვებულები გამოვლინდნენ და თითოეულმა მოთამაშემ შანდლიდან იმდენი დოლარი აიღო, რამდენი ყეტონიც აღმოაჩნდა ხელზე. ამის შემხედვარე ერთ-ერთმა მათგანმა, შესაძლოა დიდმა არითმეტიკოსმა, მაგრამ საშუალო მოაზროვნემ, თქვას: "ჯენტლმენებო, გამოცდილება მასწავლის და თამაშის დასასრულს აღმოვაჩინე, რომ მოგებული ვარ ყეტონების რაოდენობით. ნუთუ თქვენც იგივე შედეგი არ გქონდათ? რაც ჩემთვის სიმართლეა, მაშინ თქვენთვისაც ასე უნდა იყოს და რაც თქვენთვისაა სიმართლე, ყველასთვის სიმართლე იქნება. მაშასადამე, ჩვენ, ყველა ერთად მეტს მივიღებთ თამაშის ბოლოს თუკი მეტი ყეტონი გვექნება. ამაზე ადვილი კი არაფერია; ჩვენ მხოლოდ ყეტონების გაორმაგება დაგვჭირდება." ეს მოსაზრება შესრულდა; მაგრამ როცა თამაში დასრულდა და გამარჯვებული უნდა გამოვლენილიყო, აღმოჩნდა, რომ არაფერი ჯადოსნური არ მომხდარა და ის ათასი დოლარი, რომელიც შანდლის ქვეშ იდო, მოლოდინის მიუხედავად არ გამრავლებულა. გამომდინარე იქიდან, რომ მათი განაწილება უნდა მოხდეს ყეტონების შესაბამისად, ერთადერთი შედეგი (საკმაოდ ქიმერული) შემდეგი იყო: - ყველას მართლაც ქონდა ყეტონების გაორმაგებული რაოდენობა, მაგრამ თითოეული ყეტონი, ათის მაგივრად ხუთ დოლარს შეესაბამებოდა. ამგვარად ნათლად დავინახეთ, რომ ის, რაც ერთისთვისაა ჭეშმარიტი, ყოველთვის როდია ჭეშმარიტი ყველასთვის.

ბ. გასაგებია; თქვენ ყეტონების რაოდენობის გაზრდა, შანდლის ქვეშ არსებული ფულის რაოდენობის შესაბამისი გაზრდის გარეშე განიხილეთ.

ფ. ხოლო თქვენ კი დოლარის რაოდენობის გაზრდას, იმ საგნების შესაბამისი გაზრდის გარეშე უშვებთ, რომელთა გაცვლის გამარტივებასაც დოლარი ემსახურება.

ბ. დოლარს ყეტონებს ადარებთ?

ფ. დიახ, ამ შემთხვევაში ასე ვიქცევი. შენიშნეთ ერთი რამ. იმისთვის, რომ ქვეყანაში არსებული დოლარების საერთო რაოდენობა გიზარდოს, ამ ქვეყანას საბადოები უნდა გააჩნდეს, ან მისი ვაჭრობა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ საჭირო ნივთები ფულზე მუდმივად იცვლებოდეს. ამ ორი გარემოების გარდა, ფულის რაოდენობის გაზრდა

შეუძლებელია, დოლარები მხოლოდ ხელიდან ხელში გადადის; ამ შემთხვევაში, გარკვეულწილად სიმართლეა, რომ თითოეული ცალკე აღებული პიროვნება უფრო მდიდარია მის ხელთ აღმოჩენილი დოლარების შესაბამისად, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გავაკეთებთ იმ დასკვნას, რომელიც თქვენ გამოიტანეთ, რადგან როდესაც ერთ საფულეში ერთი დოლარით მეტი აღმოჩნდება, ეს აუცილებლად ნიშნავს, რომ მეორე საფულეში ერთი დოლარით ნაკლები დარჩება. იგივე ეხება თქვენს მიერ მოყვანილ საშუალო სიმაღლის მაგალითს. თუ თითოეული ჩვენგანი სხვების ხარჯზე გაიზრდება, ცხადია, უფრო მაღალი გახდება, მაგრამ ამ გზით საერთო საშუალო სიმაღლე არ შეიცვლება.

ბ. დაე იყოს ასე, მაგრამ, ამ ორი ვარაუდით თქვენ ასკვნით, რომ ზრდა აშკარაა და უნდა დაუშვათ, რომ მე მართალი ვარ.

ფ. გარკვეულწილად, ოქროს და ვერცხლს ღირებულება გააჩნია. ამ ღირებულების მისაღებად ადამიანები თანხმდებიან გაიღონ სხვა საჭირო ნივთები, რომლებსაც ასევე გააჩნია ღირებულება. როცა ქვეყანაში არსებობს საბადოები და ეს ქვეყანა იღებს ოქროს საკმარის რაოდენობას, რომ ამით საზღვარგარეთიდან საჭირო ნივთები შეიძინოს - მაგალითად ორთქლმავალი - იგი თავადვე მდიდრდება იმ ყველა სარგებელთან ერთად, რაც ორთქლმავალს შეუძლია მოიტანოს, ზუსტად ისე, როგორც მისი ადგილზე დამზადების შემთხვევაში. ისმის კითხვა, როდის აქვს უფრო მეტ მცდელობას ადგილი, პირველ თუ მეორე შემთხვევაში? თუ იგი ამ ოქროს არ გაიტანს, ოქრო გაუფასურდება და ვითარება კიდევ უფრო გაუარესდება, როგორც ეს ხანდახან კალიფორნიაში და ავსტრალიაში ხდება კიდევ. იქ კი კეთილშობილი ლითონი სხვადასხვა კუთხეში წარმოებული საჭირო ნივთების შესაძენად გამოიყენება. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს საშიშროება, რომ ისინი დახარბდებიან ოქროს გროვას; რასაც იგივე შედეგი ექნებოდა, რაც ოქროს ექსპორტის აკრძალვას. მეორე შემთხვევა განვიხილოთ - ეს ეხება ოქროს, რომელსაც ჩვენ ვაჭრობის შედეგად ვიღებთ: მისი რაოდენობა ან მეტია, ან ნაკლები, იმის მიხედვით თუ რამდენი ესაჭიროება ქვეყანას, იმ საჭირო ნივთების მოთხოვნებთან შედარებით, რომელიც ოქროს სანაცვლოდ უნდა გაიღოს. ეს კანონის განსასჯელი არაა და მასზე გაცვლების მონაწილეებმა უნდა იფიქროს; თუ კანონი ადგენს, რომ ოქრო უპირატესია ყველა საჭირო ნივთზე, მათი ღირებულების მიუხედავად, და თუ იგი ამ მხრივ ეფექტიანად იმოქმედებს, სხვა ქვეყნებიც მიიღებენ კანონს, რომ ნაღდი ფულის დიდი რაოდენობა დახარჯოს და არაფერი იყიდოს. თითქმის იგივე სისტემაა, რომელიც მიდასს შეემთხვა, როდესაც ყველაფერს რასაც შეეხო ოქროდ აქცია, და შედეგად, შიმშილით გამოწვეული სიკვდილის საშიშროების წინაშე დადგა.

ბ. ოქრო თუ შემოვიდა ქვეყანაში, ეს ნიშნავს, რომ საჭირო ნივთი ექსპორტზე გაიტანეს, ამ თვალსაზრისით მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება გავიდა ქვეყნიდან. მაგრამ განა ამას სათანადო სარგებელი არ შეესაბამება? ეს ოქრო არ იქნება სხვა მრავალი საომონების მიღების წყარო, მისი ხელიდან ხელში გადაცემით, შრომის და წარმოების წაქეზებით, მანამ სანამ ისევე დატოვებს ქვეყანას და ხელს შეუწყობს ახალი საჭირო საგნების იმპორტს ამ ქვეყანაში?

ფ. ახლა ნამდვილად მივადეთ მთავარ საკითხს. მართალია, რომ დოლარი არის საფუძველი, რომელიც განაპირობებს ყველა იმ პროდუქციის წარმოებას, რომლის გაცვლასაც თავადვე ამარტივებს? აშკარაა რომ ოქროს ან ვერცხლის მონეტები, რომელთაც დოლარის დამლა ადევთ, მხოლოდ დოლარის ღირებულებისაა; მაგრამ ჩვენ ვიჯერებთ, რომ ამ ღირებულებას გარკვეული ხასიათი გააჩნია: რომ იგი არ მოიხმარება სხვა საგნების მსგავსად, ან რომ ის თანდათანობით იღვევს; თითოეულ ტრანსაქციაში იგი საკუთარ თავს ანახლებს; და რომ, საბოლოოდ დოლარის მოცემული მონეტა დოლარის ღირებულე-

ბისა იმდენჯერ რამდენჯერაც იქნა გამოყენებული გაცვლაში - რომ იგი თავისთავად ყველა იმ ნივთის ღირებულებაა, რომელზედაც გაიცვალა; სარწმუნოა, რადგან მიჩნეულია, რომ ამ დოლარის გარეშე ეს საგნები არც კი ინარჩობოდა. ამბობენ, რომ თუ მენალე ნაკლებ ფეხსაცმელს გაყიდის, შესაბამისად, ყასბისგან ნაკლებ ხორცს შეიძენს; თუ ყასაბი ხშირად არ ესტუმრება სასურსათო მაღაზიას, შესაბამისად, სასურსათო მაღაზიის მფლობელი ხშირად ვერ ესტუმრება ექიმს, ექიმი ვეკილს და ა. შ.

ბ. არავინ დაობს ამაზე.

ფ. ახლა კი დროა, გავანალიზოთ ფულის ნამდვილი ფუნქცია საბადოების და იმპორტისგან დამოუკიდებლად. თქვენ გაქვთ დოლარი. რას ნიშნავს იგი თქვენს ხელში? იგი არის დამამტკიცებელი საბუთი, რომ თქვენ ოდესღაც სამუშაო გასწიეთ, რომელიც, იმის მაგივრად რომ თქვენს სასიკეთოდ მობრუნებულიყო, საზოგადოებას ერგო, როგორც თქვენს კლიენტს (დამსაქმებელს ან დებიტორს). ეს მონეტა ადასტურებს იმას, რომ თქვენ საზოგადოებისთვის მომსახურება გასწიეთ, მეტიც, იგი მის ღირებულებას აღნიშნავს. იგი ერთგვარი საბუთია იმისა, რომ თქვენ ჯერ კიდევ არ მიგიღიათ საზოგადოებისგან ნამდვილი ექვივალენტური მომსახურება, რომლის უფლებაც თქვენ გაქვთ. ამ უფლების თქვენივე ნებასურვილით გამოყენებისთვის, საზოგადოებამ რესპუბლიკის სახელით აღიარა და მოგანიჭათ უპირატესობა, რომ დოლარის ღირებულების მქონე ქონებაზე განაცხადოთ უფლება. ის აღმასრულებელი უფლებისგან იმით განსხვავდება რომ ღირებულებას საკუთარ თავში გულისმობს; და თუ თქვენ გონებას ძალუძს ეს წარწერა წაიკითხოთ, მაშინ თქვენ მკაფიოდ გაშიფრავთ სიტყვებს: - „წარმომდგენს მის მიერ საზოგადოებისთვის განეული სამსახურის შესაბამისი მომსახურება გაუწიე, ხოლო სამაგიეროდ მიიღებ ღირებულებას, რომელიც წარმოჩენილი, დამტკიცებული და გაზომილია იმით, რასაც მე წარმოვადგენ“. ახლა თქვენი დოლარი მე დამითმეთ. ჩემი უფლება მასზე ან უპირობოა ან პირობითი. თუ თქვენ მას მომცემთ, როგორც განეული სამუშაოს ანაზღაურებას, შედეგად მივიღებთ, რომ თქვენი ანგარიში საზოგადოებასთან მონესრიგებული, გასტუმრებული და დახურულია. თქვენ მას დოლარის მომსახურება გაუწიეთ. ამ დოლარს შემდგომი მომსახურებისთვის აღადგენთ; თქვენ სუფთა ხართ. მე რაც შემეხება, მე ვიწყობ იმ მდგომარეობაში, რომელშიც სულ ახლახან თქვენ იწყობოდით. მე ვარ ის, ვინც საზოგადოებას მომსახურებისთვის აძლიერებს, რომელიც ახლახან გაუწიე თქვენთვის. მე მისი კრედიტორი ვაგხდი იმ შრომის ღირებულებით, რომელიც თქვენთვის გაუწიე და რომელიც შეიძლებოდა ჩემთვის გამომეყენებინა. ახლა ჩემს ხელშია უფლება ამ კრედიტზე - სოციალური ვალის მტკიცებულება, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს. თქვენ ვერ იტყვი, რომ ახლა უფრო მდიდარი ვარ; თუ მე მივიღე, გავეცი კიდევ. და იმასაც ვერ იტყვი, რომ საზოგადოებაა დოლარით უფრო მდიდარი, იმიტომ რომ მის ერთ ნევრს დოლარით მეტი, ხოლო მეორეს დოლარით ნაკლები აქვს. თუ ამ დოლარს მაჩუქებთ, ნათელია, რომ მე დოლარით გავმდიდრები, ხოლო თქვენ ამდენივეთი გაღარიბდებით; სოციალური კეთილდღეობა საერთო ჯამში, უცვლელი რჩება, რადგან როგორც უკვე აღვნიშნე, კეთილდღეობა მოაქვს ნამდვილ მომსახურებას, ეფექტურ დაკმაყოფილებას და საჭირო ნივთებს. თქვენ საზოგადოების კრედიტორი იყავით; მე თქვენი უფლებების მემკვიდრედ გამხდადე, ეს საზოგადოებისთვის თითქმის არაფერს ნიშნავს, რადგან მას მომსახურება მართებს, მიუხედავად იმისა, ვალის გადახდა ჩემთვის მოუწევს თუ თქვენთვის. ეს დასრულებდა მაშინ, როცა ვალდებულება გასტუმრებული იქნება.

ბ. მაგრამ თუ ჩვენ დიდი რაოდენობით დოლარები გვექნებოდა, მაშინ ჩვენ საზოგადოებისგან მრავალ მომსახურებას მივიღებდით. ეს ხელსაყრელი არ იქნება?

ფ. თქვენ გავიწყდებათ, რომ პროცესში რომელიც აღწერე, და რომელიც სინამდვილეს შეესაბამება, ჩვენ საზოგადოებისგან მომსახურებას მხოლოდ იმიტომ ვიღებთ, რომ ჩვენ რაღაც სამაგიერო გავეცით. როცა მომსახურებაზე საუბრობენ, იმავდროულად გაცემულ და მიღებულ მომსახურებაზე ლაპარაკობენ. ეს ორი ტერმინი ერთმანეთს გულისხმობს და ერთი ყოველთვის უნდა იყოს განონასწორებული მეორით. შეუძლებელია, რომ საზოგადოებამ უფრო მეტი მომსახურება მიიღოს, ვიდრე სანაცვლოდ გასცემს, ამიტომ სანინალმდევგოს დაჯერება ქიშერაა, რომელიც მონეტებისა და ქალაქის ფულის გამრავლებით იქმნება.

ბ. ეს ყველაფერი ძალიან აზრიანი ჩანს თეორიაში. მაგრამ პროცესების მიმდინარეობაზე დაკვირვებისას, პრაქტიკაში სხვანაირად ხდება. მაშასადამე, თუ დოლარების რაოდენობა რაღაცნაირად ისე გამრავლდება, რომ თითოეული ჩვენთაგანი შეძლებს შეამჩნიოს საკუთარი პატარა ქონების გაორმაგება, ჩვენ ყველანი უფრო მეტად თავისუფლები გავხდებით; ჩვენ მეტის ყიდვას შევძლებთ და ვაჭრობა ძლიერ სტიმულს მიიღებს.

ფ. მეტი შესყიდვები! და რა უნდა ვიყიდოთ? ეჭვგარეშეა, რომ საჭირო ნივთები, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას - როგორცაა სურსათი, მასალები, სახლები, ნივნები, სურათები. მაშინ, თქვენ უნდა დაიწყოთ იმის მტკიცებით, რომ ყველა ეს საგანი საკუთარ თავს ქმნის; თქვენ უნდა ივარაუდოთ, რომ ზარაფხანა, სადაც ოქროს ზოდებს ადნობენ, მთვარიდან ჩამოვარდა; ან საბეჭდი დაზგები ამოქმედდა სახაზინო დეპარტამენტში; თქვენთვის შეიძლება გონივრული არაა, თუ ხორბლის, ქსოვილის, გემების, ქუდების და ფეხსაცმელების რაოდენობა იგივეა, თითოეული ჩვენგანის წილი მეტი იქნება, რადგან თითოეული ჩვენგანი ბაზარში დიდი რაოდენობით ნამდვილი თუ ფიქციური ფულით დავედივართ. გაიხსენეთ მოთამაშეები. საჭირო ნივთების სოციალური წესრიგი არის ის რასაც მუშები შანდლის ქვეშ ათავსებენ და დოლარი, რომელიც ხელიდან ხელში გადადის ფულის ნიშანია. თუ თქვენი დოლარების რაოდენობას გაზრდით საჭირო ნივთების რაოდენობის ზრდის გარეშე, შედეგად მხოლოდ იმას მიიღებთ, რომ თითოეული გაცვლისთვის უფრო მეტი დოლარის გაღება გახდება საჭირო, ისევე როგორც მოთამაშეებმა მოითხოვეს მეტი ფულის ნიშანი თითოეულ ანაბარზე. თქვენ ამის დასტურს გაძლევთ ის, რაც ოქროზე, ვერცხლსა და სპილენძზე იცვლება. რატომ ჭირდება ერთი და იგივე გაცვლას უფრო მეტი სპილენძი ვიდრე ვერცხლი, ან უფრო მეტი ვერცხლი ვიდრე ოქრო? იმიტომ ხომ არა, რომ ეს ლითონები მსოფლიოში სხვადასხვა პროპორციითაა გადაწვნილებული? რას იტყვით, თუკი ოქრო უცაბედად ისეთივე ბევრი გახდებოდა, როგორც ვერცხლი, სახლის შესაძენად განა იმდენივე ოქრო არ გახდებოდა საჭირო, რამდენიც ვერცხლი?

ბ. შეიძლება მართალი ხართ, მაგრამ ვამჯობინებდი რომ ცდებოდეთ. იმ გაჭირვების პირობებში, რომელიც ჩვენს გარშემოა, რაც ერთობ სადარდებელი და საშიშია შედეგების თვალსაზრისით, მე ვიპოვე მცირეოდენი ნუგეში იმ აზრში, რომ არსებობს მარტივი მეთოდი თემის ყველა წევრის გასაბედნიერებლად.

ფ. ოქრო და ვერცხლი სიმდიდრე რომც იყოს ნამდვილად არ იქნებოდა ადვილი მათი რაოდენობის გაზრდა, თუ ქვეყნაში საბადოები არ იქნებოდა.

ბ. არა, მაგრამ ადვილია მათი სხვა რამით შეცვლა. გეთანხმებით, რომ ოქროს და ვერცხლს არც თუ ისე დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ, ისინი მხოლოდ გაცვლის უბრალო საშუალებას წარმოადგენენ. იგივე ეხება ქალაქის ფულსა და ბანკნოტებს. ჩვენ რომ მათი დიდი რაოდენობა გაგვანდეს, რომლის შექმნაც ასე ადვილია, ალბათ ბევრ რამეს

შევიძენდით და სადარდებელიც აღარ გვექნებოდა¹. თქვენი ბოროტი თეორია ფლანგავს იმედებს, ილუზიებს, და თუ გნებავთ, მისი პრინციპებიც ძალზედ ფილანტროპულია.

ფ. დიას. ყველა უნაყოფო ოცნების მსგავსად, რომლებიც საყოველთაო ბედნიერებას ქადაგებენ. საშუალებათა უკიდურესი მოცულობა, რომელსაც თქვენ გვიჩვენებთ, სრულიად საკმარისია მისი სიცარიელის საჩვენებლად. ჩვენი სურვილების, გემოვნებისა და ოცნებების ასახედნად ბანკოტების ბეჭდვა რომ ყოფილიყო აუცილებელი, გჯერათ რომ კაცობრიობა აღდგმედ არ გამოიყენებდა ამ საშუალებას? ვეთანხმებით, რომ აღმოჩენა მაცდურია. ის მალევე აღმოფხვრის მსოფლიოში არა მხოლოდ ყოველგვარ ძარცვას, არამედ თავად შრომასაც, სტამბის ეროვნულ ბიუროში შრომის გარდა. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ უნდა ვისწავლოთ, როგორ შეისყიდის ქალაქის ფული სახლებს, რომელიც არავინ აუშენებია, ნივთებს, რომლებიც არავის შეუქმნია.

ბ. ერთი რამ მაფიქრებს თქვენს არგუმენტში. თქვენ ამბობთ, რომ, თუ მოგება არ არსებობს, მაშინ გაცვლის საშუალებების გამრავლების დროს დანაკარგიც არ იარსებებს, როგორც ეს ჩანს მოთამაშეთა მაგალითიდან, რომლებიც ვერაგულად შეაჩერეს. მაშინ რატომ უარყვით ფილოსოფიური ქვა, რომელიც გვასწავლის ნებისმიერი ნივთიერების ოქროდ ქცევის საიდუმლოს, ან რაც არსებითად იგივეა, ქალაქი ვაქციოთ ფულად? ისე ბრმად ხართ ჩაფლული ლოგიკაში, რომ უარს ამბობთ ექსპერიმენტზე, რომელსაც რისკი არ ახლავს? თუ შეცდით, როგორც თქვენს მრავალ მოწინააღმდეგეს სჯერა, უზარმაზარ უპირატესობას ართმევთ თქვენს ერს. თუ შეცდომას ისინი უშვებენ, შედეგად, თქვენივე საქმიო იმედის დაკარგვის გარდა სხვა რამ ზიანი მოსალოდნელი არ არის. მათი აზრით, არაჩვეულებრივი საშუალება, თქვენთვის უბრალოდ უვარგისია. გამოცდის საშუალება რომ ყოფილიყო, ყველაზე ცუდი რაც შეიძლება მომხდარიყო სარგებლის დაკარგვა იქნებოდა და არა ბოროტების განხორციელება.

ფ. უპირველეს ყოვლისა, იმედის გაცრუება ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან დიდი უბედურებაა. ასევე არასასურველია, რომ მთავრობამ ზოგიერთი გადასახადის გაუქმება გამოაცხადოს იმ რესურსებზე, რომლებიც არამომგებიანია. მაგრამ, თქვენი შენიშვნა შეიძლება ყურადსაღები იყოს, როდესაც ქალაქის ფულის გამოშვებისა და გაუფასურების შემდეგ, ღირებულებებს შორის წონასწორობა მყისვე და თანაბრად აღდგება ყველა საგანზე და ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში. საზოგადოებრივი მიდრეკილი იქნება, როგორც მოთამაშეების მაგალითში, უნივერსალური მისტიციზმისკენ, რომლის საპასუხო ყველაზე კარგ საშუალებას გალიმება წარმოადგენს. მაგრამ მოვლენათა განვითარება ასეთი არ იქნება. ექსპერიმენტი შედგა და მთავრობა - მთავრად ეს თუ კონგრესი - ყოველთვის ერევა ფულის საკითხებში...

ბ. ვინ ამბობს რამეს ფულის ცვლილებასთან დაკავშირებით?

ფ. რატომ ვაძულეთ ადამიანები აიღონ ქალაქის ნაგლეჯები, რომელიც ოფიციალურად მონათლულ იქნა, როგორც დოლარი, ან რაც იგივეა, თუ უფრო უარესი არა, ვაიძულეთ, რომ უნცია ვერცხლად მიიღონ ის, რაც მხოლოდ ნახევარ უნციას იწონის, მაგრამ

¹ აღნიშნული მოსაზრებები, რომლებითაც ბასტია იცავს არაგანადგებადი ქალაქის ფულის გამოყენებას, ისეთი აბსურდად გვეჩვენება, რომ მკითხველი უნებლიეთ იკითხავს: "ადამიანს, რომელსაც მნიშვნელოვანი თანამდებობა უკავია, რეალურ ცხოვრებაში ნამდვილად ასე ლაპარაკობს, ან ასე სჯერა?" ამ კითხვებზე პასუხი, სამწუხაროდ, დადებითია. ყველა ქვეყნის საკანონმდებლო ისტორია საესეა ასეთი კომონათქვემების მაგალითებით. ამ მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებით მდიდარია. პელატია ვებსტერი, თავის "კონტინენტალური ფულის" ისტორიაში¹ ამბობს, რომ როდესაც კონგრესში ომის მხარდაჭერის მიზნით განიხილებოდა საგადასახადო დაბეგვრის გაზრდა, ერთ-ერთი წევრი წამოდგა და აღმოთქვამულმა იკითხა, "თქვენ ფიქრობთ, რომ გადასახადები დაეხმარება ადამიანს, მაშინ როდესაც მას შეუძლია უბრალოდ მივიდეს სტამბაში და მიიღოს კალათით დატვირთული ფული?"

რომელიც ოფიციალურად დოლარად იწოდება. მთელი ეს მსჯელობა, რომელიც ქალაქის ფულის სასარგებლოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული, მონეტების გაყალბების დასაკანონებლად ჩამოყალიბდა. ამის შემხედვარე, როგორც ახლახან გააკეთეთ, და რასაც კვლავაც აგრძელებთ, თუ სარწმუნოა რომ გაცვლის ინსტრუმენტების გამრავლებით თავად გაცვლების რაოდენობაც იზრდება ისევე როგორც გასაცვლელი ნივთები, მაშინ შეიძლება გაფიქრებულ იქნას, რომ ყველაზე მარტივი საშუალება მონეტის დოლარად შექანიკურად დანანევრება და კანონის მიღებაა, რომ ამ ფულს ნახევარი სახელით მთლიანი ღირებულება მიეცეს. ორივე შემთხვევაში ფულის გაუფასურება გარდაუვალია. და ვგონებ, მიზეზი უკვე გითხარით. ასევე უნდა გამცნოთ, რომ ამ გაუფასურებით, რომელიც ქალაქის ფულის შემთხვევაში სრულ გაუფასურებამდე გაგრძელდება, მუდმივი ტყუილის თანხლებით, ლარიბი ადამიანები, უბრალოდ პიროვნებები, მუშები და გლეხები ყველაზე მეტად დაზარალდებიან.

ბ. ვხედავ; მაგრამ ცოტა მოითმინეთ. ეკონომიკა საკამოდ ძლიერია, რომ ერთჯერადად გაზრდილმა ფულმა მასზე გავლენა იქონიოს.

ფ. ასე იყოს. მაშინ, ჩვენ ვთანხმდებით, რომ სიმდიდრე არის ჩვენი შრომის შედეგად შექმნილი გამოსადეგი ნივთების ერთობა, ან ჩვენი სურვილების და გემოვნების დასაკმაყოფილებლად ყელანაირი მცდელობის შედეგი. საჭირო საგნები ერთმანეთში იცვლება, მათი მფლობელების მოხერხებულობის შესაბამისად. ტრანსაქციის ორი ფორმა არსებობს; ერთს ეწოდება ბარტერი: როცა მომსახურება გაიცემა ექვივალენტური სერვისის მიხედვით დროის ერთი და იმავე მონაკვეთში. ტრანსაქცია ამ ფორმით განსაკუთრებით შეზღუდულია. დროის და ადგილის დამოუკიდებლად ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანებს შორის მათი გამრავლებისა და სრულყოფისათვის, შუამავალი აგენტი გახდა საჭირო, რომელსაც ფული ჰქვია. ასეთი გაცვლა იგივე გართულებული გარიგებაა, რაც კარგად უნდა შევნიშნოთ და გავიგოთ. გაცვლა ორ გარიგებად, ორ ნაწილად იყოფა. ესენია: გაყიდვა და შესყიდვა - რომელთა გაერთიანებაც საჭიროა პროცესის დასასრულებლად. თქვენ ყიდით მომსახურებას და იღებთ დოლარს, შემდგომ, ამ დოლარით მომსახურებას ყიდულობთ. ეს გარიგებაა და იგი მანამ არ დასრულდება სანამ თქვენს ნამდვილ დაკმაყოფილებას არ გამოიწვევს. თქვენ იმისთვის მუშაობთ, რომ სხვების სურვილები დააკმაყოფილოთ. ასევე, სხვები აკმაყოფილებენ თქვენსას. შრომით გამოუმუშავებული დოლარით სხვა ადამიანების შრომას ამტკიცებთ. ეკონომიკური ევოლუცია ხორციელდება მანამ სანამ თქვენ ინტერესი გააჩნიათ. როცა ნამდვილად დაკმაყოფილებით, გარჯისათვის ჯილდოს მიიღებთ. გარიგება გულისხმობს მომსახურების გაცემას და მიღებას. იგივე რატომ არაა გაცვლის დროსაც, რომელიც ასევე ორნაწილიანი გარიგებაა? აქ ორი დაკვირვება უნდა ვანარმოოთ. უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოში ბევრი თუ ცოტა ფულის არსებობა უმნიშვნელო გარემოებაა. თუ ფული ბევრია, მეტია მოთხოვნა; თუ ცოტაა, მაშინ ცოტაზეა მოთხოვნა, თითოეული ტრანსაქციისათვის: რადგან ცხადია, რომ ფული ყოველთვის ჩნდება თითოეულ გაცვლაში, იგი განიხილება როგორც ნიშანი და საზომი იმ საგნებისა რომლებიც იცვლებიან.

ბ. კიდევ უარყოფთ, რომ ფული გამოსადეგი საგნების ნიშანია?

ფ. მონეტა არაა ფქვილის ბარელის ნიშანი, არამედ ფქვილის ბარელი არის მონეტის ნიშანი.

ბ. რა ზიანი მოგვადგება იმით, ფულს, როგორც სიმდიდრის ნიშანს რომ შევხედოთ?

ფ. შექმნილ უხერხულობას მივეყვართ იდეამდე, რომ საგნების გასაზრდელად მხოლოდ ნიშანი უნდა გავზარდოთ; ჩვენ ვდგავართ საშიშროების წინაშე, რადგან მიიღებთ ყველა იმ მცდარ ზომებს რომლებიც მეფედ გამოცხადებისას მიიღებთ. ჩვენ უფრო შორსაც უნდა

წავიდა. როგორც ფულში ვხედავთ სიმდიდრის ნიშანს, ასევე ქალაქის ფულში ვხედავთ ფულის ნიშანს; და ვასკენით, რომ არსებობს ყველას სიმდიდრით სიამოვნების მინიჭების ძალიან მარტივი და ადვილი მეთოდი.

ბ. მაგრამ იმედია ისე შორს არ წახვალთ, რომ ვიკამათოთ ფული არის თუ არა ღირებულების საზომი?

ფ. დიახ. ნამდვილად, უფრო ჩავეღრმავებები საკითხს, რომ ზუსტად გავარკვიო, სად არის ილუზია. ჩვევად იქცა, რომ ყველაფრის ღირებულება ფულს მივანიჭოთ. მას ვაფასებთ ხუთ, ათ, ან ოც დოლარად. ან ვამბობთ, რომ ის იწონის ხუთ, ათ, ან ოც მარცვალს; ხუთი, ათი ან ოცი იარღის საზომია; ეს მინა მოიცავს ხუთ, ათ ან ოც აკრ მიწას; ამიტომ დასკვნა გაკეთდა, რომ ფულიც ღირებულების საზომია.

ბ. ჩანს, რომ ასე იყო.

ფ. დიახ, ასეა. და სწორედ ამის გამო ვწუნუნებ. ყველა თანხმდება, რომ სიგრძის, ზომის საზომები რაოდენობრივი და უცვლელია. მაგრამ იგივე არ ხდება ოქროს და ვერცხლის ღირებულებასთან დაკავშირებით. იგი ისევე მერყეობს, იგივე მიზეზებით და იმავე კანონებს ემორჩილება, როგორც მარცვლელი, ღვინო, ტანსაცმელი. ოქროც ისევე გაჩნდა, როგორც რკინა - მესახტეების შრომის, მენარმეების წინსვლის შედეგად. მისი წარმოების ღირებულების, ბაზარზე არსებული რაოდენობის და მასზე მოთხოვნილების მიხედვით, იგი ან მეტი ღირს ან ნაკლები; ერთი სიტყვით, იგი ისეთივე რყევას განიცდის, როგორც ადამიანის მიერ წარმოებული ნებისმიერი პროდუქტი. მაგრამ ერთი გარემოება განსაკუთრებულია, და მრავალი შეცდომის საფუძველი ხდება. როცა ფულის ღირებულება მერყეობს, ცვლილება ეხება სხვა ნაწარმებსაც რომელზეც იგი იცვლება. დაეუშვათ, რომ ოქროს მიმართ გარემოებები უცვლელია, და რომ მარცვლელი კულტურის მოსავლიანობა წარუმატებლად დასრულდა. მარცვლელის ფასი გაიზარდა. იტყვიან: „პურის ფქვილის ბარელი, რომელიც ხუთი დოლარის ღირებულების იყო, ახლა რვა ღირს“, და ეს სწორი იქნება, რადგან ეს იმ პურის ფქვილის ღირებულებაა რაც შეიცვალა, და გამოძახილი ამ ფაქტს შეესაბამება. მაგრამ მოდით სხვაგვარად მივუდგეთ: დაეუშვათ, რომ ყველა გარემოება, რომელიც დაკავშირებულია პურის ფქვილთან იგივე რჩება, და ოქროს არსებული მარაგის ნახევარი ქრება; ამ შემთხვევაში ოქროს ფასი გაიზარდა. ალბათ ვიტყვით: „მონეტა, რომელიც ათი დოლარის ღირებულების იყო, ახლა ოცი დოლარის გახდა“. იცით, ეს როგორ გამოიხატება? თითქოს ეს შედარების სხვა პროდუქტი ყოფილიყო, რომელიც ფასში შემცირდა - „პურის ფქვილი, რომელიც ათი დოლარის ღირებულების იყო, ახლა მხოლოდ ხუთიღა ღირს“.

ბ. საბოლოოდ, ერთი და იგივემდე მიდის.

ფ. ეჭვგარეშეა; მაგრამ დაფიქრდით რა ვნებათაღელვას და ტყუილებს აქვს ადგილი გაცვლის დროს. როცა გაცვლის საშუალების ღირებულება მუდმივ ცვალებადია, ჩვენ არავინ გვეითხება და ვერც ვიგებთ სახელწოდების ცვლილებას. ფული გამოიცემა ძველი, ხუთი დოლარის სახელწოდებით და ყოველი შემდგომი გაუფასურებისას იგივე სახელს ინარჩუნებს. ღირებულება შეიძლება შემცირდეს მეოთხედით, ნახევრად, მაგრამ ისევე ხუთი დოლარად იწოდება. ჭკვიანი ადამიანები იქამდე შეინახავენ საკუთარ საქონელს სანამ უფრო დიდი რაოდენობის ფულზე არ გაცვლიან. ისინი მოითხოვენ ათ დოლარს იმაში, რაც წესით ხუთ დოლარად უნდა გაეყიდათ; მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანები ამას ვერ გაათვლიან. მრავალმა წელმა უნდა განვლოს რომ ყველა ღირებულებამ შესაბამის დონეს მიაღწიოს. უცოდინრობის და ჩვეულების გავლენით, დასაქმებულის დღიური ანაზღაურება დოლარი იქნება მანამ მოხმარების საგნების ხელსაყრელი ფასი მუდმივ ზრდას განიცდის. მიზეზის გარკვევის გარეშე იგი უფრო გალარბდება. მოკლედ, საუბრის

შენწყვეტამდე და ჩვენს დაცილებამდე, გთხოვთ ყურადღება ამ არსებით საკითხს მიაპყროთ: როცა ერთხელ გაყალბებული ფული (რა ფორმითაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი) მიმოქცევაში ჩაერთვება, გაუფასურებას გამოიწვევს, და ყველა გაყიდვადი ნივთის ფასი გაიზრდება. მაგრამ ფასების ზრდა ყველა საგნისთვის ერთდროული და თანაბარი არ არის. ჭკვიანი ადამიანი, ბროკერი, ან მენარმე არ დაზარალდება ამით; მათი საქმეა დააკვირდნენ ფასების მერყეობას, დააკვირდნენ მიზეზს, და სპეკულაციაც კი გასწიონ. მაგრამ წვრილი ვაჭარი მთელ ამ სიმძიმეს საკუთარ მხრებზე ზიდავს. ამით მდიდარი უფრო არ მდიდრდება, მაგრამ ღარიბი კიდევ უფრო ღარიბდება. ასეთი ხერხებით სიღარიბეს და სიმდიდრეს შორის განსხვავება იზრდება, სოციალურად ადამიანები მუდმივად ერთი და იმავე დონეზე რჩებიან. დაზარალებულ კლასებს საუკუნეები სჭირდებათ უწინდელ მდგომარეობაში დასაბრუნებლად.

ბ. მე ახლა უნდა ნავიდე და ჩაეფიქრდე იმ გაკვეთილზე რომელიც მასწავლეთ.

ფ. თქვენი დისერტაცია დაასრულეთ? მე ჩემი ძლივს დავიწყე. მე ჯერ არ მისაუბრია ასე პოპულარულ კაპიტალის სიძულვილზე, უსასყიდლო კრედიტზე - ყველაზე უიღბლო შეხედულებასა და სავალალო შეცდომაზე, რომელიც იგივე წყაროდან მომდინარეობს.

ბ. რა! კაპიტალისტების წინააღმდეგ მოსახლეობის საშუაში მღელვარება ფულის სიმდიდრესთან აღრევიდან მომდინარეობს?

ფ. ეს სხვადასხვა მიზეზთა შედეგია. საუბედუროდ, კაპიტალისტებმა მიისაკუთრეს მონოპოლიები და პრივილეგიები. მაგრამ როდესაც დემოკრატიის თეორეტიკოსებმა აღნიშნულის გამართლება და მისი სისტემაში მოყვანა გადაწყვიტეს, რათა მისთვის გონივრული იერსახე მიეცათ, დახმარებისთვის მიმართეს მცდარ პოლიტიკურ ეკონომიას, რომელსაც გაურკვეველობა უდევს საფუძვლად. ისინი ამბობდნენ: „დოლარი ჭიქის ქვეშ დადეთ; დაივიწყეთ მისი არსებობა ერთი წლის განმავლობაში; შემდეგ მიდით და დარწმუნდებით, რომ იგი არც ათი, არც ხუთი და არც ცენტის რაიმე წანილით არ გაიზარდა. მაშასადამე, ფული არ ქმნის სარგებელს“. შემდგომ, სიტყვა ფული მის მოჩვენებით ნიშნად, კაპიტალად შეცვალეს. მათ შექმნეს ასეთი გამონათქვამების სერიები - „მაშინ კაპიტალი არ წარმოშობს სარგებელს“, „ამგვარად, ვინც გასცხვებთ ფულს და ამით რაიმე სარგებელს იღებს, ის ქურდია; ყველა კაპიტალისტი ქურდია; სიმდიდრეს სინამდვილეში ფლობს ის, ვისაც იგი არ ეკუთვნის; შესაბამისად, არ არსებობს საკუთრება. ამიტომ ყველაფერი ეკუთვნის ყველას; მაშასადამე...“

ბ. ეს ძალიან სერიოზულია; მით უმეტეს, სილოგიზმისგან ასე არაჩვეულებრივად ჩამოყალიბდა. აღფრთოვანებული უნდა ვიყო ამაზე. მაგრამ, ვაი! ყურადღების მოკრებვა მეტად აღარ შემიძლია. ისეთი ქაოსია ჩემს თავში ამ სიტყვებით: მონეტები, ფული, მომსახურება, კაპიტალი, სარგებელი, უკვე ძნელია გავიგო სად ვიმყოფები ახლა. თუ ინებებთ, იქნებ სხვა დროს განგვეახლებინა.

ფ. ამასობაში კი ინებეთ მცირე ნაშრომი სახელად კაპიტალი და ქირა. შეიძლება მან ზოგიერთი ეჭვი გაგიქარწყლოთ. უბრალოდ, გასართობად გადახედეთ.

ბ. გავერთო?

ფ. ვინ იცის?! ერთი მოსაბეზრებელი საგანი მეორეს ცვლის.

ბ. ჯერ არ გამიზრებია ფულსა და პოლიტიკურ ეკონომიკაზე თქვენი შეხედულებები. მაგრამ, თქვენი საუბრიდან დავასკენი, რომ ეს საკითხები უდიდესი მნიშვნელობისაა; ომსა თუ მშვიდობაზე, წესრიგსა თუ ანარქიაზე, მოქალაქეების გაერთიანებასა თუ ანტიგონიზმზე, სწორედ ასეთ კითხვებს უნდა გავეცეს პასუხი. რატომ არის, რომ საფრანგეთში და სხვა მაღალცივილიზებულ ქვეყნებში, მეცნიერებაში, რომელიც ახლა გვაღე-

ლევებს და რომლის გავრცელება ასე მნიშვნელოვანია კაცობრიობის ბედზე, ცოტაა ცნობილი? იმაში ხომ არაა საქმე, რომ სახელმწიფო ამ საკითხებს არასაკმარისად ასწავლის?

ფ. მთლად ასე არა. ამ მოხერხებული ეშმაკობის გარეშეც, სახელმწიფო ახორციელებს ყველა ადამიანის ტვინის ჩატუმბვას ცრურწმენებით, ხოლო ყველას გულებს ანარქიული, ომის, და სიძულვილის გრობებით ავსებს; ასე რომ, როცა წესრიგის, მშვიდობის და გაერთიანების მოძღვრება თავად წარადგენს საკუთარ თავს, ამოა იმაზე ფიქრი, რომ სისწორე და სიმართლე მის მხარეს იქნება - ის აღიარებს მაინც ვერ მიიღებს.

ბ. აშკარად საშიში ბუზღუნა ხართ. რა ინტერესი უნდა ქონდეს სახელმწიფოს, რომ მოახდინოს ადამიანების ინტელექტის მისტიფიცირება რევულუციების, სამოქალაქო და საგარეო ომის სასარგებლოდ? დანამდვილებით აზვიადებთ თქვენს ნათქვამს.

ფ. გაითვალისწინეთ. იმ დროს, როცა ჩვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები თავისთავად განვითარებას იწყებენ, იმ ასაკში, როცა შთაბეჭდილებები სიცოცხლით სავსეა, როცა აზროვნების ჩვევები ყველაზე იოლად ყალიბდება – როდესაც შეგვიძლია გავეცნოთ საზოგადოებას და გავიგოთ მისი – ერთი სიტყვით, როდესაც ჩვენ მხოლოდ შვიდი თუ რვა წლისანი ვართ, რას აკეთებს მაშინ სახელმწიფო? იგი ავიხვევს თვალებს, ამოვიღებს მშვიდად იმ სოციალური წრიდან რომელიც გარშემო გაკრავს, რომ ჩავძიროს, ჩვენივე შთაბეჭდავი უნარებით, ან მგრძნობიარე გულებით რომაული საზოგადოების შუაგულში. სულ მცირე ათი წელი ვაჩერებს აქ, იმდენ ხანს რომ ჩვენ გონებრივ შესაძლებლობებზე წარუშლელი კვალი დატოვოს. დააკვირდით, რომაული საზოგადოება ჩვენი საზოგადოების სრულიად სანინაღმდეგოა. ისინი ომით ცხოვრობდნენ; აქ ჩვენ უნდა გვძულდეს ომი; მათ სძულდათ შრომა; ჩვენ შრომით უნდა ვიცხოვროთ. საარსებო საშუალებები იქ მონობას და ძარცვას ეფუძნებოდა; აქ ისინი თავისუფალი წარმოებით უნდა მივიღოთ. რომაული საზოგადოება ორგანიზებული იყო მისი პრინციპების გარშემო. იგი ეთაყვანებოდა იმას, რაც მას ააყვავებდა. იგი მიიჩნევდა ღირსებად რაც ჩვენთვის უღირსობაა მათ პოეტებსა და ისტორიკოსებს უნდა ედიდებინათ ის, რასაც ჩვენ აბუჩად ვიგდებთ და გვძულს. თავისუფლებას, წესრიგს, სამართლიანობას, ადამიანებს, პატივისცემას იგივე გავლენა და მნიშვნელობა არ ქონდა რომში, როგორც პარიზში აქვს. რას მოელი იმ ახალგაზრდობისგან, რომლებიც სამონასტრო სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში ლიეიუსის^ა და ქვინტუს ქურტიუსის^ბ კატეხიზმებით გაიზარდა. ისინი ვერ გაიგებენ თავისუფლებას, ისე როგორც ძმები გრაკუსები^გ, ღირსებას, როგორც კატონი^დ, და პარტიოტიზმს, როგორც კეისარი? ნუთუ გგონიათ, რომ ისინი ჯგუფებად არ გაერთიანდებიან და საომრად არ მოემზადებიან? ნუთუ გგონიათ, რომ ისინი საზოგადოებრივი წესრიგის მექანიზმით დაინტერესდებიან? ფიქრობთ რომ მათი გონება ამისთვის მზად არაა? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ამისათვის ისინი უნდა გათავისუფლდნენ ახლანდელი წარმოდგენებისგან, და მიიღონ სხვა, რადიკალურად განსხვავებული?

ბ. რა დასკვნა გამოგაქვთ აქედან?

ფ. ყველაზე სასწრაფო აუცილებლობა არის ის, რომ სახელმწიფომ კი არ უნდა ასწავლოს, არამედ განათლების ნება უნდა დართოს. ყველა მონოპოლია საშინელებაა, მაგრამ ყველაზე უარესი განათლების მონოპოლიაა.

^ა ტიტუს ლიეიუსი (ძვ.წ. 59-17 წწ.) რომაელი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი.

^ბ ქვინტუს ქურტიუსი (ახ.წ. I ს.) რომაელი ისტორიკოსი

^გ ძმები გრაკუსები (ძვ. წ. II ს.) გაიუს და ტიბერიუს გრაკუსები, ცნობილი რომაელი პოლიტიკური მოღვაწეები, სოციალური რეფორმატორები.

^დ მარკუს კატონი (ძვ.წ. 95-46 წწ.) რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი.

ლუდვიგ ფონ მიზესი

1881-1973

ლუდვიგ ფონ მიზესი (*Ludwig von Mises*) ავსტრიელი ეკონომისტი, ეკონომიკის ავსტრიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი, თანამედროვე ლიბერტარიანული მოძრაობის ინტელექტუალური მამამთავარი.

ლუდვიგ ფონ მიზესი დაიბადა გალიციის ქალაქ ლემბერგში (ავსტრია-უნგრეთის იმპერია, თანამედროვე ლეოვი) 1881 წლის 29 სექტემბერს, შეძლებული ებრაელის ოჯახში. ლუდვიგის მამა მშენებელი ინჟინერი იყო. ლუდვიგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც ოჯახი ვენაში, საგვარეულო სახლში დაბრუნდა. მამა 1903 წელს გარდაეცვალა.

1906 წელს დაამთავრა ვენის უნივერსიტეტი, სადაც მასზე დიდი გავლენა იქონია კარლ მენგერის ნაშრომებმა და ეუგენ ფონ ბომ-ბავერკის ლექციებმა.

1913-1934 წლებში მიზესი ვენის უნივერსიტეტის პროფესორია. ამავე პერიოდში მსახურობდა ვენის საეაქრო პალატაში. იყო ავსტრიის მთავრობის ეკონომიკური მრჩეველი. 1934 წელს, ებრაული წარმოშობის გამო დენის შიშით, მიზესი გადადის უენეაში, საერთაშორისო კვლევების უმაღლეს სასწავლებელში პროფესორად, 1940 წელს კი - ნიუ-იორკში, სადაც 1965 წლამდე ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მონეული პროფესორია.

ლუდვიგ ფონ მიზესი ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევების, როგორც ძალმომრეობის, უკომპრომისო მონინაღმდეგეა. მიზესმა მთელი თავისი ცხოვრება სოციალიზმისა და ტოტალიტარიზმის მხილვას მიუძღვნა. მან ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში დაასაბუთა, რომ ნებისმიერი სოციალისტური ეკონომიკური მოდელი განუხორციელებელია, რადგან იგი არ ეყრდნობა საბაზრო პრინციპებს. მისი მტკიცებით, თავისუფალი ბაზრის გარეშე არ არსებობს ფუნქციონალური ფასწარმოქმნის სისტემა. შესაბამისად, შეუძლებელია მოთხოვნის დადგენა და რესურსების რაციონალური განაწილება. თავისი ნაშრომით, "ადამიანური ქმედება" მიზესმა საფუძველი ჩაუყარა პრაქსეოლოგიას. მისი კვლევის ინტერესს შეადგენდა მონეტარული ეკონომიკა და ინფლაცია, განსხვავება მთავრობის მიერ კონტროლირებად ეკონომიკასა და თავისუფალ ბაზარს შორის.

ლუდვიგ ფონ მიზესის მთავარი ნაშრომებია: "ფულის და კრედიტის თეორია" (1912); „ერი, სახელმწიფო და ეკონომიკა“ (1919); "ეკონომიკური გათვლები სოციალისტურ სახელმწიფოში" (1920); "სოციალიზმი" (1922); "ინტერვენციონიზმი" (1929) "ლიბერალიზმი" (1927); "ადამიანური ქმედება" (1940); "ყოველსაშემძლე მთავრობა" (1944); "ბიუროკრატია" (1944); „დადგეგმილი ქაოსი" (1947); „კომპულისტური პოლიტიკა - გზა სოციალიზმისაკენ" (1950); "თეორია და ისტორია" (1957); „თანანსწორუფლებიანობის და არათანანსწორუფლებიანობის შესახებ" (1961).

ლუდვიგ ფონ მიზესი გადაეცვალა 1973 წლის 10 ოქტომბერს, ქ. ნიუ-იორკში, 92 წლის ასაკში.



ლუდვიგ ფონ მიზესი

ფულის ადგილი ეკონომიკურ საქონელს შორის¹

ინგლისურიდან თარგმნა ლევან როინიშვილმა

კარლ ნიში² გვთავაზობს, რომ საქონლის ტრადიციული დაყოფა სამომხმარებლო და სანარმოო საქონლად შევცვალოთ სამდონიანი კლასიფიკაციით: სამომხმარებლო საქონელი, სანარმოო საქონელი და გაცვლის საშუალებები. მაგრამ ამგვარი ტერმინოლოგიური საკითხების განხილვისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ტერმინების სამეცნიერო საქმიანობაში გამოსადევობით; განსაზღვრებები, კონცეფციები და მოვლენათა ტაქსონომია ფასდება მათზე დაფუძნებული სამეცნიერო კვლევების შედეგებით. თუ ამ მოთხოვნას მივუყენებთ ნიშის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციასა და ტერმინოლოგიას, ისინი საოცრად სასარგებლო აღმოჩნდება. მართლაც, ამ ცნებებს იყენებს კატალაქტიკის მეცნიერების ყველა მიმართულება. ფულის ღირებულების ამ თეორიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, მას გამორჩეულ ადგილს ანიჭებენ სამომხმარებლო და სამენარმეო საქონლის ფასნარმოქმნის ასახსნელად, თუმცა, ის ფასისა და ღირებულების ერთიანი თეორიის ნაწილია. ამ თეორიაში ყველა მნიშვნელოვანი განხილვა მთლიანად გაჯერებულია ნიშის აღნიშნული კონცეფციებით, მაშინაც კი, როცა ამ ტერმინოლოგიის გამოყენება განზრახ დასახულ მიზანს არ წარმოადგენს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ საქონელს შორის ფულის როლი გადაჭარბებით არის ხაზგასმული. ფულის მსყიდველობითი უნარის განსაზღვრის საკითხები ისე განიხილება, თითქოს მათ არაფერი, ან თითქმის არაფერი ჰქონდეთ საერთო არამონეტარული გაცვლების საკითხებთან. ასეთი მოპყრობით მონატერულმა თეორიამ განყენებული სტატუსი მიიღო, რამაც ეკონომიკური აზროვნება დააზარალა. დღემდე ხშირად წააწყდებით მონეტარული თეორიის ზოგიერთი არარსებული თავისებურების დასაბუთების მცდელობას.

როშერს³ ეკუთვნის პოპულარული გამოთქმა, რომ „ფულის არასწორი განსაზღვრებები შეგვიძლია ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ: ერთი ცდებიან, როცა ამბობენ, რომ ფული ბევრად მეტია, ვიდრე ყველაზე გაყიდვადი საქონელი, ხოლო მეორენი – რომ ის ბევრად ნაკლებია“. ეს ეხება არა მარტო ფულის განსაზღვრებას. ბევრი მათგანიც კი, ვინც ფულის თეორიას კატალაქტიკის ნაწილად სამართლიანად მიიჩნევს, ფულის განსაკუთრებული როლის დასაბუთებაში ძალიან შორს მიდის. ფულის თეორია ისედაც მრავალ სირთულეს გვთავაზობს და დამატებითი ხელოვნური პრობლემების შექმნა არ არის აუცილებელი.

¹ ნაშრომი თავდაპირველად გამოქვეყნდა 1932 წელს კრებულში "ეკონომიკური თეორია დღემდე" (*"Die Wirtschaftstheorie der Gegenwart"*, vol. 2, Hans Mayer, Frank A. Fetter, and Richard Reisch, eds. Vienna: Julius Springer, 1932) ინგლისური გამოცემისათვის თარგმნა ალბერტ პ. ზლაბინგერმა.

² კარლ გუსტავ ადოლფ ნიში (1821-1898) - მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი ეკონომისტი, რომელიც ილაშქრებდა კლასიკური ეკონომიკური სკოლის წინააღმდეგ. ეერძოდ, ის არ ეთანხმებოდა პრინციპს, რომ პირად მოგებაზე ზრუნვა სასარგებლოა საზოგადოებისთვის.

³ ვილჰელმ როშერი (1817-1894) - მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი ეკონომისტი.

I. მონეტარული ფუნქცია და ფულის ღირებულება

ცხადია, უბრალო მოკედავის მიამიტურ თვალსაზრისს, რომ საგნებს შინაგანი, ანუ თანდაყოლილი ღირებულება აქვთ, ძალაუნებურად მიეყვავართ იმ მიდგომამდე, რომლის მიხედვით ფულსა და ფულის შემცვლელებს შორის გამყოფი ხაზი სხვაგან გადის, ვიდრე იმ მიდგომის შემთხვევაში, რომლის მიხედვით, საგნების ღირებულებას მათი სარგებლიანობა განსაზღვრავს. ვინც ღირებულებას ნივთების თანდაყოლილ თვისებად მიიჩნევს, მოუწევთ განასხვავონ ნივთიერად ღირებული ფული გაცვლის იმ ინსტრუმენტებისგან, რომლებიც მხოლოდ მონეტარულ ფუნქციას ასრულებენ და საკუთარი ნივთიერი ღირებულება არ გააჩნიათ. ასეთი მიდგომის გარდაუვალი შედეგი ნორმალური ფულის ცუდ და არანორმალურ ფულთან დაპირისპირებაა, რომელსაც, არსებითად, ფულად აღარც მიიჩნევენ. მაგრამ ამ თეორიის განსჯა დღეს უკვე აღარ არის საჭირო. ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია.

ღირებულების სუბიექტური თეორიის ფარგლებში დღეს ღიად აღარავინ გამოთქვამს მოსაზრებას ვითომ ღირებულებისა და ფასის თეორია, ან თუნდაც მისი ერთი ნაწილი, ეფუძნებოდეს ნივთების თანდაყოლილ ღირებულებას და არა ადამიანის სუბიექტურ აღქმას. ამ უკანასკნელ მოსაზრებასთან დათანხმება კი იმავდროულად ნიშნავს ღირებულების სუბიექტური თეორიის ფუნდამენტური პრინციპის გაზიარებასაც, რომელსაც ზღვრული სარგებლიანობის თეორია წარმოადგენს.

რაც შეეხება წინარემეცნიერული ეპოქის ეკონომისტების, ანუ ფიზიოკრატებისა და კლასიკოსი ეკონომისტების წინამორბედების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ფულის ღირებულების თეორიის ინტეგრირება დანარჩენი საქონლის ღირებულების თეორიასთან. საკუთარი მოუქნელი მატერიალისტური გადმოსახედიდან ღირებულების წყაროს ისინი საქონლის „ობიექტურ“ სარგებლიანობაში ხედავდნენ. ამ პოზიციიდან ადვილი ასახსნელია პურის ან ქსოვილის ღირებულება, რადგან პირველი შველის შიმშილს, მეორე კი სიცოცხეს. მაგრამ როგორ ახსნის ეს თეორია ისეთი რამის ღირებულებას, რომელიც ვერც დაგვაპურებს და ვერც დაგვათბობს? ამ კითხვაზე ზოგი პასუხობდა, რომ ფულის ღირებულება „პირობითია“; სხვები კი ამბობდნენ, რომ ფულის ღირებულება საერთოდ „წარმოსახვითია“.

ამ მოსაზრებების მცდარობა დიდი ხანია ცნობილია. ყველაზე ლაკონურად ეს ჯონ ლომ⁴ აჩვენა. თუ ნებისმიერი საგნის ღირებულების წყარო მისი სარგებლიანობაა, მაშინ იმის ჭეშმარიტების მტკიცებაც შეიძლება, რომ კეთილშობილი ლითონების გაცვლის საშუალებად გამოყენება მათ ღირებულებას უნდა განაპირობებდეს. თუკი ვინმეს სურს, რომ ფულად გამოყენებული კეთილშობილი ლითონის ღირებულებას წარმოსახვითი უწოდოს, რამდენადაც ის მონეტარული გამოყენებიდან მომდინარეობს, მაშინ მან ყველა დანარჩენი საგნის ღირებულების წარმოსახვითობა უნდა აღიაროს.

„ნივთის ღირებულება გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორ ვიყენებთ მას და რას მოველით მისგან, ასეთი ნივთების რაოდენობის გათვალისწინებით“⁵. ამ სიტყვებით ლომ იწინასწარმეტყველა ღირებულების სუბიექტური თეორია, რითაც დამსახურებული

⁴ ჯონ ლო (1671-1729) - შოტლანდიელი ეკონომისტი, რომელიც თვლიდა, რომ ფული გაცვლის საშუალებაა და თავად არ წარმოადგენს სიმდიდრეს, ხოლო ქვეყნის სიმდიდრე დამოკიდებულია ვაჭრობაზე.

⁵ John Law, *Considerations sur le Numeraire et le Commerce* (Paris: Buisson, 1851), გვ. 447.

ადგილი დაიკავა მეცნიერების ისტორიაში. მისი იდეის მნიშვნელობას ჩრდილს ვერ აყენებს ვერც ის, რომ მან ამ ფუნდამენტალური იდეის განვრცობა ვერ შეძლო და ვერც ის, რომ ცხოვრებაში შეცდომები, ან იქნებ უმძიმესი დანაშაულიც⁶, კი ჩაიდინა.

ლოს მიერ ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ძირითადი იდეის სრული გაშლა ვერც მომდევნო ეპოქების მკვლევარებმა მოახერხეს. უზუსტობებს დღესაც წააწყდებით შემდეგი სამი მიმართულებით:

პირველ უზუსტობას უშვებენ ის ავტორები, ვინც კატეგორიულად უარყოფენ, რომ ფულით განეული მომსახურება ქმნის ღირებულებას. საწმუხაროდ, ისინი არ გვისჩნიათ, მაინც რით განსხვავდება ფულით განეული მომსახურება საკვების ან ტანსაცმელის მიერ განეული მომსახურებისგან. «ქალაქის ფულის» ღირებულების ახსნის სირთულეს ეს ავტორები გვერდს უვლიან განცხადებით, რომ ქალაქის ფული, თურმე, წარმოადგენს უბრალო თამასუქს, რომლის უკან დგას ნამდვილი, ანუ «ნივთიერი» ღირებულების მქონე ლითონის ფული⁷. «ქალაქის ფულის» გაცვლის კურსის⁸ ცვალებადობა აიხსნება ძვირფას ლითონებში განაღდების ალბათობის ცვლილებით⁹. ამ მოსაზრების კრიტიკა ზედმეტად მიმარჩნია ბოლო ათწლეულებში მონეტარული თეორიის მიღწევების ფონზე. მე ემპირიულად დავასაბუთებ მისი მცდარობა და ვერ წავანყდი შესამჩნევ წინააღმდეგობას¹⁰.

პირველ უზუსტობას გარკვეულწილად უკავშირდება მეორე: თურმე შეუძლებელია არსებობდეს ფული, რომლის «არსი» მდგომარეობს მხოლოდ მონეტარული სამსახურის განეულება, და არა სხვა რაიმე სარგებლის მოტანაში. ეს ავტორები, როგორც ნესი, აღიარებენ, მონეტარული მომსახურების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სერვისების შედეგად ღირებულების წარმოქმნის შესაძლებლობას. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა დავეთანხმოთ ნიზს, რომ «ოქრო და ვერცხლი ისეთივე უფარგისი იქნებოდა ფულის ფუნქციის შესასრულებლად, როგორც ნებისმიერი სხვა საქონელი, მათ რომ მანამდე – ფულად დამკვიდრებამდე – არ ჰქონოდათ ადამიანის «ზოგადი», ანუ ფართოდ გავრცელებული და მუდმივი, ეკონომიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფუნქცია»¹¹. მაგრამ ნიზი შეცდომით განაგრძობს: «არ კმარა, რომ კეთილშობილი ლითონების ეს პირველადი ფუნქცია უბრალოდ წინ უძღოდეს ლითონების ფულად დამკვიდრებას. ლითონმა უნდა შეინარჩუნოს ეს პირველადი ფუნქცია, რომ მისგან დამზადებული მონეტები არ გადაიქცეს მონეტარული თვალსაზრისით უსარგებლო ლითონის ნაჭრებად... თუ ადამიანები აღარ გამოიყენებენ ოქროსა და ვერცხლს სამკაულსა და მორთულობაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაშინ კეთილშობილი ლითონების სხვა გამოყენება, ანუ მათი ფულის როლში გამო-

⁶ შოტლანდიაში დაბადებული ჯონ ლო ახალგაზრდობაში აზარტული თამაშებით ერთობოდა. მან ინგლისში მოკლა ედუარდ უილსონი ეჭვიანობის გამო დანიშნულ დუელში. ლონდონის ციხიდან ამხტერდამში გაიქცა; საფრანგეთის ფინანსთა მინისტრობის დროს ქვეყანა ოქროს ფულიდან ქალაქის ფულზე გადაიყვანა და, პირველი წარმატების მიუხედავად, ქვეყანაში მწვავე ფინანსური კრიზისი გამოიწვია. მისი ოპერაციები საფრანგეთის მაშინდელ კოლონია ლუიზიანაში მეორე დიდი კრიზისის – მისისიპის სანის ბუმის – საფუძველი გახდა.

⁷ სტატისის გამოქვეყნების დროისათვის ქვეყნების უმეტესობა კვლავ ოქროს და ვერცხლის სტანდარტზე იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალაქის ფული წარმოადგენდა ბანკების საცავებში შესანახად მიზარებული ოქროს ან ვერცხლის ფულის სანაცვლოდ გაცემულ უვადო თამასუქს.

⁸ იგულისხმება ფულის მსყიდველობითი უნარი, ანუ ფულის საკონფილზე გაცვლის კურსი, და არა სხვადასხვა საგადამხდელო საშუალების ერთმანეთში გაცვლის კურსი.

⁹ მიზეზი გულისხმობს, რომ ფულის მსყიდველობითი უნარის მერყეობას ეს ავტორები არასწორად ხსნიან ბანკების საიმედოობის ცვლილებით. მაგალითად, ამ ავტორების მიხედვით, ქალაქის კლიპურის ღირებულება ვარდება, თუ იზრდება, თამასუქის გაცემმა ბანკმა შეიძლება ვეღარ ან აღარ გაანაღდოს საკუთარი თამასუქი ძვირფას ლითონებში.

¹⁰ Mises, *The Theory of Money and Credit*, 2nd ed. (Indianapolis, Ind.: Liberty Classics, 1981), გვ. 146-53.

¹¹ Knies. *Geld und Kredit*, გვ. 322.

ყენება დასრულდება”¹². ნიშმა არ დაასაბუთა ეს უკანასკნელი მოსაზრება. არადა დასაბუთების გარეშე სულაც არ არის ცხადი, რატომ უნდა დაკარგოს ფართოდ გამოყენებადმა გაცვლის საშუალებამ თავისი ფულადი სტატუსი მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სხვა გამოყენება ნელნელა უქმდება.

საქონლის გაცვლის საშუალებად დამკვიდრებამდე მას მართლაც სხვა სასარგებლო ფუნქციები უნდა ჰქონდეს; ამის მიზეზი ის არის, რომ საქონელზე, როგორც გაცვლის საშუალებაზე, მოთხოვნა დამოკიდებულია ამ საქონლის გაცვლის ობიექტური კურსის არსებობაზე. გაცვლის ამ საწყისი კურსზე შემდგომში გავლენას მოახდენს საქონელზე გაჩენილი დამატებითი მოთხოვნა, უკვე გაცვლის საშუალების როლში. მაგრამ საწყის ეტაპზე გაცვლის კურსი დამოკიდებული იქნება საქონლის „სხვა“, არაფულად გამოყენებაზე. მაგრამ როგორც კი სამეურნეო საქონელი ფულად დამკვიდრდება, მასზე მოთხოვნა მაშინვე ფულსა და ბაზარზე არსებული სხვა საქონლის შორის გაცვლითი ურთიერთობებით განისაზღვრება, თუნდაც საწყისი მოთხოვნა ფულზე, როგორც სხვა გამოყენების მქონე საქონელზე, ნელნელა გაქრეს. ადამიანის გონებამ ძალიან ნელა, დიდი სირთულით დააღწია თავი მოუქნელ მატერიალისტურ აზროვნებას და მიხვდა, რომ საქონლის გაცვლის ინსტრუმენტად გამოყენება, როგორც ნებისმიერი სხვა გამოყენება, წარმოშობს მოთხოვნას ამ საქონელზე, რაც განსაზღვრავს კიდევ მის ფასს და ამ ფასის ცვლილებასაც. თუ საგნის მიერ ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვისება, ისევე როგორც ამ თვისების გააზრება, მიჩნეული იქნება საგნის საქონლად აღიარების წინაპირობად, მაშინ ერთი ნაბიჯი რჩება ეკონომიკური მოქმედების ობიექტების „ნამდვილი“ და „არა-ნამდვილი“ საქონლად დაყოფამდე. როგორც კი ეკონომისტი ამ გზას დაადგება, მას მაშინვე ფეხი დაუცდება და ძალაუნებურად აღმოჩნდება მეცნიერული ობიექტურობის ჩარჩოებს მიღმა; ის შეაბიჯებს ეთიკური ღირებულებების, მორალისა და პრინციპების სამყაროში.

ამ სამყაროში ის ერთმანეთს ადარებს „ობიექტურად სასარგებლო“ და „მორჩენიებითად სასარგებლო“ ნივთებს. ის შეისწავლის მოჩვენებითად სასარგებლო ნივთების რეალურ სარგებლიანობას. როცა ეკონომისტი აქამდე მივა, ლოგიკურად უნდა დასვათ კითხვა, საქონლის მიერ დაკმაყოფილებული მოთხოვნილება ნამდვილია თუ წარმოსახვითი. საბოლოოდ ამ გზამ შეიძლება იგი მიიყვანოს შეხედულებამდე, რომ კეთილშობილი ლითონების ღირებულება (რომლებიც ტლანქი მატერიალისტური თვალსაზრისით „მხოლოდ“ სამკაულზე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და არა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას, როგორც საქმელი ან ტანსაცმელი) მთლიანად წარმოსახვითია და მომდინარეობს საზოგადოებაში გამეფებული მანკიერი ნორმებიდან და ყალბი თავგომწონეობიდან. მეორე მხრივ, შეიძლება მივიდეთ სანინაალმდეგო შეხედულებამდეც, რომლის მიხედვითაც კეთილშობილი ლითონების ღირებულება კანონიერად ჩაითვლება, თუ თავად სამკაულზე მოთხოვნილება ჩაითვლება „კანონიერად“ და „მართებულად“. ამ უკანასკნელი მოსაზრების ფარგლებში კეთილშობილი ლითონების ობიექტური სარგებლიანობა აღიარებულია; სამაგიეროდ მთლიანად ფულის საქიროება დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან საზოგადოება ოდესღაც ფულის გარეშე არსებობდა, ან ასეთი საზოგადოების არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ მაინც. ურყევია რწმენა, რომ ნივთის „საქონლად აღიარების წინაპირობა“ უნდა იყოს „ბუნებრივი“ სარგებლიანობა, რომელიც ვერ იქნება დამოკიდებული კონკრეტული სოციალური წყობის თავისებურებებზე.

მაგრამ კიდევ უფრო უხეში მატერიალიზმის მაგალითია მესამე უზუსტობა, რომლის მიხედვით საქონლის ფულად გამოყენებას არ შეუძლია ამ საქონლისთვის ღირებულების

¹² იქვე, გვ.322.

მინიჭება, რადგან ფულის როლში აღმოჩენილი საქონელი იმავდროულად ძველი დანიშნულებითაც გამოიყენება; სხვა სიტყვებით, საქონლის მონეტარულმა გამოყენებამ ვერ გააუქმა ამ საქონლის „არსი“.

ვინც უარყოფდა, რომ საქონლის მონეტარულ მოხმარებას შეუძლია ამ საქონლის გაცვლითი კურსის განსაზღვრა, ვერ აცნობიერებდნენ, რომ მოთხოვნა ერთადერთი გადაწყვეტი პირობაა. ყველაზე გაყიდვად საქონელზე, რომელზეც სხვა საქონლის გაცვლის სურვილი არსებობს, ანუ ფულზე მოთხოვნის არსებობა უკვე ნიშნავს, რომ მონეტარულ ფუნქციას შეუძლია ღირებულების წარმოქმნა.

II. ფულის მარაგი და ფულზე მოთხოვნა: ფულის „მიმოქცევის სიჩქარე“

მონეტარული თეორიის პირდაპირი გაცვლის თეორიიდან ყველაზე სავალალო და გაუმართლებელ გადახვევას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ფულის ღირებულების ფუნდამენტური საკითხის ანალიზი არ დაეფუძნა ფულის მარაგსა და ცალკეული ეკონომიკური აგენტების მასზე მოთხოვნას შორის დამოკიდებულებას, ანუ ბაზარზე ფულის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის დამოკიდებულებას. ამის ნაცვლად ანალიზის ამოსავალი ნერტილი გახდა ფულადი ერთეულის ობიექტური სარგებლიანობა მთელი ეკონომიკისთვის, რის გასაზომადაც შემოიღეს ფულის მიმოქცევის სიჩქარის ცნება, რომელიც ფულის მარაგზე გადამრავლებით უნდა გატოლებოდა ფულადი ტრანზაქციების ჯამურ ღირებულებას.

ძნელი ამოსაძიკვი აღმოჩნდა კამერალისტებისაგან გადმოღებული ძველი ტენდენცია, რომელიც ეფუძნება „ეროვნული ეკონომიკის“ „მთლიანი“ ეკონომიკური პრობლემების ანალიზს და არა ცალკეული ადამიანების მოქმედებას. სუბიექტური ეკონომიკის მკვლევარების მიერ გაკეთებული მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, ამ დაავადების განმეორებითი შემოტევები განუწყვეტლივ შეინიშნება. იგი ერთ-ერთი მცირე ბოროტებაა იმ სიავეთა შორის, რომლებიც მეცნიერული ობიექტურობის სამოსით ინიღბებიან. მაგალითად, პროდუქტიული საქმიანობა (ანუ კრიტიკოსის მიერ ინიცირებული სოციალისტურ საზოგადოებაში განხორციელებული საქმიანობა) დაპირისპირებულია მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობასთან (ანუ ადამიანთა საქმიანობასთან საზოგადოებაში, რომელიც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას ეფუძნება). ამათგან პირველი განიხილება, როგორც წარმოების „სამართლიანი“ გზა, ხოლო უკანასკნელი – როგორც „უსამართლო“. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ თუ აზროვნების ერთეულად მთლიან ეკონომიკას ავიღებთ, ვერასოდეს ავხსნით კერძო საკუთრების პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების მუშაობის კანონზომიერებებს. არასწორია ახირება, რომ კოლექტიური მეთოდი თითქოს აუცილებელია, რადგან ცალკეული ინდივიდის მოქმედების გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ამ ინდივიდის გარემოს გააზრებით. არასწორია, რადგან ეკონომიკური ანალიზისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ეკონომიკური მოქმედების ცოდნას, და არა ამ მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივების ანალიზს. პურის, ტანსაცმლის, წიგნების, ზარბაზნებისა და რელიგიური ნივთების ბაზარზე არსებული მოთხოვნის მიზეზების დადგენა არ არის კატალაქტიკის ამოცანა; მნიშვნელოვანია მხოლოდ განსაზღვრული მოთხოვნის არსებობა. ბაზრის მუშაობის პრინციპი და, შესაბამისად, კაპიტალისტური ეკონომიკის კანონზომიერებები, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გავიაზროთ, თუ გააზრებას დავინყებთ ბაზარზე მოქმედი ძალების შესწავლით. მაგრამ ბაზარზე არსებობენ ინდივიდუალური მყიდველები და გამყიდველები, და არასოდეს – „მთლიანობა“. ეკონომიკურ თეორიაში მთლიანობა შეიძლება გავიგოთ მხოლოდ, როგორც ეკონომიკური ერთობა,

რომელშიც წარმოების საშუალებები არ მიეკუთვნება გაცვლის სფეროს და მაშასადამე ვერ გაიყიდება ფულზე. მაგრამ ასეთ გარემოში ადგილი აღარ რჩება არც ფასის და არც ფულის თეორიისთვის. თუკი გვესურს კოლექტიური ეკონომიკის ღირებულებების საკითხების შესწავლა, ერთადერთი გამოსაღვეი მეთოდია – რაგინდ პარადოქსულად უნდა ვღერდეს – ეგრეთ წოდებული „ინდივიდუალისტური მეთოდი“.

ბაზრის ელემენტების ნაცვლად მთლიან ეკონომიკაზე დაყრდნობით ფულის ღირებულების საკითხის გადაწყვეტის მცდელობა დაგვირგვინდა ყოველგვარ ინფორმატიულობას მოკლებული ტრივიალური ტოლობის¹³ შექმნით. მხოლოდ იმ თეორიას შეიძლება დამსახურებულად ეწოდოს ფულის ღირებულების თეორია, რომელიც აჩვენებს თუ როგორ ახდენენ გაცვლის განტოლების შეფასებები გაყენას მყიდველებისა და გამყიდველების მიერ ღირებულების სუბიექტურ მყისებებაზე.

ბაზარზე მოქმედი მყიდველები და გამყიდველები არასოდეს ინტერესდებიან გაცვლის განტოლებაში შემავალი ცვლადებით, რომელთაგან ორი – მიმოქცევის სიჩქარე და საშუალო ფასი – არც კი არის განსაზღვრული საბაზრო ტრანზაქციის დასრულებამდე, ხოლო დანარჩენი ორი – ფულის რაოდენობა და ტრანზაქციების ჯამური რაოდენობა – ვერ იქნება ცნობილი საბაზრო ტრანზაქციის მონაწილეებისათვის. ფულისა და საქონლის გაცვლით კურს განსაზღვრავს ის მნიშვნელობა, რომელსაც ბაზარზე მოქმედი მოთამაშეები ანიჭებენ, ერთი მხრივ, ხელზე ფულის გარკვეული ნაშთის შენარჩუნებას, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრული საქონლის ფლობას.

ფულის მიმოქცევის სიჩქარის ცნებასთან დაკავშირებულია წარმოდგენა, რომ ვითომ ფულის სარგებლიანობა წარმოიქმნება მხოლოდ საბაზრო გარიგების მომენტში, ხოლო დანარჩენ დროს ფული „უმოქმედო“ და უსარგებლოა. მოქმედ და უმოქმედო ფულს შორის განსხვავება იკვეთება მაშინაც, როდესაც ლაპარაკია ფულის დაგროვებაზე და ხდება „დაგროვილი“ ფულის მასის შედარება ფულის იმ მასასთან, რომლის მიმოქცევაში ყოფნა საჭიროდ მიიჩნევა; სხვაობა ამ ორ მიდგომას შორის მხოლოდ იმაშია, თუ სად გაივლება ხაზი მოქმედ და უმოქმედო ფულს შორის. ფულის კატეგორიად დაყოფის ორივე მცდელობა უნდა უარყვით.

ფულის მიერ განეული სამსახური მხოლოდ სავაჭრო გარიგებებით არ შემოიფარგლება. ფული საკუთარ მოვალეობას მხოლოდ ხელიდან ხელში გადასვლისას როდი ასრულებს. სალაროში შენახული ფულიც ასრულებს საკუთარ მოვალეობას მომავალი გამოყენების მოლოდინში. ცალკეული ადამიანების და მთლიანი ეკონომიკის მოთხოვნას ფულზე განსაზღვრავს ხელზე ფულადი ნაშთის შენარჩუნების სურვილი, და არა დროის მონაკვეთში შესასრულებელი ტრანზაქციების საერთო რაოდენობა¹⁴.

თვითნებობაა ფულის კატეგორიებად ასე დაყოფა: ერთი, რომელმაც უნდა შესასრულოს ფულის რეალური ფუნქცია, და მეორე, რომელიც მხოლოდ დაგროვების საგანია. რა თქმა უნდა, არაფერი დაშავდება, თუ ფულზე მოთხოვნას გავეყოფთ დაგროვების მოთხოვნად და საკუთრივ მონეტარული მომსახურების მოთხოვნად. მაგრამ უნდა დავინუნოთ ფორმულა, რომელიც ასახავს და გადაწყვეტს საკითხის ერთ, თვითნებურად გამოყოფილ ნაწილს, მაშინ როდესაც შეგვიძლია ვიპოვოთ ისეთი ფორმულა, რომელიც ერთიანი მიდგომით აღწერს და გადაწყვეტს მთლიან პრობლემას.

¹³ გაცვლის განტოლება (equation of exchange) პირველად გამოიყენა ჯონ სტიუარტ მილმა. განტოლებას აქვს სახე: $M \times V = P \times Q$, სადაც M არის ფულის რაოდენობა, V მიმოქცევის სიჩქარე, P საშუალო ფასი, ხოლო Q – ტრანზაქციების საერთო რაოდენობა.

¹⁴ Edwin Cannan, *Money*, 4th ed. (Westminster: P.S. King and Son, 1932), გვ. 72.

III. ფულის ღირებულების რყევა

ერთ-ერთი ყველაზე უცნაური მოვლენა მონეტარული თეორიის ისტორიაში არის ფულის რაოდენობრივი თეორიისთვის განეული ჯოჯი ნინაალმდეგობა. ამ თეორიის ზოგიერთი მიმდევრის მიერ გაკეთებული არასწორი ფორმულირებები უცილობლად აჩენდა ოპონენტებს, რომელთაგან ბევრს - მაგალითად, ბენჯამინ ანდერსონ¹⁵ - თეორია ტრადიციული ინტერპრეტაციისაგან სრულიად განსხვავებულად ესმოდა¹⁶. ამის შედეგად ოპონენტები რაოდენობრივი თეორიის ნაცვლად მის სხვა ვარიანტს აკრიტიკებდნენ. ეს არც არის განსაკუთრებულად გასაკვირი. მაგრამ გასაკვირი ნამდვილად არის წარსულში ფართოდ გავრცელებული და დღესაც შემორჩენილი მოსაზრება, რომ ფულის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის თანაფარდობის შეცვლას არ შეუძლია ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის შეცვლა. ამ მოსაზრების ასახსნელად არ კმარა ინფლაციონისტების, სახელმწიფო ჩარევების მომხრეების, ანუ ეტატისტების, სოციალისტების, საჯარო მოხელეებისა და პოლიტიკოსების ინტერესების მომიჯნავე და იმაზე აპელირება, რომ მონეტარული პოლიტიკის ცოდნის ფართო გავრცელება მათი მდგომარეობისთვის საზიანო იქნებოდა.

ჩვენ ვერასოდეს ვერ მივიღეთ პასუხს ისტორიულ-რეალისტურ სკოლაზე დაყრდნობით, რომელიც (მარქსის მაგალითის კვალდაკვალ) ყველა იდეის ახსნას იდეოლოგიის საფუძველზე ცდილობს. ადვილი მისახვედრია, თუ რატომ უჭერს მხარს და ავითარებს რაიმე კონკრეტულ იდეოლოგიას რომელიმე კონკრეტული სოციალური ფენა, რომლის წარმომადგენლებსაც სჯერათ, რომ ამ იდეოლოგიიდან პირდაპირ სარგებელს მიიღებენ (მაშინაც კი, როცა პირდაპირი სარგებელი ბევრად აღემატება არაპირდაპირ არახელსაყრელ პირობებს). სამაგიეროდ, ჯერ კიდევ ახსნას საჭიროებს თუ როგორ წარმოიშობება არასწორი თეორიები და რატომ ჩნდებიან მათი მიმდევრები. როგორ ხდება, რომ უამრავი ადამიანი, ყოველგვარი გამართლების გარეშე, იჯერებს რომელიმე სოციალური პოლიტიკის მომგებიანობას მთელი საზოგადოების, ან თუნდაც საზოგადოების რამდენიმე ჯგუფისათვის?

თუმცა, ფულის თეორია, როგორც ასეთი, არ არის დაინტერესებული ფსიქოლოგიური ასპექტებით, რომლებიც გვიხსნის რაოდენობრივი თეორიის არაპოპულარობის მიზეზებს და ფულის ღირებულების განსხვავებული ახსნების მიღებით. ამის სანაცვლოდ ფულის თეორიას აინტერესებს პასუხი კითხვაზე: რა სასარგებლო ელემენტების ამოკრეფა შეიძლება რაოდენობრივი თეორიის მონინაალმდევე დოქტრინებიდან? რადგან მიწოდებაში ცვლილების გავლენის აღიარება გაცვლითი კურსის წარმოქმნაზე არაპირდაპირი გაცვლის შემთხვევაშიც ისევე მიუღებელი იყო, როგორც პირდაპირი გაცვლის შემთხვევაში, რაოდენობრივი თეორიის უარყოფა შესაძლებელია მხოლოდ მის ზოგად ჭეშმარიტებაზე დათანხმებით, და შენიშვნით, რომ ამ თეორიის ზოგადი ჭეშმარიტების მიუხედავად, რომელიც სხვა პრინციპი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გააბათილებს თეორიის ეფექტურობას. ასეთი მცდელობა განახორციელა საბანკო სკოლამ, რომელმაც სახელი გაითქვა დანაზოგების თეორიითა და მისი დანამატით, ეგრეთ წოდებული „ფულის

¹⁵ ბენჯამინ ანდერსონი (1886-1949) - ამერიკელი ეკონომისტი, აესტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი. ლუდვიგ ფონ მიზესის მას უზარმაზარ პატივს სცემდა და ამბობდა, რომ „თავის მორალური პრინციპებით ანდერსონი იყო გამორჩეული ფიგურა მედროვეთა აღზევების ეპოქაში“. იხ. Ludwig von Mises, *Benjamin M. Anderson Challenges the Philosophy of the Pseudo-progressives*, კრებულიდან *Planning for Freedom: Let the Market System Work. A Collection of Essays and Addresses* [1952]

¹⁶ Benjamin Anderson, *The Value of Money* (New York: Macmillan, 1917).

შემცვლელების მიმოქცევის ფართოდ გაგებულ ფულზე არსებულ მოთხოვნაზე ავტომატური მორგების თეორიით". დღეს ორივე ეს თეორია უარყოფილია.

ისევე როგორც ბევრ სხვა თეორიას, რაოდენობრივ თეორიასაც საკუთარმა დამცველებმა მეტი ზიანი მიაყენეს, ვიდრე მონიანალმდეგებმა. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმ არასწორ ინტერპრეტაციებზე, რომლებიც ფულის მიმოქცევის სიჩქარის ცნებას უკავშირდება. არანაკლებ მცდარია რაოდენობრივი თეორიის სხვაგვარი გაგებაც, რომ თითქოს ფულის მასის ცვლილება იწვევდეს საქონლის ფასების პირდაპირპროპორციულ ცვლილებას. ასეთი ინტერპრეტაცია არ ითვალისწინებს ფაქტს, რომ ფულის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის თანაფარდობის ნებისმიერ ცვლილებას აუცილებლად მოჰყვება ქონებისა და შემოსავლის გადანაწილება. სწორედ ამ მიზეზით პროპორციულად და ერთდროულად ვერ შეიცვლება სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების ფასები.

საბაზრო ფაქტორების გაგენის ანალიზის ნაცვლად მექანიკიდან გადმოღებული ფორმულებით მანიპულირებამ ყველაზე დიდი ზიანი სწორედ ამ შემთხვევაში მოიტანა. ეკონომისტები იყენებდნენ გაცვლის განტოლებას, მაგრამ არ ითვალისწინებდნენ ფულის რაოდენობისა და ფულზე მოთხოვნის ცვლილების ბუნებას: პირველ ეტაპზე იცვლება ეკონომიკური პროცესების მხოლოდ რამდენიმე მონაწილის შეფასებები და, შესაბამისად, მოქმედება, რის გამოც ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის ცვლილება ეკონომიკაში ნაბიჯ-ნაბიჯ ვრცელდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულის ღირებულების ცვლილების საკითხის განხილვა ხდებოდა „სახელმწიფო ჩარევების მხარდამჭერების" მეთოდით, მაშინ როდესაც საკითხის დინამიურ ბუნებაში ეჭვის შეტანის მიზეზი არასოდეს ყოფილა.

IV. ფულის შემცვლელები

ფულის შემცვლელების საკითხი მონეტარული თეორიის ყველაზე რთული და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ფულის მიწოდებისა და მასზე მოთხოვნის აღწერის მცდელობისას მონეტარული თეორიის სპეციალისტებს მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის ის ფაქტი, რომ ფული შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნისთანავე განაღდებადი ვალდებულებებით, რომლებიც ფულითაა გამყარებული. ამ სირთულეების დასაძლევად აუცილებელია ფულის შემცვლელების მკაფიო განმარტება და მათი დახარისხება ფულის სერტიფიკატებად (ნიშნებად) და ფიდუციალური გაცვლის საშუალებებად (თამასუქებად), რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ შევაფასოთ თუ რა განსხვავებაა ფიდუციალური გაცვლის საშუალებებით გაცემულ კრედიტებსა და კრედიტის ყველა სხვა ფორმებს შორის.

სესხები, რომლებიც არ გულისხმობს ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოშვებას (ანუ ისეთი ბანკოტებისა და ანაბრების გამოშვებას, რომლებიც ფულით არ არის გამყარებული) ფულის მასაზე გავლენას არ ახდენენ. ფულზე არსებულ მოთხოვნაზე სესხებმა შეიძლება ისეთივე გავლენა იქონიოს, როგორც სხვა ნებისმიერმა ეკონომიკურმა პროცესმა. კონკრეტული შემთხვევის დეტალების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ გავლენის მიმართულების გამოცნობა. არასწორია გავრცელებული მოსაზრება, რომ კრედიტის გაზრდას აუცილებლად მოჰყვება ფულზე მოთხოვნის შემცირება. მაგალითად, თუ საკრედიტო კონტრაქტების უმეტესობა ითვალისწინებს სესხის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნებას ერთიდაიგივე დღეს (მაგალითად, კვარტალის ან თვის ბოლოს), მაშინ ფულზე მოთხოვნა კი არ შემცირდება, არამედ გაიზრდება. ფულზე მოთხოვნის ეს ზრდა აისახებოდა ფასების ცვლილებაში, რომ არა ერთი მხრივ საკლირინგო ოპერაციები და, მეორე მხრივ, ბანკების მიერ კრიტიკულ დღეებში ფიდუციალური ფულის მასის ზრდის ტრადიცია. ამ გაუგებრობე-

ბის დასაძლევად აუცილებელია ფულისა და ფულის შემცველების ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯვნა, ხოლო თავად ფულის შემცველებს შორის კი უნდა გაიმიჯნოს ფულადი სერთიფიკატები და ფიდუციარული გაცვლის საშუალებები. ეს პირველ რიგში ტერმინოლოგიის მონესრიგების საკითხია. მაგრამ სწორი ტერმინოლოგია დამატებით მნიშვნელობას იძენს საკითხის სირთულისა და კომპლექსურობის გამო. ფასების, ხელფასებისა და სარგებლების რყევას, რის ახსნასაც საბანკო თეორია ცდილობს, იწვევს არა „კრედიტის გაცემა“ – როგორც დღემდე ამტკიცებენ – არამედ გაცვლის ფიდუციარული საშუალებები. ამიტომ აზრს მოკლებული არ იქნებოდა, საბანკო თეორიისთვის გვეწოდებინა თეორია გაცვლის ფიდუციარული საშუალებების შესახებ.

V. ეკონომიკური გათვლები და „ღირებულების მუდმივობის“ პრობლემა

ფასისა და ღირებულების გასაზომად ფულის გამოყენების უძველესი და ფართოდ გავრცელებული ტრადიცია თანამედროვე თეორიასთან შეუთავსებელია. მაგრამ სუბიექტური თეორიის არცთუ უმნიშვნელო შეცდომა იყო ფულის როლის არასაკმარისი ასახვა ეკონომიკურ გათვლებში, და საერთოდ, ეკონომიკური გათვლის საკითხისთვის არასაკმარისი ყურადღების მიქცევა.

ტრადიციულად, თეორიული ეკონომიკა ერთმანეთისაგან განსხვავებულად განიხილავდა გაცვლას დამხმარე საშუალებების¹⁷ გამოყენებით (არაპირდაპირი) და დამხმარე ინსტრუმენტების გარეშე (პირდაპირი). კატალაქტიკაში მიღებული ეს დაყოფა აუცილებელია და მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რამდენადმე გამოსადეგი შედეგების მიღება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური საქონლის ერთმანეთში გაცვლა ფართოდ გამოყენებადი გაცვლის საშუალების შუამავლობის გარეშე შესაძლებელია, თუ გაცვლაში მონაწილეობს მხოლოდ სამომხმარებლო საქონელი და დაბალი რანგის სამრეწველო საქონელი, ანუ სამომხმარებლოსთან ყველაზე ახლოს მდგარი სამრეწველო საქონელი. სამომხმარებლო საქონლისა და მასთან ახლოს მდგომი, მონათესავე სამრეწველო საქონლის პირდაპირი გაცვლა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია; ასეთ გაცვლას ადგილი წარსულშიც უქონდა და დღესაც აქვს. მაგრამ უფრო მაღალი რანგის საქონლის გაცვლას ესაჭიროება ფულის გამოყენება. ფულის იდეის გარეშე ვერ გავიზრებთ ბაზარს, როგორც მოთხოვნისა და მიწოდების ელემენტების კოორდინაციის წყაროს, არადა ბაზრის ცნება ფუნდამენტურია თანამედროვე თეორიისთვის. მხოლოდ ფულის გამოყენებით ხდება შესაძლებელი საქონლის ზღვრული სარგებლიანობის შედარება ამ საქონლის ყველა შესაძლო გამოყენების შესაძლებლობასთან. მხოლოდ ფულის გამოყენებით შეგიძლია გარკვევით შევადაროთ ერთმანეთს დღევანდელი საქონლის ღირებულება მომავალი საქონლისას. მხოლოდ ფულად ეკონომიკაშია შესაძლებელი ღირებულების ეს სხვაობა გავიზროთ აბსტრაქტულად და გამოვყოთ ცალკეული საქონლის ღირებულებების რყევებისგან. ბარტერულ ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთის ცნებას ვერ განვაცალკევებთ ცალკეული საქონლის ღირებულებების მომავალი რყევებისაგან. ფართოდ გამოყენებადი გაცვლის საშუალების გარეშე მაღალგანვითარებული საბაზრო სისტემის არსებობის

¹⁷ გაცვლის დამხმარე საშუალები ქვეშ ფული იგულისხმება. ერთი საგნის მეორეზე პირდაპირ, ბარტერული წესით გაცვლის ნაცვლად ჯერ პირველი საგანი გაიცვლება ფულზე, ხოლო შემდეგ ფული გაიცვლება მეორე საგანზე.

დაშვება ემსგავსება ფანტასტიკური ჟანრის ქმნილებას, როგორცაა ვაიჰინგერის «თითქოს» თეორია¹⁸.

აქ არ განვიხილავთ მონეტარული გათვლების მნიშვნელობას რაციონალური ქმედებისათვის და სოციალური თანამშრომლობისათვის; ეს სოციოლოგიის ამოცანა უფროა, ვიდრე კატალაქტიკის. მონეტარული თეორია იმ შემთხვევაშიც საკმაოდ ფართო თეორიაა, როდესაც მხოლოდ თავის უშუალო ინტერესთა საკითხების ამომწურავი კვლევით შემოიფარგლება.

ეკონომიკურ საქონელს შორის ფულის პირველხარისხოვანი როლი დამკვიდრდა ფულადი სახით დათვლის ტრადიციის შედეგად, ყველა სხვა ეკონომიკური საქონლის ფასის შესაბამისი რაოდენობის ფულად გამოხატვის შედეგად და ეკონომიკური გადანყვეტილებების საფუძვლად ცალსახად ფულადი ერთეულის ღირებულებაზე დაყრდნობით. ამ ტრადიციის ერთი შედეგი გახლავთ კონტრასტი ფულა და საქონელს შორის, როგორც ამას ვხედავთ ფრაზაში «ცხოვრება გაძვირდა», და კიდევ უფრო ნათლად – მერკანტილიზმის თეორიაში. მაგრამ ფულის პირველხარისხოვანი როლის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგი გახლავთ ფულის «მუდმივობის» იდეის გაჩენა, რომელიც გაურკვეველობისა და გულბრყვილობის მიუხედავად, განუწყვეტილად გავლენას ახდენს მონეტარულ პოლიტიკაზე.

როგორც კი გაირკვა, რომ თურმე ფულს არ აქვს «მუდმივი ღირებულება», გაჩნდა პოლიტიკური მოთხოვნა, რომ ფულს უნდა მივანიჭოთ მუდმივი ღირებულება, ან შეძლებისდაგვარად მაინც მიუვახლოვოთ ამ იდეალთან. ოქროს სტანდარტის და ბიმეტალური სტანდარტის მომხრეები მუდმივად იკვებინდნენ, რომ მათი მონეტარული სისტემა იძლევა ფულის ღირებულების მუდმივობის საუკეთესო გარანტიას. არსებობს მონეტარული მონყობის მრავალი შემოთავაზება, სადაც ფულის მსყიდველობით უნარის მაქსიმალური მუდმივობა მიჩნეულია მონეტარული პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად. ერთი ასეთი შემოთავაზება გრძელვადიანი კონტრაქტებისთვის კეთილმოზილი ლითონის ფულის პარალელურად სასაქონლო ფულის შექმნას გულისხმობს (ცხრილური სტანდარტი¹⁹). ირვინ ფიშერი²⁰ და ჯონ მეინარდ კეინზი²¹ უფრო ნინ მიდიან და გვთავაზობენ ინდექსებზე დაფუძნებულ «მართვად ფულს».

«მუდმივი ღირებულების» ცნებისა და მასზე დაფუძნებული მონეტარული პოლიტიკის შინაგანი შეუთანხმებლობის ჩვენება არ არის აუცილებელი²². ყოველდღიურ ცხოვრებაში დაზოგვით დაინტერესებული სუბიექტების ღირებულებების შეფასებასთან დაკავშირებული მოქმედებები, როგორც წესი, შემოიფარგლება დროის მოკლე მონაკვეთებით – თუ დროებით დავივიწყებთ გრძელვადიან სესხებს, რომელთაც დეტალურად მოგვიანებით განვიხილავთ. მეწარმის ეკონომიკური გათვლები არ სცდება მომდევნო თვეებსა და რამდე-

¹⁸ პანს ვაიჰინგერი (1852-1933) - გერმანიელი ფილოსოფოსი. იგი ამტკიცებდა, რომ «მოსაზრება, რომლის თეორიული მცდარობა ცნობილია, ამ მიზეზის გამო არ არის განსაკუთრებულად უფასური და გამოუსადეგარი; რადგან მოსაზრებას, მისი თეორიული ნულოვნების მიუხედავად, შეიძლება აღმოაჩინდეს უზარმაზარი პრაქტიკული ღირებულება». იხ. *The Philosophy of "As If"*, C. K. Odgen, თარგმანი. (New York: Harcourt, Brace, 1935), გვ. VII

¹⁹ მიზესი ახსენებს ცხრილურ სტანდარტს, რადგან ცხრილურ სტანდარტს აქვს მსგავსება შემოთავაზებულ სტანდარტთან. ცხრილური სტანდარტი არ გულისხმობს ახალი ფულის შექმნას, მხოლოდ გრძელვადიანი სესხების დაბრუნებისას სესხის ძირის გადათვალის ინდექსის (ცხრილის) გამოყენებით.

²⁰ Irving Fisher, *Stabilizing the Dollar* (New York: Macmillan, 1925), გვ. 79.

²¹ John Maynard Keynes, *A Tract on Monetary Reform* (London: Macmillan, 1923), გვ. 177.

²² Ludwig von Mises, *Monetary Stabilization and Cyclical Policy* (1928), კრებულში *On the Manipulation of Money and Credit*, Percy L. Greaves, Jr., ed. (Dobbs Ferry, N. Y.: Free Market Books, 1978), გვ. 83-103.

ნიმე წელიწადს. მხოლოდ უახლოესი მომავლის პროგნოზირებაა შესაძლებელი ეკონომიკურ გათვლებში გასათვალისწინებლად. შეუძლებელი იქნებოდა უფრო შორეულ მომავალში ეკონომიკური სიტუაციის გამოცნობა საიმედოობის მისაღები ხარისხით, რომ აღარაფერი ვთქვათ თვითონ ფულის მსყიდველობითი უნარის ცვლილებით გამოწვეულ სირთულეებზე.

მსყიდველობითი უნარის „მუდმივად“ შენახვისკენ ლტოლვა ბაზრის ჭირვეულობებისგან ქონებისა და შემოსავლის დაცვის მცდელობასთან ერთად გაჩნდა. ამ ლტოლვის მიზანი ქონებისა და შემოსავლის „სამუდამო“ შენარჩუნება იყო. აგრარული აზროვნებისთვის მსყიდველობითი უნარის შესანახად საუკეთესო ინსტრუმენტია მინა წარმოადგენდა. მინა ყოველთვის მინად დარჩება და მისი მოწეული მოსავალი ყოველთვის სასურველი იქნება; ასე რომ, მინათმფლობელობა ქონების ისეთ ფორმად ითვლებოდა, რომელსაც თან ახლდა მუდმივი შემოსავალი. დღეს, სოფლის მეურნეების კაპიტალისტური მოწყობის პირობებში, ადვილია ამ მოსაზრების გაბათილება. ფერმერმა, რომელიც საკუთარი მოხმარების ყველა საგანს თვითონვე აწარმოებს, შესაძლოა მოახერხოს საკუთარი თავის „სამუდამო“ იზოლირება გარშემო მიმდინარე ცვლილებებისაგან. მაგრამ ბიზნესისთვის, რომელიც ოპერირებს შრომის ექსტენსიურ დანაწილებაზე დაფუძნებულ საზოგადოებაზე, ყველაფერი სხვაგვარად არის. წარმოების საშუალები და მუშახელი გამოიყენება მინის მხოლოდ საუკეთესო ნაკვეთებისთვის. დაბალხარისხიან მინაზე მოსავლის მოყვანას არ მოაქვს არანაირი დადებითი რიცხვით გამოხატული შედეგი. ასე რომ, მინის ნაკვეთების ღირებულებაც შესაძლოა მკვეთრად დაეცეს ან საერთოდ დაკარგოს იგი, თუ დიდი რაოდენობით მინის უკეთესი ნაკვეთები ხელმისაწვდომი გახდება.

ადვილად მოხდა აზროვნების ამ სიღლის გადატანა მინის ნაკვეთიდან მინით გამაგრებულ თამასუქებზე. მოგვიანებით ამ გამაგრებულ თამასუქებს მიემატა „სახელმწიფო“ თამასუქები და საჯარო სამართლის სხვა წარმონაქმნები. ითვლებოდა, რომ სახელმწიფო მუდმივად იარსებებდა და ვალის დაბრუნების სახელმწიფო პირობა შეუვალი ნდობით სარგებლობდა. შედეგად სახელმწიფო ფასიანი ქალაქები გადაიქცა ქონებისა და შემოსავლის გაურკვეველობისაგან დაცვისა და „უსასრულობაში“ გაგრძელების ახალ ინსტრუმენტად. არ არის საჭირო ამ იდეის მცდარობას მეტი სიტყვა დავახარჯოთ. საკმარისია შევნიშნოთ, რომ სახელმწიფოებიც არღვევენ სასესხო ვალდებულებებს და ზოგჯერ შეიძლება საერთოდ წარმავალნიც აღმოჩნდნენ.

გავრცელებული მოსაზრების სანინალმდეგოდ, კაპიტალისტურ წყობილებაში არ არსებობს ქონება, რომელსაც ავტომატურად მოაქვს შემოსავალი. იმისათვის, რომ ქონებამ წარმოების გზით შემოსავალი მოიტანოს, ქონება ან გამოყენებული უნდა იყოს წარმატებულ წამოწყებაში, ან ქირით უნდა გადაეცეს იმედის მომცემ მენარმეს. მაგრამ მენარმის წარმატება არასოდეს არ არის „გარანტირებული“. ფირმამ შეიძლება იზარალოს და ჩადებული კაპიტალი, ნაწილობრივ ან მთლიანად გაქრეს. მენარმეს, რომელიც იჯარით გასცემს ქონებას მენარმეებზე, ნაკლებად ემუქრება ქონების დაკარგვის საფრთხე; მაგრამ ისიც არ არის ბოლომდე დაცული საშიშროებისაგან, რომ მოიჯარემ ველარ დაუბრუნოს ნასესხები კაპიტალი ზედმეტად დიდი დანაკარგების გამო. ამრიგად, კაპიტალის ფლობა არის არა ავტომატური შემოსავლის წყარო, არამედ საშუალება რომლის წარმატებულ გამოყენებას შეუძლია შემოსავლის მოტანა. კაპიტალის მფლობელობისგან მოგების მისაღებად საჭიროა მისი სარგებლიანად დაბანდების უნარი. ვისაც ეს უნარი არ გააჩნია, საკუთარი კაპიტალიდან მოგების იმედი კი არა, ამ კაპიტალის დაკარგვის შიში უნდა ჰქონდეს.

ამ გაურკვეველობის შედეგებისდაგვარად შესამსუბუქებლად კაპიტალისტები ყიდულობენ მინას, სახელმწიფო ობლიგაციებს და იპოთეკურ ფასიან ქალაქებს. მაგრამ ამ დროს ფულის ღირებულების რყევა ახალ თავსატეხს უჩენთ. მოკლევადიანი კრედიტის შემთხვე-

ვაში, ფულის მსყიდველობითი უნარის ცვლილების გავლენას თამასუქის ღირებულებაზე გააბათილებს, ან შეამცირებს მაინც საქონლის ფასების რყევებთან ერთად მოკლევადიან სესხებზე სარგებლების შესაბამისი რყევა. მაგრამ გრძელვადიანი სესხების შემთხვევაში ასეთ დაბალანსებას ადგილი არ აქვს.

„მუდმივი ღირებულების“ ფულისკენ სწრაფვის საბოლოო მიზანია ისეთი ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც კაპიტალის მფლობელობას დროებითის ნაცვლად მუდმივს გახდიდა. მაგრამ ღირებულების მუდმივობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკურ სისტემაში ყოველგვარი მოძრაობისა და ცვლილებების ჩახშობით. მხოლოდ ფულსა და საქონლის საშუალო ფასს შორის მუდმივი კავშირის დამყარება არ იქნება საკმარისი; საჭირო გახდება ყველა საქონელს შორის ურთიერთგაცვლის კურსის დაფიქსირება.

თუ მონეტარული პოლიტიკა თავს შეიკავებს ნაბიჯებისაგან, რომლებიც საქონლის ფულზე გაცვლის კურსების ძლიერ რყევას გამოიწვევს და რომლის მიზეზი „ფულის მხარეს“ იქნება; თუ ის აიჩრევს სასაქონლო ფულს, რომელსაც არ ახასიათებს ღირებულების უეცარი რყევები გამომდინარე ამ ფულის მარაგის პრობლემებიდან თუ მასზე სანარმოო ან სხვა არამონეტარული მოთხოვნებიდან; თუ ის დაურეზერვებელი ფულადი ინსტრუმენტების გამოშვებისას ზომიერებას დაიცავს – მაშინ მას მიღებული ექნება ყველა შესაძლო ზომა ფულის ღირებულების რყევისგან დამდგარი ზიანის შესამსუბუქებლად. მონეტარული პოლიტიკა მიუწვდომელი მიზნისაკენ სწრაფვის ნაცვლად რომ ამ ამოცანებით შემოიფარგლებოდეს, ის გაცილებით მეტად შეუწყობდა ხელს ბოროტებად შერაცხული პრობლემების ამოძირკვას. ვისაც ჭეშმარიტად ესმის „სტატიკური სახელმწიფოს“ თეორიული ცნების შინაარსი და შედეგები, მიხვდება, რომ ამ ცნების ეკონომიკური თეორიის სამყაროდან რეალურ სამყაროში გადმოტანა შეუძლებელია.

ლუდვიგ ფონ მიზესი

ფულის არანეიტრალურობა¹

თარგმნა ხათუნა ახობაძემ

მეთექვსმეტე და მიჩვიდმეტე საუკუნის მონეტარისტმა ეკონომისტებმა წარმატებას მიაღწიეს იმდროინდელი პოპულარული ილუზიის გაქარწყლებაში, რომელიც ეხებოდა ფულის შესაძლო სტაბილურობას. ძველი შეცდომა მართალია გაქრა, მაგრამ მის ადგილას ახალი წარმოიქმნა, კერძოდ კი ფულის ნეიტრალურობის ილუზია.

კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებმა თავისთავად ყველაფერი გააკეთეს ამ შეცდომების გამოსასწორებლად. დევიდ იუმი², ბრიტანული პოლიტიკური ეკონომიის სკოლის ფუძემდებელი და ჯონ სტიუარტ მილი³, კლასიკური ეკონომიკური სკოლის უკანასკნელი წარმომადგენელი, ორივე საკმაოდ წარმატებულად ებრძოდა ამ პრობლემას⁴. აქვე არ უნდა დავივიწყოთ კერნსი⁵, რომელმაც თავის ნაშრომში გაუფასურების შესახებ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში რეალისტური ხედვა შემოგვთავაზა⁶.

უფრო უკეთ გასაგებად გადადგმული ამ პირველი ნაბიჯების მიუხედავად, თანამედროვე ეკონომისტებმა ფულის ნეიტრალურობის ილუზია თავიანთ სისტემებში დაამკვიდრეს.

თანამედროვე ზღვრული სარგებლიანობის ეკონომიკა ბარტერული გაცვლის ანალიზით იწყება. საქონლის გაცვლის და საბაზრო ოპერაციების მექანიზმი განიხილავს ვარაუდს, რომ მხოლოდ პირდაპირი გაცვლა არის მთავარი. ეკონომისტები აღწერენ წმინდა ჰიპოთეტურ ობიექტს, ბაზარს არაპირდაპირი გაცვლის გარეშე, აგრეთვე გაცვლის საშუალებებისა და ფულის გარეშე. ეჭვგარეშეა, ეს მეთოდი ერთადერთი შესაძლო მეთოდია, რომ ფულის გაქრობა აუცილებელია და რომ ჩვენ არ შეგვიძლია გვერთი ავუაროთ ბაზრის, როგორც მხოლოდ პირდაპირი გაცვლის ამ კონცეფციას. მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს რომ ეს არის მხოლოდ ჰიპოთეტური იდეა, რომელსაც რეალობაში ანალიზი არ აქვს. რეალური ბაზარი აუცილებლად გულისხმობს არაპირდაპირ გაცვლას და ფულად ოპერაციებს.

ფულის გარეშე ბაზრის არსებობის ასეთი დაშვებიდან გამომდინარეობს სწორედაც ფულის ნეიტრალურობის მცდარი მოსაზრება. ეკონომისტებს იმდენად მოეწონათ ამ ჰიპოთეტური კონცეფციის მექანიზმი, რომ მათ გადაჭარბებით შეაფასეს მისი გამოყენების საზღვრები. მათ დაიჯერეს, რომ კატალაქტიციზმის პრობლემების გაანალიზება ამ მცდარი შეხედულებით შეიძლებოდა. ამ მოსაზრების თანახმად, მათ ჩათვალეს, რომ ეკონომიკური

¹ ნაშრომი "ფულის არანეიტრალურობა" ("The Non-Neutrality of Money") ლექციის სახით იქნა წაკითხული 1938 წელს პარიზში და განმეორებით - 1945 წელს ნიუ-იორკის ეკონომისტთა კლუბში. პირველად გამოქვეყნდა 1982 წელს, კრებულში "ფული, მეთოდი, და საბაზრო პროცესი".

² დევიდ იუმი (1711-1776), შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ეკონომისტი, განსაკუთრებით ცნობილია თავისი ფილოსოფიური ემპირიზმით და სკეპტიციზმით.

³ ჯონ სტიუარტ მილი (John Stuart Mill, 1806-1873) - ბრიტანელი ფილოსოფოსი. მნიშვნელოვანია მისი ნელილი სოციალურ თეორიაში, პოლიტიკურ თეორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში. მისი თავისუფლების კონცეფცია მხარს უჭერდა პიროვნების თავისუფლებას და ეწინააღმდეგებოდა შეუზღუდავ სახელმწიფო კონტროლს.

⁴ David Hume, "On Money," in Writings on Economics, Eugene Rotwein, ed. (University of Wisconsin Press, Madison, 1970), გვ. 33-46; John Stuart Mill, Principles of Political Economy, Sir William Ashley, ed. (1909), ნიგნი 3, თავი 8.

⁵ ჯონ ელიოტ კერნსი (1823 - 1875) ირლანდიელი ეკონომისტი, კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი.

⁶ Hohn E. Cairnes, Essays in Political Economy (London: MacMillan, 1873), გვ. 1-65.

ანალიზის მთავარ საქმეს პირდაპირი გაცვლის შესწავლა წარმოადგენდა. ამის შემდეგ ყველაფერი რაც დარჩებოდა იყო ფულადი ფორმების ფორმულების სახით წარმოდგენა. მაგრამ ეს მათი აზრით მეორეხარისხოვანი იყო, რადგანაც, როგორც სწამდათ, ფულადი ფორმების შემოღება არსებით გავლენას არ ახდენდა მათ მიერ აღწერილი მექანიზმის ფუნქციონირებას. ბაზრის მექანიზმის ფუნქციონირებაზე წმინდა ბარტერის კონცეფციის თანახმად, მონეტარული ფაქტორები არ ახდენენ გავლენას.

ცხადია, ეკონომისტებმა იცოდნენ, რომ ფულსა და საქონელს შორის გაცვლითი თანაფარდობა ცვალებადია. მაგრამ სჯეროდათ და სწორედ ეს არის ფულის ნეიტრალურობის მცდარობის არსი, რომ მსყიდველობითი უნარიანობის ცვალებადობა ერთდროულად აისახებოდა მთელ ბაზარზე და ყველა საქონლის ერთნაირად შეეხებოდა. ამ თვალსაზრისის ყველაზე ამკარა გამოვლინება ტერმინის „დონუ“ მეტაფორული გამოყენება ფასებთან მიმართებაში. ფულის მიწოდებისა და მოთხოვნის ცვლილება, სხვა თანაბარ პირობებში, ერთდროულად ზრდის ან ამცირებს ყველა ფასს და ხელფასს. ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარი იცვლება, მაგრამ ერთეული საქონლის ფასებს შორის კავშირი არ იცვლება.

ას ნელზე მეტია, რაც ეკონომისტებმა მსოფლიოში, სადაც ცალკეული საქონლის ფასებს შორის თანაფარდობა მუდმივად იცვლება, მსყიდველობითუნარიანობის ცვლილების გასაზომად ინდექსების მეთოდი შეიმუშავეს. მაგრამ, ამასთან ერთად, მათ არ უარყვეს მოსაზრება, რომ ფულის მიწოდების ან მოთხოვნის ცვლილების შედეგები არის ფასების პროპორციული და ფასების ერთდროულად შეცვლას განაპირობებს. ინდექსების მეთოდი შემუშავებულ იქნა ფასების ცვლილებების იმ შედეგების ერთმანეთისგან განსხვავებისათვის, რომლებიც გამომდინარეობდა ერთეული საქონლის მოთხოვნიდან ან მიწოდებიდან და აგრეთვე, რომლებიც გამომდინარეობდა ფულის მოთხოვნიდან ან მიწოდებიდან.

ფულის ნეიტრალურობის მცდარი დასკვნა ე.წ. გაცვლის განტოლების ფორმულის შემუშავების ყველა მცდელობის საფუძველს წარმოადგენს. მსგავს განტოლებასთან მიმართებაში მათემატიკოსი ეკონომისტი უშვებს, რომ როცა განტოლებას ერთ-ერთი ელემენტი იცვლება, მას მოსდევს სხვა ელემენტების ცვლილებაც. განტოლების ეს ელემენტები არის არა ცალკეული ეკონომიკის, არამედ ეკონომიკის მთელი სისტემის ელემენტები და შესაბამისად, ცვლილებები ეხება არა ცალკეულს არამედ მთლიან ეკონომიკურ სისტემას.

გამომდინარე აქედან, ეკონომისტები დაუფიქრებლად იყენებენ მონეტარული პრობლემების გადასაჭრელად იმ მეთოდებს, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება თანამედროვე კატალაქტიკური მეთოდისგან. ისინი უბრუნდებიან განსჯის ძველ მეთოდს, რომლითაც ძველი ეკონომისტების ნაშრომები განწირულია წარუმატებლობისათვის. ძველ დროს ფილოსოფოსები იყენებდნენ უნივერსალურ ცნებებს, როგორცაა კაცობრიობა და სხვა მსგავსი ცნებები. ისინი სვამდნენ კითხვას, თუ რა არის ოქროს ან რკინის ლირებულება და თავადვე პასუხობდნენ, რომ ეს არის საერთო ლირებულება, ყველა დროს და ყველა ადამიანისთვის. კითხვაზე, თუ რა არის ზოგადად ოქრო და რკინა, ასევე პასუხობდნენ, რომ ეს არის ოქროს და რკინის როგორც შესაძლო მარაგები, ასევე ის, რაც ჯერ არ მოუპოვებიათ. ასეთი მსჯელობით ისინი ხვდებოდნენ გარკვეულ წინააღმდეგობებს, რომელთა გადანყვევაც არ შეეძლოთ.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის წარმატებები უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ჩვენ ვისწავლეთ სხვა გზით სიარული და გავაცნობიერეთ, რომ ბაზარზე მოქმედ ინდივიდებს არასოდეს უნევთ არჩევანი ყველა არსებულ ოქროსა და ყველა არსებულ რკინას შორის. ისინი არ წყვეტენ, კაცობრიობისთვის ოქრო უფრო მნიშვნელოვანია თუ რკინა, მაგრამ მათ უნევთ არჩევანის გაკეთება ორ შეზღუდულ რაოდენობას შორის, რომელთა ერთდროულად ქონა არ შეუძლიათ. ამ ორი ალტერნატივიდან ისინი ირჩევენ გადანყვევების მიღებისას და

არსებულ პირობებში ყველაზე ხელსაყრელს. სწორედ ინდივიდების მიერ მიღებული ეს არჩევანი წარმოადგენს ბაზარზე დამკვიდრებული ცაცელის თანაფარდობის ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზს. ყურადღება არჩევანის ამ ქმედებებს უნდა მიექცეს და არა მეტაფიზიკურ, წმინდა აკადემიურ და უფრო მეტიც, არაფრისმომცემ შეკითხვას, თუ რომელი საქონელი უფრო გამოსადეგია ტრანსცენდენტური თვალსაზრისით.

მონეტარული პრობლემები ეკონომიკური პრობლემებია და ისინი სხვა ეკონომიკური პრობლემების მსგავსად გადაიჭრება. მონეტარისტ ეკონომისტს არ უნევს ისეთ საყოველთაო საკითხებთან შეხება, როგორიცაა ვაჭრობის მოცულობა ვაჭრობის მთლიანი მოცულობის მნიშვნელობით ან ფულის რაოდენობა მთლიან ეკონომიკურ სისტემაში არსებული ფულის მნიშვნელობით. მან იცის, რომ ისეთი ბუნდოვანი მეტაფორის გამოყენებას, როგორიცაა „ფულის მიმოქცევის სიჩქარე“ ნაკლები სარგებლობა მოაქვს. ადვილი მისახვედრია, რომ ფულზე მოთხოვნას განაპირობებს ბაზარზე ინდივიდების არჩევანი. რადგანაც ყველას სურს გარკვეული რაოდენობის ფულის ქონა, ზოგს მეტის, ზოგსაც ნაკლების, ამიტომაც წარმოიქმნება ფულზე მოთხოვნა. ფული უბრალოდ არასდროს არ არის ეკონომიკურ სისტემაში, ფული უბრალოდ არ მომოქცევა. ხელმისაწვდომი ფული ყოველთვის ვიღაცის ხელშია. ფულის ყველა ერთეული ყოველდღე, ზოგჯერ ხშირად, ზოგჯერ უფრო იშვიათად, ერთი ადამიანის ხელდან მეორე ადამიანის ხელში გადადის. მაგრამ დროის ნებისმიერ მომენტში ის ვიღაცას ეკუთვნის. ინდივიდების გადაწყვეტილებები ფულის ოდენობასთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი ფლობენ, წარმოადგენს მსყიდველობით უნარის ჩამოყალიბების უმთავრეს ფაქტორს.

ნაღდი ფულის ფლობისათვის ფულის რაოდენობის და ფულზე მოთხოვნის ცვლილებები მთლიან ეკონომიკურ სისტემაში არ ხდება, თუ ისინი არ ხდება ინდივიდების შინამეურნეობებში. ეს ცვლილებები ინდივიდების შინამეურნეობებში, ყველა ინდივიდისთვის არ ხორციელდება ერთდროულად და ერთნაირად და შესაბამისად ისინი ერთდროულ და ერთნაირ გავლენას ვერ ახდენენ ინდივიდების გადაწყვეტილებებზე. ეს სწორედაც რომ იუმის და მილის დამსახურებაა, რადგანაც ისინი შეეცადნენ აეგოთ ჰიფოთეტური მოდელი, სადაც ფულის რაოდენობის ცვლილებას შეეძლო ყველა ინდივიდზე ისე ემოქმედა, რომ ყველა საქონლის ფასები ერთდროულად და ერთნაირი თანაფარდობით მოიმატებდა ან შემცირდებოდა. მათი მცდელობების მარცხმა ნეგატიურ მტკიცებამდე მიგვიყვანა, ხოლო თანამედროვე ეკონომისტებმა ამას დადებითი მტკიცება დაუმატეს იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა საქონლის ფასები ერთდროულად და ერთნაირად არ განიცდიან ზეგავლენას. ძველი რადენობრივი თეორიის და თანამედროვე მათემატიკური ეკონომისტების უმარტივესი ფორმულა, რომლის თანახმადაც ფასები, რომელიც გულისხმობს ყველა ფასს, იზრდება ან მცირდება ფულის რაოდენობის გაზრდის ან შემცირების პროპორციულად, უარყოფილია.

ანალიზის უფრო მარტივად და მოკლედ გადმოცემისთვის განვიხილოთ მხოლოდ ინფლაციის შემთხვევა. ფულის დამატებითი რაოდენობა მაშინვე არ ხვდება ყველა ინდივიდის ჯიბეში; თითოეული მათგანი არ იღებს ერთიადიგივე რაოდენობის თანხას და არც ერთნაირად რეაგირებენ ფულის ნამეტ რაოდენობაზე. მათ ვინც პირველმა მიიღო სარგებელი - ოქროს შემთხვევაში შახტების მეპატრონეები, ხოლო მთავრობის ქალაქადის ფულის შემთხვევაში მშენებელი და მწარმოებელი ფული აქვთ და შესაბამისად ბაზარზე მეტი ფულის დახარჯვა შეუძლიათ სასურველი საქონლის და მომსახურების მისაღებად. დამატებითი ფული, რომელსაც ისინი ბაზარს სთავაზობენ, იწვევს საქონელზე ფასების და ხელფასების ზრდას. მაგრამ ყველა ფასი და ხელფასი არ იზრდება, ხოლო ის, რომლებიც იზრდება, მათი ზრდის ტემპი განსხვავებულია. თუ დამატებითი ფულადი სახსრები დაიხარჯება სამხედრო მიზნებისათვის, მაშინ გარკვეულ საქონელზე ფასები და გარკვეული სამუშაო ძალის ხელფასები გაიზრდება, ხოლო დანარჩენი უცვლელი დარჩება ან შესაძლებელია

დროებით დაეცეს კიდევ. მათი დაცემა შეიძლება გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ ახლა ბაზარზე გაჩნდნენ ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომელთა შემოსავლები არ გაზრდილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი იძულებულნი არიან მეტი გადაიხადონ ზოგიერთ საქონელში, ძირითადად ისეთ საქონელში, რომლებზეც მოთხოვნა გაიზარდა იმათი მხრიდან, ვინც პირველმა მიიღო მეტი სარგებელი ინფლაციით. ამგვარად, ინფლაციით პროვოცირებული ფასთა ცვლილება თავდაპირველად ეხება მხოლოდ რამდენიმე საქონელს და მომსახურებას, და შემდგომ მეტ-ნაკლებად ნელა ვრცელდება ერთი ჯგუფიდან სხვა ჯგუფში. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ დამატებითი ფულადი სახსრები არ ამოუწურავს ფასთა ცვლილების მიმართ თავის შესაძლებლობებს. მაგრამ ამ პროცესის ბოლოსაც კი სხვადასხვა საქონელი ერთნაირად არ ექცევა გაყვების ქვეშ. პროგრესული გაუფასურების პროცესი ცვლის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფების შემოსავლებსა და დოვლათს. გამომდინარე იქიდან, რომ გაუფასურება ჯერ კიდევ გრძელდება, რომ დამატებითმა ფულადმა სახსრებმა ჯერ კიდევ სრულად არ ამოწურა თავისი შესაძლებლობები ზეგაყვანა მოახდინოს ფასებზე, რომ ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული ფასები, რომლებიც უცვლელი დარჩა ან ცვლილების პროცესშია, საზოგადოებაში იქნება გარკვეული ჯგუფები, რომლებმაც ამ პროცესით იხიერეს და ჯგუფები, რომლებმაც დანაკარები განიცადეს. მათ, ვის საქონელზე და მომსახურებაზე ფასები თავდაპირველად გაიზარდა, შეუძლიათ საკუთარი საქონელი თუ მომსახურება გაყიდონ გაზრდილ ფასებში და შეიძინონ სხვა, მათთვის სასურველი საქონელი ძველ, ჯერ კიდევ უცვლელ ფასებში. მეორეს მხრივ, ისინი, ვის საქონელსა და მომსახურებაზე ფასები უცვლელი დარჩა, თავიანთ საქონელს ძველ ფასად ყიდნიან, მაშინ როცა ყიდულობენ სხვა საქონელსა თუ მომსახურებას ახალ, უფრო ძვირ ფასად. პირველები ამ პროცესით გარკვეულ მოგებას იღებენ, ხოლო უკანასკნელნი კი აგებენ. ნაგებულთა ჯიბიდან ხორციელდება მოგებულთა ზედმეტი შემოსავლების ფორმირება. რამდენადაც ინფლაცია პროგრესულად ვითარდება, ადგილი აქვს ერთი სოციალური ჯგუფის შემოსავლების და სიმდიდრის მუდმივ მოძრაობას სხვა სოციალურ ჯგუფებში. როდესაც ინფლაცია შეეხება ყველა ფასს, სოციალურ ჯგუფებში სიმდიდრის გადანაწილებაც დამთავრდება. ამ ყველაფერის შედეგი არის ეკონომიკურ სისტემაში სიმდიდრის და შემოსავლების ახალი გადანაწილება და ამ ახალ ეკონომიკურ წესრიგში ინდივიდების მოთხოვნილებები უწინდელთან შედარებით განსხვავებული დონითაა დაკმაყოფილებული. ახალი წესრიგის ფასები უზარალოდ ვერ იქნება წინა ფასების ჯერადი.

ფულის მსყიდველობითუნარიანობის ცვლილების სოციალურ შედეგებს ორმხრივი ხასიათი აქვს: ერთის მხრივ, რადგანაც ფული არის სამომავლო გადახდის სტანდარტული საშუალება, კრედიტორებს და დებიტორებს შორის ურთიერთობები იცვლება. მეორე მხრივ, რადგანაც მსყიდველობითუნარიანობის ცვლილება ერთდროულად და ერთნაირად არ აისახება ყველა ფასზე და ხელფასზე, ადგილი აქვს განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს შორის სიმდიდრის და შემოსავლების გადანაცვლებას. მსყიდველობითუნარიანობის დაბალანსების მომხრეთა უმთავრესი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ ისინი არ ითვალისწინებდნენ ამ მეორე ფაქტორის შედეგებს. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში ეკონომიკური თეორია საკმარის ყურადღებას არ აქცევდა ამ ფაქტორს და მასზე მხოლოდ მინიმუმით შემოიფარგლებოდა, კერძოდ თუ რა გავლენას მოახდენდა საგადამხდელო საშუალების ცვლილება საგარეო ვაჭრობაზე. მაგრამ ეს პრობლემის მხოლოდ სპეციალური განაცხადია, რომელსაც ბევრად უფრო ფართო არეალი გააჩნია.

ეკონომიკური თეორიისათვის ფუნდამენტალურია ის ფაქტი, რომ ფულის რაოდენობის ცვლილებასა და ფასებს შორის არ არსებობს მუდმივი კავშირი. ფულის რაოდენობის ცვლი-

ლება განსხვავებულ გავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფასებსა და ხელფასებზე. ტერმინ ფასების საერთო დონის მეტაფორულ გამოყენებას შეცდომაში შეყვავიან.

ამის საპირისპიროდ, მცდარი აზრი ეფუძნებოდა შემდეგ განსჯას: მაგალითისთვის განვიხილოთ ორი ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი სტატიკური წონასწორობის სისტემა A და B. ორივე ყველა ასპექტში ერთმანეთის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ A-ში ფულის საერთო რაოდენობა ტოლია M-ის და ყოველი ინდივიდი ფულადი სასხრები - m-ის, მაშინ როცა B-ში შესაბამისად Mn და mn-ის. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ B-ში ყველა ფასები და ხელფასები n-ჯერ მეტია ვიდრე A-ში. მაგრამ ეს სწორედ ასეა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენი ჰიპოთეტური დაშვებაა. მაგრამ არავის არ შეუძლია შემოგვთავაზოს გზა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია A-ს ტრანსფორმაცია B-დ. ცხადია, თუ გვსურს დინამიურ პრობლემასთან მიახლოება, დაუშვებელია სტატიკური წონასწორობით მოქმედება.

გვერდზე რომ გადავდოთ ყველა ეჭვი დინამიური და სტატიკური ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებით, მსურს ვთქვა, რომ ფული აუცილებლად წარმოადგენს დინამიურ აგენტს და დიდი შეცდომაა მონეტარული პრობლემებთან სტატიკური გზით მიდგომა.

რა თქმა უნდა, სტატიკური წონასწორობის კონცეფციაში ფულს ადგილი არ აქვს. სტატიკური საზოგადოების კონცეფციის ფორმირებისას, ვუშვებთ, რომ რაიმე სახის ცვლილებები არ ხდება. ყველაფერი ძველებურად, უცვლელად მიმდინარეობს. დღევანდელი დღე გავს გუშინდელს, ხოლო ხვალინდელი დღე დღევანდელის მსგავსი იქნება. მაგრამ ასეთ პირობებში ფულადი მარაგები არავის სჭირდება. ფულადი მარაგები მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როცა ინდივიდებმა არ იციან, გაურკვეველ მომავალში რა სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდნენ. თუ ყველამ იცის თუ როდის და რას იყიდის, მაშინ მას არ სჭირდება ფული ჯიბეში და შეუძლია მთელი თავისი ფულადი მარაგები ეროვნულ ბანკში განათავსოს, როგორც ვადიანი ანაბრები და საჭირო დროს საჭირო რაოდენობით გამოიტანოს. რადგანაც ყველა ასე მოიქცევა, ცენტრალურ ბანკს აღარ სჭირდება რეზერვები საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად. ცხადია, რომ ფულის ოდენობა, რასაც ის ყოველდღიურად უხდის მყიდველებს, ტოლია იმ ოდენობის, რასაც ის ყოველდღიურად ანაბრების სახით იღებს გამყიდველებისგან. თუ დავუშვებთ, რომ სტატიკური წონასწორობის სამყაროში, სანამ წონასწორობა დამყარდებოდა, არსებობდა მხოლოდ ლითონის ფული, მაგალითად, ოქრო, უნდა ვივარაუდოთ, რომ წონასწორობის პირობის თანმიმდევრული მიდგომის შემთხვევაში მოქალაქეები უფრო და უფრო მეტ ოქროს ინახავენ ბანკში, ხოლო თავად ბანკი, რომელსაც არ აქვს მისი ფლობის საჭიროება, ოქროს ყიდდა საიუველირო და სხვა სამრეწველო მოხმარებისათვის. წონასწორობის გაჩენისთანავე აღარ არსებობს ლითონის ფული და საერთოდ ფული, მისი ადგილი დაიკავა არაარსებითმა და არამატერიალურმა საკლირინგო სისტემამ, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ფული ჩვეულებრივი გაგებით. ის უფრო არის საბუღალტრო აღრიცხვის განუხორციელებელი და წარმოუდგენელი სისტემა, ფული მიმოქცევაში, ისეთი როგორიც უნდა იყოს იდეალური ფული ზოგიერთი ეკონომისტის აზრით. თუ შესაძლებელია რომ მას ვუნოდოთ ფული, მაშინ ის არის ნეიტრალური ფული. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ წონასწორობის მდგომარეობა ჰიპოთეზურია, არც მსგავსი დასკვნა მხოლოდ ჩვენი გონებრივი სამუშაოს ინსტრუმენტია. რადგანაც სოციალურ მეცნიერებებს არ ძალუბთ ექსპერიმენტების ჩატარება, ისინი მიმართავენ მსგავს საშუალებებს, თუმცა მათი გამოყენებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს. უნდა ვიცოდეთ რომ სტატიკური წონასწორობის მდგომარეობას რეალობაში ვერასდროს მივადნევთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ ჰიპოთეზურ სახელმწიფოში ინდივიდები არ აკეთებენ არჩევანს, არ მოქმედებენ და არ უწევთ გადაწყვეტილებების მიღება ალტერნატივების პირობებში. შესაბამისად ჰიპოთეზურ სახელმწიფოში ცხოვრებას აკლია მისი ფუნ-

დამენტური ელემენტი. ჰიპოთეზურ სახელმწიფოში, სადაც ადგილი არ აქვს მოქმედებას, ჩვენ თითქმის არ გვიანტირებს მოქმედების გამოწვევი მიზეზები, რომელსაც ყოველთვის ახლავს ცვლილება. მაგრამ სამყარო ცვლილებების გარეშე მკვდარი სამყაროა. ჩვენ კი მხოლოდ სიკვდილს არ ვეჯახებით, არამედ სიცოცხლეს, მოქმედებას და ცვლილებებს. რეალურ სამყაროში ადგილი არ აქვს ფულის ნეიტრალურობას.

ფული, რა თქმა უნდა, დინამიური ფაქტორია, და როგორც ასეთი, მისი განხილვა სტატიკური წინასწარობის თვალსაზრისით არ შეიძლება.

ახლა ნება მომეცით, მოკლედ ავლიწიშო მთავარი დასკვნებიდან ზოგიერთი, რომლებიც ფულის არანეიტრალურობის გაგებიდან გამომდინარეობს.

პირველ რიგში, უნდა გვესმოდეს, რომ ნეიტრალური ფულის მცდარ კონცეფციაზე უარის თქმა ანადგურებს რაოდენობრივი ეკონომიკის მხარდამჭერთა მთავარ საყრდენს. დიდი ხნის განმავლობაში ეკონომისტებს სჯეროდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლებელი იქნება ხარისხობრივი ეკონომიკის რაოდენობრივი ეკონომიკით ჩანაცვლება. ამ იმედებს აბათილებს ის ფაქტი, რომ ეკონომიკურ რაოდენობაში სიდიდეებს შორის არასდროს ვხვდებით მუდმივ თანაფარდობას. ჩვენ ვერასდროს შევადარებთ ეკონომისტის მიერ მიღებულ დასკვნებს მოთხოვნის და ფასების ურთიერთკავშირზე საბუნებისმეტყველო მეცნიერის ნაშრომთან, რომელიც თავის ლაბორატორიაში ექსპერიმენტების საშუალებით ადგენს მუდმივ ურთიერთკავშირს, მაგალითად, სხვადასხვა ნივთიერებების კუთრ წონას. ეკონომისტის მიერ დადგენილს მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს, თავის სტატისკურ კვლევებში იგი ისტორიკოსია და არა ექსპერიმენტატორი. პენრი შულცის⁷ უკანასკნელი ნაშრომი იყო ეკონომიკის ისტორია; მისი კვლევიდან ვგებულობთ, თუ რა მოუვიდა წარსულის გარკვეულ პერიოდში ზოგიერთ საქონელს ამერიკასა და კანადაში. მაგრამ არაფერს არ გვეუბნება, თუ რა მოუვიდა იგივე საქონელს სხვაგან ან სხვა დროს, ან რა მოუვიდა მათ მომავალში.

მიუხედავად ამისა, ისევე რჩება რწმენა, რომ ფულითან დაკავშირებით ყველაფერი სხვანაირად არის. მაგალითისთვის, მოვახდენ პროფესორ ფიშერის წიგნიდან ციტირებას ფულის მსყიდველობითუნარიანობის შესახებ, რომელიც ეფუძნება მოსაზრებას, რომ მონეტარული ერთეულის მსყიდველობითუნარიანობა იცვლება ფულის რაოდენობის ცვლილების უკუპროპორციულად⁸. ჩემი აზრით, ეს ვარაუდი დაუსაბუთებელი და მცდარია.

მეორე დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიტანოთ, არის ყველა ძალისხმევის ამო მცდელობა, რათა ფული იყოს სტაბილურად მსყიდველობითუნარიანი. ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის უპირატესობების, აგრეთვე ინფლაციისა და დეფლაციის უარყოფითი მხარეების ახსნა ჩვენი საუბრის თემას სცილდება. მაგრამ ჯანსაღი ფულის პოლიტიკური კონცეფცია და სტაბილური ფულის თეორიული კონცეფცია ერთმანეთში არ უნდა აფუროთ. არ მსურს ამ სტაბილურობის კონცეფციის შიდა წინააღმდეგობების შესახებ საუბარი. ჩვენი თემის შინაარსიდან გამომდინარე, უფრო მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ სტაბილიზაციის ყველა შემოთავაზება, სხვა უარყოფით მხარეებთან ერთად, ეფუძნება ფულის ნეიტრალურობის იდეას. მათ მიერ შემოთავაზებული ყველა მეთოდის მიხედვით, თუ ადგილი ქონდა ინფლაციის მიერ მსყიდველობითი უნარის ცვლილებას მაშინ უნდა მოვხადინოთ იგივე დონის დეფლაცია და პირიქით. ისინი არ აცნობიერებენ, რომ ასეთი ქმედებით ვერ მოხდება პირველი ცვლილების შედეგად გამონეველი სოციალური შედეგების განეიტრალება, არამედ პირიქით, მას დაემატება ახალი ცვლილებით გამონეველი სოციალური შე-

⁷ თავის ტრაქტატში მოთხოვნის თეორია და გაზომვის მეთოდები (Chicago: University of Chicago Press, 1938), მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ციკლების თეორიას.

⁸ Irving Fisher, *The Purchasing Power of Money*, 2nd ed. (New York: Macmillan, 1920), გვ. 157. „შეუძლებელია გვერდი აუქციო დასკვნას, რომ ფულის რაოდენობის ცვლილება განაპირობებს ფასთა დონის პროპორციულ ცვლილებას“.

დეგები. თუ ადამიანს მანქანამ გადაურა მისი განკურნების საშუალება ნამდვილად არ არის, რომ იგივე მანქანამ საპირისპირო მიმართულებით გადაუაროს.

სტაბილიზაციის სქემების პოპულარულობა უფრო ფილოსოფიური განსჯის საგანია. ადამიანის გონების საერთო სისუსტეა ის ფაქტი, რომ დასვენების მდგომარეობა და ცვლილებების არარსებობა ბევრად უფრო მისაღებია ვიდრე მოძრაობის მდგომარეობა. სრულიად ნათელია, რომ მცდარი ფილოსოფიური სპეკულაციები ძველი აჩრდილივით ისევ ცოცხლობს ჩვენში; მისი თანამედროვე სახელწოდებაა სტაბილიზურობა. მაგრამ სტაბილიზურობა, ანუ ცვლილებების არარსებობა, ისევ გავიმორებ, ცხოვრების არარსებობაა.

მესამე დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიტანოთ, არის სტატიკურსა და დინამიურს, აგრეთვე მოკლევადიან და გრძელვადიან ეკონომიკებს შორის განსხვავების ამოება. გზა, რომლის საშუალებითაც ჩვენ უნდა შევისწავლოთ მონეტარული ცვლილებები, გვაძლევს საუკეთესო დადასტურებას, რომ ყოველი სწორი ეკონომიკური განსჯა უნდა იყოს დინამიური, ხოლო სტატიკური კონცეფციები - მხოლოდ ხელშემწყობი ინსტრუმენტები. ამავე დროს, უნდა გვესმოდეს, რომ ყველა სწორი ეკონომიკური თეორიული მსჯელობა ეტაპობრივი პროგრესია მოკლევადიანი შედეგებიდან გრძელვადიან შედეგებამდე.

მაგრამ ფულის დინამიურობის თეორიის ყველაზე დიდი მნიშვნელობა არის ეკონომიკური ციკლის მონეტარული თეორიის განვითარებაში მისი გამოყენება. ძველი ბრიტანული მონეტარული თეორია, ვინრო გაგებით, უკვე წარმოადგენდა ციკლის მონეტარული ახსნის საშუალებას. იგი სწავლობდა კრედიტის ექსპანსიის შედეგებს იმ დაშვებით, რომ კრედიტის ექსპანსია ხდება მხოლოდ ერთ ქვეყანაში, მაშინ როცა მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში ყველაფერი უცვლელი რჩებოდა. როგორც ჩანს, ეს საკმარისი იყო XIX ს-ის I ნახევრის დიდ ბრიტანეთში ბიზნეს ციკლის ასახსნელად. მაგრამ გარე ზემოქმედების ახსნა არ გავძლევს პასუხს კითხვაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს სრულიად იზოლირებულ ქვეყანაში, ან მთელ მსოფლიოში ერთდროული საკრედიტო ექსპანსიის შემთხვევაში. მაგრამ ამ მეორე შეკითხვაზე ერთადერთი პასუხი შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად მეოცე საუკუნეში შექმნილი პირობების გათვალისწინებით.

ამ მეორე კითხვაზე პასუხი მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, თუ გავითვალისწინებთ ციკლური ცვლილებების აღმოფხვრის წინადადებებს ეროვნული ეკონომიკის საერთაშორისო ურთიერთობების შესუსტებით ან კრედიტის საერთაშორისო ექსპანსიით, რასაც ბრეტონ ვუდსის შეთანხმება გულისხმობდა. ეკონომიკური ციკლების მონეტარული თეორია ამყობს იმით, რომ გვაძლევს ამ და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს.

არ მსურს ზედმეტი დრო წაგართვათ და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე კომენტარს დავამატებ, თუ როგორ ესმით პრობლემის მოგვარება ზოგიერთ ახალგაზრდა ეკონომისტს. მე პირადად არ ვიღებ პასუხისმგებლობას ტერმინზე „ნეიტრალური ფული“. მე შევიფიქრე მსყიდველობითუნარიანობის ცვლილებების და მისი სოციალური შედეგების თეორია. ვაჩვენე, რომ ფული არის დინამიური აგენტი, და რომ მტკიცება, თითქოსდა მსყიდველობითუნარიანობის ცვლილება ფულის მიწოდებაზე მოთხოვნის ცვლილების უკუპროპორციულია, არის მცდარი. ტერმინი „ნეიტრალური ფული“ სხვა ავტორებმა მოგვიანებით გამოიგონეს.⁹ არ მსურს ვიმსჯელო, რამდენად შესაფერისია ეს არჩევანი. მაგრამ ვეწინააღმდეგები იმ აზრს, რომ მონეტარული პოლიტიკის მიზანი ნეიტრალური ფულის შექმნაა და ეკონომისტების მოვალეობა მისი შექმნის მეთოდის განსაზღვრაა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თანამედროვე და მუდმივად ცვალებად, მოქმედების სამყაროში, ნეიტრალური ფულის ადგილი არ არის. ფული ან არანეიტრალურია ან ის საერთოდ არ არსებობს.

⁹ F.A. Hayek, Prices and Production, 2nd. (New York: Augustus M. Kelley, 1935), 31 and 129-31

ჰანს-ჰერმან ჰოპე

1949

ჰანს-ჰერმან ჰოპე (Hans-Hermann Hoppe) გერმანულ-ამერიკელი ეკონომისტი, თანამედროვე ავსტრიული ეკონომიკური სკოლის და ლიბერტარიანული ანარქო-კაპიტალიზმის თვალაჩინო წარმომადგენელი.

ჰანს ჰოპე საარბრიუკენის და გოეთეს უნივერსიტეტებში სწავლობდა ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ისტორიას და ეკონომიკას. გერმანიაში მრავალწლიანი ოლენეობის შემდეგ

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა (1986), სადაც მარი როთბარდს დაემონა და ლიბერტარიანიზმისა და ანარქო-კაპიტალიზმის მკვლევარი გახდა. 2008 წლამდე მუშაობდა ეკონომიკის პროფესორად ნეეადის უნივერსიტეტში (ლას ვეგასი), აგრეთვე ლიბერტარიანული ჟურნალის („Journal of Libertarian Studies“) მთავარ რედაქტორად. 2006 წელს, თანამოაზრეებთან ერთად, თურქეთის ქალაქ ბოდრუმში დააფუძნა საერთაშორისო გაერთიანება „საკუთრება და თავისუფალი საზოგადოება“ („The Property and Freedom Society“). რომელიც საბაზრო პრინციპების დაცვაში სამეცნიერო უკომპრომისობითაა ცნობილი.

ჰანს ჰოპემ მარი როთბარდის ტრადიციების და ავსტრიული ეკონომიკური თეორიის საფუძველზე გაანალიზა მთავრობის ქცევა. მისი მტკიცებით, „მთავრობა წარმოადგენს იურისდიქციის და დაბეგვრის ტერიტორიულ მონოპოლისტს“, სადაც მთავრობის წარმომადგენლები საკუთარი სიმდიდრისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებენ თავიანთ მონოპოლიურ პრივილეგიებს. ჰოპეს მიხედვით, ამ თეორიასა და ისტორიულ მონაცემებს შორის არსებობს მალალი ხარისხის კორელაცია.

ჰოპეს მიხედვით, თავისუფალი ბაზარზე მონოპოლიის ჩამოყალიბება შეუძლებელია, რადგან საქონლისა და სერვისების ბაზარზე შესვლა თავისუფალია. შესაბამისად, მონოპოლია ყოველთვის სახელმწიფო პოლიტიკის და მის მიერ დადგენილი პრივილეგიების შედეგია. მომხმარებლის თვალსაზრისით, იძულებითი მონოპოლიები ნეგატიურ როლს ასრულებენ, რადგან ფასები ყოველთვის მაღალი იქნება, ხოლო ხარისხი დაბალი.

თავის ნაშრომში „დემოკრატია – დამარცხებული ღმერთი: მონარქიის, დემოკრატიის და ბუნებრივი წესრიგის ეკონომიკა და პოლიტიკა“ (2001), ჰოპე ერთმანეთს ადარებს დინასტიურ მონარქიას და დემოკრატიულ რესპუბლიკას. მისი აზრით, დინასტიური მონარქის ქვეყნის "ფლობის" უფლება თაობიდან თაობას გადაეცემა. არჩეული პრეზიდენტი ჰგავს "დროებით მოამაგეს", ან "მოიჯარეს". ორივეს გააჩნია სტიმული გამოიყენონ თავიანთი მდგომარეობა საკუთარი სარგებლისთვის. თუმცა, მეფეს აგრეთვე აქვს საპირნონე ინტერესი შეინარჩუნოს ერის გრძელვადიანი კაპიტალის ღირებულება, ხოლო როგორც სახლის მფლობელმა შეინარჩუნოს მისი კაპიტალის ღირებულება (მეიჯარისაგან განსხვავებით). დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლების წარმომადგენლებს ყველა მოტივაცია გააჩნით, რაც შეიძლება სწრაფად გადაიანალიზონ ქვეყნის პროდუქტიული მოქალაქეების სიმდიდრე.

ჰოპეს მთავარი ნაშრომებია: „პრაქსეოლოგია და ეკონომიკური მეცნიერება“ (1988), „სოციალიზმისა და კაპიტალიზმის თეორია“ (1989), „ეკრძო საკუთრების ეკონომიკა და ეთიკა: პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის კვლევა“ (1993), „ეკონომიკური მეცნიერება და ავსტრიული მეთოდი“ (1995), „ბუნებრივი ელიტები, ინტელექტუალები და სახელმწიფო“.



ჰანს-ჰერმან ჰოპე

რამდენად შესაძლებელია დეკრეტული ფული? - ანუ ფულისა და კრედიტის დეგრადაცია¹

თარგმნა ხათუნა ახოზაძემ

დეკრეტული ფული გაცვლის ისეთი საშუალებაა, რომელიც არც კომერციული საქონელია, არც სამომხმარებლო, ან არც საქონლის მწარმოებელია და არც ნებისმიერი ასეთი სახის რაიმე საქონელი: ე.ი. არაგანაღდებადი ქალაქის ფულია. ამის საპირისპიროდ, სასაქონლო ფული გაცვლის ისეთი საშუალებაა, რომელიც წარმოადგენს კომერციულ საქონელს.

უდავოა, რომ დეკრეტული ფულის არსებობა შესაძლებელია, რაც თეორიულად დიდი ხნის წინ აღიარეს, ხოლო 1971 წლიდან, როდესაც ყოფილი საერთაშორისო ოქროს (ანუ სასაქონლო) სტანდარტის უკანასკნელი ნარჩენები გაუქმდა, ყოველგვარი ფული, პრაქტიკულად ყველგან, აქტივებით არაუზრუნველყოფილ ქალაქის ფულად იქცა.

როგორ არის შესაძლებელი დეკრეტული ფულის არსებობა? უფრო კონკრეტულად, არის კი დეკრეტული ფული პირადი ინტერესებით მოქმედი პირების ურთიერთობების ბუნებრივი შედეგი? ან რამდენად შესაძლებელია მისი დანერგვა იურიდიული კანონებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის დარღვევის გარეშე? ეს სტატია სწორედ ამ საკითხს ეხება.

ჩვენი მიზანია, ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითი პასუხის დამტკიცება, რადგან დეკრეტული ფული ვერასდროს წარმოიშობა "ძალადობის გარეშე", "სამართლიანად". საკითხის განხილვისას, ძირითადად კონსტრუქციულ და სისტემურ არგუმენტებს წარმოვიდგინთ. ამასთან, რადგან ეს თემა ხშირად ყოფილა კამათის საგანი, საკმაოდ ცნობილ კონტრარგუმენტების კრიტიკას შემოვთავაზებთ, კერძოდ, მონეტარისტების, კონკრეტულად ირვინგ ფიშერის², მილტონ ფრიდმენის და "საბანკო თავისუფლების" მომხრე ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ზოგიერთი წარმომადგენლის, განსაკუთრებით კი ლოურენს უაითის და ჯორჯ სელჯინის³ არგუმენტებს დეკრეტული ფულის ეთიკური და/ან ეკონომიკური მხარდაჭერის მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფის შესახებ.

ფულის წარმოშობა

ადამიანი გაცვლით სამეურნეო ურთიერთობებშია ჩართული (თვითკმარი კარჩაკეტილი მეურნეობის ნაცვლად), რადგან მცირედით არ კმაყოფილდება და ამჯობინებს იქონიოს მეტი საქონელი. ასევე, მას კარგად ესმის შრომის დანაწილებაზე აგებული სისტემის მაღალი მწარმოებლურობა. ასეთი მარტივი განმარტებაც სრულიად საკმარისია იმის ასახსნელად, თუ როგორ წარმოიშვა ერთიანი სასაქონლო ფული და ერთიანი მონეტარული ეკონომიკა

¹ სტატია "How is Fiat Money Possible? or, The Devolution of Money and Credit" დაიბეჭდა 1994 წელს, ჟურნალში "The Review of Austrian Economics" Vol. 7, No. 2 (1994): გვ. 49-74.

² ირვინგ ფიშერი (1867-1947) ამერიკელი ეკონომისტი, ნეოკლასიკური ეკონომიკის წარმომადგენელი. ფიშერის ფულის რაოდენობრივმა თეორიამ უდიდესი გავლენა მოახდინა მილტონ ფრიდმენის მონეტარიზმზე. ფაქტურად, მონეტარიზმი ფულზე და ფასებზე ფიშერის მოსაზრებებს დაეფუძნა.

³ ჯორჯ სელჯინი, ლოურენს უაითი - "ფისკალური თეორია მონეტარულ სისტემაში სახელმწიფოს როლის შესახებ". ასევე, გიდო პულსმანის სტატია - "თავისუფალი საბანკო საქმე და "საბანკო თავისუფლების" მომხრეები" (Free Banking and the Free Bankers; The Review of Austrian Economics Vol. 9, No. 1; 1996: 3-53)

მთელ მსოფლიოში⁴. ყოველ ადამიანს, რომელიც ბაზარზე ან მყიდველი ან გამყიდველი და ორმხრივი მოთხოვნილებით შემოიფარგლება (A-ს სჭირდება ის, რაც B-ს აქვს და B-ს სჭირდება ის, რაც A-ს აქვს), შეუძლია ბაზარი გააფართოვოს და თუკი მოისურვებს შრომის დანაწილების გზით უფრო მეტი მოგება ნახოს და გაცვლის შედეგად მხოლოდ ის საქონელი კი არ მიიღოს, რაც უშუალოდ სჭირდება, არამედ იმაზე უფრო მაღალხარისხოვანი საქონელი, ვიდრე თვითონ გაიღო, რადგან, თუნდაც ამ საქონელს მისთვის უშუალო სამომხმარებლო ღირებულება არ ჰქონდეს, მაღალხარისხოვანი საბაზრო საქონლის ფლობა გულისხმობს, რომ ის შეიძლება მოგვიანებით უფრო იოლად გადაიცვალოს სხვა, მისთვის საჭირო საქონელზე. აქედან გამომდინარე, ამ საქონლის მფლობელი უფრო ახლოს იქნება თავის კონკრეტულ მიზანთან, რასაც პირდაპირი გაცვლით ვერ მიიღწევდა.

ზოგიერთი ადამიანი მხოლოდ პირადი ინტერესებიდან და იმ დაკვირვებიდან გამომდინარე, რომ პირდაპირი გაცვლით მიღებულ საქონელს სხვა საბაზრო ხარისხი აქვს, კონკრეტულ საქონელს საკუთარი მოხმარებისთვის კი არ დაეძებს, არამედ მათი გაცვლის საშუალებად გამოსაყენებლად. ამით საქონელს ადრე კარსებულ (ბარტრულ) მოთხოვნასთან ერთად, ახალი კომპონენტი ემატება და მისი კონკურენტუნარიანობა უფრო იზრდება. ამ ფაქტის გაცნობიერებისთანავე ბაზრის ყველა მოვაჭრე იწყებს ასეთი საქონლის გაცვლის საშუალებად მომარაგებას, რადგან მიზანშეწონილად მიაჩნიათ ისეთი საქონელი შეარჩიონ, რაც ამავე მიზნით სხვებმა უკვე გამოიყენეს. თავდაპირველად, შესაძლოა, გაცვლის საერთო საშუალებად გამოყენებისათვის რამდენიმე სხვადასხვა საქონელზე იყოს მოთხოვნილება, მაგრამ, ამა თუ იმ საქონელზე მოთხოვნას მისი გაცვლის საშუალების ფუნქცია განაპირობებს, და არა სამომხმარებლო ან სანარმოო დანიშნულება, რომ მომავალში მან უშუალოდ მოხმარების საქონლის შექმნა გააიოლოს (ე.ი. ადამიანს იაფად შექმნაში დაეხმაროს) და ამავდროულად უშუალოდ მოხმარების საქონლის და მომსახურების გამყიდველს ბაზრის გაფართოებაშიც დაეხმაროს (ე.ი. ძვირად გაყიდვაში დაეხმაროს). ამიტომ, რაც უფრო მეტად გამოიყენებენ ამ საქონელს გაცვლის საშუალებად, მით უფრო უკეთ შეასრულებს ის ამ ფუნქციას. რაკი, საერთოდ, ბაზრის თითოეული მოვაჭრე უკეთ გაყიდვადი ან საერთოდ ყველგან და ყოველთვის გაყიდვადი გაცვლის საშუალების შექმნას ამჯობინებს ნაკლებ გაყიდვად ანუ არაყველგან და ყოველთვის გაყიდვად გაცვლის საშუალებას, აშკარად გაჩნდება ტენდენცია, რომ გაცვლის საშუალებად გამოყენებულ მთელ რიგ ნაკლებგაყიდვად საქონელს ერთმანეთის მიყოლებით უკუაგდებენ და თანდათან ერთადერთი გაცვლის საშუალება, ერთი სიტყვით - ფული დარჩება⁵.

ამგვარად, ისტორიულად, მეცხრამეტე საუკუნეში (1914 წლამდე) ოქროს საერთაშორისო სტანდარტის დამკვიდრებით სასურველი მიზანი აუსრულდა ვაჭრობაში ყოველ მონაწილეს, ვისაც გაცვლის საშუალება სჭირდებოდა. მთელი სამომხმარებლო და სანარმოო საქონლის ერთადერთი საქონლით გამოხატული ფასების პირობებში მოთხოვნა-მიწოდება შეიძლება მასშტაბური გახდეს მოთხოვნილებათა ორმაგი თანხვედრის არარსებობით შეუზღუდავ მსოფლიოში. ასეთი ფულის პირობებში, მისი საყოველთაო ხასიათის გამო, ყველაზე სრულყოფილად და ზუსტად აღირიცხება თითოეული მენარმის დანახარჯები. ამავდროულად, ერთადერთი საყოველთაო ფულის (და არა რამდენიმე შეზღუდულად გამოყენებული გაცვლის საშუალების) შემთხვევაში, ბაზრის მონაწილეების დანახარჯები (უშუალო მოხმარების საქონლის სახით) მხოლოდ არაპირდაპირის გაცვლებისთვის გამოსა-

⁴ Carl Menger, *Principles of Economics* (New York: New York University Press, 1981); Geld, in Carl Menger, *Gesammelte Werke*, vol. 4, F. A. Hayek, ed. (Tiibingen: Mohr, 1970); Ludwig von Mises, *Theory of Money and Credit* (Ingrington-on-Hudson, N.Y.: Foundation for Economic Education, 1971); *Human Action: A Deistise on Economics* (Chicago: Regnery, 1966)

⁵ Mises, *Theory of Money and Credit*, გვ. 32-33.

დეგი გაცვლის შუალედური საშუალებების ფლობაზე ოპტიმალურად მცირეა; ხოლო დანა-ხარჯები არაპირდაპირი მოხმარების საქონელზე იმდენად მცირეა, რომ რეალური დოვლათი, ანუ სანარმოო და სამომხმარებლო საქონლის მარაგის სახით ასევე ოპტიმალურია.

მონეტარული თეორიის⁴ ესპანურ-ფრანგულ-ავსტრიულ-ამერიკული ხანგრძლივი ტრადიციის თანახმად, ფულის თავდაპირველი ფუნქცია არის გაცვლის საშუალება. ფული უნდა წარმოიშვას როგორც სასაქონლო ფული, რადგან ამა თუ იმ საქონელზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გაცვლის საშუალებად მოთხოვნა, თუ მასზე ადრე ბარტერის მოთხოვნა იყო (მართლაც, ეს უნდა ყოფილიყო კარგად გაყიდვადი ბარტერული საქონელი), სხვადასხვა საქონელს შორის გაცვლის საშუალებად დამკვიდრებისთვის კონკურენცია კი ისეთ ტენდენციას ამჟღავნებს, რომ მათგან ერთი - ყველაზე იოლად გადაყიდვადი და ყველასთვის მისაღები საქონელი - ფული წარმოიშობა.

ამ კუთხით, ფულის თეორიის რამდენიმე გავრცელებული მოსაზრება ნამდვილად არასწორი და მცდარი სჩანს.

რას იტყვით სასაქონლო სარეზერვო საგადამხდელო საშუალებაზე? შეიძლება თუ არა რომ რამდენიმე საქონლისგან შემდგარი კალათა ფული იყოს?⁵ არა. რადგან სხვადასხვა საქონლის ნაკრები უფრო ნაკლებ გაყიდვადია, ვიდრე მასში შემავალი იოლად გაყიდვადი სხვადასხვა კომპონენტი, ამიტომ, სასაქონლო კალათა გაცვლის საშუალებად ვერ გამოდგება (უბრალო შემთხვევითობა არ არის, რომ ასეთი ფულის არსებობაზე არცერთი ისტორიული ფაქტი არ მიუთითებს).

რაც შეეხება ფრიდმენისეულ იდეას თავისუფლად მერყევი, გაცვლითი კურსების მქონე გაცვლითი საშუალებების შესახებ ანუ "ოპტიმალური საგადამხდელო საშუალების სამოქმედო სივრცეებს"⁶, იგი უნდა მივიჩნიოთ როგორც აბსურდი, მაგრამ საერთაშორისო ფულის განვითარების შუალედურ ეტაპად შეიძლება განვიხილოთ. უფრო სწორედ, თავისუფლად ცვალებადი გაცვლითი კურსების მქონე კონკურენტი გაცვლის საშუალებების მონეტარული სისტემა ნაწილობრივ მიიცვლება ბარტერული სისტემა, რომელიც იმ პრობლემით არის დატვირთული, რომ გაცვლის მოსახდენად მოთხოვნილებათა ორმხრივი თანხვედრაა საჭირო. ასეთი სისტემის ხანგრძლივი არსებობა ფულს დანიშნულებას უკარგავს: მოსახერხებელი გაცვლა (გართულებულის ნაცვლად) და ბაზრის გაფართოება (შეზღუდვის ნაცვლად). "ოპტიმალურ სავაჭრო სამოქმედო სივრცეებზე" უფრო "ოპტიმალური" - ლოკალური, რეგიონალური, ეროვნული ან მრავალეროვნული ფული ან საგადამხდელო საშუალების სამოქმედო სივრცე არ არსებობს. მაგრამ, რადგან მეტი სიმდიდრე სჯობს ნაკლებს, გაურკვევლობის პირობებში კი ერთადერთი "ოპტიმალური" სავაჭრო სამოქმედო სივრცე მსოფლიო ბაზარია, ერთადერთი "ოპტიმალური" ფული ერთიანი ფული იქნება, ერთადერთი "ოპტიმალური" სავაჭრო სამოქმედო სივრცე კი მთელი მსოფლიო.

რა შეიძლება ითქვას ფულის როგორც "ღირებულების საზომის" და ფულადი "სტაბილიზაციის"⁷ ცნების შესახებ, რაც ირვინგ ფიშერისეული მონეტარისტული თეორიის დედა-

⁴ Murray N. Rothbard, "New Light on the Prehistory of the Austrian School," in *The Foundations of Modern Austrian Economics*, E. G. Dolan, ed. (Kansas City: Sheed and Ward, 1976); Joseph T. Salerno, "Two Traditions in Modern Monetary Theory," *Journal des Economistes et des Etudes Humaines* 2, no. 213 (1991).

⁵ B. Graham, *Storage and Stability* (New York: McGraw Hill, 1937); F. D. Graham, *Social Goals and Economic Institutions* (Princeton: Princeton University Press, 1942); F. A. Hayek, "A Commodity Reserve Currency," *Economic Journal* 210 (1943); Milton Friedman, "Commodity-Reserve Currency," *Journal of Political Economy* (1951).

⁶ Milton Friedman, "The Case for Flexible Exchange Rates in Friedman, *Essays in Positive Economics* (Chicago: University of Chicago Press, 1953); A Program for Monetary Stability (New York: Fordham University Press, 1959); *Policy Implications of Pools and Currency Zones: A Symposium* (Kansas City: Federal Reserve Bank of Kansas City, 1991).

⁷ Irving Fisher, *The Purchasing Power of Money* (New York: Augustus Kelley, 1963); *Stabilizing the Dollar* (New York: Macmillan, 1920); *The Money Illusion* (New York: Adelphi, 1929); Milton Friedman, "A Monetary and Fiscal Framework for Economic Stability," *American Economic Review* (1948).

აზრს წარმოადგენს? ეს სრული აბდაუბდა და სიცრუეა. ჯერ ერთი, იმ ადამიანებს, ვისაც გაცვლის საშუალების შექმნა სურთ, არ შეიძლება ის მოტივი, მიზანი ან მოთხოვნილება ამოძრავებდეთ, რომ ღირებულების საზომს უნდა ფლობდნენ. ადამიანის საქმიანობა და გაცვლა არჩევანის საკითხია: ყოველი ადამიანი უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს იმას, რასაც იძენს, ვიდრე რასაც თმობს – და არა იდენტურს ან ტოლფასს. არავის სჭირდება ღირებულების გაზომვა. მარტივად აიხსნება, თუ რატომ იყენებენ კარდინალურ რიცხვებს დასათვლელად, და გასაზომ საშუალებებს - სივრცის, წონის, მასის და დროის გასაზომად. რაოდენობრივი განსაზღვრულობის სამყაროში, ე.ი., სიმწირის სამყაროში, სადაც საგნები მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ მნიშვნელობებს გამოხატავენ, დათვლა-აღრიცხვა წარმატებული საქმიანობის წინარეაუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ რა ტექნიკური ან ეკონომიკური მოთხოვნილება შეიძლება წარმოვიდგინოთ ღირებულების საზომად?

მეორე, თუ ამ სირთულეებს ერთი წუთით გვერდზე გადავდებთ და დავუშვებთ, რომ ფული მართლაც ღირებულებას ზომავს (იმ პირობით, რომ საქონელში გადახდილი ფული საქონლის ღირებულების რაოდენობრივ საზომს წარმოადგენს) ისე, როგორც სახაზავი ზომავს სივრცეს, სხვა გადაულახავი დაბრკოლება წარმოიქმნება. ჩნდება კითხვა - “რა არის ღირებულების ასეთი საზომის ღირებულება?” რასაკვირველია, ღირებულება უნდა ჰქონდეს მას ისევე, როგორც სახაზავს, სხვაგვარად არავინ მოინდომებს ან ერთის ამ მეორის შეძენას. მაგრამ აშკარა აბსურდი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფულის ერთეულის - ერთი დოლარის - ღირებულება ერთია. ერთი რა? ასეთი პასუხი ისეთივე უაზრობა იქნება, როგორც საზომი სახაზავის ღირებულება რომ იკითხონ და “ერთი იარაღია” ვუპასუხოთ. რაოდენობის საზომის ღირებულება თვითონ ამ საზომითვე ვერ გამოიხატება. მისი ღირებულება ორდინალური ცნებებით უნდა გამოვხატოთ: ზომა-წონისათვის უმჯობესია რაოდენობრივი რიცხვები ვიხმაროთ და ზომა-წონის ერთეულები, ვიდრე უბრალოდ საკუთარი შეხედულებისამებრ გავზომოთ რაოდენობა. ანალოგიურად, როდესაც გაცვლის საშუალება არსებობს, უმჯობესია ღირებულების გამოხატუვლად რაოდენობრივი რიცხვები გამოვიყენოთ, ვიდრე მხოლოდ რიგობითი თვისი პროცედურას დავეყრდნობთ ისე, როგორც ეს ბარტრუელი ეკონომიკის შემთხვევაში მოხდებოდა. მაგრამ რაოდენობრივი ცნებები ვერ გამოხატავს, რამდენად ღირებულია ადრინდელი მეთოდი ბოლოდროინდელთან შედარებით. ამის გაგება მხოლოდ თანმიმდევრული მსჯელობით შეიძლება. სწორედ ამ თვალსაზრისით, რიგობითი რიცხვები - რანჟირება, პრივილეგირება - უფრო ფუნდამენტურად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე რაოდენობრივი რიცხვები, ღირებულება კი - შეუმცირებად სუბიექტურ უთვლად სიდიდედ.

მაგრამ, თუ ფულს მართლაც ღირებულების საზომის ფუნქცია გააჩნია, მაშინ ადამიანს რატომ სჭირდება ერთზე მეტი რაოდენობით მისი ქონა. მაგალითად, სახაზავი, სასწორი, საათი ერთ ადამიანს ერთზე მეტი შეიძლება მხოლოდ იმიტომ დასჭირდეს, რომ სხვადასხვა ადგილზე გამოიყენოს (მოსახერხებელი რომ იყოს), ან იმიტომ, რომ შეიძლება ერთი გაფუჭდეს ან არ გამოდგეს. მაგრამ დროისა და სივრცის ნებისმიერ მოცემულ წერტილში არავინ მოისურვებს ერთზე მეტი ერთნაირი საზომი ხელსაწყო ჰქონდეს, რადგან ერთით შეიძლება ყველაფრის გაზომვას. მეორე - ასეთივე ხელსაწყოს ვერაფერში გამოიყენებს.

მესამე, ფული ნებისმიერ შემთხვევაში საქონელია, მიუხედავად მისი სპეციფიკური ხასიათისა. მაგრამ თუ ის საქონელია, მაშინ ზღვრული სარგებლობიანობის კანონს ექვემდებარება, ეს კანონი კი ყოველგვარი სტაბილური, ანუ მუდმივი ღირებულების საქონლის ცნებას ეწინააღმდეგება.

ეს კანონი იმ ვარაუდიდან მომდინარეობს, რომ ყოველი სუბიექტი ნებისმიერ მოცემულ მომენტში თავისი სუბიექტური არჩევანის სკალით მოქმედებს და ირჩევს მას, რაც მისი - სწორი თუ არასწორი აზრით უფრო მეტად დააკმაყოფილებს და არა ნაკლებად. იმიტომ,

მუდმივად უნდა მოიხმარდეს გარკვეული რაოდენობის - განსაზღვრულ - ხარისხობრივად გამორჩეულ საქონელს ქონების სახით და უნდა აანალიზებდეს მის ქონებას რა აკლდება რა ემატება. ამ უდავლო ჭეშმარიტი თეორემიდან გამომდინარე, (1) სუბიექტი ყოველთვის საქონლის დიდ მარაგს ამჯობნებს მცირეს, ე.ი. საქონლის დიდი ერთეულის ზღვრულ სარგებლიანობას უფრო მაღლა აყენებს ვიდრე იმავე საქონლის მცირე ერთეულისას; და (2) საქონლის მარაგის დამატებითი ერთეულის - ნებისმიერი ზომის, რასაც სუბიექტი საჭიროდ მიიჩნევს და აირჩევს, - ნამეტს უფრო დაბალი რანგით შეაფასებს (ნაკლებ ღირებულებად), ვიდრე უკვე მის საკუთრებაში არსებული ამ საქონლის იმავე ზომის ნებისმიერ ერთეულს, რადგან მას მხოლოდ იმ უხერხულობის მოსახსნელად თუ გამოიყენებს, რაც ყველაზე ნაკლებ აუცილებლობად მიაჩნია და რისთვისაც აქამდე ამ საქონლის იგივე ზომის ერთეული კმაროდა, ე.ი., საქონლის მოცემული ზომის ერთეულის ზღვრული სარგებლიანობა მცირდება (იზრდება), როდესაც ამ საქონლის მარაგი იზრდება (იკლებს). მაშინ, საქონლის მარაგის ყოველი ცვლილება ამ საქონლის ზღვრული სარგებლიანობის ცვლილებას გამოიწვევს. როგორც სუბიექტი X აცნობიერებს, A საქონლის მიწოდების ნებისმიერი ცვლილებით მისთვის A საქონელი სხვა ფასს იძენს. ახლა X სხვა ფასს დაადებს A საქონელს. აქედან გამომდინარე, სტაბილური ანუ მუდმივი ღირებულების საქონლის ძიება ძირშივე ილუზიაა, ისევე როგორც წრის გვერდების გასწორების მცდელობა, რადგან ყოველ საქმიანობას გაცვლა მოჰყვება და ყოველი გაცვლის შედეგად საქონლის მიწოდება იცვლება. ამას კი შედეგად ან საქონლის მიწოდების (წმინდა სამომხმარებლო თვალსაზრისით) შემცირება მოჰყვება ან ერთის კლება და მეორის ზრდა (როგორც წარმოებაში ან კერძო გაცვლაში). ორივე შემთხვევაში, რადგან გაცვლის შედეგად საქონლის მიწოდება იცვლება, ამ საქონლის ღირებულებაც შეიცვლება. საქმე საქონლის ღირებულების მიზანმიმართული ცვლაა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სტაბილური ღირებულების საქონლის - ან ფულის, ან სხვა რამის - კონსტრუქციული ანუ პრაქსეოლოგიური არსებობა შეუძლებელია.

დაბოლოს, რაც შეეხება ფულის - დოლარის - მუდმივ მსყიდველობით უნარს, ჯერ ერთი არსებობს პრინციპული პრობლემა, რომ ფულის მსყიდველობითი უნარი ვერ იზომება და რომ ფულის ინდექსების შემადგენლობა - ნებისმიერი ინდექსის - მეცნიერულად პირობითია, ე.ი., შეიძლება ისეთივე კარგი ან ცუდი იყოს, როგორც ნებისმიერი სხვა (რა საქონელს უნდა შეიცავდეს? რა ფარდობითი წონა უნდა ჰქონდეს თითოეულს? რატომ არის, რომ სხვადასხვა სუბიექტი ერთსა და იმავეს სხვადასხვაგვარად აფასებს და სხვა სამომხმარებლო საქონლით ინტერესდება, ან იგივე სუბიექტი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად აფასებს ერთსადაიმავე სასაქონლე კალათას? რა უნდა მოუხერხოს ადამიანმა საქონლის ხარისხის ცვლილებას ან მთლად ახალ პროდუქტს?)¹⁰. გარდა ამისა, მაინც რით არის კარგი "სტაბილური" მსყიდველობითი უნარი? (შეიძლება ეს ცნება პირობითად ვიხმაროთ). უდავოა, რომ "სტაბილური" ფული აშკარად სჯობს "ინფლაციურს". მაგრამ, ის ფული, რომლის მსყიდველობითი უნარი ფარდობითად გაიზარდა - "დეფლაციური" ფული - აშკარად სჯობს "სტაბილურს".

რა შეიძლება ითქვას იმ თეორიის შესახებ, რომ სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში ფული - არასარგებლიანი ნაღდი ფული - მთლიანად სარგებლიანი ფასიანი ქალაქებით შეიცვლება?¹¹ ასეთი შეცვლა წარმოსადგენია მხოლოდ ისეთი ბალანსის

¹⁰ Mises, *Theory of Money and Credit*, გვ. 187-94; *Human Action*, გვ. 219-23.

¹¹ N. Wallace, "A Legal Restrictions Theory of the Demand for 'Money'," *Federal Reserve Bank of Minneapolis Quarterly Review* (1983); E. Fama, "Financial Intermediation and Price Level Control," *Journal of Monetary Economics* (1983); for a critique see Lawrence White, "Accounting for Non-Interest-Bearing Currency," *Journal of Money, Credit, and Banking* (1987).

დროს, როდესაც არავითარი გაურკვეველობა არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მომავალი შესაძლებლობის ლოდინი ვერავის მოგერის კმაყოფილებას, რადგან ეს შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდოა არსებობდეს. მაგრამ ამქვეყნად ყველგან გამეფებული გაურკვეველობის პირობებში, თუნდაც თავისუფალ დაშვებაზე ყველა სამართლებრივი შეზღუდვა მოიხსნას, არასარგებლიან ნაღდ ფულზე მოთხოვნა – ფასიანი ქალაქის ან ობლიგაციებისგან განსხვავებით (აქციები, ობლიგაციები ან ერთობლივი ფონდის წილი) – მაინც იგივე დარჩება. მიუხედავად სპეციფიური ხასიათისა, ეს ქალაქები მაინც სანარმოო საშუალებებზე უფლებას წარმოადგენს, სხვაგვარად სარგებელი არ ერგებათ. მაგრამ ყველაზე იოლად განაღდებადი სანარმოო საშუალებაც კი მის რომელიმე ყველაზე გაყიდვად საბოლოო პროდუქტზე ნაკლებ გაყიდვადი იქნება, და ამდენად, ყველაზე ლიკვიდური ფასიანი ქალაქადიც კი ვერასდროს შეასრულებს იმ სამსახურს, რომ მის მფლობელს ისეთი მომავალი შესაძლებლობები შეუქმნას, როგორც შეუქმნის ყველაზე გაყიდვადი პროდუქტი: ფული. ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა თუ დაეფუძებდით – როგორც ვალასი ვარაუდობს ჩიკაგოს სკოლის ეგალიტარული განწყობის შესაბამისად – რომ ყველა საქონელი თანაბრად გაყიდვადია. მაშინ, წესით, ნაღდი ფულისა და ობლიგაციების რეალიზაციაში განსხვავება არ უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში, უნდა დაეფუძეთ, რომ ყველა საქონელი ერთნაირია, მაგრამ ეს რომ ასე იყოს, არც შრომის დანაწილება და არც ბაზარი არ იარსებებდა.

სასაქონლო ფულიდან დეკრეტულ ფულამდე: ფულის დეგრადაცია

თუ ფული სასაქონლო ფულის სახით უნდა წარმოიშვას, მაშ როგორღა გადაიქცევა ის დეკრეტულ ფულად? ფულის შემცველების საშუალებით, მაგრამ მხოლოდ თაღლითობით და მხოლოდ ეკონომიკური არაეფექტიანობის ფასად.

სასაქონლო ფულის სტანდარტიზაცია, როგორც ოქროს სტანდარტი იყო 1914 წლამდე, ფული ერთი მხრივ სტანდარტული ზოდების და სხვადასხვა ლირებულების ოქროს მონეტების სახით იყო "მიმოქცევაში", რითაც ძირითადად წონისა და ხარისხის მიხედვით ფიქსირებული თანაფარდობით ვაჭრობდნენ. მეორე მხრივ, ფულის დაცვისა (საბანკო სეიფებში შენახვა) და ფულადი ოპერაციების (კლირინგი) დანახარჯების დაზოგვის მიზნით როგორც არაფულადი საქონლის სივრცესა და დროში მოსახერხებელი გაცვლის საშუალება გადაცემადი ქონებრივი უფლება – მათ შორის აქციები და ობლიგაციები – გაჩნდა, ანალოგიურად დაიწყეს ფულის პარალელურად გაცვლის საშუალებად ოქროს სერთიფიკატის – კონკრეტულ დანსებულებაში (ბანკი) შეტანილ ოქროს კონკრეტულ რაოდენობაზე გაცემული ქონებრივი უფლების (თამასუქი) – გამოყენება. როგორც ასეთი, თვითონ ფულის (ოქრო) და ფულის შემცველის (თამასუქი) ასეთი თანაარსებობა არც ფულის მთლიან მარაგზე ახდენს გავლენას – ნებისმიერი სერთიფიკატის ბრუნვაში გამვეებისას ოქროს (დეპონირებული) ექვივალენტურ რაოდენობის ბრუნვიდან ამოღება ხდება – და არც შემოსავლებისა და დოვლათის ურთიერთგანაწილებაზე. უდავოა, რომ ფულისა და ფულის შემცველის თანაარსებობა და ფულის ან ერთი ან მეორე სახით შენახვა და სხვადასხვა კომბინაციების შესაძლებლობა ბაზრის ყოველ მონაწილეს დამატებით კომფორტს უქმნის. ამგვარად, შესაძლებელია სრულიად უფასურმა ქალაქმა მსყიდველობითი უნარი შეიძინოს. ვინაიდან და რადგანაც ეს ქალაქები ფულზე უპირობო უფლებას ადასტურებენ, და ვინაიდან და რადგანაც უდავოდ ხელსაყრელია და ნებისმიერ დროს შეიძლება გამოსყიდვა, მათ ისე ყიდულობენ და ყიდიან თითქოს ნაღდი ფული იყოს – ფულთან მიმართებაში, თუმცა მათ მხოლოდ ნომინალური ფასი აქვთ. და რაკი მსყიდველობით უნარს შეიძენს და მერე თამასუქის ნიშანს მოიშორებს (რაც განაღდებას

აბრკოლებს), შეიძლება უკვე ფულის სახით განაგრძოს ფუნქციონირება. როგორც მიზეზი წერს: "ვიდრე ეკონომიკური საქონელი ფულის სახით ფუნქციონირებას დაიწყებდეს, მას გაცვლის ღირებულება უნდა ჰქონდეს, რაც მისი მონეტარული ფუნქციიდან კი არ უნდა მომდინარეობდეს, არამედ ამისათვის სხვა საფუძველი უნდა არსებობდეს. მაგრამ ფული, რომელიც უკვე ასეთი სახით ფუნქციონირებს ღირებული რჩება მაშინაც კი, როდესაც მისი გაცვლითი ღირებულების თავდაპირველი წყარო არსებობასწყვეტს."¹²

მაგრამ თვითდაინტერესებულ პირებს სურთ ქალაქის ფულის წაართვან ფულის თვისებები? მოისურვებენ თუ არა ისინი, რომ მათი განაღდება შეწყვიტონ და არსებითად უფასური ქალაქი შემოიღონ ფულად? ქალაქის ფულის ისეთი ქომაგები, როგორც მილთონ ფრიდმენია, აცხადებენ, რომ სწორედ ასე უნდა მოხდეს და ისინი ჩვეულებრივ სასაქონლო ფულის დეკრეტული ფულით შეცვლის მიზეზად დაზოგვის მოტივს ასახელებენ: ოქროს სტანდარტი ოქროს მოპოვებისა და ფულის მოჭრის სოციალურ დანახარჯებს მოითხოვს. ფულის წარმოებას მნიშვნელოვანი რესურსები სჭირდება¹³, ხოლო ოქროს ნაცვლად არსებითად მუქტი ქალაქის ფულის შემთხვევაში ასეთი ზედმეტი ხარჯი აღარ იქნება საჭირო და რესურსები სანარმოო ან სამომხმარებლო საქონლის სანარმოებლად გამოთავისუფლდება. ამგვარად, სწორედ დეკრეტული ფულის მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობით აიხსნება თანამედროვე მსოფლიოში ფულადი საქონლის ერთიანად მივიწყება. მაგრამ, მართლა ასეა საქმე? დეკრეტული ფულის ტრიუმფი მართლა რაღაც უწყინარმა ეკონომიამ გამოიწვია? დასაჯერებელია, რომ ეს ასე ხდებოდეს? ნუთუ მართლა დაზოგვა აინტერესებთ პირადი ინტერესების მქონე ადამიანებს, როგორც ამას დეკრეტული ფულის ქომაგები ამბობენ?

კარგად თუ დაუუკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ეს ასე არ არის, და რომ დეკრეტული ფულის შემოღებას სრულიად განსხვავებული - უწყინარი კი არა ავებელითი - მოტივი აქვს: დაუშვით, მონეტარული ეკონომიკა, სადაც (სულ ცოტა) ერთი ბანკია და სადაც ბრუნვაშია როგორც ნამდვილი ფული (თანამედროვე ყარგონით "გარე ფული"), ისე ფულის შემცვლელი ("შიდა" ფული). ბაზრის მონაწილეებს, რომ მართლა სურდეთ ფულად საქონელზე რესურსების დანახარჯების დაზოგვა (მიმოქცევიდან ოქროს ამოღებით და ქალაქის ფულის გაშვებით), მაშინ ამ მიზნის მისაღწევად ისინი პირველ რიგში გარე ფულის (ოქროს) გამოყენებას შეწყვეტდნენ. ყველა გარიგება შიდა ფულით (ქალაქის) მოხდება, მთელი გარე ფული კი ბანკში იქნება ანაბარზე და ამგვარად ბრუნვიდან მთლიანად ამოიღება (მაგრამ ნაღდი ფული თუ ისევ ბრუნვაში იქნება, ის ადამიანები, ვინც ოქროს მონეტების გამოყენებას განაგრძობენ - ამ ქმედებით - ამკარად გამოხატავენ, რომ რესურსების დაზოგვა არ აინტერესებთ).

მაგრამ, რამდენად შესაძლებელია, რომ შემცვლელმა სძლიოს და ნაღდი ფულს გაცვლის საშუალება ღაენაცვლოს? არა; თუმცა ბევრმა ნაღდი ფულის თეორეტიკოსმაც კი ცოტა იჩქარა და აღიარა, რომ ასეთი შესაძლებლობა დასაშვებია. საქმე იმაშია, რომ შემცვლელი მხოლოდ ფულის შემცვლელია და ნაღდი ფულთან შედარებით ნაკლები უპირატესობა გააჩნია. ფულის შენახვის და კლირინგის სერვისის ძვირადღირებული ბიზნესია და სადეპოზიტო საფასური ფულის შენახვის ფასია. თუ ქალაქის ბანკოტებს გასანაღებლად იმ ვადის გასვლის შემდეგ წარადგენენ, როდემდეც თავდაპირველ ან მის წინამორბედ მეანბარეს შენახვის საფასური აქვს გადახდილი, ბანკი გამოსასყიდ თანხას დააკისრებს მას და ასეთი ბანკოტები შემდეგ ნამდვილ ფულთან მიმართებაში ფასდაკლებით გაიყიდება. ფულის შემცვლელის ნაკლები უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივად სჭირდება მას

¹² Mises, Theory of Money and Credit, გვ. 111.

¹³ Friedman, "Essays in Positive Economics. 210; A Program for Monetary Stability, 4-8; Capitalism and Freedom (Chicago: University of Chicago Press, 1962), გვ. 40.

ანაბარზე შეტანა და ახლიდან გამოშვება, რომ ფულის სახე - ნომინალური ღირებულებით გაყიდვის უნარი - შეინარჩუნოს, და ამგვარად მხოლოდ დროებით ფუნქციონირებს ფულის სახით და არა მუდმივად. მუდმივი გაცვლითი ფუნქციის შესასრულებლად მხოლოდ ნამდვილი ფული (ოქროს მონეტები) გამოდგება. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ შიდა ფული ვერასდროს შეცვლის გარე ფულს, შესაძლოა ფულის შემცველების გამოყენება საერთოდ მკაცრად შეიზღუდოს - ძირითადად რიგით კომერციულ ვაჭრებს შორის ძალიან დიდი თანხების გადარიცხვებით და გარიგებებით შემოიფარგლებოდეს - იმ დროს, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ყიდვა-გაყიდვისთვის უმთავრესად ნაღდ ფულს გამოიყენებს, რითაც გამოხატავს, რომ დაზოგვა სულ არ აინტერესებს, როგორც ეს ფრიდმენს ჰგონია¹⁴.

ამასთან, თუ ვინმე იმ არგუმენტს წამოაყენებს, რომ ბრუნვაში მხოლოდ შიდა ფულია, ხოლო ნამდვილი ფული ბანკში ინახება, დეკრეტული ფულის ქომაგების პრობლემა ამით არ ამოიწურება. რასაკვირველია, მათ მიაჩნიათ, რომ საქმე ძალიან მარტივად არის: მთელი ფულადი საქონელი უქმად დევს ბანკში. უმჯობესი არ იქნება, თუ მთელ ამ უქმად დადებულ ოქროს ფულს სამომხმარებლო ან სანარმოო მიზნებისთვის - სტომატოლოგიაში ან საიუველირო წარმოებაში - გამოვიყენებთ, ხოლო გაცვლითი ფუნქციის შესასრულებლად უფრო იაფფასიან პრაქტიკულად უფასო დეკრეტულ ფულს შემოვიღებთ? სრულიადაც არა.

ჯერ ერთი, ოქროს დემონეტარიზაცია არ გულისხმობს, რომ მთელი ფულის მარაგს ბანკი დაეფულება, ხალხი კი მხოლოდ ბანკნოტების შენახვას დაინყვებს. ბანკირების გარდა ამაზე არავინ დათანხმდება! ასეთ ეკონომიას არავინ მოინდომებს. ფაქტობრივად ეს ეკონომია კი არა, ბანკის მიერ საზოგადოების ექსპროპრიაცია იქნება ბანკისვე სასარგებლოდ.

საგარაუდოდ, არავინ მოისურვებს რომ ვინმემ მისი ექსპროპრიაცია მოახდინოს. (უნდა ითქვას, რომ თუკი ოდესმე ფულადი საქონელი დეკრეტული ფულით შეცვლილა, მხოლოდ მთავრობის და მისი ცენტრალური ბანკის მიერ კერძო საკუთრებაში არსებული ფულადი საქონლის ექსპროპრიაციას გზით). ამის ნაცვლად თითოეული მეანაბრე მოინდომებს საკუთარი ანაბარი შეინარჩუნოს და თავისი ოქრო უკან დაიბრუნოს.

მაგრამ მაშინ ახალი გადაულახავი წინააღმდეგობა წარმოიშობა: ამ დროს ბანკნოტები გაუმყარებელი ქალაქი იქნება და მეტი არაფერი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ფლობს მას - ბანკი თუ ხალხი. ადრე, ასეთი ქალაქების წარმოებასთან დაკავშირებული დანახარჯები მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის ფულის დაბეჭდვას კი არ გულისხმობდა, არამედ ისეთ მნიშვნელოვან რამეს, რაც ოქროს მეანაბრეთა მოზიდვა იყო დაცვა-შენახვისა და კლირინგის სერვისის შეთავაზებით. ამ შემთხვევაში კი გაუნაღებელი ქალაქი უკვე ისეთს არაფერს წარმოადგენს, რომ დაცვად ღირდეს. ფულის წარმოების დანახარჯები ნულს გაუტოლდება, და მხოლოდ ბეჭდვის დანახარჯებამდე დავა. ადრე, როდესაც ქალაქი ოქროზე უფლებას წარმოადგენდა, ბანკნოტებს მსყიდველობითი უნარი ჰქონდა. მაგრამ ახლა ან

¹⁴ სინამდვილეში, ისტორიულად ასეც ხდებოდა: ტრადიციულად ბანკნოტებს არავინ ენდობოდა. მათი რეალიზება ისეთ ნაღდ ფულთან შედარებით, როგორც ოქრო და ვერცხლია, მკაცრად იყო შეზღუდული. ფულის შემცველის პოპულარობის მისაღწევად ორი დამატებითი პირობა იყო საჭირო: ჯერ ერთი, ბანკნოტების გამომშვებ სადეპოზიტო დანესებულებას ბანკნოტების დეპოზიტი ნაღდი ფულის მიმართ უნდა გადაემეტყფასებინა - ან სადეპოზიტო გადასახად არ უნდა დაედო მასზე, ან პირიქით ანაბარზე პროცენტი უნდა დამატებინა. მეორე, რადგან ფულის შენახვა უფასოდ არ ხდება და ანაბარზე დადებული ფული, საგარაუდოდ, სარგებელს ვერ წარმოშობს, ბანკს ნაწილობრივი რეზერვირების საქმიანობა უნდა ეწარმოებინა, სხვაგვარად ზარალს თავიდან ვერ აიცილებდა, ე.ი. დამატებითი სადეპოზიტო ქალაქები უნდა გამოეყარა და ბრუნვაში გაეშვა, რომელიც, მართლაც, მართლაც, ფიზიკურად სხვა ბანკნოტებისგან არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული, მაგრამ სინამდვილეში ნაღდი ფული ვერ დაფარავდა. ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო ოპერაციების ეთიკური და ეკონომიკური სტატუსის შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემული პარაგრაფი: "სადეპოზიტო და სასესხო საბანკო ოპერაციებიდან ნაწილობრივ სარეზერვო საბანკო ოპერაციებამდე: კრედიტის დეგრადაცია".

ბანიკ ან ხალხი როგორ გაყიდის მას, ან სად იშოვნინან ისეთ ვინმეს, ვინც მას იყიდის? მათი ყიდვა-გაყიდვა მატერიალურ (არაფულად) საქონელზე ადრე დადგენილი გაცვლის კურსით მოხდება? ცხადია არა. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ბანკნოტების წარმოების საქმეში არავითარი სამართლებრივი ბარიერი არ იქნება; თუ კონკურენტულ პირობებში ქალაქის ბანკნოტებში გადახდილი ფასი (არაფულადი) მათი წარმოების დანახარჯებზე მეტი იქნება, ბანკნოტების წარმოება მაშინვე იმდენად გაფართოვდება, რომ ფულის ფასი მისი წარმოების ფასს დაუახლოვდება, რასაც შედეგად შიპერინფლაცია მოჰყვება. უკვე არავინ აღარ აიღებს ქალაქის ფულს და დაიწყება რეალური ღირებულების ზრდა. მონეტარული ეკონომიკა მთლად დაიშლება და საზოგადოება პრიმიტიულ, უაღრესად არაეფექტურ ბარტერულ ეკონომიკას დაუბრუნდება. მაშინ ბარტერიდან ისევ ახალი (სავარაუდოდ ოქრო) სასაქონლო ფული წარმოიშობა (ბანკნოტების მწარმოებელი კი ისევ დაიწყებენ თავიანთი ბანკნოტების გამყარებას ამ ფულით, რომ უფრო მისაღები გახადონ).

თუ გვინდა, რომ ფულადი საქონლის დეკრეტული ფულით შეცვლა წარმატებით განხორციელდეს, დამატებითი პირობებია საჭირო: ქალაქის ფულის წარმოების საქმეში თავისუფალი დაშვება უნდა შეიზღუდოს და ფულის მონოპოლია უნდა დამკვიდრდეს. ქალაქის ფულის ცალკეულ მწარმოებელსაც შეუძლია შიპერინფლაციის და მონეტარული კრიზისის გამოწვევა. მაგრამ რამდენადაც მონოპოლისტი კანონით არის დაცული კონკურენტისგან, მას შეუძლია უსაფრთხოდ, გააზრებულად შეზღუდოს თავისი ბანკნოტების გამოშვება, რომ ამგვარად შეინარჩუნოს მათი მსყიდველობითი უნარი. შემდეგ კი შეიძლება ძველი ბანკნოტების ახლებზე ნომინალურ ფასად გადაცვლაზე და ანაბრის საფასურით შენახვისა და კლირინგის მომსახურებაზე იფიქროს და მის მიერ გამოშვებული ქალაქის შემცველების სანაცვლოდ ანაბრების, ვადიანი ანაბრების ანგარიშების და საჩეკო წიგნაკების მიღება დაიწყოს.

მოვლენების ასე განვითარებასთან დაკავშირებით, რამდენიმე კითხვა იბადება. ადრე ფულადი საქონლის პირობებში ყოველ ადამიანს შეეძლო თავისუფლად ჩართულიყო ოქროს მოპოვებისა და მონეტების მოჭრის საქმეში. ახლა კი პირიქით, ფრიდმენის "დეკრეტული ფულის დივიდენდმა" რომ იარსებოს, ფულის გამოშვების სფეროში კონკურენცია უნდა აიკრძალოს და მონოპოლია წარმოიშვას. მაგრამ კანონიერი მონოპოლია და პირადი ინტერესი როგორ შეთავსდება ერთმანეთთან? შეიძლება დავიჯეროთ, რომ პირადი ინტერესების მქონე ინდივიდები ისევე დათანხმდებიან დეკრეტული ფულის მონოპოლიის დამკვიდრებას, როგორც შრომის დანაწილებას და ერთი და იმავე საქონლის გაცვლის საშუალებად გამოყენებას? და თუ არ დათანხმდებიან, განა ეს არ გვიჩვენებს, რომ ასეთ მონოპოლიასთან დაკავშირებული დანახარჯები უფრო დიდია ვიდრე რესურსებზე დაზოგილი? ეს კითხვები პასუხს მოითხოვს. მონოპოლია და პირადი ინტერესები შეუთავსებელია. ცხადია, მონოპოლისტობის მსურველთა თავისი მოტივი გააჩნიათ. თუ კი მათ ძვირფასი საქონლის შენახვა, დაცვა და განაღდება არ დასჭირდებათ, წარმოების დანახარჯები მკვეთრად შეუმცირდებათ და ამით დამატებით მოგებას მიიღებენ; მოსალოდნელი კონკურენტებისგან კანონით დაცული მონოპოლია მაშინვე "კაპიტალად გარდაიქმნება", ე.ი., აქტივების ხელშეწყობად გაზრდილი ღირებულების გარდა, მისი უკუგება სარგებლის ჩვეულებრივი განაკვეთის შესაბამისი იქნება. თუ ვიტყვით, რომ ასეთი ვითარება ხელსაყრელია მონოპოლისტისთვის, ვერ ვიტყვით, რომ ის ხელსაყრელი იქნება სხვებისთვის, და, ამიტომ, შეიძლება ბუნებრივად წარმოიშვას. ფაქტობრივად, თვითონ მონოპოლისტის გარდა სხვას ვერავის ექნება რაიმე მოტივი, რომ მონოპოლისტობა უნდოდეს, შესაბამისად, ერთი კონკრეტული მონოპოლისტის შერჩევაზე შეთანხმება ვერ მოხერხდება. მონოპოლისტის პოსტი შეიძლება მხოლოდ მიითვისოს ვინმემ - დანარჩენების სურვილის წინააღმდეგ. მონოპოლია ინდივიდთა

ორ სამართლებრივად სხვადასხვა კლასს წარმოშობს: პრივილეგირებულებს - ინდივიდებს, ვისაც ფულის წარმოების უფლება აქვთ, და დაქვემდებარებულებს - ინდივიდებს, ვისაც პრივილეგირებულებისგან განსხვავებით, ამის გაკეთება ეკრძალებათ. ასეთ ინსტიტუტს ისეთივე ნებაყოფლობითი მხარდაჭერა ვერ ექნება, როგორც შრომის დანაწილების და ფულადი საქონლის ინსტიტუტს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ექსპროპრიაციის (აპროპრიაციის) ცალმხრივი უპირატესობის ზემოქმედების შედეგი იქნება, არათანაბარი ურთიერთობებიდან "ბუნებრივად" გამომდინარე. ამიტომ, მონოპოლისს ხანგრძლივი არსებობა ნებაყოფლობითი მხარდაჭერასა და თანამშრომლობას კი არ ეყრდნობა, არამედ ფიზიკურ იძულებას მოითხოვს¹⁶.

ამას გარდა, კერძო ინტერესებისა და მონოპოლისის შეუთავსებლობა მაშინ კი არ დასრულდება, როდესაც მონოპოლია დამკვიდრდება, არამედ გაგრძელდება მანამ სანამ მონოპოლია იარსებებს. ის კი ეფექტიანად იმუშავებს და თანაც მათ ხარჯზე, ვინც მონოპოლისტობისგან შორს არის. ჯერ ერთი, თავისუფალი კონკურენციის დროს თითოეული მენარმე მუდმივად ცდილობს მინიმალურ ფასად აწარმოოს საკუთარი პროდუქცია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს კონკურენტის საფრთხე, რომელიც მოცემულ პროდუქციას უფრო დაბალ ფასად გამოუშვებს. მონოპოლისტი კი პირიქით, კონკურენტისგან კანონით არის დაცული და არავითარ დაძაბულობას არ გრძნობს. რადგან მონოპოლისტის ხელფასიც და მატერიალური ანაზღაურებაც ფულის წარმოების დანახარჯებში შედის, "ბუნებრივია", მონოპოლისტი ფასების აწევით არის დაინტერესებული. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მონოპოლისტურად გამოშვებული ქალაქის ფულის ღირებულებამ ძალიან მალე, თუ თავიდანვე არა, კონკურენციით წარმოქმნილი ფულადი საქონლის ღირებულებას გადააჭარბოს.

ამას გარდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განუხრელად გაიზრდება მონოპოლისტურად გამოშვებული ქალაქის ფულის ფასი, ე.ი., ფულის თითოეული ერთეულის მსყიდველობითი უნარი, მაშასადამე, მისი ხარისხიც გამუდმებით მოიკლებს. ახალი კონკურენტებისგან დაცული ყოველი მონოპოლისტი მუდამ ცდილობს ფასი ასწიოს და ხარისხი შეამციროს. ეს

¹⁶ შეიძლება ჩათვალოს, რომ მონოპოლიური შეთანხმება შესაძლებელია, თუ მონოპოლისტური ბანკის მფლობელი ყველა იქნება და მოგება ყველას გაუნაწილდება. მაგრამ მაშინ ხომ ყველა, და არა მხოლოდ მონოპოლისტი, ისარგებლებს ოქროს ქალაქით შეცვლის შედეგად მიღებული დანახარჯით. სინამდვილეში ასეთი შეთანხმების მიღწევა ილუზიაა. მონოპოლისტური ბანკის ერთობლივი ფლობა გულსისხმობს, რომ სავაჭრო აქციები უნდა გამოუშვან და გაიანალიზონ. მაგრამ ვინ რამდენი აქცია უნდა მიიღოს? ბანკის კლიენტებმა მათი ანაზღაურების ოდენობის მიხედვით უნდა მიიღონ აქციები? მაგრამ დაზოგავში ხომ ბანკისთვის ყველა მფლობელი მონაწილეობს და ყველა მონაწილემ თვითონაც ბანკის მფლობელთა შორის იყოს მის ხელთ არსებული ბანკნოტების ოდენობის მიხედვით? რა შეიძლება ითქვას არაფულადი საქონლის მფლობელების და გამყიდველების შესახებ? ოქროს ნაცვლად ქალაქის ალებზე თუ დათანხმდებიან, ისინიც ხომ თავიანთ ნვლილს შეიტანენ რესურსების დანახარჯების დაზოგავში. მაგრამ ვინ უნდა განსაზღვროს ვის რამდენი აქცია უნდა ერგოს, როდესაც მათი ნვლილი სხვადასხვა რაოდენობის არავითარგაროვანი სამომხმარებლო და სანარმოო საქონლისგან შედგება? აქ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია. უფრო მეტიც, ბაზრის რომელიმე ახალი მონაწილე - შემდეგომში ანაბრის, ბანკნოტის და/ან მატერიალური საქონლის მფლობელი, რომელიც თავიდან ბანკის აქციის მცნიელ არ იყო - რატომ მოისურვებს დათანხმდეს და მხარი დაუჭიროს ამ წინადადებას? რატომ უნდა გადაიხადოს იმ საბანკო აქციისთვის, რომელიც თავდაპირველ მფლობელებზე უფასოდ განაწილდა, ზუსტად ისე როგორც ადრე იხდინენ, მითუმეტეს თუ ის ახლა რესურსების დანახარჯების დაზოგავში მონაწილეობს? ასეთი შეთანხმება გულისხმობს შემოსავლისა და დოვლათის სისტემატურად ხელახლა გადაწინაშედებას თავდაპირველი მფლობელების სასარგებლოდ და გვიან მოსულების ხარჯზე. მაგრამ თუ ყოველი ახალი ანაბრის, ბანკნოტის ან არაფულადი საქონლის მფლობელიც ხე ახალ, დამატებულ საბანკო აქციას გამოუშვებენ, ასეთი აქცია თავიდანვე უფასური იქნება და ბანკის ნებისმიერი შეთავაზებაც უსარგებლო. ამასთან ერთად, როგორც ქვემოთ იხილავთ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწყდება საკუთრების პრობლემა, თვითონ საბანკო ოპერაცია აუცილებლად მოახდენს გააღენას შემოსავლისა და დოვლათის პერსონალურ განაწილებასზე.

განსაკუთრებით ეხება ფულის მონოპოლისტებს. სხვა მონოპოლისტებმა ის აღბათობა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ პროდუქციაზე ელასტიკური მოთხოვნილების გამო ფასი გაიზრდება (ან ხარისხი შემცირდება), რამაც შეიძლება შემოსავალი შეამციროს, ფულის მონოპოლისტს კი შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან მის კონკრეტულ პროდუქციაზე - საყოველთაო გაცვლის საშუალებაზე - მოთხოვნილება უკიდურესად არაელასტიკური იქნება. ფაქტობრივად, ჰიპერიინფლაციის გარდა, როდესაც ფულზე მოთხოვნილება სრულიად ქრება, ფულის მონოპოლისტი პრაქტიკულად მუდამ ისეთ პოზიციაშია, რომ ფულის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ფულზე ფასის აწევის (მსყიდველობითი უნარის შემცირება) დროსაც გაიზრდება. მონოპოლისტმა ბანკმა, რომელსაც ფულის წარმოების ექსკლუზიური უფლება აქვს და კერძო ინტერესები ამოძრავებს, შეიძლება ფულის მარაგის განუხრელი ზრდა დაიწყოს, და რადგან ქალაქის ფულის ეს გაზრდილი მარაგი საზოგადოებრივ დოვლათს - სამომხმარებლო და სანარმოო საქონლის არსებულ მარაგს - რამეს კი არ მატებს, არამედ მხოლოდ ინფლაციას იწვევს (ფულის მსყიდველობით უნარს ამცირებს), ბრუნვაში შემოტანილი თითოეული ზედმეტი ბანკნოტით მონოპოლისტს შეუძლია თავისი რეალური შემოსავალი გაზარდოს. მას შეუძლია პრაქტიკულად ნულოვანი დანახარჯის ფასად დაბეჭდოს ფული და შემდეგ რეალური აქტივები (სამომხმარებლო და სანარმოო საქონელი) შეიძინოს ან რეალური ვალის გადასახდელად გამოიყენოს. მათ, ვინც ბანკირები არ არიან, რეალური დოვლათი შეუმცირდებათ, - ნაკლები საქონელი და დაბალი მსყიდველობითი უნარის ბევრი ფული ექნებათ. მონოპოლისტის რეალური სიმდიდრე კი გაიზრდება - მას მეტი მატერიალური საქონელი ექნება (ფული კი იმდება, რამდენსაც მოისურვებს). ასეთ შემთხვევაში (ანტილოზების გარდა) ვინ არ დაინყებს ფულის მარაგის განუხრელად ზრდას, და ამით საგადასმდელო საშუალების განუწყვეტლივ გაუფასურებას? საინტერესო იქნება ზემოთ ჩამოყალიბებული დეკრეტული ფულის თეორიის შედარება დეკრეტული ფულის ცნობილ თანამედროვე ქომავის მილტონ ფრიდმენის მოსაზრებებთან.

ახალგაზრდობაში ფრიდმენი დიდ ყურადღებას არ აქცევდა ფულის წარმოშობის საკითხს, მოგვიანებით კი აღიარა, რომ ისტორიულად ყველა ფული ფულადი საქონლის სახით წარმოიშვა (ფულის ყველა შემცვლელი კი ფულად საქონელზე სასაწყობო უფლების სახით) და სკეპტიკურად არის - და სამართლიანადაც - განწყობილი მასზე უფროსი ფრიდრიხ ჰაიეკის კონკურენტული დეკრეტული ფულის გამოშვების იდეის მიმართ¹⁶. ფრიდმენი შეცდომაში შეჰყავს თავის პოზიტივისტურ მეთოდოლოგიას და ვერ ხვდება, რომ ფული (ფულის შემცვლელი) სხაგვარად ვერ წარმოიშობა.

აქ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, ფრიდმენი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ამტკიცებს, რომ ფულად საქონელს "ბუნებრივად" შეცვლის უფრო ეფექტიანი, დეკრეტული ფულის სისტემა, რომელიც რესურსების დანახარჯებს დაზოგავს.

საოცარია, რომ ფრიდმენი ამ თეზისს ვერანაირი არგუმენტებით ვერ ამყარებს. მის მიერ შემოთავაზებული არგუმენტები და ემპირიული დაკვირვებები მისსავე მოსაზრებებს ეწინააღმდეგება. პირველ რიგში, არსაიდან არ ჩანს, რომ ფრიდმენი გარე ფულის შიდა ფუნქციონალურების არსებით ფარგლებს აცნობიერებს. ექსპროპრიაციის გარეშე როგორ განცალკევდება ქალაქის ფული და ფულადი საქონელი, თუ გარე ფული ისევე ბრუნვაში იქნება? გარე ფულის ბრუნვაში დარჩენა მიუთითებს, რომ მას დაბალხარისხივად არ მიიჩნევენ; ხოლო ის ფაქტი, რომ განადგებადი ფულისთვის ექსპროპრიაციაა საჭირო, იმაზე მეტყველებს, რომ დეკრეტული ფული ბუნებრივი მოვლენა არ არის.

¹⁶ Milton Friedman and Anna Schwartz, "Has Government Any Role in Money?" *Journal of Monetary Economics* (1986); for Hayek's proposal see his *Denationalization of Money* (London: Institute of Economic Affairs, 1976).

საინტერესოა, რომ მას შემდეგ რაც ფრიდმენმა თავი აარიდა პრობლემის გადაჭრას, თუ რამდენად ბუნებრივი მოვლენაა გამოსყიდვის შესაძლებლობის შეწყვეტა, იგი აშკარად აღიარებს - და საკმაოდ სწორადაც - რომ ზემოსხენებული მიზეზების გამო, დეკრეტული ფული კონკურენტული ვერ იქნება და მონოპოლიას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ის აცხადებს, რომ "დეკრეტული ფულის გამოშვება ერთგვარი ბუნებრივი მონოპოლიაა"¹⁷.

მაგრამ ის ფაქტი, რომ დეკრეტული ფული მონოპოლიას საჭიროებს, არ გულისხმობს, რომ ასეთი მონოპოლია "ბუნებრივია", ფრიდმენს კი არანაირი არგუმენტი არ მოჰყავს, თუ როგორ შეიძლება ასეთი მონოპოლია პირადი ინტერესების მქონე ინდივიდათა ურთიერთობის ბუნებრივი შედეგი იყოს. ამასთან ერთად, ახალგაზრდა ფრიდმენი ნაკლებად ერკვევა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში და მისი ანტიმონოპოლისტური არგუმენტები: აქსიომა, რომ თუ ვინმეს პრივილეგიას მივცემთ, ის ამას გამოიყენებს, და აქედან გამომდინარე დასკვნა, რომ ყოველი მონოპოლისტური წარმოება არაეფექტიანი იქნება (როგორც დანახარჯების, ისე ფასისა და ხარისხის მხრივ). ამ არგუმენტების გათვალისწინებით, ფრიდმენის მხრიდან საოცარ გულბრყვილობად ჩანს ჯერ ფულის სახელმწიფო მონოპოლიის მხარდაჭერა და შემდეგ იმის იმედი, რომ ეს მონოპოლისტი თავის ძალაუფლებას კი არ გამოიყენებს, არამედ რაც შეიძლება დაბალ დანახარჯებს გასწევს და ფულის მარაგის მხოლოდ მსუბუქ ინფლაციას დასჯერდება (წელიწადში 3-4% -ის დონეზე). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პირადი ინტერესების მქონე ადამიანი მონოპოლისტი გახდება, მის ხასიათში ძირეული გარდაქმნა უნდა მოხდეს.

გასაკვირი არ არის, რომ ასაკოვანმა ფრიდმენმა უკვე კარგად იცის, თუ რას წარმოადგენს მისი დეკრეტული ფულის სისტემა, და როდესაც იგი ოთხი ათეული წლის წინ მონოპოლისტური დეკრეტული ფულის თაობაზე წამოყენებულ თავის მთავარ არგუმენტს - რესურსების დაზოგვას - იხსენებს, არ შეუძლია არ აღიაროს, რომ მისი პროგნოზები აშკარად არ გამართლდა¹⁸. ოქროს სტანდარტის უკანასკნელი ნარჩენების გაუქმების შემდეგ, ის მიხვდა, რომ ინფლაციური ტენდენციები დრამატულად გაიზარდა მსოფლიო მასშტაბით; ფასების მომავალი ცვლილებების პროგნოზირების შესაძლებლობა მკვეთრად შემცირდა; გრძელვადიანი ობლიგაციების ბაზარი თითქმის განადგურდა; ინვესტიციებისა და "მყარი ფულის" ქომბატო რიცხვი და ასეთ ბიზნესთან დაკავშირებული რესურსები მკვეთრად გაიზარდა; ჩამოყალიბდა ფულის საბაზრო ფონდები და საგადამხდელი საშუალებების ფიურერების ბაზრები და რეალური რესურსების მნიშვნელოვანი რაოდენობა შთანთქა, რაც სხვაგვარად - დიდი ინფლაციისა და არაპროგნოზირებადობის გარეშე - ვერც წარმოიშობოდა ან უკიდურეს შემთხვევაში ვერასდროს შეიძენდა ისეთ მნიშვნელობას, როგორც ახლა აქვს; ბოლოს აღმოჩნდა, რომ კერძო საცაგებში ინფლაციისგან თავდაცვის სახით დაგროვილი ოქროს საწარმოებლად გაღებული რესურსებიც კი გაიზარდა¹⁹. რა დასკვნა გააკეთა ფრიდმენმა ასეთი ემპირიული ფაქტებიდან? მისი პოზიტივისტური მეთოდიდან გამომდინარე, რომლის თანახმად მეცნიერება პროგნოზია, ცრუ პროგნოზი კი მცდარ თეორიას ბადებს, მოსალოდნელია, ფრიდმენმა უკუაგდოს თავისი თეორია, როგორც სრულიად მცდარი და მხარი დაუჭიროს ფულადი საქონლის დაბრუნებას. თუმცა, ამის ნაცვლად, ის კვლავ კატეგორი-

¹⁷ Friedman, *Essays in Positive Economics*, გვ. 216; აგრეთვე Friedman and Schwartz, "Has Government Any Role in Money?"

¹⁸ Milton Friedman, "The Resource Cost of Irredeemable Paper Money," *Journal of Political Economy* (1986)

¹⁹ მონეტარისტების პროგნოზით ოქროს დემონეტარიზაციის და წმინდა დეკრეტული ფულის სისტემაზე გადასვლის შედეგად ოქროს ფასი დაეცემოდა და არსებული ოფიციალური კურსიდან \$35 თითო უნცია - არა-ფულადი ოქროს დადგენილი ღირებულება იქნებოდა \$6. ფაქტობრივად ოქროს ფასმა აინი. ერთ პერიოდში უნცია ოქროს ღირებულებამ \$850 მიაღწია და უმეტესად კი \$300 - \$400 შორის მერყეობდა. ამ სტატის ნერის მომენტში მისი ფასი \$375 -ია

ულად ასკვნის, რომ ამ ფაქტებიდან არცერთი არ უნდა გამოვიყენოთ "ოქროს სტანდარტზე დაბრუნების საბაბად. ...პირიქით, მიმართა, რომ ოქროს სტანდარტის დაბრუნება არც სასურველია და არც შესაძლებელი."²⁰ ის ისე იმავს ამტკიცებს, რომ ოქროს სტანდარტის დაბრუნების მოთხოვნა უბრალოდ "არარაციონალურია, ემოციურია" და მხოლოდ დეკრეტული ფულია "ტექნიკურად გამართლებული"²¹. ფრიდმენის თანახმად, დეკრეტული ფულის არსებული სისტემის აშკარა ნაკლოვანებების დასაძლევად საჭიროა ფასების გრძელვადიანი პროგნოზირების ბერკეტის პოვნა, ან ალტერნატივის სახით ისეთი რაიმის შემოთავაზება, რასაც პროგნოზირება არ სჭირდება. გაცვლის საშუალების ფულის ერთეულისგან გამოიყვანის მრავალი ბერკეტი და ინსტრუმენტი იქნა შემოთავაზებული, მაგრამ, ყვერჯერობით, არცერთ მათგანზე არ მიღწეულა შეთანხმება.²²

სადეპოზიტო და სასესხო საბანკო ოპერაციებიდან ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო საქმიანობამდე: კრედიტის დეგრადაცია

ბანკები ორ მკაცრად გამოიჯნულ ამოცანას ასრულებენ, რომელთაგან მხოლოდ ერთი განიხილებოდა დღემდე²³. ერთი მხრივ, ისინი შემნახველი დაწესებულების ფუნქციას ასრულებენ და შენახვისა და უნაღდო ანგარიშსწორების მომსახურებას გვთავაზობენ. ისინი ღებულობენ ფულად (სასაქონლო ფულის) ანაბრებს და გაცემენ ფულზე უფლებას/

²⁰ Friedman, "The Resource Cost of Irredeemable Paper Money," გვ. 646.

²¹ Friedman, *Essays in Positive Economics*, გვ. 250.

²² Friedman, "The Resource Cost of Irredeemable Paper Money," გვ. 646; Money Mischief: Episodes in Monetary History (New York: Harcourt Brace Jovanovich, 1992), თავი 10. იმ შემთავაზებათა შორის, რომელსაც ფრიდმენი ბოლოხანს განიხილავს ალტერნატიული დეკრეტული ფულის "საყრდენის" სახით, კომენტარს იმსახურებს "გაყინული საგადახდებლო საშუალების წესი" (იხ. Friedman, "Monetary Policy for the 1980s," in *To Promote Prosperity*, J. H. Moore, ed. [Stanford: Hoover Institution, 1984]). ერთი მხრივ ეს თვალსაზრისი წინგადადებული ნაბიჯია მის ადრინდელ 3-5 პროცენტის ზრდის წესთან შედარებით. მის მიერ ამ უკანასკნელი წესის მხარდაჭერა ძირითადად პროტო-კეინზიანურ მცდარ გაცებას ეყრდნობა, რომ ფული საზოგადოებრივი კაპიტალის ნაწილს შეადგენს, ხოლო ეკონომიკა 3-5 პროცენტით ვერ გაიზრდება თუ იგი ფულის მარაგის პროპორციული ზრდით გამაგრებული არ იქნება. პირიქით, გაყინული ფულადი ბაზის წესი ძველი ხედვის აღიარებაზე მეტყველებს, რომ ფულის მარაგი თანაბრად ოპტიმალურია ანუ, ფრიდმენის სიტყვებით, საზოგადოებისთვის ფულის სარგებლიანობა მთლად იმაზე არ არის დამოკიდებული, თუ რამდენი ფულია." [Friedman, *Money Mischief*, გვ. 28]. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს წინადადება პროგრესული სულაც არ არის, რადგან როგორ შეიძლება მონოპოლისტისგან მოველოდეთ გაყინული ფულადი ბაზის წესის დაცვას იმაზე მეტად როგორც 3-5-პროცენტის ზრდა? ამასთან, თუნდაც ეს პრობლემა სასწაულებრივად გადაიჭრას, ეს მაინც მონოპოლისტი, როგორც ცალმხრივი ექსპროპრიაციისა და შემოსავლისა და სიმდიერის ხელახალი გადინების იარაღის, ხასიათს ვერ შეცვლის. ციხა იმისა, რომ მონოპოლისტი ანაბრისა და კლირინგის სერვისის შესთავაზებს კლიენტებს (რისთვისაც მას საფასურს გადაუხდინა), ყველა სახის კლიენტების და არაკლიენტებისათვის მას ძველი, გაცვეთილი ბანკოტების ერთი-ერთზე ახალ, იდენტურ ბანკოტზე უფასოდ გადაცვლის ფუნქციის შესრულებაც მოუწევს (სხვაგვარად ვინ მოინდომებს მუდმივი ფულადი საქონლის გადაცვლას გარდამავალ დეკრეტულ ფულზე?). მართალია, ამ ამოცანასთან დაკავშირებული დანახარები შეიძლება დაბალი იყოს, მაგრამ ნულის ტოლი ნამდვილად არ იქნება. შესაბამისად, ზარალის თავიდან აცილების და დანახარების ანაზღაურების მიზნით მონოპოლისტს სხვა ზეა არ ექნება, ფულადი ბაზა უნდა გაზარდოს, რითაც იგი არსებითად ძველი მონეტარული ზრდის წესს დაუბრუნდება.

²³ Murray N. Rothbard, *The Mystery of Banking* (New York: Richardson and Snyder, 1983); *The Case for a 100 Percent Gold Dollar* (Auburn, Ma.: Ludwig von Mises Institute, 1991); Mises, *Theory of Money and Credit; Human Action; აგრეთვე Walter Block, "Fractional Reserve Banking: An Interdisciplinary Perspective,"* in *Man, Economy, and Liberty: Essays in Honor of Murray N. Rothbard*, Walter Block and Llewellyn H. Rockwell, Jr., eds. (Auburn, Ala.: Ludwig von Mises Institute, 1988); J. Koch, *Fractional Reserve Banking: A Practical Critique* (Master's thesis, University of Nevada, Las Vegas, 1992)

თამასუქებს (სასაქონლო ქვითრებს, ფულის შემცვლელებს) მათ მენაბრეებზე, რაც მოთხოვნისას ნომინალური ღირებულებით განაღდება ექვემდებარება.

გასაცემ ყოველ მოთხოვნილ ფულზე მათ ხელთ აქვთ გასანაღდებად გამზადებული შესაბამისი ნაღდი ფული (სარეზერვო საბანკო ოპერაციების 100 პროცენტი). ანაბრებზე არავითარ სარგებელს არ უხდებიან. უფრო სწორად, მენაბრეები ბანკს უხდიან შენახვისა და კლირინგის სერვისის საფასურს. თავისუფალი ბაზრის პირობებში, როდესაც საბანკო ინდუსტრიაში შესაძლებელია თავისუფალი შესვლა, ანაბრის მოსაკრებელი, რომელიც ბანკის შემოსავალს და მოგების შესაძლო წყაროს წარმოადგენს, მინიმალურ გადასახადამდე დადის, მოგება კი პირიქით. საბანკო ოპერაციებით მიღებული სარგებელი თითქმის ისეთივეა, როგორც სხვა ნებისმიერ არასაბანკო წარმოებაში.

მეორე მხრივ, თავდაპირველად ბანკისგან ინსტიტუციონალურად მთლად დამოუკიდებელი ბანკები მენაბრეებსა და ინვესტორებს შორის საშუამავლო მომსახურეობასაც ენევიან სასესხო ბანკების სახით. ამ მიზნით ისინი ჯერ მენაბრეებთან დებენ გრძელვადიან კონტრაქტებს. მენაბრეები ფულს ასესხებენ ბანკს კონკრეტული - მოკლე ან გრძელვადიანი - პერიოდით, ბანკი კი ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას, რომ მომავალში პროცენტული დანამატით დააბრუნებს მათ თანხას. თავის მხრივ, მენაბრეები არსებულ ფულს მომავალში მისი სარგებლით დაბრუნების დანაპირებზე ცვლიან: პროცენტული სარგებელი წარმოადგენს მათი ლოდინის საზღაურს. ბანკი, რომელიც ასე დროებით დაეუფლება მენაბრეთა დანაზოგებს, ამ ფულს ინვესტორებზე გაასესხებს (მათ შორის თვითონაც ისესხებს) მათ მიერ ნაკისრი ვალდებულების საფუძველზე, რომ მომავალში უკან დააბრუნებენ სარგებელთან ერთად. მენაბრეებისთვის გადახდილ სარგებელსა და კრედიტორებისგან აღებულ სარგებელს შორის სხვაობა მენაბრეებსა და ინვესტორებს შორის შუამავლობის საფასურია და ბანკის შემოსავალს შეადგენს. რაც შეეხება სადეპოზიტო საბანკო ოპერაციებს და მის საფასურს, კონკურენციის პირობებში შუამავლობის საფასურიც მინიმუმამდე დადის და, ანალოგიურად, სასესხო ოპერაციებთან მიღებული მოგება ისეთივეა, როგორც ყველგან სხვაგან.

როგორც ჩანს, სადეპოზიტო და საკრედიტო საბანკო ოპერაციები ფულის მარაგის გაზრდას ან ცალმხრივი შემოსავლისა თუ დოვლათის გადანაწილებას არ გულისხმობს. ბანკი ყოველი ახლად გაცემული სადეპოზიტო თამასუქის ექვივალენტურ თანხას ბრუნვიდან იღებს (მხოლოდ ფულის ფორმა იცვლება, და არა მისი რაოდენობა), და სასესხო ოპერაციების დროს იმავე რაოდენობის თანხა უბრალოდ რამდენჯერმე გადაეხეხილიდან ხელში. ყოველგვარი გაცვლა - მენაბრესა და ბანკს შორის, აგრეთვე მენაბრეებს, საშუამავლო ბანკსა და ინვესტორებს შორის - ორმხრივად ხელსაყრელია.

ამის საპირისპიროდ, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობისას სადეპოზიტო და სასესხო ფუნქციების ერთმანეთში განზრახ არევა ხდება. ეს კი ფულის მარაგის გაზრდას გულისხმობს, რაც შემოსავლის ცალმხრივ გადანაწილებას იწვევს ბანკის სასარგებლოდ და ეკონომიკურ არააფექტიანობას აღმაჯალ-დამაჯვალე ციკლების სახით. ორივე საბანკო ოპერაციის ერთმანეთში არევა ის ფაქტი ინვესს, რომ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის დროს ან მენაბრებს უხდიან პროცენტებს (ნაცლად იმისა, რომ საფასური გადაახდევინონ) და/ან მენაბრეებს ეძლევათ მყისიერი გამოტანის უფლება (ნაცლად იმისა, რომ კონკრეტულ თარიღამდე მოაცდევინონ დაბრუნების მოსათხოვად). ტექნიკურად ბანკის ასეთ საქმეში ჩართვის შესაძლებლობას ის ფაქტი უწყობს ხელს, რომ უფადო ანაბრის მფლობელები, როგორც წესი, თავიანთ უფლებას ერთდროულად არ იყენებენ და ყველა ერთდროულად არ მიდის ბანკში ფულის გამოსატანად. აქედან გამომდინარე, სადეპოზიტო ბანკის მარაგი

(ნაღდი ფულის) სჭარბობს იმ თანხას, რაც ფაქტობრივად ყოველდღიურად გააქვთ ბანკიდან. ამგვარად, ბანკს შესაძლებლობა ეძლევა ეს "ჭარბი" რეზერვები კრედიტორებს ასესხოს და ამით ბანკს სარგებელი მოუტანოს (რომლის ნაწილიც შეიძლება ბანკმა სადეპოზიტო ანგარიშის განაღდებას თავის მენაბრეებს გადასცეს, როგორც სადეპოზიტო ანგარიშის სარგებელი).

ნაწილობრივი რეზერვების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის მომხრეთა მტკიცებით, 100 პროცენტზე ნაკლები რეზერვები უბრალოდ ფულის უწყინარი "ეკონომია" და ასეთი პრაქტიკა მომგებიანია როგორც ბანკისთვის, ისე მენაბრეებისთვისაც (შეუფერხებლად გამოტანის უფლების მქონე). ფაქტობრივად, ნაწილობრივ რეზერვებზე დაფუძნებულ საბანკო ოპერაციებს ორი ურთიერთდაკავშირებული ფატალური ნაკლი აქვს და უწყინარი და ყველასთვის ხელსაყრელი ნამდვილად არ არის. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ ის, რასაც 100 პროცენტზე ნაკლები რეზერვი გულისხმობს სამართლებრივად შეუძლებელია. როდესაც ბანკი ჭარბ რეზერვს კრედიტების გასაცემად იყენებს, ფაქტობრივად ის მათზე დროებითი მესაკუთრეობის უფლებას კრედიტორებს გადასცემს, ხოლო მენაბრეები, რომლებსაც მათი შეუფერხებლად გამოსყიდვის უფლება აქვთ, კვლავ ინარჩუნებენ უფლებას იმავე თანხებზე. მაგრამ ხომ შეუძლებელია მენაბრეს და კრედიტორს ერთდროულად ჰქონდეს ერთი და იმავე რესურსების კონტროლის ექსკლუზიური უფლება. ორი სხვადასხვა ინდივიდი ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე ქონების ექსკლუზიური მფლობელი ვერ იქნება. აქედან გამომდინარე ნებისმიერი ბანკის ასეთი ქმედება - თავის ფაქტობრივ რეზერვზე უფრო მეტი ვალდებულების აღება - თაღლითობად უნდა შევაფასოთ. როდესაც ბანკი ვერ ასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს გაკოტრებულად უნდა მივიჩნიოთ.

მეორე, ჭარბი რეზერვების მსესხებლებზე გასესხებით ბანკი ფულის მარაგს ზრდის, განურჩევლად იმისა კრედიტორები ამ რეზერვებს ნაღდი ფულის სახით მიიღებენ თუ ვადიანი ანგარიშის სახით. თუ სესხს ნაღდი ფულის სახე ექნება, ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობა გაიზრდება ისე, რომ შესაბამისი რაოდენობის ფულის შემცვლელის ბრუნვიდან ამოღება არ მოხდება; და თუ მას საბანკო ანაბრის სახე ექნება, ფულის სუბსტიტუტის რაოდენობა გაიზრდება ისე, რომ მისი შესაბამისი ნაღდი ფულის ამოღება არ მოხდება ბრუნვიდან. ორივე შემთხვევაში ადრინდელზე მეტი ფული გაჩნდება, რაც ფულის მსყიდველობითი უნარის შემცირებას (ინფლაციას) გამოიწვევს, ეს კი თავის მხრივ რეალური შემოსავლის სისტემატურ გადანაწილებას გამოიწვევს ბანკისა და მისი კრედიტორების სასარგებლოდ და არასაბანკო საზოგადოების და ბანკის სხვა კლიენტთა ხარჯზე. ბანკი დამატებით სარგებელს ღებულობს, თვითონ კი არანაირი დამატებითი წვლილი არ შეაქვს არასაბანკო საზოგადოების რეალური დოვლათის შექმნაში (როგორც იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ სარგებელი ბანკის მომჭირნეობის შედეგი რომ ყოფილიყო); კრედიტორები კი თავიანთი თანხებით ნაღდი, არაფულადი აქტივებს იძენენ და ამით დანარჩენი საზოგადოების რეალურ დოვლათს ამდენივედ ამცირებენ.

ამასთან ერთად, რამდენადაც ბანკი უბრალოდ საკუთარი მოხმარებისთვის კი არ ხარჯავს თავის ჭარბ რეზერვებს, არამედ სესხად გასცემს, ბიზნეს-ციკლი მაინც გრძელდება²⁴. ადრინდელზე უფრო დიდი რაოდენობის კრედიტები გაიცემა, რის გამოც კრედიტის ფასი

²⁴ Ludwig von Mises, *Geldwert stabilisierung und Konjunkturpolitik* (Jena: Gustav Fischer, 1928); *Human Action*, თავი 20; F. A. Hayek, *Prices and Production* (London: Routledge & Kegan Paul, 1931); Murray N. Rothbard, *America's Great Depression* (Kansas City: Sheed & Ward, 1975)

- სესხებზე დარიცხული პროცენტი - უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა. დაბალი ფასის გამო მეტი კრედიტები გაიცემა. რადგან ფული უფრო მეტ ფულს ვერ წარმოშობს, კრედიტორებმა პროცენტული სარგებლის - და წმინდა მოგების - მიღების მიზნით ნასესხები თანხები ინვესტიციებად უნდა აქციონ, ე.ი., მათ უნდა შეიძინონ ან იქიროან წარმოების საშუალებები - მინა, მუშახელი, და შესაძლოა ძირითადი კაპიტალიც (მზა საწარმოო საშუალებები) - რითაც მომავალში ისეთი საქონლის წარმოებას შეძლებს, რომლის ღირებულებაც (ფასი) განუვლ დაწახარჯებს გადააჭარბებს. ამრიგად, გაზრდილი კრედიტით უფრო მეტი არსებული რესურსების გამოყენება მოხდება მომავალი საქონლის საწარმოებად (ნაცვლად მისი უმაღლესი მოხმარებისა) ვიდრე სხვა შემთხვევაში მოხდებოდა; და ყველა მიმდინარე საინვესტიციო პროექტის დასრულებას უფრო მეტი დრო დასჭირდება ვიდრე მხოლოდ იმ პროექტებისას, რომლებსაც გაზრდილი კრედიტის გარეშე დაიწყებდნენ. მთელი იმ მომავალი საქონლის წარმოება უნდა მოხდეს, რომელიც კრედიტის გაზრდის გარეშე შეიქმნებოდა და კიდევ კრედიტის გაზრდის ხარჯზე ახლად დამატებულიც.

მაგრამ განხილულ შემთხვევაში დროებითი უპირატესობის და დანაზოგების ასეთი ცვლილება სულ არ მომხდარა იმ ვითარების საპირისპიროდ, როდესაც დროებითი უპირატესობის შემცირების გამო სარგებელი მცირდება, ე.ი., ის ხარისხი, რა ხარისხითაც არსებულ საქონელს მომავალ საქონელთან შედარებით მეტ უპირატესობას ანიჭებენ, და აქედან გამომდინარე, რეალურად საზოგადოებაში მეტი დანაზოგია და გროვილი და ინვესტორს შეუძლია მეტი არსებული საქონლით ისარგებლოს სამომავლო დანაპირების სანაცვლოდ. საზოგადოებას არ აქვს დიდი დანაზოგი, და შესაბამისად, ბანკის მიერ გაცემული გაზრდილი კრედიტი სასაქონლო კრედიტს (საზოგადოებაში დაზოგილი მატერიალური საქონლის კრედიტი) კი არ წარმოადგენს, არამედ ფიდუციარულ კრედიტს (კრედიტი, რომელიც კრედიტორმა არსებითად ჰაერისგან შექმნა - შესაბამისი მატერიალური საქონლის დანაზოგის გაღების გარეშე)²². დამატებითი კრედიტი, რომ სასაქონლო კრედიტი ყოფილიყო, გაფართოებულ საინვესტიციო საქმიანობას საფუძველი ექნებოდა. ასეთ შემთხვევაში არსებული საქონლის დიდი მარაგი იქნებოდა მომავალი საქონლის სანარმოებლად და მთელი - ძველი და ახლადდაწყებული - საინვესტიციო პროექტები წარმატებით დასრულდებოდა და მომავალში მოხმარება უფრო მაღალ დონეს მიაღწევდა. მაგრამ თუ კრედიტის გაზრდა მიმოქცევადი კრედიტის გაცემის ხარჯზე ხდება, ამის გამო გაზრდილი ინვესტიცია ნამდვილად ზედმეტად ამბიციური იქნება. დაბალი საპროცენტო განაკვეთით შეცდომაში შეყვანილი ინვესტორები ისე მოქმედებენ თითქოს დანაზოგები გაზრდილიყოს. საინვესტიციო პროექტებისთვის მათ იმაზე მეტი თანხები გამოაქვთ არსებული რესურსებიდან, რომ მომავალ წარმოების საშუალებებად აქციონ, ვიდრე რეალური დანაზოგების თვალსაზრისით ამის საფუძველი არსებობდეს. ამიტომ, წარმოების საშუალებების ფასები სამომხმარებლო საქონლის ფასებთან შედარებით ჯერ იზრდება, მერე კი როდესაც საზოგადოებისთვის საყურადღებო დროებითი უპირატესობის დონე კვლავ იჩენს თავს, სამომხმარებლო საქონლის სისტემატური დეფიციტი წარმოიშობა. აქედან გამომდინარე, სარგებელი აიწვეს და ახლა წარმოების საშუალებების ფასებთან მიმართებაში სამომხმარებლო საქონლის ფასები აიწვეს, რაც ინვესტიციების არამდგრადი და არახელსაყრელი ნაწილის ლიკვიდაციას მოითხოვს. ადრინდელ აღმასვლას დაღმასვლა მოჰყვება და მომავალი ცხოვრების სტანდარტს იმ დონეზე დაბლა დასწევს, რის მიღწევაც სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა.

²² Mises, Theory of Money and Credit, გვ. 263.

ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკების თანამედროვე მხარდაჭერებიდან ლოურენს უაითი და ჯორჯ სელჯინი კრიტიკულ შენიშვნებს იმსახურებენ²⁶, თუმცა, მეორე მხრივ, ისინი ფრედმენისულ მონეტარიზმს აკრიტიკებენ და ამის ნაცვლად ავსტრიულ ტრადიციას, კერძოდ კი მიზესის მონეტარულ თეორიას უბრუნდებიან²⁷.

მათი იდეალი უნივერსალური ფულადი საქონელია (საქონლური ფული), ოქროს საერთაშორისო სტანდარტი და მასზე დაფუძნებული კონკურენტული საბანკო სისტემა, რომელმაც, როგორც ისინი აცხადებენ, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო ოპერაციები უნდა ანაწილოს - და ეკონომიკური ეფექტიანობის და სამართლიანობის გამო მას ამის უფლება უნდა ჰქონდეს - და ფიდეცარული კრედიტები უნდა გასცეს.

რაც შეეხება სამართლიანობას, უაითი და სელჯინი, ნაწილობრივი რეზერვების თითქოსდა არათალღიოთური ხასიათის დამამტკიცებელ არაერთ არგუმენტს გვთავაზობენ და ამტკიცებენ, რომ ასეთი პრაქტიკის კანონგარეშედ გამოცხადება საკონტრაქტო უფლების დარღვევა იქნება, რადგან "ბანკებს და მის კლიენტებს შორის ორივე მხარისთვის მისაღები საკონტრაქტო ხელშეკრულების დადებას შეუშლის ხელს."²⁸ რასაკვირველია, ეს სულელური არგუმენტია. ჯერ ერთი, ისტორიული ფაქტია, რომ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკები სულ არ ატყობინებენ თავიანთ მენაბრებს, რომ ფაქტობრივად მათი ანაბრის ნაწილი ან მთელი ანაბარი უნდა გაასეხონ და აქედან გამომდინარე, უკან დასაბრუნებელი თანხა, სავარაუდოდ, ყოველთვის მზად არ ექნებათ (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბანკი პროცენტს იხდის ანაბრის ანგარიშზე და აქედან გამომდინარე ცხადია, რომ მან დემოზიტები უნდა გაასეხოს, ეს არ გულისხმობს, რომ ფაქტობრივად ყველა მენაბრე აცნობიერებს ამ ფაქტს. სინამდვილეში, ძალიან ცოტას თუ იხმის ეს და ისიც მხოლოდ მათ, ვინც ეკონომიკაში ჩახედულია). ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკები არც კრედიტორებს ატყობინებენ, რომ მათთვის მიცემული კრედიტის ნაწილი ან მთელი კრედიტი ჰაერიდან არის შექმნილი და ნებისმიერ დროს შეიძლება უკან დაბრუნება მოსთხოვონ. აბა, რა შეიძლება ენოდოს მათ საქმიანობას თუ არა თალღიოთობა და სხვისი ფულის ფლანგვა!

მეორეც, მოსაზრება, რომ თითქოს საკონტრაქტო უფლების პრინციპი ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემას შეესაბამებოდეს და მას იცავდეს, თვითონ ამ პრინციპის არასწორ გაგებას ნიშნავს. საკონტრაქტო უფლება არ გულისხმობს, რომ ყველა ურთიერთხელსაყრელი კონტრაქტი ნებადართულია. ცხადია, თუ A და B კონტრაქტით შეთანხმდებიან, რომ გააძარცვონ C, ეს ამ პრინციპს არ შეესაბამება. კონტრაქტის უფლება გულისხმობს, რომ უფლებამოსილი არიან ნებისმიერი კონტრაქტი დადონ, რაც მათ ქონებას შეეხება, მაგრამ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა გულისხმობს კონტრაქტების დადებას მესამე მხარის ქონებასთან მიმართებაში. როდესაც ბანკი თავის "ჭარბ" რეზერვებს კრედიტორს ასესხებს, ასეთი ორმხრივი კონტრაქტი სამშაგავგულნას ახდენს მესამე მხარის ქონებაზე. ჯერ ერთი, ამით იზრდება ფულის მარაგი და ფულის სხვა მფლობელით მსყიდველობითი უნარი მცირდება. მეორე, ყველა მენაბრეს ზიანი ადგება, რადგან მათივე საკუთრების იოლად უკან დაბრუნების ალბათობა მცირდება; და მესამე, სხვა კრედიტორებს - სასაქონლო კრედიტის მსესხებლებს - ყველას ზიანი ადგებათ,

²⁶ Lawrence White, *Competition and Currency* (New York: New York University Press, 1989); George Selgin, *The Theory of Free Banking* (Totowa, N.J.: Rowman & Littlefield, 1988)

²⁷ Joseph Salerno, "The Concept of Coordination in Austrian Macroeconomics," in *Austrian Economics: Perspectives on the Past and Prospects for the Future*, Richard Ebeling, ed. (Hillsdale, Mich.: Hillsdale College Press, 1991); "Mises and Hayek Dehomogenized," *Review of Austrian Economics* 6, no. 2 (1993): გვ. 113-46.

²⁸ White, *Competition and Currency*, გვ. 156; George Selgin, "Short-Changed in Chile: The Truth about the Free-Banking Episode," *Austrian Economics Newsletter* (Winter/Spring, 1990).

რადგან ფიდუციარული კრედიტის შემოტანა მთელი საკრედიტო სისტემის უსაფრთხოებას ამცირებს და ყოველი სასაქონლო კრედიტის ინვესტორის ბიზნეს-წარმატებას დიდი რისკის ქვეშ აყენებს.

წინააღმდეგობათა დასაძლევად, რაც იმ განცხადებას მოჰყვა, რომ ნაწილობრივი რეზერვების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა კონტრაქტის უფლების პრინციპებს ესადაგება, უაითოა და სელჯინმა თავდაცვის უკანასკნელი ხაზისკენ დაიხიეს და ის პოზიცია დააფიქსირეს, რომ ბანკებმა თავიანთ შენიშვნებში უნდა შეიტანონ "სპეციალური პუნქტი", რომელიც მენაბრებებს აცნობებს, რომ ბანკმა შესაძლოა ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან გადააადოს თანხის უკან დაბრუნება, ხოლო კრედიტორებს აცნობებს, რომ შესაძლოა სესხების დაუყოვნებლივ დაბრუნება მოსთხოვონ²⁹. რადგან ასეთი პრაქტიკა ნამდვილად ქმნის ისეთი განწყობას, რომ თაღლითობა დაბრალდეთ, ეს საფუძვლიანი კრიტიკის ეიდევე ერთი საგანია, რადგან ასეთი შენიშვნები უკვე ფულის კი არა ლატარიის ბილეთისთვის დამახასიათებელი ფორმაა³⁰. ფულის ფუნქცია ყიდვა-გაყიდვისთვის და ფართოდ მისაღები საქონლის სახით გამოყენებაა, რაც მის მფლობელს საშუალებას მისცემს მომავალში ნებისმიერ დღეს პქონდეს შესაძლებლობა შეუფერხებლად შეიძინოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი დანიშნულების სამომხმარებლო და სანარმოო საქონელი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი რამ შეიძლება ფულად გამოდგეს, რაც მომავლის ნებისმიერ მომენტში შეიძლება მყისიერად ყიდვა-გაყიდვად იყოს. ეს კი ისეთი რამ უნდა იყოს, რაც მფლობელს საკუთრების ყოვლისმომცველ და უპირობო უფლებას მისცემს. ამის საპირისპიროდ, იმ ხელწერილის მფლობელს, რომელიც ამ ფრაზას შეიცავს, ქონების უპირობო უფლება კი არ ექნება, არამედ "მანქანის სადგომებზე ნაწილობრივ დაშვების ბილეთის" (სადაც უფრო მეტ ბილეთებს ყიდიან, ვიდრე პარკინგის ადგილია, და ადგილები "მოსწრებაზე") მფლობელის მსგავსად უბრალოდ უფლება ექნება გარკვეული პრიზების გათამაშებაში მიიღოს მონაწილეობა, რაც მოიცავს მესაკუთრეობის ან დროებით დაქირავების სერვისებს კონკრეტულ საქონელზე კონკრეტული ნების შესაბამისად. მაგრამ გათამაშების უფლებას, უპირობო ქონების უფლების ნაცვლად, მხოლოდ დროებითი პირობითი ლირებულება აქვს, ე.ი., მანამ, სანამ გათამაშება შედგება, და როგორც კი ბილეთის მფლობელებზე პრიზები განაწილდება, უფასური ხდება; ამგვარად, ისინი გაცვლის საშუალებად არ გამოდგება.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, რომ ნაწილობრივ სარეზერვო საბანკო სისტემა ეკონომიკურად ეფექტიანია, მოუხედავად იმისა, რომ უაითი კარგად იცნობს ავსტრიული სკოლის მიზნისეულ მოსაზრებას, რომ ფიდუციარული კრედიტის შემოტანას მკვეთრად აღმავალ-დაღმავალი ციკლი მოჰყვება, არსად არ ახსენებს ბიზნეს-ციკლების პრობლემებს. მხოლოდ სელჯინი ეხება ამ პრობლემას. ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ ნაწილობრივი რეზერვების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა ბიზნეს-ციკლებს არ იწვევს, მაგრამ შემდეგ მთლიანად კენზისულ ფუნდამენტურ შეცდომას იმეორებს და ერთმანეთში ურევს ფულზე მოთხოვნას (ფულის სარგებელიანობით გამომწვეულს) და დანაზოგებს (დროებითი პრიორიტეტებით განსაზღვრულს)³¹.

სელჯინის თანახმად, "შიდა ფულის შენახვა ფულის ნებაყოფლობით დაზოგვა" და "შესაბამისად ფულზე მოთხოვნილების ზრდა საბანკო სესხებისა და ინვესტიციების ზრდას განაპირობებს", რადგან ყოველთვის "როდესაც ბანკი ახალი სესხების გაცემითა და ინვესტიციებით თავის ვალდებულებებს ზრდის, სინამდვილეში გამსესხებლები ამ

²⁹ White, Currency and Competition, გვ. 157; Selgin, The Theory of Free Banking, გვ. 137.

³⁰ Block, "Fractional Reserve Banking: An Interdisciplinary Perspective", გვ. 30

³¹ Rithbard, American Great Depression, გვ. 39-43; Hans-Herman Hoppe, "Theory of Employment, Money, Interest, and the Capitalist Process: The Misesian Case Against Keynes", in The Economics and Ethics of Private Property, Hoppe, ed. (Boston: Kluwer, 1933), გვ. 119-120, 137-138.

ვალდებულებების მფლობელები არიან და ის, რასაც ისინი გაასესხებენ, არის ის რეალური რესურსები, რომელთაც ისინი დაეუფლებოდნენ, თუკი ფულს დაზოგვის მაგივრად დახარჯავდნენ³². ამ მოსაზრებით, თითქოს ფულის შენახვა ფულის დაზოგვაა და ფულზე დიდი მოთხოვნილების ზრდა იგივეა, რაც დანაზოგის ზრდა, სელჯინი მიზეზის იმ მოსაზრების კრიტიკას იწყებს, რომ სარგებლის "ბუნებრივზე" ქვემოთ დაწვეის დროს ნებისმიერი ფიდუციარული გაცვლის საშუალების გამოშვება "არეულ" ბიზნეს ციკლს გამოიწვევს. "ფიდუციარული გაცვლის საშუალების გამოშვებას შიდა ფულზე დიდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არანაირი უარყოფითი შედეგი არ მოყვება."³³

მაგრამ სელჯინი დაბნეულია. აშკარა შეცდომაა იმის თქმა, რომ ფულის შენახვა, ე.ი., მისი არდახარჯვა დაზოგვის ტოლფასია; ისევე როგორც - ფულის არდახარჯვა არდაზოგვის ტოლფასია. ფაქტიურად, დაზოგვა ნიშნავს არმოხმარებას და ფულზე მოთხოვნას დაზოგვა-არდაზოგვასთან არაფერი აქვს საერთო. ფულზე მოთხოვნა გულისხმობს, რომ არ სურთ არაფულადი/მატერიალური საქონლის - ამაში შედის სამომხმარებლო საქონელი (არსებული საქონელი) და წარმოების საშუალებები (მომავალი საქონელი) - ყიფა ან იჯარით აღება. ფულის არდახარჯვა ნიშნავს, რომ არც სამომხმარებლო საქონელი შევიძინოთ და არც საინვესტიციო. მაშინ სელჯინის საპირისპიროდ ვითარება ასეთია: ადამიანს შეუძლია თავისი ფულადი აქტივები სამი სახით გამოიყენოს: ან სამომხმარებლო საქონელზე დახარჯოს, ან ინვესტიციებზე, ან ნაღდი ფულის სახით შეინახოს. სხვა ალტერნატივა არ არსებობს. როდესაც ადამიანს გამუდმებით უხდება გადანყვეტილების მიღება სამივესთან მიმართებაში, შედეგს მუდამ ორი სხვადასხვა და პრაქტიკულად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ფაქტორი განსაზღვრავს. მოხმარება/ინვესტიციის თანაფარდობა, ე.ი., გადანყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რამდენი ფული უნდა დაიხარჯოს მოხმარებაზე და რამდენი ინვესტიციაზე, ადამიანის დროებითი პრიორიტეტები განსაზღვრავს, ე.ი., ის ხარისხი რა ხარისხის უპირატესობასაც ანიჭებს ეს ადამიანი ახლანდელ მოხმარებას მომავალ მოხმარებასთან შედარებით. მეორე მხრივ, ადამიანის მოთხოვნას ნაღდ ფულზე ფულთან დაკავშირებული სიამოვნება წარმოშობს. ფულით ადამიანს შეუძლია მომენტალურად შეიძინოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოხმარების საქონელი ან მომავალში გამოსადეგი სანარმოო საშუალებანი.

ამრიგად, თუ ხალხში დაგროვილი ფულის მასის გაცემას ფულზე მოთხოვნის ზრდა მოჰყვება, დამატებითი მოთხოვნა მხოლოდ არაფულად საქონელზე ფულადი ფასების შემცირებით შეიძლება დაკმაყოფილდეს. ფულის მსყიდველობითი უნარი გაიზრდება, ნაღდი ფულის ცალკეული მარაგის რეალური ღირებულება აინევს და ფულის თითოეული ერთეულის მაღალი მსყიდველობითი უნარით მოთხოვნა-მიწოდება ისე განაწონაწორდება. ფულადი ფასის თანაფარდობა არაფულადთან მიმართებაში შეიცვლება. მაგრამ თუ იმავედროულად დროებითი პრიორიტეტიც არ შეიცვალა რეალური მოხმარება და რეალური ინვესტიცია ისეთივე დარჩება როგორც ადრე იყო: ფულზე დამატებითი მოთხოვნა ნომინალური მოხმარებით და ინვესტიციის შემცირებით დაკმაყოფილდება ადრე არსებული მოხმარება/ინვესტიციის თანაფარდობის შესაბამისად, რაც სამომხმარებლო და სანარმოო საქონლის ფასების შემცირებას გამოიწვევს და რეალური მოხმარება და ინვესტიცია ზუსტად ძველსავე დონეზე დარჩება. მაგრამ, თუ დროებითი უპირატესობა ფულის გაზრდილ მოთხოვნასთან ერთად შეიცვლება, მაშინ ყველაფერი შესაძლებელი იქნება. სინამდვილეში, თუ მხოლოდ და მხოლოდ საინვესტიციო საქონელზე შეამცირებენ ხარჯვას, სარგებლის

³² Selgin, The Theory of Free Banking, გვ. 137.

³³ იქვე, გვ. 61-62

ზრდა და შემცირებული დანახოვები და ინვესტიციები ფულზე მოთხოვნას გაზრდის. მაგრამ არც ეს და არც საპირისპირო შედეგი, ფულზე მოთხოვნილების შეცვლით კი არ იქნება გამოწვეული, არამედ მხოლოდ დროებითი პრიორიტეტის ცვლებადობით (ზრდა ან კლება). ნებისმიერ შემთხვევაში, საბანკო სისტემა სელჯინის რეკომენდაციას რომ მიჰყვეს და გაზრდილი მოთხოვნა ნალდ ფულზე ფიდუციური კრედიტის გაცემით დააკმაყოფილოს, დროებითი პრიორიტეტების საერთო დონის ფალსიფიცირება მოხდება, ჭარბი ინვესტიციები იქნება და აღმაჯალ-დაღმაჯალი ციკლი დადგება, რაც ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკებს თალლითურს და აგრეთვე ეკონომიკურად არაეფექტიანს გახდის.

უაითის და სელჯინის მიერ შემოთავაზებული სასაქონლო ფულზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპითა და დეკრეტული ფულის გამოყენებით მოქმედი ბანკების კონკურენციას გულისხმობს, არც სამართლიანია და არც ეკონომიკის მდგრადობას უწყობს ხელს. ის დიდად ვერაფრით სჯობს მონოპოლისტურად გამოშვებულ წმინდა დეკრეტული საგადამხდელო საშუალების მონეტარისტულ რეალობას. უნდა ითქვას, რომ ერთი თვალსაზრისით, ფრიდმენის მიერ წმინდა დეკრეტული ფულის შემოთავაზება უფრო რეალისტურ და კორექტულ ანალიზს შეიცავს ვიდრე უაითის და სელჯინის, რადგან ფრიდმენი აღიარებს მას, "რასაც ნაწილობრივი რეზერვის საბანკო სისტემის "ნიშანდობლივ არასტაბილურობას" უწოდებენ" და ესმის, რომ კონკურენტული ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის ეს ნიშანდობლივი არასტაბილურობა "ლიკვიდობის კრიზისის" დროს ადრე თუ გვიან კრახს განიცდის და ბოლოს მის სასურველ რეჟიმამდე - მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ წმინდა დეკრეტულ საგადამხდელო საშუალებამდე მივა.

ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და ახლანდელ მონეტარისტულ ფიასკოზე სწორი რეაგირება მხოლოდ საყოველთაო სასაქონლო ფულის (ოქროს), კონკურენტული ბანკების და 100-პროცენტოანი სარეზერვო სადეპოზიტო ბანკების სისტემას შეუძლია, სადაც სასესხო და სადეპოზიტო საბანკო ოპერაციების მკაცრი ფუნქციური გამიჯვნა მართლმსაჯულების პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია.



გიდო ჰულსმანი

1966

გიდო ჰულსმანი (Jörg Guido Hülsmann) - ანჟეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) ეკონომიკის პროფესორი, ლუდვიგ ფონ მიზესის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

გიდო ჰულსმანი ფილოსოფიას სწავლობდა ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში, შემდეგ საინჟინრო ეკონომიკას ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში (დაამთავრა 1992 წ.), ფინანსურ ეკონომიკას, მენეჯმენტს და მარკეტინგს ტულუზის უმაღლეს კომერციულ სკოლაში (1991-1992). 1996 წელს ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში მიენიჭა დოქტორის ხარისხი (ეკონომიკაში).

1997/1998 წლებში მუშაობდა პარიზ-ასასის უნივერსიტეტში მკვლევარად, 1998 წლიდან - ბუფალოს უნივერსიტეტში (ნიუ იორკი). 2004 წლიდან ანჟეს უნივერსიტეტის პროფესორია. 2000 წელს მოღვაწეობდა მიზესის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. 2004 წლიდან ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია.

ჰულსმანის კვლევის ინტერესია ეკონომიკისა და ლიბერალიზმის ისტორია, მონეტარული თეორია, ეკონომიკასა და რელიგიას შორის ურთიერთობა. თავის შრომაში "მონეტარული კონკურენციის ლოგიკა" (1996) მონეტარული თეორიის განხილვისას იგი ამტკიცებს, რომ ფულის სახელმწიფო და არასახელმწიფო მწარმოებლებს შორის კონკურენცია სიცოცხლისუუნაროა.

ნიგში "ფულის წარმოების ეთიკა" (*The Ethics of Money Production, 2008*) ავტორი იკვლევს ფულის წარმოებას უძველესი დროიდან დღევანდლამდე. მისი მტკიცებით, ფულის წარმოებაში სახელმწიფოს ჩარევები იწვევს არასტაბილურობას, არამედ ინფლაციას, და დესტაბილიზაციას. ფულის წარმოებაზე და მართვაზე ხელისუფლების მონოპოლიას არ აქვს არც ეთიკური და არც ეკონომიკური საფუძველი. ფული კერძოდ უნდა იყოს წარმოებული, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საქონელი.

გიდო ჰულსმანის მთავარი შრომებია: "მიზესი - ლიბერალიზმის უკანასკნელი რაინდი" (2007), "ნესრიგი და ანარქია" (2007), "დომინანტური თეორიის კრიტიკა" (1993).

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატიები სამეცნიერო ჟურნალში "Journal of Libertarian Studies", აგრეთვე ავსტრიული ეკონომიკის ყოველკვარტალურ ჟურნალში (*Quarterly Journal of Austrian Economics*).

გიდო პულსმანი

უტილიტარისტული შეხედულებები ფულის წარმოშობასთან დაკავშირებით¹

თარგმნა თეონა ლავრელაშვილმა

ნამდვილი ფულის წარმოების საკმარისობა

ისტორიაში არ არის შემთხვევა, რომ საბაზრო კონკურენციისას ქალაქის ფული ყოფილიყო წარმოებული. ოდესმე, ან სადაც არ უნდა წარმოშობილიყო ის არსებობდა მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიცია და სასამართლოები კრძალავდნენ ბუნებრივ ალტერნატივებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალაქის ფული სახელმწიფოსთვის არის საკუთარი მოქალაქეების პირადი თავისუფლების შეზღუდვის საშუალება. ეს ნიშნავს, აგრეთვე, ასოციაციებისა თუ ხელშეკრულებების თავისუფლების ისეთი სახით შეზღუდვას, რაც გავლენას ახდენს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ეს ნიშნავს პოლიციისა და სასამართლოს გამოყენებას იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ ნამდვილი ფულის, მაგალითად ოქროს და ვერცხლის გამოყენება.

აღნიშნული გარემოებები მძიმედ მოქმედებს ქალაქის ფულის წინააღმდეგ. როდესაც სახელმწიფო ძალადობას იყენებს საკუთარი მოსახლეობის მიმართ, რათა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ფული დაამკვიდროს, ეს მართლაც არ არის უბრალო საკითხი, არამედ ისეთი, რომელიც დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. თუ ვვინდა ამ ყველაფერს მორალური ახსნა მოვუძებნოთ, მაშინ ახსნილი უნდა იქნას, რომ ქალაქის ან ელექტრონულ ფულს ნამდვილად გააჩნია უპირატესობა და მას დადებითი შედეგები მოაქვს ერისთვის. შესაძლებელია თუ არა ქალაქის ან ელექტრონული ფული გამართლებული იქნას უტილიტარისტული შეხედულებების საფუძველზე? სწორედ ამ კითხვების ირგვლივ ვიმსჯელებთ.

აღსანიშნავია, რომ ვიდრე ქალაქის ფული გაჩნდებოდა, არც ერთ ფილოსოფოსს არ გაუკრიტიკებია სასაქონლო ფული უტილიტარისტული პოზიციებიდან. პლატონს ნამდვილად ჰქონდა იდეა - ნამდვილ ფულზე, ოქროსა და ვერცხლზე კერძო საკუთრება აკრძალულიყო, რადგან თვლიდა, რომ იგი იყო ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა ინდივიდის ეკონომიკურ დამოკიდებულებას სახელმწიფოსაგან². თუმცა პლატონს და არც არისტოტელეს არასდროს გაუკრიტიკებიათ ოქრო და ვერცხლი უტილიტარისტული პოზიციების მიხედვით. ეპისკოპოსი ნიკოლას ორესმე ამტკიცებდა, რომ ფულის მიწოდება სრულებით არარელევანტური იყო ფულის გაცვლასთან მიმართებით. ნომინალური ფულის მიწოდებაში ცვლილებები - "სახელების შეცვლა" - ვერ ხდის მას გაცვლის პროცესთან შესაბამისს. ასეთი ცვლილებები მხოლოდ გადაადგილებულ გადახდებზე (სასესხო გარიგებებზე)

¹ უტილიტარისტული შეხედულებები ფულის წარმოშობასთან დაკავშირებით ("Utilitarian Considerations on the Production of Money") წარმოადგენს ავტორის ნიგნის "ფულის წარმოების ეთიკა" (*The Ethics of Money Production*) მეოთხე თავს (გამოქვეყნდა ლუდვიგ მიზუსის ინსტიტუტის მიერ, 2008 წ.).

² პლატონი, კანონები, ნიგნი 5; იგი ამტკიცებდა, რომ ფული უფრო შესაფერისია ტოტალიტარული იდეალური ქალაქისათვის, რომლის კედლებს გარეთ მას არ აქვს არანაირი მნიშვნელობა

³ ნიკოლას ორესმე, "ტრაქტატი წარმოშობის, ბუნების, სამართალისა და ფულის ცვლილების შესახებ"; ჩარლზ ჯონსონი "ნიკოლას ორესმეს მონეტა და ინგლისური ზარაფხანის დოკუმენტები" (ლონდონი: ტომას ნელსონი, 1956), თავი 11, გვ 18;

მე-16 საუკუნემდე არ არსებობდა ფულის დაგროვების, ან ფასების სიმქციის პრობლემა, და შესაბამისად, არ იყო ფასების დონის, ფულის მსყიდველობითუნარიანობისა, თუ ერთობლივი მოთხოვნის განონასწორების საჭიროება. თუმცა, ქალაქის ფულის მომხრეები ამას არ აღიარებენ. მათი აზრით, გვიანი შუა საუკუნეებამდე, პრიმიტიული ეკონომიკისთვის, ოქრო და ვერცხლი საკმარის წარმოადგენდა. თუმცა, კაპიტალისტურმა ეკონომიკამ, რომელიც რენესანსის დროს წარმოიშვა, განსხვავებული სახის ფულის არსებობა განაპირობა. გაჩნდა სხვადასხვა თეორიები, რომლებიც განიხილავდნენ ახალი ქალაქის საგამდებლო საშუალების წარმოშობის საჭიროებას.

თუმცა, ვიდრე განვიხილავდეთ ყველა იმ ცდომილებას, რაც მოჰყვა ქალაქის ფულის გამამართლებელ თეორიებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1500-მდე ამგვარმა წაშრომმა ცხარე კამათი გამოიწვია. უკვე ავლნიშნეთ, რომ ორესმე ამტკიცებდა ფულის მიწოდების არარელევანტობას, იმ ლოგიკით, რომ ფულის გაცვლის სერვისები არ იყო დამოკიდებული გამოყენებული ფულის რაოდენობაზე.

რენესანსისა და მერკანტილიზმის პერიოდის ინტელექტუალებს არასოდეს არ ჰქონდათ ამგვარი ფუნდამენტალური შეხედულებები. იმ ინტელექტუალებმაც უნდა გაიზიარონ ეს, ვინც სხვადასხვა ინფლაციონისტური თეორიებით ცდილობდა გამართლებინა ქალაქის ფული⁴. შემდეგ კი კლასიკოსმა ეკონომისტებმა დაასკვნეს, რომ ფულის რაოდენობა მნიშვნელოვანია, თუმცა, შესაძლოა, ეს შეხედულებები მათ მერკანტილიზმის მკვლევარების გავლენით მიიღეს⁵. პირველი ეკონომისტი, რომელსაც ნათლად გამოხატული მეცნიერული მიდგომა ჰქონდა, გახლდათ ჯონ უითლი, აგრეთვე მეცნიერები - მონეტარული აზროვნების ბრწყინვალე კრიტიკოსი იოზეფ, სტიუარტი და სმით⁶. თუმცა, უითლიმ ბუქდევითი სახით არასდროს წარმოუდგენია სისტემური დოქტრინა. მე-20 საუკუნეში კი ლუდვიგი ფონ მიზესმა და მარი როთბარდმა შეავსეს ეს ხარევი. მათი აზრით, სახელმწიფოს მიერ ფულის მიწოდების მართვას არავითარი სოციალური სარგებელი არ მოაქვს. როთბარდის სიტყვებით: "ჩვენი დასკვნებით, ფულის მიწოდების განსაზღვრა, ისევე, როგორც ყველა სხვა საქონლის, უკეთესია მიანდო თავისუფალ ბაზარს. თავისუფლების იდეის ძალადობაზე საერთო ზნეობრივი და ეკონომიკური უპირატესობის გარდა, ფულის განსაზღვრულ რაოდენობას შეუძლია უფრო მეტი კარგის გაკეთება, ხოლო თავისუფალი ბაზარი შექმნის მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამის ოქროს წარმოებას, ყველა სხვა წარმოებულ საქონელთან შედარებით⁷."

როგორც უკვე ავლნიშნეთ, ეს სხვა არაფერია, თუ არა ნამდვილი სიახლე აზრის ისტორიაში. ორესმემ ნათლად დაინახა, რომ ნომინალური ფულის მიწოდების გაზრდა მხოლოდ

⁴ ჯონ ლოკი ამტკიცებდა, რომ დახურულ ეკონომიკაში, "ფულის ნებისმიერ რაოდენობა... შესაბამება ვაჭრობის ნებისმიერ პროპორციას...". "ზოგიერთი მოსაზრებები სარგებლის დანების შედეგებზე და ფულის ღირებულების ამაღლებაზე" (1691); .. Kelly, ed., *Locke on Money* (Oxford: Clarendon Press, 1991), თავი 1, გვ. 264

⁵ დევიდ რიკარდო ლოკის არგუმენტზე დაყრდნობით ამტკიცებდა ტრანზაქციების რაოდენობის გაზრდის თაობაზე: "შესაძლოა უფრო მეტი საქონელი შექმნილ იქნეს ან გაიყიდოს, მაგრამ შედარებით დაბალ ფასებში; ასე რომ იგივე თანხა მინც ტრანზაქციის რაოდენობის ზრდის ადეკვატური იქნება, ყოველი გარეგნობისა უფრო მაღალ ღირებულებაზე გადასვლით." პრობლემა, რიკარდოს აზრით, ის იყო, რომ ფულის მსყიდველობითუნარიანობის გაზრდით გამოიწვევოთ ფულის დამატებითი წარმოება, და შედეგად შეიცვალა სტანდარტული ღირებულება. უფრო მეტიც, ეს ცვლილებება გავლენას მოახდენს გადაავადებულ გადახდებზე. David Ricardo, "Proposals for an Economical and Secure Currency," *Works and Correspondence*, Piero Sraffa, ed. (Cambridge: Cambridge University Press, 1951-1973), გვ. 56.

⁶ John Wheatley, *The Theory of Money and Principles of Commerce* (London: Bulmer, 1807). On Wheatley see Thomas Humphrey, "John Wheatley's Theory of International Monetary Adjustment," *Federal Reserve Bank of Richmond Economic Quarterly* 80, no. 3 (1994); Wheatley's treatise is still referenced today in Paul Lagasse et al. eds., *Columbia Encyclopedia Britannica*, 6th ed. (Gale Group, 2003), entry on "Money."

⁷ Murray N. Rothbard, *What Has Government Done to Our Money?*, 4th ed. (Auburn, Ala.: Ludwig von Mises Institute, 1990), გვ. 34.

თავადებს გაამდიდრებდა საზოგადოების ხარჯზე. მაგრამ, გარდა საგანგებო სიტუაციებისა, ფულის მიწოდების ნომინალური გაზრდა საერთო კეთილდღეობის მისაღწევად აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ორესმეს აზრით, მონეტათა სისტემის ნომინალური ცვლა: "სკანდალს კი არ გვაცილებს, არამედ წარმოშობს, და მას ძალიან საშიში შედეგები აქვს. ზოგი მათგანი უკვე ავლნიშნეთ, ზოგიც შემდეგ გამოჩნდება. არ არსებობს მისი არც აუცილებლობა და ვერც საერთო კეთილდღეობას მოგვიტანს"⁸.

სიმართლე ხშირად ძალიან მარტივია. სირთულეს შეცდომები ქმნიან. ფულის შემთხვევაშიც ასე ხდება. მარტივი ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ არანაირი პოლიტიკური ჩარევები არაა საჭირო ფულის წარმოების პროცესში. თუმცა, ასეთი ჩარევების გასამართლებლად ბევრი თეორია იქნა მოგონილი⁹. ამ ნაშრომში მხოლოდ 7 ყველაზე მეტად გავრცელებულ შეცდომას განვიხილავთ.

ეკონომიკური ზრდა და ფულის მიწოდება

ყველზე მეტად გავრცელებულ შეცდომას ალბათ წარმოადგენს გულუბრყვილო რწმენა იმისა, რომ ეკონომიკური ზრდა მხოლოდ ფულის მიწოდების გაზრდით არის შესაძლებელი¹⁰. დავუშვათ, რომ წლიური ეკონომიკური ზრდა 5 პროცენტს შეადგენს, მაშინ ფულის მიწოდებაც 5 პროცენტით უნდა გაიზარდოს, სხვაგვარად ახლადშექმნილი საქონელი და მომსახურება ვერ გაიყიდება. აღნიშნული მიდგომის მომხრენი აღნიშნავენ, რომ ფულის მიწოდების ასეთი ზრდის ტემპები კეთილშობილ ლითონებს ნაკლებად ახასიათებთ. თანამედროვე დინამიურ ეკონომიკაში ოქრო და ვერცხლი შეუსაბამოა და უმჯობესია იგი ქაღალდის ფულით ჩავანაცვლოთ, რომლის წარმოება უფრო დაბალხარჯიანია.

ეს არგუმენტი მცდარია, რადგან საქონელისა თუ მომსახურების ნებისმიერი რაოდენობის გაცვლა შეიძლება პრაქტიკულად ფულის ნებისმიერი მიწოდების შემთხვევაში. დავუშვათ, რომ ჩვენს შემთხვევაში ფულის მიწოდება არ იცვლება. თუკი ბაზარზე 5 პროცენტით მეტი საქონელი და მომსახურება იქნება შეთავაზებული, აღნიშნულ საქონელზე ფასი დაიწევს. იმავე მექანიზმით მოხდება ეკონომიკური ზრდა, თუკი ფულის რაოდენობა შემცირდება. ამგვარად, ნამდვილი ფულის, ანუ ოქროსა და ვერცხლის ნებისმიერი მიწოდება შეიძლება მიესადაგოს ნებისმიერი ტემპის ზრდას.

კეთილშობილი ლითონის გამოყენებისას არსებობს გარკვეული ტექნოლოგიური შეზღუდვები. დავუშვათ, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ზრდის მაჩვენებელი მაღალია. ამ შემთხვევაში საჭიროა წარმოებული მონეტის ზომის შემცირება, რათა მისი გამოყენება გახდეს არაპრაქტიკული. ეს პრობლემა განსაკუთრებით ოქროსთან და არა ვერცხლთან მიმართებაშია უფრო რეალური. ამიტომაც ბევრი ცნობილი ავტორი ვერცხლს ანიჭებს უპირატესობას. როგორც ეპისკოპოსმა ორესემ ჯერ კიდევ 700 წლის წინ აღნიშნა, არაპრაქტიკული მონეტის გამოყენების ნაცვლად უნდა გადავიდეთ სხვა ძვირფას ლითონებზე, მაგალითად ვერცხლზე¹¹.

⁸Oresme, "Treatise," თავი. 18, გვ. 29. "Observations on the Causes of the Decline of Ancient Civilization," in *Human Action* (Auburn, Ala.: Ludwig von Mises Institute, 1998), გვ. 761-63.

⁹James Kimball, "The Gold Standard in Contemporary Economic Principles Textbooks: A Survey," *Quarterly Journal of Austrian Economics* 8, N 3 (2005).

¹⁰Heinrich Pesch, *Lehrbuch der Nationalökonomie* (Freiburg i.Br.: Herder, 1923), თავი. 5, გვ. 175; Étienne Perrot, *Le chrétien et l'argent—Entre Dieu et Mammon* (Paris: Assas éditions/Cahiers pour croire aujourd'hui, Supplement no. 13, 1994), გვ. 16; Jean-Baptiste Say, *Traité d'économie politique*, 6th ed. (Paris: Guillaumin, 1841), თავი. 27, გვ. 278-87; Ludwig von Mises, *Theory of Money and Credit* (Indianapolis: Liberty Fund, 1980), გვ. 512-24. Oresme, "Treatise," თავი. 13, გვ. 20.

¹¹Oresme, "Treatise," თავი. 13, გვ. 20.

ჩვენ დავამატებდით, რომ თავისუფალ ბაზარზე ამგვარი ცვლილება შეიძლება ძალიან სწრაფად და ეფექტიანად განხორციელდეს და ამ პროცესს არანაირი პოლიტიკური ჩარევა არ სჭირდება.

წარმოების ზრდასთან დაკავშირებული უფრო თანამედროვე ვარიანტი მოითხოვს, რომ ნებისმიერი რაოდენობის საქონელი შეიძლება იყოს გაცვლის საგანი ნებისმიერი ფულის მიწოდებით. თუმცა, ამის მომხრენი აღნიშნავენ, რომ თუ მენარმეები იძულებული იქნებიან, საკუთარი პროდუქცია დაბალ ფასად გაყიდონ, ეს ფასი დანახარჯებთან შედარებით საგრძნობლად დაბალი იქნება, რაც მენარმისათვის გაკოტრების მომხარვეზებელია.

აღნიშნული ვარიანტი კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან იგი სამენარმეო საქმიანობის მექანიზმურ ხასიათს ეფუძნება. ფაქტია, რომ მენარმეები შეენიანაღმდეგებიან საკუთარი პროდუქტის დაბალ ფასად გაყიდვას. შესაძლოა დანახარჯების ფასიც შეამცირონ და ამით კიდევ უფრო შეუნყონ ხელი ფასების ვარდნას. ეს არა მხოლოდ თეორიული შეხედულებაა, არამედ ჩვეულებრივი მდგომარეობა ფასების დონის სტაბილურობის, ან ვარდნის პერიოდში. მაგალითად მე-19 საუკუნეში სამი ათწლეულის განმავლობაში გერმანიაში და აშშ-ში შეინიშნებოდა ფასების დიდი ზრდა და მომხმარებლის მსყიდველუნარიანობის დონის ვარდნა¹². იგივე ტენდენცია შეიმჩნევა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერების ბაზარზე, როგორც 1980-იანი წლებიდან ყველაზე სიცოცხლისუნარიან ბაზარზე, სადაც შეინიშნება პროდუქციის ფასებზე, როგორც სწრაფი ზრდა, ასევე დაცემა.

ფულის გადანახვა

აღნიშნული საკითხები ფულის გადანახვასაც ეხება. ფულით ვერ ისარგებლებ, თუ ხელთ არ გექნება ფულის გარკვეული რაოდენობა. შესაბამისად, მონეტარულ ეკონომიკაში ყველა მონაწილე ინახავს ფულს. თუმცა, ნეიტრალური სიტყვა "ფლობის" მაგიერ, რატომღაც დამამცირებელი ტერმინი "გადაძუნვა" გამოიყენება, რადგან მიიჩნევა, რომ ამა თუ იმ ადამიანს ფული ჭარბად აქვს. მაგრამ საკითხავია, რასთან შედარებ?

შესაძლებელია დაგროვებას მორალური განმარტებაც კი მივცეთ. ზოგიერთს ნაღდი ფულის დაგროვების ნევროზული მიდრეკილება გააჩნია. ისინი უარს ამბობენ ტანსაცმლის ყიდვაზე, განათლების მიღებაზე, სახლის შეძენაზე, ქველმოქმედებასა და ა.შ. შესაბამისად, საკუთარ თავს ადამიანური ყოფის შესაძლებლობებს ართმევენ. თუმცა, ეს განმარტება ფულის გადანახვას, როგორც პათოლოგიურ ქცევას არ ეხება. იგი უფრო ადამიანის კეთილდღეობისათვის სხვადასხვა საშუალებების ინვესტირებას ეხება. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ფულის გადანახვა ერთი ადამიანისთვის თუ ადამიანთა ჯგუფისათვის სასურველიც კია. საუკუნეების მანძილზე სწორედ ფულის გადანახვა წარმოადგენდა საპენსიო ასაკში სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად. ანალოგიურად, სააქციო ბაზარზე, ან უძრავი ქონების ბუმის დროს გონივრულია ფულის დიდი რაოდენობის ნაღდი სახით შენარჩუნება. თუმცა არის სიტუაციებიც, როდესაც ნაღდი ფულის თუნდაც მცირე სახით შენახვა, არასასურველია. ყოველი ასეთი შემთხვევა ინდივიდუალურ განხილვას საჭიროებს.

ჭარბი ფულის გადანახვასთან ბრძოლის ყველაზე სწორი გზა ადამიანების დარწმუნება, რომ შეცვალონ თავიანთი ქცევა. თუ ისინი გაჯიუტდებიან? მაშინ მიზანშეწონილია ისეთი პოლიტიკური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა: ქონების კონფისკაცია თუ

¹² Milton Friedman and Anna Schwartz, *A Monetary History of the United States* (Chicago: University of Chicago Press, 1963); Ulrich Nocken, "Die Große Deflation: Goldstandard, Geldmenge und Preise in den USA und Deutschland 1870-1896," Eckart Schremmer, ed., *Geld und Währung vom 16. Jahrhundert bis zur Gegenwart* (Stuttgart: Franz Steiner, 1993), გვ. 157-89.

ფულის მიწოდების ხელოვნური გაზრდა? პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია. დაგროვება, როგორც ასეთი, შესაძლოა პათოლოგიურიც კი იყოს, მაგრამ ხალხს არ უნდა წაეართვათ ის, რაც მათი უფლებებია. ამასთან იგი არ უშლის ხელს ეკონომიკის ეფექტურ ფუნქციონირებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფულის აბსოლუტურ მიწოდებას ეკონომიკაში პრაქტიკულად არ აქვს მნიშვნელობა. ეკონომიკას მართლაც შეუძლია ფუნქციონირება ფულის ნებისმიერი რაოდენობის პირობებში. დაგროვება უბრალოდ ფულადი ფასების შემცირებას იწვევს. ხოლო დიდი მასშტაბებით გადანახვა შესაბამისად უფრო მკვეთრად შეამცირებს ფასებს. ნარმოვიდგინოთ ვითარება (არარეალური), ერთმა იმდენად დიდი რაოდენობით დააგროვა ვერცხლი, რომ გაცვლისათვის აუცილებლობა შეიქმნა მონეტების დარჩენილი რაოდენობა მიკროსკოპულად მცირე რაოდენობით მოიჭრას¹³. თავისუფალ ბაზარზე ბაზრის მონაწილეები დაიწყებენ სხვა ფულის გამოყენებას. ვერცხლის მონეტების ნაცვლად შესაძლოა დაიწყონ ოქროს ან სპილენძის ფულის გამოყენება.

ახლა კი წარმოვიდგინოთ სიტუაცია, რომ მიუხედავად ზემოთაღნიშნული მოსაზრებებისა, მთავრობამ ფულის გადანახვასთან საბრძოლველად ხელოვნურად გაზარდა ფულის მიწოდება. მიაღწევს კი ეს პოლიტიკა მიზანს? ყოველთვის არა. უფრო დიდი ალბათობაა, რომ პოლიტიკა ფულის გადანახვას შეუწყობს ხელს. ფულის გაზრდილი მიწოდება ფულად ფასებსაც გაზრდის, იმასთან შედარებით, რაც სხვა შემთხვევაში იქნებოდა. ეს კი ადამიანებს უბიძგებს გაზარდონ ნაღდი ფულის ნიშნები. მართალია, პიროვნებების ნაღდი ფულის ნაშთის ზრდა სულაც არ არის აუცილებლად მკაცრ შესაბამისობაში ფასების ზრდასთან, ამიტომ შესაძლებელია, რომ ამგვარი პოლიტიკის შედეგად, ადამიანებმა ფულზე მოთხოვნა შეამცირონ. მაგრამ მოსალოდნელია, რომ ასეთ პოლიტიკას არ იქნება ამგვარი შედეგი, ან ის რომ სინამდვილეში, საპირისპირო შედეგს გამოიღებს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაგროვება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ფულის მიწოდების ხელოვნური გაფართოების წინაპირობა. შესაძლოა ამ საკითხმა სულიერი ლიდერების თუ ფსიქოლოგების ყურადღება დაიმსახუროს, მაგრამ იგი არასდროს არ წარმოადგენს მონატარულ პრობლემას.

ბრძოლა დეფლაციასთან

მცდარი აზროვნების კიდევ ერთი ვარიანტია დეფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის მტკიცება. სიტყვა "დეფლაცია" შესაძლოა სხვადასხვა ასპექტში განისაზღვროს. ყველაზე ფართოდ აღიარებული განმარტების მიხედვით, დეფლაცია არის ფასების საერთო დონის განუწყვეტელი ვარდნა. ძველი ავტორები ხშირად იყენებდნენ დეფლაციას, რათა აღენიშნათ ფულის მონოდების ვარდნა, ხოლო თანამედროვე ავტორები დეფლაციას ახასიათებენ, როგორც ინფლაციის დონის შემცირებას. ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა ეს განმარტება მისაღებია. არც ერთი არ ამართლებს ფულის მიწოდების ხელოვნურად გაზრდას.

ის, რომ დეფლაციას მავნე ხასიათი აქვს, დღეისათვის იქცა მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთ საკრალურ დოგმად¹⁴. დეფლაციასთან ბრძოლის მომხრეები საკუთარი ხედვის დასაცავად წარგუმენტს გვთავაზობენ¹⁵. პირველი - მათი აზრით, დეფლაციის უარყოფითი შედეგი ერთობლივი პროდუქტის და შესაბამისად ცხოვრების სტანდარტზე ისტო-

¹³ Michael Novak, *The Spirit of Democratic Capitalism* (New York: Simon & Schuster, 1982), გვ. 98; 266-67

¹⁴ მონეტარული პოლიტიკის ხელმძღვანელები საჯარო გამოსვლებში წარმოადგენენ საკმაოდ მტკიცებულ ტექსტებს ამ კავშირის მხარდასაჭერად. პროფესორი ერნანკე, ფედერალური სარეზერვო სამსახურის დღევანდელი თავმჯდომარე განსაკუთრებით ცნობილია ამ საკითხზე.

¹⁵ Federal Reserve Bank of Cleveland, *Deflation - 2002 Annual Report* (May 9, 2003); R.C.K. Burdekin and P.L. Siklos, eds., *Deflation: Current and Historical Perspectives* (Cambridge: Cambridge University Press, 2004). On the latter volume, see Nikolay Gertchev's excellent review essay in *Quarterly Journal of Austrian Economics* 9, no. 1 (2006).

რიული გამოცდილების ბრალია. მეორე - დეფლაცია აიძულებს მომხმარებელს, გადადოს პროდუქტის შეძენა, რადგან ხდება დაბალი ფასებით სპეკულირება. მესამე - ისინი თვლიან, რომ ფასების დაცემა უარყოფითად მოქმედებს კონტრაქტებზე, რომელიც დეფლაციამდე მაღალი ფასების პირობებში იქნა დადებული. მეოთხე - იგი საბანკო ინდუსტრიის კრიზისს და კრედიტების დრამატულად კლებას იწვევს. მეხუთე - დეფლაცია მყარი ფასების პირობებში უმუშევრობას იწვევს, და ბოლოს მეექვსე - დეფლაცია იწვევს ნომინალური პროცენტული განაკვეთის ისეთი მასშტაბით შემცირებას, რომ "იაფი ფული" მონეტარული პოლიტიკის პირობებში წარმოებისა და დასაქმების სტიმულირება ვერ მოხდება, რადგან სარგებელი ნულს ქვემოთ ვერ შემცირდება. თუმცა, თეორიული და ემპირიული თვალსაზრისით, არ არსებობს ამ არგუმენტების სათანადო დასაბუთება¹⁶.

პირველი - ისტორიულად დეფლაციას არ ჰქონია მკვეთრად ნეგატიური ზეგავლენა ერთობლივი პროდუქტის წარმოებაზე. ფასების დონე სისტემურად არ ეფარდებოდა წარმოების დაბალ მაჩვენებელს. არ არსებობს ემპირიული დასაბუთება, რომ დეფლაცია ასუსტებს ეკონომიკის გრძელვადიან ზრდას¹⁷.

მეორე, - მართალია, მოულოდნელად ძლიერმა დეფლაციამ შეიძლება განაპირობოს, რომ ხალხმა შესყიდვებიდან თავი შეიკავოს, მაგრამ ეს ერთობლივი პროდუქტის წარმოებას სრულებითაც არ ანელებს. გასათვალისწინებელია, რომ დეფლაციის ტენდენციების არსებობისას არ წყდება როგორც შესყიდვები, ასევე მოხმარება. გარკვეულ მიზეზთა გამო ადამიანები მოქმედებენ "მადის შუზღვის" ქვეშ. ყველაზე ტუნნიც კი იხდის გარკვეულ საფასურს, რათა შემდეგ დღეს ცოცხალი დარჩეს. ხოლო სხვა დანარჩენი კი გააგრძელებს საქონლის იმავე ტენდენციით შესყიდვას, როგორც ყიდულობდა არადეფლაციურ პირობებში. ფასების ვარდნის გაგრძელების შემთხვევაშიც მომხმარებლები ცდილობენ შეიძინონ საქონელი, რადგან ისინი უნინაც ამ საქონელს ანიჭებდნენ უპირატესობას. მომხმარებელთა დანახარჯების მარგინალური შემცირება ერთიანი წარმოების დანაკარგისგან შორსაა, და როგორც წესი იზრდება. აღსანიშნავია, რომ ყველა რესურსი, რომელიც წარმოებისათვის არ გამოიყენება, შენახულია, ისინი ხელმისაწვდომია იწვევსტიციებისთვის და ამით შესაძლებელია წარმოების გაფართოება იმ სფეროებში, რომლებიც ადრე არ იყვნენ იმდენად მომგებიანი, რომ გაემართლებინათ იწვევსტიციები.

მესამე: სავევით სწორია, რომ დეფლაცია, განსაკუთრებით მოულოდნელი დეფლაცია, ართულებს იმ დავალიანებების მომსახურებას, რომლებიც წარსულში ფასების უფრო მაღალი დონის პირობებში არსებობდა. მასობრივმა დეფლაციურმა შოკმა შესაძლოა საყოველთაო გაკოტრება გამოიწვიოს. სამწუხაროდ ასეთი რამ შემთხვევათ ინდივიდუალურ მენარმებსა და კაპიტალისტებს, რომლებიც ფლობენ ფირმებს, სანარმოებს, ქარხნებს და წარმოების სხვა აქტივებს. თუმცა, სოციალური თვალსაზრისით, არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ აკონტროლებს არსებულ რესურსებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ რესურსები უცვლელი და გამოუყენებელი რჩება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ დეფლაცია ამ რესურსებს ფიზიკურად არ აზიანებს. იგი უბრალოდ ამცირებს მის ფულად ღირებულებას, ამიტომ გაკოტრებიან მათი დღევანდელი მეპატრონეები. ამდენად, დეფლაცია განაპირობებს სანარმოო ფონდების გადანაწილებას ძველი მფლობელებიდან ახალ მფლობელებზე. წარმოებაზე საერთო ზემოქმედება, სავარაუდოდ, ნული იქნება¹⁸.

მეოთხე: მართალია, დეფლაცია საბანკო ინდუსტრიას ასე თუ ისე პირდაპირ საფრთხეს უქმნის, რადგან დეფლაცია, ბანკის მომხმარებელს ვალების გადახდას ურთულებს და რადგანაც სანარმოების წარუმატებლობებს სავარაუდოდ, პირდაპირი უარყოფითი გავლენა

¹⁶ "Deflation and Monetary Policy", *Quarterly Journal of Austrian Economics* 6. no. 4 (2003). Murray N. Rothbard, *America's Great Depression*, 5th ed. (Auburn, Ala.: Ludwig von Mises Institute, 2000), part 1; *Man, Economy, and State*, 3rd ed. (Auburn, Ala.: Ludwig von Mises Institute, 1993), გვ. 863-65.

¹⁷ George Selgin, *Less Than Zero* (London: Institute for Economic Affairs, 1997); Michael D. Bordo and Angela Redish, "Is Deflation Depressing? Evidence from the Classical Gold Standard," NBER Working Paper #9520 (Cambridge, Mass.: NBER, 2003); A. Atkeson and P.J. Kehoe, "Deflation and Depression: Is There an Empirical Link?" *American Economic Review, Papers and Proceedings* 94 (May 2004): გვ. 99-103.

¹⁸ ერთი შესაძლოა ვამტიკოთ, მიუხედავად იმისა, რომ დეფლაციას არ ჰქონდა წარმოებაზე უარყოფითი გავლენა, აღნიშნული გადანაწილება მიუღებელია სანყისი მორალური თვალსაზრისით.

ეწევა ბანკების ლიკვიდურობაზე. თუმცა, იმავე მიზეზით, რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ეს შესაძლოა დამანგრეველი იყოს ზოგიერთი ბანკისათვის, მაგრამ არა მთელი საზოგადოებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საბანკო კრედიტი არ ჰქმნის რესურსებს, არამედ მიმართავს არსებულ რესურსებს სხვა წარმოებებში. ამასთან, კრედიტების არარსებობისას რესურსებს სხვები გამოიყენებდნენ და არა ისინი, ვინც მათ გამოიყენებს დაკრედიტების შემთხვევაში. გასათვალისწინებელია, რომ ბანკის კრედიტის შემცირება არ ანადგურებს რესურსებს, იგი უბრალოდ გავლენას ახდენს ადამიანთა დასაქმებაზე, არსებული მიწის ნაკვეთების, ქარხნების, ქუჩების გამოყენებაზე და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დეფლაციით განპირობებული პრობლემები უფრო ნაკლები შიშის აღმძვრელია, ვიდრე მათზე თანამედროვე მონეტარული ხელისუფლებების მოსაზრებები. დეფლაცია, რა თქმა უნდა, აქვს ბევრად დამანგრეველი პოტენციალი. თუმცა, ის ძირითადად იმ ინსტიტუტებს ემუქრება, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფულის მიწოდების ინფლაციურ ზრდაზე. იგი ამცირებს ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მომქმედებანების და მათი კლიენტების - ვალებში ჩავარდნილი მთავრობების, მენარმეების და მომხმარებლების სიმდიდრეს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ასეთი დესტრუქციული ძირითად ფიზიკურ რესურსებს ახალი სამუშაო ადგილებისათვის ათავისუფლებს. უმუშევარი დეფლაციით განპირობებულ დესტრუქციას "შემოქმედებით დესტრუქციას" უწოდებს¹⁹.

საბოლოოდ, ჩვენ ისევ გვაქვს საქმე ზემოაღნიშნულ მეზოთე არგუმენტთან - დეფლაცია მყარ ფასებთან კავშირში განაპირობებს უმუშევრობას - და მეექვსე არგუმენტთან - დეფლაცია იაფი ფულის პოლიტიკას შეუძლებელს ხდის. რადგან ეს არგუმენტები უფრო ზოგად ხასიათს ატარებენ, ჩვენ მათ ცალ-ცალკე, დეტალურად განვიხილავთ მომდევნო ორ სექციაში.

მყარი ფასები

გასული 80 წლის მანძილზე მყარი ფასების არგუმენტმა დიდი როლი ითამაშა მონეტარულ დებატებში. ამ არგუმენტის მიხედვით, ფულის მიწოდების მანიპულაცია შესაძლებელია შესაფერისი ინსტრუმენტი იყოს გარკვეული ბაზრების დაკავრული წონასწორობის აღსადგენად, განსაკუთრებით კი შრომის ბაზრების. დაეუშვათ, რომ ძლიერი პროფკავშირები ცდილობენ მრეწველობის ყველა სფეროში ნომინალური სახელფასო განაკვეთების დანესებას ისეთი მასშტაბით, რომ მენარმეებმა დიდი რაოდენობით მუშახელის გამოყენებით ვეღარ შეძლონ მოგების მიღება ამ გასამრჯელოთი. შედეგად მივიღებთ მასიურ უმუშევრობას. მაგრამ თუ შესაძლებელი იქნება ფულის მიწოდების საგრძობლად გაზრდა, მაშინ მენარმეთა გასაყიდი ფასები შესაძლოა ისე გაიზარდოს, რომ იგი საკმარისი აღმოჩნდეს შრომის დანაწილებაში უმუშევართა ხელახალი ინტეგრაციისთვის. კამათი ისევ გრძელდება, იმ საკითხზე, რომ ოქროსა და ვერცხლის სტანდარტის პირობებში აღნიშნული პოლიტიკა ვერ იმუშავებს წმინდა ტექნიკური მიზეზების გამო, რადგან ფულის მიწოდება მოუქნელია. მხოლოდ ქალაღის ფული უზრუნველყოფს ტექნიკურ საშუალებებს დასაქმების პოლიტიკის განსახორციელებლად. ამგვარად, ამ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს საფუძველი გავამართლოთ ბუნებრივ სასაქონლო საშუალებებზე ზენოლა და მიზრი დავუჭიროთ ქალაღის ფულის სტანდარტს.

ეს არგუმენტი განსაკუთრებით დომინანტური იყო 1920 წელს ავსტრიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა თუ სხვა ქვეყნებში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი ის ეკონომიკურ პოლიტიკაში დომინანტად გახდა. თუმცა, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ იგი არის სრული შეცდომა, და არც თუ ისე რთულია ამ შეცდომის საფუძვლების დანახვა. ფაქტობრივად, ამ არგუმენტი გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ მონეტარულ პოლიტიკოსებს შეუძლიათ მოხეხებულად ითანამშროლონ პროფკავშირებთან. სტამბის ხელმძღვანელებს შეუძლიათ ისე და ისე გააოცონ პროფკავშირული ლიდერები მორიგი ექსპანსიონისტური მონეტარული პოლიტიკის საშუალებით. ფაქტია მაგრამ გასაოცარი კია, მოაზროვნე ადამიანმა თუ როგორ უნდა მიიღოს ასეთი ბრიყველი მოსაზრება სერიოზულად. პროფკავში-

¹⁹ Joseph A. Schumpeter, *Capitalism, Socialism, and Democracy* (London: Allen & Unwin, 1944), თავი. 7.

რები ამაზე არ წამოგებებიან. ექსპანსიონისტური მონეტარული პოლიტიკის რეალობასთან შეჯახებისას, ისინი საბოლოო ჯამში მოითხოვენ სახელფასო განაკვეთების გაზრდას, რომ მოახდინონ ფულის მსყიდველთუნარიანობის დაცემის კომპენსაცია. შედეგი კი იყო სტაგფლაცია – უმუშევრობის მაღალ დონეს დამატებული ინფლაცია, რაც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ჭირივით მოედო ძლიერი პროფკავშირების მქონე ისეთ ქვეყნებს, როგორცაა საფრანგეთი და გერმანია.

იაფი ფულის ეკონომიკა

კიდევ ერთი გავრცელებული მცდარი მოსაზრებაა, რომ ქალაქის ფული ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. თუ ქალაქის ახალი ფული დაიბეჭდება და მიენოდება საკრედიტო ბაზარს, ამ არგუმენტით, კრედიტის მიწოდება გაიზრდება, და შედეგად, საკრედიტო ფასი დაეცემა. იაფი ფული ყველა ქვეყნის ბიზნესმენებისათვის არის ხელმისაწვდომი. ისინი უფრო მეტ ინვესტიციებს დააბანდებენ, ვიდრე აქამდე აბანდებდნენ, შესაბამისად ეკონომიკური ზრდის ტემპიც გაიზრდება.

რეალურად ამ არგუმენტში ძალიან ბევრი შეცდომაა, და ჩვენთვის შეუძლებელია ყველა მათგანის განხილვა²⁰. საკმარისია ვთქვათ, რომ კაპიტალისტები თავიანთ ფულს აბანდებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი დარწმუნებული იქნებიან, რომ რეალურ სარგებელს მიიღებენ მისგან, და არა უბრალოდ ნომინალური განაკვეთის მოგებას. თუ ისინი ელიან, რომ ფულადი ერთეულის მსყიდველობითუნარიანობა მომავალში შემცირდება, მაშინ ინვესტიციებს მხოლოდ მაღალა განაკვეთის პირობებში განახორციელებენ.

დავუშვათ, ქალაქის მთელი გეგმავს ვერცხლის 100 უნცია ერთი წლით სესხად მისცეს ახლომახლო მცხოვრებ ბიზნესმენს, რომელიც სანაცვლოდ მომავალში გადაიხდის 103 უნციას. დავუშვათ, იგი ელის, რომ მომდევნო წელს ვერცხლის მსყიდველობითუნარიანობა 5 პროცენტით შემცირდება. მაშინ ქალაქის მთელი მსყიდველობითუნარიანობის საკომპენსაციოდ დამატებით 5 უნციას მოგთხოვთ (შედეგად მთლიანი გადასახადი იქნება 108 უნცია).

ახლა საკითხი დგას შემდეგნაირად: 1. ქალაქის ახალი ფულის დაბეჭდვა შემცირებს თუ არა რეალურ სარგებელს? 2. სარგებლის შემცირების შემთხვევაში გვექნება თუ არა ეკონომიკური აღმასვლა?

თუკი კაპიტალისტები გააცნობიერებენ, რომ ახალი ქალაქის ნიშნების ბეჭდვა მიმდინარეობს, მაშინ ისინი ფულის მსყიდველობითუნარიანობის შემცირებას ივარაუდებენ და ამგვარად, უფრო მაღალ ფასებს შესთავაზებენ. თუ კრედიტის ფასი არის ფულის მსყიდველობითუნარიანობის შემცირების ზუსტი კომპენსაცია, რეალურ ინტერესზე ეს გავლენას არ მოახდენს. ამ შემთხვევაში ფულის მიწოდების ხელოვნური გაზრდა ბიზნესმენებს შორის კაპიტალის სხვადასხვა სახით გადანაწილებას და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სამომხმარებლო საქონელის წარმოებას გამოიწვევს. ზოგიერთი ბიზნესმენი და მათი კლიენტები მოიგებენ, ზოგი ბიზნესმენი და მათი კლიენტები კი წააგებენ. მაგრამ შედეგების მთლიანი გაუმჯობესება არ იქნება.

დავუშვათ, რომ კაპიტალისტები ზედმეტად აფასებენ მსყიდველთუნარიანობის სამომავლო შემცირებას. ამ შემთხვევაში, რეალური სარგებელი გაიზრდება და ბევრ ბიზნესმენს კრედიტი ჩამოერთმევა, რაც შეეძლოთ სხვა შემთხვევაში სხვაგვარად მიეღოთ. მართალია, ამ შემთხვევაშიც წინარმეებს შორის კაპიტალის სხვადასხვა გადანაწილება მოხდება, და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სამომხმარებლო საქონელი ინარჩობა, მაგრამ მთლიანი გაუმჯობესება ან გაუარესება მაინც არ იქნება.

თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ კაპიტალისტებმა არასწორად შეაფასონ ფულის მსყიდველობითუნარიანობის შემცირება. ეს შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც მათ არ ელიან, რომ უფრო მეტი ქალაქის ფულის ბეჭდვა მიმდინარეობს. ეს სწორედ ის სცენარია,

²⁰ Mises, *Human Action*, თავი. 20; Murray N. Rothbard, *Man, Economy, and State* (Auburn, Ala.: Ludwig von Mises Institute, 1993), თავი. 11; Jesús Huerta de Soto, *Money, Bank Credit, and Economic Cycles* (Auburn, Ala.: Ludwig von Mises Institute, 2006), თავები. 4–6.

რომელიც იაფი ფულის მომხრეებს აქვთ მხედველობაში. მაგრამ იმედი იმისა, რომ ამით კაპიტალისტებს მოახლეობდა და ეკონომიკურ ზრდას მიაღწევდა, სრულიად უსაფუძვლოა.

მართალია, რომ განხილულ შემთხვევაში, საკრედიტო ბაზარზე ახალი ქალაქის ფულის გამოშვების გავლენით, რეალური სარგებელი შემცირდება. ესეც მართალია, რომ ამით ბიზნესმენებს გაუზრდობათ მოტივაცია, ისევე როგორც მეტი ფული და შესაბამისად ინვესტიციაც მეტი ჩადონ, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდნენ. სერიოზული შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აღნიშნული ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. საქმე სწორედ საპირისპიროა.

ნებისმიერ შემთხვევაში საინვესტიციო ფაქტორები ლიმიტირებულია ცალკეული პროექტების განხორციელებისას. სარგებლის ხელოვნური შემცირება განსახორციელებელი პროექტების რაოდენობას ზრდის, თუმცა, არ იზრდება ინვესტიციების მთლიანი რაოდენობა. აღნიშნული განაპირობებს ბიზნესმენების მიტყუებას ამ პროცესში. ბიბლიიდან მოყვანილი მაგალითის მიხედვით, მათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ დაიწყეს ყველა სახის კოჰკის მშენებლობა, თუმცა, მხოლოდ შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ჰქონდათ რესურსი მხოლოდ საძირკვლის აშენებისა, და ვერ დაასრულეს კოჰკების მშენებლობა (ლუკა, 14:28-30). ფონდებში ინვესტირების შრომა და კაპიტალი დაკარგულია არა მარტო ინვესტირისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. მათ შეეძლოთ არაერთ მცირე პროექტებში მოეხდინათ ნაყოფიერი ინვესტიცია, მაგრამ სარგებლის ხელოვნურმა შემცირებამ შეუშალა ამაში ხელი. მოკლედ, ეს ნიშნავს დროის ტყუილუბრალოდ კარგავს და ნაკლებ ეკონომიკურ ზრდას.

ფულადი სტაბილურობა

შემდეგი ფართოდ გავრცელებული მონეტარული სიცრუე დაკავშირებულია ფულადი სტაბილურობის პრობლემასთან. აზრი, რომ ფულმა მონეტარული სტაბილურობა უნდა განაპირობოს, საკმაოდ მოძველებულია. იმის გასაგებად, თუ რამდენად სათანადოდ ესმით ეს პოსტულატი, აუცილებელია გამოვყოთ "მონეტარული სტაბილურობის" ორი ძალიან განსხვავებული მნიშვნელობა.

პირველი მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნავს სასაქონლო ფულის ფიზიკურ მთლიანობას (კეთილშობილი ლითონებისგან დამზადებული მონეტების ფიზიკურ შემადგენლობას) განსახილველი დროის მანძილზე. ამ თვალსაზრისით, მონეტარულ სტაბილურობას აქვს ზუსტი მნიშვნელობა. წმინდა ფორმალური თვალსაზრისით, იგი შესაძლოა იყოს მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი პოსტულატი. ეს არის ფულის წარმოებასთან დაკავშირებული პოსტულატი. მწარმოებელს არ შეუძლია მიიღოს მონეტები, რომელსაც აქვს იმავე რეკვიზიტი, მაგრამ შეიცავს სხვადასხვა რაოდენობის ძვირფას ლითონებს. ამ თვალსაზრისით, მონეტარული სტაბილურობა არამარტო არასასურველია, არამედ სინამდვილეში კარგად ფუნქციონირებადი ეკონომიკის წინაპირობა. და სწორედ ეს არის მონეტარული სტაბილურობის განცდა, რაც აღნიშნული იყო ბიბლიაში და საშუალო საუკუნეების ანტირიტეტულ ტექსტებში²¹.

გასათვალისწინებელია, რომ სასაქონლო ფულის სტაბილური ფიზიკური მთლიანობის მონეტარული სტაბილურობის განცდა შედარებით მყარი, "მსყიდველობითუნარიანი" ფულადი ერთეულის განმაპირობებელია. როდესაც ოქროს მოპოვება ნაკლებად მომგებიანია, ვიდრე მრეწველობის სხვა დარგი, შედეგად ნაკლები ფული ინარმოება და ფულის ფასიც დაიწვეს. ხოლო თუკი სამთო საქმე უფრო მომგებიანი იქნება, როცა ფასების დონე დაბალია, მაშინ მეტი ფული იქნება წარმოებული და ფულის ფასი, შესაბამისად, იმატებს. აქ ორი საკითხი უნდა გამოვყოთ: თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში ბაზრის მონაწილეებს ძალიან მარტივად შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა, ისინი უბრალოდ სხვა ფულს გამოიყენებენ. მეორეც, კეთილშობილი ლითონების შემთხვევაში არ მოხდება მსყიდველობითი უნარის

²¹ Ptolemy of Lucca, *On the Government of Rulers* (Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1997), გვ. 134.

²² Cipolla and K. Borhardt, *Europäische Wirtschafts-geschichte*, vol. 2, *Sechzehntes und siebzehntes Jahrhundert* (Stuttgart: Gustav Fischer, 1983), გვ. 335-36. The author quotes from F.P. Braudel and F. Spooner, "Prices in Europe from 1450 to 1750," E.E. Rich and C.H. Wilson, eds., *The Cambridge Economic History of Europe* (Cambridge: Cambridge University Press, 1967), წიგნი. 4.

ამგვარი ეფუფასურება. მე-16 მე-17 საუკუნეებში ცნობილმა "ოქროსა და ვერცხლის" ინფლაციამ ევროპაში ფულის მარაგი 50 პროცენტით გაზარდა²², ხოლო ზოგიერთის შეფასებით ის 500 პროცენტით გაიზარდა²³. თუმცა, ეს მოხდა 150 წლის განმავლობაში. ამგვარად, ფულის მინოდების ყოველწლიური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 0.3-3.3 პროცენტს შეადგენს. ამის საპირისპიროდ, დღევანდელ ქალაქის ფულის ხანაში, „კონსერვატიული“ მონეტარული პოლიტიკის ქვეყნებშიც მკვეთრად იზრდება ფულის მინოდება, მაგალითად აშშ-სა და ევროკავშირში "საბაზისო ფულის" მარაგი ბოლო 5 წლის მანძილზე 5-10 პროცენტით გაიზარდა.

ახლა კი ფულადი სტაბილურობის მეორე მნიშვნელობა გავიზოროთ. ის უკავშირდება ფულადი ერთეულის მსყიდველობითუნარიანობის სტაბილურობას. პირველი მოაზროვნე, რომელმაც სცადა მისი ფორმულირება, იყო თომა აქვინელი, რომელიც წერდა: "საგადამხდელო საშუალების განსაკუთრებულობა იმაშია, რომ როდესაც ადამიანი მას სხვას აძლევს, ის დაუყოვნებლივ ღებულობს იმას, რაც სურს. რა თქმა უნდა, როგორც სხვა ყოველივე, საგადამხდელო საშუალებაც სირთულეებს განიცდის, მაგალითად, ის არ არის იმის საფასურის შესაბამისი, რასაც მყიდველი იღებს ან ჰყიდის. თუმცა, საგადამხდელო საშუალებაც უნდა შეიძინოს ყველა იმ საგნის შესაფერი ღირებულება, რომლის საფასურადაც გასცემენ/იღებენ მას"²⁴.

მან კარგად შენიშნა, რომ სტაბილური მსყიდველობითი უნარი არ იყო ბაზრის ბუნებრივი შედეგი. იგი, მისი აზრით, ეთიკური პოსტულატი იყო. თუმცა, თომა აქვინელამდე არაგის მიუქცევია ყურადღება მისთვის, როგორც პოლიტიკური მიზნისათვის. არისტოტელეს დაკვირვებით, ყველა საქონლის ფასი განუწყვეტლივ ცვლადია, და არც ფულია გამონაკლისი²⁵. მკვლევარები კი ფულის სტაბილურობის პოსტულატის კვლევისას მონეტათა ფიზიკურ კომპოზიციას გულისხმობენ²⁶. მხოლოდ მე-17 საუკუნეში მოხდა სტაბილური მსყიდველობითი უნარის თეორიის ჩამოყალიბება, დღეს კი აღნიშნული პოსტულატი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა და კათოლიკურ მწერლებშიც საკმაოდ დიდ გამოსხმურებას პპულობს, მაგრამ მიუხედავად პოპულარობისა, მასთან დაკავშირებული განსაზღვრებანი მაინც გაურკვეველია²⁷.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ სტაბილურ მსყიდველუნარიანობას დიდი როლი აქვს ეკონომიკური სისტემის თანმიმდევრულ განვითარებაში²⁸. საკითხი მდგომარეობს შემდეგში, თუ როგორ დავაბალანსოთ შეხვედრებების მორალური და ეკონომიკური ხასიათი. როგორც ვნახეთ, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში საუკეთესო ფული იმარჯვებს. ხშირი ცვლილებების პირობებში მოქალაქეები ამჯობინებენ ყველაზე მოხერხებულ ფულს, შემდეგ კი ჩნდება კითხვა, რამდენად საჭიროა მსყიდველობითუნარიანობის გაზრდა და ამ პროცესში მთავრობის ჩარევა. ამ იდეამ მე-20 საუკუნეში ამერიკელი ეკონომისტის, ფიშერის ხელმძღვანელობით, გზა გაუხსნა ქალაქის ფულის სრულ ტრიუმფს²⁹.

პრაქტიკულად, ფიშერის მიერ წამოწყებული სტაბილიზაციის მოძრაობა კრახით დასრულდა. ისტორიის მანძილზე მსყიდველუნარიანობა ყველაზე მეტად მე-20 საუკუნეში

²² See Friedrich-Wilhelm Henning, *Handbuch der Wirtschafts- und Sozialgeschichte Deutschlands* (Paderborn: Schöningh, 1991), წიგნი. 1, გვ. 546-48.

²³ Saint Thomas Aquinas, *Commentary on the Nicomachean Ethics*, (Chicago: Regnery, 1964), წიგნი. 5, გვ. 427-28.

²⁴ Aristotle, *Nicomachean Ethics*, წიგნი. 5, თავი. 8

²⁵ Marjorie Grice-Hutchinson, *Economic Thought in Spain*, L. Moss and C. Ryan, eds. (Aldershot, U.K.: Edward Elgar, 1993), გვ. 84-85; André Lapidus, "Une introduction à la pensée économique médiévale," A. Béraud and G. Faccarello, eds., *Nouvelle histoire de la pensée économique* (Paris: La Découverte, 1992), vol. 1, თავი. 1, გვ. 50-51; "Metal, Money, and the Prince: John Buridan and Nicholas Oresme after Thomas Aquinas," *History of Political Economy* 29 (1997).

²⁶ Oswald von Nell-Breuning and J. Heinz Müller, *Vom Geld und vom Kapital* (Freiburg: Herder, 1962), გვ. 76; Karl Blessing, "Geldwertstabilität als gesellschaftspolitisches Problem," K. Hoffman, W. Weber, and B. Zimmer eds., *Kirche und Wirtschaftsgesellschaft* (Cologne: Hanstein, 1974).

²⁷ John XXIII, *Mater et Magistra*, §129.

²⁸ See Irving Fisher, *Stabilized Money: A History of the Movement* (London: George Allen and Unwin, 1935).

შემცირდა. თუმცა თეორიული თვალთახედვით, აღნიშნული ასპექტი მეტად მნიშვნელოვანია და ღირს მასზე ყურადღების გამახვილება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ "ფულის მსყიდველთუნარიანობა" არ შეიძლება განისაზღვროს იქნას ობიექტურად. პრაქტიკულად ეს არის იარაღი, რომლითაც ხდება ფულით ვაცვლა. როდესაც ტელეფონების ფასი იზრდება, ხოლო მანქანების ფასი კლებულობს, შეუძლებელია თქვა თუ არამდენად გაიზარდა ან შემცირდა მსყიდველთუნარიანობა. შეიძლება ვინმემ ამის მათემატიკური გაანგარიშება შემოგვთავაზოს, მაგრამ მას ეკონომიკური ღირებულება არ ექნება. უნდა აღინიშნოს, რომ ფასების ინდექსის ფორმულირება განუწყვეტელი პროცესია და მისი როგორც გაზომვის ინსტრუმენტის გამოყენება საბაზრო ეკონომიკაში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ინდექსი სწორ ინფორმაციას არ ატარებს. თუმცა ის გარკვეულ შემთხვევებში ადამიანთა გადაწყვეტილებების მიღების მაჩვენებელია.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ზედაპირულად შევეხებით ამ ტექნიკურ პრობლემებს³⁰. მთავარი მინიშნება მდგომარეობს იმაში, რომ ფულადი სტაბილურობა მარტივად ვერ გარდაიქმნება პოლიტიკურ პოსტულატად. მსყიდველთუნარიანობის კონცეფცია გაურკვეველია და ხშირია პოლიტიკური ჩარევაც.

დაეუშვათ, არგუმენტის მიხედვით, რომ ეს სერიოზული პრობლემები არ არსებობს, ხოლო მონეტარული სტაბილურობა შეიძლება რეალურად ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს. თუმცა წამოიჭრება კითხვა: მართებულია თუ არა სტაბილური მსყიდველთუნარიანობის ჩამოყალიბება? ამ კითხვაზე ძალიან ბევრმა თანამედროვე მკვლევარმა უპასუხა. მთავარი აზრი კი ის არის, რომ ფულით ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია მისი სტანდარტული ღირებულებაა. ბიზნესმენები ფულს ეკონომიკური გათვლებისათვის იყენებენ, რათა რაც შეიძლება ზუსტად შეინარჩუნონ სტაბილური სტანდარტული ღირებულება.

მაგრამ როდის არის ფული ღირებულების მუდმივი სტანდარტი? აქ ჩვენ მრავალ მოსაზრებას ვაწყდებით. მაგალითად, ლოკის მიხედვით, ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ეროვნული ფულის მინოდება არ იცვლება, რიკარდოს მიხედვით - როდესაც ფული ინარჩუნებს მსყიდველობით უნარს, ხოლო ჰაიეკის მიხედვით კი მაშინ, როდესაც დახარჯული თანხის მთლიანი რაოდენობა არ იცვლება³¹. თუმცა არ აქვს მნიშვნელობა, აღნიშნულიდან რომელს მივყვართ, ღირებულების მუდმივი სტანდარტის დასაბუთება ყველა შემთხვევაში ყალბი იქნება³².

ბიზნეს გაანგარიშებების ბუნება არ არის ფირმის აქტივების აბსოლუტური ღირებულების გაზომვა, არამედ აქციების ალტერნატიული კურსების შედარება. წარმოვიდგინოთ, რომ ჯონს აქვს 1000 ოქროს უნცია და მას შეუძლია ან ფესხაცმლის ქარხნის, ან საცხობის გახსნა. მას მიაჩნია, რომ ფესხაცმლის ქარხნის შემთხვევაში მოგება შეადგენს 10 პროცენტს, ხოლო საცხობის შემთხვევაში კი - 20 პროცენტს. ეს არის ბიზნეს გაანგარიშების მაგალითი³³. მსყიდველთუნარიანობის სტაბილურობა ყოველთვის არ არის მნიშვნელოვანი. ჯონს ამ გამოთვლების გაანგარიშება შეეძლება მისი დაცემის, გაზრდის ან სტაბილურობის შემთხვევაში.

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, ჩანს, რომ გვიანდელი ავტორები, მაგალითად ორესემე, უარყოფდნენ სტაბილურ მსყიდველთუნარიანობას, როგორც კრიტიერიუმს. მათი ყურადღება ძირითადად მიმართული იყო მონეტარულ სტაბილურობაზე ფულის მოჭრის ფიზიკური მთლიანობის თვალსაზრისით.

სასაქონლო ფულის ღირებულებები

ნამდვილი ფულის, ოქროსა და ვერცხლის, უდიდესი უარყოფითი მხარე არის მათი წარმოების შედარებით დიდი ღირებულება. კლასიკოსი ეკონომისტების ადამ სმითისა და

³⁰ For a detailed exposition see Rothbard, *Man, Economy, and State*.

³¹ Gottfried von Haberler, *Der Sinn der Indexzahlen* (Tübingen: Mohr, 1927).

³² Mises, *Theory of Money and Credit; Geldwertstabilisierung und Konjunkturpolitik* (Jena: Fischer, 1928); *Human Action*, ნაწილი 3.

³³ იგივე თქმის გადავადებულ გადახედვებზე.

დევიდ რიკარდოს ფართოდ გავრცელებული აზრით, ქალაქის ფულმა შესაძლოა შეასრულოს ფულადი საშუალების როლი, და გაცილებით ნაკლები დანახარჯებით.

მართალია, I უნცია ვერცხლის მონეტის წარმოებას, რომელსაც "I დოლარს ვუნოდებთ", უფრო მეტი დანახარჯი აქვს, ვიდრე შესაამისი ბანკნოტების წარმოებას, მაგრამ ეს აუცილებლად მის უარყოფით მხარეს არ წარმოადგენს. ლითონის ფულის ქალაქის ფულზე უპირატესობის მთავარ მიზეზს ოქროსა და ვერცხლის ნამდვილი ღირებულება წარმოადგენს. ის, რომ იგი დანახარჯებთანაა დაკავშირებულია ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი სურვილისამებრ გამრავლება, რაც თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ სასაქონლო ფული, როგორცაა ოქრო და ვერცხლი, ფულის მსყიდველობით უნარის სწრაფი ვადნის წინააღმდეგ ბუნებრივ დაზღვევას წარმოადგენს.³⁴ ამ მხრივ იგი გაცილებით აღემატება ქალაქის ფულს, რომელიც შეიძლება გამრავლდეს და რომელიც, როგორც უნივერსალური გამოცდილება გვიჩვენებს, შეიძლება გამრავლდეს ბევრად უფრო დიდი პროპორციით, ვიდრე ოქრო და ვერცხლი იყო დროის ნებისმიერ მომენტში.

აქედან გამომდინარე, სასაქონლო ფულსა და ქალაქის ფულს შორის შედარება ვინრო გაგებით არ უნდა იქნას განხილული. შესაბამისი სარგებელი არამარტო "გაცივლითი სერვისის" სახით არსებობს, არამედ მოიცავს ინფლაციის წინააღმდეგ გარანტიასაც. ხოლო შესაბამისი დანახარჯები არის არამარტო სხვადასხვა ფულადი ობიექტების დამზადების ღირებულება, არამედ თითოეული სისტემის მიხედვით საერთო ღირებულება. ქალაქის ფულის ყველაზე მგზავნადმი დამცველებიც კი თანხმდებიან, რომ არსებული ფულადი რეჟიმი ვაჭრობის არენა არ არის. წარმოვიდგინოთ, რომ ცენტრალურმა ბანკმა და სხვა ფულადმა ინსტიტუტებმა უზარმაზარი ბიუროკრატია შექმნეს, და ფედერალური სარეზერვო სისტემის სათვალთვალო კომისია (სადაც ადამიანები დაკავებული არიან მონეტარული ხელისუფლებების პოლიტიკის ინტერპრეტაციითა და პროგნოზირებით) ანალოგიურად, მნიშვნელოვანია.³⁵ ამ ორ ელემენტთან შედარებით ფულის მოჭრის დანახარჯები გაცილებით ნაკლებია. ამასთან, ირონიია, რომ ფულის მოჭრა ჩვენთან ისევე არსებობს ქალაქის ფულთან ერთად.

ოქროსა და ვერცხლის მონეტებზე უფრო იაფი ალტერნატივის ძიებაში ცუდი არაფერია. თავისუფალ საზოგადოებაში ამას არაფერი ზღუდავს. ერთადერთი რაც უნდა ითქვას არის ის, რომ წრუსულში ასეთი ექსპერიმენტები წარუმატებლად დამთავრდა. თავად ქალაქის ფულის მომხრეები კი არც კი ცდილობდნენ, რომ მისი წარმოება კონკურენტულ საფუძველზე განხორციელებინათ. რიკარდო და მისი მიდევრები გეთავაზობდნენ მალალი ღირებულების მქონე ფულის უფრო იაფი შეცვლას. ნათელია, რომ ამ ლოგიკით ვერ ვიხეილდქვანელებთ ცხოვრების ყველა სფეროში, ჩვენ ვერ ვაიძულებთ ადამიანებს იარონ იაფფასიანი მანქანებით, გამოიყენონ დაბალი ხარისხის ტანსაცმელი, და შესაბამისად ვერ ვაიძულებთ, გამოიყენონ ქალაქის ფული.

ამგვარად, ქალაქის ფულის ნებისმიერი გამართლების მცდელობა ვერ უძლებს კრიტიკას. ყველა ის თეორია, რომელიც ცდილობს გაამართლოს სახელმწიფოს ჩარევა და ბუნებრივი სასაქონლო ფულის აკრძალვა, ასეთივე დასაბუთებით გაბათილდება. შეგვეძლოს უფრო ღრმადაც მივყოლოდით მსჯელობას. ნაშრომის მიზანი იყო იმის გაანალიზება, რომ ქალაქის ფულს უტილიტარული გამართლება და ახსნა არ აქვს. ეს თეზისი წარმოადგენს ამოსავალ ნერტილს, ფულის წარმოებისას განხორციელებულ სხვადასხვა დარღვევებზე დისკუსიების გასაგრძელებლად.

³⁴ A. Wagner, *Die russische Papierwährungeine volkswirtschaftliche und finanzpolitische Studie nebst Vorschlägen zur Herstellung der Valuta* (Riga: Kymmell, 1868), გვ. 45–46.

³⁵ Milton Friedman, "The Resource Cost of Irredeemable Paper Money," *Journal of Political Economy* 94, N. 3, part I (1986): 642–47. William Gouge, *A Short History of Paper Money and Banking*, გვ. 66–67. Roger W. Garrison, "The Costs of a Gold Standard," Llewellyn H. Rockwell, Jr., ed., *The Gold Standard* (Auburn, Ala.: Ludwig von Mises Institute, 1992), გვ. 61–79.

მარი ნ. როთბარდი

1926-1995



მარი ნ. როთბარდი (Murray N. Rothbard) - ამერიკელი ეკონომისტი, ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ლიბერტარიანიზმისა და ანარქო-კაპიტალიზმის თეორეტიკოსი, ლუდვიგ ფონ მიზესის ტრადიციების გამგრძელებელი.

მარი ნ. როთბარდი დაიბადა 1926 წლის 2 მარტს პოლონელი ემიგრანტების ოჯახში. დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი (1946). 1956 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე "უტილიზაციისა და კეთილდღეობის ეკონომიკის რეკონსტრუქციისაკენ". როთბარდი უნივერსიტეტში ლუდვიგ ფონ მიზესს დაემონაჟა და სიცოცხლის ბოლომდე მისი იდეების ერთგული დარჩა.

მარი როთბარდმა მოახდინა ავსტრიული ეკონომიკური სკოლისა და ანარქო-კაპიტალიზმის სინთეზი, ლიბერტარიანულ პოლიტიკურ ფილოსოფიაში ბუნებითი სამართლის პოზიციების გამყარება, მოგვცა აშშ-ის ისტორიის სრულიად განსხვავებული გააზრება. მისი შრომები მიმართული იყო სოციალიზმის, რელატივიზმისა და სციენტიზმის წინააღმდეგ.

როთბარდის მთავარი ნაშრომებია: "ადამიანი, ეკონომიკა და სახელმწიფო" (1962), "ამერიკის დიდი დეპრესია: მიზეზები და მისი განკურნების გზები" (1963-2000), "თავისუფლების შეზღუდვა" (1975-1979), "თავისუფლების ეთიკა" (1982), "ძალაუფლება და ბაზარი" (1970), "თავისუფლებისათვის: ლიბერტარიანიზმის მანიფესტი" (1973, 1978) და მრავალი სხვა.

ცხოვრების მანძილზე იგი აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოძრაობაში, თანამშრომლობდა რონალდ რეიგანის, აგრეთვე ჯორჯ ბუშ უფროსის პოლიტიკურ გუნდებთან.

მარი როთბარდი

ოქრო, როგორც საკრედიტო ფულის მერყევი კურსის საპირწონე¹

თარგმნა ხათუნა ახოზაძემ

"მსოფლიო ისტორიაში უდიდესი შეთანხმება საგადამხდელი საშუალებებთან დაკავშირებით" (პრეზიდენტ ნიქსონის სიტყვები) - "სმითსონის ხელშეკრულება"² ხელმოწერიდან ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ ჩაიშალა. ამიტომ ქანაობს მსოფლიო ასე მზარდი ინტენსიურობით ფიქსირებულ და მერყევ გაცვლით კურსს შორის, ეს ორივე კი მხოლოდ იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ განსხვავებულ პრობლემებს გვიქმნიან. აშკარაა, რომ ჩვენ მუდმივად საერთაშორისო საგადამხდელი საშუალებების კრიზისის პირობებში ვცხოვრობთ.

ასეთ არასასიამოვნო ვითარებაში ბოლო ხანს ეკონომისტთა ისეთი სკოლის აღმოცენების მონმე გავხდით, რომელიც მსოფლიო საგადამხდელი საშუალებების კრიზისიდან მარტივ გამოსავალს გვთავაზობს. თუკი ცხადია, რომ საგადამხდელი საშუალებათა შორის ფიქსირებული გაცვლითი კურსი მხოლოდ საგადამხდელი საშუალების ნაკლებობას ან სიჭარბეს, შავ ბაზარს და საგადამხდელი საშუალებების კონტროლს, ან მონეტარული კრიზისის ქრონიკულ სერიებს წარმოშობს, რატომ არ შეიძლება ყველა ეს საგადამხდელი საშუალება გათავისუფლდეს და უბრალოდ, ერთმანეთს მცურავი კურსებით დაუკავშირდეს? ეკონომისტთა ეს ჯგუფი, რომელსაც სათავეში პროფესორი მილტონ ფრიდმანი და "ჩიკაგოს სკოლა" უდგას, აცხადებს, რომ ჭეშმარიტი სიმართლეს ქადაგებენ "თავისუფალი ბაზრის" სახელით. ფრიდმანის მიმდევართა მარტივი მაგრამ ბრწყინვალე გამოსავალი შემდეგში მდგომარეობს:

ეკონომიკური თეორია გვასწავლის, რომ საქონლისა და მომსახურების ფასების კონტროლის ყოველი მცდელობა უამრავ პრობლემას წარმოშობს. ფასების მაქსიმალური კონტროლი პროდუქციის ხელოვნურ დეფიციტს წარმოქმნის, მინიმალური კონტროლი კი ჭარბ ჩანაღლილ საქონელს. ასეთი ეკონომიკური დაავადებისთვის მზა სამკურნალო საშუალება არსებობს. რაკი ის თავისუფალი ბაზრის შიგნით არსებული პროცესებით კი არ არის გამოწვეული, არამედ მთავრობის ხელოვნური ჩარევით, მოვხსნათ კონტროლი და საბაზრო პროცესებს სრული გასაქანი მივცეთ - დეფიციტიც მოისპობა და ჭარბი საქონელიც.

ანალოგიურად, უკანასკნელი წლების მონეტარული კრიზისი მთავრობის მიერ საგადამხდელი საშუალებათა შორის მყარი გაცვლითი კურსის დანესების მცდელობით არის გამოწვეული. რურიტიანიის მთავრობა თუ "რურ"-ის უფრო მაღალ კურსს დაანესებს ვიდრე თავისუფალ ბაზარზე არსებული ფასია, ჭარბი რაოდენობის რური ნაკლებფასიანი საგადამხდელი საშუალების ძიებაში იქნება და ასეთი მყარი საგადამხდელი საშუალებების დეფიციტი

¹ მარი როთბარდის ნაშრომი "ოქრო საკრედიტო ფულის მერყევი კურსის წინააღმდეგ" დაიბეჭდა 1975 წელს პ. სენმოლცის კრებულში "ოქრო ფულია" (Gold is Money; გვ. 24-40)

² "სმითსონის ხელშეკრულება" - 1971 წლის დეკემბერში დაიდო სმითსონის ინსტიტუტში (აშშ), რომელმაც დაასრულა 1944 წელს პრეტონ ვუდსის კონფერენციაზე დადგენილი ფიქსირებული გაცვლის კურსი. ქვეყნები შეთანხმდნენ რომ საკუთარ საგადამხდელი საშუალებას შეფასებდნენ აშშ-ის დოლართან მიმართებით.

ნარმოიქმნება. ომის მომდევნო წლებში "დოლარის დეფიციტი" სხვა საგადამხდელი საშუალებებთან მიმართებაში დოლარის ნაკლებმა ფასმა გამოიწვია; დასავლეთ გერმანულ მარკასთან და იაპონურ იენთან შედარებით დოლარის ახლანდელი სიჭარბე კი ამ საგადამხდელი საშუალებებთან შედარებით დოლარის ფასმატების ანარეკლია. თუ ყველა ამ საგადამხდელი საშუალებას თავისუფალი რყევის საშუალებას მიეცემთ, ისინი თვითონ მიაგნებენ თავიანთ ჭეშმარიტ დონეს და საგადამხდელი საშუალების დეფიციტიც მოისპობა და სიჭარბეც. ამასთან ერთად, არცერთ ქვეყანაში აღარ იქნება "საგადასახადო ბალანსის" დეფიციტის პრობლემა. 1971 წლამდე არსებული სისტემის პირობებში, როდესაც დოლარი თეორიულად მანც ოქროზე განაღდებადი იყო, იმპორტის სიჭარბე ექსპორტთან შედარებით დოლარზე მოთხოვნილების ზრდას და ოქროს საშინლად ფართო გადინებას იწვევდა. ოქროს განაღდებადობას თუ გამოერიცხავთ და საგადამხდელი საშუალებებს თავისუფალი რყევის საშუალებას მიეცემთ, დეფიციტი თვითონვე ავტომატურად გასწორდება, როდესაც დოლარის მომწოდებლები მარკისა და იენის ფასს ასწევენ და ამით მსოფლიო ბაზარზე ამერიკულ საქონელს გააიფებენ, გერმანულ და იაპონურ საქონელს კი გააძვირებენ.

ასეთი თავისუფლად მერყევი გაცვლითი კურსი ესახებათ ფრიდმენის მიმდევრებს მსოფლიო საგადამხდელი საშუალებების კრიზისიდან გამოსვლის გზად. ნებისმიერ პრობლემას თავისუფალი ბაზრისთვის დამახასიათებელი რაიმე გამოსავალი მოეძებნება. ამგვარად, თუ კრიტიკოსები დაადგენენ, რომ გაცვლითი კურსის ცვალებადობა არასასურველ განუსაზღვრელობას წარმოშობს მსოფლიო ბაზარზე, რაც საერთაშორისო ვაჭრობას, კერძოდ, ინვესტიციას, დააბრკოლებს, ფრიდმენის მიმდევრებმა შეიძლება უპასუხონ, რომ განუსაზღვრელობა თავისუფალი ფასების სისტემის აუცილებლობას წარმოადგენს და რომ ეკონომისტთა უმრავლესობა მზარს უჭერს ამ სისტემას. და თუ კრიტიკოსები საგადამხდელი საშუალებების სპეკულაციის მანკიერებაზე მიუთითებენ, მაშინ შესაძლოა ფრიდმენის მიმდევრებმა პასუხად მსოფლიო სასაქონლო ბირჟაზე სპეკულაციის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქცია დაასახელონ. ეს ყოველივე უფლებას აძლევს ფრიდმენის მიმდევრებს, რომ მსოფლიო ბანკრუტების, ჟურნალისტების, და მცირერიცხოვანი ეკონომისტების მოკრძალებულობას და კონსერვატიზმს დასცინონ. ხომ არ გვეცადა გათავისუფლება? ამ არგუმენტებს ემატება ფიქსირებული გაცვლითი კურსის ისეთი სისტემების აშკარა ნაკლოვანებანი, როგორც ბრეტონ ვუდსის (1945-1971) და სმიტსონის სისტემება (1971-1973), და სულ უფრო და უფრო მეტი ეკონომისტი გადადის ფრიდმენის მიმდევართა ბანაკში.

ფრიდმენის მიმდევართა პროგრამას და მის ყოველ დეტალს მთლად ვერ უარვეყოფთ; ის მხოლოდ მისი ყველაზე ღრმა ვარაუდების დონეზე უნდა განვიხილოთ. კერძოდ, საგადამხდელი საშუალება რეალობას წარმოადგენს "ბაზრებისთვის"? შესაძლებელია ფუნტს, დოლარს, ფრანკს, და სხვა საგადამხდელი საშუალებას შორის ჭეშმარიტად "თავისუფალი ბაზრის" არსებობა?

ჯერ დავინწყით შემდეგი საკითხის განხილვით: დაეუშვათ, ვინმე მოვიდა და თქვა: "ფუნტსა და უნციას შორის არსებული დამოკიდებულება მთლად ხელოვნურიაო. მთავრობამ დაადგინა, რომ 16 უნცია უდრის 1 ფუნტს. ეს მთავრობის ხელოვნური ჩარევაა. აბა, თავისუფალი ბაზარი გვეკონდეს უნციასა და ფუნტს შორის, მაშინ ვნახავდით რა ურთიერთდამოკიდებულებას დაადგენდა ბაზარი მათ შორის. შესაძლოა, ბაზარმა გადაწყვიტოს, რომ 1 ფუნტი 14 უნციას უდრის ან 17-ს." ცხადია, ასეთ მოსაზრებას ყველა აბსურდად მიიჩნევს, მაგრამ, რატომ არის აბსურდი? იმიტომ, რომ საყოველთაოდ არის დადგენილი, რომ ფუნტი 16 უნციას უდრის, და არა იმიტომ რომ მთავრობამ ხელოვნურად დააწესა. ნონისა და ზომის სტანდარტები საყოველთაოდ დადგენილი კრიტერიუმებია და სწორედ ეს განაპირობებს,

მათ საჭიროებას ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში. სასაცილო იქნება ფუნტსა და უნციას ან ფუნტსა და დუიმს შორის თანაფარდობა რომ შეეცვალოთ და ისე დავიწყოთ გაზომვა. მაგრამ ოქროს სტანდარტის მომხრეთა არგუმენტი სწორედ ის არის, რომ, ის, რასაც ჩვენ სხვადასხვა ქვეყნის საგადამხდელო საშუალებების სახელით ვიცნობთ, სრულიადაც არ არის დამოუკიდებელი რამ. ისინი საქონლისგან, მაგალითად, სპილენძის და ხორბლისგან არსებითად განსხვავებულს არ წარმოადგენს, უბრალოდ, ოქროს ან ვერცხლის სხვადასხვა წონას აღნიშნავს, ან სავარაუდოდ მათი სახელწოდებები უნდა იყოს, და აქედან გამომდინარე იგივე სტატუსი უნდა ჰქონდეს, როგორც ნებისმიერი წონისა და ზომის დამკვიდრებულ ერთეულს.

ფულის თემასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტული მაგალითი განვიხილოთ. დავეშვათ, ვინმე მოვიდა და თქვა: "5-ცენტისა და 10-ცენტისან შორის არსებული თანაფარდობა წმიდად ხელოვნურიაო. ორი ხუთცენტისანი მხოლოდ იმიტომ უდრის 10 ცენტს, რომ მთავრობამ ასე დაადგინაო. აბა თავისუფალი ბაზარი იყოს 5-ცენტისა და 10-ცენტისან შორის, ვინ იცის, იქნებ თავისუფალმა ბაზარმა დაადგინოს, რომ ათცენტისან 7 ცენტის ან 11 ცენტის ღირებულება აქვს. აბა ვნახოთ, რა მოხდება თავისუფალი ბაზრის პირობებში."

ისევე დავინახავთ, რომ ასეთი მოსაზრებაც არანაკლებ უაზრობაა. მაგრამ კვლავ ისმის კითხვა - რატომ? მაინც რატომ არის ეს მოსაზრება არასწორი? ისევე და ისევე საქმე იმაშია, რომ ერთცენტისანი, 5-ცენტისანი და 10-ცენტისანი არის საგადამხდელო საშუალების დადგენილი ერთეულები. დადგენილია, რომ ერთი დოლარი ათი ათცენტისანისგან ანუ 100 ცენტისგან შედგება, და სრული ქაოსი და აბსურდი წარმოიშობა, თუკი ამაში ყოველდღიურად შევიტანთ ცვლილებას. ნებისმიერ ანგარიშსა და გამოთვლაში ისევე და ისევე სტაბილურ სტანდარტს, წონისა და ზომის სტაბილურ ერთეულს არსებითი მნიშვნელობა აქვს.

სხვაგვარად, რომ ვთქვათ, თავისუფალი ვაჭრობის იდეას მხოლოდ სხვადასხვა მასალის ერთეულებს შორის აქვს აზრი, სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას შორის, მაგალითად, სპილენძსა და ხორბალს ან სხვა საგნებს შორის. მაგრამ ერთი მასალის სხვადასხვა ერთეულების შემთხვევაში, მაგალითად, ერთ უნცია სპილენძსა და ერთ ფუნტ სპილენძს შორის თავისუფალ ვაჭრობას აზრი არ ექნება. ნებისმიერ შემთხვევაში ზომის ერთეულები თვლა-ანგარიშის უცვლელ კრიტერიუმად უნდა დარჩეს.

ოქროს სტანდარტის კრიტიკის მხრივ ფრიდმენის მიმდევართა პოზიცია ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ჩიკაგოელები ისეთ თავისუფალ ვაჭრობას უჭერენ მხარს, სადაც არსებითად ერთი და იმავე ნივთიერების სხვადასხვა ერთეულებს შორის არის ვაჭრობა, ანუ სასაქონლო ოქროს სხვადასხვა წონას შორის. ფრიდმენის მიმდევარნი ფარულად თუ აშკარად ვარაუდობენ, რომ ყველა ეროვნული საგადამხდელო საშუალება - ფუნტი, დოლარი, მარკა, და სხვა დამოუკიდებელი საგადამხდელო საშუალებებია და უნდა იყოს კიდევაც დამოუკიდებელი ანუ თავისთავადი საქონელი, ამიტომ თავისუფლად უნდა ცვალებადობდეს ერთმანეთის მიმართ. განვიხილოთ, რა არის ფუნტი, ფრანკი, დოლარი და საიდან წარმოიშვა თითოეული. ფრიდმენის მიმდევრები მათ ნომინალურ ღირებულებად სხვადასხვა ცენტრალური მთავრობის ნება-სურვილით გამოშვებულ საგანს ან სხვა რამეს მიიჩნევენ. ბრიტანეთის მთავრობისთვის ეს არის "ფუნტი" და ის წყვეტს თუ რამდენი უნდა გამოუშვას, ანუ ფუნტის რაოდენობას აკონტროლებს (ანუ აკონტროლებს "ფუნტით" განაღდებად საბანკო კრედიტს). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იგივეს აკეთებს დოლართან მიმართებაში, საფრანგეთის მთავრობა ფრანკთან მიმართებაში, და ა.შ.

პირველ რიგში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესენი ძალიან უცნაური სახის "თავისუფალ ბაზარს" უწევენ რეკომენდაციას, რადგან აქ ისეთი საგნების ანუ ისეთი საქონლის თავისუ-

ფაღ ვაჭრობაზეა საუბარი, რასაც მთლიანად სახელმწიფო უშვებს და შესაბამისად მთავრობის სრულ განკარგულებაშია. დანარჩენი სავაჭრო საქონელი უკვე ამკარად სულ სხვა რამ არის და ის თავისუფალი ბაზარი, რომელსაც ჩიკაგოს სკოლა გვთავაზობს, სულ სხვა. ფრიდმენის სქემით სპილენძს, ფოლადს, ხორბალს, ფილმებს, ყველაფერს კერძო ფირმები და ორგანიზაციები უშვებენ და კერძო მომხმარებლის და თავისუფალი ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებას ექვემდებარება. მაგრამ ფული, მხოლოდ ეს იდუმალი "დოლარები", "მარკები" და ა.შ. მთლიანად მთავრობების კონტროლსა და განკარგვას უნდა ექვემდებარებოდეს. ეს არის "თავისუფალი ბაზარი"? სხვა საქონლის თავისუფალი ბაზრების ჭეშმარიტი ანალოგი რომ იყოს, ფულის მარაგს მხოლოდ კერძო ფირმები და ადამიანები უნდა ჰქმნიდნენ ბაზარზე და მხოლოდ კერძო მომხმარებლებისა და მწარმოებლების მოთხოვნა-მიწოდებას უნდა ექვემდებარებოდეს. ნათელია, რომ ფრიდმენის მიმდევართა სქემაში მთავრობის დეკრეტული საგადამხდელო საშუალება მხოლოდ კერძო ანუ თავისუფალი ბაზრის ზემოქმედებას ვერ დაექვემდებარება.

არსებობს კი გზა, რა გზითაც სათანადო ეროვნული ფული შეიძლება მხოლოდ კერძო ბაზრის ზემოქმედებას დაემორჩილოს? ასეთი რამ შესაძლებელია? ამ კითხვას არა მხოლოდ დადებითად უნდა ვუპასუხოთ, არამედ ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ეს საგადამხდელო საშუალება, თითოეული მათგანი, რასაც ფრიდმენის მიმდევრები ნომინალურ ღირებულებად მიიჩნევენ, როგორც დამოუკიდებელ რამეს, ოქროს წონის ერთეულის სახით წარმოიშვა ფულის ჭეშმარიტად კერძო და თავისუფალ ბაზარზე.

ამ ჭეშმარიტების გასაგებად ფულის დეკრეტულ სახელებს მიღმა უნდა ვეძიოთ როგორ წარმოიშვა ისინი. ფაქტობრივად პირველ მსოფლიო ომამდელ დასავლურ სამყაროს უნდა მივუბრუნდეთ. სამართლებრივად "დოლარი" დღესაც კი არ არის დამოუკიდებელად წარმომოხილი სახელწოდება, რადგან აშშ კანონმდებლობაში დოლარი ახლაც კი განსაზღვრულია, როგორც ოქროს წონის ერთეული და ამჟამად დაახლოებით უნცია ოქროს ერთ ორმაცედამეორედს შეადგენს. 1994 წლამდე დოლარი დაახლოებით უნცია ოქროს ერთ-მეოცედს შეადგენდა. ასეთი იყო "დოლარი". ანალოგიურად ფუნტი სტერლინგიც არ იყო დამოუკიდებელი; ის უნცია ოქროს ერთ მეოთხედზე ცოტა ნაკლები წონით განისაზღვრებოდა. ყველა სხვა საგადამხდელო საშუალებაც ასევე ოქროს (ზოგიერთ შემთხვევაში ვერცხლის) წონის მიხედვით განისაზღვრებოდა. ვნახოთ, როგორ მუშაობდა ეს სისტემა. ამისათვის მრავალრიცხოვანი საგადამხდელო საშუალებებიდან შემდეგი სამი საგადამხდელო საშუალება განვიხილოთ, და დაეშვათ:

1 დოლარი შეადგენს უნცია ოქროს ერთ-მეოცედს.

1 ფუნტ-სტერლინგი უნცია ოქროს ერთ-მეოთხედს

1 ფრანკი უნცია ოქროს ერთ-მეასედს

ამ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნის საგადამხდელო საშუალება მხოლოდ სახელწოდებით განსხვავდება ერთმანეთისგან. სინამდვილეში ისინი მხოლოდ ერთი და იმავე საქონლის – ოქროს – წონის სხვადასხვა ერთეულებია. სხვადასხვა საგადამხდელო საშუალება ერთმანეთთან მიმართებაში პირდაპირ შეესაბამება ოქროს სათანადო წონას, სახელდობრ,

1 დოლარი უდრის ერთ-მეხუთედ ფუნტ სტერლინგს - 5 ფრანკს

1 ფრანკი უდრის ერთ-მეხუთედ დოლარს - ერთ-ოცდამეხუთედ ფუნტს

1 ფუნტი უდრის 5 დოლარს - 25 ფრანკს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ქვეყანას შორის ფიქსირებული გაცვლითი კურსი არსებობდა. მაგრამ ეს იმდენად გაცვლითი კურსი არ იყო, რამდენადაც ოქროს სხვადასხვა წონის ერთეული, რომელიც აუცილებლად ფიქსირდებოდა როგორც კი შესაბა-

მისი წონა დადგინდებოდა. თუ ვიტყვი, რომ მთავრობები "ხელოვნურად აფიქსირებდნენ" სხვადასხვა საგადამხდელო საშუალების გაცვლით კურსს, იგივეა რომ ვთქვათ - მთავრობები "ხელოვნურად" ადგენენ, რომ 1 ფუნტის წონა უდრის 16 უნციას ან 1 ფუტი უდრის 12 დუიმს, ან "ხელოვნურად" ადგენენ, რომ დოლარი 10 ათცენტისიანსა ან 100 ცენტისიანს შედგება. ყველა წონისა და ზომის ერთეულის მსგავსად, ასეთი განზომილებები მთავრობის მოგონილი ვერ იქნება. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ეს მეცნიერთა ჯგუფის დაწესებული იყოს ან ტრადიციულად წარმოიშვა საზოგადო მხარდაჭერით.

ასეთ "კლასიკურ ოქროს სტანდარტს" მრავალი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური უპირატესობა ჰქონდა. პირველ რიგში ის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ფულის მარაგი ძირითადად მთავრობის განკარგულებით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ - სპილენძის, ხორბლის და ა.შ. - თავისუფალი და კერძო ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ზემოქმედებით. ოქრო იყო და არის ისეთი ლითონი, რომელსაც კერძო კომპანიებმა ჯერ უნდა მიაკვლიონ და მერე მისი მოპოვება აწარმოონ. მის მარაგს ბაზრის ზემოქმედება განაპირობებდა სხვა საქონელსა და ფაქტორებზე მოთხოვნა-მიწოდებიდან გამომდინარე ოქროზე მოთხოვნილებით; მაგალითად, ოქროს მოპოვებისა და სხვა საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე დახარჯული ფარდობითი ღირებულებითა და პრომატივეადობის კოეფიციენტით. თავიდან მსოფლიო ფულის მარაგს თავისუფალი ბაზარი განსაზღვრავდა და არა მთავრობის განკარგულება. მართალია, მთავრობას შეეძლო საგადამხდელო საშუალების ნიშანსა და ოქროს წონას შორის კავშირის შესუსტების გზით საქმეში ჩარეულიყო, მაგრამ ამ სისტემას მაინც კერძო საფუძველი ჰქონდა და აქედან გამომდინარე ყოველთვის შესაძლებელი იყო წმინდა კერძო და თავისუფალ ფულად სისტემას დაბრუნებოდა. იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა საგადამხდელო საშუალების ნიშანი მკაცრად ინარჩუნებდა ოქროს წონასთან თანაფარდობას, ოქროს კლასიკური სტანდარტი გამართულად და ჰარმონიულად მუშაობდა ძლიერი ინფლაციისა და აღმა-დაღმა მკვეთრად მერყევი კურსის გარეშე.

ოქროს საერთაშორისო სტანდარტს სხვა დიდი უპირატესობანიც გააჩნდა. კერძოდ, მთელი მსოფლიო ერთიან ფულზე იყო გადასული, იმ ფულზე, რომელმაც მთელი თავისი უზარმაზარი უპირატესობებით მთლიანად შეცვალა ბარტერის ქაოსური სამყარო, სადაც ფასების, მოგებისა თუ ზარალის ეკონომიკური გათვლა შეუძლებელი იყო. მსოფლიომ მხოლოდ მაშინ შეიგრძნო ბარტერთან შედარებით ფულის სრული უპირატესობა მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური გათვლებითა და მისგან გამომდინარე თავისუფალი ვაჭრობით, ინვესტიციებით, როდესაც ერთიან ფულზე გადავიდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აშშ-ის ზრდისა და აყვავების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ის წარმოადგენდა, რომ ქვეყნის შიგნით თავისუფალი ვაჭრობის დიდი სივრცე იყო: ნიუ-იორკსა და ინდიანას შორის, კალიფორნიასა და ორეგონს შორის არც ტარიფები იყო, არც სავაჭრო კვოტები, და არამარტო ეს. მთელი ქვეყანა ერთიანი საგადამხდელო საშუალების უპირატესობით სარგებლობდა - ყველა რეგიონში აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით ერთიანი დოლარის სამოქმედო სივრცე იყო. ნიუ-იორკსა და ინდიანას შორის არც საგადამხდელო საშუალების დეველვაცია ხდებოდა და არც გაცვლის კონტროლი.

წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა ამის ნაცვლად აშშ-ში ფრიდმენის სქემა რომ შემოეღოთ. შეიძლება ქვეყანა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული იყოს, მაგრამ რეალურად ეს ეკონომიკურ ერთეულს არ ნიშნავს. საერთაშორისო სპეციალიზაციისა და შრომის დაწინაურების უზარმაზარ უპირატესობას მოკლებული ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებდა ან არ ისურვებდა დამოუკიდებელი ყოფილიყო. ფრიდმენის მიმდევრებს ნამდვილად შეაშფოთებდათ ნიუ-იორკსა და ნიუ-ჯერსს შორის მაღალი ტარიფებისა და ქვოტების კედლის

აღმართვის იდეა. სხვადასხვა ქვეყნების მიერ სხვადასხვა საგადამხდელი საშუალების გამოშვების შესახებ რას იტყვით? თუ, როგორც ფრიდმენის მიმდევრები ამბობენ, ყველა ქვეყანაში ფულზე მოთხოვნა საკუთარი საგადამხდელი საშუალების გამოშვებით უნდა დასრულდეს - შვეიცარიელებისთვის შვეიცარული ფრანკის გამოშვებით, ფრანგებისთვის ფრანგული ფრანკის და ა.შ., მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ ნიუ-იორკმა საკუთარი "იორკები" გამოუშვას, ნიუ-ჯერსიმ - "ჯერსები" და საგადამხდელი საშუალების ამ ნაირსახეობათა შორის მოქნილი "ვაჭრობა" იყოს? მაგრამ იმის გამო, რომ აშშ-ს ერთიანი ფული - დოლარი - აქვს და იმის გამო, რომ, როგორც ფრიდმენის მიმდევრები იტყვდნენ, შტატებს შორის "ფიქსირებული გაცვლითი კურსია", ეს ქვეყანა არანაირ მონეტარულ კრიზისს არ განიცდის და არც ნიუ-იორკსა და ნიუ-ჯერსს შორის, ან სხვა შტატთან მიმართებაში არ სწუხან "საგადამხდელი ბალანსზე".

ამასთან ერთად, ნათელია, რომ ფრიდმენის მიმდევრები მას, რასაც, ასე ვთქვათ, ერთი ხელით იღებენ, მეორეთი უკან დებენ. მართალია, ისინი მტკიცედ ეწინააღმდეგებიან გეოგრაფიულ ტერიტორიებს შორის სატარიფო ბარიერების არსებობას, მაგრამ მათი თავისუფლად რყევადი დეკრეტული საგადამხდელი საშუალება შესაძლოა ამ ტერიტორიებს შორის კრიპტოტარიფულ ბარიერად იქცეს და ალბათ ასეც იქნება. შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის შემდგომი დეკრეტული ფულის "გრინბეკის"¹ პერიოდში პენსილვანიელი მეფოლადეები, რომლებიც უფრო ეფექტიანი და უფრო დაბალი ღირებულების ბრიტანული ფოლადის თავიდან მოსაშორებლად მუდამ დამცავ ტარიფებს უჭერდნენ მხარს, მიხვდნენ, რომ გრინბეკების გაუფასურება დამცავი მექანიზმივით მოქმედებდა: რადგან დოლარის დაწევა იმპორტის გაძვირებას და ექსპორტის გაიაფებას იწვევდა².

ანალოგიურად, 1930-იანი წლების საერთაშორისო დეკრეტული ფულის პერიოდებში (და ახლაც 1973 წლის მარტის მერე) საგადამხდელი საშუალების გაუფასურების გამო ყველა ქვეყნის ექსპორტისადმი ინტერესი შენელდა, რასაც ხელი შეუწყო უნიათო შიდა კომპანიებმა, რომლებიც უცხოელი კონკურენტების ჩამოშორებას ცდილობდნენ. ანალოგიურად, თუ ფრიდმენის მიმდევრები შტატებს შორის კონკურენტული და პროგრესული სატარიფო ბარიერის ფუნქციას შეასრულებენ, კატასტროფულ შედეგს გამოიწვევენ შეერთებული შტატების მასშტაბით.

თუ ორომცადათივე შტატის შორის დამოუკიდებელი საგადამხდელი საშუალების არსებობა ასე კარგად, რატომ არ შეიძლება ის კიდევ უფრო გაუმჯობესდეს? რატომ არ უნდა გამოუშვას დამოუკიდებელი საგადამხდელი საშუალება თითოეულმა ქვეყანამ, ოლქმა, ქალაქმა, კვარტალმა, შენობამ, ადამიანმა? ფრიდმენის მიმდევარმა, საგადამხდელი საშუალებების თეორეტიკოსმა ლელანდ ბ. იგერმა³, რომელიც მხარს უჭერს თითოეული რეგიონისთვის და ოლქისთვისაც კი ცალკე ფულის არსებობას და სურს გამუდმებით ამტკიცოს, რომ ამის უარყოფა აბსურდია, საბოლოოდ უკუაგდო ის იდეა, რომ თითოეული ადამიანი ან ფირმა საკუთარ ფულს უნდა ბეჭდვდეს. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც

¹ გრინბეკი - აშშ-ის ქალაქის დოლარის აღმნიშნელი ყარგონი. სახელწოდების წარმოშობა დაკავშირებულია ფერთან, თუმცა 1800-იანი წლების შუა პერიოდისათვის გრინბეკი ნეგატიურ ტერმინს წარმოადგენდა. ამ პერიოდში კონტინენტურ კონგრესს არ ჰქონდა საგადამხდელი ორგანო. შედეგად გრინბეკს არ გააჩნდა უსაფრთხო ფინანსური მხარდაჭერა და ბანკები უხალისოდ აძლევდნენ მომხმარებელს დოლარის მთლიან ღირებულებას.

² გრინბეკის დროს პროტექციონისტული მექანიზმის სახით დეკრეტული ფულის გაუფასურების შესახებ იხილეთ: Murray N. Rothbard, "Money, the State, and Modern Mercantilism," in H. Schoeck and J. W. Wiggins, eds., *Central Planning and Neomercantilism* (Princeton, N.J.: D. Van Nostrand, 1964), 149-151.

³ ლელანდ ბ. იგერი (Leland B. Yeager) ამერიკელი ეკონომისტი, მონეტარული პოლიტიკის და სართაშორისო ვაჭრობის ექსპერტი

იგერი აღიარებს, "რომელიმე გაურკვეველი ნერტილის მიღმა, ცალკეული საგადამხდელო საშუალებების გამრავლება ძალიან პატარა და ვინაოდ შემოფარგლულ ტერიტორიებზე თვითონ ფულის კონცეფციას შეენიანაღმდეგება."⁴ ეს მართლაც ასე იქნება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფულის კონცეფცია დაირღვევა არა რაღაც "გაურკვეველ მომენტში", არამედ მაშინვე როგორც კი რომელიმე ეროვნული დეკრეტული ფული არენაზე გამოვა მსოფლიო ფულის ბოლოს მოსაღებად. თუკი როთბარდი, იგერი და ჯონსი, ყველა თავის "როთბარდს", "იგერს" და "ჯონსს" დაბეჭდავს და მხოლოდ ეს საგადამხდელო საშუალებები იქნება ბაზარზე, ცხადია, მსოფლიო ისევე ბარტერის საოცრად რთულ და ქაოტურ ფორმას დაუბრუნდება და მთელი ვაჭრობა და ინვესტიციები ვირტუალურ ჩიხში მოექცევა. ფაქტობრივად ფული აღარ იქნება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მანამ, სანამ ჩვენ ამას ცხადად დავინახავთ იმ სამყაროში, სადაც "ყველას თავისი ფული აქვს", ფრიდმენის მიმდევართა სასურველი დეკრეტული საგადამხდელო საშუალების პირობებში იგივე კატასტროფული პრინციპი ამუშავდება და ფულის ფუნქცია ისევე მოიშლება. ის გზა, რა გზითაც საერთაშორისო ფულის უპირატესობანი შეიძლება დაეიბრუნოთ და, რაც ფრიდმენის მიმდევართა გზა ენიანაღმდეგება, იმ საქონლის დაბრუნებას ნიშნავს, რომელიც მთელ მსოფლიოს შეუძლია გამოიყენოს და იყენებს კიდევაც როგორც ფულს და რაც პრაქტიკულად სასაქონლო ოქროს ნიშნავს. მოქნილი გაცვლითი კურსის ერთი-ერთი კრიტიკოსი, პირადად "რეგიონალური საგადამხდელო საშუალებების სამოქმედო სივრცის მომხრე", პროფესორი მანდელი⁵ ერთიანი მსოფლიო ფულის კლასიკურობას აღიარებს და წერს: "უნდა გვახსოვდეს, რომ XIX ს-ის ძველი ეკონომისტები ინტერნაციონალისტები იყვნენ და ზოგადად საერთაშორისო საგადამხდელო საშუალებას უჭერდნენ მხარს. ჯონ სტიუარტ მილი წერს (*Principles of Political Economy*, vol. 2, გვ. 176): "ჯერ კიდევ იმდენი ბარბაროსობაა შემორჩენილი მრავალი ცივილიზებული ქვეყნის ვაჭრობაში, რომ თითქმის ყველა დამოუკიდებელი ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვისაც მოუხერხებელია და მისი მეზობლებისთვისაც, მაინც ამჯობინებს თავისი ეროვნულობა საკუთარი საგადამხდელო საშუალებით განამტკიცოს."

მიღს ბაგეპოტის და სხვების მსგავსად, შეფასებისა და ფულის ცვლილების ფასი უფრო ანტიერესებს, ვიდრე სტაბილიზაციის პოლიტიკა და, ამკარაა, რომ ეს ფასები ისეთ ტენდენციას ამჟღავნებს, რომ საგადამხდელო საშუალებების გაზრდასთან ერთად გაიზრდება. ნებისმიერი ფულის *qua numeraire* ანუ საანგარიშო ერთეული ამ ფუნქციას ნაკლები ადეკვატურობით შეასრულებს თუ უცხოური საქონლის ფასები უცხოურ საგადამხდელო საშუალებაში იქნება გამოხატული და ადელობრივ საგადამხდელო საშუალებაში გადაყვანა გახდება საჭირო. ანალოგიურად, როდესაც მრავალი სახის საგადამხდელო საშუალება არსებობს ფულის გაცვლითი საშუალების ფუნქცია ნაკლებ გამოსადეგია. მართალია, საგადამხდელო საშუალების განაღდების დანახარჯები მუდამ სახეზეა, მაგრამ მოქნილი გაცვლითი კურსის შემთხვევაში განსაკუთრებით მაღალ დონეს აღწევს. ფული მოსახერხებელია და ეს განსაზღვრავს საგადამხდელო საშუალებების ოპტიმალურ რიცხვს. თავისთავად ამ არგუმენტის პირობებში ოპტიმალური საგადამხდელო საშუალებების სამოქმედო სივრცე მთელი მსოფლიოა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენი რეგიონისგან შედგება ის."⁶

მთავრობის მიერ გამოშვებული დეკრეტული ქალაქის ფულის თავიდან ასაცილებლად და მის ნაცვლად კერძო ბაზარზე წარმოქმნილი ფულადი საქონლის (მაგ. ოქრო) დაბრუნებისათვის კიდევ ერთი მიზეზი არსებობს. თუკი ეს ფული დამკვიდრდება, ფულის რა მარაგიც

⁴ Leland B. Yeager, "Exchange Rates within a Common Market," *Social Research* (Winter 1958): გვ. 436-37. აგრეთვე Yeager, "An Evaluation of Freely-Fluctuating Exchange Rates" (Ph. D. dissertation, Columbia University, 1952).

⁵ რობერტ ა. მანდელი (Robert Mundell, 1932) ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში (1999).

⁶ Robert A. Mundell, *International Economics* (New York: Macmillan, 1968), გვ. 183.

არ უნდა არსებობდეს, ის ეკონომიკისთვის საჭირო "ფულად ფუნქციას" სრულყოფილად შეასრულებს. სხვა ტოლფასი რამის, ფოლადის ან ვერცხლის, ან ტელევიზორების მარაგის ზრდა საზოგადოებისთვის სუფთა მოგება იქნება: ის საქონლის წარმოებას და მომხმარებელთა მომსახურებას გაზრდის. მაგრამ ფულის მარაგის ზრდა ასეთ ზემოქმედებას არ მოახდენს, რადგან ფულის სარგებლიანობა გაცვლისგან მომდინარეობს და არა მისი მოხმარებიდან ან წარმოებაში გამოყენებიდან. ამიტომ, ფულის მარაგის ზრდა უბრალოდ მისი მსყიდველობითი უნარის შემცირებას გამოიწვევს; ეს ფულის ნებისმიერი ერთფულის ეფექტიანობას შეესაბამება. დოლარის მარაგის ზრდა უბრალოდ თითოეული დოლარის მსყიდველობითი უნარის შემცირებას, ე.ი., გამოიწვევს მას, რასაც ახლა "ინფლაციას" უწოდებენ. თუ ფული იქნება ბაზრის დეფიციტური საქონელი, მაგალითად ოქრო, მისი მარაგის ზრდა ძვირადღირებული პროცესია და აქედან გამომდინარე მსოფლიოში მისი მარაგის უცაბედი ინფლაციური ზრდა მოსალოდნელი არ იქნება. მაგრამ დეკრეტული ქალაქის ფული არსებითად უფასურია: მთავრობას არაფრად უღირს ქალაქის ბექდვა და მისი სწრაფად დამატება ფულის მარაგზე, და აქედან გამომდინარე დამლუპველ ინფლაციაზე; თუ მთავრობას დეკრეტულ ქალაქის ფულსა და საბანკო ანაბრებზე - ფულის მარაგზე - სრულ და აბსოლუტურ უფლებას მივანიჭებთ, როგორც ამას ფრიდმენის მიმდევრები ჩაიედენდნენ, მთავრობა მუდმივად ძლიერი ცდუნების ქვეშ იქნება, რომ ეს უფლება გამოიყენოს და ფულისა და ფასების ინფლაცია მოახდინოს.

არ მიკვირს, რომ ფრიდმენის მიმდევრები გაცილებული და უკმაყოფილო უყურებენ, როგორ იყენებს მთავრობა თავის ძალაუფლებას ინფლაციის მოსახდენად. პოლიტიკოს არსებითი კანონია, რომ მთავრობა მისთვის მინიჭებულ უფლებას გამოიყენებს. მას უფლება აქვს ფული დაბეჭდოს და ამ უფლებას გამოიყენებს თავისი დეფიციტის შესავსებად, სასურველი ბუნებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების დასაფინანსებლად და ა.შ. მიეცით ნებისმიერ ჯგუფს მონოპოლიის ძალადობრივად დამკვიდრების უფლება, და ისინი ამ უფლებას მთელი სიგრძე-სიგანით გამოიყენებენ. რატომ იქნება მთავრობა გამონაკლისი? რასაკვირველია, სახელმწიფო ინფლაციის მრავალსაუკუნოვანი საშინელი ისტორია იმედს არ იძლევა, რომ მთავრობა მოულოდნელად უარს იტყვის ინფლაციის უფლების გამოყენებაზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მთავრობა, ფულის მარაგის გაზრდის ჩვეულ ტენდენციას ამჟღავნებს, როგორც კი ამის შესაძლებლობა ეძლევა, ოქროს სტანდარტის და "ფიქსირებული გაცვლითი კურსის" არ ქონა საგადასახადო ბალანსის პრინციპის დარღვევას ანუ იმ მცირეოდენი დაბრკოლების მოშლას ნიშნავს, რომელიც მთავრობას ფულის მარაგის გაზრდის მუდმივი მცდელობისა და ნინ ელობება. ასეთ ვითარებაში ოქროს საზღვარგარეთ გადინება საგადამხდლო საშუალებათა ორგანოებს აფრთხილებს ინფლაცია შეწყვიტონ, რომ ოქრო არ დაკარგონ. აბა, უარი ვთქვათ საერთაშორისო ფულზე და მერყევი დეკრეტული ფული შემოვიღოთ. მაშინ საგადასახადო ბალანსის ზღვარი ნაიშლება, სახელმწიფოს ინფლაციური ქმედების ზღვარი მხოლოდ საკუთარი გაუფასურებული საგადამხდლო საშუალება იქნება. მაგრამ, რადგან საექსპორტო კომპანიები და უნიათო ეროვნული ფირმები ხელს უწყობენ საგადამხდლო საშუალების გაუფასურებას, ეს ზღვარი მხოლოდ თხელი ქალაქის დარღვევა და მეტი არაფერი. ამგვარად, მოქნილი გაცვლითი კურსის კონცეფციის კრიტიკისას პროფესორი ჰილპერინი¹ წერს: "უსასრულოდ მოქნილი გაცვლითი კურსის მომხრეთა პრობლემა ის არის, რომ ისინი სათანადოდ ვერ ითვალისწინებენ საგადასახადო ბალანსის მოშლის მიზეზებს. ისინი ზევსის თავიდან ამომხტარი ათენასგან განსხვავებით ვერასდროს ამოხტებიან რომელიმე ეკონომიკური ვითარებიდან სრულად შეიარაღებუ-

¹ მიჩელ ა. ჰილპერინი (Michael A. Heilperin) - პოლონელი ეკონომისტი, საერთაშორისო მონეტარული სისტემის ექსპერტი

ლნი. ამას თავისი მიზეზები აქვს, რომელთაგან უმთავრესი შიდა ინფლაციაა ან დიდი ცვლილებები მსოფლიო ბაზარზე... "ბალანსის ფუნდამენტური მოშლილობანი", როგორც თვითონ უწოდებენ, შეიძლება მოხდეს და ხდება კიდევაც. თუმცა ზოგჯერ მათი თავიდან აცილებაც შესაძლებელია: თუ ინფლაცია დასაწყისშივე კონტროლს დაექვემდებარება; თუ გარე ცვლილებასთან ადაპტირება ეფექტიანად და დროულად მოხდება. ახლა შიდა კორექტივების დროულად გატარებას ყველაზე მეტად რეზერვების გაღივება თუ მისცემს ბიძგს ფიქსირებული პარიტეტის პირობებში, რასაც მუდამ ის გარემოება განაპირობებდა, რომ ქვეყნის საგადამხდელი საშუალებათა ორგანოები "საერთაშორისო დონეზე აზროვნებდნენ" და მათ ხელთ არსებული ყველა შიდა რესურსის გამოყენებით ყველა ღონეს ხმარობდნენ გარე ბალანსის შესანარჩუნებლად.⁸

პილპერიანი აქვე დასძენს, რომ ზოგიერთი მთავრობის ეროვნული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარების მცდელობა საგადასახადო ბალანსის გათვალისწინების გარეშე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, მაგრამ მცდარი გზაა. აგრეთვე მცდარია ზოგი ეკონომისტის მისწრაფება, "ვიწმეს ასიამოვნოს ნებისმიერი არასასურველი შედეგების გარეშე". ბოლოს ის ასკვნის, რომ მცურავი გაცვლითი კურსი მხოლოდ "ქაოსს" გამოიწვევს, იქამდე მიგვიყვანს... რომ საგადამხდელი საშუალებების სამსახური ხელახლა შემოიღებს საგადამხდელი საშუალების კონტროლს, თანაც ყველაზე უარესი ფორმით.⁹

მთავრობა უფლებას გამოიყენებს, რომ დეკრეტული ფულის ინფლაცია მოახდინოს, ასევე, საგადამხდელი საშუალებების გაცვლაზე კონტროლს დააწესებს. პოლიტიკური გულუბრყვილობა იქნება დეკრეტული ფულის მარაგი მთავრობას ჩაეუგდოთ ხელში და იმის იმედი გექონდეს, რომ ის საგადამხდელი საშუალებების გაცვლის კონტროლზე უარს იტყვის ან უფრო მკაცრი კონტროლის შემოღებას არ გააგრძელებს. კერძოდ, 1973 წლის შემდეგ, ერთიანი დეკრეტული ეკონომიკის პირობებში, დიდი გულუბრყვილობა იქნება გვეჯეროდეს, რომ ევროპის ქვეყნები მუდამ თავიანთი ოთხმოციოდე მილიარდი დოლარის - ამერიკული საგადასახადო დეფიციტის ათწლეულების ნაყოფის - ანაბარა იქნებიან და იმედი ექნებათ, რომ დოლარის გაუფასურება გაგრძელდება და მისი აკუმულაციის საშუალება ექნებათ. ისიც გულუბრყვილობა იქნება მოველოდეთ, რომ ისინი ასეთ დოლარს აიღებენ, რომელიც სულ უფრო და უფრო ეცემა, და არაფერს იღონებენ რომ ამერიკული პროდუქციის იმპორტის მოზღვავება შეაჩერონ ან საკუთარ ექსპორტს მისცენ გასაქანი. მაღევე, 1973 წლის მარტიდან ორიოდ თვეში ცენტრალურმა ბანკებმა "სუფთა" ფულის მარაგის დაცვლად "ჭუჭყიანი" ფულის ინტერვენცია მოახდინეს. ივლისიდან, დოლარის სწრაფი დაშვებისას, მის დაცემას მხოლოდ გავრცელებული ჭორები ადასტურებდა "სვოპი"-ს¹⁰ გაზრდილი ხელშეკრულებების შესახებ, რის საფუძველზეც ფედერალური რეზერვი "მყარ" უცხოურ საგადამხდელი საშუალებას სესხულობდა დოლარების შესაძენად.

ცხადია, ასეთი ხერხებით მხოლოდ ცოტა ხნით შეიძლება დინების შეჩერება. 1950-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-ისა და დასავლეთის მონეტარული პოლიტიკა მოკლევადიანი ხრიკები იყო დროის მოსაგებად და იმ აშკარა მონეტარული კრიზისის შესაჩერებლად, რომელიც ქალაქის ფულის ინფლაციური რეჟიმისა და კლასიკური ოქროს სტანდარტის უარყოფის შედეგად წარმოიშვა. დღეისათვის კრიზისიც სულ უფრო და უფრო ახლოვდება. 1950-იანი და 1960-იანი წლების მანძილზე ეკონომისტთა გავლენიანი წრეები ირწმუნებოდნენ, რომ ბრეტონ ვუდსში დამყარებული საერთაშორისო რეჟიმი მუდმივი და ურყევი იყო

⁸ Michael A. Heilperin, *Aspects of the Pathology of Money* (London: Michael Joseph, 1968), გვ. 227.

⁹ იქვე, გვ. 222, 293.

¹⁰ სვოპი (Swap) - უცხოური საგადამხდელი საშუალების შესყიდვა ეროვნული ფულით მისი შემდგომი გამოსყიდვის უფლებით

და თუ უფრო მყარი ფულის მფლობელ ევროპულ ქვეყნებს ამერიკის ინფლაცია და დეფიციტი არ მოსწონდა, ეს მათი საქმე იყო. იგივე ეკონომისტები იმასაც ირწმუნებოდნენ, რომ ერთი უნცია ოქროს ოფიციალური ფასი \$35 – რაც გაუფასურებული დოლარის პირობებში დიდი ხნის მანძილზე ოქროს აბსურდული ფასი იყო – დროს გაუძლებდა. მაგრამ 1971 წლის 15 აგვისტოს პრეზიდენტმა ნიქსონმა, რომელსაც ევროპის ცენტრალური ბანკები დოლარის ოქროზე განაღდებდას აიძულებდნენ, პრეტსტ ვუდსის ხელშეკრულებას – დოლარის ოქროზე განაღდების უკანასკნელ მაკავშირებელ რგოლს – ბოლო მოუღო.

ჩვენ ისიც გვითხრეს (ამჯერად ფრიდმენის მიმდევრებმაც და კეინსიანელმა ეკონომისტებმაც), თანაც ძალიან დამაჯერებლად, რომ, როდესაც 1968 წელს ოქროს თავისუფალი საბაზრო ფასი ოფიციალურ სახელმწიფო ყიდვა-გაყიდვაზე აღარ იყო დამოკიდებული, ერთი უნცია ოქროს ფასი დაახლოებით \$10-მდე დაეცემოდა. ოქროს ფულის მონინალმდევე ფრიდმენის მიმდევრებიც და კეინსიანელებიც ერთთავად ამტკიცებდნენ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, 1968 წლამდე სწორედ დოლარს ეყრდნობოდა ოქრო ლონდონისა და ცოურინის თავისუფალ ოქროს ბაზრებზე. მარტში, "ორიარუსიანი ოქროს ბაზრის" გახსნისას, ეს ეკონომისტები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ მალე ოქრო, როგორც ფულადი ფაქტორი აღარ იქნება, ხელისუფლება და მისი ცენტრალური ბანკები კი ამტკიცებდნენ, ერთი უნცია ოქროს ფასი \$35 დარჩებაო, თუმცა მათ უკვე აღარაფერი ესაქმებოდათ ოქროს გარე ყიდვა-გაყიდვასთან. მაგრამ პირიქით მოხდა. ერთი უნცია ოქროს ფასი \$35-ზე ქვემოთ არათუ არ ჩამოსულა, არამედ ახლა თავისუფალ ბაზარზე შემცირებულ და გაუფასურებულ დოლართან შედარებით ბაზრის მიერ დარგულირებული შეფასებით ერთი უნცია ოქროს ფასმა დაახლოებით \$125 მიაღწია და ერთი უნცია ოქროს ფასი – \$35 ამერიკის ოფიციალურ ანგარიშებში ორჯერ გაუფასურდა და ახლა ერთი უნცია ოქროს ოფიციალური ფასია \$42.22. ამგვარად, ბაზარზე უდიდესი აღიარებით სარგებლობს ოქრო და უწინდელზე უფრო ძლიერი საგადამხდელო საშუალების სახით დაბრუნდა.

ბაზარი არამარტო ოქროს მონინალმდევეებს გაუსწორდა, არამედ მის თავგადადებულ მომხრეებსაც. ფრანგი ეკონომისტი ჟაკ რუეფი ათწლეულების მანძილზე ოქროს სტანდარტის დაბრუნების გონივრული პოლიტიკის მგზნებარე მხარდამჭერი იყო, მაგრამ 1971 წლის ოქტომბრის ბოლოს ისიც შეეყოყმანდა და იმ მოსაზრებას დაეთანხმა, რომ შესაძლოა ოქროს ფასის \$70-მდე გაორმაგება ძალიან სიცოცხლისუნარი აღმოჩნდესო. მაგრამ თავად ბაზარმა ოქრო თითქმის გააორმაგა, რაც აშკარად ძვირია. "ოქროს გარეშე, საერთაშორისო ფულის გარეშე, მსოფლიოს ქვეყნები მონეტარულ კრიზისში ჩავარდებიან და რყევადი გაცვლითი კურსისა და ფიქსირებული გაცვლითი კურსის ცუდსა და უარესს შორის წინ და უკან რწევა. ოქრო თუ ძირითადი ანახლურების საშუალება არ იქნება, ფიქსირებული კურსი უფრო დიდი უაზრობა იქნება, ვიდრე რყევადი კურსი. მაგრამ მსოფლიოს მონეტარული კრიზისიდან გამოსავალი ჩვენს ხელშია და ეს გამოსავალი ისევე ოქროს კლასიკურ სტანდარტზე გადასვლაა, თავისუფალ ბაზარზე დაფიქსირებული ფასით. "თუნდაც ერთი უნცია ოქრო \$125 ლირდეს, მაინც გაცილებით მეტი ოქრო გვექნება დოლარის და სხვა საგადამხდელო საშუალებების გასამყარებლად. გაცვლითი კურსი ისევე თითოეული საგადამხდელო საშუალების ოქროს შემცველობის მიხედვით დაფიქსირდება. მართალია, ამით მსოფლიოში მონეტარული პრობლემები იოლად ვერ გადაიჭრება, – მაგალითად, კვლავ საჭირო იქნება საბანკო სისტემის მკვეთრი რეფორმების გატარება, – მაგრამ მაინც გიგანტური ნაბიჯი იქნება გადადგმული საგადამხდელო საშუალებების გაჯანსაღებისთვის. ბოლოსდაბოლოს მსოფლიოს ისევე ექნება ფული და დამლუპველ ბარტერზე დაბრუნების პერსპექტივა გაქრება. ეს კი არცთუ მცირე მონაპოვარი იქნება.

" Jacques Rueff, *The Monetary Sin of the West* (New York: Macmillan, 1972), გვ. 210-211.



მილტონ ფრიდმენი

1912 – 2006

მილტონ ფრიდმენი (Milton Friedman) ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრიზის ლაურეატი ეკონომიკაში.

მილტონ ფრიდმენი დაიბადა 1912 წლის 31 ივლისს ბრუკლინში (ნიუ იორკი) ებრაელი ემიგრანტების ოჯახში. მშობლები წარმოშობით ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ქალაქ ბერეგოვოდან (თანამედროვე უკრაინა) იყვნენ.

ფრიდმენმა დაამთავრა რათგერსის (1932) და ჩიკაგოს (1934) უნივერსიტეტები. 1935 წლამდე მუშაობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში მკვლევარ-ასისტენტად. შემდეგ მუშაობდა აშშ-ის ბუნებრივი რესურსების ეროვნულ კომიტეტში. 1937 წლიდან იწყებს მრავალწლიან თანამშრომლობას ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ბიუროსთან. 1940 წელს საიმონ კუზნეცმა და ფრიდმენმა დაასრულეს ერთობლივი კვლევა "შემოსაულები დამოუკიდებელი კერძო პრაქტიკიდან" (Income From Independent Professional Practices), რომელიც საფუძვლად დაედო ფრიდმენის სადოქტორო დისერტაციას.

1941-1943 წლებში ფრიდმენი მუშაობდა აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ჯგუფში. მეორე მოფლიო ომის წლებში მას ეკავა კოლუმბიის უნივერსიტეტში სამხედრო სფეროში სტატისტიკური კვლევის ჯგუფის დირექტორის მოადგილის თანამდებობა. 1946 წ. ფრიდმენმა დაიცვა დოქტორის ხარისხი და დაბრუნდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა ეკონომიკის პროფესორად.

1950 წელს ფრიდმენი კონსულტაციას უწევდა ჯ. მარშალის მიერ შემუშავებულ "მარშალის გეგმის" განხორციელების სტრატეგიას. მან იწინასწარმეტყველა, რომ ბრეტონ ვუდსის შეთანხმებით დაწესებული მცურავი საგადამხდელი საშუალებათა კურსები, საბოლოოდ კრახს განიცდიან, რაც მოხდა ევროპის ეკონომიკაში 1970-იან წლების ადრეულ პერიოდში.

1976 წელს ფრიდმენს მიენიჭა ნობელის პრემია ეკონომიკაში "მონეტარების ანალიზის სფეროში, ფულადი მიმოქცევის ისტორიაში და მონეტარული თეორიის შემუშავებაში, აგრეთვე ეკონომიკური სტაბილურობის პოლიტიკაში მიღწევებისათვის".

მილტონ ფრიდმენი გულის შეტევით გარდაიცვალა 2006 წლის 16 ნოემბერს, სან-ფრანცისკოში, 94 წლის ასაკში.

ფრიდმენის მტკიცებით, სრულიად უნდა უარეყოთ თანმიმდევრული მონეტარული პოლიტიკა, რადგან იგი ციკლურ ცვლილებებს განაპირობებს და მხარი დაუჭიროთ ფულის მუდმივი მიწოდების ტაქტიკას. მისი ემპირიული დასკვნით, ეკონომიკაში ფულის ოპტიმალური ზრდა უნდა შეესაბამებოდეს წლიურად 4 %-ს.

ფრიდმენის მთავარი შრომებია: "აშშ-ის მონეტარული ისტორია" (1963), "აშშ-ის მონეტარული სტატისტიკა" (1970), "მონეტარული ტენდენციები აშშ-ში და გაერთიანებულ სამეფოში" (1982), "კაპიტალიზმი და თავისუფლება" (1962) "არჩევანის თავისუფლება" (1980).

აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი წერდა: "მილტონ ფრიდმენი – პირველი რანგის მეცნიერი, რომლის ორიგინალურმა წვლილმა ეკონომიკურ მეცნიერებაში იგი გახადა თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნედ".

მილონ ფრიდმენი

გაუნაღებადი ქალაღდის ფულის სარესუსო დანახარჯი¹

თარგმნა ნინო გორგაძემ

1971 წლიდან ნამყვანი ქვეყნების ეროვნული საგადამხდლო საშუალებები აღარ წარმოადგენენ სასაქონლო ფულს. ისტორიაში პირველად, არცერთი საგადამხდლო საშუალება აღარ ექვემდებარე განაღდებას სათანადო საქონლის, კერძოდ, კეთილშობილი ლითონების ანაბრების მეშვეობით. ამასთან, ეს ხდებდა არა დროებით, გარემოებების გამო, არამედ მუდმივად. ფულის მკვლევარები, როგორც წესი, მიიჩნევენ, რომ გაუნაღებადი ქალაღდის ფულის წარმოება, სასაქონლო ფულთან შედარებით, უმნიშვნელო სარესუსო დანახარჯთანაა დაკავშირებული. თანამედროვე გამოცდილებიდან გამომდინარე, მსგავსი შეხედულება ამკარად მცდარია, რადგან შედეგად სამომავლო ფასების განჭვრეტის შესაძლებლობა შემცირდა. საკვანძო საკითხია იმის გარკვევა, თუ როგორი იქნება ამ ვითარების გრძელვადიანი შედეგები?

ფულის მკვლევარები დიდი ხანია ხაზს უსვამენ, რომ წმინდა სასაქონლო ფულის სარესუსო დანახარჯი არის ის ძირითადი ფაქტორი, რომელმაც გაცვლის ფიდუციარული საშუალებების დანერგვა ნახალისა. როგორც წლების წინ აღვნიშნე, „კერძო პირების წერილობითი ვალდებულებები ფულად გამოყენებული საქონლით გადახდის შესახებ ისევე მისაღებია, როგორც საკუთრივ ფულად გამოყენებული საქონლით, თუკი მათი მზაობა, რომ ვალდებულებებს შეასრულებენ, ეჭვს არ იწვევს. ამავდროულად, ასეთი ვალდებულებების გაცემა გაცილებით იოლია, რადგან მათ გასანაღდებლად ფულად გამოყენებული საქონლის მარაგის მხოლოდ ნაწილის შენახვა დაჭირდებათ. ამგვარად, წმინდა სასაქონლო სტანდარტს დაკნინების ტენდენცია ახასიათებს (ფრიდმენი 1960, გვ 6).

სახელმწიფომ ფიდუციარული საშუალებების შემოღება, რა თქმა უნდა, ადრევე დაიწყო, როგორც ნაწილობრივი დამარქაფების პრინციპით გაცემული კერძო ვალდებულებებზე ზედამხედველობის დასანახებლად, ასევე ფულად გამოყენებული საქონლით განაღდების ვალდებულებები დეკრეტული ელემენტების ჩართვით, რეალური რესურსების მითვისებაში უპირატესობის მოსაპოვებლად. სადღესოდ, მოვლენათა ციკლი შეკრა: სასაქონლო ჩემპირელი კატა² მთლიანად გაქრა და მხოლოდ დეკრეტული ღიმილიღა დარჩა.

დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამინდელი საერთაშორისო ფულადი სისტემა უბრეცენდენტოა. სასაქონლო სტანდარტს არცერთი მთავარი საგადამხდლო საშუალება არ ეფუძნება. ის, რასაც ეკონომისტები გარე ფულად მოიხსენიებენ, მთლიანად სახელმწიფოს დეკრეტული ფულისგან, ანუ ქალაღდის ნიშნების, მცირე რაოდენობის მონეტებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემაში არსებული ანაბრების შესახებ საბუღალტრო ჩანაწერებისგან შედგება. წარსულში, მთავრობის მიერ ლითონურ სტანდარტზე უარის თქმა და გაუნაღებად ქალაღდის ფულზე გადასვლა, როგორც წესი,

¹ წერილი „გაუნაღებადი ქალაღდის ფულის სარესუსო დანახარჯი“ დაიბეჭდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის ჟურნალში „პოლიტიკური ეკონომიის ჟურნალი“, 1986 წლის 3 ივნისის (Volume 94, 642-47).

² ჩემპირელი კატა (Cheshire Cat) - ლუის ქეროლის ნიგნის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ პერსონაჟი, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა ღიმილი კბილების დაკრეჭით. კატას შეეძლო შეუმჩნეველად გამქრალიყო, ხოლო დამშვიდობებისას მხოლოდ ღიმილი დაეტოვებინა. ჩემპირი ბრიტანეთის ერთ-ერთ საგრაფოა, სადაწინა თავად ატორი იყო წარმოშობით.

დროებით მოვლენად ითვლებოდა და მეტწილად, ასეც იყო ხოლმე. ყველა სხვა შემთხვევა კატასტროფით დამთავრდა, როგორც პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდგომი პიპერინფლაციები. ყველა ასეთ შემთხვევას თან მოსდევდა ფულადი რეფორმები, რომლებიც აღადგენდნენ გარკვეულ კავშირს საგადამხდელო საშუალებასა და საქონელს შორის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აშშ-ს პრეზიდენტ ნიქსონმა 1971 წლის 15 აგვისტოს შეწყვიტა ბრეტონ-ვუდსის ხელშეკრულება და ე.წ. ოქროს სარკემლი გამოკეტა, აშშ-მ და ყველა სხვა წამყვანმა ქვეყანამ ისეთი ფულადი სისტემა დაამყარა, რომელსაც არც საქონელთან ქონდა რაიმე კავშირი და არც მსგავსი კავშირის აღდგენის ვალდებულებას შეიცავდა. თუმცა, ყველა მათგანი ქედს იხრის წარსულის წინაშე, ცენტრალური ბანკების საბალანსო დავთრებში ოქროს მარქაფების ღირებულებებიცაა ასახული.

ნიქსონის ქმედებამ უბრალოდ დააკანონა ათწლეულების განმავლობაში ისედაც მიმდინარე პროცესი. კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, შეერთებულ შტატებში რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა: 1933 წლის 5 აპრილს, პრეზიდენტ რუზველტმა, თავისი განკარგულებით თანამოქალაქეებს ოქროს მონეტების, ზოდებისა და ოქროს სერტიფიკატების ფლობა აუკრძალა; 1965 წელს ფედერალური რეზერვების ანაბრებისათვის, ხოლო 1968 წელს - ფედერალურ სარეზერვო ნიშნებისთვის ოქროს დამარქაფების მოთხოვნები გაუქმდა (პარსტი 1973, გვ. 93).

წინა განხილვებში, სხვა ფულის მკვლევართან შევთანხმდი, რომ გაუნადგებადი ქალაქის ფულის წარმოების რეალური სარესურსო დანახარჯი უმნიშვნელოა და მხოლოდ ქალაქისა და ბუქდგის ხარჯებისგან შედგება. გაუნადგებადი ქალაქის ფულის საყოველთაოდ სტანდარტის პირობებში არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ მსგავსი დაშვება შესაძლოა მართებული იყოს უშუალოდ სამთავრობო დანახარჯებთან მიმართებაში, მაგრამ ის მცდარია მთლიანად საზოგადოებისათვის და სავარაუდოდ დარჩება ასეთად მანამ, სანამ გაუნადგებადი ქალაქის ფულის სტანდარტს ისეთი სისტემა არ ჩაანაცვლებს, რომელსაც ფასების უფრო გრძელვადიანი განჭვრეტის საშუალება ექნება.

ის რომ წარსულში ფული თავად იყო საქონელი, დიდი ხნის განმავლობაში განაპირობებდა მის მჭირდო ბმას ფასების დონესთან. ბრიტანეთში 1930 წელს ფასების დონე დაახლოებით იგივე იყო, რაც 1740 წელს; შეერთებულ შტატებში 1932 წელს იყო დაახლოებით იგივე, რაც 1832 წელს. ფასების დონის ამგვარი სტაბილურობა ირლენდზე უფრო მოკლე დროით მონაკვეთებში, რასაც ადასტურებს ფასების მერყეობა, როგორც მოკლევადიანი ბიზნეს ციკლების, ისე შედარებით დიდი რყევების შემთხვევებშიც. მიუხედავად ამისა, გრძელვადიანი განჭვრეტის შესაძლებლობას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა საინვესტიციო არჩევანზე და სარგებლის განაკვეთებზე. ისეთი ეკონომიკური თეორეტიკოსიც კი, როგორიცაა ირვინგ ფიშერი, ხაზს უსვამს განსხვავებას სარგებლის ნომინალურ და რეალურ განაკვეთებს შორის, მაგრამ პრაქტიკაში ასეთ განსხვავებას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, განსაკუთრებით სარგებლის გრძელვადიანი განაკვეთების დადგენისას, რაც განსაკუთრებულ სტაბილურობით გამოირჩეოდა. გრძელვადიან ობლიგაციებში ინვესტირება „ქვრივებისა და ობლების“ არჩევანს წარმოადგენდა.

დეკრეტული ფულის პირობებში მდგომარეობა ძალიან განსხვავებულია. ფასების დონის გრძელი ვადით განჭვრეტა კიდევ უფრო გართულდა ბოლო წლების განმავლობაში (იხილეთ კლანი, 1978)³. ინფლაცია 1970-იან და 1980-იანი წლებში მეტად არასტაბილური იყო, როგორც შეერთებულ შტატებში და ისე გაერთიანებულ სამეფოში. 1985 წელს აშშ-ში ფასების დონე ცხრაჯერ უფრო მაღალი იყო ვიდრე 1939 წელს. გაერთიანებული სამეფოში ფასების

³ კლანის შეფასებები შეწყდა 1976 წელს. საეჭვოა, რომ 1977-84 წლის დამატებებმა გააძლიერონ მისი დასკვნები, რომ გრძელვადიანი ფასის გაურკვეველობა ზუსტად მოკლევადიანი ფასის გაურკვეველობის პროპორციულად გაიზარდება.

დონე 20-ჯერ აღემატებოდა 1939 წელს დონეს. ამის გარდა, სარგებლის განაკვეთები, განსაკუთრებით სარგებლის გრძელვადიანი განაკვეთები, გაიზარდა მშვიდობიანობის პერიოდისათვის უპრეცედენტო მაღალ დონემდე და მერყეობს ინფლაციის შესაბამისად. უკვე აღარავინ ანიჭებს უპირატესობას გრძელვადიან, ფიქსირებული სარგებლის მომტან ობლიგაციებს, როგორც საინვესტიციო არჩევანს. ასევე, აღარავინ უგულვებელყოფს ფიქსირებულ მოსახრებას სარგებლის ნომინალურ და რეალურ განაკვეთებს შორის განსხვავების შესახებ.

ეს გამოცდილება მკვეთრად აძლიერებს შთაბეჭდილებას, რომელიც გაუნაღლებადი ქალაქის ფულის გამოყენების ადრეული შემთხვევების განხილვიდანაა მიღებული და რაც 1911 ფიშერმა წელს ამგვარად შეაჯამა: „გაუნაღლებად ქალაქის ფულს, თითქმის გამოწკრიპის გარეშე, უბედურება მოქონდა იმ ქვეყნისთვის, რომელიც მას იყენებდა“ (1920, გვ. 131). ერთ-ერთი შედეგი გახლავთ „მყარი ფულის“ მომხრეების აქტივობის ზრდა, რომლებიც უშვებენ ბროშურებსა და წიგნებს, ატარებენ დიდ კონფერენციებს, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობის ინფორმირებისთვის მოსალოდნელი პიპერინფლაციის ან პიპერდეფლაციის შესახებ და მოუწოდებს მათ მოემზადონ მოვლენათა უარესი განვითარებისთვის ოქროსა და ვერცხლის ზოდების, მონეტების და დაგროვების სხვა საშუალებების გადანახვის, ისევე როგორც საკვებითა და თავდაცვის საშუალებებით კარგად მომარაგებული თავშესაფრის მომზადების გზით. აღნიშნულ ქმედებებზე რეალური რესურსები იხარჯება, ისევე როგორც იმ ოქროსა და ვერცხლის წარმოებაზე, რომელიც მათი კლიენტებისა და ყველა იმ ადამიანის მარაგებში ინახება, რომელთაც ოქრო და ვერცხლი თავიანთი დანახოების ყველაზე კეთილგონიერ შემადგენელ ნაწილად მიაჩნიათ. ბრეტონ ვუდსის დასასრულის შემდეგ, კერძო მარაგებში დაგროვებული ოქროსა და ვერცხლის პირდაპირი სარესურსო დანახარჯი შეიძლება ისეთივე დიდი ან უფრო დიდიც კი ყოფილიყო, ვიდრე ის მოქმედი ოქროს სტანდარტის პირობებში იყო. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იყო ოქროს წარმოება 1971 წლის შემდეგ - უფრო მეტი იყო თუ ნაკლები, ოქროს სტანდარტის პერიოდთან შედარებით. ეს საკითხი მრავლისთქმელი შედეგების მქონე კვლევების თემა შეიძლება გახდეს, რომლის დასკვნაც ჩვეულებრივი ემპირიციზმის თვალსაზრისით სულაც არ არის ცხადი.

კიდევ ერთი რეალური დანახარჯი ირიბად დაკავშირებულია ფინანსური ბაზრების მდგომარეობათან. 1960-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კიდევ უფრო ადრე სხვა ქვეყნებში დანეჭტი ინფლაციის ფულის სასაქონლო უზრუნველყოფის შეწყვეტის ერთი მხრივ მიზეზი, ხოლო მეორე მხრივ კი, შედეგი იყო. ცვალებად და ამოუცნობ ხასიათის აღნიშნულ ინფლაციას შორის მიმავალი შედეგები ქონდა. შეერთებულ შტატებში სარგებლის საბაზრო განაკვეთი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ბევრად გადააჭარბა ბანკებისთვის ანაბრებზე სარგებლის გაცემის კანონით დადგენილ ნორმას. ამ წინააღმდეგობამ ფულადი ბაზრის ერთობლივი ფონდების სახით ისეთი შუამავლები წარმოშვა, რომლებმაც შედარებით მცირე კაპიტალის მქონე პირებს მაღალი განაკვეთებით სარგებლობის საშუალება მისცა. ასეთი ფონდების გავრცელებამ კი, თავის მხრივ, ცალსახად განაპირობა ზედამხედველობის მოშლა. ფულადი ბაზრის ფონდები ღირებულ სამუშაოს ასრულებენ, ზედამხედველობის საშუალებების გათვალისწინებით, მაგრამ ისინი უსარგებლოა ზედამხედველობის არარსებობის შემთხვევაში, და მაშინ, როდესაც ინფლაცია უკარგავს აზრს საკანონმდებლო შეზღუდვებს. მსგავსი განვითარება საზოგადოებას ასევე აკისრებს რეალურ სარესურსო დანახარჯს. შემდგომი სიახლეები კომერციული ბანკების როლის დაკნინებას ახდენდა და საბანკო ინსტიტუტების შემდგომ დერეგულირება გამოიწვია. სიახლეებმა კონტინენტურ ილინოისში, ოჰაიოსა და მერილენდში საბანკო კრიზისი განაპირობეს.

შესაძლოა, ეს მხოლოდ ახალ სისტემაზე გადასვლის თავისტიკივილი იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მნიშვნელოვან რეალური რესურსების დანახარჯებს მოითხოვენ.

სასაქონლო ფიურერსების საზოგადო ბაზარი 1970-იან წლებისთვის უკვე დიდი ხანია რაც არსებობდა. ფულსა ან ფინანსურ ინსტრუმენტებზე კი, მსგავსი ფიურერსული ბაზარი არ არსებობდა. თუმცა, ბანკები თავიანთ მომხმარებლებს უცხოური გაცვლის საშუალებების შექმნაში სთავაზობდნენ სამომავლო დაფარვის გარანტიებს. შემთხვევითობას არ წარმოადგენს ის, რომ ფულსა და ფინანსურ ინსტრუმენტებზე ფიურერსების საზოგადო ბაზარი მხოლოდ გაუნაღებელი ქალაქის ფულადი სტანდარტის პირობებში განვითარდა. ფიურერსების ბაზრის დანიშნულებაა მეურნეებს მისცეს საშუალება, რომ უფრო ეფექტიანად გაუმკლავდნენ სამომავლო ფასების გაურკვევლობასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ესაა მიზეზი იმისა, თუ რატომ განვითარდა ამგვარი მომსახურება სწორედ იმ საქონელთან მიმართებით, რომლის სამომავლო ფასები ყველაზე მეტად იწვევდა გაურკვევლობას. სასაქონლო ფულის საერთაშორისო სტანდარტის პირობებში, როდესაც სხვადასხვა საგადამხდელო საშუალებები მყარი გაცვლითი კურსით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ფასები და სარგებლის განაკვეთები არსებითად განსხვავებულად ყალიბდება და ნაკლებად მერყეობს, ამიტომ საზოგადო ფიურერსების ბაზრები ფულის და ფინანსური ინსტრუმენტებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი არ არის. გაურკვევლობას ქმნის საგადამხდელო საშუალებების პერიოდული გაუფასურებები ან სასაქონლო სტანდარტისგან გადახრები. მსგავსი გაურკვევლობა არ წარმოქმნის მოთხოვნას უწყვეტ გრძელვადიან პეჯირებაზე ან მსგავსი სპეკულაციის შესაძლებლობას.

საგადამხდელო საშუალებებზე საერთაშორისო ფიურერსული ვაჭრობა ჩიკაგოს ფულის საერთაშორისო ბაზარზე 1972 წელს დაიწყო და განსაკუთრებით გაცხოველდა მცოცავი გაცვლითი კურსების პირობებში. ინფლაციისა და სარგებლის განაკვეთის მნიშვნელოვან ცვალებადობა ფიურერსების ბაზრისა და მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტების წარმოშობას განაპირობებს. ამ პროცესის უკანასკნელ გამოვლინება ნიუ-იორკში ყავის, შაქრის და კაკაოს ბაზრებზე ფიურერსული გარიგებების დაწყებაა.

აღნიშნულ ფიურერსების ბაზარს უაღრესად საჭირო დატვირთვა აქვს, რადგან მეურნეებს საშუალებას აძლევს გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად პეჯირებას მიმართონ და ისეთი გრძელვადიანი ვალდებულებები აიღონ, რომლებსაც არ აიღებდნენ მსგავსი საშუალებების არარსებობის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ისინი შთანთქავენ რეალურ რესურსებს და, ფულადი ბაზრის ფონდების მსგავსად, არ შეიქმნებოდნენ, ახალ მონეტარულ რეჟიმს სარგებლის განაკვეთებისა და ინფლაციის თვალსაზრისით მზარდი გაურკვევლობა რომ არ ახასიათებდეს. უდაოდ არსებობს მონეტარულ რეჟიმის ცვლილების სხვა შედეგებიც, რომლებსაც გავლენა აქვთ რეალური რესურსების ოდენობაზე და რომლებიც მევერ შევამჩნივ.

ჩემთვის უცნობია გაუნაღებელი ქალაქის ფულის რეალური სარესურსო დანახარჯის გაზომვის შედეგები და მათი სასაქონლო ფულის რეალურ სარესურსო დანახარჯთან შედარების რომელიმე მცდელობა. ეს კი აშკარად საჭირო კვლევა იქნებოდა.

ნება მიბოძეთ აღვნიშნო, რომ მოცემული მაშრომი არ წარმოადგენს ოქროს სტანდარტის დაბრუნებისკენ მოწოდებას, რასაც არ უნდა გულისხმობდეს ის. პირიქით, ვთვლი, რომ ოქროს სტანდარტის დაბრუნება არც სასურველია და არც განხორციელებადი, მხოლოდ ერთი გამონაკლისით, რომ ის შეიძლება აღდგეს, თუკი წინასწარმეტყველებები არსებული ფულადი რეჟიმის პირობებში მოსალოდნელი ჰიპერინფლაციის შესახებ გამართლდება.

განხილული მოსაზრებები ყურადღებას გვაპყრობინებს გაუნაღებელი ქალაქის ფულის ერთ მახასიათებელს, რომელიც უგულვებელყოფილი იქნა ფულის მკვლევარების მიერ.

გარდა ამისა, ისინი ხაზს უსვამენ ერთობ ალიარებულ საკითხს, კერძოდ იმას, რომ არსებობს საჭიროება ისეთი მექანიზმის, რომელიც ფასების გრძელვადიანად წინასწარ განჭვრეტის საშუალებას იძლევა, მაგრამ სასაქონლო ფულზე გადაცვლის აუცილებლობას ხსნის. ან რაიმე მექანიზმი, რომელიც ფასების განჭვრეტის საჭიროებას გამოირიცხავდა. შემოთავაზებული იყო მრავალი შესაძლო მექანიზმი, დაწყებული ცხრილური სტანდარტით, რომელსაც გაცვლის საშუალება და ღირებულების საზომი ერთმანეთისგან უნდა გაემიჯნა და დამთავრებული - ფულის ზრდის წესის დადგენის მოწოდებით. ჯერჯერობით ამ საკითხზე შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

და ბოლოს, უკანასკნელ ომში მართო გენერლები როდი იბრძვიან. მიუხედავად მეცნიერულ და საზოგადო ყურადღების ზრდისა, რომელიც ფულად რეჟიმის ცვლილებით იყო გამოწვეული, კვლევების უმეტესობა ვერ ახერხებს არსებული რეჟიმის უპრეცედენტო ხასიათის ამოცნობას. რამდენიმე კითხვა თუ იქნება მეცნიერულად უფრო მიმზიდველი ან უფრო არსებით ვიდრე იმის დადგენა თუ როდის განხორციელდება ფიშერის მიერ 1911 წელს გამოთქმული წინასწარმეტყველება არსებული ფულადი რეჟიმის თაობაზე და თუ ეს არ ახდა, მაშინ რა ძალები აგვარიდებენ ამ შედეგს.⁴

წყაროები:

Fisher, Irving. *The Purchasing Power of Money: Its Determination and Relation to Credit, Interest and Crises*. Rev. ed. New York: Macmillan, 1920.

Friedman, Milton. *A Program for Monetary Stability*. New York: Fordham Univ. Press, 1960.

Friedman, Milton, and Schwartz, Anna J. "Has Government Any Role in Money?" *J. Monetary Econ.* 17 (January 1986): გვ. 37-62.

Hurst, James W. *A Legal History of Money in the United States, 1774-1790*. Lincoln: Univ. Nebraska Press, 1973.

Klein, Benjamin. "The Measurement of Long- and Short-Term Price Uncertainty: A Moving Regression Time Series Analysis." *Econ. Inquiry* 16 (July 1978): გვ. 438-52.

⁴ ამ ამ საკითხის ირგვლის დისკუსიის წინასწარი მცდელობა იხილეთ ფრიდმენის და შვარცის ნაშრომში (Friedman and Schwartz (1986)



უოლტერ ბლოკი

1941

უოლტერ ბლოკი (Walter Block) - უოლტერ ედუარდ ბლოკი (Walter Edward Block) - ანარქო-კაპიტალიზმის მიმდინარეობის ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი.

ბლოკი დაიბადა ბრუკლინში 1941 წელს. მამა, აბრაამ ბლოკი, ბულალტერი გახლდათ, ხოლო დედა რუთ ბლოკი იურისტის თანაშემწე. წარჩინებით დაამთავრა ბრუკლინის

კოლეჯი, სადაც მიიღო ფილოსოფიის ბაკალავრის ხარისხი, ხოლო კოლუმბიის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ - დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში.

თავდაპირველად უოლტერ ბლოკი ევალიტიარიანული მსოფლმხედველობის მიმდევარი გახლდათ. შემდგომ პერიოდში მასზე გავლენა მოახდინა ეინ რენდის მიერ ბრუკლინის კოლეჯში წაკითხულმა ლექციებმა.

1979 წლიდან 1991 წლამდე მუშაობდა ფრეიზერის ინსტიტუტის უფროს ეკონომისტად. უოლტერ ბლოკი მოღვაწეობს ლიოილას უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრაზე (ახალი ორლეანი), ასევე ლუდვიგ ფონ მიზესის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია.

მისი ძირითადი შრომებია: "დაუცველის დაცვა" (1976); "აქცენტი ეკონომიკასა და კანადელ ეპისკოპოსებზე" (1983); "აქცენტი დასაქმების თანასწორობაზე" (თანავტორი მაიკლ ა. უოლკერი; 1985); "აშშ-ის ეპისკოპოსები და მათი ოპონენტები: ეკონომიკური და ეთიკური პერსპექტივა" (1986); "ეკონომიკური აზროვნების ლექსიკონი" (თანავტორი მაიკლ ა. უოლკერი; 1988); "მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება, 1975-1995" (თანავტორი ჯეიმს გვორტნი და რობერტ ლოუსონი; 1996); "გზებისა და მაგისტრალების პრივატიზება: ადამიანური და ეკონომიკური ფაქტორები" (2006).

ჰანს-ჰერმან ჰოპე, იორგ გიდო ჰულსმანი და უოლტერ ბლოკი

ფიდუციალური გაცვლის საშუალებების წინააღმდეგ¹

თარგმნა თამარ ხეთისიაშვილი

თითქმის ყველა თანამედროვე ავსტრიული სკოლის ეკონომისტი ერთსულოვანია ცენტრალური ბანკის წინააღმდეგე ბრძოლასა და თავისუფალი კონკურენტული საბანკო სისტემის დაცვაში. თუმცა, «თავისუფალი კონკურენტული საბანკო სისტემის» მნიშვნელობაზე ცხარე კამათი მიმდინარეობს. ესაჭიროება თუ არა «თავისუფალ საბანკო სისტემას» ანაბრების 100 %-ით ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპის მოქმედება, ან უშვებს ან აუცილებლად მოითხოვს თუ არა ბანკის საქმიანობაში ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპის გამოყენებას?² ავსტრიული ეკონომიკის მიმოხილვაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ უახლეს სტატიაში, ჯორჯ სელჯინმა და ლოურენს უაითმა (1996), «თავისუფალი საბანკო საქმის», როგორც ნაწილობრივი რეზერვირების მომხრე ორმა ყველაზე გამოჩენილმა თანამედროვე ავსტრიელი სკოლის წარმომადგენელმა, წამოიწყო სისტემატურის მცდელობა ავსტრიული სკოლის მრავალ კრიტიკაზე პასუხის გასაცემად და ანაბრების 100 %-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედი სისტემის დასაცავად.³ კრიტიკოსების მიერ დაყენებული საკითხების საწინააღმდეგოდ, სელჯინი და უაითი შეეცადნენ შეემუშავებინათ ორი თეზისი. პირველ თეზისში ისინი ამტკიცებენ რომ ბანკის ნაწილობრივი რეზერვი, რომელიც ფიდუციალური გაცვლის საშუალებას მოიცავს, არ გულისხმობს თაღლითობას, რადგან გამართლებულია კონტრაქტის თავისუფლების პრინციპით. კერძოდ ისინი ამტკიცებენ, რომ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპი მესაკუთრეობის უფლების გადაცემის თეორიის გარიგებათა აღსრულების შესახებ შესაბამისია, როგორც ეს მარი ნ. როთბარდმა განაწილარა (გამოდის, რომ როთბარდმა, რომელიც ამტკიცებს ნაწილობრივი რეზერვირების სისტემის თაღლითობას, წარუმატებლობა განიცადა საკუთარი თეორიის დამტკიცებაში). მეორე, ისინი ცდილობენ აჩვენონ, რომ ფიდუციალური გაცვლის საშუალებების შექმნა აუცილებლად არ იწვევს ეკონომიკის უუნარობასა და კორდინაციის მოშლას, პირიქით შეიძლება თავიდან ააცილოს სხვაგვარად აუცილებელი კრიზისი და ამგვარად გააუმჯობესოს ეკონომიკური

¹წერილი დაიბეჭდა 1998 წელს "ავსტრიული ეკონომიკის კვარტალურ ჟურნალში" - Quarterly Journal of Austrian Economics, წიგნი 1, N 1 გვ. 19-50 (1998).

² ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა (Fractional reserve banking) - ნაწილობრივი რეზერვი შეადგენს მხოლოდ უზრუნველყოფილი ვალდებულებების ნაწილს.

³ სელჯინი და უაითი, გვ. 83-107 (1996 წ.). სხვადასხვა კრიტიკოსების საპასუხოდ, სელჯინმა და უაითმა ცენტრალურ სამიზნე ჰოპეს 1994 წლის სტატია ამოიჩინეს, რომელიც მხოლოდ მათ პოზიციას მხოლოდ გაკერით განიხილავს. ავსტრიული სკოლის მიერ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის სხვა კრიტიკა ნათლად არის გამოხატული სელჯინის და უაითის სტატიაში, ბლოკისა (1988) და დე სოტოს (1995) ჩათვლით. მარი ნ. როთბარდი, ნაწილობრივი რეზერვირების სისტემის ყველაზე გამოჩენილი კრიტიკოსი კი მხოლოდ გაკერით არის ნახსენები; მისი რამდენიმე ნაშრომი ბიბლიოგრაფიაშია მოხსენიებული, მაგრამ როთბარდის გვიანდელი, სწორედ ამ საკითხზე გამოქვეყნებული ნაშრომი (1988; 1992; 1995) არ არის ნახსენები. სრულიად უგულვებელყოფილია სალერის (1991ა; 1991ბ; 1993) კრიტიკაც. სელჯინი და უაითი არ მიმართავენ და ამ შემთხვევაში ვერც მიმართავენ, მათივე ნაშრომის უახლეს და ყველაზე ღრმა კრიტიკას, რომელიც ჰულსმანს (1996) ეკუთვნის. Quarterly Journal of Austrian Economics, წიგნი 1, N 1 (1998); გვ. 19-50.

საქმიანობა. შემდგომში, შეეცდებით გაჩვენოთ, რომ არც ცენტრალური ნორმატიული მტკიცება და არც მეორეული პოზიტიური მტკიცება არ არის სრულყოფილი.⁴

თაღლითობის საკითხი I: ფული, ფულის შემცველები, ფიდუციალური გაცვლის საშუალება, და მესაკუთრეობის უფლების გადაცემის თეორია გარიგებათა აღსრულების შესახებ

იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ კითხვას წარმოშობის თუ არა ბანკის ნაწილობრივი რეზერვების პრინციპით მოქმედი სისტემა თაღლითობას, რამდენიმე ფაქტობრივი ვარაუდი და ტერმინოლოგიური საკითხი უნდა გავარკვეოთ. საბედნიეროდ, ამ საკითხებზე დებატების ორივე მხარეს თითქმის სრული თანხმობა არსებობს. აქედან გამომდინარე, მას ძალიან მოკლედ მიმოვიხილავთ.

ფული, ოქროსგან განსხვავებით, ჩვეულებრივ საქონლად წარმოიშვა. ამიტომ ოქრო როგორც ფული, განისაზღვრება «ფართოდ მისაღებ გაცვლის საშუალებად», და ხასიათდება უნიკალური («სხვა აქტივებთან შედარებით დიდი გაყიდვადობით») (როგორცაა «საკუთრება, რომელიც აყენებს ადამიანს ისეთ მდგომარეობაში, რომ მას შეუძლია ნებისმიერი პოტენციური შესყიდვა განახორციელოს უფრო მეტი მოქნილობით») (უაითი 1989, გვ. 247). ფულის შემცველები, თავის მხრივ, განიმარტებიან, როგორც მოთხოვნები ან მესაკუთრეობის უფლებები ოქროზე ზუსტად განსაზღვრული თანხაზე. თუ ფულის შემცველები (ქალაქის ბანკოტები) სრულად იფარება ფულის (ოქროს) რეზერვებით, მიზესი მათ «ფულის სერთიფიკატებს» უწოდებს, ჩვენ კი მათ აქ უბრალოდ ფულის შემცველებად მოვიხსენიებთ. თუ ფულის შემცველები (ფულის ნიშანი) არ იფარება ფულის ოქროს რეზერვებით, ისინი ფიდუციალური გაცვლის საშუალებებად იქნებიან მოხსენიებული.⁵

⁴ სელჯინი და უაითი მიიჩნევენ, რომ ბანკის ნაწილობრივი რეზერვების პრინციპით მოქმედი სისტემაზე მათი ხედვა მიზნის ხედვას ემთხვევა; ისინი საკუთარ თავს მიზუსიანელებს უწოდებენ (და ამტკიცებენ, რომ 100%-ით რეზერვების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის დამცველები „უკლონისებრი“ არიან). ეს მტკიცება შეიძლება უარყოფილ. სელჯინმა (1998, გვ. 60-63) გულახდილად აღიარა, ფიდუციალური გაცვლის საშუალებასთან დაკავშირებული მიზესისა და მისი საკუთარი ხედვების წინააღმდეგობრიობა და უაითის მცდელობა მიზესი ნაწილობრივი რეზერვების პრინციპით მოქმედი თავისუფალი საბანკო სისტემის მომხრედ გამოცხადებინა. ამ ბოლო საკითხს სალერნომ გასცა პასუხი (1993). მიზესის მიხედვით, (1978, გვ. 438, 448): უმთავრესია, რომ მთავრობას არ უნდა ქონდეს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის გაზრდის უფლება - რაც ნიშნავს, 100 პროცენტით საზოგადოების მიერ გადახდილი დეპოზიტით დაფარება... ბანკებს არ უნდა ჰქონდეს უფლება დეპოზიტების საერთო რაოდენობა გაზარდოს ისეთი დეპოზიტების ხარჯზე, რომლებიც ნებისმიერ ინდივიდუალურ მომხმარებელს ეკუთვნის... ან სხვაგვარად დეპოზიტების მიღების გზით... ეს ნიშნავს 100 პროცენტთან რეზერვს ყველა სამომავლო ანაბრებისთვის; ეს არის, ყველა ის ანაბრები, რომლებიც ვერ კიდევ არ არსებობს რეფორმის პირველ დღეს. (იხ. ასეთე შენიშვნები 7, 14, 22, 27, 28 ქვევით).

⁵ იხ. სალერნო (1994, გვ. 76). სელჯინმა და უაითმა ხაზი გაუსვეს ფაქტს, რომ ჰოპე მათ „ნაწილობრივი დეკრეტული ფულის“ მომხრეებად მიიჩნევს, მაგრამ საბოლოოდ იძულებულნი გახდნენ ელიარებინათ, რომ ჰოპე არ ცდებოდა. ისინი ოქროს სტანდარტზე დაფუძნებული ბანკის ნაწილობრივი რეზერვების პრინციპით მოქმედი სისტემის დამცველები იყვნენ. ეს სხვა არაფერია, თუ არა სემანტიკური დავა. ჩვენ აქაც ასე მოვიქცევით და კონცენტრირებას მოვახდენთ ექსკლუზიურად დამოუკიდებელ შეთანხმებლობაზე. სინამდვილეში, სელჯინის და უაითისთვის კიდევ უფრო მეტის დაბრალება შეიძლება, როგორც დეკრეტული ფულის დამცველებისთვის. „სრულყოფილად თავისუფალ საბანკო სისტემაში“, სელჯინის და უაითის მიხედვით (მაგრამ მიზესის ანალიზის სრულიად საპირისპიროდ), შეიძლება შეიქმნას შემდეგი სიტუაცია: საკლირინგო სააგენტო სხვადასხვა ოპერაციებს შორის სრულიად სხვა აქტივებისაგან რომ ყოფილიყო შექმნილი (შესაძლოა უფრო დიდ საკლირინგო სახლებზე, რომელთაც თავისთავად უმნიშვნელო სასაქონლო ფული გააჩნია) და საზოგადოება, რომ მთლიანად ჩამოეშორებინათ სასაქონლო ფულის ფლობისგან, ერთ დროს ფულად გამოყენებულ საქონელზე მოთხოვნა მხოლოდ არამონეტარული იქნებოდა (უაითი, 1989, გვ. 235).

ამ ვარაუდებსა და განმარტებებზე დაფუძნებით, შეგვიძლია მივუბრუნდეთ კითხვას - დაკავშირებულია თუ არა ფიდუციარული გაცვლის საშუალების საკითხი თაღლითობასთან? საბედნიეროდ, ამ საკითხის განხილვა გამარტივებულია იმ ფაქტით, რომ სელჯინი და უაითი ნათლად აღიარებენ როთბარდისეულ მესაკუთრეობის უფლების გადაცემის თეორიას გარიგებათა აღსრულების შესახებ. ასე რომ, ფიდუციარული მედიის საკითხი ჩვეულებრივ თაღლითობას ეხება, ისე, როგორც ამას როთბარდი და ჰომპე ამტკიცებენ, სელჯინი და უაითი კი მიიჩნევენ: «შეუძლებელია დავეთანხმოთ როთბარდისეულ მესაკუთრეობის უფლების გადაცემის თეორიას გარიგებათა აღსრულების შესახებ... რომელსაც ჩვენ ვაღიარებთ, და რომელსაც როთბარდი სხვა შემთხვევაში იყენებს, როგორც თავისუფალ პიროვნებათა შორის, ურთიერთთანხმობის საფუძველზე, კაპიტალისტური გარიგებების გასამართლებლად მათი ქონების (სამართლიან მოპოვებული საკუთრების) გამოყენებით. როთბარდი... თაღლითობას განსაზღვრავს, როგორც «საკუთრების გადაცემის შესახებ ნებაყოფილობითი შეთანხმების დარღვევა». ამ შემთხვევაში, შეუძლებელია, რომ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპი საფუძველშივე და აუცილებლად თაღლითობა იყოს. თაღლითობაა თუ არა გარკვეული ბანკის მიერ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპის გამოყენება, დამოკიდებულია ბანკსა და მის მომხმარებლებს შორის მესაკუთრეობის უფლების გადაცემის შესახებ დადებული გარიგების პირობებზე». (გვ. 86-87)

«როთბარდის მიხედვით, საბანკო ანაბრები აუცილებლად წარმოადგენს «დოკუმენტს საკუთრების შესახებ» და არა ვალს. ჩვენ ვხედავთ, თუ რატომ არ თანხმდებიან მომხმარებლები და ბანკები ხელშეკრულებით, რომ გადააქციონ ისინი ვალებად და არა საკუთრების დამამატკიცებელ დოკუმენტებად, მაგრამ გვეჯერა, რომ ისტორიულად ისინი ამაზე თანხმდებოდნენ». (გვ. 87, 6. 8)

აღნიშნული შეიძლება ერთი შეხედვით დამაჯერებლადაც ჟღერდეს, მაგრამ იგი არ გამოიცხავს სერიოზული კრიტიკული განხილვის საჭიროებას. ფაქტობრივად, ზემოთ მოყვანილი ციტატა ცხადყოფს, რომ ყველაზე მთავარი საკითხი საკუთრებას და ხელშეკრულებას ეხება. როგორც ჰომპემ (1994, გვ. 67) ჩამოაყალიბა, «ორი ინდივიდი შეუძლებელია იყოს ერთი და იგივე საგნის ექსკლუზიური მფლობელი ერთსა და იმავე დროს». ⁶ ეს შეუქცევადი პრინციპია; ეს არის მოქმედების და ბუნების კანონი, რომლის შეცვლა ან გაუქმება არც ერთ კონტრაქტს არ ძალუძს. არამედ, ნებისმიერი საკონტრაქტო შეთანხმება, რომელიც გულისხმობს ორ სხვადასხვა ინდივიდს, როგორც ერთი და იმავე საგნის თანადროულ მესაკუთრეებს (ან ალტერნატიულად, ერთი საგნის ერთდროულად ორი ან მეტი ადამიანის მიერ ფლობა) მცდარი და ყალბია. ⁷ კერძოდ, ეს არის ის, რასაც ნაწილობრივი რეზერვისების პრინციპით მოქმედ ბანკსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება გულისხმობს.

ფიდუციარული გაცვლის საშუალების გამოშვების თუ მიღების შემთხვევაში (აუცილებლად შეღავათიანი ფასით), როგორც ბანკი, ასევე მომხმარებელი, შეთანხმდნენ საკუთარი თავი წარმოადგინონ ყალბ, ერთი და იმავე საგნის ერთდროულ მესაკუთრედ. ისინი ასევე შეთანხმდნენ დამატებითი სახელწოდებების და მოთხოვნების შესაქმნელად ერთი რაოდე-

⁶ ასევე „შეუძლებელია, დროის რაღაც მონაკვეთში შეანაბრესა და მსესხებულს ექსკლუზიურად ერთსა და იმავე რესურსზე გააჩნდეს კონტროლი“ (ჰომპე 1994, გვ. 67).

⁷ პარტნიორებსაც კი არ შეუძლიათ ერთი საგნის თანადროულად ფლობა. A-ს და B-ს მფლობელობაში აქვს ოჯახური მემკვიდრეობის ნახევარ-ნახევარი, ან რაღაც ნაწილი, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ისინი სხვადასხვა 50 პროცენტს ფლობენ. მათთვის ლოკუტურად შეუძლებელია ფლობდნენ ერთსა და იმავე რამეს, ისევე როგორც ორ ადამიანს არ შეუძლია ერთი და იმავე სივრცის მოცვა. დიხს, ა-ს და ბ-ს ორივეს შეუძლია იმყოფებოდეს ნიუ იორკში ერთსა და იმავე დროს, მაგრამ სხვადასხვა მდებარეობით.

ნობით არსებულ ქონების რაოდენობაზე. ფიდეუციარული ბანკნოტების გამოშვებით, მათ არ შეუძლიათ უფრო მეტი ქონება შექმნან. მართლაც, არც ერთ კონტრაქტს არ ძალუძს გაზარდოს ქონების არსებული რაოდენობა, მხოლოდ შეუძლია უკვე არსებული ქონება ერთი ადამიანიდან მეორეს გადასცეს (გადაანაწილოს). ქონების არსებული რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს დამატებითი მითვისებით ან წარმოებით (და ამგვარად ქონების გაზრდილი რაოდენობა თავისთავად წარმოქმნის მესაკუთრეობის უფლების გაზრდილ რაოდენობას). მაგრამ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა და ფიდეუციარული გაცვლის საშუალების საკითხი, რადგან მას არ და ეკრ შეუძლია არსებული ქონების გაზრდა, ასევე არ გულისხმობს (როგორც ყველა სხვა დანარჩენი კონტრაქტი) არსებული ქონების ან მისი მესაკუთრეობის უფლების ერთი ადამიანიდან მეორეზე გადაცემას. ფიდეუციარული ბანკნოტის არც გამოშვება და არც მიღება არ ნიშნავს ქონების გადაცემას ბანკიდან მომხარებლისთვის ან პირიქით. უფრო სარწმუნოდ, ფიდეუციარული გაცვლის საშუალების გამოშვების შედეგად, აქტივების და პასუხისმგებლობის გადანაწილება ბანკის და კლიენტის ანგარიშებზე შეცვლილია. მაგრამ, სინამდვილეში, ქონების არსებული რაოდენობა არ გადაეცემა ბანკიდან კლიენტზე, ან პირიქით, და ქონების საერთო რაოდენობა უცვლელი რჩება. ფიდეუციარული გაცვლის საშუალება წარმოადგენს ახალ და დამატებით მესაკუთრეობის უფლებებს არსებულ და შეუცვლელ ქონების მარაგისთვის. ის არ არის დამატებითი მიწოდება ბანკის მიერ ან მისი კლიენტის მხრიდან ქონების გადაცემის დამომწებელი შედეგი. ისინი წარმოადგენენ მესაკუთრეობის უფლებების დამატებითი მიწოდებას, მაშინ როცა ქონების მიწოდება უცვლელი რჩება. სწორედ ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ფიდეუციარული გაცვლის საშუალება პაუერფულანაა შექმნილი. საკუთრებასთან მიმართებაში ისინი წარმოადგენენ უფლებებს ქონებრივი ვალდებულებების გარეშე. ეს კი თავისთავად, თაღლითობას გულისხმობს, როტბარდის მიერ ტერმინის განმარტებით «ქონების გადაცემის ნებაყოფლობითი შეთანხმების შესრულების წარუმატებლობა» ან სელჯინის და უაითის განმარტებით «მოგების მიზნისთვის ნებაყოფლობითი თუ წინასწარგანზრახული სიცრუე». ფიდეუციარული გაცვლის საშუალების გამოცემი და შემსყიდველი, იმის მიუხედავად თუ რა სჯერათ, ფაქტობრივად - ობიექტურად - პერსონალური მოგების მიზნით ჩართულია რეალობის დამახინჯებაში. ბანკი და მისი კლიენტი შეთანხმდნენ, რომ დამახინჯებინათ რეალობა და საკუთარი თავი წარმოეჩინათ, როგორც იმ რაოდენობის ქონების მესაკუთრეები, რომელსაც ფაქტობრივად არ ფლობენ და სინამდვილეში, არც კი არსებობს; და როგორც კი ისინი იძენენ ქონების გარკვეულ რაოდენობას არარსებული ქონების მესაკუთრის უფლების სანაცვლოდ, დაუყოვნებლივ და უდაოდ ხდებიან თაღლითური მითვისების მონაწილენი.⁸

⁸ დე სოტო (1995, გვ. 3) სწორად ამსგავსებს ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის შედეგებს ე.წ. საერთო საკუთრების ტრაგედიას. სელჯინი და უაითი (გვ. 92-93, 6 12) უარყოფენ დე სოტოს ამ შედარებას, რადგან საერთო საკუთრების ტრაგედია უკავშირდება «გარკვეული სახის ტენოლოგიურ გარე ფაქტორს». სელჯინის და უაითის მიხედვით იგი გულისხმობს «ფიზიკურსა თუ სხვა სახის პირდაპირ ჩარევას ვინმეს მოხმარებასა თუ წარმოებაში» და გამოხატავს «ურთიერთ-ქმედებას ბაზრის გარეთ». საპირისპიროდ, სელჯინი და უაითი ნერენ რომ «ფიდეუციარული გაცვლის საშუალებისგან განდგომა» საზიანო ფულადი «ეფექტია ვინმეს ქონებაზე, რომელიც ფასების სისტემის მეშვეობით გადაიცემა», რაც შედარებით ფასების ცვილილებების სისტემას გულისხმობს და წარმოადგენს «სრულიად დამოკიდებულს ბაზარზე». სელჯინი და უაითი ცდებიან: ობიექტი და ობიექტის მესაკუთრეობის უფლება სრულიად სხვადასხვა რამაა.

ფულისა და ფულის შემცვლელების ერთი სახელწოდების «ფულის» ქვეშ გაერთიანებისას, თითქოს ეს ყველაფერი ერთსა და იმავეს წარმოადგენდეს, სელჯინმა და უაითმა ვერ გაითვალისწინეს ფიდეუციარული გაცვლის საშუალების საკითხი - მესაკუთრეობის უფლების ზრდა - რომ იგივე არაა, რაც

სელჯინის და უაითის მიერ ამის გაუზიარებლობა და ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკისადმი მათი რწმენა დაკავშირებული ორ ასპექტთან. ერთის მხრივ, ისინი არ აღიარებენ, რომ რაიმე საგანი, ასევე ფულის რაოდენობა (ოქრო) - არ შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა ადამიანის მფლობელობაში იმყოფებოდეს და იმას, რომ არც ერთ კონტრაქტს არ ძალუძს ქონების რაოდენობის გაზრდა, ამგვარად ამის საწინააღმდეგოს მტკიცება უცილებლად თაღლითურია. მეორეს მხრივ, სელჯინი და უაითი არ აღიარებენ საკუთრებასა და მესაკუთრეობის უფლებას შორის არსებულ ფუნდამენტურ პრაქსეოლოგიურ განსხვავებას. ფულის (ოქრო) და ფულის შემცვლელების (ბანკნოტები) ერთი სახელის «ფულის» ქვეშ გაერთიანებით, ისინი ამ განსხვავებას არაერთხელ უგულვებლყოფენ. თუ ფული (ოქრო) და ფულის მესაკუთრეობის უფლება (ბანკნოტები) ორივე განისაზღვრება როგორც «ფული», მაშინ ნამდვილად ჩანს რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს გაიზრდება თუ არა ფულის ან ბანკნოტების მიწოდება. ორივე «ფულია» და ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ღონისძიებას - ფულის მიწოდების ზრდას აქვს ადგილი.

რა თქმა უნდა, სელჯინმა და უაითმა სწორად აღნიშნეს, რომ ყველას აქვს უფლება თავისებურად განმარტოს ესა თუ ის საკითხი. დეფინიციებმა შესაძლოა არ მიგვანიშნოს განსხვავებებზე და დააბნიონ კიდეც. ფულისა და მისი შემცვლელების ფულად აღქმისას ვერ ვამჩნევთ ორ კატეგორიულ, პრაქსეოლოგიურ განსხვავებას ორ ფენომენს შორის. ფულის მესაკუთრეობის უფლება და მესაკუთრეობის უფლებათა ზრდა არაა ისეთივე, როგორც ფული და ფულის ზრდა. არამედ, ფულის (ოქრო) რაოდენობის ზრდისგან განსხვავებით, ფულის მესაკუთრეობის უფლების რაოდენობის ზრდა, რომელსაც არ მოჰყვება ფულის რაოდენობის ზრდა, აუცილებლად ნიშნავს, იმას რომ ფულის ერთი და იგივე რაოდენობა დროის ერთ მონაკვეთში ერთ ადამიანზე მეტი ადამიანის მფლობელობაშია; და რადგანაც ამგვარი რამ ფიზიკურად შეუძლებელია - ფულის რაოდენობა უცვლელი რჩება და ყველა არსებული ფული მოცემულ დროს ვინმეს მფლობელობაში უნდა იყოს - ფიდეუციარული მესაკუთრეობის უფლების ნებისმიერი გამოსასყიდი, შემდგომ, იქნება ეს ფულად ან სხვა სახის უძრავი ქონებით, წარმოშობს უკანონო მითვისების ქმედებას.

ვიმედოვნოთ, რომ არსებობს ორივე: საკუთრება და მესაკუთრეობის უფლება. გარდა ამისა, მიჩნეულია რომ საკუთრება შეიძლება გავრცელდეს სამომხმარებლო საქონელზე, საწარმოო საქონელსა და ფულზე, მესაკუთრეობის უფლებები სამომხმარებლო საქონელზე, სამწარმოო საქონელზე და მესაკუთრეობის უფლება ფულზე. არსებულ ქონებასთან დამატებით მესაკუთრეობის უფლებების წარმოშობა თავისთავად ამაღლებს კანონიერ მტკიცებულებებს და ამცირებს და ამსუბუქებს კანონიერ დავებს, და ამგვარად, ეჭვგარეშე წარმოადგენს სასარგებლო (ბუნებრივი) განვითარებას. უფრო მეტიც, იგი გზას უხსნის ორ სიახლეს. ერთის მხრივ, შესაძლებელი ხდება განცალკევება მფლობელობის ქონებაში გადაცემის ქმედება მისი მფლობელობის გადაცემისგან. რაც ნიშნავს, რომ

ქონების დიდი რაოდენობით მიწოდება და რომ ფასების შედარებითი ცვლა გავლენას ახდენს ფიდეუციალური გაცემის საშუალების მეშვეობით სრულიად განსხვავებულ "გარე ფაქტორების" საკითხზე, ვიდრე ფასების ცვლა ქონების მიწოდების ზრდით განპირობებული. აზრობრივად, ქონების და ქონებრივი მესაკუთრეობის უფლებას შორის ასეთი ფუნდამენტური განსხვავებით, დე სოტოს ანალოგია ბანკის ნაწილობრივი რეზერვირებასა და საზოგადო საკუთრების ტრაჯედიას შორის ნამდვილად აზრის მატარებელია. საზოგადო საკუთრების ტრაჯედიის სცენარის მიღმა, ყველა სახის ფიდეუციარული გაცემის საშუალება - მესაკუთრეობის უფლებები ქონების ძიებაში - აჩქარებს მოქმედებებს, ყოველთვის იწყება ბანკითა და მისი კლიენტით, რომ ეს ცარიელი ბილეთები ფაქტობრივი ქონებით ჩანაცვლდეს; და ამ პროცესში, პირველგზა რეალური საკუთრებით მდიდრდებიან (ქონების არსებული რაოდენობის მითვისებით) გვიანმოსულების შესაბამისი გალარებების ხარჯზე, რომელთა არსებული ქონების რაოდენობა ფიზიკურად შემცირებულია და მათ მხოლოდ დიდი რაოდენობით ქონების ბილეთები რჩებათ ხელს.

შესაძლებელი ხდება მესაკუთრეობის დათმობა ან შექმნა ერთი და იმავე საგანზე იმავედროულად ფაქტობრივი მფლობელობის, ხასიათის და კონტროლის დათმობის ან შექმნის გარეშე. ფულთან დაკავშირებით შესაძლებელი ხდება რომ, მაშინ როცა არსებული ფულის (ოქროს) რაოდენობის მფლობელობა მუდმივად იცვლება ერთი ადამიანიდან მეორეზე, ფულის მთელი რაოდენობა უცვლელი რჩება ერთი და იმავე ბანკის ხელში (თუმცა ფულის განკარგვა სხვა ადამიანების ხელშია). მეორე მხრივ, მესაკუთრეობის უფლებების განვითარებასთან ერთად, ქონება ან მესაკუთრეობის გაცვლები სისტემატურად შემსუბუქდება. არსებული (ახლანდელი) კონტრაქტები და შესაძლებელი უფლებები ამასთან ერთად შეიძლება გადაიცეს (გაცვლის) საშუალებით მომავლის (ვალეტი) მესაკუთრეობის უფლებების წინააღმდეგ; და ამგვარად, ასევე მიჩნეული იქნება რომ არსებული ქონების (სამომხმარებლო საქონელი, სამენარმო საქონელი და ფული) მესაკუთრეობის უფლებების გვერდით, ვაჭრობაში ჩართულია მომავალი სამომხმარებლო საქონლის, მომავალი სამენარმო საქონლის და მომავალი ფულის მესაკუთრეობის უფლებებიც (ვალი).

ამ განვითარებისას მომდევნო ტრანსაქციები (კონტრაქტები) ნებისმიერ ორ ა (ბანკის კლიენტი) და ბ (ბანკი) მხარეს შორის შესაძლებელია. ა-ს შეუძლია საკუთარი ფული (ოქრო) ბ-ს გადასცეს, მაგრამ ამავედროულად (1) არ დათმოს მფლობელობა მასზე ან (2) დათმოს მფლობელობა. თუ (1), მაშინ ა იტოვებს იმ ფულის მესაკუთრეობის უფლებას, რომელიც ბ-ს გადასცა; ბ-ს არ აქვს ამ ფულის მესაკუთრეობის უფლება, მაგრამ მოქმედებს როგორც მოიჯარე ა-სთვის (ფულის გამსესხებელი). აქ მესამე შესაძლო ვარიანტი არ არსებობს. თუ (2), მაშინ ბ ფულის მესაკუთრეობის უფლებასაც იძენს, რომელიც მას ა-მ გადმოსცა; ა იღებს ბ-სგან გაცვლის საშუალებით (ა) ან არსებულ სამომხმარებლო ან/და სამენარმო საქონლის რაოდენობას, რომელიც აქამდე ბ-ს მფლობელობაში იმყოფებოდა; ან (ბ) არსებულ სამომხმარებლო ან/და სამენარმო საქონლის მესაკუთრეობის უფლებას, რომელიც ბ-ს საკუთრებაში იმყოფებოდა (მაგრამ ახლა განკარგავს ა) (სამართლიანობის მოთხოვნა); ან (გ) სამომავლო სამომხმარებლო ან/და სამენარმო საქონლის ან/და ფულის (ვალი) მესაკუთრეობის უფლების მიღება. აქაც არაა მესამე შესაძლო ვარიანტი. რაც ნიშნავს, რომ ა-ს არ შეუძლია ორივე შეინარჩუნოს მესაკუთრეობა ქონებაზე და ამავედროულად გადასცეს ის ბ-ს.

ყველა შესაძლო ტრანსაქციას შორის, არც ერთი მათგანი არ წარმოქმნის ფიდუციალური გაცვლის საშუალების საკითხს. ფიდუციალური გაცვლის საშუალება, სელჯინის და უაითის განმარტებით, არის «ის წილი გამოსასყიდი ფულის შემცველსა, რომელიც გამაგრებულია არა საბაზისო ფულის აქტივებით» (გვ. 85). არსებობს ფული (ოქრო) და ფულის შემცველები (ფულის მესაკუთრეობის უფლებები), და ასევე არსებობს არა-ფულადი საქონლის (სამართლიანი მესაკუთრეობის უფლებები) მესაკუთრეობის უფლებები, და ჯერ არ არსებული მომავალი საქონლის (ვალი) მესაკუთრეობის უფლებები. თუმცა აშკარად, ისეთი რამ, როგორც «ფულის შემცველები, გამაგრებული არასაბაზისო ფულის აქტივებით» არ წარმოიშობა არც ერთი ამ ტრანსაქციის საფუძველზე. სელჯინი და უაითი მიიჩნევენ ფიდუციალური გაცვლის საშუალების არსებობას (ისინი მარტივად მიიჩნევენ, იმას, რომ ფიდუციალური გაცვლის საშუალების არარსებობა კანონიერი შეზღუდვების შედეგია), მაგრამ ისინი არ გვანვდიან ამგვარი სპეციფიკური ყოფიერების და საქმეთა მდგომარეობის წარმოშობის პრაქსეოლოგიურ ახსნას და რეკონსტრუქციას. არამედ, ისინი მხოლოდ კითხულობენ, რატომაც არა? «ჩვენ ვერ ვხედავთ, ბანკი და მომხმარებელი რატომ ვერ უნდა შეთანხმდენ კონტრაქტით, რომ ისინი [რაც ანაბრისა და ბანკოტების მოთხოვნას ნიშნავს] გადააქციონ ვალად და არა საკუთრების დამადისტურებელ დოკუმენტად». რატომაა, რომ შესაძლოა - და აუცილებელიცაა - არ იყოს ფულის შემცველები, რომელიც გამყარებულია აქტივებით გარდა ფულისა? იგივე მიზეზით რომ

არ უნდა იყოს მანქანის ან სახლის მესაკუთრეობის უფლებები გამაგრებული მანქანისა და სახლის აქტივების გარდა, რომ არ შეიძლება იყოს სამართლიანი მესაკუთრეობის უფლებები გამყარებული სხვა რამის მიერ გარდა სამართლიანი აქტივებისა, და არ შეიძლება იყოს აქტივები - ფული, სამართლიანობა ან ვალი - გამყარებული მოცემულ კონკრეტულ დროს ერთზე მეტი ადამიანის მიერ. ფულის მესაკუთრეობის უფლება არის - და უნდა იყოს - გამყარებული ფულით იგივე გზით და იმავე მიზეზით როგორც მანქანების მესაკუთრეობის უფლებები უნდა იყოს გამყარებული თავად მანქანებით. სწორედ ესაა რაც განსაზღვრავს მათ როგორც მესაკუთრეობის უფლებებს. შედარებისთვის, ფულის მესაკუთრეობის უფლება გამყარებული არაფულადი აქტივებით ნინაალმდეგობრივია, და ამ საკითხის გამოყენება იგივე სახის ობიექტურ დამახინჯებას იწვევს, როგორც მაგალითად მანქანისა, რომელიც არამანქანური აქტივებითაა გამყარებული (მაგალითად, თვითმფრინავის ან ველოსიპედის ნაწილებით).⁹

პასუხი იმაზე, თუ რატომაა ნინალობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა ეთიკურად დაუშვებელი, და რატომ არ შეიძლება იყოს კონტრაქტები საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაქმნელად, არის ის რომ, მსგავსი ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება საგნების ბუნებას. ნებისმიერი ასეთი კონტრაქტი დასაწყისიდან

⁹ მსგავსი ლოგიკურ-სემანტიკური აღრევა არსებობს, როდესაც სელჯინი და უაითი ცდილობენ მოთხოვნას და ვადიანი ვალდებულებებს შორის გარკვეულ ხარისხზე განსხვავება შეამცირონ (გვ. 90). სელჯინი განმარტავს (1978, გვ. 62): „მოთხოვნის ვალდებულებების მფლობელები კრედიტის მიმღებები ისევე არიან, როგორც ვადიანი ვალდებულების მფლობელები. მხოლოდ ის განსხვავება არსებობს, რომ პირველ შემთხვევაში ინდივიდუალური სესხების განგრძობიანობა განსაზღვრული არაა; ესაა „სესხის გამოძახებით“, რომელიც შეიძლება მომნიშვნელოვნად ნებისმიერ დროს“, და „მიზეზი“, რომელსაც საპირისპირო ხედვა გააჩნია „ურევს ერთ-ერთი სუბსტანციის ხარისხის განსხვავებას“. სინამდვილეში, კი ეს სელჯინია ვინც ამ საკითხს ურევს. შეიძლება ისიც ითქვას, რომ მხოლოდ ხარისხის საკითხია სესხი (მანქანისა თუ ფულის) ერთ საათში, დღეში თუ თვეში განაღდება. თუმცა ეს არ ცვლის კატეგორიულ განსხვავებას არსებულ საქონელსა და ჯერ არ არსებულ მომავალ საქონელს შორის. დროის ნებისმიერ მომენტში, მანქანა ან ფული (ოქრო) ან არსებობს ან არ არსებობს. იგი არც პრაქტიკოლოგიურ მოცემულობას (ცვლის, გარკვეულ დროს, არავის შეუძლია იმოქმედოს არსებული საქონლის გარდა სხვა რამით. სამომავლო საქონელი ქმედებების მიზანია, მაგრამ იმისთვის, რომ მივალნიოთ მას, თითოეულმა აქტორმა პირველ რიგში აუცილებლად უკვე არსებული საშუალებები (საქონელი) უნდა გამოიყენოს. სელჯინის დაკვირვება დროის ხარისხთან მიმართებაში მცირედით კი არ გულისხმობს ადამიანური ფუნდამენტური პირობების სიმცირეს. ახლანდელი საქონლის მიზნად მუდამ შეზღუდული იქნება და ამგვარად, არსებული საქონლის შეზღუდული რაოდენობა ზღუდავს მომავალს სანარმოებელ საქონლის რაოდენობასაც. მაშინ, როცა მიზეზი განასხვავება არსებულ საქონელსა და მომავლის საქონელს, როგორც უნივერსალურ პრაქტიკოლოგიურ კატეგორიას, სელჯინი ცდილობს გაამაფროს მოთხოვნა და ვადიანი დეპოზიტი (დროითი რესურსი) (ამგვარად იგი ფუნდამენტურად განასხვავებს თავს მიზეზისგან), რაც გულისხმობს იმის შესახებ რომ არ არსებობს ამგვარი ფუნდამენტური განსხვავება ახლანდელ (არსებულ) საქონელსა და მომავალ (არარსებულ) საქონელს შორის (ან მათი არსებობა მხოლოდ ხარისხობრივად განსხვავდება). სელჯინის საპირისპიროდ, ეს არაა ხარისხობრივი საკითხი არამედ, ეს ნიშნავს ერთი ნივთიერება, მანქანა ან ფულის რაოდენობა არსებობს თუ არა და განიკარგება თუ არა ის ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ. ისინი არსებობენ ან არ არსებობენ, მათ ერთი გავარჯავს, ან ვიღაც სხვა. შესაბამისად, თუ მესაკუთრეობის უფლების მიხედვით ამბობს, რომ ერთი ადამიანი არის არსებული მანქანის ან არსებული ფულის მფლობელი და მანქანა და ფული არ არსებობს, ან მანქანა და ფული მოცემულ დროს სხვა ადამიანის, ეს სინამდვილეს არ ასახავს, შესაბამისად ეს ტყუილია. მიზეზი განმარტავს (1978, გვ. 268): მეანაბრე, რომელიც გაცემის საშუალებით იძენს ბანკნოსტს, ფულად განაღდებად ნებისმიერ დროს, მისთვის იგივე მომსახურებას გასწევს, როგორც ფულის რაოდენობა გაცემული არა ახლანდელ საქონელზე არამედ მომავალში არსებულ საქონელში. ეს მტკიცებაა, რომ ის რაც მან ანაბრის საშუალებით შეიძინა მისთვის უკვე არსებული საქონელია. ფულის ანაბარზე დადება არანაირად არ ნიშნავს, რომ მფლობელმა მისი დაუყოვნებლივი ხელმისაწვდომობის შესახებ განაცხადი გააკეთა.

პიპოთეურია და გაუქმებული. სელჯინი და უაითი ცდილობენ დაეყრდნონ შეუქცევად დასკვნას იმის მიღებით, სურვილით თუ მის გარეშე, ძალზედ სუბიექტურ ხედვაზე დაფუძნებულ კონტრაქტებსა თუ ხელშეკრულებებს. ამ ხედვის მიხედვით, ფაქტი, რომ ნებაყოფლობითი ხელშეკრულებები მიიღწევა და/ან კონტრაქტი დასკვნით გამოხატავს იმას რომ ძალაშია - ნამდვილი ან დასაშვები - ხელშეკრულება და კონტრაქტი. ეს ხედვა მხოლოდ შეცდომა არ არის, ის ასევე არაკომპეტენტურია როთბარდის მესაკუთრეობის უფლების გადაცემის თეორიასთან გარიგებათა აღსრულების შესახებ, ეს ავტორები კი ამტკიცებენ რომ ეს გათვალისწინებულია. ხელშეკრულებები და კონტრაქტები როგორც ასეთი არ გულისხმობენ მის კანონდერსებას, რომ ხელშეკრულებები და კონტრაქტები სინამდვილეს არ ქმნიან, არამედ მხოლოდ ვარაუდობენ მას. უფრო კონკრეტულად, კონტრაქტები არ ქმნიან რაიმე ქონებას, არამედ მხოლოდ აღიარებენ და გადასცემენ უკვე არსებულ ქონებას. ამგვარად, როგორც როთბარდისეულ ეთიკურ სისტემაში, საკუთრების თეორია წინ უნდა უძღვოდეს კონტრაქტების წარმოებას. რიგი შესაძლო (ძალაში შესული) კონტრაქტებისა შეზღუდულია. ხელშეკრულებები მფრინავ სპილოებზე, კენტავრებზე, კვადრატული ფორმის წრეებზე, პერპეტუუმ მობილეზე, არასიცოცხლისუნარიანი კონტრაქტებია. ისინი ვერ შეძლებენ, ბიოლოგიური, ფიზიკური ან მათემატიკური სიზუსტით შესრულდნენ, და შესაბამისად მცდარი და ყალბია.

ამის აღიარებით სელჯინი და უაითი ცდილობენ იმის გააზრებაში, რომ ხელშეკრულება, რომელიც იდება ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემაში გულისხმობს სიყალბეს, რაც დაკავშირებულია მფრინავი სპილოების ან ოთხკუთხა წრეების ვაჭრობასთან. ფატობრივად, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემაში შეუსაბამობა კიდევ უფრო მეტია. მაშინ როცა იმ კონტრაქტების შეუძლებლობა, მაგალითად, რომელიც ეხება მფრინავ სპილოებს, უბრალოდ შესაძლებელი და ემპირიულია (არაა არადამაჯერებელი ის რომ, სხვა შესაძლო სამყაროში, მფრინავი სპილოები მართლაც შეიძლება არსებობდნენ, ამგვარად მსგავსი კონტრაქტი შესაძლო ხდება), ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო კონტრაქტების შეუძლებლობა კი აუცილებელი და კატეგორიულია. არასარწმუნოა, პრაქციკოლოგიურად შეუძლებელია, რომ ბანკი და მომხმარებელი შეთანხმდებიან, რომ სალაროს თამასუქების ნაცვლად, ვალი ფულის შემცვლელით (ბანკნოტები, ანაბრები) აიღონ. მათ შეიძლება თქვან, რომ სამკუთხედი ეს მისთვის ოთხკუთხედაა. მაგრამ, რასაც ისინი იტყვიან, ობიექტურად სიცრუე იქნება. რადგანაც სამკუთხედი ეს სამკუთხედაა და განსხვავდება კვადრატისგან, ფულის შემცვლელიები მაინც ფულის შემცვლელიებად დარჩება (არსებული ფულის მესაკუთრეობის უფლებები) და განსხვავებული იქნება ვალისგან (ჯერ არ არსებული ფულის მესაკუთრეობის უფლებები) და კაპიტალი (ფულის გარდა სხვა არსებული მესაკუთრეობის უფლებები). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალობა არ იცვლება, მას მხოლოდ ამახინჯებენ.

იქედან გამომდინარე, რისიც სჯერათ სელჯინს და უაითს, გამოდის, რომ ბანკები და მათი კლიენტები შეთანხმებულან, რომ სალაროს თამასუქები ვალად აღიარონ - ა მენაბრე ბანკისაგან იღებს დაპირებას, რომ თითქოს ფულს გაუნაღდებენ და არა სესხს ან აქციას. ა ფაქტობრივად არ თმობს სალაროში შენახულ ფულზე საკუთრების უფლებას (რაც იქნებოდა მაგალითად იმ შემთხვევაში, როცა ა მიიღებდა ვალს ან მოვების წილს ბ-სგან). ა ინარჩუნებს სალაროში შენახულ ფულზე საკუთრების უფლებას, თუმცა, ბ არ განიხილავს ამ ფულს როგორც გირაოს, არამედ როგორც სესხს, და იყენებს მას როგორც აქტივის თავის (ბ) ბალანსის ფურცელზე. თავიდან ეს უბრალოდ შეიძლება გამოჩნდეს, როგორც საზიანო საანგარიშო პრაქტიკა, დასაწინიდან იგი გულისმობს საქმეთა ნამდვილი მდგომარეობის

დამახინჯებას.¹⁰ ორივე, ბ-ც და ა-ც ერთდროულად თანაბარი რაოდენობის ფულს ითვლიან საკუთარ აქტივებს შორის, შედეგად კი ფარულად წარმოაჩენენ საკუთარ თავს საკუთარ ფინანსურ ანგარიშებში, როგორც უფრო მეტი ქონების მფლობელს ვიდრე სინამდვილეში გააჩნიათ: ამგვარად ისინი ფინანსური თაღლითები ხდებიან.¹¹ ყველაფერი ამით რომ თავდებოდეს თაღლითობას დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭებოდა. თუმცა, როგორც კი ბ დაინყებს ქმედებას, ისე როგორც საგნები იქნებოდნენ თავის ბალანსის ფურცელზე წარმოდგენილი - ვითომდა ბანი ფლობდეს საღარიბო შენახულ ფულს და მხოლოდ მას აქვს უფლება გაანაღდოს მოთხოვნისამებრ საღაროს თაბასუქები - უზრალო დამახინჯება. თუ ბ გაასესხებს ფულს, ან უფრო მეტად, გამოსცემს დამატებით საღაროს თამასუქებს ფულისთვის და ასესხებს მას დამატებით მესამე გ მხარეს, საბოლოოდ იმის მოლოდინით, რომ სარგებელს მიიღებს, ბანი ხდება ჩართული უვადო (გაუმართლებელ) მითვისებაში, რადგან რასაც გაასესხებს გ-ზე, ფულს თუ ფულის მესაკუთრეობის უფლებას, ფაქტობრივად მისი საკუთრება არაა (ბ-სი) არამედ სხვისაა (ა-სი). ეს არის ფაქტი, რომ მესაკუთრეობის უფლება გადაცემული ბ-დან გ-სთვის ეხება საკუთრებას, რომელიც ბ-ს საკუთრება არაა, სწორედ ეს ხდის ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედ საბანკო საქმიანობას თავიდანვე თაღლითურს.

ეს არ არის შემთხვევა, როგორც ამტკიცებენ, რომ თაღლითობა (კონტრაქტის დარღვევა) ჩადენილია მხოლოდ მაშინ თუ ბ, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანი, ვერ ასრულებს გამოსყიდვის ყველა მოთხოვნას, მისი წარმოქმნისთანავე. რადგან როცა ბ გამოისყიდის ნაწილობრივ დაფარულ ბანკოტებს ფულში (ოქრო) (როდესაც ბანკოტის მფლობელი იღებს მის საკუთრებაზე მფლობელობას), ამას აკეთებს იგი სხვის ფულით: თუ ბ ყიდულობს გ-ს ბანკოტს, იგი აკეთებს ამას ფულით, რომელიც ა-ს ეკუთვნის და თუ ა-საც სურს საკუთარი ფულის აღება, ბ მას უხდის დ-ს საკუთარი ფულით და ასე შემდეგ.

¹⁰ როთბარდი (1983ბ). როთბარდი კითხულობს: დამამტკიცებელი საბუთებით ტრანსაქციები დეპოზიტ ბანკის T-ანგარიშის ბალანსის ფურცლებს უკავშირდება? სრულიადაც არა. როცა მე ვათავსებ 5000 დოლარის ლიბრეტულს ავეჯს სანკოში, კანონით ეს ავეჯი სანკოში აქტივებში არ აისახება, რადგან ამ ავეჯს მხოლოდ ვინახავ სანკოში. სანკოში თავის აქტივებს და პასივებს არ უმატებს 5000 დოლარს, რადგან ეს ავეჯი მისი საკუთრება არაა; იმასაც ვერ ვიტყვი, რომ მე ეს ავეჯი სანკოს ვასესხე გარკვეული დროის მანძილზე. ავეჯი ჩემია და ასეთად რჩება. მე მას ვინახავ იქ უსაფრთხოებისთვის, და მისი გამოთხოვა ნებისმიერ დროს შემიძლია. შესაბამისად მე არ ვარ ბანკის კრედიტორი; მას არ მართებს ჩემი ფული, რომელსაც მე შეიძლება ვაგროვებდე. ამგვარად, კანონით, მთელი ტრანსაქცია მაზა სესხი, არამედ გირაოა. (გვ. 88-89, ასევე გვ. 94-95)

საინტერესოა, მაშინ როცა სელეჯინის და უაითის განაცხადი, ძლიერი პოზიტივისტური ტენდენცია (ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა სასამართლოების მიერ აღიარებულია, ამიტომ წესით ყველაფერი სწორი უნდა იყოს; ამ ტენდენციამ გასარკვევად იჩილეთ „თაღლითობის საკითხი III“ ქვემოთ), ისინი კანონის რეალობას ვერ ეთანხმებიან. თუ ფულის ანაბარი ვალია, მაშინ რატომ არ ითვალისწინებენ სასამართლოები იგივე მსჯელობას ისეთ საქონელთან მიმართებაში, მაგალითად, როგორიცაა ხორბალი? რატომ არაა ხორბლის დამადასტურებელი დოკუმენტები მიჩნეული ვალად სასამართლოების მიერ? რატომ არის ეს მოპყრობა განსაკუთრებული ფული და საბანკო ბიზნესის მიმართ? უფრო მეტიც, რატომ არის რომ სასამართლოები, მაშინაც კი თუ ისინი შეცდომით ფულად ანაბრებს ვალად მიიჩნევენ, მაინც ამკიცებენ, რომ ისინი ჩვეულებრივი ვალი არაა და შეანაბრის ურთიერთობა ბანკთან არ არის იდენტური ჩვეულებრივ კრედიტორთან ურთიერთობისა? იხილეთ როთბარდი (1983, გვ. 275)

¹¹ იხილეთ ასევე ჯეევონსი (1905, გვ. 206-12, 221), რომელიც ნუხილს გამოთხვამდა ზოგადი ანაბრების დარსებობაზე, მას შერეო რაც „შესაძლებელია გახდა საქონლის ფიქტიური მიწოდება, რაც ნიშნავს დაარსმუნო ადამიანები იმის მიწოდებაში, რაც სინამდვილეში არ არსებობს.“ მეორე მხრივ, სპეციალური ანაბრები, როგორცაა „კარგოს ნუსხები, გირაობის ბილეთები, დოკ-გარანტია, ან სერტიფიკატები, რომელიც აყალიბებს მფლობელობას გარკვეული ობიექტის.“ უკეთესები არიან იმით, რომ „ისინი არ შეიძლება გამოიყენო საქონლის, რომელიც ანაბარია, ხელმისაწვდომობაზე, თაღლითობის გარეშე.“ ჯეევონსი ასკვნის, რომ „კანონის ზოგად ნებადართულია ამის, საქონლის ახლანდელი საჩუქარი ან დანიშნვა არსებობაში ქმედების გარეშე ხდება.“

როგორც ფედერაციული გაცვლის საშუალების და ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის დამცველებმა, სელჯინმა და უაითმა მხარი უნდა დაუჭირონ იმას, რომ ეს არ არის კონტრაქტის დარღვევა, მანამ სანამ ბ-ს შეუძლია შეასრულოს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები ვილაც სხვისი ქონებით (ფულით) განახორციელოს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს აშკარად მცდარია და მკაფიოდ ეწინააღმდეგება როთბარდის მესაკუთრეობის უფლების გადაცემის თეორიას გარიგებათა აღსრულების შესახებ, სელჯინი და უაითი სანაწილმდეგოს ამტკიცებენ. როთბარდის მესაკუთრეობის უფლების გადაცემის თეორიის მიხედვით, გარიგებათა აღსრულების შესახებ, ინდივიდებს უფლება აქვთ კონტრაქტი მხოლოდ საკუთარი კერძო საკუთრების გადაცემის შემთხვევაში გააფორმონ. ამისგან განსხვავებით, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა, საკუთარი ბუნებით (წარმატებული საქმიანობის შემთხვევაშიც), კონტრაქტით სხვა ადამიანების საკუთრების გადაცემას გულისხმობს. ამგვარად, მსგავსი პრაქტიკა - ფედერაციული გაცვლის საშუალების გამოშვება - პრინციპულად (არსებითად) შეუთავსებელია მესაკუთრეობის უფლების გადაცემის თეორიასთან გარიგებათა აღსრულების შესახებ და აღმოჩნდება, რომ ესაა როთბარდი და არა მისი ორი ინტერპრეტატორი, რომლებიც უფრო უკეთესად ასაბუთებენ საკუთარ კონტრაქტის თეორიას.

თაღლითობის საკითხი II: ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა და კონტრაქტის თავისუფლება

მარი როთბარდის მიერ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის კლასიფიცირება, როგორც თაღლითურის, ეთიკის და საკუთრების უფლების თეორიის ხანგრძლივი და ინტენსიური კვლევის შედეგი იყო. სელჯინი და უაითი სწორად მიიჩნევენ ეკონომიკას, როგორც ინტელექტუალურად დამოუკიდებელს და ეთიკისგან განყენებულ მეცნიერებას. მისი სწავლება შესაძლებელია საკუთრების ან საკუთრებაზე უფლების თეორიის წინასწარი ცოდნის გარეშე. თუმცა, ასევე, ისინი ზედამიწიულ ეთიკურ განცხადებებს აკეთებენ. სელჯინი და უაითი ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის მორალური დაცვისას იშვიათად თუ ასხენებენ საკუთრებას, მხოლოდ ქონების თეორიას თუ გამოკვეთავენ. ეს კი შედეგად ფუნდამენტური შეცდომების და პრობლემების სერიას გვაძლევს; საკუთრებას და მესაკუთრეობის უფლებებს შორის განსხვავების აღრევას; ერთი და იმავე საკუთრების ერთდროულად ერთზე მეტი მესაკუთრის შეუძლებლობის დაბნეულობას; არეულობა საკუთრების და საკუთრების თეორიის ლოგიკურ პრიორიტეტულობაში კონტრაქტთან და კონტრაქტის თეორიასთან მიმართებაში.

სირთულეებს ვაწყდებით ავტორის მიერ «კონტრაქტის თავისუფლების» საკითხის განხილვისას. მათი არგუმენტი მარტივია: თუ ბანკი არ წარმოადგენს ან მკაფიოდ არ ავალდებულებს საკუთარ თავს, რომ გააჩნდეს 100 % რეზერვი, მაშინ ნაწილობრივი რეზერვები არ არღვევს საკონტრაქტო შეთანხმებას ბანკსა და მის კლიენტს შორის... კანონგარეშე აცხადებს ნებაყოფლობით საკონტრაქტო მონყობას, რომელიც ნაწილობრივი რეზერვის მფლობელს ბაზარზე ინტერვენციის, კონტრაქტის თავისუფლების გამკაცრების (რომელიც კერძო საკუთრებით უფლებების მთავარი ასპექტია) უფლებას აძლევს (გვ. 87).

საკითხის ასეთი ვადანყვება ცხადყოფს, სელჯინისა და უაითის ულტრასუბიექტივიზმს. ამ ხედვის მიხედვით, ნებაყოფლობით შეთანხმებები კანონიერ კონტრაქტს აყალიბებენ და განსაზღვრავენ. თუმცა, კანონიერი კონტრაქტები ხელშეკრულებებია, რომლებიც რეალური ქონების გადაცემას გულისხმობენ. ამგვარად, გარკვეული კანონიერი კონტრაქტე-

ბი ფაქტობრივად საგნების და საკუთრების ბუნებიდან გამომდინარე, უწინარესად იძულებითია.

ჰოპეს განმარტებით (1994, გვ. 70): კონტრაქტის თავისუფლება არ გულისმობს ყველა ორმხრივად მომგებიანი კონტრაქტების დაშვებას... კონტრაქტის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ა-ს და ბ-ს უნდა მიეცეს ნებისმიერი სახის კონტრაქტის დადების უფლება მათი საკუთრების გათვალისწინებით, ამგვარად ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა გულისმობს კონტრაქტების წარმოებას მესამე მხარის საკუთრებასთან მიმართებით.

სელჯინი და უაითი «მესამე-მხარის ეფექტზე» შეცდომით მიუთითებენ (გვ. 92) და ამას ჰოპეზე დაბრალებით ცდილობენ, ადანაშაულებენ რა მას ელემენტარული დაბნეულობით საკუთრების და საკუთრებითი უფლებების ბუნებასთან დაკავშირებით.

ისინი თავდაპირველად აცხადებენ, რომ: სხვათა ქმედებების მომრიგებლები გ-ს საკუთრების ღირებულებისადმი... არიან გარდაუვალი თავისუფალი საბაზრო ფენომენები, და არ ნამოადგენენ გ-ს კერძო საკუთრებითი უფლებების დარღვევას, [იმის გამო] გ-ს საკუთრებას ფიზიკურად ხელყოფენ... ცხადია შეუსაბამოა გ-ს კერძო საკუთრებითი უფლებების დაცვასთან. აშკარა უნდა იყოს, რომ თუ ა და ბ დაუშვებენ ნებისმიერ გარიგებას, რომელიც მცირედ ახდენს გავლენას გ-ს საკუთრების საბაზრო ღირებულებაზე, ფიზიკური თავდასხმის ან საფრთხის გარეშე გ-ს კანონიერ ქონებაზე, მაშინ კერძო საკუთრების პრინციპები, კონტრაქტის თავისუფლება, და თავისუფალი საბაზრო კონკურენცია სრულად ნადგურდება. ბ-ს აქვს უფლება ა-ს მიჰყიდოს ჩანაწერების კომპაქტ დისკები, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ქმედება ამცირებს გ-ს გამოგონებით ფირფიტების ჩანაწერების საბაზრო ღირებულებას? (გვ. 92-93).

მეორე, ისინი ამტკიცებენ, რომ ფულის მსყიდველობითი უნარის შემცირება, რომელიც მათივე აზრით უნდა იყოს ფიდუციალური გაცვლის საშუალების ყოველი გამოცემის შედეგი, საზიანო ღირებულებითი ეფექტია და ამგვარად «ვერ ამართლებს ბანკის ქმედებების კანონიერებას». აქედან ისინი ასკვნიან, რომ ჰოპეს არგუმენტი «უძლურია» (და შეუსაბამო როთბარდის საკუთრების თეორიასთან).

სელჯინის და უაითის კონტრარგუმენტები ორ შეცდომას შეიცავს. პირველი, მაშინ როცა მთავარი წინაპირობა სწორია, მცდარია ის, რომ ჰოპე ამის შესახებ ცდება. ჰოპემ კერძო საკუთრებითი უფლების თეორიაზე ვრცლად დანერა, და განსხვავება მხოლოდ იმაში არაა, რაც განაცხადა სელჯინმა და უაითმა, არამედ ასევე გეთავაზობს მათ პრაქსეოლოგიურ დაცვას; ამასთან დაკავშირებით, არანაირი გასხვავება როთბარდის და ჰოპეს ნააზრევს შორის არ არსებობს.¹²

მეორე, მეორეხარისხოვანი წინაპირობა აშკარად მცდარია (და ამგვარად, ასეთივე დასკვნაც). სელჯინი და უაითი ამტკიცებენ, რომ ფულის მსყიდველობითი უნარის შემცირება, რომელიც გამოწვეულია ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოცემით იგივე სახის ზიანის მომტანი ღონისძიებაა, როგორც ნებისმიერი სხვა ნივთის ფასის შემცირება (გამონეული მოთხოვნა და/ან მიწოდების ცვლილებით). ფულის მფლობელებს მსყიდველობითი უნარი უმცირდებათ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის შედეგად, ისინი კი ამტკიცებენ, რომ ეს შემთხვევა არ განსხვავდება, როცა კართოფილის თუ მანქანების მფლობელები ზარალდებიან ღირებულების შემცირებით კართოფილის და მანქანების ჭარბი მიწოდების თუ შემცირებული მოთხოვნის გამო.

¹² Hoppe (1988, გვ. 69 ff); White (1990) Review of Hoppe.

აქაც კვლავ, სელჯინი და უაითი ერთმანეთთან აკავშირებენ ფულს (ოქრო) - საკუთრებას და ფულის შემცვლელებს (ბანკნოტებს) - მესაკუთრეობის უფლებებს. დარწმუნებული რომ ვიყოთ, ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოშვება რეალურ ქონებას ფიზიკურად არ აზიანებს. ბანკნოტი მხოლოდ ქალაქის ნაგლეჯია და ქალაქი არ ახდენს რაიმე შესაბამის ფიზიკურ გავლენას გარეგან სამყაროზე. მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას ფიდუციალური მესაკუთრეობის უფლებების გამოცემაზე კართოფილსა თუ მანქანისთვის. ისინიც მხოლოდ ქალაქს წარმოადგენენ და ამგვარად გავლენას არ ახდენენ რეალურ სამყაროზე. თუმცა მანაც არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება კართოფილის და მანქანის მფლობელთა სიმდიდრის მდგომარეობის ცვლილებაზე ერთი მხრივ კართოფილის და მანქანის მოთხოვნა/მიწოდების გამო, და ცვლილებების გამო, რომლებიც გამოწვეულია არარსებული კართოფილის თუ მეორე მხრივ, მანქანების რაოდენობის მესაკუთრეობის უფლებების მოთხოვნა/მიწოდების ცვლილებით. სინამდვილეში, კართოფილის და მანქანების მფლობელებზე ორივე შემთხვევაში სხვადასხვაგვარი ზემოქმედება ხდება. პირველ შემთხვევაში, თუ კართოფილის და მანქანის ფასი ეცემა ჭარბი მიწოდების გამო, ყველა მფლობელს რჩება (უცვლელად) მფლობელობაში იგივე რაოდენობის ქონება (კართოფილი და მანქანა). არავის ფიზიკური ქონება არ განადგურებულა. ანალოგიურად, თუ ფასი ეცემა იმის გამო, რომ მყიდველებს სურთ მხოლოდ მცირე რაოდენობის საქონელი გაცვალონ კართოფილსა თუ მანქანაში, ესეც არ ახდენს გავლენას მფლობელთა კართოფილის და მანქანის ფიზიკურ რაოდენობაზე. მეორე შემთხვევაში, კართოფილის და მანქანების უცვლელ რაოდენობაზე დამატებითი მესაკუთრეობის უფლებების გამოშვება და გაყიდვა განაპირობებს არსებული კართოფილის თუ მანქანის მფლობელთა საკუთრების რაოდენობრივ შემცირებას. ამას მხოლოდ ღირებულებითი ეფექტი არ გააჩნია: კართოფილის და მანქანის მესაკუთრეობის უფლების მსყიდველობითი უნარი შემცირდება. მას ფიზიკური ეფექტი აქვს: ფიდუციალური კართოფილის და მანქანის მესაკუთრეობის უფლების გამოშვებში და გამყიდველი უკანონოდ მიითვისებს სხვა ადამიანების კართოფილსა თუ მანქანას. იგი მიითვისებს სხვა ადამიანის საკუთრებას მისი ნებისმიერი საკუთრების დათმობის გარეშე (ცარიელი მესაკუთრეობის უფლებაზე გაცვლით).¹³

თაღლითობის საკითხი III: «დამტკიცება არსებობიდან» ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა და სახელმწიფოს ფორმირება

არც მესაკუთრეობის უფლების გადაცემის თეორია გარიგებათა აღსრულების შესახებ და არც კონტრაქტის თავისუფლების პრინციპი არ უჭერს მხარს მტკიცებას, რომ ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოშვება და ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა ეთიკურად გამართლებულია. პირიქით, მხოლოდ ერთი არგუმენტი უჭერს მხარს იმას, რომ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა ბიზნესის ლეგიტიმურ ფორმას წარმოადგენს.

არგუმენტი ამტკიცებს: X, Y, ან Z არ იარსებებდნენ, სარგებელს რომ არ იღებდნენ; აქედან გამომდინარე, ისინი უნდა არსებობდნენ (მის კანონგარეშედ გამოცხადება ზარალის მომტანი და მორალურად მცდარი იქნებოდა).

¹³ ასევე იხილეთ შენიშვნა ნომერი 4 ზევით. ეს ავტორები არასწორად იგებენ ფულზე მოთხოვნის (და მიწოდების) მნიშვნელობას. ფულის (ან კართოფილის ან მანქანის) მოთხოვნის ზრდა არაა მხოლოდ სურვილი, რომ გქონდეს უფრო მეტი ფული (ან კართოფილი), იგი ასევე ეფექტიან მოთხოვნას გულისხმობს.

ამგვარად, სელჯინი და უაითი წერენ (გვ. 95): ჯგუფი [ადამიანებისა], ვისი კონტრაქტის თავისუფლებითაც ჩვენ დანტერესებლნი ვართ, არიან არა მცირერიცხოვანი თავისებური ჯგუფები, არამედ ადამიანების დიდი მასა, რომლებმაც გვანახეს, რომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ ბანკებს, რომლებიც ნაწილობრივ რეზერვების პრინციპით საქმიანობენ... მენაბრეები აგრძელებენ ასეთი ბანკების მფარველობას, ანიჭებენ რა მათ უპირატესობას... უპირატესობის გამოხატვის პრინციპით მენაბრეები სარგებელს იღებენ იმ პაკეტით რომელზეც შეთანხმდნენ მიელოთ, გავრისკათ და სხვა. (გვ. 93)

[შედეგად] თუ ნებისმიერი ადამიანი გათვინცნობიერებულად ამჯობინებს ფული ჩადოს (სარგებლობის მატარებელი) ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედ ანგარიშზე, ვიდრე (უბრალოდ შენახვისთვის) 100%-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედ ანგარიშზე, მაშინ აუცილებელია ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის კანონის ძალით აკრძალვა, ისევე როგორც საბანკო მომსახურების ბაზარზე კონტრაქტის თავისუფლების კანონიერი შეზღუდვა. (გვ. 88)

[უფრო მეტიც,...] სარგებელი ერიცხებათ ბანკის მენაბრეებს და ბანკოტების მფლობელებს, რომლებიც იღებენ სარგებელს და მომსახურებას დამატებითი საბანკო შემოსავლებიდან, რომელიც გენერირდება პასივების გარკვეული ნაწილის გასუსხებით. სარგებელი ერიცხებათ ბანკის მსესხებლებს, რომლებიც საშუალო კრედიტის საკმაო რაოდენობას იყენებენ, და ყველას ვინც მუშაობს უფრო დიდ ბირჟებზე. სარგებელი ასევე უნდა დაერიცხოს ბანკის აქციების მფლობელებს, რომლებსაც შეეძლოთ არჩევიანი გაეკეთებინათ, რომ ბანკს არ გამოეცა მოთხოვნამდე ვალდებულებები, თუ ისინი დაინახავდნენ რისკს, რომლის განვაც არ ღირდა. (გვ. 94)

აქ სელჯინმა და უაითმა ეტილი ცხვენ უფრო წინ მოათავსეს. პრაქტიკის არსებობაც კი, რომელიც ძალიან გავრცელებულია, არ გასცემს პასუხს, არის თუ არა გამართლებული. პირველად გავითვალისწინოთ, საილუსტრაციო მიზნებისთვის, შემდეგი ანალოგია, რომელიც ეხება სახელმწიფოს დაშვებულობის ეთიკურობას, რაც ნიშნავს, კანონის და წესრიგის ტერიტორიულ მონოპოლისტს.¹⁴

სელჯინის და უაითის სიტყვებით (აქ სხვა კონტექსტში გამოიყენება და პერიფრაზირებულია), ადამიანთა ჯგუფი, რომელთა კონტრაქტის თავისუფლებაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, არაა მცირერიცხოვანი ახირებულთა ნაკრები, არამედ ადამიანთა მასა, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფოს (მოსამართლეებს და დამცველებს), რომლებიც მუშაობენ მონოპოლისტური პრინციპებით. ტერიტორიაზე მცხოვრებნი აგრძელებენ ამ სახელმწიფოს მფარველობას, ანიჭებენ რა მას უპირატესობას. აღიარებული უპირატესობის მინიჭების პრინციპით, ტერიტორიაზე მცხოვრებნი, უნდა ვიმედოვნოთ, რომ სარგებელს იღებენ იმ პაკეტით, რომლის მიღებაზე და რისკის განვებაზეც დათანხმდნენ. უპირატესობას მიიღებენ სახელმწიფო მენაბრეები და მენილეები, რომლებიც იღებენ სარგებელს და მომსახურებას სახელმწიფოს დამატებითი შემოსავლებიდან, რომელიც გენერირდება ანაბრის დასაქმებულნი ნაწილობრივ დამატებითი გადასახადების შეგროვებით. უპირატესობას მიიღებენ ბანკის მსესხებლები რომლებიც საშუალოვადიანი კრედიტის ჭარბრაოდენობას იყენებენ, და ყველა ვინც მუშაობს კაპიტალური აღჭურვილობის უფრო დიდ წარმოებებში. სარგებელი ასევე უნდა დაერიცხოს სახელმწიფოს მენილეებს, რომლებსაც

¹⁴ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვიტყვი, რომ სიტყვა მონოპოლია აქ გამოიყენება როტბარდისული განმარტებით, როგორც ექსკლუზიური პრივილეგია (ან თავისუფლად შეღწევის ადარსებობა). კანონის და წესრიგის მონოპოლია ნიშნავს, რომ სამართლისა და დაცვისთვის ადამიანები მხოლოდ ერთ მხარეს მიმართავენ - სახელმწიფოს - და ეს მხარე ექსკლუზიურად განსაზღვრავს სამართლიანობის და დაცვის შინაარსს.

შეეძლოთ აერჩიათ, რომ სახელმწიფო არ ჩართულიყო გადასახადების აკრეფის საქმეში თუ დაინახავდნენ რისკს, რომლისთვისაც გარისკვა არ ღირდა.

საკუთარი ლიბერტარიანული რწმენით, სელჯინი და უაითი სავარაუდოდ უარყოფდნენ ამ ანალოგიას, როგორც მცდარს და შეუსაბამოს. მაგრამ თუ ასეა, რატომ? რის გამო უქმდება ეს მეორე მტიყცება და არა პირველი? რა, თუ რაიმე, აკეთებს ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის აკრძალვას (ან დაშვებას) კატეგორიულად განსხვავებულს სახელმწიფო ფორმაციის და ქმედების აკრძალვისგან (ან დაშვებისგან)?

პასუხი - არ არსებობს განსხვავება და ორივე მტიყცება მცდარია - მოიპოვება როთბარდისეულ ალიარებული უპირატესობის პრინციპში. როცა სელჯინი და უაითი ამ პრინციპს იყენებენ საკუთარი დასკვნის მხარდასაჭერად, რომელიც ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის ეთიკურ დაშვებას ეხება, ისინი მის ქვეტექსტს ტოვებენ. ალიარებული უპირატესობის პრინციპი, როგორც ამას როთბარდი ხსნის მის ალიარებულ «სარგებლიანობის და კეთილდღეობის ეკონომიკის რეკონსტრუქციაზე», ვარაუდობს საკუთრებით უფლებებს. ყველა ალიარებული უპირატესობა ეთიკურად დასაშვები ან სოციალურად მომგებიანი არაა. ამის მაგივრად, ისეთი უპირატესობები, რომელიც დასაშვებია და კეთილდღეობას ამალღებს, არიან ისინი რომლებიც გამოიხატებიან მხოლოდ კერძო საკუთრებითი საშუალებებით და საკუთრებით. თითოეული უპირატესობის დემონსტრირება საკუთრებითი საშუალებებით, რომელიც მას არ ეკუთვნის და სხვა ადამიანების საკუთრებაა - დაუშვებელია და უსასარგებლო.

ალიარებული უპირატესობა სახელმწიფოსთვის ეწინააღმდეგება როთბარდის პრინციპს. როთბარდის ანალოზში, რომელიც მიღებულია არსებულ დებატებში მონაწილე ორივე მხარის მიერ, დარღვევა სწრაფად შეიძლება დადგინდეს. კერძო საკუთრება, როგორც მითვისების და/ან წარმოების ქმედების (ნაშადვილი) შედეგი, გულისხმობს მესაკუთრის უფლებას ექსკლუზიური იურისდიქცია გაავრცელოს მის ქონებაზე, რაც მოიცავს ასევე მისი საკუთრების დაცვას შესაძლო თავდასხმებისა და დამპყრობლებისგან. მართლაც, არ იარსებებდა არანაირი საკუთრება მესაკუთრის ფიზიკური დაცვის უფლების გარეშე, და ეს აუცილებელი პირობაა კერძო საკუთრებისთვის, ჩამოაყალიბოს ექსკლუზიური იურისდიქციის განცალკევებული სამფლობელო. კერძო საკუთრების მფლობელებისგან შეუძლებელია დათმობა საკუთრებაზე იურისდიქციის და მისი დაცვის უფლება - თუ არ გაყიდის ან საკუთარი ქონების სხვაგვარ ტრანსფერს არ განახორციელებს (რა შემთხვევაშიც ვილაც სხვას ექნება ექსკლუზიური იურისდიქცია უკვე ამ ქონებაზე). ეს ნიშნავს, რომ სანამ (საგანს) არ მიიტოვებენ, მესაკუთრე ითვლება ამ უფლების გამოყენებლად, და როცა სხვასთან ურთიერთობების საკითხი დგება, თითოეული ქონების მესაკუთრემ შეიძლება ნაწილობრივ ისარგებლოს შრომის დანაწილებით და ეძიოს უკეთესი და გაუმჯობესებული მისი უცვლელი საკუთრებითი უფლების ქონების სხვა მესაკუთრესთან თანამშრომლობით. ნებისმიერ მესაკუთრეს შეუძლია იყიდოს, ან გაყიდოს, ან სხვა სახის კონტრაქტით ითანამშრომლოს სხვასთან ვინც დაინტერესებულია საკუთრების დამატებითი დაცვით და უსაფრთხოებას მომსახურებით. ამგვარი თანამშრომლობა კი ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად განყვიტოს, როცა მოესურვება. ამისგან განსხვავებით, თავდაცვასა და მართლმსაჯულებაზე ტერიტორიული მონოპოლიით სახელმწიფო გულისხმობს, რომ ნებისმიერ მესაკუთრეს ეკრძალება მის დამცველთან თანამშრომლობის განყვიტა, და არავის (მონოპოლისტის გარდა) შეუძლია ისარგებლოს საკუთარ ქონებაზე იურისდიქციით. არამედ, მონოპოლისტის გარდა დაკარგული აქვს უფლება დაიცვას საკუთარი ქონება და ამგვარად აღიქმება დაცვის უუნაროდ საკუთარ ქონებასთან მიმართებაში. აშკარად, ამგვარი ინსტიტუტის არსებობა ეწინააღმდეგება თითოეული მესაკუთრის ალიარებულ

უპირატესობას, რომ არ დათმოს საკუთარი კერძო საკუთრება. მათი აღიარებული უპირატესობის სანინააღმდეგოდ, მონოპოლისტი უკრძალავს ადამიანებს დაიცვან საკუთრება სახელმწიფოს ან მისი აგენტების მხრიდან შესაძლო თავდასხმისგან. დაცვის და იურისდიქციის მონოპოლია კი მდგომარეობს ჩამორთმევის (გადასახადების დაკისრების) დაუშვებელ ქმედებაში, და მონოპოლისტს და მის აგენტებს აძლევს შემდგომი ჩამორთმევების და გადასახადების დაკისრების ლიცენზიას. ყველა მესაკუთრის ქმედებების დასაშვები არეალი საკუთარ ქონებასთან მიმართებაში, და ამგვარად მისი ქონების ღირებულება, მცირდება, რადგანაც მონოპოლისტის ქმედებათა და კონტროლის არეალი შესაბამისად ფართოვდება და მისი ექსკლუზიური პრივილეგია აისახება მისი საკუთარი ქონების ღირებულების ზრდით (მონოპოლისტური მოვების კაპიტალიზება).

ამჟამად, სახელმწიფოები ყველგან არსებობენ, და თითქმის ყველა ადამიანს სახელმწიფო იცავს. აღიარებული უპირატესობის მიუხედავად, ეთიკურად თუ ეკონომიკურად, სახელმწიფო ფორმაციისაგან თავის დაცვა არ გახლავთ ბოროტება. ვერაგინ ჩამოაყალიბებს სახელმწიფოს, იგივე მიზეზით, როგორც ვერაგინ მოახდენს ვინმეს გაძარცვას ან ქონების კონფისკაციას. სასამართლოში, სწორი იქნებოდა, რომ ერთეული კერძო მესაკუთრე უარყოფდა მონოპოლისტის არსებობას, და მონოპოლისტი შეწყვეტდა მის ოპერაციებს, როგორც გადასახადების აკრეფვის დამცავი სამსახური და გადააკეთებდა მის კანონიერ სტატუსს, როგორც არა-გადასახადების, არამედ კანონის დაცვის ფასიან სააგენტოდ.

გადასახადების აკრეფვის დამცავი სამსახური წინააღმდეგობრივია, წარმოადგენს მიმტაცებლობის, ხელმყოფობის დამცველს და შესაბამისად აკრძალული უნდა იყოს. მას არ აქვს არანაირი სარგებელი სახელმწიფო მენაბრეებისთვის, მსხსნებლებისთვის და სახელმწიფო მესაკუთრეთათვის. ამის გაკეთება არ არის ზაზარზე სამართლის და დაცვის მომსახურებისთვის კონტრაქტის თავისუფლების შეზღუდვა, არამედ ვარაუდი კონტრაქტის თავისუფლების და სამართლის. ყველა ვინც კი ფულსა თუ სხვა რესურსს გადასახადების ამკრეფ დაცვის სამსახურში დევს, ერთეულ უკანონო ქმედებაში და დასჯას ექვემდებარება.

რადგანაც სახელმწიფო ყველგან არსებობს, ასევე არსებობს ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკები. დღეს, პრაქტიკულად, ყველა საბანკო სისტემა ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მუშაობს. მაშინ რა განსხვავებაა სახელმწიფოს სტატუსსა და ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკის სტატუსს შორის? რატომ არ შეიძლება რომ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკები ისევე უკანონოდ ჩაითვალოს, როგორი უკანონოცაა სახელმწიფოს გადასახადების აკრეფვის დამცავი სამსახურები? იმისთვის რომ დავრწმუნდეთ, ისევე როგორც არ არსებობს ეჭვი დაცვის მომსახურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, ასევე ეჭვი არ უნდა არსებობდეს საბანკო სერვისების საჭიროებაშიც. მაგრამ დაცვის მომსახურების მოთხოვნა, რომ მესაკუთრეებმა შეიძლება ჩვეულებრივ გამოხატონ არ ითვალისწინებს გადასახადების ამკრეფის მომსახურებას, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ. ის ექსკლუზიურად უშვებს ფასიანი დაცვის სააგენტოების მოთხოვნას. რატომ არ შეიძლება რომ ანალოგიური განსხვავება გამართლებული იყოს საბანკო სისტემასთან მიმართებაშიც? რატომ არ შეიძლება, რომ სარგებლის ამკრეფი მოთხოვნის ანაბრის ანგარიშები იყოს დაუშვებელი როგორც გადასახადების ამკრეფი დაცვის სამსახურები, იმის საფუძველზე, რომ ორივე სარგებლის ამკრეფი დეპოზიტის ანგარიშები და გადასახადების ამკრეფი საკუთრების დაცვა წინააღმდეგება ერთურთს? რატომ არ შეიძლება, რომ ფულის შემნახველის ფუნქციები და კლირინგის ინსტიტუტები (100 პროცენტის), როგორც ნაშუამავლები კრედიტი (ანაბრები ან სასესხო საბანკო საქმიანობა), მხოლოდ საბანკო საქმის ფორმებს წარმოადგენდნენ (ისევე, როგორც დაცვის ფასიანი სააგენტოები წარმოადგენენ დაცვის ლეგიტიმურ ფორმას)?

პასუხი ეფუძნება იმას, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის აღიარებული უპირატესობა, რაც ნიშნავს ფიდუციარული მედიის გამოშვებას და მიღებას, იღებს თუ არა ცალსახად და ექსკლუზიურად ორი მონინალმდევე მხარის ქონებას. ნებისმიერ მოცემულ დროს, ქონების რაოდენობა (მითვისებული საქონელი) - სამომხმარებლო საქონელი, სამენარმეო საქონელი, თუ ფული - განსაზღვრულია. ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა არ ზრდის არსებული ქონების რაოდენობას (ფულს ან სხვა რამეს), და არც გადასცემს ერთ მხარეს მეორის კუთვნილ ქონებას. არამედ, იგი ჩართულია მესაკუთრების უფლებების გაზრდილი რაოდენობის უცვლელ ფულის (ოქრო) მარაგად წარმოებაში და გაყიდვაში. ეს არის ყალბი ფულისა და უკანონო მითვისების მოთხოვნა და მიწოდება. ისევე როგორც ყველა სხვა სახის თაღლითობაში (გაყალბება) - ბირჟის და საქონლის სერთიფიკატების, ბანკოტების, მინის მესაკუთრების უფლებების, ხელოვნების ნიმუშის, და სხვა, - ფულის ასლების (ბანკოტების) დაბეჭდვა და გაყიდვა, რომელსაც არ ამაგრებს ნამდვილი (ოქრო) ფიზიკურად შეამცირებს ან გაძარცვავს ნამდვილ ფულს - ბირჟას, საქონელს, მინას ან ხელოვნების ნიმუშს - ანუ მესაკუთრის საკუთრებას. მაგრამ ფულის გაყალბება ყველაზე უფრო საშიში და გავრცელებულია, რადგან ფული ყველაზე ადვილად იყიდება სხვა საქონელთან შედარებით; იმიტომ რომ, ფულის გაყალბება მის გამყიდველს საგნების ყიდვის ყველაზე ფართო არეალს უქმნის უდროო მითვისებისთვის (ფულიდან თითქმის ყველა სხვა სახის უძრავ ქონებამდე).

ამგვარად, გასაკვირი არაა, რომ გაყალბების ყველა ფორმასთან შედარებით, ფულის გაყალბება ყოველთვის ყველაზე მეტად მიმზიდველი იყო. სანამ ფული არსებობს მუდმივად იარსებებს ფულის გაყალბების მოთხოვნა. თუმცა, ამ მიმზიდველობის მიუხედავად, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის აკრძალვა არ იქნებოდა ცუდი. არავის აქვს ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის ამუშავების უფლება, ისევე როგორც სხვა ბიზნეს სფეროებში თაღლითობის უფლება, კერძოდ, ნამდვილის ან არარსებული ქონების ასლების ან მესაკუთრების უფლებების დაბეჭდვა და გაყიდვა. იურიდიული სამართლის მიხედვით, ფულის ან სხვა სახის ქონების მფლობელის მიერ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკის, როგორც ყალბი ფულის მწარმოებლის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა სწორია. ბანკმა კი უსწრაფესად უნდა შეწყვიტოს ასეთი ოპერაციები და შეასრულოს თავისი ორი ნამდვილი ფუნქცია: მიიღოს ანაბრები და გასცეს სესხები. სარგებლის მომცემი ბანკი წინააღმდეგობრივია: იგი ყალბი ფულის შემნახველია და უკანონოდ უნდა გამოცხადდეს, მიუხედავად შეანაბრების, მსესხებლების და ბანკის მფლობელების მიერ მიღებული სარგებლებისა. ამით არ იზღუდება საბანკო სერვისების ბაზარზე კონტრაქტის თავისუფლება, არამედ სამართლიანი ფულისა და საბანკო საქმიანობის მოთხოვნები. ყველა ვინც ფულს ან სხვა რესურსს იღებს სარგებლის გამცემ ანაბრებზე, ჩართულია ზომავადასულ და უკანონო მითვისებაში.¹⁵

სახელმწიფოსა და ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედ ბანკს შორის კავშირი კიდევ უფრო ინტიმურია, და ნებისმიერ შემთხვევაში განსხვავებულია იმისგან, რაც სელჯინმა და უაითმა შემოგვთავაზეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს იქნება უკანონო

¹⁵ როტბარდი განმარტავს (1995, გვ.77): თავისუფალ კონკურენციაში თაღლითური სამართალდარღვევის მომხრეები, რაც უბრალოდ ნიშნავს რომ ბაზარი მუშაობს, რომ ბაზარი არევის ტრიბუნა „მოთხოვნას“ უფრო ფართო კრედიტისთვის, და კერძო ბანკირები, კირკენერის მენარმეები, წარმოადგენენ უბრალოდ „განგაშის ხარს“ ამგვარი მოთხოვნებისთვის. რა თქმა უნდა ბაზარზე მუდამ არსებობს „მოთხოვნა“ თაღლითობასა და მითვისებაზე და შესაბამისად არსებობს უმარტივად თაღლითის „ხარი“, რომელსაც სურვილი აქვთ ამ საგნების მოწოდება განახორციელონ. მაგრამ თუ ჩვენ „ბაზარს“ განვსაზღვრავთ, არა როგორც სასურველი საქონლის და მომსახურების მოწოდებად, არამედ, როგორც ისეთი საქონლის მიწოდებად, რომელიც კერძო საკუთრებით უფლებების ჩარჩოს არ არღვევს, ჩვენ სრულიად სხვაგვარ სურათს ვიღებთ.

ჩარევა თავისუფალი ბაზრის ოპერაციებში, თუ სახემწიფო აკრძალავს ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობას. ფაქტობრივად, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა არის სახელმწიფოს მიერ ბაზარზე უკანონო ჩარევის შედეგი, და მისი აკრძალვა მხოლოდ გამოასწორებს მის ადრეულ ჩარევებს. სელჯინი და უაითი აღიარებენ ამას თავისუფალი საბანკო სისტემის ევოლუციაში, ანაბრების 100%-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა და ფუნქციონირად განცალკევებული სასესხო საბანკო საქმიანობა, (პრაქსეოლოგურიად) წინ უსწრებს ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობას. მათი აზრით, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა ადრეული 100 %-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედი სისტემის ბუნებრივი გაგრძელებაა. თუმცა, ისინი არ გვთავაზობენ განმარტებას ამ გადაცემისთვის, როგორც ბუნებრივ გადანყვეტას პრობლემისა, რომელიც აპრიორი ვერ გადანყვეტებოდა 100 %-ით საბანკო საქმიანობის (იმ გზით, როგორც ავსტრიელები მოიხმარენ ფულს, როგორც პრობლემის ბუნებრივ გადანყვეტას სურვილების დამთხვევის სიმცირეს წინა ბარტერული სისტემის შემთხვევაში) შემთხვევაში. ისინი უბრალოდ ადასტურებენ, რომ გადაცემა მოხდა.

როდესაც ვინმე ადვილად დანახავს, თუ რატომ და როგორ შეიძლება უნდოდეს ბანკის თაღლითობის შესაძლებლობებით სარგებლობა, ცხადია, რომ ნებისმიერი მსგავსი მცდელობა ვერ აუვლის გვერდს სწრაფ და განგრძობით გამონევენას. სინამდვილეში, ახლანდელი ავტორები და ათასობით ადრეული იურიდიული თუ ეკონომიკური თეორეტიკოსები და-ადანამუშალებდნენ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკებს თაღლითობაში და მათ წინააღმდეგ სარჩელსაც შეიტანდნენ. საბანკო სისტემის განვითარების შემდგომი კურსი კი სასამართლოს განაჩენზე იქნებოდა დამოკიდებული. თუ სასამართლო გადანყვეტდა, რომ ფიდუციალური გაცვლის საშუალების ე.წ. ფულის მესაკუთრების უფლებების გამოცემა, რომელსაც არ ამყარებს ფული თაღლითობის წინაპირობა იქნებოდა, მაშინ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა უბრალოდ აღარ იარსებებდა; და თუ სასამართლო გადანყვეტდა წინააღმდეგოდ, მაშინ ის განაგრძობდა არსებობას. ამ ევოლუციაში არაფერი არაა ბუნებრივი; არამედ ყველაფერი წინასწარგანზრახულია. ბუნებრივია, სასამართლო პროცესის ამგვარი შედეგები სელჯინის და უაითის მოსაწონი არ იქნებოდა. პირიქით, თუ ერთი მათგანიც ჩათვლიდა, რომ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკირებს გადასახდელი ექნებოდათ თაღლითობის ჯარიმა, ჩვენ გავებდავდით გვეთქვა, რომ ემპირიულად, ამგვარი შემთხვევების გადაჭარბებული რაოდენობა დასრულდება მსჯავრის დადებით (სელჯინის და უაითის მტკიცებულების მიუხედავად). მაშინ, რატომაა ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა ასე გავრცელებული?

ამას უასუბი მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ საკითხებს ყველგან სახელმწიფო სასამართლოები წყვეტენ. დავის ერთხელ და ყველასთვის გადანყვეტა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც სასამართლო ფლობს მართლმსაჯულების ტერიტორიულ მონოპოლიას. და ეს ერთნაირად დადგინდებოდა, ისე როგორც იყო, რაც ნიშნავს, დაშვებით და არა აკრძალვით ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობას, რომელიც გამომდინარეობს ყველა სასამართლოს და მოსამართლის სარგებლიდან, ამ შემთხვევაში როგორც სახელმწიფო სასამართლოსი და სახელმწიფო მოსამართლის. სახელმწიფო მესაკუთრენი და აგენტები სრულად აღიარებენ, ისევე როგორც ბანკირები, ფულის თაღლითობის პოტენციალს, როგორც შემოსავლის წყაროს. როდესაც ბანკირებს ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოშვების (ვიდრე თაღლითობის პრაქტიკის აკრძალვა) უფლებას მისცემენ, ბანკები რეალურად სახელმწიფოზე დამოკიდებულნი ხდებიან.

მათ შეუძლიათ იმოქმედონ, რადგან სახელმწიფო, როგორც იურიდიქციის ტერიტორიული მონოპოლისტი, მათ თაღლითობისთვის გასამართლებებისგან იცავს; თავის მხრივ, ბანკები სახელმწიფოს აძლევენ დაკანონებული თაღლითობის გზით მიღებულ დამატებით შემოსავლებსა და კრედიტს. ამგვარად, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის დაშვებით სახელმწიფო, ფაქტიურად, თავისი ზედამხედველობის ქვეშ იყვანა ბანკისა და სახელმწიფოს გაერთიანებული თაღლითობის კარტელს.

ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობაზე სახელმწიფოსგან მფარველობის მიღებით, ჩვეულებრივ, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკები შეავიწროებენ 100%-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედ ბანკებს. და ეს ხდება არა იმიტომ, რომ ისინი უკეთესი და უფრო სასარგებლო ბანკები არიან, როგორც ამას სელჯინი და უაითი ამტკიცებენ (გვ. 97-98), არამედ იმ მიზეზით, რომ ფულის გაყალბების დაშვებისას, ამისკენ მიდრეკილი ბანკები იმარჯვებენ იმ ბანკებზე, რომლებიც ამ პროცესში არ არიან ჩართულნი. აღნიშნული ნიშნავს, რომ თუ ერთ ფოლადის მწარმოებელზე დასაშვებია გადასახადის გარეშე სამრეწველო გზით შაერის დაბინძურება, ხოლო მეორეზე იგივე შეღავათი არ ვრცელდება, მაშინ პირველი ფოლადის ის მწარმოებელი სანარმო, ცხადია, უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე მეორე, რომელიც არ აბინძურებს. ამ შემთხვევაში კერძო მესაკუთრის უფლებები ირღვევა. როდესაც არსებობენ პრივილეგირებული სანარმოები, რომლებზეც არ ვრცელდება უნივერსალური კანონები, ისინი უფრო წარმატებულნი იქნებიან, ვიდრე ჩვეულებრივი სანარმოები. ამგვარად, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის ემპირიული წარმატების, როგორც მისი დიდი ეკონომიკური ეფექტიანობის მტკიცებულების ინტერპრეტაცია სრული შეცდომაა. ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის წარმატება ანაბრების 100%-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედ საბანკო სისტემაზე, უკვე აღარაა საბანკო ფენომენი, არამედ იგი გადასახადების ამკრეფთა მხარდამჭერების, სახელმწიფოს წარმატებაა, კონკურენტულ და არა საგადასახადო დაცვის მწარმოებლებზე. მცდარია იმის შეთავაზება, როგორც ამას სელჯინი და უაითი აკეთებენ, რომ ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო საქმიანობამ გაუძლო ბაზრის გამოცდას და წარმოდგენს ნებაყოფლობით სამომხმარებლო არჩევანის შედეგს. ყველაფრის შემდეგ, ანაბრების 100%-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა არაა კანონგარეშე და მომხმარებლები თავისუფალნი არიან დააბანდონ მათთან ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკის მაგივრად, თუ ისინი მას უფრო მიაჩნებენ უპირატესობას. ან მათ შეიძლება მსგავსად იდგონ რომ დაშინძურებული ფოლადის მწარმოებელმა გაუძლო ბაზრის გამოცდას, რადგან, მომხმარებლებს აგრეთვე შეუძლიათ იყიდონ ფოლადი არადაშინძურებული ფოლადის მწარმოებლისგან, ან მათ შეუძლიათ იყიდონ მათი უსაფრთხოება სააგენტოებისგან, რომელთაც არ გააჩნიათ საგადასახადო და იურიდიული ძალა!¹⁶

¹⁶ იგივე სახის აღრევა ახასიათებთ სელჯინისა და უაითის ხედვას ნამდვილი ფულის (ოქროს) და ბანკნოტების ურთიერთობასთან მიმართებაში. ისინი აკრიტიკებენ პოპეს ფოსაზრებას, რომ უნიკალურ საბანკო ნესრიგში, ადამიანებზე უმეტესობა გამოიყენებდა ნამდვილ ფულს ვიდრე ბანკნოტებს (პოპეს თეორიული მსჯელობის გამოტობების). „ფაქტები“ - ამტკიცებენ ისინი - „სხვაგვარა“ (გვ. 99). მაინც ეს ფაქტები - ბანკნოტების ისტორიული წარმატება ნამდვილ ფულთან შედარებით - არის სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრებით უფლებებში ადრეული ჩარევის შედეგი (ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობის დაკანონება). როგორც მიზესი (1966, გვ. 438, 442, 447) აღნიშნავს, სიმართლე ისაა, გარდა ბიზნესმენთა მცირე უჯრუფებისა, რომლებსაც შეეძლოთ გაერჩიათ უკუდი ბანკები კარგი ბანკებისგან, ბანკნოტები მუდამ არასანდოდ მიიჩნეოდა. ეს სპეციალური ქარტიები იყო, რომლითაც სახელმწიფო პრივილეგირებულ ბანკებს აჯილდოვებდა, რომლებმაც საბოლოოდ ნელ-ნელა ეჭვებიც გააქრეს. [მთავრობის] თვალისაზრისით ბანკების უპირველესი ამოცანა ხაზინისთვის ფულის სესხება იყო. ფულის შემცველები მთავრობის მიერ გამოცემულ ქაღალდის

უფრო მეტიც, როცა 100 %-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა კრიზისმდებელია, რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა, როგორც ამას სელჯინი და უაითი მიიჩნევენ, არ არის. თავისუფალი ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა, მიზნის ინტენვენციონიზმის თეორიის თანახმად, განაპირობებს სახემწიფოს შემდგომ ჩარევებს და ფულის რეგრესს. თავისუფალი ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა, როგორც სახელმწიფოს მიერ დაცული თაღლითობა აგრეთვე განაპირობებს ბანკებს შორის მყარ კონკურენციას ზრდად მცირე რეზერვების პროპორციის სიცოცხლისუნარიანობის ტესტირებაში. ეს კი საბანკო კრიზისის გამოწვევის ზღვარია, რაც გამოყენებული იქნება მთავრობების მიერ ცენტრალური ბანკის შესაქმნელად. თავის მხრივ, ცენტრალური ბანკი კიდევ უფრო მეტი თაღლითობას წარმოშობს, სასაქონლო ფულის გაუქმების და ეროვნული დეკრეტული საგადამხდელი საშუალების შემოღების თვალსაზრისით. და ბოლოს, საერთაშორისო - საერთაშორისო ცენტრალური ბანკი - კონკურენცია დეკრეტული ფულის გაყალბებაში სახელმწიფოების გაბანკოტებას განაპირობებს, ხოლო მათ მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოყენებული იქნება გადარჩენილ სახემწიფოებს შორის უფრო ძლიერების მიერ ერთი მსოფლიოს მთავრობის, ცენტრალური ბანკის და დეკრეტული საგადამხდელი საშუალების შესაქმნელად.

ამგვარად, სელჯინი და უაითი არსებული მონეტარული პრობლემის გადასაწყვეტად გვთავაზობენ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სიტემას, რომელიც ოქროზე არაა დამყარებული - რაც ფაქტიურად წარმოადგენს ყველა თანამედროვე მონეტარული პრობლემის სანაყის მიზეზს.¹⁷

ფულისთვის გზამკვლევად მიიჩნეოდა. გადაცვლადი ბანკოტები არაგანადგებადი ბანკოტებისკენ გაზრე პირველ ნაბიჯს წარმოადგენდნენ. სახელმწიფოს ფაქტიურობის და ინტერვენციის პოლიტიკის გავრცელებით, ეს იდეები ზოგადი გახდა და მათ კითხვის ნიშნის ქვეშ უკვე აღარაღიან აყენებს. მთავრობები ბანკოტების იმიტომ არ იყენებენ, რომ ქალბატონების საყიდლებთან დაკავშირებული გაუგებრობა აიცილონ თავიდან. მათი იდეა სარგებლის განაკვეთის შემცირებაა და ზანუნიებისთვის იაფი კრედიტების შეთავაზება წარმოადგენდა. მათი აზრით, ფიდეუციალური გაცვლის საშუალების რაოდენობრივი ზრდა კეთილდღეობის ნახალების საშუალება იყო. ბანკოტები აუცილებლობას არ წარმოადგენდა. კაპიტალიზმის ნებისმიერი ეკონომიკური მიღწევა მათ გარეშე მოხდებოდა. შესაბამისად, მიზეზის შეხედულება მყარი ფულის საკითხზე არსებითად განსხვავდება სელჯინის და უაითის შეხედულებისგან. მაშინ როცა ამ უკანასკნელთ სჯერათ, რომ ოქრო აუცილებლად გაქრება და იგი ერთიანად უნდა ამოვიდეს ბრუნვიდან (იხ. შენიშვნა 3), მიზესი (1978, გვ. 450-51) ყველა მყარი მონეტარული სისტემის მოთხოვნად მიიჩნევდა „ოქროს, როგორც ნაღდი ფულს, რომელიც ყველას უნდა ქონდეს. ოქროს მონეტები უნდა გადადიოდნენ ხელიდან ხელში, უნდა იცვლიდნენ ჯიბის და ოქროს მონეტა უნდა ჩანდეს ჩეკის განაღდებისას და ოქროს მონეტებით უნდა ხდებოდეს გადახდა, როცა მალაზიაში რამეს შეიძინო“.

სახელმწიფოს, ფულსა და საბანკო სიტემებს შორის ურთიერთობაზე და პოლიტიკურ ცენტრალიზაციაზე იხილეთ შოპე (1990) და პულსმანი (1997). სელჯინის და უაითის აზრით: „ჩვენ ასევე უარყოფით იმ შეხედულებას... რომ კონკურენტულ ბანკების მიერ გამოყენებულ განადგებად ვალდებულებებს შეუძლიათ „პაერიდან“ კრედიტის შექმნა. საბულალტრო ბალანსის ბუნებიდან გამომდინარე, ყველა საბანკო სესხი ვალდებულებებით უნდა დაფინანსდეს. პაერიდან, ჯადოქრობით, არც ფონდების წყაროები ჩნდება. არაჩის აიძულებს ფლობდეს ბანკის განადგებად ვალდებულებებს ან მისი წილი შეისყიდოს; ყველას შეუძლია აიღოს თამასუქები სხვა ბანკების მაგივრად ან ბანკის გარეშე. კონკურენტულმა ბანკმა უნდა გააფართოვოს რეალური რესურსები, რომ მიიზიდოს კლიენტები სარგებლის და მომსახურების გასანჯვად. მოსაზრება, რომ ბანკს შეუძლია გასცეს კრედიტი უსასყიდლოდ, სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ მაშინ თუ მონოპოლიური ბანკის ინფრაშარგინალურ კრედიტს ეხება ან გამომშვეთისთვის ძალდატანებით შეთავაზების შემთხვევაში; ეს არ ეხება ბანკს, რომელიც კონკურენტულ სისტემაში ფუნქციონირებს“ (გვ. 94, ნ. 13)

რადგან ჩვენ კონკურენტულსა და მონოპოლიურს საბანკო საქმიანობას შორის ამ განსხვავებებების გაგება არ გვირთულებდა, არც ერთ მათგანს არ აქვს ამ საკითხის გაგება, რაც სახელმწიფოსა და ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკებს შორის, როგორც უკანონო ორგანიზაციების

ფიდუციარული გაცვლის საშუალების არასპონტანური ეკონომიკა: ფულის ბალანსი, ფასების მორგება, დანაზოგები და ინვესტიციები

ფიდუციარული გაცვლის საშუალების ბუნებიდან გამომდინარე - სასაქონლო ფულის (ოქრო) არარსებული რაოდენობის მესაკუთრეობის უფლებები, ფულის მესაკუთრეობის უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფილია სხვა საქონლით გარდა ფულისა, ან აშკარა ყალბი ფულისა - შესაძლოა ამას მოჰყვას, რომ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობა გავლენას ვერ მოახდენს რამეზე, არამედ მხოლოდ შეუზღერებელ სიმდიდრესა და შემოსავლის გადანაწილებაზე. არაუზრუნვეყოფილი ფულის შემცვლელი ალმაცნდება გამომცემი ბანკისა და მისი მსესხებელი კლიენტებისგან, და შესაბამისად თანმიმდევრულად ზრდის მეტი რაოდენობის საქონლის ფასს, ნამდვილი სიმდიდრე (ქონება) გადანაწილება ამ ფულის გამომცემი ბანკის და საწყისი და ადრეული მიმღებების და გამყიდველების სასარგებლოდ, და ამ ხარჯით გვიან ან საერთოდ ვერ მიიღებს ისეთი მიმღებები და გამყიდველები.

როთბარდი განმარტავს (1993, გვ. 851): "ფულის პირველი მიმღებები ყველაზე მეტად სარგებლობენ, შემდგომი უფრო ნაკლებად და ასე შემდეგ, სანამ შუანერტილს მიაღწევს და ამის შემდგომ თითოეული მიმღები უფრო მეტს კარგავს ახალი ფულის მოლოდინში. პირველ ინდივიდთათვის გაყიდვის ფასი მოიმატებს, მანამ სანამ ყიდვის ფასი თითქმის იგივე რჩება; მაგრამ მოგვიანებით, ყიდვის ფასები იზრდება მანამ, სანამ გაყიდვის ფასები უცვლელი რჩება".

თუღვლა, სელჯინის და უაითის მიხედვით, ფიდუციარული გაცვლის საშუალებას შეუძლია შეასრულოს უფრო მეტიც. არა მხოლოდ არსებული ქონების კვლავ გადანაწილება, ფიდუციარული გაცვლის საშუალების გამოცემას შეუძლია, გარკვეულ პირობებში, გამოიწვიოს ნამდვილი სიმდიდრის (ქონების) გაზრდაც. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ მათი ციტირება, სადაც ამტკიცებენ, რომ «სარგებელი გროვდება, ბანკის მსესხებლებს, რომლებიც სარგებლობენ უფრო მეტად საკმარისი საშუაშავლო კრედიტის მიწოდებით, და ყველას ვინც მუ-

ანალოგიების არსებობას ნიშნავს. სახელმწიფო კლიენტებისთვის (რეზიდენტებისთვის) იბრძვის. მართლაც, კონკურენცია სახელმწიფოებს (ან ბანკებს) შორის კლიენტებისთვის მხოლოდ ერთი საერთო სახელმწიფოს (ან ცენტრალური ბანკის) შექმნის უბიძგებს. შიდასახელმწიფოებრივი კონკურენცია ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკებს შორის არის სახელმწიფოსგან პრივილეგირებულ ინდუსტრიებში, რაც მონოპოლისტურ კონკურენციას (ისევე როგორც სახელმწიფოს შიგნით კონკურენცია მონოპოლისტური კონკურენციის მაგალითია) ნიშნავს. მეორე და უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ვანსხევადა კონკურენტუნარიან და მონოპოლისტურ ბანკებს შორის, მცირედაც კი არ ვანსაზღვრავს მათ საერთო მახასიათებლებს, როგორც ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემას (ან სახელმწიფოებს). თალითობა და გადასახადების დაკისრება არ ცვლის მათ ბუნებას, რადგანაც ისინი კონკურენტულად აღიქმებიან. შეცდომა შეიძლება ანალოგიის საშუალებით გამოვლინდეს. სელჯინი და უაითის პერიფრაზი ხდება აქ: ჩვენ ასევე უარვყოფთ ცნებას, რომ კონკურენტი სახელმწიფოებს, რომლებიც საგადასახადო ვალდებულებებს გამომცემს, შეუძლით გადასახადები პაიროდან შექმნან. სახელმწიფო ბიუჯეტის ბუნებიდან გამომდინარე, ყველა გასაჯალი დაპყრობით, ძარცვით ან ქურდობით უნდა დაფინანსდეს. ფონდების წყარო ჯადოქრობით პაიროდან არ იქმნება. არაინი არის იმულებული ქონდეს სახელმწიფოს ვალდებულებები ან მისი ნილი შეისყიდოს; ყველას შეუძლია გადასახადის გადასახადები სახელმწიფოს. კონკურენტმა სახელმწიფომ მაშინ უნდა გააფართოვოს საკუთარი რესურსები, როცა სურს რომ მიიზიდოს კლიენტები მისი დაცვის და მომსახურების მომარაგებისთვის. ცნება, რომ სახელმწიფოს შეუძლია გადასახადების უმიზეზოდ გაზრდა ინციტელისუნარიანია მხოლოდ მონოპოლიური სახელმწიფოს ინფრამარგინალურ გადასახადებთან დაკავშირებით; იგი არ ეხება სახელმწიფოს კონკურენტულ სისტემას. სარგებლის და უაითის მიხედვით, რომ გადასახადების დაკისრება (როგორც ფულის გაყალბება) პრობლემადაც არ უნდა აღიქმებოდეს, მანამ სანამ ეს ერთ მსოფლიო მონოპოლიურ ბანკის შექმნამდე არ მივაყვანს. შემდგომ კონკურენტულ პირობებში, გადასახადები მხოლოდ ნორმალურ საბაზრო შემოსავალს წარმოადგენენ.

შაობს ეკონომიკასთან ერთად შესაბამისად დიდი საფონდო ან ფინანსური აღჭურვილობები აქვთ». ისინი თავს იკავებენ ამის უხეშად წარმოდგენისაგან, მაგრამ მათი მტკიცებით, გარკვეულ ვითარებაში, მესაკუთრეობის უფლებების ზრდა საქონელის უცვლელ რაოდენობაზე როგორღაც ამ ფონდს გაზრდის ან ხელს შეუშლის მის შემცირებას.

როდის და როგორ შეიძლება ამგვარი სასწაული მოხდეს? სელჯინის და უაითის მიხედვით, (არამოსალოდნელი) ცვლილებებს ფულის მოთხოვნაში მიეყვებათ «დროებით» ან «მოკლე ვადიან მონეტარულ არანონასწრობისკენ» რომელიც გამოიწვევს «რესურსების სერიოზულ მცდარ ადგილმდებარეობას» - მაგრამ, სანამ ამგვარი ცვლილებები არ მოხდება მანამდე ფიდეუციალური რეზერვირების პრინციპით მოქმედებს საბანკო სისტემა (გვ. 101).

ისინი წერენ: "გრძელვადიან პერიოდში, ნომინალური ფასები მოერგება ფულის ბალანსის ადეკვატურ მიწოდებას და მოთხოვნას და თითოეული ცვლილება ფულის მოთხოვნასა და მიწოდებაში მიეყვანას გრძელვადიან წონასწორობამდე, რადგან მოთხოვნილი ფასის მორგება დროს მოითხოვს. ისინი დროს მოითხოვენ იმიტომ რომ ყველა აგენტი სწრაფად და ზუსტად არ არის გარკვეული ფულის ბირჟის ან ფულის მოთხოვნის ცვლილებაში, და იმიტომაც რომ ზოგი ფასი ძალიან ძვირია მოსარგებად და მაშასადამე «მჩხვლეტავი». შედეგად, მოკლევადიან პერიოდში (ემპირიულად, ვიფიქროთ «რამდენი თვის მანძილზე»), სრულზე უფრო ნაკლებად ხდება ცვლილებები ფულის მიწოდება-მოთხოვნაზე და ამან შეიძლება გაზარდოს მონეტარული წონასწორობის რღვევა... შესაბამისად ეს თავისუფალი საბანკო საქმიანობის მიმზიდველი ნაწილია ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობასთან შედარებით, რომ ბანკის მიერ გამოცემული ფულის ნომინალური რაოდენობა მიისწრაფვის მერგოს ისე, რომ დააბალანსოს ფულის მიმოქცევის სისწრაფით განპირობებული ცვლილებები". (გვ. 100-1)

თუ საბანკო სისტემა წარუმატებლობას განიცდის ბანკის მიერ გამოშვებული ფულის რაოდენობის გაზრდით და ფასის დონე სწრაფად არ ეცემა, ფულზე ჭარბი მოთხოვნა წარმოიშობა (იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო ფულის რაოდენობა სწრაფად არ იზრდება). შესაბამისი ჭარბი საქონლის მიწოდება წარმოიშობა: გაუყიდავი სამომხმარებლო საქონელი ბრუნდება გამყიდველთა დახლებზე (ეს რა თქმა უნდა არის ის, რაც ზენოლას ახდენს ფასებზე, სანამ ბოლო საქონლის ფასები მნიშვნელოვნად არ დაეცემა). ბიზნესი დათრგუნულია, სანამ ფულის მსყიდველობითი უნარი ისევე არ დაუბრუნდება წონასწორობას. (გვ. 105)¹⁸

უპირველესად, უნდა ვიფიქროთ მონეტარული უწონასწორობის პრობლემის არსებობაზე (ისე რომ ჯერ არ ვისაუბროთ მის გადაჭრაზე). მოცემულ ციტატაში, ფულისთვის ადამიანმა შეიძლება სხვა შემცველი მონახოს: ტელევიზორი, ფოლადი, ლუდი ან პურ-

¹⁸ როგორც როჯერ პარისონმა, ნაწილობრივი რეზერვირების თავისუფალმა ბანკიზმა დაწერა, „გაცვლის გათანაბრების თვალსაზრისით [M=PQ], ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისუფალი საბანკო საქმიანობა ისე ანუსირდება, რომ დააბალანსოს ცვლილებები P-ში." პარისონი (1996, გვ. 117-18) აღწერს მოკლე ვადიანი პერიოდის „მონეტარულ უწონასწორობას“ ყველაზე იდენტური ფორმით: ფულზე მოთხოვნის ზრდა ზენოლას ახდენს ზოგადად საქონლისა და ფაქტორთა ფასზე. რომ არ არსებობდეს ფულის მიწოდებაზე რეაქცია, ზოგადი ეკონომიკური აქტივობის შესუსტებას მივიღებდით, რადგან ფასები და ხელფასები ვერ შეძლებდნენ სრულად და წამოიღებდნენ მოერგონ ბაზრის ახალ პირობებს. საქონელი ზოგადად არ გაიყიდებოდა; წარმოება შეჩერდებოდა; მუშები შეწყვეტდნენ მუშაობას. შედარებით ნაკლებად სრულყოფილი ფასების სისტემით, ზოგადი დეფლაციონისტური ზემოქმედებები ეკონომიკის შესაძლებლობებზე დაბლა უბიძგებს, იმ პერიოდში, რომელიც ფასები მორგებულია მაღალ მონეტარულ მოთხოვნებს. და ფაქტი, რომ ზოგი ფასი და ზოგიერთი სახელფასო განაკვეთი უფრო მოქნილია ვიდრე სხვა, ნიშნავს რომ მორგების პერიოდი მოიცავს ცვლილებებს შედარებით ფასებში, რომლებიც ასახავენ სათანადო დეფიციტის არა ცვლილებებს. ეს სწორედ ის პრობლემებია... რომლებსაც თავისუფალი საბანკო საქმიანობა ფულის მოთხოვნის ზრდაზე რეაგირებით თავიდან იცილებს.

ფუნთუშეული პროდუქტი. ამგვარი საქონლის რაოდენობაც ასევე მკაცრად ფიქსირებულია (როგორც ოქროს რაოდენობა), და კვლავ (მოულოდნელი) ცვლილებები მოთხოვნაში ტელევიზორებისთვის, ფოლადისთვის, ლუდისათვის, არ ინვესტს დროებით უნონასწორობას, რთავს რესურსების სერიოზულ არასწორ ალოკაციას. ან, ნებისმიერ შემთხვევაში, არ ინვესტს პრობლემებს რომელსაც ესაჭიროებოდა ახალი სქემის გამოგონება.

არც ისაა ნათელი, რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ «აუცილებელია განვასხვავოთ ფულის მოთხოვნაზე ან ფულის მარაგზე მოკლევადიანი და გრძელვადიანი ცვლილებების მნიშვნელობა» (გვ. 100), ან, ნებისმიერ შემთხვევაში, რატომ უნდა იყოს ეს განსხვავება ასეთი მნიშვნელოვანი ფულის შემთხვევაში და არა სხვა შემთხვევებშიც. იმისთვის რომ დავრწმუნდეთ, დროა საჭირო, მაგალითად, ტელევიზორებზე და ლუდზე მოთხოვნის მოულოდნელი ზრდა სანამ ამონურავს ყველა თავის გავლენას სათანადო ფასების სისტემაზე და ახლად მორგებული წარმოების სტრუქტურა ჩამოყალიბდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ფასების კორექცია რამე დროს საჭიროებს (ამასობაში ინვესტს მოკლევადიან პრობლემებს). პირიქით, ფასების კორექცია სწრაფად ხდება და არასდროს არ აყოვნებს. ნებისმიერი ცვლილება მოთხოვნასა თუ მიწოდებაში სწრაფად აისახება ფასებზე. ეს საკითხი შუუშწნეველია, ისეთ მაკროეკონომიკურ არტეფაქტებზე არაავსტრიული განხილვის გამო, როგორცაა ფასების ზოგადი დონე, გერძელვადიანი ნონასწორობა, და ფულის მიმოქცევის სისწრაფე. თუმცა, სწორი ინდივიდუალური პერსპექტივიდან შეხედვით, ეჭვგარეშეა ფასის კორექციის დაუყოვნებლობა და მოკლე და გრძელვადიანი პერიოდის პრაქსეოლოგიური ინტეგრირება.

ინდივიდუალისტური თვალსაზრისით, ფულზე გაზრდილი მოთხოვნა არის ინდივიდების მიზანდასახული ქმედებების შედეგი, რომ ადამიანები შუუპოვრად ზრდიან საკუთარ ინდივიდუალურ ნაღდი ფულის ბალანსებს. ამგვარი ქმედებისთვის ადამიანმა უნდა გაამკაცროს შესყიდვები და/ან გაზარდოს გაყიდვები. ორივე შემთხვევაში, შედეგი ზოგი ფასის სწრაფი ვარდნაა. შემცირებული X, Y ან Z შესყიდვების გამო, X, Y ან Z-ის ფულადი ფასი სწრაფად შემცირდება (იმასთან შედარებით სხვა შემთხვევაში როგორ იქნებოდა), და ამის მსგავსად, ვინმეს A, B ან C-ს გაყიდვების ზრდით მათი ფასები მსწრაფლ დავარდება. არავის არ განუხილავს ზოგადი ფასების დონე ან ფულის საერთო მსყიდველობითი უნარი. პირიქით, ყველას აინტერესებს სპეციფიკური ფასები და ფულის მსყიდველობით უნარი სპეციფიკურ საქონელთან მიმართებაში. მისი სპეციფიკური შესყიდვების გამკაცრებით და/ან მისი სპეციფიკური გაყიდვების გაზრდით, ყველა მათგანი ასრულებს ზედმიწევნით და სწრაფად იმას რაც სურს: გარკვეულ ფასებს რომლებსაც მიიჩნევს რომ მაღალია ამცირებს, ფულის ნაწილის მსყიდველობითი უნარი იზრდება, მისი ნაღდი ფულის ნამდვილი ღირებულება იზრდება და მისი მოთხოვნა ფულის მოწოდებაზე კვლავ უზრუნდება ნონასწორობას (და მას სურს არც მეტი არც ნაკლები ფული ქონდეს ვიდრე სინამდვილეში გააჩნია).¹⁹

პრაქსეოლოგიურად უაზრო ზოგადი ფასების დონის მორგება აუცილებელი გახდა ფულზე მოთხოვნის ზრდის გამო და იგი სხვა არაფერია თუ არა უთვალავი სწრაფი და მიზანდასახული ინდივიდების ნაღდი ფულის ბალანსის მორგების სერიოზოა ერთობლობა. თუ ფულზე მოთხოვნის ზრდა განპირობებულია ფიდეციტალური გაცვლის საშუალების

¹⁹ მიზნის წერს (1990, გვ. 61): მყიდველები და გამყიდველები ბაზარზე არასოდეს ნერვიულობენ გაცვლის განონასწორობის ელემენტებზე, რომელიც შორის ორი - ბრუნვის სიჩქარე და ფასის დონე - იქამდე არც არსებობს, სანამ ბაზრის მხარეები არ ამოქმედდებიან და მეორე, ორი - ფულის რაოდენობა (მთელს ეკონომიკაში) და ტრანსპაციების რაოდენობა - არც არის ბაზრის მოთამაშეებისთვის ცნობილი. მხოლოდ მნიშვნელოვანი, რასაც ბაზრის სხვადასხვა მოთამაშეები იცნობენ, ერთი მხრივ, ნაღდი ფულის ბალანსის მხარდაჭერაა გარკვეულ დონეზე, და მეორე მხრივ, სხვადასხვა საქონლის მფლობელობა განსაზღვრავს ფულსა და საქონელს შორის გაცვლითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

გამოშვებით, როგორც სელჯინი და უაითი იცავენ, მორგების პროცესი არ გააღვიდებდა, არამედ დაგვიანდება.²⁰ ფასების მორგების სირქარე დამოკიდებულია მოცემული როდენობის ფულთან მიმართებაში ბაზრის მონაწილეთა მოლოდინებზე. თუ მისაღებია, ვივარაუდოთ, რომ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკები გაზრდიან ფიდეუციალური გაცვლის საშუალებების გამოცემას ფულზე მოთხოვნის მოულოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, მაშინ მორგება უფრო მეტ დროს საჭიროებს. წარმოება მორგებას და დაიწყებს უფრო ადრე ინფლაციის დამატებითი გააღვივების გარეშე.²¹

მეტიც, მოკლევადიანი მონეტარული არანონასწორების არსებობა პრობლემის შემოთავაზებული გადაჭრა ააშკარავებს მოთხოვნის (მინორების) ცნების, აგრეთვე, ფულის მოთხოვნას, შენახვას და ინსტრუქტორებს შორის ურთიერთობების ფუნდამენტურ აღრევას. თავდაპირველად, ფულზე გაზრდილი მოთხოვნა (ისევე როგორც ტელევიზორებზე, ლუდზე) არ არის მხოლოდ იმის სურვილი, რომ გქონდეს უფრო მეტი ფული (ან ტელევიზორი, ლუდი და სხვ.), არამედ სასარგებლო მოთხოვნაა. ამგვარად, ფულზე გაზრდილი მოთხოვნა (ისევე როგორც სხვა რამეზე) შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ მაშინ, თუ მოთხოვნს აქვს სურვილი მისი საბაზრო მინორდება გაზარდოს და/ან მისი სხვა რამეზე მოთხოვნა შეამციროს. ამგვარად, ფულის მომწოდებელს (გამყიდველი) შეუძლია მხოლოდ გაზარდოს ფულის მონორდება თუ იმავდროულად შეამცირებს მისივე სხვა რამის მინორდებას. ავტორებმა გადახედეს სეის კანონს: ყველა საქონელი (ქონება) შესაძლებელია შექმნილ იქნას სხვა საქონლის მეშვეობით, შეუძლებელია რაიმეს მოთხოვნა, თუ სხვას რაიმე არ მიაწოდებ, და შეუძლებელია მოითხოვო ან მიაწოდო მეტი, სანამ არ მოითხოვო ან მიაწოდებ რაიმეს ნაკლები როდენობით. მაგრამ ეს ის შემთხვევა არაა, როცა ფიდეუციალური გაცვლის საშუალება მინორებულია ან მოთხოვნილი. ფულზე გაზრდილი მოთხოვნა კმაყოფილდება მომთხოვნის მოთხოვნის გარეშე და მიმწოდებლის მინორების გარეშე, ნაკლებად ვიდრე სხვა რამ. ფიდეუციალური გაცვლის საშუალების გამოცემით და გაყიდვით სულელები კმაყოფილდება და არა ქმედითი მოთხოვნა. საკუთრება ხდება მისაკუთრებული (სასარგებლოდ მოთხოვნილი) სხვა ქონების მინორების გარეშე გაცვლის დროს. ამგვარად, ესა არაა საბაზრო გაცვლა - რომელიც იმართება სეის კანონით - არამედ შეუსაბამო მისაკუთრების ქმედებაა.

მეორე,²² შემდგომ სელჯინი და უაითი არასწორად განმარტავენ ფულის ბუნებას: რომ ფიდეუციალური გაცვლის საშუალების გამოცემა, რომელსაც «თან ახლდა ფიდეუციალური გაცვლის საშუალების ფლობაზე გაზრდილი მოთხოვნა», არ არის მხოლოდ წონასწორობის

²⁰ ინდივიდუალური გამომოსახედიდან, ფულზე გაზრდილი მოთხოვნა თავს იჩენს სპეციფიკურ მოთაბაშვებთან ერთად სპეციფიკურ დროსა და ადგილას. ბანკებისთვის არ არის საკმარისი განათავსონ აბსტრაქტულად დიდი ფულის მოთხოვნა უფრო მეტი ფულით; არამედ, განათავსება უნდა მოხდეს სწორი ადამიანებით და ადგილმდებარეობით. თუ ეს არ არის შემთხვევა, როდელია ისაბრო განათავსებაზე არამედ დამატებით დამახინჯებაზე. ეს სირთულე შაიკემა ალიარა (1935, გვ. 124): იმისთვის რომ თავიდან მოვიშოროთ ყველანაირი მონეტარული გაცვლენა ფასების წარმოებაზე და წარმოების სტრუქტურაზე, საკმარისი არ იქნება მხოლოდ ფულის მინორების მორგება მოთხოვნასთან დაკავშირებულ ცვლილებებზე. ასევე საჭირო იქნება დაიხსნოს განიდა თუ არა ეს მათ ხელში, ვინც ნამდვილად მოითხოვა ისინი, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს არის თუ არა ეს იმ სისტემის ნაწილი, სადაც ბიზნეს ორგანიზაციამ ცვლილებას ან გადახდის ჩვეულების ცვლილებას ჰქონდა ადგილი. შემდგომში შაიკე, ფიქრობს, როგორ უნდა მიიღოს ბანკებმა ამ ამოცანის შესასრულებლად ცოდნა.

²¹ რაც შეეხება მჩხვლეტაი ფასებს, რომელსაც სელჯინი, უაითი და ჰარისონი განსახილველ საკითხებად მიიჩნევენ, ყველაზე მნიშვნელოვანი იმის აღიარებაა, რომ ფულში მიზანმიმართული ქმედების შედეგია. ეს არის, მოქნილობა ან სისხილვა. სხვადასხვა საქონლის თუ მომსახურების ფასები არ არის შემთხვევითი, არამედ ამ საქონლის და მომსახურების წინასწარგანზრახული ნაწილია. ჰარისონის მტკიცების საპირისპიროდ, მჩხვლეტაი ფასები დაკავშირებულია ნამდვილ შედარებით სიმცირეებთან.

²² საკუთრების და მისაკუთრების უფლებების აღრევა ასევე საფუძვლად უდევს სელჯინის და უაითის მცდელობას ანალიტიკურად განაცალკევონ გარე ფულის მოთხოვნა შიდა ფულის მოთხოვნისგან, შაიკის ეს ორი სხვადასხვა მილის ფულია ორი სხვადასხვა და დაპოუქიდებული მოთხოვნით.

არდაკარგვა (გვ. 102), არამედ ეკონომიკას ფაქტობრივად «კაპიტალური აღჭურვილობის უფრო დიდ წარმოების» საშუალებას მისცემს, რადგან «ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი ბანკის მიერ გამოცემული ფულის ქონა არა მხოლოდ (მსგავსად საბაზისო ფულის ქონისა) გერძელვადიან ან მოკლევადიან პერიოდში ანსხვავებს მოხმარებას, არამედ ასევე დროებით აძლევს ფულს ბანკებს ამგვარი ქმედებებისთვის. სესხის პერიოდში არაა განსაზღვრული... მაგრამ თუ ბანკი შეძლებს სწორად დაითვისოს დროის ის ხანგრძლივობა, რომლისთვისაც მოთხოვნის თამაშის ბერუნვაში დარჩება..., მას შეუძლია უსაფრთხოდ განახორციელოს ინვესტიციები შესაბამის პერიოდში». (გვ. 103)

როთბარდის შემდგომ, პოპემ გააკრიტიკა ეს არსებითად კენზიანური ხედვა ფულზე მოთხოვნის და დანაზოგების (გასასესხებელი ფონდები)²² ურთიერთობასთან დაკავშირებით:

„ფულის არ-დახარჯვა ნიშნავს არც სამომხმარებლო და არც საინვესტიციო საქონლის შესყიდვას... ინდივიდებმა შეიძლება გამოიყენონ საკუთარი მონეტარული აქტივები სამი გზიდან ერთ-ერთის მეშვეობით: მათ შეუძლიათ დახარჯონ ეს ფული სამომხმარებლო საქონელზე; მათ შეუძლიათ ინვესტიციები განახორციელონ; ან თავისთვის ნაღდი ფულის სახით დაიტოვონ. სხვა ალტერნატივა არ არსებობს... მოხმარების და ინსექტირების შეფარდება, რაც არის, გადაწყვეტილება რამდენი უნდა დაიხარჯოს მოხმარებაზე და რამდენი ინვესტირებაზე, განისაზღვრება ადამიანის დროითი უპირატესობებით, თუ რას ამჯობინებს ამჟამინდელი მოხმარებისას სამომავლო მოხმარებაზე მეტად. მეორეს მხრივ, ნაღდი ფულზე მოთხოვნის წყარო დაკავშირებულია ფულის უტილიზაციასთან, ანუ, ფული საშუალებას აძლევს უმაღლესი ხარისხის სამომავლო განუსაზღვრელი დროს“.

შესაბამისად, ფულზე მოთხოვნა იჭრდება, სანამ ფული სოციალური მარაგი არსებობს. ეს დამატებითი მოთხოვნა კი შეიძლება დაკმაყოფილდეს არაფულადი საქონლის ფულის ფასის შემცირებით. ფულის მსყიდველობითი უნარი გაიზრდება, ინდივიდუალური ნაღდი ფულის ბალანსის ნამდვილი ღირებულება აიწევს, და ფულის თითოეული ერთეულის მაღალი მსყიდველობითი უნარი კიდევ ერთხელ გააწონასწორებს ფულის მოთხოვნა/ მიწოდებას. ფულის შედარებითი ფასი არა ფულთან შედარებით შეიცვლება. მაგრამ სანამ მიიჩნევა, რომ დროითი უპირატესობა იმავე დროს შეიცვლება, ნამდვილი მოხმარება და

²² სელჯინმა (1988, გვ. 55) იგივე თეზისი გამოხატა: „როცა ბანკი გააფართოვებს პასივებს ახალი სესხების და ინვესტირების პროცესში, პასივის მფლობელები კრედიტის ნამდვილი გამზისესხებლები არიან და რასაც ისინი ვაასესხებენ არის ნამდვილი რესურსი, რაც მათ შეეძლოთ მოეპოვებინათ თუ, ფულის ფლობის ნაცვლად, მას დახარჯავენ. როცა ბანკი პასივების ვაგროვდება ან შეკუმშვა ამ გზით გრძელდება, რომ მუდმივად ეთანხმებოდეს ფულის შიგნით მოთხოვნის ცვლილებებს, ნამდვილი კაპიტალის ფონდების რაოდენობა, რომელიც მსესხებლებს მიენიჭებათ ბანკების მიერ, უტოლდება ანტიმონეტარული საზოგადოების მიერ წებაყოფლობით მიცემულ რაოდენობას. ამ პირობებში, ბანკები უბრალოდ სასესხო ფონდებისთვის შუამავლები არიან“.

ჯონ მაინარდ კენზი (1936, გვ. 82) უბოჯად თეორიაში²³ წერდა: „მოსაზრება, რომ საბანკო სისტემის მიერ კრედიტის შექნა საშუალებას იძლევა ადგილი ჰქონდეს ინვესტიციებს, რომლებსაც ნამდვილი დანაზოგი არ შეესაბამება“, ნიშნავს: „იდეა, რომ ინვესტიცია და დანაზოგი... შეიძლება ერთმანეთს განსხვავდებოდეს, უნდა აიხსნას, ჩემი აზრით, არასავალდებულო ილუზიით“. (იქვე, გვ. 81). „დანაზოგები, რომლებიც ამ განწყვეტილებებიდან მომდინარეობს ისეთივე ნამდვილია, როგორც სხვა დანაზოგები. არავინ შეიძლება იყოს იძულებული ფლობდეს დამატებით ფულს რომელიც შეესაბამება ახალ საბანკო კრედიტს, სანამ იგი წინასწარ განზრახულად არ ამჯობინებს მეტი ფულის ფლობას ვიდრე სხვა სახის სიმდიდრეს“ (იქვე, გვ. 83). მართლაც, სელჯინი (1988, გვ. 59) აღიარებს რომ „მრავალმა კენზიანელმა შეიძლება მიიღოს [მის მიერ] შემთავაზებული მონეტარული წინასწარობის რეცეპტი. ისინი ვინც არ მიიჩნევენ ლიკვიდურობის ხაფანგს, როგორც მნიშვნელოვან ფაქტობრივ შესაძლებლობას, შესაძლოა სრულიად ადეკვატურად მიიჩნიონ იგი.“ ჰენრი ჰეხლითი (1983, გვ. 227) კენზიანური იდეაზე შენიშნავს: „იგივე მსჯელობით ჩვენ შეგვიძლია შევექნათ ერთ ლამებ ნებისმიერი რაოდენობის ახალი „დანაზოგი“, იმდენი, რამდენსაც ვისურვებთ, უბრალოდ ამ რაოდენობის ქალაქის ფულის დაბეჭდვით და ვიღაც აუცილებლად მიიღებს ამ ახალ ქალაქის ფულს.“

ნამდვილი ინვესტირება იგივე დარჩება, როგორც აქამდე იყო: ფულზე დამატებითი მოთხოვნა დაკმაყოფილდება ნომინალური მოხმარების და ინვესტირების დანახარჯის შემცირებით, შესაბამისად ფულის ფასის დაბლა დაწევით, როგორც სამომხმარებლო ისევე როგორც სამენარმეო საქონლის, და რეალური მოხმარების და ინვესტირების ძველ დონეზე დატოვებით. (ჰოპკინსი, გვ. 72-73).

შესაბამისად, ჰოპკინსი დაასკვნა, არასდროსაა გარანტირებული ფულზე გაზრდილი მოთხოვნის განთავსება ფიდელიტატიური კრედიტის გამოცემით.²⁴ ფაქტობრივად, რამდენადაც ფიდელიტატიური გაცვლის საშუალების განთავსების გაზრდა არის მოულოდნელი და საბაზრო ინტერესის განაკვეთი დროებით ინტერესის ბუნებრივ განაკვეთზე დაბლა ეცემა, ამის შესრულება განაპირობებს აღმასვლა-ვარდნის ციკლს; ან რამდენადაც მონეტარული ცვლილება რომელიც მომდინარეობს საბანკო სისტემიდან მოულოდნელია და სარგებლის საბაზრო განაკვეთი განცხადებულია (გაყინვაზე მაღალი ფასების მოლოდინში) შესაბამისად ბუნებრივი განაკვეთის სიმალესთან, იგი განაპირობებს სიმდიდრისა და შემოსავლის გადადანაწილებას საზოგადოების სხვადასხვა წევრებს შორის. პრაქსეოლოგიურად შეუძლებელია, თუმცა, ფიდელიტატიური გაცვლის საშუალების გამოცემა ინვესს «კაპიტალური აღჭურვილობის წარმოებას».

ამ არგუმენტთან შეინააღმდეგების მცდელობისას, სელჯინმა და უაითმა პირველად დათმეს მთავარი თეორიული საკითხი: «ჩვენ ვთანხმდებით, რომ დროითი უპირატესობა და ფულზე მოთხოვნა ცხადია და ერთიანი ცვლილება მეორის ცვლილებასაც არ ნიშნავს». (გვ. 102). მსგავსად: ფულის ქონა დანაზოგის ერთი ფორმაა და არ ნიშნავს, რომ ფულის მოთხოვნაზე ზრდა იდენტურად ზოგადად მთელს დანაზოგებს გაზრდის. გაზრდილი მოთხოვნა ფულზე შეიძლება თან ახლდეს სხვა აქტივების ხელში ქონის შემცირებულ მოთხოვნას, და არა მოხმარების შემცირებას; ამგვარად იგი შეიძლება ცვლილების ნაწილი იყოს იმგვარი დანაზოგის გაკეთებით, რომელიც ცვლილებას არ ინვესს მთლიან დანაზოგში. (გვ. 103).

თუმცა, თუ გაზრდილი მოთხოვნა ფულზე არ არის იდენტური საერთო დანაზოგების ზრდის, მაშინ შეუძლებელია იმის შენარჩუნება, რომ იგი უზრუნველყოფს უფრო დიდ ავზს

²⁴ იხილეთ ასევე ჰოპკინსი (1993, გვ. 119-20, 137-38); და როთბარდის (1993, გვ. 167; 193, გვ. 39) არგუმენტი «ადამიანი, ეკონომიკა და სახელმწიფო»-ში.

სელჯინის და უაითის, როგორც მიზეზიანების, მტკიცებისთვის, მნიშვნელოვანია ციტირება მოვიყვანოთ მიზეზის ნაღდი ფულის ფლობის როლზე დანაზოგების და კაპიტალის აკუმულაციის პროცესში... თუ ინდივიდი ფულის რაოდენობას იყენებს არა მოსახმარებლად, არამედ სანარმოო ფაქტორების შესაძენად, დანაზოგები პირდაპირ აკუმულირებულ კაპიტალად გადაიქცევა. თუ დამზოგველი მის დამატებით დანაზოგს გამოიყენებს საკუთარი ნაღდი ფულის ფლობის გასაზრდელად, რადგან მისი აზრით ეს მათი ყველაზე სარგებლიანი გამოყენებაა, იგი სასაქონლო ფასის შემცირებას და მონეტარული ნაწილის მსყიდველობითი უნარის ზრდის ტენდენციამდე მიდის. თუ ჩვენ ვივარაუდებთ, რომ საბაზრო სისტემაში ფულის მიწოდება არ იცვლება, ეს ბრძანება პირდაპირ არ იმოქმედებს დამზოგველის კაპიტალის დაგროვებაზე და მის გამოყენებაზე წარმოების გასაფართოებლად. ჩვენს დამზოგველების დანაზოგზე ეფუქება, რაც წარმოებული საქონლის სტრატეგია მოხმარებულ საქონელზე, არ ქრება მისი დროებითი გამაგრების ანგარიშიდან. კაპიტალური საქონლის ფასები არ იზრდება რასაც მიაღწევდნენ მაგალითად ასეთი ლობის არარსებობის შემთხვევაში. მაგრამ ის ფაქტი რომ მეტი კაპიტალური საქონელი არსებობს არ არის ასახული მეტროლი ადამიანების რაოდენობით, რათა მათ საკუთარი ნაღდი ფულის მარაგი გაზარდონ. თუ არავინ იყენებს საქონელს - რომელთა არამომხმარებელმა და მამკობელი დანაზოგი შექმნა - მისი მოხმარებითი დანახარჯების გაფართოებლისთვის, ისინი რჩებიან უცვლელნი არსებითი კაპიტალური საქონლის რაოდენობაში, რაც არ უნდა იყოს მათი ფასი. სასაქონლო ფასების დაცემა, როცა სხვა საგნები თანასწორია, ინვესს იმ ფულის შეტვირებას, რომელიც სხვადასხვა ინდივიდების კაპიტალის ექვივალენტურია. მაგრამ, ეს არ არის კაპიტალური საქონლის მოწოდების შემცირების ტოლფასი და არ საჭიროებს სანარმოო მოქმედებისთვის დამტკიცებული გადარიბებისთვის მორგებას. იგი უზრუნველ ფულის საგნებს ცდის, რომ მათ მიმართონ მონეტარულ გათვლებს. (მიზეზი, 1966, გვ. 521-22)

გასასესხებელი ფონდების და გაზრდილ კაპიტალურ ფორმირებას (წარმოების სტრუქტურის განგრძობა). ამგვარად, იმისთვის, რომ საკუთარი ეკონომიკური ზრდის თეზისი გადაარჩინონ, უცებ ეს დათმობა უკან მიაქვთ სელჯინსა და უაითს და კვლავ კამათობენ:

«მიუხედავად ამისა [დროითი უპირატესობის არა იდენტურობა და ფულზე მოთხოვნის მიუხედავად] ფულის ქონა ნიშნავს მის ქონას შემდგომი დახარჯვისთვის, მიუხედავად იმისა რომ ეს წინასწარ არაა ცნობილი (და ფულის მფლობელსაც უკერძო გადაუწყვეტია). ფულის ქონა მომავალი დახარჯვისთვის, ვიდრე მისი დახარჯვა ახლანდელი მოხმარებაზე, განსხვავდება სამომავლო მოხმარებისაგან. როგორც შოპე... თავად აღნიშნავს ხელსაყრელი პირობებიდან ფულის წარმოშობაზე მოთხოვნა აძლევს შესყიდვის საშუალებას «სამომხმარებლო ან სამენარმეო საქონლის მომავლის გაურკვეველ დროს.»... ამგვარად, ჩვენი უთანხმოება უბრალოდ სიტყვებზე მალა დგას. (გვ 102).

საუბედუროდ, ეს შემოთავაზება უსაფუძვლოა. წინამდებარე ორი გამოთქმა წინააღმდეგობრივია. სელჯინი და უაითი ცდილობენ დასკვნისთვის თავის არიდებას და ფულს ახასიათებენ როგორც მომავლის საქონელს. მათი არგუმენტის მიხედვით, ფულზე გაზრდილი მოთხოვნა არ გულისხმობს ასევე დანაზოგების გაზრდას, მიუხედავად ამისა იგი უზრუნველყოფს უფრო დიდი სასესხო ფონდს, რადგან ფული იმისთვისაა რომ დაიხარჯოს «გაურკვეველ მომავალ დროს», ამგვარად, მუდმივადაა ფულზე გაზრდილი მოთხოვნა და იმავე დროს არის სამომავლო საქონელზე მოთხოვნის ზრდა.²⁵ მაგრამ ფული დემონსტრაციულად არ არის სამომავლო საქონელი. ფაქტობრივად, როცა ფული იხარჯება - მომავალში - იგი კარგავს თავის მთლიან სარგებლიანობას ახლანდელი მფლობელისთვის. მას აქვს სარგებლიანობა მანამ და რამდენადაც იგი დახარჯული არაა, და მისი, როგორც არსებული საქონლის ხასიათს, ამ საშეაროსთვის ასევე დამახასიათებელი გაურკვეველობა²⁶ განაპირობებს.

ფულის, როგორც სამომავლო საქონლად კლასიფიცირების შეცდომა, შეიძლება გამოვლინდეს ორმაგად. ერთის მხრივ, ნეგატიურად, შეიძლება გვანახოს, რომ ამ ვარაუდს კვლავ წინააღმდეგობამდე მიეყვარათ. მათი თეზისის მხარდასაჭერად, სელჯინი და უაითი ამტკიცებენ რომ «ფულის ქონა შემდგომი დახარჯვისთვის, ვიდრე მისი მოხმარებისთვის ახლა დახარჯვა, განსხვავდება მომავალში მოხმარებისგან,» ნიშნავს, რომ ფულის ქონა გულისხმობს სამომავლო საქონლის (დაკმაყოფილების) გაცვლას ახლანდელ საქონელში. შემდეგ წინადადებაში ისინი საუბრობენ ფულზე, რომელიც იხარჯება არც სამომხმარებლო საქონელსა და არც სამენარმეო საქონელზე. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ ეს ასევე გულისხმობს ფულის ქონას შემდგომი დახარჯვისთვის. თუ ფულის ქონა სამომავლო მოხმარებას და წარმოებას გულისხმობს, მაშინ სამომავლო საქონელში მისი ინვესტირება შეუძლებელია, რადგან არ არსებობს სამომავლო საქონელი - არც სამომხმარებლო და არც სამენარმეო საქონელი - რომელიც ფულის ფლობის შედეგია და რომელის მიმართ, ფულის მფობელს, საკუთრების უფლების წამოყენება შეეძლება. მაშასადამე, ფული, რომ გამოსადეგი იყოს, (და არავინ შეინახავდა ფულს, თუკი მას ღირებულებას არ მიანიჭებდა), მისი ღირებულება ახლანდელი საქონელიდან უნდა გამომდინარეობდეს.

²⁵ სელჯინის და უაითის ეს ხედვა ძალიან გავს თავად ქეინზის შეხედულებას (1936, გვ. 293-94), როცა მან ყურადღება გაამახვილა, რომ „ფულის მნიშვნელობა ძირითადად მომდინარეობს ახლანდელი და მომავლის საქონელს შორის კავშირით“ და დაახასიათა ფული, როგორც „ყველაზე მაღლა მდგომი, ფაქიზი სქემა ახლანდელი და მომავალი საქონლის დასაკავშირებლად.“

²⁶ სხვაგვარად მიუხედავად: არა ისე როგორც სელჯინი და უაითი ამბობს, რომ „ფულზე მოთხოვნა წარმოიშობა ხელსაყრელი პირობებიდან და იგი აძლევს საშუალებას ადამიანებს შეიძინონ საქონელი მომავლის გაურკვეველ დროს“, ფულზე მოთხოვნა წარმოიშობა ხელსაყრელი პირობებიდან რომელიც აძლევს საშუალებას ადამიანებს შეიძინონ საქონელის მომავლის გაურკვეველ დროს.

მეორე მხრივ, ფულის ბუნება, როგორც პარადიგმატიკული ახლანდელი საქონელი შეიძლება დადებითად დაფუძნდეს პრაქსეოლოგიური მტკიცებით. როგორც მიზესმა და როთბარდმა განმარტეს, ზოგადი ნონასნორობა არ არსებობს. მაშინ ყველას ზუსტად ეცოდინება ვადები, დრო და ადგილმდებარეობა ყველა სამომავლო გაცვლის, და ყველა გაცვლა შესაძლებელი იქნება წინასწარ მოგვარდეს და მიიღოს პირდაპირი, ვიდრე არაპირდაპირი გაცვლის ფორმა.

“სისტემაში, რომელიც არ იცვლება, სადაც არ არის გაურკვევლობები მომავალთან დაკავშირებით, არაფის ჭირდება ნაღდი ფულის ქონა. თოთოულმა ინდივიდმა ზუსტად იცის რა რაოდენობის ფული დასჭირდება მომავლის გარკვეულ დროს. მაშასადამე იგი ისეთ მდგომარეობაშია, რომ გასცეს ყველა ფონდები რასაც იღებს იმ გზით რომ სესხები მცირდება იმ დღისთვის როცა დაჭირდებათ”. (მიზესი 1966, გვ. 249)

შესაძლებელია ახლანდელი ფულის გაცვლა მომავლის საპირისპიროდ მართული დროითი უპირატესობით. ფული და ფულზე მოთხოვნა სისტემურად ერთმანეთის არამსგავსია მოხმარებისთვის, წარმოებისთვის. ფულის სარგებლიანობის წყარო კატეგორიულად განსხვავებულია სამომხმარებლო და სამწინარმეო საქონლისგან. სამომხმარებლო საქონლის სარგებლიანობის წყარო არის მისი პირდაპირი და ახლანდელის სასარგებლოდ, ხოლო სამწინარმეო საქონლის სარგებლიანობის წყარო არის მისი ირიბი სარგებლიანობა. ფული არც მოიხმარება და არც გამოიყენება წარმოებაში. მისით სარგებლობა არ ხდება (როგორც სამომხმარებლო საქონლის) პირდაპირ და არც ირიბად გამოსაყენებელია, როგორც ადგილი მომავლის სამომხმარებლო საქონლის (როგორც სამწინარმეო საქონელია). არამედ, ფულის სარგებლიანობა უნდა იყოს ირიბი და ამავედროულად ახლანდელი მოხმარების საქონელი.

ცვალებადი ეკონომიკის, გარდაუვალი ადამიანური გაურკვევლობის პირობებში, როდესაც შეუძლებელია ზუსტად იწინასწარმეტყველო გაცვლის ვადები, დრო და ადგილმდებარეობა, და შესაბამისად არსებობს შეცდომის ალბათობა, ადამიანს შეუძლია მოითხოვოს საქონელი არა ექსკლუზიურად მათი გამოყენებითი-ღირებულების ხარჯზე (ახლანდელი თუ მომავალი), მაგრამ ასევე მათი ღირებულების, როგორც გაცვლის საშუალების გამო (მათი ხელმეორედ გაყიდვის მიზნით). როცა ვანყდებით სიტუაციებს, სადაც, სურვილების ორმაგი დამთხვევის არარსებობის გამო, პირდაპირი გაცვლა შეუძლებელია, ადამიანმა შეიძლება შეაფასოს საქონელი ასევე მათი გაყიდვადობის ხარისხის მიხედვით. ამგვარად ფლობა გააიოლებს პირდაპირ თუ ირიბ მოხმარების საქონელისა თუ სერვისის შექმნას. უფრო მეტიც, იმიტომ რომ ეს საქონლის ერთადერთი ფუნქციაა, ადამიანი ბუნებრივად არჩევანს აკეთებს უფრო მეტად გაყიდვადი საქონლის შექმნაზე.

“გარდაუვალი იქნება ნაკლებად გაყიდვადი საქონლის მთელი წყების გამოყენების ტენდენცია, როგორც გაცვლის საშუალებად ერთადერთი უარყოფილი ერთის მიერ, სანამ ბოლო საქონელიც იარსებებს, რომელიც საყოველთაოდ გამოიყენება გაცვლის საშუალებად; ერთი სიტყვით, ფულად”. (მიზესი 1978, გვ 32-33).

სელექტიზმა და უათმა კარგად იციან მენგერ-მიზესისეული მონეტარული ევოლუციის რეკონსტრუქცია. ისინი ამკარაა, რომ არ აღიარებენ, თუმცა, ფულის ფუნქცია, როგორც ყველაზე ადვილად და ფართოდ გაყიდვადი საქონელი, ფულს იმავედროულად წარმოადგენს როგორც გაურკვევლობის საუკეთესოდ შემამსუბუქებელ საქონელს და ამგვარად, ყველაზე უნივერსალურ საქონელს სხვა საქონლებს შორის.²⁷ თუმცა, მხოლოდ ირიბი გამოყენება -

²⁷ ფაქტობრივად, ადამიანს შეუძლია იფიქროს, როგორ შეძლეს სელექტიზმა და უათმა გადაეხედათ ფულის ხასიათზე, როგორც უნიკალურად არსებული ახლანდელ საქონელზე. ყველაფრის შემდეგ, სარგებლის განაკვეთი, როგორც დროითი უპირატესობის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება, გამოხატულია ფულის საშუალებით.

სამენარმეო საქონლის მხრივ, და არსებული საქონლის არამსგავსად - ფული არის ზუსტად საკუთარი უმაღლესი გაყიდვის უნარის ხარჯზე უნიკალური ახლანდელი საქონელი - როგორც სამომხმარებლო საქონლის მხრივ, და ნებისმიერი სამენარმეო საქონლის არამსგავსად. იმიტომ რომ ფული მყისიერი შესაძლო სურვილების ყველა ფართო სპექტრზე მფლობელისთვის უზრუნველყოფს ადამიანისთვის ყველაზე მეტად შესაძლო დაცვას გაურკვევლობების წინააღმდეგ, ანუ მისი სირთულის წინააღმდეგ. ფულის ქონსა, მის მფლობელს საშუალება ეძლევა მზად დახვედეს მოულოდნელად გაჩინვლი მომავალი შესაძლებლობების ფართო შესაძლო რიგს.²⁸ «ნაღდი ფულის ფლობის მხარდაჭერა მსხვერპლს მოითხოვს. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადამიანი ფულს საკუთარ ჯიბეში ინახავს ან ბანკის ანგარიშზე, იგი საქონლის მყისიერ შექცენას ტოვებს, მას შეეძლო მოეხმარა ან წარმოებამი გამოეყენებინა» (მიზეხი 1966, გვ. 430). შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ იგი გარკვეულია მის მომავალში, ადამიანს ექნება სურვილი ინვესტირება მოახდინოს სამომხმარებლო და სამენარმეო საქონელში. მომავლის გაურკვევლობის შემთხვევაში მას ენდომება, რომ მსხვერპლი გაიღოს, როგორც ამას მიზეხი აღნიშნავდა, ენდომება ინვესტირება მოახდინოს, როცა გრძნობს სამომავლო მოხმარება-წარმოების (შემოსავალი-გასავალი) გაურკვევლობას. ამგვარად, ფულზე გაზრდილი მოთხოვნა აჩვენებს რომ ადამიანი უფრო ინტენსიურად გრძნობს გაუკვევლობას მის მომავალთან დაკავშირებით; და იმის მაგივრად რომ მომავალში განახორციელოს ინვესტირება, მისი ნაღდი ფულის ბალანსი დამატებით წარმოადგენს ინვესტიციას ამჟამინდელ გარკვეულობაში, რაც ნიშნავს რომ მომავალი ნაკლებად გარკვეულია.²⁹

ფულის პრაქსეოლოგიური რეკონსტრუქცია, როგორც ერთადერთი ახლანდელი საქონელის, და სელჯინის და უაითის სრულიად დადებითი დამოკიდებულება ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედ საბანკო საქმიანობაზე, მცდარი წარმოდგენაა. თუ ბანკები ნამდვილად განათავსებენ ფულზე გაზრდილ მოთხოვნას ფიდუციალური გაცვლის საშუალების (კრედიტის) დამატებითი გამოშვებით, როგორც ამას სელჯინი და უაითი

²⁸ ტერმინი გაურკვევლობა აქ გამოყენებულია ტექნიკური მნიშვნელობით, როგორც ნაითი (1971, თავი 7) და მიზეხი (1966, თავი 6) განმარტავს როგორც კატეგორიულად განსხვავებულს რისკისგან (კლასური ალბათობის მაგალითები); ამასვე ამბობს პოპე (1997). რამდენადაც ადამიანს გაურკვეველი მომავალი ელის, მას არ სჭირდება ნაღდი ფულის ხელთ ქონა. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების და რისკებისგან დაცვის მაგივრად შეუძლია იყიდოს (ან აწარმოოს) დაზღვევა. დაზღვევის მყიდველი საკუთარი შენაძენით აფიქსირებს, რომ იგი ფაქტობრივად გარკვეულია მის სამომავლო ღონისძიებებში. ამგვარად, სადაზღვევო პრემიის გადახდით იგი მსხვერპლად იღებს ახლანდელ საქონელს სამომავლო საქონელზე გაცვლით და ამგვარად ხელს უწყობს და ინვესტირებას ახორციელებს ნაწილობის ინფრასტრუქტურაში. ადამიანი პირისპირ ხედება გაურკვევლობებს და არ არის დარწმუნებული მის მომავალში. ამგვარად, გაუკვევლობებისგან დაცვის გარეშე, მას არ შეუძლია ინვესტირება მოახდინოს სამომავლო საქონელში. მხოლოდ გაცვლის საშუალებას, მისი უმაღლესი გაყიდვადობის ხარჯზე, შეუძლია დაზღუდოს იგი გაუკვევლობებისაგან. ამგვარად, ისევე როგორც ფასში დაზღუება უნდა გახდებოდა იქნას რისკების წინააღმდეგ დასაცავად, ასევე ნაღდი ფულის ქონაც ფასია, რომელიც ასევე გააზრდილი უნდა იყოს გაურკვევლობების წინააღმდეგ დასაცავად.

²⁹ სელჯინი და უაითი არასოდეს განუხილავთ, თუ რატომ ხდება ფულზე მოთხოვნის ცვლილებები, და ამგვარად არასდროს განიხილავენ მაკროეკონომიკურ მიზეზებს, კერძოდ, ინდივიდების სუბიექტურ შეფასებათა ცვლილებებს, პერსონალურ გაუკვევლობებს. მიზეხი მკაფიოდ განიხილავს ფულზე მოთხოვნის ცვლილებების რაციონალურ ხასიათს: ნაღდი ფულის ქონის ხელსაყრელი და არახელსაყრელი პირობები არ წარმოადგენენ ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას მოახდენდნენ ნაღდი ფულის ქონის ზომაზე. იგი დამოკიდებულია პირობების სუბიექტურ განსაზღვრებაზე. გაანხილავს ფულზე და მსგავსი ადამიანები სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე ობიექტის სხვაგვარად აფასებენ. როგორც ადამიანის სიმდიდრის და ფიზიკური მონაცემების ცოდნა არ გავლენებს რამდენისთვის არის მზად გადაიხდის საკვებ პროდუქტებში, ასევე იმ მონაცემების ცოდნა, რომელიც ადამიანის მატერიალურ სიტუაციას ეხება არ გვაძლევს იმის საშუალებას ზუსტად დავამტკიცოთ თუ რა ზომისაა მის მიერ ნაღდი ფულის ფლობა. (1966, გვ. 430)

გვთავაზობენ, ამას მხოლოდ უარყოფითი და წინასწარობის დამრღვევი ეფექტი შეიძლება ქონდეს. რამდენადაც განთავსება მოულოდნელია, სარგებლის განაკვეთი დროებით შემცირდება მის ბუნებრივ დონესთან შედარებით, ინვესტირება გაიზარდება, და წარმოების სტრუქტურა ამოღდება. თუმცა ეს შედეგი საზოგადოების უპირატესობებთან მიმართებაში უცნაურად ჩანს. საზოგადოება აღიქვამს მომავალს, როგორც მზარდ გაურკვევლობას და შესაბამისად, ფულის მოცულობის გაზრდისათვის ბრძოლას და ამგვარად, ფასის დაწვევა არა-ფულადი საქონლისთვის და შედეგად ფულის თითოეული ნაწილის მსყიდველობითი უნარდა გაზრდა განპირობებულია ამჟამინდელი გაურკვევლობისგან უფრო მეტად დასაცად. სამომავლოდ დამატებითი რესურსების მოძიება გამოხატავს საზოგადოების ნაკლებ გაურკვევლობას (ვლინდება აღმასვლა-ვარდნის ციკლში). ნებისმიერ შემთხვევაში ბანკებში განთავსებული ფულის მიწოდების ზრდა მაინც გამანადგურებელი იქნება, რადგან მას მხოლოდ შეუძლია შეაყოვნოს სასურველი მიზნის მიღწევა. იმისთვის რომ უკეთესად ვიყოთ დაცული ასეთი გაურკვევლობებისგან, ფასები უნდა დაეცეს და ფულის მსყიდველობითი უნარი უნდა გაიზარდოს. ფულის დამატებით ნაკადებს ამის გაკეთება არ შეუძლიათ.

დასკვნითი ჩანაწერები: რამდენიმე მცდარი ანალოგია

ამ სტატიის წინა სექციებში ახსნილ საკუთრებასა (ფული) და მესაკუთრების უფლებას შორის ფუნდამენტური განსხვავების, აგრეთვე ფულზე როგორც უნიკალურ საქონელზე შექმნილი წარმოდგენის უფრო ნათლად ასახსნელად მოყვანილია რამდენიმე ანალოგია, რითაც ცდილობენ ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის მუშაობის გამართლებას, რაც შეგვიძლია საბოლოოდ დავასკვნათ, როგორც მცდარი წარმოდგენა.

თუნდაც ის სწორად განასხვავებდეს საკუთრებასა და მესაკუთრების უფლებას, ყველა შემოთავაზებული ანალოგიები, აგრეთვე, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა, დიდ პრობლემას აწყობიან არსებულ და მომავალ საქონელს შორის ფუნდამენტური განსხვავების სწორად გასაზრებლად.

ფულის მესაკუთრების უფლების მფლობელი ფლობს არსებულ საქონელს, რომელიც არაპირდაპირი, დაუყოვნებლივ მომსახურებადი საქონელია. ნაწილობრივი რეზერვისების საბანკო საქმიანობა ამ შემთხვევაში დამაშავეა თაღლითობაში. მან გამოსცა და გაყიდა დამატებითი მესაკუთრების უფლებები ფულადი საკუთრების უცვლელი რაოდენობით. ამის საწინააღმდეგოდ, ავიაბილეთების მფლობელი ფლობს მომავალ საქონელს. შესაბამისად, ანმყო დროში სამომავლოდ ავიაბილეთების ზედმეტი რაოდენობის დაჯავშნით ავიახაზები ვერ შეძლებდა თაღლითობის ჩადენას დღეს. თაღლითობა ვერ განხორციელდება ზეაღმდეგ დღემდე, ვიდრე ბილეთები არ იქნება გამოსყიდული და ავიახაზები ვერ შეძლებენ დააკმაყოფილოთ თითოეული ბილეთის მფლობელის მოთხოვნა. ფაქტობრივად, ავიახაზები ტიპიურად ასრულებენ ყველა საკონტრაქტო ვალდებულებებს: ყველა ბილეთის მფლობელი დანიშნული ფრენის დროს გარანტირებულია ადგილით, რადგანაც ავიახაზები მზად არიან გადაუხადონ ყველა ზედმეტი ბილეთის მფლობელს, რაც გულისხმობს ამ ბილეთების თავიდან გამოსყიდვას იმ ფასად (სხვა საქონელზე გადაცვლით) რა ფასიც მფლობელისთვის იმაზე მეტად ღირებულია, ვიდრე იმჟამინდელი ადგილი თვითმფრინავში. ბუნებრივია, არც ერთი ავიახაზები არ ყიდიან არსებული ბილეთების (თვითმფრინავის ადგილებზე მესაკუთრების უფლებები) ზედმეტ რაოდენობას და არ დაუშვებენ, რომ ორმა ადამიანმა დაიკავოს ერთი და იგივე ადგილი თვითმფრინავში. ეს არის არსებითად ის, რასაც ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემა გულისხმობს.

ამის მსგავსად, ავტორმანქანის სადგომებზე დაშვების ბილეთის მფლობელი (ბილეთის იმაზე მეტი მფლობელი, ვიდრე მანქანის გასაჩერებელი ადგილია) არ ფლობს აწმყოში არსებულ საქონელს. ის ფლობს უფლებას, დროის გარკვეულ მონაკვეთში მონაწილეობა მიიღოს მანქანის სადგომების განმეორებად ძიებაში. ამ შესაძლებლობის მქონე პირი ვერ შეძლებს რაიმე სახის თაღლითობის ჩადენას თავისი საშუალების გაყიდვით, თუ მან თავის დროზე არ უარყო მისთვის მინიჭებული სადგომზე დაშვების უფლება, როცა თავისუფალი ადგილები იყო, ან არ შეცვალა კონტრაქტით გათვალისწინებული თამაშის წესები. რაც გულისხმობს იმას, რომ თუ ის დათანხმდა დაებეჭდა მაქსიმუმ 200 ბილეთი, მაგრამ სინამდვილეში დაებეჭდა 300. მხოლოდ ერთჯერადი ბილეთის ან წინასწარ დაჯავშნილი ადგილის მფლობელი ითვლება ამჟამინდელი საქონლის მფლობელად. შესაბამისად, როგორც წესი არ ხდება ერთჯერადი ბილეთებისა და წინასწარ დაჯავშნილი სადგომებზე დაშვების უფლების ზედმეტი რაოდენობით გაყიდვა.

იგივე არგუმენტაციით შეიძლება ლატარიის მაგალითის ახსნაც. ლატარიის ბილეთის მფლობელი არ ფლობს არანაირ არსებულ საქონელს. ის ფლობს უფლებას მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პრიზების გათამაშებაში, რისი საშუალებითაც გამყიდველსა და მყიდველს შორის ყალიბდება ურთიერთგაგება – რაც წარმოადგენს ლატარიის ბუნებას, რომ არსებობს იმაზე მეტი ბილეთი, ვიდრე გასათამაშებელი პრიზები. ლატარიის ოპერატორი ვერანაირად ვერ შეძლებს რაიმე სახის დანაშაულის ჩადენას, გარდა იმისა, თუ ვერ შეძლებს მოგებული ბილეთების ანაზღაურებას დაპირებული პრიზების სახით. თუ, ეს იშვიათ შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ, თითქმის გაუგონარია ის ფაქტი, რომ ლატარიის კომპანიას დაებეჭდოს ერთზე მეტი მოგებიანი ბილეთი ერთდამიამვე პრიზზე (არსებული საქონელი). ეს, რა თქმა უნდა, თაღლითობის მსგავსი ფაქტი იქნებოდა და სინამდვილეში ის არის, რასაც ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის წარმომადგენლები აკეთებენ.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოთავაზებული ანალოგია ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემასა და დაზღვევას შორის სრულიად დამტკიცდა 26-ე სქოლიოში, რომელიც ეხებოდა ერთის მხრივ რისკებსა და დაზღვევას და მეორეს მხრივ მერყეობასა და ფულს შორის ურთიერთობას. ფულის მფლობელისაგან განსხვავებით, სადაზღვევო პოლისის მფლობელი ფლობს არა არსებულ, არამედ მომავალ საქონელს. სადაზღვევო კომპანიამ შესაძლოა ვერ შეასრულოს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები მომავალის გარკვეულ დროში და ვილაცამ შეიძლება დაასკენას, რომ ის ახორციელებს ბილეთების ზედმეტი რაოდენობით ბეჭდვას. თუმცა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ დანაშაული უკვე ახლა, სადაზღვევო პოლისის გაყიდვის მომენტშია ჩადენილი. რადგანაც საქონელი, რომელსაც ყიდის სადაზღვევო სააგენტო წარმოადგენს მომავალ საქონელს. განსხვავებით ამისგან, ფულის ნიშნის მფობელი არის არსებული საქონლის მფლობელი და თითოეული ზედმეტად გამოშვებული ფულის ნიშანი არსებული საქონლისათვის თავიდანვე თაღლითობას წარმოადგენს და შესაბამისად, ეწინააღმდეგება საბაზრო ეთიკის ნორმებს.

ჰანს ფ. სენჰოლცი

(1922 – 2007)

ჰანს ფ. სენჰოლცი (Hans F. Sennholz) - ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი. დაიბადა 1922 წლის 3 თებერვალს გერმანიაში (ჩრდ. რეინ-ვესტფალია). სწავლობდა მარბურგის (1948), კიოლნის უნივერსიტეტებში (1949), ხოლო აშშ-ში გადასვლის შემდეგ ნიუ იორკის უნივერსიტეტში, სადაც ლუდვიგ ფონ მიზესის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1955).

მუშაობდა იონას კოლეჯში (ნიუ როჩელე, ნიუ იორკი) ეკონომიკის ასისტენტ პროფესორად (1954-1955), გროვის სიტი კოლეჯში (პენსილვანია) ეკონომიკის პროფესორად და ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსად (1956-1992), მონეტარული პოლიტიკის ეკონომისტთა ეროვნული კომიტეტის წევრად (ნიუ იორკი, 1957-1970), ეკონომიკური განათლების ფონდის მეთვრეედ, შემდეგ პრეზიდენტად (ირვინგტონი ჰუძონზე, 1969-1997), მონეტარული კვლევისა და განათლების კომიტეტის დირექტორად და ვიცე-პრეზიდენტად (ნიუ იორკი, 1970-1985), კანადის ცენტრალური ფონდის მრჩეველად (ონტარიო, კანადა).

ჰანს სენჰოლცის მთავარი ნაშრომებია: "გაყოფილი ევროპა" (1955), "როგორ შეიძლება ევროპა გადარჩეს" (1955), "დიდი დეპრესია" (1969), "ინფლაცია ან ოქროს სტანდარტი" (1973), "ოქრო ფულია" (1975), "ფული და თავისუფლება" (1985), "უმუშევრობის პოლიტიკა" (1987), "ვალეები და დეფიციტი" (1987), "სამი ეკონომიკური მცნება" (1990), "ქარის დათესვა" (2004), "ინფლაციის ეპოქა" (2006).

გარდაიცვალა 2007 წლის 23 ივნისს, 85 წლის ასაკში.



ჰანს სენჰოლცი

ჩიკაგოს მონეტარული ტრადიცია ავსტრიული თეორიის ქრილში¹

თარგმნა ხათუნა ახოზაძემ

თანამედროვე ამერიკის მრავალფეროვან მონეტარულ თეორიათა შორის ჩიკაგოს სკოლის ნეოკლასიციზმმა ახალი ეკონომიკური მეცნიერების შესაფერისი ინტელექტუალური ადგილი დაიკავა. ჩიკაგოს მონეტარული თეორია მთელი ძალით შემოიჭრა არა მხოლოდ ამერიკულ აკადემიასა და ფედერალური სარეზერვო საბჭოს აზრებსა და ქმედებაში, არამედ კონგრესის დარბაზებსა და პრეზიდენტის ეკონომიკურ მოხსენებებსა და პოლიტიკაშიც კი. მოვლენების ასეთმა საოცარმა განვითარებამ ჩიკაგოს სკოლის ყველაზე გავლენიანი ეკონომისტის მილტონ ფრიდმენის პოპულარობა და პრესტიჟი აამაღლა.

მოხარული ვართ, რომ ფულად-საკრედიტო თეორიაში ახალი მიმდინარეობა გაჩნდა და დიდად ვაფასებთ ჩიკაგოელთა შეპირისპირებას კეინზიანურ ორთოდოქსურობასთან. პროფესორ ფრიდმენის და მისი კოლეგების მიერ შემოთავაზებულმა ღრმა ანალიზმა, მეცნიერულმა სიზუსტემ და ყოვლისმომცველმა ემპირიულმა ფაქტებმა ახალი ეკონომიკის მრავალი სათუთად ნალოლიავები დოქტრინა შეარყია და ამით ახალი სიცოცხლე შთაბერა ნეოკლასიციზმს. კეინზის ეპოქის ზეობისას ფულზე მსჯელობამ გზა მისცა დებატებს ფისკალური ღონისძიებების საშუალებით დარეგულირების მექანიზმის დახვეწის შესახებ, ჩიკაგოელებმა კი ფულს თავისი კუთვნილი ადგილი დაუბრუნეს. მათ წარმატებით აღადგინეს ფულის რაოდენობრივი თეორიის ვერსია და კვლავ ყურადღება გაამახვილეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელობაზე. დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ოფიციალური ფულად-საკრედიტო ორგანო ჩვენი ფულის ერთიანად არასწორი მენეჯმენტით გამონეწეული დიდი ციებ-ცხელებისა და გამანადგურებელი რეცესიის გამო.

ავტორს მაინც ეჭვი ეპარება ამ ახალი ნეოკლასიციზმის დამაჯერებლობასა და სიცოცხლისუნარიანობაში. ჩვენი დასკვნით, ის მაკროეკონომიკის ფხვიერ ნიადაგზეა აგებული, არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს ბიზნეს-ციკლებს და ამის გამო ეკონომიკური სტაბილურობის სწორი კურსი ვერ იქნება. ის ძირშივე ინფლაციურია, რადგან ჩვენი ფულის მეურვედ მთავრობას ნიშნავს. ამ ახალი ნეოკლასიციზმის ინტელექტუალური წინამორბედი სამი ინგლისელი და ერთი ამერიკელი იყო: ს. ჯევონსი, ალფრედ მარშალი, რალფ ჰოუთერი და ირვინ ფიშერი. ვინაიდან, ერთი თაობით ადრე, ჯონ მეინარდ კეინზის, ალვინ ჰ. ჰანსენის და აბა ჰ. ლერნელის პრინციპებმა გზა მისცა ახალ ეკონომიკას, ამიტომ ახალმა ნეოკლასიციზმმა წინასწარ განსაზღვრა, დაემორჩილოს უფრო მეტ სტატისტიკურ დოქტრინებს. ის ხომ მთავრობას აკისრებს ეკონომიკურ სტაბილურობას და თან ისეთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ანებსებს, რომელმაც ბიზნეს-ციკლების წარმოქმნა უნდა გააგრძელოს. გარდაუვალია ის, რომ იმედგაცრუება და გულგატეხილობა მთავრობის ჩარევის მოთხოვნას წარმოშობს.

¹ წერილი "ჩიკაგოს მონეტარული ტრადიცია ავსტრიული თეორიის ქრილში" დაიბეჭდა 1971 წელს, კრებულში "გზა თავისუფლებისაკენ: ესეები ლუდვიგ ფონ მიზესის 90 წლის დაბადების აღსანიშნავად".

თითქმის 100 წლის წინ ფასებისა და ბიზნესის მოძრაობის რაოდენობრივი მონაცემების გაანგარიშებისას უილიამ სტენლი ჯეკონსმა სცადა "ზუსტი გამოკვლევა, ზუსტი რიცხობრივი გამოთვლები, ვარაუდებითა და უსაფუძვლო არგუმენტებით ჩაენაცვლებინა"². ჯეკონსმა ფულის 1782-1865 წლების მსყიდველობითი უნარის გამოკვლევას მიუძღვნა სტატია - "ფასების ცვლა და საგადასმდელო საშუალების ლირებულება 1782 წლის შემდეგ". მან თავისი ანალიზის დასკვნაში ოქროს შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა: "თავისთავად ოქროს მოპოვება მუდამ ფუჭ შრომად მიმაჩნდა საერთოდ მსოფლიო თვალსაზრისით - კაცობრიობის მიმართ ჩადენილ უსამართლობად, ზუსტად ისეთივე უსამართლობად, როგორსაც მთავრობა სწადის ხალხის მიმართ, როდესაც საკუთარ საგადასმდელო საშუალებას ჭარბი რაოდენობით უშვებს და აუფასურებს"³ სამაგიეროდ ჯეკონსი მხარს უჭერდა "ლირებულების ცხრილურ სტანდარტს", რისთვისაც იყო ნაგარაუდები მისი ნაშრომი ინდექსების შესახებ. ის დარწმუნებული იყო, რომ ერთ დღეს ეს სისტემა ხმარებაში შემოვიდოდა და ოქროს მონეტები ძირითადი გაცვლითი საშუალება აღარ იქნებოდა⁴.

ალგრედ მარშალმა მხარდაჭერა გამოუცხადა ჯეკონსის გეგმას. ის ძალიან ნუხდა ფულის მსყიდველობითი უნარის დიდი ცვლილებისა და საკონტრაქტო ურთიერთობებზე მისი მავნე ზემოქმედების გამო და სტაბილური საგადასმდელო საშუალების ერთეულს ეძებდა. 1888 წელს "ვაჭრობისა და მრეწველობის უძრაობის საკითხებზე" სამეფო კომისიისადმი წარდგენილ განაცხადში ის ფულის მსყიდველობითი უნარის მაჩვენებელი ცხრილების გამოქვეყნებას სთხოვდა მთავრობას, რაც შესაძლებელს გახდიდა კონტრაქტების დადებას მუდმივი მსყიდველობითი უნარის მქონე ერთეულის პირობებში⁵. თანამედროვე ეკონომისტთა უმრავლესობა კვლავ ხელმძღვანელობს პროფესორ მარშალის მიერ შემოღებული დიდი დიქტომით, რაც გულისხმობს, რომ მიკროსფერო, სადაც ცალკეულ ფასებს მოთხოვნა-მიწოდება განსაზღვრავს, გამოყოფილია მაკროსფეროსგან, სადაც ფულის მთელი მარაგი და მისი ბრუნვის სიჩქარე განსაზღვრავს ფულის ლირებულებას და ფასის დონეს⁶. მართალია, მარშალს თავისი დოქტრინიდან პოლიტიკური დასკვნა არ გამოუტანია, მაგრამ მისმა მიმდევრებმა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში მოგვიანებით საბოლოო ნაბიჯი გადადგეს: მათ მთავრობას ფულის მარაგის რაოდენობის მანიპულირების საშუალებით ფასების დონის სტაბილიზაციისაკენ მოუწოდეს.

რალფ ჯ. პოუთრიმ, ეკონომისტმა, რომლის სახელიც 1919-1937 წლების ბრიტანეთის ხაზინას უკავშირდება, წონასწორობის მაკროეკონომიკურ კონცეფციაზე აგებული ეკონომიკური ციკლის წმინდა ფულად-საკრედიტო თეორია შეიმუშავა. საგადასმდელო საშუალების ზრდაში მომხდარი ცვლილებები, კერძოდ საბანკო კრედიტის ცვლილება, არასტაბილურობას იწვევს წარმოებასა და დასაქმებაში. თავიდან მთელი საბანკო კრედიტი იზრდება, რადგან სარგებელი მცირეა. მზა პროდუქციაზე მოთხოვნილება იზრდება, რაც ფასების ზრდას იწვევს. ბიზნესმენები იოლ ფულს იყენებენ სანარმოო რესურსებისთვის. ამგვარად, კრედიტის გაზრდა შემოსავლების ზრდას განაპირობებს, რაც საბოლოოდ იქამდე მიდის, რომ მეტი საგადასმდელო საშუალება გადის ბრუნვაში. ოქროს სტანდარტის

² Investigations in Currency and Finance, (London, 1884) გვ. XXIV.

³ იქვე, გვ. 104

⁴ აგრეთვე "An Ideally Perfect System of Currency" in Investigations in Currency and Finance, გვ. 297-302; "The Variation of Prices and the Value of the Currency Since 1782," იქვე, გვ. 120.

⁵ Official Papers (London: Macmillan & Co., 1926) for the Royal Economic Society, გვ. 10-12; აგრეთვე Money, Credit and Commerce (N.Y.: Augustus M. Kelley reprint, 1923) გვ. 36.

⁶ Money, Credit, and Commerce, გვ. 43 et seq. His theory was later put into the form of a quantitative equation by Prof. Pigou in Quarterly Journal of Economics, Vol. XXXII, Nov., 1917

შემთხვევაში ეს საგადამხდელი საშუალება ან ოქროს მონეტა, ან ოქროთი გამყარებული ქალაქის ფული. მასზე მოთხოვნა თანდათან ამცირებს ოქროს არსებულ მარაგს ოქროს სტანდარტის მქონე ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით ცენტრალურ ბანკებში. პოუთრის თანახმად "ასეთ ვითარებაში საგადამხდელი საშუალების გადინება ბრუნვაში ძალიან ნელა ხდება და გაცილებით ჩამორჩება კრედიტის ზრდას, რამაც ეს ვითარება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, თუ კრედიტის მაკონტროლე-ბელი ორგანო თავისი ოქროს მარაგის ადეკვატურად მოქმედებს, ძალიან გვიან ჩაერევა პროცესებში. კრედიტის ზრდაც და შემცირებაც ძალიან ნელი პროცესია იმ ქვეყნების ჯგუფში, რომლებიც იძულებულნი არიან ფეხი აუწყოთ ერთმანეთს ოქროს საკმაოდ მიზანშეწონილი დინების გამო"⁷

მოკლედ, საკრედიტო ფუნქციის სავაჭრო ციკლს ის ნაკლოვანებანი განაპირობებს, რაც ოქროს სტანდარტს გააჩნია, როგორც კრედიტის მარეგულირებელს. საგადამხდელი საშუალებათა სამსახურები თავიანთი ოქროს რეზერვების მიხედვით თავიდან ძალიან ნელა ერევიან საბანკო კრედიტის შეზღუდვაში, შემდეგ რეცესიის პერიოდში კი მის გაზრდაში. პოუთრის თანახმად, დიდი დეპრესია ასეთმა დეფექტებმა გამოიწვია. იმ საბედისწერო წლებში მას უმუშევრობის ერთადერთ საშველად კრედიტის გაზრდა ესახებოდა და ცენტრალურ ბანკებს ამისაკენ მოუწოდებდა⁸. 1962 წელს პოუთრიმ კვლავ ჩამოაყალიბა თავისი დასკვნა: "1932 წლიდან მოყოლებული ჩვენ მონეტარულ პოლიტიკას თუ გადავხედავთ, უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის კარგი გაკვეთილი უნდა იყოს, თუ რა მნიშვნელოვანია ფულის ერთეულის სტაბილურობის შენარჩუნება"⁹.

ანალოგიური დასკვნები გამოიტანა ამერიკელმა ეკონომისტმა ირვინგ ფიშერმა, რომელიც ახალ ნეოკლასიციზმს ხელმძღვანელობდა. 1933 წელს იგი წერდა: "ბიზნესის მარცხის სათავე, და აქედან გამომდინარე დეპრესიის თავიდათავი, "ფასების დეფლაციური დონეა; ფასების დეფლაციური დონის სათავე კი ფულის დეფლაციაა; ფულის ის ძირითადი სახეობა კი, რომელიც დეფლაციას განიცდის ჩვენი საჩეკო ანგარიშებია ბანკში"¹⁰. ამიტომ იყო, რომ დიდი დეპრესიის დროს ფიშერი რეინფლაციისკენ მოუწოდებდა. კერძოდ, იგი პრეზიდენტ რუზველტს სთხოვდა გაეუფასურებინა დოლარი და მოგვიანებით მიესალმა კიდევ მის ასეთ ქმედებას. ფიშერი კიდევ უფრო შორს წავიდა: "შეგვიძლია მთლად უარი ვთქვათ ოქროზე და საშველად მხოლოდ ქალაქლდზე დაფუძნებულ მართვად საგადამხდელი საშუალებას მივმართოთ. ზოგიერთი ქვეყანა ასე მოიქცა აშკარად მათდა სასიკეთოდ"¹¹.

პროფესორ ფიშერს ბიზნეს-ციკლების მარტივი ახსნა პქონდა. საკრედიტო ფული ერთგვარ არასრულ წრეზე მოძრაობს, უფრო სწორად სპირალზე, ხან ზევით ხან ქვევით, გარემოებისდა მიხედვით. მაგრამ რა განსაზღვრავს სპირალის მიმართულებას? ფიშერმა ამ კითხვას სამი სხვადასხვა პასუხი გასცა: 1) მოძრაობა წარმოიშობა სანარმოს სრულიად იშვიათი, არაკოორდინირებული, ამოუცნობი "ისტერიისგან";¹² 2) "თუ კაცობრიობა მნიშვნელოვან დარტყმას მიიღებს შეიძლება სპირალმა მოძრაობა დაიწყო. შეიძლება ის ომმა მოიყვანოს მოძრაობაში. ამ ახსნის მიხედვით "დეპრესია იმ აჟიოტაჟმა წარმოიშვა, რაც საკრედიტო საგადამხდელი საშუალების ზრდით დაიწყო; ის კი თავის მხრივ ვალეების ზრდამ წარმოიშვა;

⁷ The Gold Standard in Theory & Practice (London: Longmans, Green & Co., Ltd., 1939, 4th ed.) გვ. 101, 102, 121, 122. აგრეთვე Currency and Credit (London: Longmans, Green & Co., Ltd., 1927, 3rd ed.) გვ. 156.; Monetary Reconstruction (London: Longmans, Green & Co., Ltd., 1926, 2nd ed.) გვ. 156; Trade and Credit, (London: Longmans, Green & Co., Ltd., 1928) გვ. 82.

⁸ The Art of Central Banking (London: Longmans, Green & Co., Ltd., 1932) გვ. 446.

⁹ A Century of Bank Rate (New York: Augustus M. Kelley, 1962, 2nd ed.) გვ. xxi.

¹⁰ Mastering the Crisis (London: George Allen & Unwin, Ltd., 1934) გვ. 21.

¹¹ Inflation (London: George Allen & Unwin, Ltd., 1934) გვ. 91.

¹² Mastering the Crisis, გვ. 37.

¹³ Inflation, გვ. 80.

ვალების ზრდა კი მსოფლიო ომისგან წარმოიშვა.¹³ 3) ცენტრალური ბანკის მცდარმა ფულად-საკრედიტო მენეჯმენტმა შეიძლება მიმართულება შეუცვალოს დინებას. მაგალითად, 1928 წელს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შეეცადა ლამისაა კანონიერ საქმიანობად ქცეული სპეკულაციური ტენდენციების შერყევა კრედიტების შეკვეცით¹⁴.

ფიშერი თავისი მებრძოლი სულის გამო აქტიურად იყო ჩაბმული სხვადასხვა სფეროს რეფორმაში, მაგალითად, ჯანმრთელობის, ბუნების დაცვის, ერთა ლიგის და სხვა. მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური სტაბილიზაციისა და მონეტარული რეფორმისათვის იბრძოდა. მრავალ ნაშრომში წარმოადგინა მან თავისი გეგმა "ბალანსირებული დოლარის", დოლარის მუდმივი მსყიდველობითი უნარის, ეგრეთწოდებული "სასაქონლო დოლარის" შესახებ. პირობითი ოქროს სტანდარტი ისეთ სტანდარტს უნდა შეეცვალა, რომელიც დოლარით განისაზღვრებოდა მისი მუდმივი ღირებულების პირობებში, რაც მოცემული სამომხმარებლო კალათის სასაქონლო ფასების საინდექსაციო ნომერს უნდა განესაზღვრა. ეს სასაქონლო სტანდარტი უნდა გამყარებულიყო "100 %-ით განაღდებადი ფულით", ანუ ყველა ანაბარი უნდა განაღდებულიყო ნაღდი ფულის მარქაფით. "მონეტარულ კომისიას" ახალი ფული უნდა გამოეშვა და ყოველი კომერციული ბანკის აქტივები ნაღდ ფულად უნდა ექცია ისე, რომ თითოეული ბანკის მიმდინარე ანაბრები 100 %-ით განაღდებადი უნდა გამხდარიყო ნაღდი ფულის მარქაფის ხარჯზე. ამგვარად, ახალი ფული უზრუნველყოფდა მთელი მიმდინარე ანგარიშების ნაღდი ფულით გამყარებას ქვეყანაში ფულის მარაგის ყოველგვარი გაზრდა-შემცირების გარეშე. ამის შემდეგ ბანკებს მუდმივად უნდა ჰქონოდათ 100 %-იანი ნაღდი ფულის მარქაფის თავიანთი მიმდინარე ანაბრებისთვის. პროფესორ ფიშერის თანახმად, მისი გეგმა ბანკებს 100 %-იან ლიკვიდურობას მოუტანდა, ინფლაცია-დეფლაციისგან დაიცავდა, დეპრესიას განკურნავდა ან წინასწარ აღკვეთავდა, ხოლო ეროვნულ ვალების დაგროვებას შეწყვეტდა. პროფესორ ფიშერის თანახმად, მისი გეგმა 100 %-იან ლიკვიდურობას მოუტანდა ბანკებს, ინფლაცია-დეფლაციისგან დაიცავდა, დეპრესიას განკურნავდა ან წინასწარ აღკვეთავდა და ეროვნულ ვალებს აღმოფხვრიდა¹⁵.

ჩიკაგოს ტრადიცია

მონეტარული თეორიის ამ მიმართულების მთავარი მემკვიდრეები ალფრედ მარშალიდან დაწყებული ირვინგ ფიშერამდე ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომისტები იყვნენ. ფრანკ პ. ნაითმა, იაკობ ვინერმა, ლოიდ მინტსმა, ჰენრი საიმონსმა და მილტონ ფრიდმენმა ჩიკაგო თანამედროვე ეკონომიკური აზრის მნიშვნელოვან ცენტრად აქციეს. პროფესორმა ნაითმა ეკონომიკისათვის მოგების როლის მნიშვნელობის ანალიზით დიდად გააძლიერა ნეოკლასიკური სტრუქტურა; ჰენრი საიმონსმა მძაფრი ბრძოლა გამოუცხადა კეინზს და მის მოწაფეებს. საყურადღებოა საიმონსის ფულის თეორია, რადგან ის ჩიკაგოს თანამედროვე აზრის ნათელი გამოხატულებაა და ახალ ეკონომიკასა და ახალ ნეოკლასიციზმს შორის განსხვავებაზე, "ფისკალისტებსა" და "მონეტარისტებს" შორის განსხვავებაზე მოუთითებს. კეინზის მიმდევარი ნამყვანი აკადემიკოსის, ალვენ ჰანსონის გაკრიტიკებისას, პროფესორ საიმონსმა ხელახლა წამოაყენა რაოდენობის თეორიის კანონპროექტი და მკვეთრად გააკრიტიკა კიდევაც დიდი დეპრესიიდან გამოსვლის სხვადასხვა კეინზური სქემა. მიუხედავად

¹⁴ Stabilized Money, იქვე, გვ. 259-262.

¹⁵ 100\$ Money (N.Y.: Adelphi, 1935) გვ. 8-9.

¹⁶ "Keynes' Comments on Money," Christian Century, July 22, 1936, გვ. 1016, 1017.

იმისა, რომ საიმონსი კეინზს საშინლად აკრიტიკებდა,¹⁶ მტკიცებისა და ანალიზისას მასთან ისეთ საოცარ მსგავსებას ავლენდა, რაც ჩვენი აზრით, არამარტო კეინზსა და საიმონსს აერთიანებს, არამედ ყველა ფისკალისტსა და მონეტარისტს.¹⁷ რასაკვირველია, ლორდ კეინზი ძირითადად ეთანხმობოდა ოქროს სტანდარტის პროფესორ საიმონსისეულ ანალიზს. როგორც თვითონ საიმონსი ამბობდა, "ყველაზე უარესი ფინანსური სტრუქტურა ისეთი სტრუქტურაა, სადაც მსგავსი პრაქტიკისა და ინსტიტუტების, და მსგავსი საკრედიტო პირამიდის (და ვინაო ნაციონალისტური კომერციული პოლიტიკის) მქონე სხვადასხვა ქვეყნები ერთსა და იგივე საქონელს იღებენ მონეტარულ სტანდარტად. თუ იმ კრედიტორ-თა მთელ პოტენციალს წარმოვიდგენთ, ვისაც 1929 წელს და მის შემდგომ ოქროზე მოთხოვნა ჰქონდა მის მოსამარაგებლად, შეიძლება ითქვას, რომ ექსპაიცი კი ვერ მოიფიქრებდა უკეთეს ფინანსურ სისტემას ჩვენი ეკონომიკის დასანგრევად. ასეთი სისტემის ანონალია ძლიერი ზნეობრივი თავდაჭერილობისა და თავშეკავებულობისას თუ გამოვლინდება, რაც მრავალ ადამიანს უარს ათქმევინებს ამ სისტემის კანონიერი უფლებების გამოყენებაზე. სხვადასხვა ქვეყნების კომერციულ, ფისკალურ, საბანკო და მონეტარული პოლიტიკის თავისებურებებს და ეროვნული ფინანსური სტრუქტურის ხასიათსა და ფასების სიხისტეს თუ გავითვალისწინებთ, ავტორის უსაზღვროდ გაოცებას იწვევს, რომ ამდენი გამჭრიახი ადამიანი მტკიცედ უჭერს მხარს ოქროს სტანდარტს და ეროვნული პოლიტიკის საუკეთესო დასაყრდენად მიაჩნიათ. უდაოდ გამოცდილი ადამიანების მხრიდან ოქროს თაყვანისცემა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ დამაკმაყოფილებელი, დამოუკიდებელი ეროვნული საგადამხდელი საშუალება ვერ შევქმენით".¹⁸

პროფესორი კეინზიც და საიმონსიც ძირითადად თანხმდებოდნენ იმ მიზეზებზე, რამაც დიდი დეპრესია გამოიწვია. კეინზი ლიკვიდურობის ზრდასა და ინვესტიციების ნაკლებობაზე სწუხდა, საიმონსი კი ტემპის დავარდნაზე ჩიოდა, რაც, რასაკვირველია, მაკროეკონომიკაში მსგავსი მოვლენებია. საიმონსის აზრით, სტიმულირება სჭირდებოდა "ერთიან ბრუნვას", კეინზის აზრით კი "ერთიან მოთხოვნას". მაგრამ როცა ჯერო დემპრესიის დაძლევის პოლიტიკაზე მიდებოდა, ბატონები საიმონსი და კეინზი აშკარად განსხვავდებოდნენ ერთანეთისგან. კეინზი მხარს უჭერდა ინვესტიციების სტიმულირებას უშუალოდ მთავრობის ჩარევით, საიმონსი კი "თამაშის გარკვეულ წესებს" ემხრობოდა. ის მთავრობას მოუწოდებდა ფულად-საკრედიტო ორგანოებისთვის წესების სტაბილური ჩარჩო დაენესებინა. "წარსულში", წერდა საიმონსი, "მთავრობები ერთიანად უგულვებელყოფდნენ თავიანთ პოზიტიურ პასუხისმგებლობას საგადამხდელი საშუალების კონტროლის საქმეში; ევროპი ინიციატივას ძალიან დიდი თავისუფლება ჰქონდა მიცემული ჩვენი ფინანსური სტრუქტურის განსაზღვრისა და ფულისა და ფულის შემცვლელის ცვლილების საქმეში."¹⁹ პროფესორ საიმონსს ფასების დონის სტაბილიზაციის "უალრესად მიმზიდველ" ფორმად ეჩვენებოდა ან გარკვეული რეფორმა ან ფულის რაოდენობის სტაბილიზაცია ზე კანონზომიერი გადასვლა. მაგრამ მიუხედავად იმისა თუ თამაშის რა წესს შემოიღებდნენ საბოლოოდ "ფულის და ფულის შემცვლელის გამოშვება უმეტესად მთავრობის ხელში უნდა ყოფილიყო".²⁰ პროფესორმა საიმონსმა უყოყმანოდ უარყო კეინზის მრავალი სქემა, რომელიც "თამაშის წესებს" კი არა დისკრეტულ ორგანოს მოითხოვდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ის სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ახალ ეკონომისტებს, კიდევ უფრო მეტად ცდილობდა შორს

¹⁷ See Milton Friedman, "The Monetary Theory and Policy of Henry Simons," *Journal of Law and Economics*, Vol. X, Oct. 1967, pp. 1-13.

¹⁸ *Economic Policy for a Free Society* (Chicago: The Univ. of Chicago Press, 1948) გვ. 168.

¹⁹ *Economic Policy*, გვ. 161, 162

²⁰ იქვე, გვ. 180.

²¹ იქვე, გვ. 176.

ყოფილიყო იმ ეკონომიკური პრინციპებისგან, "რომლის დაბრუნებასაც რეაქციონერები ცდილობდნენ", რადგან ეს პრინციპები "ალბათ ყველაზე უარესიათ."²¹

საიმონსის მოსწავლეა მილტონ ფრიდმანი, რომელმაც უამრავი ეკონომისტისა და კანონმდებლის გონება დაიპყრო. ურთულესი ამოცანაა ისეთი კოლორიტული პიროვნების ჯეროვნად დაფასება, რომლის დაულალავი შრომა და მტკიცე რწმენა განსაზღვრავდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქის ეკონომიკური დეპრესიების უმრავლესობათა დღის წესრიგს. ამიტომ, ამ ნარკვევში მისი მონეტარული თეორიის მხოლოდ მცირედადნი მიმოხილვით უნდა შემოვიფარგლოთ. მისი შეხედულებების მოკლე მიმოხილვის შემდეგ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ არსებით განსხვავებებზე, რაც ჩიკაგოს სკოლის ფულად-საკრედიტო თეორიას, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელი პროფესორი ფრიდმანია, და ავსტრიული სკოლის სუბიექტურ თეორიას შორის, რომლის საპატიო წარმომადგენელი ლუდვიგ ფონ მიზესია. ეს განსხვავებები უფრო დიდია, ვიდრე მსგავსება, რაც მრავალჯერ გვიღიარებია სხვადასხვა სფეროს ეკონომიკური ანალიზისას. პენრი საიმონსი ნათლად აცნობიერებდა ამ განსხვავებას, როდესაც "იმ ეკონომიკურ პრინციპებს უარყოფდა, "რასაც რეაქციონერები ეყრდნობოდნენ." უნდა ითქვას, რომ პროფესორი ფრიდმანი იშვიათად წერდა რაიმე კრიტიკას ცალკეული ეკონომისტების პუბლიკაციებზე. მისი ძირითადი სამიზნე კეინზიანური ორთოდოქსალობა იყო, რაც დღესაც ბატონობს. მან ურიცხვი ემპირიული ფაქტებით მრავალმხრივი შეტევა დაიწყო ახალ ეკონომიკურ მეცნიერებაზე და მისი პოლიტიკის ზედაპირულობა დაგვანახა. უფრო მეტიც, მან ფულს ის მნიშვნელოვანი ადგილი აუუდგინა, რომელიც ლორდ კეინზმა და მისმა მიმდევრებმა თეორიასა და პოლიტიკაში აღუუვადეს. იგი ყურადღებას ამახვილებდა მონეტარული პოლიტიკის ძალაზე და ეჭვქვეშ აყენებდა ფისკალური პოლიტიკისადმი კეინზიანურ რწმენას. მან ფულს რაოდენობრივი თეორიის ვერსია გადააკეთა და შემდეგ თავისი თეორიის ქრილში დიდი დეპრესიის რეინპრეტაცია მოახდინა.

ფრიდმანის პოზიცია აშკარად განსხვავდება კეინზიანურ ოპონენტთა პოზიციებისგან. ისინი ფულს მიმოქცევის სიჩქარეში არაპროგნოზირებადი ცვლილებებით გულგატეხილობის გამო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საიმედოობისადმი ეჭვს გამოთქვამენ. ამის საპირისპიროდ, ფრიდმანი ფულს მიმოქცევის სიჩქარის სტაბილურობას ამტკიცებს ანუ ფულზე სტაბილურ მოთხოვნას განსაზღვრული რაოდენობის ცვლადების სტაბილური ფუნქციის სახით. აქედან გამომდინარე, იგი ასკვნის, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება ეკონომიკური სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს²². პროფესორი ფრიდმანს რაოდენობრივი თეორია ისევე მართებულად მიაჩნია, როგორც უნინ. იგი წერს: "ეკონომიკაში ალბათ მეორე ასეთი ემპირიული დამოკიდებულება არ არსებობს, "რომ ასეთ სხვადასხვაგვარ ვარემოში ასე ერთნაირად განმეორებულყო, როგორც მოკლე პერიოდებში ფულის მარაგსა და ფასების ცვლილებებს შორის ურთიერთდამოკიდებულებებში შეინიშნება; ერთი მუდმივად დაკავშირებულია მეორესთან, თანაც იმავე მიმართულებით; ჩემი აზრით, ეს იმავე სახის ერთგვაროვნებაა, როგორც მრავალი სხვა კანონზომიერება, რაც ფიზიკურ მეცნიერებებს უდევს საფუძვლად."²²

²¹ Milton Friedman and David Meiselman, "The Relative Stability of Monetary Velocity and the Investment Multiplier in the United States, 1897-1958," *Stabilization Policies (The Commission on Money and Credit, Prentice-Hall, Inc., 1963)*. Milton Friedman, "A Monetary and Fiscal Framework for Monetary Stability," *American Economic Review*, June 1948, reprinted in *Essays in Positive Economics* (Chicago: Univ. of Chicago Press, 1953) pp. 133-156 and "Has Fiscal Policy Been Oversold?" *Monetary vs. Fiscal Policy, A Dialogue between Milton Friedman and Walter W. Heller* (New York: W. W. Norton & Co., 1969) pp. 43-62, 71-80.

²² *Studies in the Quantity Theory of Money* (Chicago: Univ. of Chicago Press, 1956) pp. 20-21.

ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება იმდენად რთული პრობლემაა, რომ მცირე ფისკალური და რეგულირების იმედად ვერ ვიქნებით. ამიტომ, პროფესორი ფრიდმენი მყარი მონეტარული ექსპანსიის მარტივ კანონს უჭერს მხარს, რომელიც ან შეიძლება თვითონ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შემოიღოს, ან კონგრესმა დაანესოს. მისი აზრით, ფასების დონის მაქსიმალური სტაბილიზაციისთვის საგადასმდელო საშუალების კურსი და ამასთანავე კომერციული ბანკების მთელი ანაბრები წელიწადში 3-5%-ით უნდა გაიზარდოს. გაზრდის კონკრეტული კურსი ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიქსირებული კურსის შემოღება, რომელიც ამ კურსის ფარგლებში იქნება²⁴. მონეტარული სამსახურების ვალაია, ისეთი სტაბილური მონეტარული ფონი შექმნან, რომელიც კანონზომიერ ეკონომიკურ სტაბილურობას შეუწყობს ხელს. ანტიციკლურ ქმედებას, რასაც კეინზის მიმდევრები გვთავაზობენ, ჩვეულებრივ დესტაბილიზაცია მოაქვს, რადგან "მთავრობა საგარეუდოდ ლონისძიების გაცხადებს; აუცილებლობას გვიან აცნობიერებს; შემდეგ კი, როდესაც მიხვდება, ქმედებას აგვიანებს; მერე კი ამ ქმედების შედეგები აგვიანებს."²⁵ მონეტარული რეფორმებსა და მის შედეგებს შორის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა არსებობს დროშიც. პროფესორი ფრიდმენის თანახმად, "არსებობს კავშირი, რომელიც საშუალოდ, ახლოს არის, მაგრამ რომელიც შეიძლება სრულიად ცვლადი იყოს ცალკეულ შემთხვევაში. ხაზგამით აღვნიშნე, რომ ამ ჩამორჩენას თუ ვერ დავადგენთ, ეს ნიშნავს, რომ არსებობს უამრავი ფაქტორი, რომლის შესახებაც არაფერი ვიცო. ეს არ ნიშნავს, რომ ფულს სისტემატური გავლენა არ აქვს, მაგრამ ნიშნავს, რომ ეს გავლენა ძალიან სხვადასხვაგვარია."²⁶

ფაქტობრივად, ფულადი შემოსავლის ცვლილებებს ძირითადად ფულის მარაგის ცვლილება იწვევს, რაც ეკონომიკურ ციკლებს ახასიათებს. ყველა დიდი დეპრესია 1870-იანი წლებიდან 1930-იანი წლებამდე ფულის მარაგის შემცირებით აიხსნება. მართალია, პროფესორი ფრიდმენი უამრავ სტატისტიკურ ფაქტს გვთავაზობს, მას არ სურს ეკონომიკური ციკლის ზუსტი თეორია შეიმუშაოს, რომელიც ამ კაზუალურ ურთიერთდამოკიდებულებას ახსნიდა. ფრიდმენის თანახმად, "ერთია დაადგინო, რომ ფულად-საკრედიტო ცვლილებები უმრავლეს შემთხვევაში ფულადი შემოსავლის დინების ძირითადი ფაქტორია, მაგრამ სულ სხვაა დეტალურად იცოდე რა მექანიზმი აკავშირებს ფულად-საკრედიტო ცვლილებას ეკონომიკურ ცვლილებასთან; როგორ გადადის ეს ცვლილება ერთიდან მეორეზე; პირველ რიგში ეკონომიკის რომელ სექტორზე ახდენს გავლენას; როგორ განისაზღვრება ამ ზემოქმედების დრო და ა.შ. ღრმად ვართ დარწმუნებული პირველი მოსაზრების სისწორეში. მაგრამ ნაკლებად ვართ დარწმუნებული, რომ გადაცემის მექანიზმებს ვიცნობთ, ასეთ ფართო და გაურკვეველ ვითარებაში ისეთი წარმოდგენა გვაქვს მათზე, რაც იმპრესიონისტული წარმოსახვა უფროა, ვიდრე შავზე თეთრით ფოტოგრაფიული სიზუსტით ნაწერი."²⁷ პროფესორი ფრიდმენი საესებით დარწმუნებულია, რომ დიდი დეპრესია ფულის მარაგის მკვეთრი და უპრეცედენტო შემცირების გარდაუვალი შედეგი იყო, რისთვისაც მთავარი პასუხისმგებლობა ფედერალურ სარეზერვო სისტემას ეკისრება. მან ვერ შექმნა საჭირო საბანკო რეზერვები, რაც საფასო დონის სტაბილურობას და აყვავებულ ეკონომიკას შეინარჩუნებ-

²⁴ A Program for Monetary Stability (Chicago: Univ. of Chicago Press, 1953) გვ. 91.

²⁵ Essays in Positive Economics (Chicago: Univ. of Chicago Press, 1953) გვ. 315.

²⁶ Monetary vs. Fiscal Policy, იქვე, გვ. 76. For further details on his lags hypothesis of. Essays in Positive Economics, იქვე, გვ. 133-156

²⁷ The Optimum Quantity of Money and other Essays Chicago: Aldine Publishing Co., 1969) გვ. 222.

²⁸ Milton Friedman and Anna J. Schwartz. A Monetary History of the United States, 1867-1960 (Nat'l Bureau of Economic Research, Princeton University Press, 1963) გვ. 300.

და. სარეზერვო სისტემამ არაფერი მოიმოქმედა, ფასდაკლების კურსიც კი არ ასწია იმ დროს, როდესაც ასობით ბანკმა ვერ გაუძლო საბანკო დანახარჯებსა და ზარალს²⁸.

ფრიდმენის აზრით, საჭირო რეზერვების შექმნაში ფულად-საკრედიტო ორგანოების ასეთი სავალალო წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მათზე "გარე ძალები" ბატონობდნენ, ანუ ოქროს მიმოქცევა უმოქმედობას ან შემცირებასაც კი კარნახობდა, შიდა ვითარება კი გაზრდას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკისთვის სასურველია ეროვნული დამოუკიდებლობა, რაც ოქროთი ანგარიშსწორების დაუყოვნებლივ შეჩერების გზითა და თავისუფლად მოტივტივე გაცვლითი კურსით უნდა იქნას მიღწეული. დაე, მსოფლიოს თავისუფალმა ბაზარმა დაადგინოს ოქროს ფასი, და არა აშშ მთავრობის მხრიდან "ფასების მხარდამჭერმა" ძვირადღირებულმა ზომებმა. პროფესორი ფრიდმენი გვარწმუნებს, რომ თუკი თავისუფალი მსოფლიო ასეთ სისტემას შემოიღებს, ქვეყნები შიდა მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობითა და მაქსიმალური საერთაშორისო თანამშრომლობით ისარგებლებენ²⁹.

ავსტრიული თეორია

მართალია, აქ ადგილი არ გვეყოფა დეტალურად განვიხილოთ ჩიკაგოს სკოლისა და ავსტრიული სკოლის ეპისტემოლოგიური განსხვავებანი, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ნაბრალს, რაც ჩიკაგოს სკოლას ავსტრიული სკოლისგან ყოფს ეპისტემოლოგიის ყველა საკითხში, რადგან ამ განსხვავებებმა თავისი კვალი დააჩინა ეკონომიკურ თეორიას. ჩიკაგოელები, განსაკუთრებით კი პროფესორი ფრიდმენი, ლოგიკური პოზიტივიზმის ვარიანტებს გვთავაზობენ, ხოლო ავსტრიელები მონეტარისტულ მეცნიერებას ადამიანური ცნობიერების ზოგადი თეორიის ჭრილში ხედავენ, რასაც პრაქსეოლოგია ჰქვია. ჩიკაგოელები მეცნიერთა თეთრ მანტიას იბურავენ, როცა ეკონომიკურ ფენომენს განიხილავენ. ისინი გამოცდილებაში ეძიებენ ცოდნას. პროფესორი ფრიდმენის "პოზიტიური" ეკონომიკა ეკონომიკური რეალობის აღწერილობას შეიცავს, რომელიც სასოებით იძლევა პროგნოზირების ინსტრუმენტებს. ჩვეულებრივ, უთანხმოება მიზნის თვალსაზრისით კი არ აქვთ, არამედ გარკვეული მიზნისკენ მიმართული პოლიტიკის შედეგების პროგნოზირების თაობაზე, რაც შეიძლება ემპირიული ფაქტებით გადაიჭრას³⁰. ავსტრიელი ეკონომისტები ეკონომიკას ერთიანად განსხვავებულ ჭრილში ხედავენ. მათთვის ეს არის პრაქსეოლოგიის დარგი, რომელიც წმიდად თეორიული და სისტემურია, მისი დოქტრინები გამოცდილებიდან მომდინარეობს, მაგრამ აპრიორულია, როგორც ლოგიკური და მათემატიკური, და წინ უსწრებს ნებისმიერი ეკონომიკური ფაქტისა თუ მოვლენის გაგებას. ეკონომიკა "რაოდენობრივი" არ არის და ადამიანის ქმედებას არ ზომავს, რადგან ინდივიდუალურ არჩევანსა და პრიორიტეტებს კონსტანტები არ არსებობს. ავსტრიელი ეკონომისტები გარწმუნებულნი არიან, რომ უკეთეს მეთოდებს არ ეძებენ, რადგან ისინი ხვდებიან, რომ ონტოლოგიურ საფუძველზე ეს ამაოა. ეკონომიკური მოვლენების სტატისტიკური კვლევა საინტერესო ისტორიულ ინფორმაციას გვთავაზობს განმეორებულ მონაცემებზე, მაგრამ ისეთ ცოდნას არ იძლევა, რომელსაც უნივერსალური ძალა ექნება. ისეთი მასალის შესაძლებლობას არ იძლევა,

²⁸ "The Case for Flexible Exchange Rates," in *Essays in Positive Economics*, იქვე, გვ. 157-203; აგრეთვე *A Program for Monetary Stability*, იქვე, გვ. 81-101.

²⁹ Milton Friedman, "The Methodology of Positive Economics," in *Positive Economics*, იქვე, გვ. 3-43.

³¹ Ludwig von Mises, *Human Action* (New Haven: Yale University Press, 1949) გვ. 30; აგრეთვე, *Theory and History* (New Haven: Yale University Press, 1957) გვ. 240; *Epistemological Problems of Economics* (Princeton, N. J.: D. Van Nostrand Co. 1960); *The Ultimate Foundation of Economic Science* (Princeton, N.J.: D. Van Nostrand Co., 1962); Friedrich A. Hayek, *The Counter-Revolution of Science* (Glencoe, Ill.: Free Press, 1952)

რისგანაც ეკონომიკური თეორიებია აგებული და არც მომავალი მოვლენების პროგნოზების საშუალებას იძლევა³¹.

ჩიკაგოელებისთვის ფულის მთავარი ფუნქცია ფასების განსაზღვრაა. მარშალიდან დაწყებული ფრიდმენამდე ფულს არასტაბილურობის გამო აკრიტიკებდნენ, რაც ზუსტ გამოხვედბებს უშლის ხელს და ამით ეკონომიკური და სოციალური ზიანი მოაქვს. ამას გარდა, მონეტარულ არასტაბილურობას ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ბიზნეს ციკლებზე, რომელსაც ისევ და ისევ საბაზრო ეკონომიკის ნგრევა მოაქვს. ნეტავი ფასების დონე დასტიბილურდებოდეს და ამით ფულს საშუალება ჰქონდეს თავისი ფუნქცია შეასრულოს! ავსტრიელი ეკონომისტებისთვის ფული ყველაზე გაყიდვადი რამ არის, რაც კაცს შეიძლება ჰქონდეს. ის არც არასადროს დებს "ისე" და არც არსადროს "ზრუნავს" უბრალოდ; მუდამ ვილაცის საკუთრებაშია, ან ვილაცის კონტროლქვეშ. ფულზე მოთხოვნილება ისეთივე განსჯას ექვემდებარება, როგორც მოთხოვნილება ნებისმიერ სხვა საქონელსა და მომსახურებაზე. ფულის საშოვნელად ხალხი შრომას ხარჯავს, ან ჯერ საქონელითა და მომსახურებით სარგებლობს. ამგვარად, ცალკეული მოთხოვნა-მიწოდება განსაზღვრავს ფულის მსყიდველობით უნარს, ისევე როგორც ყველა სხვა საქონლის ურთიერთგაცვლის თანაფარდობას. ავსტრიელი ეკონომისტების გაგებით ფულის რაოდენობრიობის თეორია უბრალოდ მოთხოვნა-მიწოდების ზოგადი თეორიის კიდევ ერთი შემთხვევაა. ისინი "მონეტარისტების" რაოდენობრიობის თეორიას უარყოფენ, როგორც გლობალურ თეორიას და მთავრობის ჩარევის იარაღს.

უნდა ითქვას, რომ ჩიკაგოელები კარგად იცნობენ იმ პრინციპებს, რომელიც ცალკეულ ფასებს განსაზღვრავს. მაგრამ მათი დასკვნები მაკროეკონომიკას ეხება, სადაც მთელი ფულის მარაგი და მოცემული სიჩქარე განსაზღვრავს ფასის დონეს. ამიტომ, ისინი ფასების სტაბილუზაციას და ბიზნეს-ციკლების საშველად მთავრობას სთხოვენ ზომების გატარებას. ამ თვალსაზრისით ისინი ახლოს არიან კეინზის მიმდევრებთან, რომლებიც აგვრთხვენ მთავრობის მანიპულაციებით ცდილობდნენ სტაბილუზაციის მიღწევას. მაგრამ კეინზის მიმდევრები კომპენსაციურ ფისკალურ პოლიტიკას უწევდნენ რეკომენდაციას, ჩიკაგოელები კი ხედებოდნენ, რომ ამაო იყო ხანგრძლივად მცირე რეგულირების იმედად ყოფნა და ამიტომ, გრძელვადიანი სტაბილურობის მიღწევას ცდილობდნენ ფულის მარაგის 3-5 %-იანი ურყევი ზრდით. ავსტრიული თეორიის ქრილში ფულის მარაგის ასეთი ზრდა არასწორ ინვესტიციებსა და არასწორ რეგულირებას ანუ რეცესიას წარმოშობდა. პროფესორ მიზესის სავაჭრო ციკლების თეორიის მიხედვით კრედიტის გაზრდის ყველა შემთხვევაში ეკონომიკის ერთი პროცენტთან 100 პროცენტამდე ზრდა-ვარდნაა მოსალოდნელი. დიდი ზრდის შედეგები ვერ დაიმალება, უბრალოდ, ეს ცუდი რეგულირების საშიშროებას და დარეგულირების აუცილებლობას გამოიწვევს. იმ შემთხვევაშიც კი თუ ფულად-საკრედიტო ორგანოები ზომიერად გაზრდიან კრედიტს და ფასების უმეტესობა დაინვეს, ფიდუციარული ფონდების ინექცია სარგებელს გააყალბებს, რაც მცდარ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს გამოიწვევს. თუ კრედიტის ზრდა მთელ სესხის ბაზარს კი არ შეეხება, არამედ ფულად-საკრედიტო ორგანოების შეხედულებისამებრ გარკვეული მრეწველობისთვის იქნება გამიზნული და ამ მრეწველობის არასწორი რეგულირების კიდევ უფრო სერიოზული ზრდა იქნება მოსალოდნელი. მოკლედ, თუ საგადაამხდელი საშუალებათა სამსახურები ფიდუციარულ კრედიტს გაზრდიან, რითაც სარგებელი დაინვეს, ეკონომიკური წარმოების დეფორმირება მოხდება. ამის შედეგად თავიდან ქარბი ინვესტიციები წავა წარმოების საშუალებებზე და მათი ფასები აინვეს, სამომხმარებლო საქონლის წარმოება კი შეჩერდება. მაგრამ რეალური დანაზოგების ნაკლებობა საინვესტიციო ბუმს ბოლოს მოუღებს. ბუმი წარმოების ფასების კოეფიციენტის ზრდას იწვევს, რაც სანარმოო დანახარ-

ჯებს წარმოადგენს. ბოლოს, როდესაც რენტაბელურობა ეჭვქვეშ დადგება, წარმოების საშუალებების მრეწველობაში რეცესია დაიწყება. რეცესია დარეგულირების პერიოდაა, ანუ არასწორი ინვესტირების ლიკვიდირება მოხდება და დიდი ხნის უგულვებელყოფილი სამომხმარებლო საქონლის მრეწველობა ისევ მოიზიდავს რესურსების ჯეროვან ნილს ქვეშარტი მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის შესაბამისად²².

ფაქტობრივად მონეტარისტებს ბიზნეს-ციკლების არანაირი თეორია არ აქვთ შემუშავებული, მხოლოდ დარეგულირება აძლევენ მთავრობას, რომ "მისი სტაბილურობა შეინარჩუნოს". ფიშერიდან ფრიდმენამდე დეპრესიის ანტიდოტი მუდამ ერთი რამ იყო: ხელახალი ინფლაცია. ყველაფერში ცენტრალური ბანკია დამნაშავე, რომელიც კრედიტის შემცირების ნებას იძლევა. თუ რეცესია იქნება მან უფრო მეტი ფული უნდა გამოუშვას და თუ ინფლაცია იქნება, ანუ ფასების დონე აიწევს, მან ნაწილი უნდა ამოიღოს ბრუნვიდან. როგორც ჩანს, თვითონ პროფესორი ფრიდმენი ბიზნეს-ციკლის თეორიის ნაკლებობას აცნობიერებს, როდესაც "ჩვენს ცნობიერებაში ტრანსმისიის მექანიზმის დამაჯერებლობის ნაკლებობას" აღიარებს. ის "ტექნიკური სიზუსტით" კი არ ხვდება, რომ "ფულის შამოსავალის დიდი მოძრაობის გასაღები" ფულად-საკრედიტო ცვლილებებია, არამედ მხოლოდ "იმპრესიონისტული წარმოსახვით". აქედან გამომდინარე, მისი "ნაპრალის პიპოთეზა" მიზნად ისახავს თეორიის ნაკლებობა შეავსოს და შეცდომების გამოსწორების საშუალება მისცეს. ის ცდილობს თეორიების გარეშე დაარეგულიროს რეცესია.

და მაინც, ჩიკაგოელები ხმამაღლა აცხადებენ, რომ საერთოდ ბიზნეს რეცესია, კონკრეტულად კი დიდი დეპრესია, მონეტარული შემცირებების შედეგია. სიმპტომებს გამომწვევ მიზეზებად მიიღებან ისინი იმ პოლიტიკას მიაწერენ, რითაც ამ სიმპტომებს უნდა უმკურნალონ. მაგრამ მკურნალობა, რაც ხელახალ ინფლაციას გულისხმობს, არასწორ მმართველობას კიდევ უფრო ამძიმებს და ხელს უშლის საჭირო რეგულირებას. ამგვარად, ნებისმიერ შემთხვევაში ჩიკაგოელების ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არათუ გაახანგრძლივებს რეცესიას, არამედ რეცესიის მანძილზე მრავალი საქონლის ფასის აწევას გამოიწვევს. ავსტრიელი ეკონომისტები სულ სხვა ქრილში ხედავენ დიდ დეპრესიას. ისინი მარტივ ფისკალურ და მონეტარისტულ ახსნას უწინააღმდეგებენ არ აქცევენ და მის ნაცვლად კონკრეტული პოლიტიკის ავსტრიული თეორიის ქრილში გაანალიზებას ცდილობენ. მათი აზრით, დიდი დეპრესია დამანგრეველი პოლიტიკის გარდაუვალი შედეგი იყო, რაც თავიდან აცილავთ დაიწყო, მოგვიანებით კი დეპრესიით გაგრძელდა. პირველ ფაზას 1924 წელს მიეცა დასაბამი კულიჯის ადმინისტრაციის დროს, როდესაც ფედერალური რეზერვების სისტემამ კრედიტის მასიურ ზრდას მიჰყო ხელი. ბიზნესის მკვეთრად დაცემისას ფედერალური რეზერვების სისტემამ \$500 მილიონიანი ახალი კრედიტის შექმნა გადაწყვიტა, რამაც საბანკო კრედიტის \$4 მილიარდამდე გაზრდა გამოიწვია ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში. 1927 წელს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ კრედიტების კიდევ ერთი ჯერი გაუშვა, რაც 1928 წელსაც გაგრძელდა. ფედერალური რეზერვების \$400 მილიონიანი ახალი კრედიტი შეიქმნა, რამაც დისკონტის განაკვეთი შეამცირა და კრედიტის ზრდა გამოიწვია. შეერთებული შტატების ბანკებს გარეთ დარჩენილი მთელი საგადამხდელო საშუალება, ვადიანი და უვადო ანაბრები თუ 1924 წლის ივნისის ბოლოსთვის \$44.71 მილიარდი იყო თანდათანობით 1927 წლისთვის \$53.4 მილიარდამდე გაიზარდა და 1929 წლის ოქტომბრისთვის \$57.158 მილიარდამდე²³. ამგვარად, შეერთებული შტატების

²² Ludwig von Mises, *The Theory of Money and Credit* (first German edition in 1912; English ed. New Haven: Yale University Press, 1953) გვ. 365; აგრეთვე, *Human Action*, იქვე, გვ. 535; აგრეთვე, F.A. Hayek, *Monetary Theory and the Trade Cycle* (first German edition in 1929; English ed. A.M. Kelley, 1966); *Profits, Interest and Investment* (London: G. Routledge and Sons, 1939).

²³ Milton Friedman and Anne J. Schwartz, *A Monetary History of the United States, 1867-1960*, იქვე, გვ. 711, 712.

მთავრობა ქარს თესავდა, ხალხს კი ეკონომიკური ქარიშხალი ელოდა, რაც უმონწილო ეკონომიკური კანონით აუცილებლად ამოვარდება ხოლმე. კულიჯის ადმინისტრაციის მიერ ფულის და კრედიტის ექსპანსიამ 1929 წელი გარდაუვალი გახადა.

1930 წლისთვის ამერიკის ეკონომიკამ კატასტროფა განიცადა, რასაც დღეს "რეცესიას" ეწოდებთ. რადგან დეპრესიის ახალი მიზეზები არ არსებობდა, მომდევნო წელს გაუმჯობესება უნდა მომხდარიყო რეგულირების გზით, როგორც ყველა წინა ციკლის დროს ხდებოდა. ღრმა კრისზისმა რა შედეგიც მოიტანა მეტი რალა უნდა მოჰყოლოდა?

ჰუვერის ადმინისტრაციამ დიდი ხნის ტრადიცია ანუ რესპუბლიკური პარტიის საერთაშორისო ვაჭრობისადმი მტრობილი დამოკიდებულება გააგრძელა და უცხოური იმპორტის შემცირება დაიწყო. 1930 წლის ივნისის პოლი-სმუთის ტარიფების აქტით ამერიკული ტარიფები უპრეცედენტო დონემდე გაიზარდა, რამაც პრაქტიკულად საზღვრები ჩაუკეტა უცხოურ საქონელს. მრავალი თეორეტიკოსი ეკონომისტის თანახმად ეს 1920-1933წწ. მთელი პერიოდის დამავიწროვებელი წინდაუხედაობა და ნამდვილი დეპრესიის დასაწყისი იყო. "რაკი ტარიფები ავნიეთ", ნერდა ბენჟამინ ანდერსონი თავის დიდებულ ტრაქტატში, "მთელ მსოფლიოში ტარიფების აწევის და სხვა სავაჭრო ბარიერების აღმართვის, მათ შორის კვოტების დაწესების, შეუქცევადი რეაქცია დაიწყო. მსოფლიოში პროტექციონიზმი აბობოქრდა. ბაზრები შემცირდა, სავაჭრო ხაზები შეიზღუდა. მთელ მსოფლიოში დიდი სისწრაფით გაიზარდა უმუშევრობა ექსპორტის ინდუსტრიაში."³⁴ მაგრამ სულ ეს არ იყო. 1932 წლის შემოსავლების აქტით შემოსავლების გადასახადი გაორმაგდა. ამ აქტმა ამერიკის ისტორიაში ფედერალური საგადასახადო ტვირთის ყველაზე მკვეთრი ზრდა დაანება. გამონაკლისები შემცირდა, "საკრედიტო შემოსავლების გამომუშავება" შეწყდა. ნორმალური საგადასახადი ტარიფი 1 $\frac{1}{2}$ - 5% -დან 4 - 8% -მდე გაიზარდა, დამატებითი გადასახადი კი 20%-დან მაქსიმალურ 55%-მდე. კორპო-რაციულმა საგადასახადო ტარიფმა 13 $\frac{1}{2}$ --დან 14 $\frac{1}{2}$ -მდე აიწია. უძრავი ქონების გადასახადი გაიზარდა, ნაწილობრივ გადასახადის კურსმა კი 7%-დან 33 $\frac{1}{2}$ % მიაღწია. როდესაც შტატებს და ადგილობრივ მთავრობებს მცირე საგადასახადო შემოსავალი დარჩათ, ისინიც ფედერალური მთავრობის გზას დაადგინენ და ახალი გადასახადები შემოიღეს. თავის ოფიციალურ ნაშრომში "ამერიკის დიდი დეპრესია" მარი როთბარდმა დიდი დეპრესიის პერიოდში მთავრობის ფისკალური ტვირთის უზარმაზარი ზრდა დაადგინა: მთლიანი შიდა პროდუქტის ფედერალური ღირებულება 5%-დან დაახლოებით 8%-მდე გაიზარდა, სუფთა კერძო პროდუქტის კი 6%-დან 10%-მდე. შტატების და ადგილობრივი მთავრობის ზედნადები ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტზე 9%-დან 16%-მდე გაიზარდა, სუფთა კერძო პროდუქტზე კი 10%-დან 19%-მდე. მთლიანი სახელმწიფო ზედნადები ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტზე 14.3%-დან 24%-მდე გაიზარდა, სუფთა კერძო პროდუქტზე კი 15.7%-დან 28.9%-მდე³⁵. მოკლედ, დეპრესიის დროს მთავრობის ზედნადები ხარჯები თითქმის გაორმაგდა, რაც ნებისმიერ ეკონომიკას დააჩოქებდა.

რუხველტის ახალი კურსის დროს შიდა ორგანიზებულობამ სძლია თავისუფლებას. მისი წინამორბედის ჰუვერის მსგავსად რუხველტს სურდა ფედერალური მთავრობა ყოფილიყო მმართველი ძალა. ის არ დაკმაყოფილდა იმ ეკონომიკური ბარიერების მოხსნით, რაც მისმა წინამორბედმა აღმართა. მის ნაცვლად მან საკუთარი აავო, როგორცია, "ნაციონალური მრეწველობის აღდგენის აქტის" შედეგად ფართო სამრეწველო რეორგანიზაცია, მაღალი საშემოსავლო გადასახადი, უძრავი ქონების გადასახადი, ბიზნესის გადასახადი, "ვანერის კანონი", რომელმაც ამერიკის შრომით ურთიერთობებში რეგულაცია მოახდინა, "კანონი

³⁴ Economics and the Public Welfare (Princeton, N.J.: D. Van Nostrand, 1949) გვ. 225.

³⁵ America's Great Depression (Princeton, N.J.: D. Van Nostrand, 1963) გვ. 303.

ხელფასის და სამუშაო საათების შესახებ", რამაც დიდად შეამცირა შრომის მწარმოებლურობა და შრომის ღირებულება გაზარდა, და სხვა აურაცხელი ნორმები და შეზღუდვები. ამგვარად ამერიკის ეკონომიკა დეპრესიის უფსკრულიდან ვერ ამოვიდოდა, სადაც პირველად რესპუბლიკელების ადმინისტრაციის რადიკალურმა ჩარევამ გადაჩეხა და შემდეგ დემოკრატების "ახალი კურსის" წყალობით ჩარჩა. ინდივიდუალური სანარმოს, ეკონომიკური გაჯანსაღების ამ მთავარ მამოძრავებელ ძალას, უბრალოდ გასაქანი არ ჰქონდა.

ისტორიული და მეცნიერული გაგებით, ჩიკაგოს და ავსტრიული სკოლები სხვადასხვა სამყაროა. ჩიკაგოელების თანახმად, ფული მთავრობის პროდუქტია, რომელიც იქმნება და იმართება პოლიტიკური პროცესით დადგენილი თამაშის გარკვეული წესით. ავსტრიელი ეკონომისტებისთვის კი ფული სავაჭრო საქონელია, მაგალითად, ოქრო და ვერცხლი როგორც ფართოდ მიღებული გაცვლითი საშუალება. ეს არის ადამიანების მიერ სპონტანურად შემოტანილი სავაჭრო პროდუქტი. ბანკნოტები და ვაღიანი ანაბრები უბრალო შემცვლელებია და ღირებულებას შესაბამისი ფულისგან იძენენ. ეს ეკონომისტები იმის გამო მოთქვამენ, რომ მთავრობამ სასაქონლო ფული მიიტაცა და დეკრეტული ფულით შეცვალა, რასაც სწრაფი ინფლაცია და გაუფასურება ახასიათებს. ისინი მზარს უჭერენ ორთოდოქსალურ ოქროს სტანდარტს, რაც ფულის ღირებულებას მთავრობისგან დამოუკიდებელს ხდის, რადგან არსებული ოქროს მარაგი მთავრობის მოხელეთა და პოლიტიკოსთა, პარტიებისა და გავლენიანი ჯგუფების სურვილებსა და მანიპულაციებზე არ არის დამოკიდებული. მონეტარისტები ერთხმად უარყოფენ ოქროს სტანდარტს. მაგრამ როდესაც მთავრობის დეკრეტული ფულის "წმინდა მეცნიერულ საფუძვლებზე" მსჯელობენ ფულად-საკრედიტო თავისუფლებას მხოლოდ სიტყვიერად აღიარებენ. პროფესორი ფრიდმენი ოქროს შექნის და მისი გამოყენების ქონების და ეკონომიკური გაცვლის ნებისმიერ სფეროში მისი გამოყენების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ პარადოქსია, რომ იგი დეკრეტული ფულის სტანდარტის შემოღებასაც ცდილობდა. როგორც ჩანს, იგი ვერ აცნობიერებდა, რომ ფულად-საკრედიტო თავისუფლება მალე "პარალელურ სტანდარტს" წარმოშობდა, რომელიც ადამიანებს საშუალებას მისცემდა "ოქროს კონტრაქტები" და "ოქროს შეთანხმებები" დაედოთ, რაც ანგარიშსწორების საზომად ოქროს მოითხოვდა. ამგვარად, ინდივიდუალური თავისუფლებაც კი, რასაც არც რეფორმის კანონი სჭირდებოდა, არც განაღდება და არც პარიტეტი, არც თამაშის წესები, ოქროს სტანდარტთან დაგვაბრუნებდა რადგან თავისუფალი ადამიანები მთავრობის ქალაქს ოქროს ამჟობინებენ³⁴.

ჩიკაგოს სკოლის ფულად-საკრედიტო თეორიის მზარდი გავლენის გამო, აშშ მთავრობამ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ოქროზე გაცვლის სტანდარტის უკანასკნელი ნარჩენებიც მოიშოროს (ასე მოხდა კიდევ 1971 წელს, ბრეტონ-ვუდსის ხელშეკრულების გაუქმებით და 1973 წელს დოლარის ოქროზე რეზერვირების გაუქმებით. რედ. შენ.). მონეტარისტები სიხარულით შეხვდებიან დეკრეტული ფულის ოქროზე გამარჯვებას, მაგრამ ავსტრიელი ეკონომისტებისთვის ასეთი ნაბიჯი უბრალოდ თავისუფალი სამყაროს მონეტარულ ბლოკებად დაყოფა იქნება, რაც უფრო მეტ ინფლაციას და გაუფასურებას გამოიწვევს. ამით კი უბრალოდ ახალი ფურცელი გადაიშლება მონეტარულ თავისუფლებასა და მთავრობის კონტროლს შორის საუკუნოვან ბრძოლაში.

³⁴ Cf. Hans F. Sennholz, *Inflation or Gold Standard* (Lansing, Mich.: Constitutional Alliance, 1970).



ალან გრინსპენი

1926

ალან გრინსპენი (Alan Greenspan) ამერიკელი ეკონომიტი. დაიბადა ებრაულ ოჯახში ნიუ-იორკში. სწავლობდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, სადაც 1950 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში. მოგვიანებით, 1977 წელს, იგივე უნივერსიტეტმა მას ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 2005 წელს კომერციულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

1948-1953 წლებში გრინსპენი ეკონომიკურ ანალიტიკოსად მუშაობს ნიუ იორკის ბიზნეს-ინდუსტრიულ კვლევით ჯგუფში. 1955-2005 წლებში გრინსპენი ნიუ-იორკის ეკონომიკურ-საკონსულტაციო ფირმის "ტაუნსენდ-გრინსპენ და კომპანიის" თავმჯდომარე და შემდეგ პრეზიდენტი ხდება. ამავე დროს 1974-1977 წლებში გრინსპენი ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეა პრეზიდენტ ჯერალდ ფორდთან, ასევე კორპორაციულ დირექტორად მსახურობდა სხვადასხვა კერძო დაწესებულებებში

პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ალან გრინსპენი 1987 წელს დანიშნა ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარის პოსტზე და მას შემდეგ რამდენიმე ოთხწლიანი ინტერვალებით ხელახლა იქნა დანიშნული 2006 წლის 31 იანვარს პენსიაზე გასვლამდე. გრინსპენის პირველი წარმატება, პოსტზე მისი დანიშნვიდან მცირე ხანში მომხდარი სააქციო ბირჟის კრაშის (შავი ორშაბათი) შედეგების შემსუბუქება და 1990-იან წლებში ინტერნეტის სწრაფი გავრცელებით შექმნილი "დოტ-კომ" ეკონომიკური ზრდის (რომლის კულმინაცია 2000 წლის მარტში სააქციო ბაზრის კრაში გახდა) მართვა იყო.

ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ბრიტანეთის ხაზინის მეთაურის საპატიო (გასამრჯელოს გარეშე) პოსტზე თანხმდება.

2001 წლიდან მას მწვავედ აკრიტიკებდნენ ფედის ტრადიციული მონეტარული პოლიტიკიდან გადახრისა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის გადამეტებული მხარდაჭერისთვის. მიუხედავად ამისა, გრინსპენი მაინც ითვლება ნამყვან ავტორიტეტად ამერიკის შიდა ეკონომიკასა და მონეტარულ პოლიტიკაში.

გრინსპენის მთავარი ნაშრომებია: "სტაბილური ფასის მიღწევა" (2001), "კაპიტალის ბაზრის შეცვლა, მონეტარული პოლიტიკის შედეგები" (2001), "მონეტარული პოლიტიკის ახალი გამოწვევები" (2002), "ბიუჯეტის დეფიციტი და ვალი: გამოსავლები და პარამეტრები" (2004).

ალან გრინსპენი

ოქრო და ეკონომიკური თავისუფლება¹

თარგმნა თენგიზ ვერულავამ

ოქროს სტანდარტის მიმართ თითქმის ისტერიული აგრესია არის საკითხი, რომელიც აერთიანებს ყველა მრწამსის სახელმწიფო ჩარევების მომხრეს, ჩაურევლობის (laissez-faire) ბევრი თანმიმდევრული დამცველისგან განსხვავებით. ამ უკანასკნელისათვის ოქრო და ეკონომიკური თავისუფლება ერთმანეთისაგან განუყოფელია და ოქროს სტანდარტი წარმოადგენს ჩაურევლობის პოლიტიკის ინსტრუმენტს.

ამ ორ მიმართულებას შორის ანტაგონიზმის მიზეზის ასახსნელად, უპირველესად საჭიროა გავიგოთ თავისუფალ საზოგადოებაში ოქროს როლი.

ფული ყველა ეკონომიკური გარიგების საერთო მნიშვნელია. ფული წარმოადგენს საქონელს რომელსაც აქვს გაცვლის ფუნქცია, რომელიც ყველა მონაწილესათვის საყოველთაოდ მისაღებია და გამოიყენება საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდისთვის. ფული შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც საბაზრო ღირებულების სტანდარტი, მას აქვს ღირებულება როგორც დაგროვების საშუალებას, ანუ დაზოგვის ფუნქცია.

ასეთი საქონლის არსებობა წარმოადგენს შრომის განაწილების წინაპირობას. თუ ადამიანს არ აქვს ობიექტური ღირებულების საქონელი, რომელიც ზოგადად მისაღებია, როგორც ფული, იგი იძულებულია მიმართოს პრიმიტიულ ბარტერს, ან იძულებული ხდება იარსებოს თვითკმარ მეურნეობებში და უარყოს სპეციალიზაციის შეუფასებელი უპირატესობა. თუ ადამიანისთვის არ აქვს მნიშვნელობა დაგროვებას, ანუ დაზოგვას, მაშინ არც გრძელვადიანი დაგეგმვა და არც გაცვლა არ იქნება შესაძლებელი.

ეკონომიკაში ყველა მონაწილესათვის მისაღები გაცვლის საშუალებები თვითნებურად არ არის დადგენილი. უპირველესად, გაცვლის საშუალება უნდა იყოს მყარი. დაბალშემოსავლიან პრიმიტიულ საზოგადოებაში ხორბალი შესაძლოა საქმარისად მყარი გაცვლის საშუალება აღმოჩნდეს, რადგან ყველა სახის გაცვლა-გამოცვლა მხოლოდ მოსავლის აღებისას ან დაუყოვნებლივ მის შემდეგ შესაძლებელია განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში, შესანახად ნამეტი ღირებულება არ რჩება. მაგრამ იმ საზოგადოებაში, სადაც შენახვის ღირებულება მნიშვნელოვანია, კერძოდ, უფრო მდიდარ, უფრო ცივილიზებულ საზოგადოებებში გაცვლის საშუალებად გამოიყენება უფრო მყარი საქონელი, როგორც ნუმი, ლითონის. ლითონი არჩეულ იქნა იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ერთგვაროვანს და ჯერადს: მისი შემადგენელი ყოველი ერთეული არის იგივე, როგორც ყველა სხვა, და იგი შეიძლება შერეულ იქნას ან ჩამოყალიბდეს ნებისმიერი რაოდენობით. შედარებისათვის, მაგალითად ძვირფასი სამკაულები არც ერთგვაროვანია და არც ჯერადი.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გასაცვლელად არჩეული საქონელი უნდა იყოს ფუფუნების საგანი. ფუფუნებაზე ადამიანის სურვილები შეუზღუდავია და ამიტომ, ფუფუნების საქონელზე მუდამ მოთხოვნა და მუდამ იქნება ყველასათვის მისაღები. ხორბალი ფუფუნებაა ლარიბი, გამოუკვებავი ცივილიზაციებისთვის, მაგრამ არა აყვავე-

¹ ნაშრომი გამოქვეყნდა 1967 წელს ეინ რენდის წიგნში "კაპიტალიზმი, უცნობი იდეალი", როგორც ალან გრინსპენის დამატებითი სტატია.

ბული საზოგადოებისათვის. სიგარეტი, ჩვეულებრივ, ვერ მოგვემსახურება, როგორც ფული, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში იგი განიხილებოდა როგორც ფუფუნების საგანი. ტერმინი "ფუფუნების საქონელი" გულისხმობს დეფიციტს და ერთეულის მაღალ ღირებულებას. ერთეულის მაღალი ღირებულების ქონის გარდა, ასეთი საქონელი ადვილად გადასატანია; მაგალითად, ერთი უნცია ოქრო ღირს ნახევარი ტონა რკინის სადნობი.

ფულადი ეკონომიკის განვითარების ადრეულ სტადიებზე, გაცვლის რამდენიმე საშუალება შეიძლება იქნეს გამოყენებული, რადგან საქონლის ფართო სპექტრმა შეიძლება შესარულოს ზემოაღნიშნული პირობები. თუმცა, ერთ-ერთი საქონელი თანდათანობით ჩაანაცვლებს სხვებს, რომელიც უფრო ფართოდ მისაღები იქნება გაცვლისათვის. ჩანაცვლება პროგრესს განიცდის და თანდათან საქონელი ერთპიროვნული გაცვლის საშუალება ხდება. ერთი გაცვლის საშუალების გამოყენება უფრო მომგებიანია იმ მიზეზით, რომ ფულადი ეკონომიკა აღემატება ბარტერულ ეკონომიკას: იგი გაცვლებს შესაძლებელს ხდის უფრო ფართო მასშტაბით.

გაცვლის საშუალებად ოქროს, ვერცხლის, ზღვის ნიჟარების, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ან თამბაქოს გამოყენება დამოკიდებულია კონტექსტზე და მოცემული ეკონომიკის განვითარებაზე. ფაქტიურად, როგორც გაცვლის საშუალება, სხვადასხვა დროს შესაძლოა ყველა იქნეს გამოყენებული. ამ საუკუნეში, ორი მთავარი საქონელი, ოქრო და ვერცხლი, გამოყენებულ იქნა, როგორც საერთაშორისო გაცვლის საშუალება. ოქროს უფრო დომინანტური ადგილი უკავია, რადგან მას აქვს როგორც მხატვრული, ასევე ფუნქციური გამოყენება, ამასთან შედარებით იშვიათად მოიპოვება და ყოველთვის ითვლებოდა ფუფუნების საგნად. იგი არის გამძლე, ადვილად გადასატანი, ერთგვაროვანი, ჯერადი, და, შესაბამისად, აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობები გაცვლის ყველა სხვა საშუალებასთან შედარებით. პირველ მსოფლიო ომამდე იგი პრაქტიკულად წარმოადგენდა გაცვლის ერთადერთ საერთაშორისო სტანდარტს.

თუ ყველა საქონელის და სერვისის გადახდა ოქროთი უნდა განხორციელდეს, მსხვილი გადახდების შესრულება რთული იქნება, და ეს, როგორც წესი, ზღუდავს შრომისა და სპეციალიზაციის საზოგადოების დანაწილების ხარისხს. ამიტომ გაცვლის საშუალების შექმნის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს საბანკო სისტემისა და საკრედიტო ინსტრუმენტების (ბანკნოტები და ანაბრები) განვითარება, რომლებიც მოქმედებენ, როგორც შემცველები, მაგრამ ოქროთი განაღდებადი.

ოქროზე დაფუძნებულ თავისუფალ საბანკო სისტემას შეუძლია გააფართოვოს კრედიტი და ამისთვის გამოუშვას ბანკნოტები და გახსნას ანაბრები, ეკონომიკაში წარმოების მოთხოვნილებების შესაბამისად. ოქროს ინდივიდუალური მფლობელები დაინტერესებულნი იქნებიან, სარგებლის გადახდის გამო, საკუთარი ოქრო ჩააბარონ ბანკს. მაგრამ ყველა მენაბრე ერთი და იგივე დროს არ ითხოვს ოქროს. ბანკირი ცდილობს ოქროში რეზერვის სახით შეინარჩუნოს ანაბრების საერთო მოცულობის მხოლოდ ნაწილი და გასცეს კრედიტები მეტი ოდენობით, ვიდრე მის ხელთ არსებული ოქროს მარაგის მოცულობაა (ანუ ოქროზე მოთხოვნა აღემატება ბანკისათვის სესხად მიბარებულ ოქროს). მაგრამ სესხების მოცულობა ხელაღებით არ დგინდება: მის დასადგენად ბანკი იყენებს რეზერვებისა და საინვესტიციო მდგომარეობის შეფასებას.

როდესაც ბანკი სესხად გასცემს თანხას პროდუქტიული და მომგებიანი საწარმოების დასაფინანსებლად, სესხის გადახდა ხდება სწრაფად და სესხის გაცემა ისევ შესაძლებელია. მაგრამ როდესაც ბანკის კრედიტებით ფინანსდება ნაკლებად მომგებიანი კომერციული საწარმოები და დავალიანების გადახდა შენელებული ტემპით მიმდინარეობს, ბანკირები

მალე აღმოაჩინენ, რომ მათ მიერ გაცემული სესხები მათ ოქროს მარაგს აჭარბებს, და ისინი იწყებენ ახალი სესხების გაცემის შემცირებას, ჩვეულებრივ, მაღალი სარგებელის დანესებით. აღნიშნული, როგორც წესი, ზღუდავს ახალი სანარმოების დაფინანსებას და არსებული მსესხებლებისგან მოითხოვს მათი მომგებიანობის ამალგებას, ვიდრე შემდგომი გაფართოებისთვის კრედიტს აიღებდნენ. ამდენად, ოქროს სტანდარტის დროს, თავისუფალი საბანკო სისტემა წარმოადგენს ეკონომიკის დაბალანსებული ზრდის დამცველს.

როდესაც ოქრო, როგორც გაცვლის საშუალება, მიღებულია უმრავლეს ან ყველა ქვეყანაში, შუღლუდავი, თავისუფალი საერთაშორისო ოქროს სტანდარტი ხელს შეუწყობს მსოფლიოს მასშტაბით შრომის დანაწილებას და ფართო საერთაშორისო ვაჭრობას. მიუხედავად იმისა, რომ გაცვლის ერთეულები (დოლარი, ფუნტი, ფრანკი, და ა.შ.) განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც ყველაფერი ოქროთი არის განსაზღვრული სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკები მოქმედებენ, როგორც ერთიანი - სანამ არ არსებობს შეზღუდვები ვაჭრობის ან კაპიტალის გადაადგილების თვალსაზრისით. კრედიტებს, სარგებლებს და ფასებს აქვთ ტენდენცია მიჰყვნენ სხვა ქვეყნების ანალოგიურ ტენდენციებს. მაგალითად, თუ ბანკები ერთ ქვეყანაში კრედიტებს ძალიან ლიბერალურად გასცემენ, ასეთ ქვეყნებში სარგებლის განაკვეთს აქვს ვარდნის ტენდენცია, რის გამოც მეანბარეები ცდილობენ თავიანთი ოქრო გადაიტანონ სხვა ქვეყნების მაღალი განაკვეთის მქონე ბანკებში. ეს კი, დაუყოვნებლივ გამოიწვევს საბანკო რეზერვების დეფიციტს "იოლი ფულის" ქვეყნებში, რაც თავის მხრივ, გაამკაცრებს კრედიტების გაცემის სტანდარტებს და კიდევ ერთხელ დააბრუნებს კონკურენტულ ან უფრო მაღალ სარგებლებს.

სრულად თავისუფალი საბანკო სისტემა და ოქროს სტანდარტთან სრულად შესაბამისი სისტემა ჯერჯერობით არსად არ არის მიღწეული. მაგრამ პირველ მსოფლიო ომამდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში (და მსოფლიოს ბევრ ქვეყნებში) საბანკო სისტემა დაფუძნებული იყო ოქროზე, და მიუხედავად იმისა, რომ მთავრობები ზოგჯერ ახორციელებდნენ ჩარევებს, ბანკები უფრო თავისუფალნი იყვნენ, ვიდრე კონტროლირებადი. პერიოდულად, კრედიტების სწრაფი გაფართოების შედეგად, ბანკები სესხებს გასცემდნენ თავიანთი ოქროს რეზერვების ლიმიტის დონემდე, ახალი კრედიტები წყდებოდა, რაც განაპირობებდა სარგებლების მკვეთრ ზრდას და ეკონომიკა შედიოდა მწვავე, მაგრამ მოკლე რეცესიაში (1920 და 1932 წლების დეპრესიებთან შედარებით, პირველ მსოფლიო ომამდე წარმოების ვარდნები ზომიერ ხასიათს ატარებდა). იგი შეზღუდული იყო ოქროს მარაგის არსებობით, რაც აკავებდა წარმოების აქტივობის გაუნონასწორებელ გაფართოებას. გარდაქმნის პერიოდები ხანმოკლე იყო და ეკონომიკა სწრაფად აღადგენდა გაფართოების განახლების საიმედო საფუძველს.

მაგრამ მკურნალობის პროცესი შეცდომით იყო დიაგნოსტირებული, როგორც დაავადება: თუ საბანკო რეზერვების უკმარისობა განაპირობებს ბიზნესის კლებას - ეკონომიკური ინტერვენციონისტების მტკიცებით - რატომ არ უნდა იმოვინო საბანკო რეზერვების გაზრდის ისეთი საშუალება, რომ ისინი არასოდეს იყოს არასაკმარისი თუ ბანკს შეეძლება განუსაზღვრელი ვადით გააგრძელოს სესხის გაცემა, მაშინ ბიზნესში არასოდეს არ უნდა შეინიშნებოდეს დაქვეითება. ამიტომ 1913 წელს შეიქმნა ფედერალური სარეზერვო სისტემა. იგი შედგებოდა თორმეტი რეგიონული ფედერალური სარეზერვო ბანკებისგან, რომლებიც ნომინალურად ეკუთვნოდა კერძო ბანკირებს, მაგრამ ფაქტიურად მთავრობა აფინანსებდა, აკონტროლებდა და მხარს უჭერდა. ამ ბანკების მიერ გაცემული კრედიტები პრაქტიკულად (თუმცა არაიურიდიულად) მხარდაჭერილი იყო ფედერალური მთავრობის საგადასახადო ორგანოების მიერ. ტექნიკურად, ისევ რჩებოდა ოქროს სტანდარტი; ფიზიკური პირები კვლავ თავისუფლად ფლობდნენ ოქროს, ოქრო კი

ისევე გამოიყენებოდა საბანკო რეზერვების სახით. მაგრამ ახლა, ოქროს დამატებით, ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ გაცემული კრედიტები ხდებოდა მენაბრების გადახდის იურიდიული საშუალება.

როდესაც 1927 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებამ მსუბუქი ვარდნა განიცადა, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შექმნა დიდი ქალაქის ფულის მარაგი, ბანკების ნებისმიერი შესაძლო სარეზერვო დეფიციტის აღმოსაფხვრელად. თუმცა, უფრო კატასტროფული იყო ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობა დახმარებოდა დიდ ბრიტანეთს, რომელმაც ჩვენ ოქროს დაგვიკარგა, რადგან ინგლისის ბანკმა უარი თქვა სარგებლის გაზრდაზე, რასაც საბაზრო ძალები კარნახობდნენ (ეს იყო პოლიტიკურად მიუღებელი). ხელისუფლების ჩართულობა გამომდინარებოდა შემდეგი მიზეზებით: თუ ფედერალური სარეზერვო სისტემა შეიტანდა ამერიკის ბანკებში დამატებით ქალაქის მარაგს, აშშ-ში სარგებლები დაეცემოდა დიდი ბრიტანეთის დონემდე. ეს შეაჩერებდა ბრიტანეთის მიერ ოქროს დაკარგვას და თავიდან აიცილებდა სარგებელის ამალღებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ არეულობებს.

ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ თავისას მიაღწია: მან შეაჩერა ოქროს დაკარგვა, მაგრამ მან თითქმის დაანგრია მსოფლიო ეკონომიკა. ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გაცემული ჭარბი კრედიტი შევიდა საფონდო ბაზარზე, რამაც გამოიწვია ფანტასტიკური სპეკულაციური აურზაური. მოგვიანებით, ფედერალური სარეზერვო სისტემის ოფიციალური პირები შეეცადნენ შეენოვათ ჭარბი რეზერვები და საბოლოოდ შეძლეს პროცესის დამუხრუჭება. მაგრამ ეს იყო ძალიან გვიან: 1929 წელს სპეკულაციური დისბალანსი იმდენად დაუძლეველი გახდა, რომ წარმოებისადმი ნდობის დემორალიზება განაპირობა. შედეგად, ამერიკული ეკონომიკა ჩამოინგრა. დიდ ბრიტანეთს უფრო უარესი დაემართა, და იმის მაგივრად, რომ სწორად აღექვა ჩადენილი სისულელებით გამოწვეული შედეგები, 1931 წელს საეროებო უარყო ოქროს სტანდარტი, რითაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი მსოფლიო მასშტაბით ბანკების გაკოტრებას. მსოფლიო ეკონომიკა 1930-იანი წლების დიდ დეპრესიაში ჩაინთქა.

სახელმწიფო ჩარევების მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ საკრედიტო ფიასკოში დამნაშავე იყო ოქროს სტანდარტი, რომელმაც გამოიწვია დიდი დეპრესია. ოქროს სტანდარტი, რომ არ არსებულებოდა, ამტკიცებდნენ ისინი, 1931 წელს ბრიტანეთის მიერ ოქროთი გადახდაზე უარის თქმა არ გამოიწვევდა ბანკების გაბანკროტებას მთელ მსოფლიოში. (ირონია ის იყო, რომ 1913 წლიდან, ჩვენ ვიყავით არა ოქროს სტანდარტში, არამედ თუ შეიძლება ასე ეწოდოს "შერეულ ოქროს სტანდარტში"; თუმცა ეს ის ოქროა, რომელმაც თავის თავზე აიღო ბრალდება.)

მაგრამ ნებისმიერი ფორმით ოქროს სტანდარტის მიმართ ნეგატიური ოპოზიცია და ამასთან ერთად საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მომხრეების მზარდი რაოდენობა ნაკარნახევი იყო ბევრად უფრო ფაქიზი მიზეზებით, კერძოდ იმ ფაქტის გაცნობიერებით, რომ ოქროს სტანდარტი შეუთავსებელია ხარჯების ქრონიკულ დეფიციტთან. კეთილდღეობის სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა მექანიზმი, რომლის მეშვეობით მთავრობები ახდენენ საზოგადოების პროდუქტიული წევრების სიმდიდრის კონფისკაციას ფართო სოციალური პროგრამების მხარდაჭერის მიზნით. კონფისკაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება დაბეგვრის მეშვეობით. მაგრამ, კეთილდღეობის სახელმწიფო ჩარევების მომხრეებმა სწრაფად გაიაზრეს, რომ თუ მათ სურთ შეინარჩუნონ პოლიტიკური ძალა, დაბეგვრა უნდა შეეზღუდათ, და ისინი იძულებული გახდნენ შემოეღოთ დეფიციტური პროგრამები, ანუ მათ უნდა ესესხათ თანხა, მთავრობის მიერ გამოშვებული ობლიგაცი-

ების მეშვეობით, ფართომასშტაბიანი სოციალური პროგრამების დანახარჯების დასაფინანსებლად.

ოქროს სტანდარტის თანახმად, კრედიტის ოდენობა, რომელიც შესაძლებელია ეკონომიკის მხარდასაჭერად, განისაზღვრება ეკონომიკის მატერიალური აქტივებით, რადგან ყველა საკრედიტო ინსტრუმენტი, საბოლოო ჯამში მოთხოვნაა ზოგიერთ მატერიალურ აქტივზე. მაგრამ სახელისუფლო ობლიგაციები არ არის გამყარებული მატერიალური სიმდიერით, იგი მხოლოდ ხელისუფლების დაპირებაა გადაიხადოს მომავალში შემოსული საგადასახადო შემოსავლებით და ასე მარტივად ვერ შეინარევა ფინანსური ბაზრების მიერ. ახალი სახელმწიფო ობლიგაციების დიდი მოცულობა შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ პროგრესულად მალალი სარგებელით. ამგვარად, მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტი ოქროს სტანდარტის პირობებში მკაცრად შეზღუდულია.

ოქროს სტანდარტის უარყოფამ სახელმწიფო ჩარევების მხარდამჭერებს შესაძლებლობა მისცათ გამოეყენებინათ საბანკო სისტემა, როგორც კრედიტის შეზღუდვად გაფართოების საშუალება. მათ შექმნეს ქალაქის რეზერვები სამთავრობო ობლიგაციების სახით, რომლებსაც მათ მიერ გადადგმული კომპლექსური ნაბიჯების შედეგად ბანკები მატერიალური აქტივების სახით ღებულობენ, თითქოს ისინი რეალურ ანაბარს წარმოადგენდეს, ანუ, იმის ექვივალენტი, რაც ადრე ოქროს ანაბარი იყო. სახელმწიფო ობლიგაციების ან ბანკის ანაბრების, რომლებიც შექმნილია ქალაქის რეზერვებისგან, მფლობელს მიაჩნია, რომ მას რეალურ აქტივზე აქვს ვალიდური თამასუქი. მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად უფრო მეტი თამასუქებია, ვიდრე რეალური აქტივები.

მოთხოვნა-მიწოდების კანონმა არ შეიძლება მოგვატყუოს. თუ ფულის მიწოდება იზრდება ეკონომიკაში მატერიალური აქტივების მიწოდების შესაბამისად, ფასებმა საბოლოო ჯამში უნდა მოიმატოს. ამგვარად, საზოგადოების პროდუქტიული წევრების მიერ შენახული შემოსავლები კარგავს ღირებულებას საქონლის თვალსაზრისით. ერთი თვლიან, რომ ღირებულების დანაკარგი წარმოადგენს საქონელს, რომელსაც ყიდულობს ხელისუფლება კეთილდღეობისათვის ან სხვა მიზნით იმ ფულით, რომელიც მას შემოსდის სამთავრობო ობლიგაციების გაყიდვებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, ფინანსდება საბანკო კრედიტის გაფართოებით.

ოქროს სტანდარტის არარსებობს შემთხვევაში, არ არსებობს საშუალება, რომელიც დაიცავს დანაზოგს ინფლაციის შედეგად კონფისკაციისგან. არ არსებობს ფულის უსაფრთხო დანაზოგი. იმისათვის, რომ ეს არსებობდეს, ხელისუფლებამ იგი უკანონოდ უნდა განახორციელოს, როგორც ეს ოქროს შემთხვევაში გაკეთდა. მაგალითად, თუ ყველამ გადაწყვიტა, რომ გადაცვალოს ყველა მისი საბანკო ანაბრები ვერცხლში, ან სპილენძში ან ნებისმიერ სხვა ძვირფას ლითონში, და შემდგომში უარი თქვას საბანკო ქვითრებით ანაზღაურებაზე, როგორც საქონლის გადახდის საშუალებაზე, საბანკო ანაბრები დაკარგავენ მსყიდველობით უნარს და მთავრობის მიერ შექმნილი საბანკო კრედიტი იქნება უსარგებლო. კეთილდღეობის სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა მოითხოვს, რომ სიმდიდრის მფლობელებს საკუთარი თავის დასაცავად არ დარჩეთ არანაირი გზა.

ეს გახლავთ კეთილდღეობის სახელმწიფოს მომხრეთა გაცვეთილი საიდუმლო ოქროს წინააღმდეგ. დეფიციტური ხარჯვა სიმდიდრის "ფარული" ჩამორთმევის მარტივ სქემას წარმოადგენს. ამ მზაკერული პროცესის გზაზე დგას ოქრო, როგორც საკუთრების უფლების დამცველი. თუ თითოეული ჩვენგანი ჩახვდება ამ მზაკერულ გეგმას, მას არ გაუჭირდება წარმოიდგინოს სახელმწიფო ჩარევების მომხრეთა აგრესია ოქროს სტანდარტის მიმართ.

ლუდვიგ ფონ მიზესი

“ბარბაროსული გადმონაშთის დასაცავად”: რატომ გასვარეს კაპიტალიზმის მტრებმა ოქროს სტანდარტი¹

თარგმან თენგიზ ვერულავამ

ადამიანმა ფულადი მომსახურებისათვის აირჩია კეთილშობილი ლითონები, ოქრო და ვერცხლი, მათი მინერალოგიური, ფიზიკური და ქიმიური თვისებების გამო. საბაზრო ეკონომიკაში ფულის გამოყენება წარმოადგენს პრაქსეოლოგიურად აუცილებელ ფაქტს. ფულადი სახით ოქროს და არა სხვა რაიმეს გამოყენება არის ისტორიული ფაქტი და როგორც ასეთი, არ უნდა იქნეს აღქმული კატალაქტიკის მიხედვით. მონეტარულ ისტორიაში, ისევე როგორც ისტორიის სხვა დარგებში, ისტორიული თვალსაზრისით ერთი რამ უნდა გავაცნობიეროთ. როდესაც ვინმეს სიაშოვნებს, რომ ოქროს სტანდარტს დაარქვას “ბარბაროსული გადმონაშთი”², იგივე ტერმინი შესაძლოა გამოიყენოს ყოველ ისტორიულ მოვლენასთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით, ის ფაქტი, რომ ბრიტანელი ლაპარაკობს ინგლისურად და არა დანიურად, გერმანულად, ან ფრანგულად – აგრეთვე წარმოადგენს ბარბაროსულ გადმონაშთს და ყოველი ბრიტანელი, რომელიც ეწინააღმდეგება ესპერანტოს ჩანაცვლებას ინგლისურზე, არანაკლებ დოგმატიკოსი და ორთოდოქსია, ვიდრე ისინი ვინც არ არიან აღფრთოვანებული საგადამხდელო საშუალებების მართული გეგმებით.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისური მთავრობის მიერ მონეტების ტარიფიკაციის კურსი აღემატებოდა გინეას³ ვერცხლთან მიმართებაში, რის გამოც ვერცხლის მონეტების წარმოება გაქრა. ის ვერცხლის მონეტები, რომლებიც ხშირად იყო მოხმარებაში, ან გაიცვითა და წონაში შემცირდა, არ გამოიყენებოდა საექსპორტოდ და ზოდების ბაზარზე გასაყიდად. ამგვარად ინგლისმა მიიღო ოქროს სტანდარტი თავისი ხელისუფლების განზრახვის საწინააღმდეგოდ. მხოლოდ მოგვიანებით გახდა შესაძლებელი ოქროს სტანდარტის დე ფაქტო და დე იურე სამართლებრივად განმტკიცება. შემდგომ მთავრობამ უკუაგდო ვერცხლის სტანდარტის მონეტების ბაზარზე გატანის მცდელობა და ვერცხლს ჭრიდა, როგორც მეორეხარისხოვან მონეტას, რომელსაც შეზღუდული იურიდიული ძალა გააჩნდა. ასეთი მეორეხარისხოვანი მონეტები არ წარმოადგენდნენ ფულს, არამედ ფულის შემცველებებს. მათი გაცვლის ღირებულება დამოკიდებული არ იყო მათში ვერცხლის შემცველობაზე, მაგრამ ფაქტიურად მათი საშუალებით შესაძლებელი იყო დროის ნებისმიერ მომენტში გაცვლა დანახარჯებისა და დაყოვნების გარეშე, მათი სრული ნომინალური ღირებულებით ოქროს სააირისპირად. დე ფაქტო ისინი წარმოადგენდნენ ვერცხლის ნაბეჭდ ნიშნებს.

ოქროს სტანდარტი იყო კაპიტალიზმის ეპოქის მსოფლიო სტანდარტი, რომელიც განაპირობებდა კეთილდღეობის, თავისუფლებისა და პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკ-

¹ ნანყეტი ნიგინდან “ადამიანის ქმედება: ტრაქტატი ეკონომიკაზე” (1966)

² ლორდ კეინზის მიერ წარმოთხმული სიტყვა ლორდთა პალატაში გამოსვლისას (1944 წლის 23 მაისი). ლორდ კეინზი ოქროს ბარბაროსული გადმონაშთი უწოდა ჯერ კიდევ ადრე, თავის წიგნში “მონეტარული რეფორმები” (New York: Harcourt, Brace & Co., 1924), გვ. 187.)

³ გინეა (Guinea) - ძველებური ინგლისური ოქროს ფული - 21 შილინგს

რატის ზრდას. თავისუფალი ვაჭრების თვალში მისი მთავარი უპირატესობა გახლდათ ის გარემოება, რომ იგი წარმოადგენდა საერთაშორისო სტანდარტს და აკმაყოფილებდა საერთაშორისო ვაჭრობის და საერთაშორისო ფულად და კაპიტალის ბაზარზე საოპერაციო გარიგებების მოთხოვნებს⁴. იგი წარმოადგენდა გაცვლის საშუალებას, რომელმაც ხელი შეუწყო დაავლური ცივილიზაციის განვითარებას და რომელიც ანადგურებდა ძველი დროის ცრურწმენებს, ნერგავდა ახალი ცხოვრების წესს, კეთილდღეობას, თავისუფლებას, მანამდე არანახულ სიმდიდრეს. მას თან სდევდა დასავლური ლიბერალიზმის ტრიუმფალური უპრეცედენტო პროგრესი და ხელს უწყობდა ერებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას.

ნაციონალისტები ებრძოდნენ ოქროს სტანდარტს, რადგან მათ სურდათ საკუთარი ქვეყნის დაცვა მსოფლიო ბაზრისაგან და რამდენადაც შესაძლებელი იყო ქმნიდნენ ეროვნულ ავტარკიებს⁵. ინტერვენციონისტული მთავრობები და გავლენიანი ჯგუფები ებრძოდნენ ოქროს სტანდარტს, რადგან იგი მიაჩნდათ ფასებზე და სახელფასო განაკვეთებზე მანიპულირების ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებად. მაგრამ ოქროს წინააღმდეგ ყველაზე ფანატიკური თავდასხმა ხორციელდებოდა კრედიტის გაფართოებით. მათი აზრით, კრედიტის გაფართოება წარმოადგენდა ეკონომიკური ჩავარდნების ყველაზე კარგ საკურნალო საშუალებას, რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა სარგებლების შემცირება, ან თუნდაც მთლიანად გაუქმება, ხელფასების და სარგებლების გაზრდა ყველასათვის, გარდა პარაზიტული კაპიტალისტებისა და ექსპლუატატორი დამსაქმებლებისა. აგრეთვე, სახელმწიფო თავისუფლდებოდა ბიუჯეტის დაბალანსების აუცილებლობისაგან. მოკლედ, ყველა ადამიანი ხდებოდა წარმატებული და ბედნიერი. მხოლოდ ოქროს სტანდარტია ბრიყვი და ბოროტი ორთოდოქსი ეკონომისტების ეშმაკული გამოწავლი, რომელიც ხელს უშლის კაცობრიობის მარადიულ კეთილდღეობას.

ოქროს სტანდარტის საწინააღმდეგო მთავარი არგუმენტი ის არის, რომ იგი უფრო ოპერატიულია ფასების დადგენის თვალსაზრისით, ხოლო ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ოქროს წარმოებას. ამდენად, "გარე" ან "ავტომატური" ძალა ასუსტებს ხელისუფლების ძალაუფლებას. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო კაპიტალისტების "გარედან" კარნახის გამო ქვეყნის სუვერენიტეტი ყალბი ხდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოქროს სტანდარტის მეშვეობით ოქროს მიწოდების ზრდა დამოკიდებულია ოქროს წარმოების მომგებიანობაზე, რაც, რა თქმა უნდა, ზღუდავს ხელისუფლების მცდელობას მიმართოს ინფლაციას. ამბიციების, დოქტრინების, პოლიტიკური პარტიებისა და დაინტერესებული ჯგუფებისაგან დამოუკიდებლად ოქროს სტანდარტი განსაზღვრავს ფულის მსყიდველობითუნარიანობას. აღნიშნული ოქროს სტანდარტის ხარვეზი არ არის. პირიქით, მისი ღირსებაა. მსყიდველობითუნარიანობაზე მანიპულირების ყველა მეთოდი თვითნებურია. ყველა მეთოდი, რომელიც რეკომენდირებულია როგორც ფულადი მანიპულაციების თითქოს ობიექტური და "მეცნიერული" კრიტერიუმი, ეფუძნება ილუზიას, რომ მსყიდველობითუნარიანობის ცვლილებები შესაძლოა "გაიზომოს". ოქროს სტანდარტი მსყიდველობითუნარიანობაზე ნაღდი ფულით ინდუცირებული ცვლილებების განსაზღვრას საერთოდ იშორებს პოლიტიკური ასპარეზიდან. იგი ეყრდნობა იმ ალიარებულ ქვეშარჩიტებას, რომ ერთ ადამიანს არ შეუძლია ფულის ბექედვის მეშვეობით ყველა მდიდარი გახადოს. ოქროს სტანდარტისადმი ზიზღი განპირობებულია იმ ცრუ-

⁴ T. E. Gregory, *The Gold Standard and Its Future* (1st ed. London, 1934), გვ. 22.

⁵ ავტარკია - კარჩაკეტილობა, თვითკარობის მცდელობა. ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იმპორტის შეზღუდვას.

რწმენით, რომ მთავრობებს შეუძლიათ შექმნან სიმდიდრე ქალაქების მცირე ნაგლეჯების მეშვეობით.

რასაც ექსპანსიონისტები ოქროს სტანდარტის ნაკლოვანებებად მიიჩნევენ, სწორედაც რომ მისი ღირსებაა. იგი აფერხებს სახელმწიფოს მიერ ფართომასშტაბიანი ინფლაციის რისკს. ოქროს სტანდარტი არ დამარცხებულა. მთავრობებს სურდათ მისი განადგურება, რადგან ერთგულნი იყვნენ იმ მცდარი აზრისა, რომ საკრედიტო ექსპანსია დაბლა სწევს სარგებლის განაკვეთს და უზრუნველყოფს "სავაჭრო ბალანსს".

ოქროს წინააღმდეგ ბრძოლა, რაც თანამედროვე მთავრობების მთავარი პრობლემაა, იზოლირებულ მოვლენად არ უნდა განვიხილოთ. იგი არის ჩვენს დროებაში მისი განადგურების გიგანტური პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტი. ხალხს სურს შეცვალოს ეროვნული ავტარკია თავისუფალი ვაჭრობით, ომი - მშვიდობით, ყოველისშემძლე ტოტალიტარული მთავრობა - თავისუფლებით.

ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა ტექნოლოგიების მეშვეობით აღმოაჩინონ ოქროს მინოდების გაფართოების მეთოდი ისეთი დაბალი ხარჯით, რომ ოქრო საერთოდ გამოუსადეგი გახდეს ფულადი გამოყენებისათვის. მაშინ ხალხი ოქროს სტანდარტს ჩაანაცვლებს სხვა სტანდარტით. უსარგებლოა, რომ დღეს დაახლოებით ამ გზით სურთ პრობლემის გადაწყვეტა. ჩვენ არაფერი ვიცით იმ პირობებზე, რომელთა გამოც ეს გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული.

* 1933 წლის გაზაფხულზე გადაუდებელი საბანკო აქტით, რამდენიმე აღმასრულებელი ბრძანებით და კონგრესის ერთობლივი რეზოლუციით აშშ-ის მოქალაქეებს აკრძალა მონეტარული ოქროს ფლობა და მათ საკუთრებაში არსებული ოქროს მონეტები უნდა ჩაებარებინათ სახელმწიფოსთვის, ასევე კანონგარეშედ გამოცხადდა ოქროს გამოყენება კერძო კონტრაქტებში. ამგვარად, აშშ-ის მოქალაქეები, რომლებმაც შეინარჩუნეს ოქრო, დამნაშავეებად გამოცხადდნენ. ოქროს ფლობაზე დანესებული შეზღუდვები გაუქმებულ იქნა 1975 წლის 1 იანვრიდან.

მარი ნ. როთბარდი

მექანიზმი ინფლაციისთვის ფული, სახელმწიფო და თანამედროვე მერკანტილიზმი¹

თარგმნა თამარ ხეთისიაშვილმა

ნებისმიერ ეკონომიკაში ფული ნერვული სისტემის ცენტრს წარმოადგენს. ეკონომიკა შედგება ორ ადამიანს შორის გაცვლის თავისუფალი და რთული ქსელისგან, ფული კი ყოველი გაცვლის ერთ მხარეს წარმოადგენს. ფულის საშუალებით მომსახურების და საქონლის (რომელიც ფულზე იყიდება) მწარმოებლები ხდებიან საქონლის და მომსახურების (რომელსაც ფულით იძენენ) მომხმარებლები. თუ რომელიმე ადამიანი ან ორგანიზაცია შეძლებს მოიპოვოს კონტროლი ფულის მიწოდებაზე - მის ხარისხზე, მის რაოდენობაზე, ან მის გამოყენებაზე - შესაბამისად დიდ ნაბიჯს დგამს ერთიანი ეკონომიკური სისტემის სრული კონტროლისკენ. ამგვარად, რთული წარმოსადგენია, როგორ შეიძლება მიღწეულ იქნას სრული ეკონომიკური კონტროლი ფულის მიწოდებაზე ბატონობის გარეშე.

ფული თავისუფალ ბაზარზე

სრულიად თავისუფალ ბაზარზე არც ერთ ადამიანს ან ჯგუფს არ შეუძლია ფულის კონტროლი. ფული თავისუფალ ბაზარზე ინდივიდების მიერ გაცვლის საშუალებად მაშინ ყალიბდება, როცა ერთი ან რამდენიმე საქონელზე განსაკუთრებულად დიდი მოთხოვნაა და ისეთი თვისებებით გამოირჩევა, როგორიცაა: გამძლეობა, პორტატიულობა და გაყოფადობის უნარი. როგორც კი საქონელი გამოიყენება გაცვლის საშუალებად, პროცესი ჩქარდება, საქონელი უფრო მეტად ღირებული ხდება, ხოლო საბოლოოდ საყოველთაო გაცვლის საშუალებად ჩამოყალიბდება - როგორც მაგალითად ფულია. ცივილიზაციის სხვადასხვა პერიოდებში, ოქრო და ვერცხლი წამყვან გაცვლით საქონელს წარმოადგენდნენ და შესაბამისად, ფულად ჩამოყალიბდნენ. თავისუფალ ბაზარზე ფული გარდაიქმნება ძალზედ მნიშვნელოვან საბაზრო საქონლად. ცივილიზებულ ერაში, ეს რჩეული საქონელი ოქრო და ვერცხლი იყო².

თავისუფალ ბაზარზე ადამიანს მხოლოდ სამი გზით შეუძლია ფულის მიღება: 1) საქონლის ან მომსახურების წარმოებით და შემდგომ მისი გაცვლით („გაყიდვით“) ფულად საქონელზე; 2) საჩუქრის მიღებით; ან 3) თავად ფულის როგორც საქონლის წარმოებით. მე-2 მიმართულება არ იქნება წამყვანი ეკონომიკაში, და ნებისმიერ შემთხვევაში, დანარჩენ ორ მეთოდს მოსდევს, სანამ უკუსვლის დროს გარკვეულ მომენტში ჩუქების პროცესი არ დასრულდება. მაგრამ საქონელი მხოლოდ მაშინ იქნება არჩეული ფულად, როდესაც იგი მყარი და მოთხოვნადი გახდება. მოთხოვნადი კი მანამ არ იქნება, სანამ იგი შედარებით იშვიათი

¹ ნერილი გამოქვეყნდა 1964 წელს კრებულში ცენტრალური დაგეგმარება და ნეო-მერკანტილიზმი "Money, the State and Modern Mercantilism", in Helmut Schoeck and Helmut Wiggins, eds., Central Planning and Neo-Mercantilism, D. Van Nostrand, Princeton, New Jersey, 1964.

² მიზნის მიხედვით, თავისუფალ ბაზარზე ფული შეიძლება წარმოიშვას როგორც მხოლოდ საქონელი და იგი არ შეიძლება წარმოიშვას მთავრობის დეკრეტით. იხ. Ludwig von Mises, The Theory of Money and Credit, 2nd ed. (New heaven: Yale University Press, 1953), 97-123; Murray N. Rothbard, Man, Economy, and State (Princeton: D. Van Nostrand Co., Inc., 1962), I, 231-37; Rothbard, „The Case for a 100 Per Cent Gold Dollar,“ in Leland B. Yeager, ed., In Search of Monetary Constitution (Cambridge: Harvard University Press, 1962

და მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ამგვარად, მიმართულება (3) ფულის შესაქმნელად გულისხმობს იშვიათი საქონლის წარმოების რთულ პროცესს; ოქროსა და ვერცხლის შემთხვევაში, ეს გულისხმობს მადნის ახალი საბადოების აღმოჩენას და მოპოვებას. ბაზარზე არსებული ყველა ბიზნესი და ინდუსტრია მიდრეკილია, გრძელვადიან პერსპექტივაში, ამონაგების იგივე რაოდენობა მიიღოს რაც დანახარჯია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კაპიტალი და რესურსები უფრო ღარიბი ინდუსტრიებიდან შემოსავლიან ინდუსტრიებისკენ გაედინება, სანამ ამონაგები არ გათანაბრდება. შედეგად, ოქროს მოპოვებელი ბიზნესები ბაზარზე დიდი ხნით გამძლე მომგებიან საქმეს ვერ უზრუნველყოფენ; ისინი მიდრეკილნი იქნებიან სხვა ინდუსტრიების მსგავსი ამონაგების მიღებისკენ. ამგვარად, აღარ იარსებებს ოქროს ან ვერცხლის მოპოვებელ ინდუსტრიებში შესვლის სტიმული სხვა წარმოებებთან შედარებით. მეტიც, ოქრო და ვერცხლი გამძლე ლითონებია, ამიტომ ყოველ წელს მოპოვებული ახალი ოქრო და ვერცხლი მნიშვნელობას კარგავს უკვე არსებულ მარაგთან შედარებით.

მაშინ ბაზარზე ფულის გამომუშავების ძალზედ მნიშვნელოვანი გზა იქნება (ა), საქონლის და მომსახურების გაყიდვა სხვა ადამიანის ფულის მარაგის სანაცვლოდ. არავის შეეძლება ფულის შოვნა მანამ იგი არ აწარმოებს გაცვლისთვის საჭირო საქონელს და მომსახურებას ან ოქროს მოპოვების საქმეს არ მიჰყოფს ხელს. გარდა ნებაყოფლობითი საჩუქრებისა, იგი მიიღებს ოქროს ან ვერცხლს იმ ღირებულების პროპორციულად, რადაც სხვა გამცველები აფასებენ მის მომსახურებას.

ნათელი უნდა იყოს, რომ თავისუფალ ბაზარზე, არც ერთ ადამიანს ან ჯგუფს არ შეეძლება გააკონტროლოს საზოგადოების ფული. ყველა სახის ფული კერძო ინდივიდების მიერ საბადოებზე მუშაობით მოიპოვება და ეს სახელმწიფოს მიერ საგადაამხდლო საშუალების გამოშვებას არ ნიშნავს. ფულის სრული მიწოდება განისაზღვრება ბუნებრივი რესურსების მდგომარეობით და ადამიანებით, რომლებიც ოქროსა და ვერცხლის მოპოვების ბიზნესში თავისუფლად და ნებაყოფლობით შედიან. თუ რამდენ ფულს ლებულობს ერთეული ადამიანი ცალსახად განისაზღვრება თითოეული ინდივიდის თავისუფალი და ნებაყოფლობითი გადამწყვეტილებით, რამდენს გაყიდის და იყიდის, ან არ იყიდის და არ გაყიდის ნებისმიერ მოცემულ საქონელსა თუ მომსახურებას. ინდივიდუალური არჩევანის საერთო შედეგი განსაზღვრავს პიროვნების ჯამურ გაყიდვებას და შემოსავალს. თავისუფალი და არაკონტროლირებადი ფული, და თავისუფალი და არაკონტროლირებადი ბაზარი აუცილებლად ხელიდან ხელში გადადის.

საკვირველია, მსოფლიო ისე გასცდა ჭეშმარიტად თავისუფალ ფულს, რომ ყველაზე „კონსერვატორი“, თავისუფალი ბაზრის მომხრე ეკონომისტებიც კი, აღარ არჩევენ თავისუფალი ბაზრის ფულზე დაბრუნებას. მილტონ ფრიდმანი და „ჩიკოგოს სკოლის“ სხვა ეკონომისტები დეკრეტულ ფულს უჭერენ მხარს, რომელსაც მთავრობა ბეჭდავს და კავშირი არ აქვს ოქროსა და ვერცხლთან. ამერიკის სავაჭრო პალატა ეკონომიკის სახელმძღვანელოში უბრალოდ ეთანხმება ამას: „ფული არის ის, რასაც მთავრობა გამოაცხადებს ფულად“³ მაგრამ ამასთან, თავისუფალი ბაზარი ვერ გაძლებს ისეთ პირობებში, როცა ფულის საციცოხლო მიწოდებაზე კონტროლი მუდმივად მთავრობის პრეროგატივაა.

ფული და სახელმწიფო

მეცხრამეტე საუკუნის ჩაურევლობის (Laissez-Faire) რევოლუციაში, ფული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო. მთავრობამ დაიცვა არა მხოლოდ მონეტარული

³ ეკონომიკური კვლევის დეპარტამენტი, შეერთებული შტატების სავაჭრო პალატა, *The Mystery of Money* (Washington: Chamber of Commerce, 1953), გვ 1.

მონოპოლია, ერთადერთი საგადამხდელო საშუალების შესახებ კანონები და ოქროსა და ვერხლს შორის გაცვლის კურსების თვითნებური დარეგულირების უზრუნველყოფილი პრაქტიკა, არამედ, უმნიშვნელოვანესი - გააძლიერა ცენტრალური ბანკი. იმ დროიდან საბანკო სისტემაში არსებული პასივები, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად იყო განაღდე-ბადი ოქროთი თუ ვერცხლით, ყველა ქვეყნის ფულის მიწოდებაში სავალალოდ გაიზარდა, მთავრობის პროტექციონიზმმა და გავლენამ საბანკო სისტემაზე კიდევ უფრო დიდი პრობლემა წარმოშვა. ბრიტანელ კლასიკოს ლიბერალებს არასოდეს უფიქრიათ საღვთო სტატუსის მქონე ინგლისის ბანკი შეენუხებინათ; აშშ დროდადრო ემბროდა ცენტრალურ ბანკს; სხვა დროს, მთავრობა ფულს სხვადასხვაგვარად აკონტროლებდა. აშშ-ს XIX საუკუნეში მონეტარულ კონტროლზე იმედი გადაეწურა, ხოლო მეოცე საუკუნეში ოქროსა და ვერცხლის ხელში ჩაგდებათ, მონეტარული სისტემის აბსოლუტური კონტროლისკენ გადადგა ნაბიჯი და ყველაფერი გააკეთა, რომ ეს საქონელი ფულად არ გამოყენებულიყო. ამ გზით, მრავალ ქვეყანაში სახელმწიფომ მიითვისა ფულის ბეჭდვის და გამოცემის მონოპოლია; „ქალაქის“ სტანდარტი, რომელიც ქმნის ეროვნულ ფულს და რომელზეც მთავრობის მიერ კონტროლირებადი და მანიპულირებული საბანკო სისტემა უშვებს პასი-ვებს, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ქალაქს.

რთული გამოსაცნობი არაა რატომაა სახელმწიფო ჩაბლაუჭებული ფულის კონტროლის მექანიზმებზე, იმ დროსაც კი, როცა დროებით თმობს მას და ყურადღება ეკონომიკის სხვა სფეროებზე გადააქვს. ერთის მხრივ, როგორც ვნახეთ, ეროვნული ფულის კონტროლი ეკონომიკის სხვა დარგებისთვის დიქტატის წინაპრობაა. სახელმწიფოს მიერ ფულის მიმართ ასეთი ინტერესები მდგომარეობს იმაში, რომ მას მხოლოდ ამ სახის კონტროლით შეუძლია თავისუფალი ბაზრის წარმოება-შემოსავლის კავშირის დარღვევა. ჩვენ დავი-ნახეთ, რომ თავისუფალ ბაზარზე, ფულის შოვნის ერთადერთი გზა საქონლის და მომსახუ-რების წარმოება და შემდგომ მისი გაყიდვაა. ამგვარად, ფულის სხვა ადამიანებისგან მიღების გზით ამავდროულად მათ იმ მომსახურებით უზრუნველყოფთ, რომლის მიღებაც სურთ. მაგრამ არსებობს ერთი გზა სასურველი საქონლის და მომსახურების წარმოების გარეშე ფულის გამოსამუშავებლად; ეს არის ფულის გამოშვების საშუალებებზე კონტროლის ხელში ჩაგდება. თუ ადამიანს შეუძლია შექმნას ფული მარტივად, მაშინ მას შეუძლია ბაზარზე შესვლა საქონლის და მომსახურების შესაქენად ისე, რომ თავად არ შექმნას არაფერი. კერძო ინდივიდების მიერ ფულის ბეჭდვა „თაღლითობად“ მიიჩნევა. თუმცა, სახელმწიფოს აქვს უნიკალური თავისებურება განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომელიც კერძო ინდივიდებისთვის კრიმინალადაა მიჩნეული („დაბეგრვა“ „ქურდობის“, „ომის“, „მკვლელობის“, „ინფლაციის“, „თაღლითობის“ წილ). თუ სახელმწიფო აკონტრო-ლებს ფულის მიწოდებას, მას შეუძლია შექმნას ახალი ფული და გამოიყენოს იგი საკუთარი ხარჯების გასაზრდელად და საქონლის და მომსახურების შესაქენად, ისევე როგორც სოზოგადობებამ მისთვის ფაორიტი ჯგუფების სუბსიდირებისთვის. ფულის გამოშვების უფლების თაღლითურად მითვისება სახელმწიფოს აძლევს საშუალებას, რომ წარმოების შემოსავლები თავის სასარგებლოდ გადაანანილოს. ეს საზოგადოებაში ნამდვილ მწარმოებლებს ზიანს აყენებს, რომლებმაც მომგებიანად უნდა გამოიყენონ რესურსები იმათგან თავის დასაცავად, ვინც ბაზარზე ახლად გამოშვებული ფულით შემოვიდა. ამიტომაც რომ „ინფლაცია“ - ქალაქის ფულის რაოდენობის ან პასივების ზრდა - ფარული დაბეგრვის მზაკერულ ფორმას წარმოადგენს. ფულის ინფლაცია შეიძლება არ აღიძვრას იმის საწინააღმდეგოდ ვინც შეიძლება დანაშაული ჩიდინოს დაუფარავი დაბეგრით. მონეტარული ინფლაცია დაფარულია მაშინაც კი, როცა მის შედეგად ფასების ზრდა საჯარო ხდება, ამ დროს მთავრობას შეუძლია ფასების ზრდის მხილება/დაგმობაში

საზოგადოებას შეუერთდეს, სანამ პირობითად აღმართავს საკუთარ პასუხისმგებლობას მასზე. ეს პროცესი შეიძლება კიდევ უფრო შორს წავიდეს; მან შეიძლება დაადანაშაულოს მოსახლეობის გარკვეული ან ყველა ჯგუფი, როცა გასაყიდი ფასები ბუნებრივად გაიზარდა ინფლაციის დროს, ფასების ზრდის ბოროტად გამოწვევაში.

უცხოელები, საეკულანტები, ბიზნესმენი (დღი თუ მცირე), მუშები - განტყეების ვაცია და ისინი დაიგმობიან, შემდგომ მთავრობა გააგრძელებს შეტევებს საზოგადოებაზე საკუთარი კონტროლის და დიქტატის გასაფართოვებლად.

სახელმწიფომ შეიძლება მიიღოს შემოსავლები - დაარღვიოს ბაზრის წარმოება-შემოსავლის კავშირი - ორი გზით. მან შეიძლება იძულებით დაბეგროს, რაც უკუსვლას გამოიწვევს. ან, მეორეს მხრივ, მან შეიძლება გააკონტროლოს მონეტარული სისტემა და შემდგომ შექმნას ახალი ფული დასახარჯად ან ჯილდოდ მისი ფავორიტი ჯგუფებისთვის. მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინფლაციური პროცესი სათუთადაა დაფარული და საზოგადოებას ვერც გამოაღვიძებს; სახელმწიფოს შეუძლია ინფლაცია თავის სასიკეთოდ გამოიყენოს, დაადანაშაულოს სხვადასხვა ჯგუფები ინფლაციის გამოწვევაში, და შემდგომ საკუთარი ძალაუფლების გაფართოების გამართლებად გამოიყენოს. სახელმწიფო საზოგადოების თვალში გამოჩნდება, არა როგორც მბეგრავი და მიმტაცებელი, არამედ, როგორც საზოგადოების გულმოდგინე დამცველი „ინფლაციის“ წინააღმდეგ.

თითქოს ირონიულია დოქტრინა, რომლის მიხედვით, სახელმწიფომ „საზოგადოება ინფლაციისგან უნდა დაიცვას“ ან „ფასების დონე დაარეგულიროს“. ინფლაცია სახელმწიფოს ჯანმრთელობა და ბუნებრივი მიდრეკილებაა; სახელმწიფოს მიერ მონეტარულ მექანიზმებზე აბსოლუტური კონტროლის დაცვა მისავე სასარგებლოდ გამოიყენება⁴. ფაქტიურად, ნებისმიერი ჯგუფი ფულის შექმნის ძალაუფლებას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს, და ცხადია სახელმწიფო გამონაკლისი სულაც არ არის. კერძო ინდივიდებს და სახელმწიფოებრივი აპარატის წევრებს სხვადასხვანაირი მოტივაცია გააჩნიათ. როცა ადამიანი აპარატის წევრი ხდება ან უერთდება რაიმე სამუშაო ძალას, მიიჩნევენ, რომ მისი უმთავრესი მოტივაცია საზოგადოებრივი კეთილდღეობა უნდა იყოს, ვიდრე პირადი სარგებელი და შემოსავალი. პირადი შემოსავალი კერძო მწეობაში მიჩნეულია ბუნებრივი მოტივაციად, მაგრამ როცა ადამიანი სახელმწიფო აპარატის წევრი ხდება, იგი „საზოგადოებრივი სიკეთისათვის“ ალტრუისტული ბრძოლითაა მოტივირებული და ნებისმიერი სხვაგვარი მოტივაცია „გარყვნილება“⁴. შესაძლოა ეს იმიტომ ხდება, რომ საზოგადოება ინსტიტუტურად ხვდება, თავისუფალ ბაზარზე კერძო შემოსავალი სხვებისთვის მომსახურების განწევით მიიღება და ასე რომ კერძო შემოსავლები შეთავსებადი და მოგებას უხსნის გზას. მეორე მხრივ, საზოგადოებამ შესაძლოა ასევე ინსტიტუტურად იგრძნოს, რომ სახელმწიფო აპარატი შემოსავლებს მხოლოდ სხვების ხარჯზე იღებს. ინტერესთა ჰარმონიასთან ერთად ბაზარზე არსებობს ინტერესთა დამახასიათებელი კონფლიქტიც, ეს კი სახელმწიფოს ბუნდოვანი ქმედებებით არის გამოწვეული. მაშასადამე, დაჯერება იმისა, რომ თანამდებობის პირები სხვებისთვის ჩამორთმეულ საკუთრებას საკუთარივით განკარგავენ, გაუსაძლისი ხდება. სახელმწიფოს ქმედებების მორალური და ესთეტიკური ფორმებით შესანიღბავად, საზოგადოებამ უნდა დაიჯეროს, რომ ეს ქმედებები „საზოგადოებრივი დოვლათზე ზრუნვითა“

⁴ როგორც ვილჰელმ როპე ამბობს, „ინფლაცია ისეთივე ძველია, როგორც მთავრობის მიერ ფულის განკარგვა.“ იხ. მისი *A Humane Economy* (Chicago: Regnery, 1960), გვ. 196. ნებისმიერი სახის ჯგუფები, ნებისმიერ მოცემულ დროსა და ადგილას, შეიძლება გახდნენ სახელმწიფოს ფავორიტები ან მოკავშირეები: ბიზნესი, ფერმა, შრომა, რეგილიური ჯგუფები და სხვ. საქმე იმაშია, რომ (1) ნებისმიერი ჯგუფი შეეცდება სახელმწიფო აპარატი გამოიყენოს როგორც სიმდიდრის და ძალაუფლების მიღების გზა; და (2) სახელმწიფოს მმართველები შეეცდებიან დაიცვან სუბსიდირებული მოკავშირეები საზოგადოებაში.

მოტივირებული. დაე, საზოგადოებამ დაინახოს ამ თვალთმაქცობის შედეგები - სახელმწიფო, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც სხვა ადამიანების წარმოების ხარჯზე ცხოვრობენ - სახელმწიფო, როგორც ინფლაციის წყარო და „ფასების საერთო დონის რეგულირების“ არასრულყოფილი ინსტრუმენტი.

ცენტრალიზებული საბანკო სისტემა

სახელმწიფოსთვის თანამედროვე ეკონომიკაში არც ერთი ინსტიტუტი ისე საჭირო არ არის კონროლისა და მანიპულაციისთვის, როგორც ცენტრალური ბანკი. მრავალი კონსერვატორი ეკონომისტი თავს გამბედავად მიიჩნევს, როდესაც ცენტრალური ბანკის ხაზინისგან დამოუკიდებლობის დასაცავად გამოდიან - ამაო თვალთმაქცობაა, იმის მტკიცება, რომ ცენტრალური ბანკი, როგორც სახელმწიფოს ნაწილი შეიძლება „პოლიტიკაზე მაღლა მდგომ“ და მომგებიან ინსტიტუტად გადაიქცეს. ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის მანიპულაციები ფაქტიურად კრიტიკის გარეშე რჩება. სავაჭრო პალატას ეჭვი არ ეპარება: ცენტრალური ბანკის მაღალჩინოსნების მთავარი ფუნქცია, ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის ქალაქის ფულის მიწოდების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა და ფულის ჭარბი ან ნაკლები მიწოდების შეწინააღმდეგებაა...

რეცესიის ან დეპრესიის დროს, ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა უნდა შეამციროს სარეზერვო მოთხოვნები, იყიდოს აშშ-ს მთავრობის ობლიგაციები და შეამციროს თამასუქის განაღდების ნორმები. ეს უზრუნველყოფს კომერციული ბანკების ხელმისაწვდომობას რეზერვებთან და გაზრდის ფულის მიწოდებას... აყვავების და აღდგენის პერიოდებში ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა დეპრესიის პოლიტიკის საპირისპირო პოლიტიკა უნდა გაატაროს: სახელდობრ, მან უნდა გაზარდოს რეზერვის მოთხოვნები, გაყიდოს აშშ-ს მთავრობის ობლიგაციები და გაზარდოს თამასუქების განაღდების ნორმები. ეს აფერხებს კრედიტის რაოდენობას, რომელიც შეიძლება შეიქმნას და გამოყენებულ იქნას ფასების ზრდაზე კონტროლის ბერკეტად და მის შესაჩერებლად...

ინფლაციის (ასევე დეფლაციის) შეჩერება აშშ-ის ხაზინის და ფედერალური სარეზერვო ბანკის ხელშია. ფასების სტაბილურობის მისაღწევად ასევე აუცილებელია საზოგადოებრივი მხარდაჭერა⁵.

საზოგადოდ მიღებული მითია, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა, სხვა ცენტრალური ბანკების შემთხვევების მსგავსად, ეკონომიკის სტაბილიზაციის და ინფლაციის კონტროლისთვის შეიქმნა. სინამდვილეში იგი ცენტრალური მთავრობის ეგიდით ინფლაციის ხელშესაწყობად წარმოიქმნა. ეკრძო ბანკებს, მსხვილ ბანკებად ჩამოყალიბებამდე, ცენტრალური ბანკების მხარდაჭერის გარეშე არსებობა ეძენლებათ. ცენტრალურ ბანკს შეუძლია უზრუნველყოს ყველა ბანკის ერთდროული განვითარება, შეუძლია მიანოდოს საჭირო რეზერვები ყველა იმ ბანკს ვისაც ესაჭიროება და ამასთან, ძალუძს ფულის მიწოდების ცენტრალურად კოორდინირებული ექსპანსია⁶ მოახდინოს.

კონსერვატორი ეკონომისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც აღიარებენ ფულზე ფედერალური სარეზერვო ბანკის აბსოლუტურ კონტროლს, განსხვავებული აზრი გამოთ-

⁵ ფულის საიდუმლო, გვ. 17; ეკონომიკური კვლევის დეპარტამენტი, აშშ-ს სავაჭრო პალატა, 1953, გვ. 15, 21. ასევე იხ. James Washington Bell and Walter Earl Spahr, Jr., eds., A proper Monetary and Banking System for the United States (New York: Ronald press, 1960), 51, 106, 165.

⁶ ფედერალური სარეზერვო სისტემის ინფლაციური ბუნების განხილვა, ისევე როგორც ინფლაციური პოლიტიკა და მისი გამანადგურებელი შედეგები იხ. C.A. Phillips, T.F. McManus, და R. W. Nelson, Banking and the Business Cycle (New York: Macmillan, 1937), გვ. 21 ff; ასევე O. K. Burrell, "The Coming Crisis in External Convertibility in U.S. Gold," The Commercial and Financial Chronicle (23 აპრილი, 1959), გვ. 5

ქვა ოს ქარ იოპანსენმა. თავისწერილს იწყებს იგი ამერიკელ ბანკირთა ასოციაციის ეკონომიკური პოლიტიკის კომისიის ანგარიშის კრიტიკით. ბატონო იოპანსენი ამბობს: „აშკარაა, რომ კომიტეტი ეჭვგარეშე იღებს ფუნდამენტურ პრინციპს, რომ ფული, საბანკო საქმიანობა და კრედიტი ბრუნავს სახელმწიფოში და სახელმწიფო ვალდებულია, მონეტარული საქმეები პოლიტიკური ნებით მართოს. სახელმწიფოს ფუნქცია არ არის ფულისა და საბანკო სისტემის რეგულირება, ისევე როგორც ხახვის მოყვანის და მისი ბაზარზე გატანის რეგულირება... ფული, საბანკო საქმიანობა და კრედიტი სახელმწიფოს მიერ ერთადერთ ცენტრალიზებულ საბანკო სისტემაშია მოქცეული, რომელსაც თავადვე აკონტროლებს. მაგრამ მთავრობის მიერ კონტროლირებადი საბანკო სისტემა სოციალისტური საბანკო სისტემაა. სოციალიზმის არსიც ხომ მთავრობის მიერ იმის კონტროლია, რასაც წესით კერძო მენარმეობა თავად უნდა ახდენდეს... ნათელი უნდა იყოს, რომ ფედერალური სარეზერვო ბანკის შექმნით, ამერიკამ მიიღო სრულიად განსხვავებული სისტემა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ისეთი სისტემისგან, სადაც წარმოება, ვაჭრობა ხორციელდება კერძო ინდივიდების მიერ, რომლებიც მოტივირებული არიან სარგებლის მიღებით და მათთვის უმთავრესია მომხმარებელი; სადაც არავითარი თვითნებური კომისია, ან ადამიანთა ჯგუფი, ან ბიუროკრატია არ განსაზღვრავს ვინ და როგორი მანქანა უნდა აწარმოოს და რა ფასით გაიყიდოს ნაწარმი... ეს ყველაფერი კერძო მენარმეების მეშვეობით ხდება, და მათთვის ამ საქმიანობაში უმთავრესია მომხმარებელი, რომელიც, თავის მხრივ, ყიდულობს საქონელს. საუბედუროდ, საბანკო სისტემაში, რომელსაც გააჩნია ყველაზე მნიშვნელოვანი სამომხმარებლო საქონელი, ფული, ჩვენ სოციალიზმი მივიღეთ. ეს საგანგაშო ფაქტია, რომლის ასე დაშვებით ყურება კერძო მენარმეებს არ შეუძლიათ, რადგანაც სოციალისტური საბანკო სისტემა სოციალიზმის წინამორბედი“.

ინფლაციონიზმი და მერკანტილიზმი ამერიკაში: 5 შემთხვევის ისტორიულ მიმოსილვა

თუ ინფლაცია სახელმწიფოს ჯანმრთელობაა, როგორ და რა გზით გამოიწვია მთავრობამ ინფლაცია შეერთებული შტატების ისტორიაში? შემდეგი „შემთხვევების შესწავლა“ ასახავს ამ პროცესს, ისევე როგორც მნიშვნელოვან კავშირს ინფლაციას და ცენტრალიზებულ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის კონტროლს შორის. ისინი ასევე ასახავენ კავშირს ინფლაციასა და „მერკანტილიზმს“ შორის - სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური რეგულირების და ჩარევის გამოყენება კეთილგანწყობილ მენარმეთათვის პრივილეგიების შესაქმნელად. აქამდე, კონსერვატიული და მემარცხენე ისტორიკოსები აღიარებდნენ ნეომარქსისტულ მითს, რომ ყველა ბრძოლა რომელიც ინფლაციისა და მყარი ფულის წინააღმდეგ წარმოებდა ამერიკაში, წარმოადგენდა ინფლაციის გამო ფერმერების და მუშების „კლასობრივ ბრძოლას“, ასევე მყარი ფულის სახელით ვაჭარი-კრედიტორების წინააღმდეგ. თემატური კვლევები მიგვანიშნებენ, რომ უახლესმა ისტორიულმა მეცნიერებამ უარყო ეს საყოველთაოდ აღიარებული თეზისი.

ა) 1740 წლის მასაჩუსეტისის მიწის ბანკი

ქალაქის ფულის ინფლაციონისტური გეგმა (1740 წლის მასაჩუსეტისის მიწის ბანკი), ისტორიკოსების მიერ საზოგადოდ მიჩნეული იყო მცირე ფერმერ-დებიტორების მიერ

¹ Oscar B. Johannsen, "Advocates Unrestricted Private Control over Money and Banking," *The Commercial and Financial Chronicle* (12 ივნისი, 1958), გვ. 2622.

შემუშავებულ გეგმად ბოსტონელი მოვაჭრე-კრედიტორების წინააღმდეგ. ეს სტერეოტიპი პირველად გეგმის თანამედროვე ოპონენტების მიერ ჩამოყალიბდა, რომლებმაც ბანკის მომხრეები „უღებებდა“ შერაცხეს; იგი სისტემაში მოიყვანეს ისეთმა კონსერვატორმა ეკონომიკურმა ისტორიკოსებმა, როგორცაა ენდრიუ დევისი, რომელიც წერდა მაშინ, როცა აგრარული პოპულისტური ინფლაციის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენდა ფინანსებისთვის. შემდგომ გააგრძელეს ნეო-მარქსისტმა ისტორიკოსებმა 1930-იან წლებში და საბოლოოდ დამკვიდრდა ისტორიის სახელმძღვანელოებშიც. როგორც დოქ. ბილიასმა საკუთარ მნიშვნელოვან ნაშრომში დაგვანახა, გეგმის მომხრეები მდიდრები იყვნენ, ისინიც ისევე იყვნენ დაკავშირებული ბიზნესთან, როგორც მათი მოწინააღმდეგეები; ვაჭრებიც დებიტორები იყვნენ. მინის ბანკის მთავარი დამცველები „ბოსტონში მცხოვრები ბიზნესმენები, პოლიტიკოსები და წარჩინებული ადამიანები იყვნენ“: ამ გეგმის მთავარი მომხრე ჯონ ქოლმენი, გამოჩენილი ბოსტონელი ვაჭარი და მასაჩუსეტსის მინის ბანკის დამფუძნებელი იყო. ქოლმენი, ცდილობდა ფერმერებს შორის მხარდაჭერა მოეპოვებინა იმით, რომ ჰპირდებოდა მათ ბანკის დამაარებლების მიერ გამოწვეული ინფლაციის ზრდით ფერმერულ ნაწარმზეც გაიზრდებოდა ფასები. ბიზნესმენები განსაკუთრებით მოწინააღმდეგეები იყვნენ ინფლაციის მოსახდენად 1720 წლის შემდგომ, რადგან ამ დროს მასაჩუსეტსის მთავრობამ ერთგვარი პოლიტიკა გაატარა და დაუსახლებელი მიწები საექსპლანტებს აჩუქა, რომლებმაც შემდგომ ეს მიწები ახალმოსახლეებს ბევრად უფრო მაღალ ფასად მიჰყიდეს. საბანკო კრედიტების გაზრდა გამოცხადდა ბიზნეს გეგმების დასაფინანსებლად და სამთავრობო გრანტებმა მინის ფასები მკვეთრად გაზარდა. ინფლაციას დაუკავშირეს კიდევ ერთი მერკანტილური საკითხი: შიდა მეთურნეობის სუბსიდირება, რომლისთვისაც ბანკის ვალის გასტუმრება წარმოებული საქონლით ხორციელდებოდა.

ბ) ნიქოლას ბიდლი, მგეგმავი და ცენტრალური ბანკის მმართველი

სამწუხაროდ, ასევე არასწორად განმარტეს ისტორიკოსებმა ცნობილი საბანკო ომი ენდრიუ ჯექსონსა და აშშ-ს მეორე ბანკს შორის. ჯექსონი მიჩნეული იყო აგრარული ინფლაციის მიხედვით ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენლად, რომელიც წინააღმდეგებოდა ბანკის მმართველ ნიქოლას ბიდლს. საქმის ასეთი ინტერპრეტაცია ჯექსონის თანამედროვე მტრებმა მოგვცეს, XIX ს-ის ბოლოს. შემდგომ ნეო მარქსისტმა ისტორიკოსებმა აღიარეს 1920-30-იანი წლებში. სინამდვილეში კი, როგორც თანამედროვე ისტორიკოსები აღნიშნავენ, ახალი მიმდინარეობის მამამთავრად ითვლება არა ენდრიუ ჯექსონი, არამედ მისი ოპონენტები, ნიქოლას ბიდლის ჩათვლით. ბიდლმა, წარმატებული ფილადელფიელი ვაჭრის ვაჟმა, მერკანტილური „ამერიკული სისტემა“ კარგად გამოიყენა. ბიდლის მერკანტილური ხედვები მკაფიოდ ჩანს პროფესორ ჯოვანის სახატბო ბიოგრაფიაში. იგი წერს: “პოლიტიკური ეკონომიკის შესწავლამ ბიდლი მიიყვანა კლასიკოსი ლიბერალების დოქტრინების უარყოფამდე... იგი კარგად ხედავდა 1812 წლის ომის დროს და მის შემდგომაც ბაზარი როგორ პასუხობდა ფულის მიწოდების გაფართოება-შეკუმშვას და სჯეროდა, რომ ეკონომიკური ქმედება იმართებოდა ბუნებითი კანონებით. იგი ეროვნული მიზეზების გამო იცავდა დამცავ ტარიფებს, კერძოდ, ინგლისის ეკონომიკური გავლენისგან ქვეყნის გასათავისუფლებლად... სხვა ქვეყნებთან შედარებით მუშათა და ქარხნების მფლობელთა ხელფასები და მოგება უნდა შენარჩუნებულიყო მაღალ დონეზე, ხოლო ფერმერები და ვაჭრები მიიღებდნენ კომპენსაციას... ამგვარ პროგრამაში ეროვნული ბანკი სასიცოცხლო ელემენტი იყო. გზების და არხების მშენებლობას; მდინარეების და ნავსადგურების გაუმჯობესებას ადამიანების და

⁵ George Athan Billias, *The Massachusetts Land Bankers of 1740*, მაინი უნივერსიტეტის ბიულეტენი, აპრილი, 1959.

საქონლის გადაადგილება უნდა ნაეხალისებინა, ხოლო აშშ-ის ბანკი, ერთი საგადამხდლო საშუალების გამოცემითა და შიდა გაცვლების განაკვეთთა რეგულირებით, გარიგებების ფულად ასპექტებს ნაახალისებდა.

კერძო ეკონომიკის ეს კონცეფცია ერთ ადამიანს არ შეუქმნია. მას მხარს უჭერდნენ სახელმწიფო სამსახურის მაღალჩინოსნები. იგი გადმოცემულია ალექსანდრე ჰემილტონის სახელმწიფო დოკუმენტებში...⁹

გ) სტეფან ქოლუელი, კონსერვატორული სოციალისტი

კონსერვატიზმის და სოციალიზმის უგულბელყოფილი მერკანტილური სიახლოვე ყველაზე კარგად გადმოგვცა XIX ს-ის პირველი ნახევრის წამყვანმა პროტექციონისტმა იდეოლოგმა სტეფან ქოლუელმა¹⁰. პენსილვანიელი ქოლუელი რკინიგზაში ახდენდა ინვესტიციებს. რკინის წარმოება ყოველთვის დამცავი ტარიფების და საკრედიტო დახმარებების¹¹ უმთავრესი მიმღები იყო. რიგ სტატიებში, რომელიც 1840-იან წლებში პრესბიტერიანულ ბიბლიურ რეპორტიორსა და პრინსტონის მიმოხილვაში გამოქვეყნდა, ქოლუელი „ქრისტიანობის სახელით მონობის მხარდაჭერის, მაღალი ტარიფებისა და ქვეყნის ანტიდემოკრატიული ძალების გაერთიანებას ცდილობდა“¹². ქოლუელი მხარს უჭერდა სამართლიანი ტარიფებით რეგულირებას. დასაქმებული „განადგურებული, მშვიერი, და გარიყულია ჯოჯოხეთური კონკურენციის გამო“, იგი სამხრეთელ მონებზე უარესი „მონაა“¹³. ქოლუელი ეკონომიკურ ჩაურევლობას აკრიტიკებდა და მას მიიჩნევდა, როგორც აბსტრაქტულს, ეგოისტურსა და მატერიალისტურს ვიდრე რელიგია, მორალი, ისტორია და მთელი კაცობრიობის კეთილდღეობაა. ეკონომიკური ჩაურევლობის თეორეტიკოსებმა „თავისუფალი ვაჭრობა“ ყველაზე მაღლა დააყენეს. ქოლუელი ასევე წერდა: მხოლოდ მთავრობას შეუძლია მიმოიხილოს ეროვნული წარმოება მთლიანობაში და გამოარკვიოს მთავრობის მდგომარეობა... თუ რამდენი იტანჯება უცხოური პროდუქციის შემოსვლით“.

1850-იან წლებში ქოლუელმა ყურადღება გაამახვილა ჯანსაღ ფულზე, მოუწოდა ცენტრალურ ბანკს დაერეგულირებინა საგადამხდლო საშუალება და ყურადღება მიექცია არაგანაღდებად ქალაქის ფულისთვის. ფაქტობრივად, ქოლულის სქემის მიხედვით, ბანკები გამოისყიდიან ბანკნოტებს და ვალდებული იქნებიან მიიღონ საკუთარი ბანკნოტები მხოლოდ გაცემული ვალის გადახდის გზით. ქოლუელმა უარყო, რომ მის მიერ განჭვრეტილი ინფლაცია გაზრდიდა ფასებს: ფულის რაოდენობრივი თეორია „თეორეტიკოსების“ პროდუქტი იყო და არ მტკიცდებოდა სტატისტიკური შედეგებით. მაღალი ფასები, მაშინაც კი თუ ისინი წარმოიშობიან, სასარგებლონი არიან, განსაკუთრებით როცა ერწყმიან მაღალ ტარიფებს, რაც იმის გარანტიაა, რომ უცხოური კონკურენცია ვერ დაარღვევს მაღალი ფასების და მაღალი ხელფასების იდელიას. ქოლუელმა გააკიცხა საბანკო სისტემა, რომელიც მონეტების მეშვეობით ახდენდა გადახდებს¹⁴.

⁹ Thomas Payne Govan, Nicholas Biddle: Nationalist and Public Banker, 1786-1844 (University of Chicago Press, 1959), გვ. 70-71; 50, 65.

¹⁰ იხ. Joseph Dorfman, The Economic Mind in American Civilization (ნოუ იორკი, Viking Press, 1946), II, 809-26
¹¹ პირველი გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერი ამერიკაში, ორგანიზებული პროტექციონისტური მოძრაობის, წარმომადგენელი პენრი ბოლდუინი, ცნობილი რკინის მწარმოებელი იყო ქალაქ პიტსბურგიდან. ბოლდუინი როგორც „ამერიკული სისტემის მამა“. იხ. Murray N. Rothbard, The Panic of 1819: Reactions and Policies (ნოუ იორკი: Columbia University Press, 1962), გვ. 164.

¹² Dorfman, op. cit., გვ. 811.

¹³ იქვე, გვ. 811-12.

¹⁴ Stephen Colwell, The Claims of Labor and Their Precedence of the Claims of Free Trade (1861)

¹⁵ Harry E. Miller, Banking Theories in the United States Before 1860 (Cambridge; Harvard University Press, 1927) გვ. 138; 135-38

დ) ინფლაცია და პროტექციონიზმი რეკონსტრუქციის პერიოდში

კიდევ ერთი მითი, რომელიც თითქმის დღემდე დომინირებდა ისტორიკოსებს შორის, რეკონსტრუქციის პერიოდის ნეო-მარქსისტული ბეარდ-ბელეს კონცეფციაა, რომელიც ჩრდილოეთის „ზრდადი კაპიტალისტური კლასის მიერ სამხრეთის ექსპლოატაციის“ დამარცხებას ასახულებდა, რომ „ექსპლუატაცია“ ხდებოდა ჯანსაღი ფულით და დამცავი ტარიფის მეშვეობით. აქაც ისტორიკოსები დამნაშავეები იყვნენ, იმ ისტორიული და პოლიტიკური მდგომარეობის არასწორად შეფასებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1890 წლის შემდეგ. ფაქტობრივად, როგორც ახლახან რამდენიმე ისტორიკოსმა გვანახა, ჩრდილოეთის კაპიტალისტები რეკონსტრუქციის პროგრამასთან დაკავშირებით ორ ნაწილად გაიყვნენ, რადიკალი რესპუბლიკელები კი თავად ასევე ორ ნაწილად გაიყვნენ ჯანსაღი ფულისა და ტარიფების საკითხებზე. ორი ცნობილი რადიკალი ლიდერიდან ერთი სენატორი ჩარლზ სამნერი მყარ ფულსა და თავისუფალ ვაჭრობას ემხრობოდა, მაშინ როცა წარმომადგენელი თავდუს სთივენსი, პენსილვანიელი ზეინკალი, პროტექციონიზმსა და ქალაქის დოლარის არსებობას უჭერდა მხარს. პენსილვანიური რკინისა და ფოლადის ინდუსტრია პროტექციონიზმისა და ქალაქის ნიშნის ინფლაციის მხარდამჭერად გამოდიოდა. პენსილვანიელები მიხედნენ რომ, არაგანალდებადი ქალაქის ფული ინფლაციის პერიოდში - რასაც შედეგად ქალაქის დოლარის გაუფასურება მოჰყვა ოქროსთან და საგარეო ვაჭრობასთან შედარებით - დამცავი ტარიფის ექვივალენტური იყო, ექსპორტის ფასის ხელოვნურად დაწვეის და ამერიკული იმპორტის გათვალისწინებით. პენსილვანიის წარმომადგენელი ულიამ დ. ქელი, ქალაქის ფულის ინფლაციის და დამცავი ტარიფების კიდევ ერთი თავგამოდებული მომხრე იყო.

პენსილვანიური რკინის და ფოლადის სარგებლებს საფრთხეს უქმნიდა დიდ ბრიტანეთში არსებული დაბალი ფასები. მდიდარი მერკანტილისტები ანტიკაპიტალისტურ რიტორიკას არ სცილდებოდნენ. სტიფან ქოლუელი ამ შემთხვევაშიც აქტიური იყო. პენსილვანიელმა რკინის მწარმოებელმა დანიელ ჯეი მორელი ეწინააღმდეგებოდა მყარი ფულის მხარდამჭერებს და მათ მიიჩნევდა „მუშების მტრად“ და „ფულიან პირად, რომელსაც სურდა, რომ საკუთარ ფულს სამუშაო ძალებსა და წარმოებულ საქონელზე მეტი ძალაუფლება ჰქონოდა.“¹⁶ „ჯოსეფ ვართონმა, ბეთლემ აირონ კომპანიიდან, დაადანაშაულა მყარი ფულის პოლიტიკა ძველი გადახდის საშუალებების განახლებაში, როგორც „ჩვენი ინგლისელი მტრების მიერ“ ამოქმედებული¹⁷. პროტექციის და ინფლაციის შედეგს მხარს უჭერდა ამერიკის რკინის და ფოლადის ასოციაცია, ამერიკელი რკინის მწარმოებელთა კავშირი, ამერიკული ინდუსტრიული ლიგა (რომელიც ძირითადად პენსილვანიელი რკინის მწარმოებლებისგან შედგებოდა) და ინდუსტრიული ბიულეტენი, ისევე როგორც ჟურნალები ამერიკელი მენარმე (პიტსბურგი) და რკინის ხანა.

ამ პერიოდში იაფი ფულის ერთ-ერთი წამყვანი დამცველი გამოჩენილი ბანკირი ჯეი ქუქი იყო. ქუქმა, რომელმაც სარკინიგზო წამოწყებებში მინის სამთავრობო გრანტები მიიღო, ინფლაციისა და საკრედიტო ექსპანსიის შედეგად მინის გაზრდილი ფასებით ისარგებლა. შემთხვევით, ქუქი სამოქალაქო ომის დროს ეროვნული საბანკო სისტემის შექმნის წამყვანი ძალა გახდა. ამ ინოვაციით საბანკო სისტემაზე ფედერალური კონტროლი დაწესდა, მას შემდეგ რაც ჯექსონმა შეერთებული შტატების მეორე ბანკი გააუქმა. ქუქი ჩრდილოეთ-მა დაიქირავა სამთავრობო გირავნობის სადაზღვეო საქმიანობის სანარმოებლად. ამ საკი-

¹⁶ Robert P. Sharkey, *Money, Class, and Party* (Baltimore: Johns Hopkins Press, 1959), გვ. 159 n.

¹⁷ Irwin Unger, "Business Men and Specie Reconstruction," *Political Science Quarterly* (March, 1959), გვ. 53.

თხეზზე იგი ეროვნული საბანკო სისტემის დაფუძნებისათვის მუშაობდა, რომლის რეზერვებიც, სამთავრობო გირათი მყარდებოდა და ამგვარად აიძულებდა ბანკებს დიდი ინვესტირება მოეხდინათ გირაოებზე¹⁸.

ე. პოლ ვორბურგი, აქცეპტის ბაზარი და ფედერალური სარეზერვო სისტემა

საოცარია, მაგრამ ფედერალური სარეზერვო სისტემის ჩამოყალიბებისთანავე ქალაქის აქცეპტის ბაზრის შექმნა დაიწყო. ეს კრედიტის ის ფორმაა, რომელიც ევროპისგან განსხვავებით ამერიკაში თითქმის არ არსებობდა. იგი სრულიად არაეკონომიკური იყო აშშ-თვის, სადაც საკრედიტო არხები ერთი სახელწოდების თამასუქს ანიჭებდნენ უპირატესობას. მაგრამ მაინც, „ფედი“ უზარმაზარ სუბსიდირებას უწევდა აქცეპტის ბაზარს, ყოველთვის მზად იყო შეესყიდა ბაზრის მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი აქცეპტი ხელსაყრელ ფასად, იმაზე იაფად ვიდრე ფედერალური რეზერვი ჩვეულებრივ კომერციულ ქალაქებს ყიდდა თვითონ. აქცეპტის ბაზრის უპირობო დახმარების და სუბსიდირების პოლიტიკა გამანადგურებელი გამოდგა 1920-იანი წლების ეკონომიკური ვარდნის დროს, როცა მან რამდენჯერმე შეუშალა ხელი ფედერალურ სარეზერვო ბანკს შეერყეობინა საკრედიტო ექსპანსია. გვიან 1920-იან წლებში ფედერალურ სარეზერვო სისტემა ამ გზით ახდენდა აქცეპტის შესყიდვას პირდაპირ კერძო აქცეპტების ბანკებიდან, რის შედეგად ხელში ჩაიგდო ქვეყანაში ბანკირების აქცეპტების თითქმის ნახევარზე მეტი. უფრო მეტიც, მან უხვი სუბსიდირების პოლიტიკა რამდენიმე მსხვილ საკონტრაქტო სახლის დაფინანსებამდე შეზღუდა. მან უარი განაცხადა აქცეპტების პირდაპირ ბიზნესიდან შესყიდვაზე, დაჟინებით მოითხოვდა იმ შუამავალი სახლების ჩართვას ამ პროცესში, რომელთა კაპიტალი ერთ მილიონ დოლარზე მეტი იყო. მან ასევე რამდენიმე მსხვილ დილერსთან „მეორედ შესყიდვის ხელშეკრულება“ გააფორმა - ეს იყო საშუალება უკან გამოესყიდა აქცეპტი მოცემულ დროსა და არსებულ ფასში. .

რა იყო ამ მალაქინფლაციური პოლიტიკის მიზეზი, რომლითაც უშედეგო აღმოჩნდა მუდმივი და საყოველთაო აქცეპტის ბაზრის შექმნის ცდებლობა და შექმნა აქცეპტის ბანკებისთვის სუბსიდირების და სპეციალური პრივილეგიების მინიჭების შემზარავი ფორმა? შესაძლოა, მიზეზი მდგომარეობს ნამყვან როლში, რაც ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნაში პოლ ამ. ვორბურგმა ითამაშა. ვორბურგი წარმოშობით გერმანიიდან იყო, სადაც კარგად იყო დამკვიდრებული ცენტრალური საბანკო სისტემა. იგი აშშ-ში ჩავიდა იმიტომ, რომ კუნის, ლოების და კომპანიის საინვესტიციო სახლის პარტნიორი გამხდარიყო და ცენტრალური ბანკის სახელით სწრაფადაც მოიკიდა ფეხი.

ვორბურგი დასახელდა ფედერალური სარეზერვო საბჭოს პირველ თავჯდომარედ. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ და 1920-იან წლებში იგი თავჯდომარეობდა გავლენიან ფედერალურ სათათბირო საბჭოს, კანონით დადგენილ ბანკირთა ჯგუფს, რომელიც ფედერალური სარეზერვო სისტემის მრჩეველ ორგანოს წარმოადგენდა. ვორბურგი ქვეყნის ნამყვანი აქცეპტის ბანკირი გახდა, ამგვარად სარგებლობდა სისტემიდან, რომელიც თავად დააფუძნა და რომლის კურსის დადგენასაც თავადვე ემზარებოდა. იგი იყო მსოფლიოში უდიდესი ნიუ იორკის საერთაშორისო აქცეპტის ბანკის თავჯდომარი, ვესტინგჰაუსის აქცეპ-

¹⁸ Sharkey, op. cit., 245 ff.; Unger, op. cit., გვ. 46-70, Stanley Coben, "Northeastern Business and radical Reconstruction: a Re-examination", Mississippi Valley Historical review (June, 1959), გვ. 67-90; Irwin Unger, „Review of Robert P. Sharkey, Money, Class and Party,” Political Science Quarterly (June, 1960); და Julius Grodinsky. "Review of Robert P. Sharkey, Money, Class and Party," Mississippi Valley Historical Review (June, 1960).

ტის ბანკის და სხვა რამდენიმე მიმღები სახლის დირექტორი, ამერიკის აქციუპტის საბჭოს (სავაჭრო ასოციაცია, 1919 წელს დაარსდა) აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე და ერთ-ერთი დამფუძნებელი. ვორბურგის გავლენის აღნიშვნა არ არის სპეკულაცია, იგი თავადაც ტრაბახობდა საკუთარი წარმატებით ფედერალური სარეზერვოსისტემის დარწმუნებაში, რომ შეემსუბუქებინა ფულის შესყიდვის წესები და დაემკვიდრებინა სუბსიდირებულ განაკვეთზე ყველა შეთავაზებული აქციუპტის შესყიდვის პოლიტიკა¹⁹. მას დიდი გავლენა ქონდა ბენჯამინ სთრონგზე, ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის უფროსზე, რომელიც წლების მანძილზე აყალიბებდა ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკას²⁰.

ამ ისტორიებით, ჩვენ დავინახეთ, რომ ინფლაციონიზმი და მონეტარული სისტემის სახელმწიფო კონტროლი, ამერიკის ისტორიის მრავალი კრიტიკური პერიოდის განმავლობაში, შეთავაზებულ და დამკვიდრებულ იქნა არა „მუშათა და ფერმერების“, არა უკმაყოფილო ინტელექტუალების მიერ, არამედ ვაჭართა, მწარმოებელთა და სხვა ბიზნესმენტთა მიერ, რომლებსაც სურდათ პრივილეგიების მიღება და სახელმწიფოს თავის სასარგებლოდ გამოყენება - ანუ თანამედროვე გაგებით მერკანტილისტების მიერ. მათ ძალზე დიდი როლი ითამაშეს ეტატიზმის მიმართულებით მოძრაობაში და ცენტრალიზებულ დაგეგმვაში.

¹⁹ Charles O. Hardy, *Credit Policies of the Federal Reserve System* (Washington: Brookings Institution, 1932). პარდი მართალი იყო იმის დასკვნაში (გვ. 263), რომ „კრედიტის აქციუპტის ფორმით ძალით გამოყენებას შედეგი არ ექნებოდა, ის საკუთარ დამსახურებებსაც კი ვერ გაუწევდა კონკურენციას.“

²⁰ მისი საპრეზიდენტო მიმართვა ამერიკის აქციუპტის საბჭოს წინაშე 1923 წლის 19 იანვარს. იხ., Paul M. Warburg, *The Federal Reserve System* (New York: Macmillan, 1930), II, 822.

ჰანს ჰერმან ჰოპჰე

საბანკო სისტემა, ეროვნული სახელმწიფოები და საერთაშორისო პოლიტიკა: ამჟამინდელი ეკონომიკური წესრიგის სოციოლოგიური რეკონსტრუქცია¹

თარგმნა თამარ ხეთისიაშვილმა

ფული და საბანკო სისტემა

იმისთვის, რომ ბარტერის წარმოშობა აეხსნათ, საჭიროა ჯერ პირადი სარგებლის არსში გავერკვეთ. რადგან ადამიანი მეტ არჩევანსა და მეტ საქონელს ამჯობინებს ნაკლებთან შედარებით, შესაბამისად იგი აირჩევს ბარტერს და შრომის დანაწილებას შენახვის ნაცვლად. ბარტერიდან ფულის წარმოშობა სწორედ ამ ვინაობა პირადი სარგებლიდან მომდინარეობს, თუ ადამიანი ჩართულია ბარტერულ ეკონომიკაში და უპირატესობას დაბალთან შედარებით მაღალი ცხოვრების სტანდარტს ანიჭებს, იგი გადაწყვეტს აირჩიოს და მხარი დაუჭიროს საზოგადო გაცვლის საშუალებას. ფულის შერჩევისას მას შეუძლია დაძლიოს ბარტერული ეკონომიკის მიერ გაცვლაზე დაწესებული ფუნდამენტური შეზღუდვა, რაც სურვილების ორმაგი დამთხვევის არსებობის საჭიროებაა. ფულის არსებობისას მისი გაცვლის შესაძლებლობები ფართოვდება. ორმაგი დამთხვევის ან არასრულყოფილი გაყოფადობისგან დამოუკიდებლად ადამიანისთვის ნებისმიერი საქონელი გაცვლადი ხდება. გაფართოებული გაცვლისუნარიანობის საშუალებით მის მფლობელობაში არსებული თითოეული საგნის ღირებულება იზრდება. რადგან ადამიანი ჩართულია გაცვლით ეკონომიკაში, პირადი სარგებელი უზიჭებს მას მოიძიოს განსაკუთრებულად გაყიდვადი საქონელი, რომელსაც გააჩნია ფულისთვის სასურველი მახასიათებლები, როგორცაა გაყოფადობა, აღიარებულობა, პორტატულობა არა პირადი, არამედ მათი გაცვლის საშუალებად გამოყენებისთვის. იგი ასევე დანტერესებულია, აირჩიოს გაცვლის ისეთი საშუალება, რომელსაც სხვებიც იყენებენ. ფაქტობრივად, ფულის ფუნქცია გაცვლის გამარტივება, გაცვლის შესაძლებლობების არეალის გაფართოება და ამგვარად საქონლის ღირებულების ზრდაა (იმის ფარგლებში, რომ ისინი აღიქმებიან, როგორც გაცვლით ეკონომიკაში ჩართულნი). რაც უფრო ფართოდ გამოიყენება საქონელი როგორც ფული, მით უფრო უკეთესად ასრულებს იგი მონეტარულ ფუნქციას. პირადი სარგებლით, ადამიანი ნაკლებად საზოგადო გაცვლის საშუალებების ნაცვლად უპირატესობას ყოველთვის უფრო უნივერსალურ გაცვლის საშუალებას ანიჭებს. რაც უფრო ფართოდ გამოიყენება ფული, მით უფრო იზრდება ბაზარი, რომელშიც ადამიანი ერთვება, უფრო რაციონალურია ადამიანთა ღირებულებები და დანახარჯების დათვლა (მათი თვალთახედვით, ვისაც ეკონომიკური ჩართულობა და სიმდიდრის მაქსიმზირება სურს), და მით უფრო მეტ სარგებელს იღებს ადამიანი შრომის დანაწილებიდან.² ემპირიულად, რა თქმა

¹ ნერილი გამოქვეყნდა კრებულში "Money and Nation State", Review of Austrian Economics, Vol. 4, 1990, გვ. 55-8

² თავისუფალ ბაზარზე ფულის განვითარებისთვის იხ. Carl Menger, Principles of Economics (New York, New York University Press, 1976), გვ. 257-85; „Geld“, Carl Menger, Gesammelte Werke, ტომი 4 (Tübingen: Mohr, 1970).

უნდა, საქონელი რომელიც ერთ დროს უნივერსალურობის გამო არჩეულ იქნა, როგორც საუკეთესო, არის ოქრო. ახლო მომავალში, მთავრობების ძალდატანების გარეშეც ოქრო ხელმეორედ იქნება არჩეული, როგორც საქონელი, რომელიც ყველაზე უკეთესად ასრულებს ფულის ფუნქციას. პირადი სარგებელი ყველას უზიძგებს ოქროს არჩევისკენ, როგორც სხვა ფულთან შედარებით უნივერსალურად გამოყენებად გაცვლის საშუალები-კენ. რადგან ყოველი ინდივიდი ჩართულია გაცვლთა ეკონომიკაში, იგი ამჯობინებს აღ-რიცხვა ოქროს ანარმოს და არა სხვა ფულად საშუალებაში, რადგან ოქროს საყოვე-ლთაოდ აღიარება ამგვარ აღრიცხვას სრულად გამოხატულს ხდის ადამიანების ალტერ-ნატიულ ლირებულებისთვის და საუკეთესო მეგზურია სიმდიდრის ზრდის მცდელობაში. ყველა სხვა დანარჩენი, ნაკლებად უნივერსალური და საერთაშორისო ფული, როგორც ეროვნული თუ რეგიონული ფულებია გამოყენებიდან გამოვა. ფული ადამიანმა გამო-იგონა საკუთარი სიმდიდრის გაზრდის და გაფართოებად და უნივერსალურ ბაზარზე საკუ-თარი თავის ინტეგრირების მიზნით. პირადი სარგებლის მიდევნების გზით, კონკურენტული გარემოს არსებობის გამო ოქრო სწრაფად გამოდევნის ეროვნული თუ რეგიონული გაცვლის საშუალებებს, რადგან მხოლოდ ოქრო ასრულებს ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს და მსოფლიოს მასშტაბით ქმნის ბაზრებს. ამგვარად ოქრო ასრულებს ზოგადი გაცვლის საშუალების ფუნქციას.³

საბოლოოდ გაცვლის საშუალების ერთ უნივერსალურ ფულად ჩამოყალიბება, როგო-რიცაა ოქრო, ათავისუფლებს ისეთ თავისებურებებს, რომლებიც ადრე არ არსებობდა გაცვლის პროცესში არსებული სურვილების ორმაგი დამთხვევის შეზღუდვის გამო (როგო-რიცაა კონკურენტული ფულების არსებობა თავისუფლად მცურავი გაცვლითი კურსების დროს). ბარტერის დროს ბაზარი მწარმოებლის პროდუქციისთვის შეზღუდულია ორმაგი სურვილების დამთხვევის მიზეზით. ოქროში გამოხატული ფასებით მენარჩევა ბაზარი ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს და მოთხოვნა იძენს შეუზღუდავ ეფექტს ნებისმიერი ორმაგი დამთხვევის არარსებობისას მსოფლიო მასშტაბით. შესაბამისად, წარმოება იზრდე-ბა, და იგი უფრო მეტად იზრდება ოქროს, ვიდრე რომელიმე სხვა ფულის შემთხვევაში. გაზრდილი წარმოება ფულის ლირებულებასაც ზრდის; ფულის მსყიდველობითი უნარის ზრდა ადამიანებში მისი შენახვის სურვილს ამცირებს, ასევე ამცირებს ადამიანთა დროითი უპირატესობის განაკვეთს (სარგებლის განაკვეთს) და კაპიტალის ზრდას განაპირობებს. ეკონომიკური განვითარების აღმავალი სპირალური პროცესი მოქმედებას იწყებს.

ეს განვითარება ბანკების, როგორც ფულთან დაკავშირებული სპეციალიზებული ინსტი-ტუტების წარმოშობისთვის ქმნის საფუძველს. ერთი მხრივ, ბანკები ეგებებიან ფულის შენა-ხვის, ტრანსპორტირების და შეგროვების ზრდად მოთხოვნებს. მეორე მხრივ, ისინი ასრუ-ლებენ ზრდადი მნიშვნელობის მქონე გაცვლის შემსუბუქების ფუნქციას კაპიტალისტებსა (დამზოგველებს) და მწარმეებს (ინვესტორებს) შორის და თითქმის სრულად ახდენენ შრომის დანაწილებას ამ შესაძლო როლებს შორის. ბანკები სწრაფად ხდებიან ეკონომიკის ნერვული ცენტრის დაბოლოებები. ეკონომიკური რესურსების და საქმიანობის ზრდას და სივრცით და დროითი გადანაწილებას და კოორდინაციას ადგილი აქვს ბანკების შუამავლო-ბით; ამგვარი კოორდინაციის ხელშეწყობით ბანკების გარჩენა ეკონომიკური ზრდისთვის კიდევ ახალ სტიმულს გულისხმობს.⁴ რადგან ყველას ეკონომიკურ ინტერესს წარმოადგენს, არსებობდეს მხოლოდ ერთი საყოველთაო ფული და მხოლოდ ერთი სათვლელი ერთეული,

³ ოქროს სტანდარტისთვის იხ. Llewellyn H. Rockwell, Jr., *The Gold Standard: An Austrian Perspective* (Lexington, Mass.: D.C. Heath, 1985); Ron Paul და Lewis Lehrman, *The Case for Gold* (San Francisco: Cato Institute, 1983).

⁴ საბანკო საქმიანობაზე და კერძოდ სესხისა და საბანკო ანაბრების საქმიანობის განსხვავებულ ფუნქციაზე იხ. Murray N. Rothbard, *The Mystery of Banking* (New York: Richardson and Snyder, 1983).

და რადგან ადამიანი საკუთარი სიმდიდრის მაქსიმიზების პროცესში, სანამ მიზანს არ მიაღწევს არ გაჩერდება, ეს არსებითად უწინააღმდეგება მხოლოდ ერთი ბანკის ან ერთი მონოპოლისტური საბანკო სისტემის არსებობის ინტერესს. არამედ, პირადი სარგებელი გეკარნახობს, რომ ყველა ბანკი ერთ უნივერსალურ ფულს, ოქროს, გამოიყენებს და სხვადასხვა ფულებს შორის კი აღარ იქნება კონკურენცია, არამედ თავისუფალი კონკურენცია წარმოიშობა თავად ბანკებსა და საბანკო სისტემებს შორის. რამდენი ხანიც იარსებებს საბანკო სისტემაში თავისუფალი შესვლა, ისევე როგორც სხვა ბიზნესებში, ღირებულების ეფექტიანობა წარმოიშობა. რადგან ეს კონკურენცია ერთი და იმავე ფულის პირობებში განუღმომსახურებას ეხება, თავისუფალ საბანკო საქმიანობას ფაქტობრივად შეეძლება ფულისა და საბანკო საქმიანობის ყველა ფუნქციის შესრულება, რაც გულისხმობს ეკონომიკური ინტეგრაციის გაადვილებას დეზინტეგრაციის საპირიპიროდ, ბაზრის გაფართოვებას და შრომის დანაწილების გავრცელებას მათი შეზღუდვის საწინააღმდეგოდ, ღირებულების და დანახარჯის ანგარიშის რაციონალურად ჩამოყალიბებას და ეკონომიკური სიმდიდრის ზრდას შემცირების ნაცვლად. ფულებს შორის კონკურენციის ცნება თავად წინააღმდეგობრივია. ზუსტად რომ ვთქვათ, მონეტარული სისტემა, რომელშიც თავისუფლად ცვალებადი გაცვლითი უსებების მქონე მოქიშვე ფულები არსებობს, კვლავ (წინააღმდეგ) ბარტერის სისტემად რჩება და იმისთვის, რომ ზოგიერთ გაცვლას ჰქონდეს ადგილი, გაჯერებულია სურვილების ორმაგი დამთხვევის პრობლემის არსებობით. ამგვარი სისტემის არსებობა ფულის ნამდვილი მიზნისთვის სრულიად შეუსაბამოა.⁵ პირადი სარგებლის თავისუფლად დაკმაყოფილების გამო, ადამიანი სწრაფადვე მიატოვებდა მას - ფულის არსთან მიმართებაში ფუნდამენტურად არასწორი შეხედულება იქნებოდა ფიქრი თავისუფალ ბაზარზე არა მხოლოდ, როგორც ბანკების შორის კონკურენციის ადგილზე, არამედ როგორც ფულებს შორის კონკურენციის ადგილზეც.⁶ კონკურენტი საგადამხდელი საშუალებები არ წარმოადგენენ თავისუფალი ბაზრის პროდუქტს, არამედ მთავრობების მიერ ძალდატანების შედეგად რაციონალური ეკონომიკური წარმოების გზაზე შემინდის წინააღმდეგობა არიან.

უნივერსალურ ოქროს სტანდარტზე დაფუძნებული თავისუფალი საბანკო სისტემის წარმოშობით მიღწეულია მიზანი, რომელიც გულისხმობს, საყოველთაოდ ინტეგრირებული ბაზრის ჩარჩოში მიღებულ იქნას ღირებულებით ყველაზე ეფექტიანი სივრცითშორისი და პერიოდთაშორისი გაცვლების კოორდინაციის და გამარტივების გადანყვებილება. ფულის შენახვის, ტრანსპორტირების და დაგროვების მომსახურების ფასებს, ფულის დროით კონტრაქტებში მოქცევისთვის, თავისუფლად შესვლის რეჟიმის პირობებში მათ ყველაზე დაბალ შესაძლო დონეზე დაიყვანს. მაგრამ სანამ ეს ფასები გამოიხატება ერთი უნივერსალური ფულის საშუალებით, ისინი ნამდვილად ასახავენ ინტეგრირებული საბაზრო მომსახურების განვითარების მინიმუმ ღირებულებას. უფრო მეტიც, საბანკო კონკურენცია ერწყმის იმ ფაქტს, რომ ფული უნდა გაჩნდეს, როგორც საქონელი - როგორცია მაგალითად ოქრო. მას საკუთარი ღირებულების გარდა, როგორც ფულს გააჩნია სასაქონლო ღირებულება და ამგვარად, შეუძლებელია მისი წარმოება მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე და ამავდროულად, თაღლითური საბანკო სისტემის წინააღმდეგ საუკეთესო დაცვას წარმოადგენს.

ბანკები, როგორც ფულის სადეპოზიტო ინსტიტუტები, სხვა იგივე ინსტიტუტების მსგავსად, - „ყალბ“ ბანკოტებს გამოსცემენ, ეს კი ნიშნავს, რომ ანაბრები ნაღდი ფულით

⁵ იხ. Murray Rothbard, *The Case for a 100 Percent Gold Dollar* (Meriden, Conn.: Cobden Press, 1984), გვ. 32-34

⁶ ამ მცდელობებზე ფართოდ გავრცელებული მაგალითია F.A. Hayek, *Decentralization of Money* (London: Institute of Economic Affairs, 1976); კრიტიკისთვის იხ. Murray N. Rothbard, "Hayek's Decentralized Money," *Libertarian Forum XV*, nos 5-6 (აგვისტო 1981 - იანვარი 1982).

არ იფარება. როგორც კი ამგვარი ბანკნოტები ფულის შემცველის როლს ითავსებენ, მას ბაზრის მონაწილეები ზედმეტი კითხვების გარეშე ნამდვილად ანაბრის ფულის ეკვივალენტურად ექცევიან. ამგვარად, ყალბი ან დეკრეტული ბანკნოტების გამოშვებით, რომელიც ფიზიკურად შეუძლებელია ნამდვილი ფულის შემცველებისგან გაარჩიო, ბანკს შეუძლია - თალღლითურად, სხვის ხარჯზე საკუთარი სიმდიდრის გაზრდა. ამ ყალბი ბანკნოტებით მას პირდაპირ საქონლის შექცნა შეუძლია და ამგვარად იმავე გზით ფულიდრება, როგორც ნებისმიერი თალღლით. მსგავსი შესყიდვებით იზრდება ბანკის და ფულის თავდაპირველი მიმღებების ნამდვილი სიმდიდრე, ხოლო თალღლითობის ინფლაციონური შედეგის გამო, იმავდროულად მცირდება მათი სიმდიდრე ვინც გვიან იღებს ან საერთოდ არ იღებს ახალ ფულს. ბანკს ასევე შეუძლია ამგვარი დეკრეტული ფული გამოიყენოს, როგორც კრედიტი და სარგებელიც მიიღოს. კიდევ ერთხელ ადგილი აქვს თალღლითურ შემოსავალს და ბანკისკენ სიმდიდრის გადაადგილებას.⁷ ამ დროს აღმავლობა-ვარდნის ციკლი მოქმედებაში მოდის: ყველაზე მცირე შესაძლო სარგებლის განაკვეთით, ახლად გაცემული კრედიტი ინვესტ გაზრდილ ინვესტიციებს და თავდაპირველად ქმნის აღმავლობას, რომელიც ეკონომიკური გაფართოებისგან ძნელად გასარჩევია; თუმცა, ამ აღმავლობას ვარდნა მოჰყვება, რადგან ის, კრედიტი, რომელმაც სტიმულირება მოახდინა, არ წარმოადგენს ნამდვილ დანაზოგებს, არამედ ჰაერზე არის შექმნილი. ამგვარად, სრულიად ახალი და გაფართოებული საინვესტიციო სტრუქტურის პირობებში, წარმოიშობა კაპიტალის ნაკლებობა, რომელიც საინვესტიციო პროექტების წარმატებით დასრულებას სისტემურად შეუძლებელ ხდის და იქმნება საჭიროება, რომ წინა, არასწორი ინვესტიციები ლიკვიდირებულ იქნას.⁸

ოქროს სტანდარტის პირობებში ნებისმიერი ბანკი ან საბანკო სისტემა (მონოპოლისტის ჩათვლით) იძულებული იქნება საკუთარი გადარჩენისთვის დანებდეს ასეთ ცდუნებების იმ ორ მოთხოვნას, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმატებული თალღლითობისთვის. ერთი მხრივ, საბანკო საზოგადოებისთვის ბანკის სანდოობა ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს - მისი თალღლითობის საწინააღმდეგო სიფხიზლე დაბალი უნდა იყოს, სხვაგვარად ჩადენილი თალღლითობა მალევე გამოვლინდება. მეორე მხრივ, ბანკს არ შეუძლია საკუთარი ბანკნოტების ინფლაცია მოახდინოს ისეთი ტემპით, რომ საზოგადოებას ნდობა დაეკარგოს მისი ბანკნოტების მსყიდველობით უნარში, რაც შეამცირებს მის შენახვაზე მოთხოვნას და გადაიხრება „ნამდვილი“ ლირებულებისგან, ნამდვილი ფულის ჩათვლით. ამგვარად გამყალბებული ბანკნოტამდე მიდის. თუმცა, თავისუფალ საბანკო სისტემაში, ერთადერთი საგადამხდელი საშუალებების შესახებ კანონების და ოქროს, როგორც ფულის არარსებობისას, პოტენციური საბანკო თალღლითობის შესაძლებლობა ჩნდება, ამიტომ თითოეული ბანკი არა მხოლოდ საკუთარი კლიენტების არამედ სხვა ბანკების კლიენტების პირისპირ რჩება. თუ ამ სიტუაციაში ბანკს დამატებითი ყალბი ფული მიმოქცევაში შემოაქვს, მან აუცილებლად უნდა ივარაუდოს ის, რომ ფული საბოლოოდ შეიძლება არა მისი, არამედ სხვა კლიენტების ხელში მოხვდეს, რომლებიც სწრაფად მოითხოვენ გამოსყიდვას, რაზეც ბანკს არ ექნება გაცემის შესაძლებლობა, სესხის აღების გარეშე. ფაქტობრივად, ამგვარი ქმედების თავიდან აცილება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ დამატებითი დეკრეტული ფული ექსკლუზიურად გადაისროლება ბანკის კლიენტების ნალდი ფულის რეზერვებში და

⁷ გაყალბების პროცესზე, იხ. Rothbard, *The Mystery of Banking*, თავი 4; ასევე Elgin Groseclose, *Money: The Human Conflict* (Norman: University of Oklahoma Press, 1934), გვ. 178 და 273.

⁸ ავსტრიული ბიზნეს ციკლების თეორიაზე, იხ. Ludwig von Mises, *The Theory of Money and Credit* (Invington-Duson, N.Y.: Foundation for Economic Education, 1971); *Human Action* (Chicago: Regnery, 1966), თავი XX; F.A. Hayek, *Monetary Theory and the Trade Cycle* (New York: Augustus M. Kelley, 1975); *Prices and Production* (New York, Augustus M. Kelley, 1967); Richard von Strigl, *Kapital und Produktion* (Vienna: Julius Springer, 1934); Murray N. Rothbard, *Man, Economy, and State* (Los Angeles: Nash, 1970), ტომი 2, თავი 12.

გამოიყენება მათ მიერ სხვა კლიენტებთან ტრანსაქციებისთვის. სანამ ბანკს არ ეცოდინება გზა, როგორ შეიძლება მსგავსი შედეგის მიღება, კრედიტის მომდევნო შეკუმშვის საფრთხე იარსებებს, როგორც გარდაუვალი ეკონომიკური შეკავება ნებისმიერი საბანკო თაღლითობიდან.⁹

სახელმწიფო და ფულის და საბანკო სისტემის მონოპოლიზება

თანამედროვე ეკონომიკური წესრიგი ხასიათდება ერთი უნივერსალური ფულის ნაცვლად ეროვნული საგადაამხდელი საშუალებების არსებობით; ოქროს ნაცვლად დეკრეტული ფულის არსებობით; თავისუფალი საბანკო სისტემის ნაცვლად მონოპოლისტური ცენტრალური "საბანკო საქმიანობით"; მუდმივი საბანკო თაღლითობით და სიმდიდრის გადანაწილებით, მუდმივი ინფლაციით და პერიოდულად განმეორებადი ბიზნეს ციკლებით და არ ხასიათდება ამგვარი შედეგების არმქონე 100 %-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობით. ადამიანს შეუძლია შეიძინოს და გაზარდოს შემოსავლები საოჯახო მეურნეობებით, წარმოებით და სახელშეკრულებო პირობების გაცვლით, ან მეურნეთა, მწარმოებელთა და სახელშეკრულებო პირობების გამცველთა ექპროპრიაციითა და დასაქმებით. სხვა გზები არ არსებობს. ეს ორივე მეთოდი კაცობრიობისთვის ბუნებრივია. წარმოების და შეთანხმების ინტერესებთან ერთად მუდმივად არსებობდა არანაწარმოებით და არაშეთანხმებით საკუთრების და სიმდიდრის შექმნის ინტერესი. ეკონომიკური განვითარების პროცესში ინტერესის შედეგად ყალიბდებიან სანარმოო ფირმები და კორპორაციები.¹⁰ პროდუქტიული წარმოების სიდიდე და ზრდა

⁹ რა შეგვიძლია ვთქვათ კარტელის შესახებ? არ შეუძლიათ კონკურენტ ბანკებს შექმნან კარტელი და შეთანხმდნენ თაღლითობის ერთობლივად წარმოებაზე? თავისუფალ საბანკო სისტემაში ეს წარმოუდგენელია, თავისუფალი საბანკო საქმიანობის სისტემა ხასიათდება ცენტრალიზაციისთვის არსებული ეკონომიკური ინფლაციის სრულიად არქონით. არსებობის შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი საბანკო კარტელი კლასიფიცირებული იქნება, როგორც ნებაყოფლობითი და შეექმნება იგივე სახის პრობლემები, რაც ნებისმიერ სხვა ნებაყოფლობით კარტელს: არა-კარტელისტიკის და/ან ახალდამწვევთა საფრთხე, და იმის აღიარება, რომ როგორც ყველა კარტელური შეთანხმების მსგავსად, საბანკო კარტელი უფრო ნაკლებად ეფექტური ნევრების სასიკეთოდ იმოქმედებს უფრო ეფექტური ნევრების ხარჯზე, მაგრამ უბრალოდ არ არსებობს წარმატებული მოქმედების ეკონომიკური საფუძველი და კარტელიზების ნებისმიერი მცდელობა როგორც ეკონომიკურად არაეფექტიანი სწრაფად დამარცხდება, მეტიც, რამდენადაც ყალბი ფული კრედიტის გასაფართოვებლად იქნება გამოყენებული, ბანკების შეთანხმებული მოქმედება დასაბამს მისცემს სრული მასშტაბის მქონე აღმასვლა-დაცემის ციკლს. ესეც დააფრთხობს კარტელიზაციას. თავისუფალი საბანკო საქმიანობის თეორიისთვის იხ. Mises, Human Action, გვ. 434-48; Rothbard, The Mystery of Banking, თავი VII.

¹⁰ საზოგადო არჩევანის სკოლის მტკიცების საპირისპიროდ, სახელმწიფოები და კერძო ფირმები არსებითად მსგავს ბიზნესებს არ აწარმოებენ, არამედ ჩართულნი არიან კატეგორიულად განსხვავებული ტიპის საქმიანობაში. ექსპლუატაციასა და ექსპორტიაციასში „პოლიტიკური“ ინტერესი დევს საფუძველად და ეს უდევს საფუძველად სახელმწიფოს ფორმირებას, რომელიც ამკრავდა საჭიროებს და გულისმობს სიმდიდრის არსებობას, ამგვარად „ეკონომიკური“ ინტერესი სულ მცირე ერთი ადამიანის ამგვარი სიმდიდრის წარმოების პირველ ადგილზეა (სანამ ამის საპირისპირო არაა სწორი). მაგრამ ამავედროულად, რაც უფრო მეტად გამოთქმული და წარმატებული იქნება პოლიტიკური ინტერესები, მით უფრო მეტად განაზადგურებული იქნება ეს ეკონომიკური ინტერესისთვის. საზოგადო არჩევანის სკოლა მართალია იმის მიზნებშია, რომ ყველა - მთავრობის მიერ დასაქმებული არანაკლებად ვიდრე ეკონომიკური ფირმის დასაქმებული - წორმალურად უპირატესობას ანიჭებს უფრო მეტ შემოსავლს ნაკლებს სანაცვლოდ და ეს ინტერესი ხსნის, რატომ უნდა ქონდეს მთავრობას ზრდის არანაკლები ტენდენცია, ვიდრე სხვა რომელიმე წარმოებას. ადამიანის სუბიექტური რწმენების მიუხედავად, ადამიანთა ქმედებების ინტეგრირება ან სახელმწიფოს ან „წარმატებული“ ეკონომიკური წარმოების ინსტიტუტური ჩარჩოში და ადამიანის სიმდიდრის მაქსიმიზების ინტერესის დევნა სინამდვილეში წარმოშობს კატეგორიულად განსხვავებულ შედეგებს. წარმომადგენლობითი მტკიცებისთვის, საჯარო არჩევანის სკოლის მსგავსად „სახელმწიფო ფირმა“ ან „პოლიტიკური გაცვლა“ არსებითად ეკონომიკური გაცვლის მსგავსია, იხ. James Buchanan და Gordon Tullock, The Calculus of Consent (Ann

განისაზღვრება ერთი მხრივ, ნებაყოფლობითი სამომხმარებლო მოთხოვნით და მეორე მხრივ, სხვა მენარმებთან კონკურენციით, რომელიც მუდმივად უზიდავს თითოეულ საწარმოს, თუ მას ბიზნესში დარჩენა სურს, იფუნქციონეროს ყველაზე დაბალი შესაძლო დანახარჯით. ამგვარი წარმოების გასაზრდელად, ყველაზე სასწრაფო სამომხმარებლო სურვილებიც კი ყველაზე ეფექტური გზებით უნდა დაკმაყოფილდეს. მხოლოდ ნებაყოფლობითი სამომხმარებლო შესყიდვები უზრუნველყოფს მას. სხვა სახის დანესებულებაზე შეზღუდვები სრულიად განსხვავებულია.¹¹ აშკარად შეუსაბამოა იმის თქმა, რომ მისი წარმოშობა და ზრდა ეკონომიკური ფორმის მსგავსად მოთხოვნით არის განპირობებული. ვერც ერთი მოსაზრებით ვერაფერს იტყვის, რომ საოჯახო მეურნეობებმა, მწარმოებლებმა და სახელშეკრულებო მხარეებმა, რომლებმაც (ნაწილი) საკუთარი აქტივების ნაწილი სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა დათმონ, თავად მოითხოვეს ასეთი მომსახურება. პირიქით, მათ ძალას ატანენ ამის მიღებაზე და სწორედ ეს არის დამამტკიცებელი იმისა, რომ ამ სერვისს არაფერს ითხოვს. მეორე მხრივ, სახელმწიფო კერძო ფორმის მსგავსად კონკურენციის პირობებში არ ხვდება. ამგვარი ფორმისგან განსხვავებით, სახელმწიფოს საკუთარი მოქმედების დანახარჯები მინიმუმზე არ აქვს დაყვანილი, არამედ შეუძლია მინიმუმზე მაღალი დანახარჯებით იფუნქციონეროს, რადგან იგი საკუთარ გაბერილ დანახარჯებს საკუთარ კონკურენტებზე გადაამისამართებს გადასახადების დანესებით ან მათივე ქცევის რეგულირებით. როცა სახელმწიფო წარმოშობა, იგი ამგვარად იქცევა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არ არსებობს მასზე მოთხოვნა და მისი არსებობა ეფექტიანიც არ არის. ხარჯების და მოთხოვნის პირობების მაგივრად, ფორმის ზრდა და მუშაობა საზოგადოებრივ შეხედულებაზეა დამოკიდებული: არაპროდუქტიული და შეუთანხმებელი საკუთრების მიღება იძულებას გულისხმობს, იძულება კი მსხვერპლს წარმოშობს. გასაგებია, რომ წინააღმდეგობა შეიძლება დაირღვეს ძალით ერთი ადამიანის (ან ადამიანთა ჯგუფის) მიერ სხვა ერთის, ორის ან სხვა სამის (ან იმავე ზომის ჯგუფის) ექსპლუატაციით. ამისთვის ფორმას იძულებით ძალასთან ერთად საზოგადოების მხარდაჭერაც უნდა გააჩნდეს. მოსახლეობის უმეტესობამ მისი მოქმედება ლეგიტიმურად უნდა აღიაროს. ეს მიღება შესაძლოა მერყეობდეს აქტიური ენთუზიზმიდან პასიურ უარის თქმამდე. თუმცა, აღიარება იმ სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ უმრავლესობას დათმობილი ჰქონდეს აქტიური ან პასიური წინააღმდეგობის განევის ნებისმიერი მცდელობა, რათა მოქმედებაში მოვიდეს არასამენარმეო და არაშეთანხმებული საკუთრების მიკუთვნება. ამგვარი ქმედებების და რღვევის სააშკარაოზე გამოტანის ნაცვლად, იმათ მიმართ ზიზღის ჩვენებით ეინც ჩართულია ამ პროცესში და არაფერს აკეთებს რომ დაეხმაროს მათ წარმატებაში (იმას თუ არ ვახსენებთ, რომ მათ ხელის შეშლას აქტიურად ახორციელებენ), უმრავლესობამ აქტიურად ან პასიურად უნდა დაუჭიროს მხარი მათ. სახელმწიფოს მიმართ მხარდაჭერი საზოგადო აზრმა უნდა დააბალანსოს ქონების მსხვერპლად ქცეული მესაკუთრეების წინააღმდეგობა ისე, რომ აქტიური წინააღმდეგობა ამაოდ გამოჩნდეს. და სახელმწიფოს მიზანი, და სახელმწიფო მოსამსახურეების სურვილი, რომ გაიუმჯობესონ საკუთარი მდგომარეობა, ქმნის დადებით საზოგადოებრივ აზრს.

Arbor: University of Michigan Press, 1965), გვ. 19; ამ ხედვის კრიტიკისა და ეკონომიკის და პოლიტიკური საშუალებების ფუნდამენტური განსხვავებისთვის იხ. Franz Oppenheimer, *The State* (New York: Vanguard Press, 1914), გვ. 24-27; Murray N. Rothbard, *Power and Market* (Kansas City: Sheed Andrews and McMeel, 1977), თავი 2.

¹¹ სახელმწიფოს შემდგომ თეორიაზე, იხ. Murray N. Rothbard, *For a New Liberty* (New York: Macmillan, 1978); *The Ethics of Liberty* (Atlantic Highlands: Humanities Press, 1982); Hans-Hermann Hoppe, *Eigentum, Anarchie und Staat* (Opladen: Westdeutscher Verlag, 1987); *A Theory of Socialism and Capitalism* (Boston: Kluwer, 1989); Anthony de Jasay, *The State* (Oxford: Blackwell, 1985).

სახელმწიფო ორი დამატებითი საზომით ცდილობს ამის მიღწევას. ერთი იდეოლოგიური პროპაგანდაა. დიდი დრო და ძალისხმევა იხარჯება საზოგადოების დარწმუნებაში, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩანს: ექსპლუატაცია ნამდვილი თავისუფლებაა; გადასახადები ნებაყოფლობითია; არასახელმწიფო ურთიერთობები ნამდვილად „კონცეპტუალურად“ სახელმწიფოებოა;¹² არავინაა მართული, ჩვენ საკუთარ თავს ვმართავთ; სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს არც კანონი და არც უსაფრთხოება; ღარიბები დაიღუპებოდნენ და ა.შ.

მეორე მხრივ, არსებობს გადაწვინება. იმის ნაცვლად, რომ უზრალოდ პარაზიტულად მოიხმაროს ის საქონელი, რასაც სხვები აწარმოებენ, სახელმწიფო შეძენილ სიმდიდრეს ადამიანებში სახელმწიფოს აპარატის გარეთ ძალით აწვინებს და ამგვარად ცდილობს გარყვანას ისინი და დაანყებინოს ფიქრი სახელმწიფოს, როგორც დამხმარის როლის მქონეზე. მაგრამ ყველანაირი გადაწვინება ასე მარტივად არ ხდება. ისევე, როგორც იდეოლოგიამ, გადაწვინებამაც ეტატიზმის მიზნით უნდა იმოქმედოს. გადაწვინება დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ამგვარად, გამართლება სჭირდება. ამას სახელმწიფო იმიტომ არ აკეთებს, რომ ადამიანებს კარგი გაუკეთოს, ისე, მაგალითად ვინმე სხვა ადამიანს საჩუქარს რომ ჩუქნის. არც იმისთვის კეთდება, რომ შესაძლო გაცვლიდან რაც შეიძლება მეტი შემოსავალი იყოს, როგორც მაგალითად ჩვეულებრივი მენარმე ჩაებმევა ხოლმე ვაჭრობაში. ამას აკეთებენ იმისთვის, რომ შემდგომი არსებობა და ექსპლუატაციისა და ექსპოროპრიაციის გაფართოება უზრუნველყონ. გადაწვინება ამ სტრატეგიულ მიზანს უნდა ემსახუროს. მისი დანახარჯები გაზრდილი სახელმწიფო შემოსავლით და სიმდიდრით უნდა გამართლდეს. პოლიტიკური მენარმეები, რომლებიც განაგებენ სახელმწიფო აპარატს შეიძლება შეცდნენ ამ ამოცანის შესრულებაში, როგორც ჩვეულებრივი ბიზნესმენი, რადგან მათი გადაწყვეტილება თუ რომელი გადაწვინების საზომია უკეთესი ამ მიზნის მისაღწევად უნდა იყოს გათვლილი ნამდვილი შედეგის მიღების მოლოდინით. და თუ სამენარმეო შეცდომები დაიშვება, სახელმწიფოს შემოსავალი გაზრდის ნაცვლად შეიძლება შემცირდეს, და შეიძლება საფრთხეც კი შეუქმნას სახელმწიფოს არსებობას. სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია და პოლიტიკური მენარმეობის ფუნქციაა თავიდან აიცილოს ამგვარი სიტუაციები და ამის მაგივრად აირჩიოს პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს შემოსავლებს გაზრდის. რადგან არც გადაწვინების პოლიტიკის კერძო ფორმები და არც მათი შედეგების წინასწარმეტყველება შესაძლებელია, არამედ გარემოებების ცვლაა მუდმივი, სახელმწიფოს ბუნება კვლავ მოითხოვს რომ მისი გადაწვინების პოლიტიკა ემყარებოდეს გარკვეულ წესრიგს და ამჟღავნებდეს გარკვეულ სტრუქტურულ სისწორეს.¹³

ისევე როგორც სანარმო, რომელიც ჩართულია ექსპლუატორულად შეძენილი სიმდიდრის მაქსიმიზებაში, სახელმწიფოს უპირველესი არეალი, სადაც ის გადაწვინების ზომებს იყენებს უსაფრთხოების წარმოებაა, რაც გულისხმობს, პოლიტიკის, თავდაცვისა და სასამართლო სისტემებს. სახელმწიფო საბოლოოდ ეყრდნობა ძალმომრეობას და ამგვარად, შეიარაღებული ძალების გარეშე ვერ იმოქმედებს. ნებისმიერი კონკურენტული შეიარაღებული ძალა - რომელიც ბუნებრივად წარმოიშობა ბაზარზე იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს ნამდვილი მოთხოვნა უსაფრთხოებაზე და დაცვის სერვისებზე - წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფოს არსებობისთვის და უნდა განადგურდეს. ამისთვის ეს საქმიანობა მან უნდა მიითვისოს და გახდეს დაცვის მომსახურების მონოპოლიური

¹² სემანტიკური აღრევა ტერმინით „კონცეპტუალური შეთანხმება“ გავრცელებულია კერძოდ ჯეიმს ბუქნანის მიერ, იხ. Hans-Hermann Hoppe, "The Fallacies of the Public Goods Theory and the Production of Security," *Journal of Libertarian Studies* 9, no. 1 (1989); supra, თავი 1.

¹³ იხ. Hoppe, *Eigentum, Anarchie, und Staat*, თავი. 5.3; *A Theory of Socialism and Capitalism*, თავი 8.

მიმწოდებელი და გადამანაწილებელი არსებულ ტერიტორიაზე. ამის მსგავსად, კონკურენტი საკანონმდებლო სისტემის არსებობაც საფრთხის წინაშე აყენებს სახელმწიფოს ლეგიტიმურობას. ასევე, საკუთარი არსებობისთვის საკანონმდებლო სისტემა ც გადამანაწილების სქემაში მონოპოლიზებული უნდა იყოს საკანონმდებლო სერვისების ჩათვლით. სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის ბუნება, რომელიც ჩართულია ორგანიზებულ ძალმომრეობაში, ასევე ხსნის გადამანაწილების მოქმედების შემდეგი სფეროების, მოძრაობის და კომუნიკაციების მნიშვნელობას. შეუძლებელია მონოპოლისტური კონტროლის გარეშე მუდმივი ექსპლუატაცია ან არსებობდეს მდინარეებზე, სანაპიროებზე, საზღვაო გზებზე, ქუჩებზე, რკინიგზებზე, აეროპორტებზე, ფოსტაზე და სატელეკომუნიკაციო სისტემებზე. ამგვარად, ესეც გადამანაწილების საგანი უნდა გახდეს. იგივე მნიშვნელობასა განათლების სფეროც. საზოგადოებრივ აზრზე დამოკიდებულებით და იმის მიღებით რომ სახელმწიფოს ქმედებები ლეგიტიმურია, არსებითაა სახელმწიფოსთვის, მისთვის არახელსაყრელი იდეოლოგიური კონკურენცია გაქრეს რაც შეიძლება სწრაფად ეტატიზმის იდეოლოგია გავრცელდეს. სახელმწიფო ცდილობს შეასრულოს ეს საგანმანათლებლო სერვისების წარმოებით გადამანაწილების საფუძველზე. სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემაში წარმატების შემდგომ საკვანძო არეა გადამანაწილებისთვის თავად სახელმწიფოს ძალის გადამანაწილება, იმ უფლებისა, რომელიც სახელმწიფოს ექსპროპრიაციისთვის, ექსპლუატაციისა და არამწარმოებით შექნილი აქტივებისთვის აქვს მორგებული. იმის მაგივრად რომ დარჩეს ინსტიტუტად, რომელიც გარკვეულ სამთავრობო პოზიციებზე შეღწევას ზღუდავს, სახელმწიფო მზარდად, და აშკარა სტრატეგიული მიზნებით, ისეთ ორგანიზებულ სტრუქტურას აყალიბებს, რომელიც პრინციპში თითოეულ პოზიციას ყველასთვის მიღწევად ქმნის და ასაჩუქრებს მონაწილეობის მიღების და კულურენციის თანაბარ და უნივერსალური უფლებით სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისთვის. არა მხოლოდ პრივილეგიებზე დიდ ეკაცობა, არამედ ყველა იღებს კანონიერ ჯოხს სახელმწიფოში იმისთვის, რომ შეამციროს სახელმწიფოს ძალის მიმართ წინააღმდეგობა.¹⁴ კანონის, უსაფრთხოების წარმოების, მიმოსვლის, კომუნიკაციების და განათლების მონოპოლიზებით, ისევე როგორც სახელმწიფოს მმართველობის დემოკრატიზებით, თანამედროვე სახელმწიფო მიისწრაფვის ფულის და საბანკო საქმიანობის მონოპოლიზებისაკენ. აღნიშნული ემსახურება სტაბილიზაციის მიზანს და სახელმწიფოს მიერ ექსპლუატაციურად შექნილი შემოსავლების გაზრდას.

ფულისა და საბანკო საქმიანობის მონოპოლიზება ის საბოლოო საყრდენია, რომელზეც თანამედროვე სახელმწიფო დგას. ფაქტობრივად, იგი ყველაზე სათუთად მოსავლელი ინსტრუმენტი გახდა სახელმწიფოს შემოსავლების ზრდისთვის. არცერთ სხვა სფეროში სახელმწიფოს არ ძალუძს კავშირი დაამყაროს გადამანაწილების დანახარჯებსა და ექსპლუატაციით მიღებულ შემოსავლებს შორის უფრო პირდაპირ, სწრაფად და დატულად, ვიდრე ამას ფულის და საბანკო საქმიანობის მონოპოლიზებით მოახერხებს. და სახელმწიფოს სქემები ნაკლებად მკაფიოდ არის გაგებული სხვა სფეროებში ვიდრე აქ. სხვების მსგავსად ამჯობინებს, მაღალ შემოსავალს ნაკლების საპირისპიროდ, მაგრამ მაინც სხვებისგან განსხვავებით, არანაყოფიერი და არაშეთანხმებული ქონების მიღების ბიზნესში, სახელმწიფოს პოზიცია ფულთან და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებით აშკარაა: მის მიზნებს საუკეთესოდ ემსახურება წმინდად დეკრეტული ფული, მონოპოლისტურად კონტროლირებადი სახელმწიფოს მიერ. მხოლოდ ამის შემდეგ გაყალბებისთვის ყველა

¹⁴ დემოკრატიზაციაზე, როგორც სახელმწიფოს ძალის გაფართოების საშუალებაზე, იხ. Bertrand de Jouvenel, *On Power* (New York: Viking Press, 1949), გვ.9-10.

ბარიერი გაუქმებულია (მარტივად ჰიპერინფლაციის მეშვეობით მთლიანი მონეტარული სისტემის მოშლა) და სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი შემოსავლები სხვის ხარჯზე გაზარდოს ისე, რომ პრაქტიკულად გაბანკროტების შიში არც ჰქონდეს.¹⁵

თუმცა, ამ მიზნებისკენ სწრაფვაში გარკვეული დაბრკოლებები არსებობს. ერთი მხრივ, არსებობს ულმობელი ფაქტი, რომ ფული წარმოიშობა როგორც საქონელი. (ამგვარად შეუძლებელია დეკრეტული ფულით ათელის დაწყება).¹⁶ მეორე მხრივ, არსებობს პრობლემა, გაყალბების საშუალებით გამდიდრება ნაკლებად შესაძრწნევია, ვიდრე ეს გადასახადების დაწესების გზით ხდება. მიუხედავად ამისა, ეს არის საზოგადოებას რომ შესაძრწნევი იქნება, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი მუდმივად ხდება ბანკების მიერ. ასევე შეუძლებელია სახელმწიფოსთვის გაექცეს ინსტიტუციონიზებული თაღლითობას თუ იგი არ ერწყმის გადანაწილების საშუალებებს, რომელთაც საზოგადოებრივ აზრში სასიკეთო ცვლილების მოხდენა ძალუძთ. ეს პრობლემა და სახელმწიფოს ბუნებრივი სურვილი არსებითად განსაზღვრავს მისი ქმედებების მიმდინარეობას. როგორც თავისუფალი ბაზრის პროცესების შედეგი, სახელმწიფო ოქროს ფულად ადგენს და თავისუფალ საბანკო სისტემას აფუძნებს. მისი მიზანი ამ სისტემის დაშლა და ამასთან ერთად თაღლითობისთვის ყველა დაბრკოლების აღმოფხვრაა. ტექნიკურად (არსებული ფსიქოლოგიური სირთულეების გამორიცხვით), ნაბიჯების თანმიმდევრობა, რომელიც ამ მიზნის შესასრულებლად უნდა გადაიდგას ნაკარნახევი: თავდაპირველად ოქროს მოპოვება სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს მონოპოლიზებული. ეს გამოიყენება ოქროს ფსიქოლოგიურად დენაციონალიზებისთვის. იგი აუქმებს პირველ უმნიშვნელოვანეს წინაღობას თაღლითობისთვის, რადგან იგი სახელმწიფოს გასამდიდრებლად ხელში უგდებს მკაფიოდ ინსტიტუციურ საშუალებებს საგადაამხდელი საშუალების ღირებულების შემცირების სისტემატური პროცესის საშუალებით.

მეორე, სისტემატურად უნდა ნახალისდეს ფულის შემცვლელების გამოყენება ნამდვილი ოქროს მაგივრად. გაყალბების ასეთი პროცესი უფრო ნაკლებდანახარჯიანია. ოქროს მოჭრის მაგივრად, მხოლოდ ქალაღდის ნიშნები უნდა დაიბეჭდოს.

თუმცა, ზემოთ განხილული პრობლემა მაინც არსებობს. სანამ თავისუფალი საბანკო საქმიანობის სისტემა ჩართულია ყალბი ბანკნოტების გამოშვებაში, გამოსყიდვის მოთხოვნით ბანკნოტების გამომშვებს ვერ ავიცილებთ თავიდან, რომელსაც საკონტრაქტო მორგების გარეშე არ შეუძლია შესასრულოს საკუთარი ვალდებულებები. დაბრკოლების დასაძლევად, შემდეგ სახელმწიფომ საბანკო სისტემის მონოპოლიზება უნდა განახორციელოს, ან ბანკებს კარტელური შეთანხმება აიძულოს მისივე ცენტრალური ბანკის მეურვეობის ქვეშ. როცა მონოპოლიზებული ან კარტელიზებული საბანკო სიტემა უკვე მოქმედებაშია მოყვანილი, სახელმწიფოს შეუძლია კოორდინირებული გაყალბების პროცესი მთლიანი საბანკო სისტემის ფარგლებში დაიწყოს, რაც რისკებს ააცილებს თავიდან.

შემდეგ ნაბიჯი ოქროს ნაციონალიზებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ ყველა ბანკს საკუთარი ოქროს რეზერვების ცენტრალურ ბანკში შენახვა და ბიზნესის ოქროს მაგივრად ფულის შემცვლელებით წარმოება მოსთხოვა. ამ გზით ოქრო, როგორც გაცვლის საშუალება ქრება ბაზრიდან და მის ნაცვლად ყოველდღიური ტრანსაქციებისთვის უფრო და უფრო გამოიყენება ცენტრალური ბანკნოტები.

¹⁵ სახელმწიფოს თანდაყოლილი ტენდენციის – შეუზღუდავი გაყალბების მონოპოლიის მიღწევისთვის იხ. Murray N. Rothbard, *The Mystery of Banking; What Has Government Done to Our money?* (San Rafael, Calif.: Libertarian Publishers, 1985).

¹⁶ დეკრეტული ფულის თავდაპირველი წარმოშობის შეუძლებლობაზე იხ. რეგრესის თეორემა: Mises, *The Theory of Money and Credit*, გვ. 97-123; Human Action, გვ. 408-10; Rothbard, *Man, Economy, and State*, ტომი I, გვ. 231-37.

ბოლოს, როცა ოქრო თვალსაწიერიდან ქრება და იგი მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაშია, სახელმწიფომ ოქროსთან დამაკავშირებელი ბოლო ბანკარი უნდა გადაჭრას, საკუთარ საკონტრაქტო ვალდებულებებს უნდა უღალატოს და საკუთარი ბანკნოტების განაღდება შეწყვიტოს. ოქროს ნანგრევებზე, რომელმაც, როგორც სასაქონლო ფულის სტანდარტმა თავდაპირველად შესაძლებელი გახადა ქალაქის ბანკნოტებს მსყიდველობითი უნარი შეეძინა, წარმოიშვა წმინდა არაუზრუნველყოფილი ფულის სტანდარტი და დღემდე ინარჩუნებს ფუნქციონირებას, რადგან სახელმწიფოს გაყალბების შეუზღუდავი ძალაუფლება გააჩნია.

გაყალბების სრული ავტონომიის მიზანი სტრატეგიას გეკარნახობს, რომელიც ფსიქოლოგიურ ასპექტებს წინა პლანზე სწევს. ამჟამად, საბოლოო მიზნის მისაღწევად სახელმწიფო მსხვერპლს წარმოშობს და ამის გათვალისწინებით მას საზოგადოებაში მხარდაჭერებიც სჭირდება. მისი აბსოლუტური გაყალბების ძალაუფლებისკენ სვლას უნდა ახლდეს გადანაწილების ღონისძიებები, რომელიც მხარდაჭერას წარმოშობს, აუცილებელს მომავალი წინააღმდეგობრივი ძალების დასაძლევად. ამიტომ მან მოკავშირეები უნდა ეძიოს.

სახელმწიფოს მიერ კანონის და წესრიგის, მიმოსვლის, კომუნიკაციების და განათლების მონოპოლიზებასთან, ასევე მისი ორგანიზაციული სტრუქტურის დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით - რადგან ამჟამად, რომ ისინი გადანაწილების საშუალებებს წარმოადგენენ და ამგვარად გულისხმობენ ერთი ადამიანის სარგებლის მიღებას მეორეს ხარჯზე - ძნელია თუ შეუძლებელი არაა, ამოიცნო მოგებულები ან წაგებულები გარკვეულ სოციალური კლასებში: სხვადასხვა კლასების წიაღში შეიძლება იყვნენ მიმღებებიც და გამცემებიც; ერთი სოციალური კლასის ფარგლებში შეიძლება იყვნენ მიმღებები და გამცემები; გადანაწილების ნიმუში დროთა განმავლობაში იცვლება. ყველა ამ შემთხვევაში სახელმწიფოს გადანაწილების კავშირი დანახარჯებსა და მათ გადახდებს შორის მხოლოდ არაპირდაპირია: განათლების გარკვეული დანახარჯები, მაგალითად, გადახდილი იქნება თუ არა სახელმწიფოს გაზრდილი შემოსავლის ფარგლებში მოგიანებებით გახდება თვალსაჩინო; და მაშინაც კი ძნელია ამგვარი შედეგი გარკვეულ შემთხვევებს მიანერო. ფულისა და საბანკო საქმიანობის მონოპოლიზების შემთხვევაში, ერთი მხრივ, ვინც სახელმწიფოს აპარატის გარეთ საკუთარი გადანაწილების პოლიტიკის ფარგლებში ვინ მინ მიიღებს და ვინ დაკარგავს თავიდანვე თვალსაჩინო; სოციალურად წყალობის გამცემი სპეციფიურ სოციალურ კლასში ადვილად ამოსაცნობია. ამ შემთხვევაში კავშირი სახელმწიფოს გადანაწილებელი წყალობები და სახელმწიფოსივე გამდიდრება პირდაპირია და ვინცა წრეში მოძრაობს; მიზნების დამოკიდებულება კი ამჟამად: სახელმწიფო იძულებულია ბანკები და ბანკირთა სოციალური კლასები თანამზრახველად გაიხადოს, მათთვის გაყალბების ოპერაციებში მონაწილეობის მიღებით და ამგვარად, სახელმწიფოსთან ერთად გამდიდრებით.

ბანკირები იქნებიან პირველნი, ვინც სახელმწიფოს მიერ თაღლითობის მცდელობას შეიტყობს. ინიციატივის გარეშე მათ არ ექნებათ მიზეზი მხარი დაუჭირონ ამგვარ ქმედებებს და ყველანაირად ეცადონ გამოაშკარონ და შეაჩერონ ის, რაც შეიძლება სწარაფად. სახელმწიფო აქ უბრალოდ წინააღმდეგობას არ წააწყდება: ბანკირები, ეკონომიკაში მათი ამაღლებული პოზიციის და უფრო კერძოდ მათი, როგორც სიერციტოზისი და პერიოდთაშორის გაცვლების ხელშემწყობთა პროფესიული ჯგუფის გამო, იქნება ყველაზე საშინელი წინააღმდეგობა რასაც ადამიანი გადაწყდება. ამგვარი პოტენციური მტრების ბუნებრივ მოკავშირეებად გადაქცევისთვის აუცილებელი ინიციატივა არის სახელმწიფოს შეთავაზება, რომ საკუთარ თაღლითურ მაქინაციებში ჩაითრიოს. თაღლითობის არსში და

ასევე მის მიერ გამდიდრების დიდ პოტენციალში გარკვეულები, მაგრამ მათ ასევე იციან, რომ მასში ჩართვის შანსი არ არსებობს სწრაფი გაბანკროტების რისკის გაცნობიერების გარეშე, კონკურენტული საბანკო საქმიანობის და ოქროს სტანდარტის გარეშე, ბანკირები თითქმის დაუძლეველი ცდუნების წინაშე დგებიან. სახელმწიფოს მიერ ფულის და საბანკო საქმიანობის მონოპოლიზებისკენ გზის გაყოლა ასევე ვინმეს სწრაფად გამდიდრების მიღწევას ნიშნავს. არა მარტო თავად სახელმწიფო მიდის აქამდე, როგორც კი დეკრეტული ფულის სტანდარტი დამყარდება. იმის გამო რომ მათ გააჩნიათ თანხმობა სახელმწიფოს მიმართ მის მიერ ყალბ ფულთან ერთად კიდევ გამოუშვან დამატებით ყალბი ბანკნოტები იმ მონეტარული რეჟიმის პირობებში სადაც საბანკო საქმიანობა 100 პროცენტზე ნაკლები რეზერვების პრინციპით მუშაობს, ცენტრალური ბანკით, რომელიც ფუნქციონირებს როგორც უმთავრესი თალღითი, ბანკები უზრალოდ მარტივად დაიჯერებენ ამგვარი მონეტარული სისტემის დამყარებას, როგორც მათი მიზნის მისაღწევად უნივერსალურ პანაცეას.¹⁷

ეკონომიკური თვალსაზრისით, სახელმწიფოს, როგორც გაბატონებულ პარტნიორსა და საბანკო სისტემას შორის ასეთი სახის კოალიცია იწვევს მუდმივ ინფლაციას (რომლის მაღალ მაჩვენებელამდე ზრდა იზღუდება, რომ მთლიანი მონეტარული სისტემის მოშლა არ განაპირობოს), კრედიტის ექსპანსიას და აღმასვლისა და ვარდნის ციკლის განმეორებას, შეუნყვეტავ შემოსავალს და სიმდიდრის განადანაწილებას სახელმწიფოსა და ბანკის სასიკეთოდ.

თუმცა უფრო მეტად მნიშვნელოვანი, ამ აღიანსების სოციალოგიური ქვეტექსტებია: მისი ჩამოყალიბებით მმართველი კლასი, რომელთა ინტერესებიც მჭიდრო კავშირშია იმასთან, რომ სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში იდგამს ფესვს. ამგვარი თანამშრომლობის მეშვეობით სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი იძულებითი ძალაუფლება პრაქტიკულად საზოგადოების ყველა სფეროში გაავრცელოს.

სახელმწიფოსა და საბანკო საქმიანობის აღიანსის შექმნამდე, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის სოციალური დაყოფა, რაც ექსპლუატაციური მმართველი კლასის და ექსპლუატირებული მმართველთა კლასს შორის დაყოფაა, უფლისხმობს, ჩამოყალიბებული და მკაფიოდ შესამჩნევია. აქ არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ქმნის მთლიან ეკონომიკურ სიმდიდრეს; და აქვეა სახელმწიფო და მისი წარმომადგენლები, რომლებიც პრაქტიკულად იმას ითვისებენ, რასაც სხვები აწარმოებენ. ადამიანები ან სამოქალაქო საზოგადოების ან სახელმწიფოს წევრები არიან და საკუთარ ინტერესებს პირველთან ან მეორესთან მიმართებაში ხედავენ. გადანაწილება ერთი მხარის სასარგებლოდ ხდება სხვა ადამიანების ხარჯზე, რომლის დახმარებით ხორციელდება სარგებლების გადამისამართება ეკონომიკური ინტეგრაციიდან ექსპლუატაციის მხარდაჭერაზე. ამ საფეხურზე სოციალური კორუფცია არასისტემატურია. ეს არ არის სოციალური კლასების კორუფცია, რომელიც მთელს საზოგადოებას მოიცავს, არამედ ეს არის სასონარკვეთილი და გაფანტული ინდივიდუალური ჯგუფების კორუფცია. ეს ინტერესები მხოლოდ სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული, ვიდრე უმნიშვნელოდ სპეციფიკური გადანაწილების სახელმწიფო ქმედებებით, ვიდრე პირდაპირი ნაღდი ფულის კავშირებით.

სახელმწიფო-საბანკო აღიანსების ჩამოყალიბებით ეს ყველაფერი სხვაგვარი ხდება. ნაღდი ფულის კავშირი სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და სახელმწიფოს შორის არსებობს - და არაფერი აკავშირებს ადამიანებს ისე მჭიდროდ, როგორც საერთო ფინანსური ინტერესები. უფრო მეტიც, კავშირი მყარდება სახელმწიფოსა და არა მხოლოდ

¹⁷ საბანკო ელიტის ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნაში ენთუზიასტური მონაწილეობისთვის იხ. Rothbard, *Mystery of Banking*, თავები XV, XVI.

მასთან ახლოს დაკავშირებულ სოციალურ კლასს შორის, არამედ ყველაზე გაელენიანებს და ძალაუფლებიანებს შორის. ფაქტობრივად, ეს მხოლოდ ბანკები არაა, ვინც სახელმწიფოს ინტერესებს და მის ეპოლოტაციურ პოლიტიკას უერთდებიან. ამგვარად ბანკის უმთავრესი კლიენტები, ბიზნესებისა და ინდუსტრიების ლიდერები ღრმად ინტეგრირდებიან სახელმწიფოს გაყალბების სქემაში. რადგან ისინი არიან, ბანკებისა და სახელმწიფოს გარდა, ვინც რეგულარულად შექმნილი ყალბი ფულის პირველი მიმღებები ხდებიან. ფულის მიღებით, სანამ იგი თანდათანობით თელ ეკონომიკურ სისტემაში გავრცელდება, იცვლება ფასები და საბოლოოდ იზრდება ფასების საერთო დონე, კრედიტის მიღებაში ყალბად შემცირებული სარგებლის განაკვეთით. შესაბამისად ესენიც მდიდრდებიან დამოზვევლების, სხვა ბოლოს მიმღების ან იმათ ხარჯზე, ვინც ფულს საერთოდ ვერ მიიღებს.¹¹

უფრო მეტიც, სამრეწველო სანარმოებს, ბანკებსა და სახელმწიფოს შორის არსებული კოალიცია მიდრეკილია გაძლიერდეს თითოეული მომდევნო ღონისძიებათა განხორციელებით. კრედიტის ექსპანსია ინვესტიციების გაზრდას იწვევს და რადგანაც იგი არ იფარება ნამდვილი დანაზოგების ზრდადი მარაგით, აუცილებლად გამოიწვევს საპირისპირო ქმედებას კორექციისთვის. დანაკარგების თავიდან ასაცილებლად კლიენტები საბანკო სისტემას ლიკვიდურობის (ფულის) გაზრდილი მოთხოვნით მიმართავენ. ბუნებრივია, იმისთვის რომ ბანკებმა თავის მხრივაც აიცილონ დანაკარგები მზად არიან დაეხმარონ საკუთარ კლიენტებს ამ სიტუაციის მოგვარებაში. იმის გამო, რომ ბანკებს ეს თავად არ შეუძლიათ, სახელმწიფოსა და ცენტრალურ ბანკს მიმართავენ. შედეგად კი სახელმწიფო, მიეცემა რა გამდიდრების შარსი, საბანკო სისტემას და ბიზნესის ესტაბლიშმენტს, საჭირო ლიკვიდურობით გაყალბების ახალი რაუნდის საშულებით უზრუნველყოფს. ალიანსი განახლებულია და სახელმწიფომ კვლავ დაადასტურა საკუთარი გაბატონებული როლი საბანკო საქმიანობის და ინდუსტრიული ელიტის გადარჩენით ეკონომიკურ კონკურენციაში განადგურებისგან და მათთვის სტატუს ქვოს შენარჩუნების უფლების მიცემით, ან უფრო მეტი სიმდიდრის გაზრდით, რომელიც უკვე კონცენტრირებული იყო ბანკების ხელში. ესაა მიზანი იყო მადლობელი და იმოქმედო სახელმწიფოს ძალისა და მისი პროპაგანდისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის მინიჭებით.

სახელმწიფოსა და ეკონომიკურ ელიტას შორის არსებული კოალიცია უცილობლად ინტერესების სრულ იდენტურობას გულისხმობს. სხვადასხვა ინდუსტრიულ წარმოებებს შეიძლება განსხვავებული ან თუნდაც საპირისპირო ინტერესები გააჩნდეთ; იგივეა ბანკების შემთხვევაშიც. ამის მსგავსად, ბანკების და ბიზნეს კლიენტების ინტერესები შეიძლება განსხვავებული იყოს მრავალი თვალსაზრისით. არც ინდუსტრიული ელიტების და არც ბანკის ინტერესები სრულად არ ემთხვევა სახელმწიფოს ინტერესებს. ყველაფრის შემდეგ, ბანკები, ისევე როგორც ინდუსტრიული წარმოებები ფულის შოვნის „ნორმალურ“ ბიზნესში არიან ჩართულნი წარმოების და გაცვლის საშუალებებით, მიუხედავად სხვა გზებისა, მათთვის შემოსავლის მიღების სხვა რა წყაროც არ უნდა არსებობდეს. მაგალითად, ამ დროს მათი ინტერესები შეიძლება შეეჯახონ სახელმწიფოს სურვილს დაბეგროს წარმოებები გადასახადების გზით. მაგრამ, მონოპოლიზებული ფულისა და საბანკო საქმიანობის სისტემის დაარსება მაინც ქმნის ყველასთვის მსგავს ინტერესს: სახელმწიფო აპარატის შენარჩუნების და შემოსავლის მითვისების პოლიტიკური მნიშვნელობის (ექპლუატაციური) ინსტიტუტის არსებობის ინტერესს. არა მხოლოდ სახელმწიფოს და მის

¹¹ სახელმწიფოს, საბანკო საქმიანობის და ბიზნეს შორის კოალიცია ზე იხ. Gabriel Kolko, *The Triumph of Conservatism* (Chicago: Free Press, 1967); *Railroads and Regulations* (Princeton, NJ: Princeton University Press, 1965); James Weinstein, *The Corporate Ideal in the Liberal State* (Boston: Beacon Press, 1968); Richard Radosh and Murray N. Rothbard, eds., *A New History of Leviathan* (New York: Dutton, 1972).

ცენტრალურ ბანკს შეუძლია გაანადგუროს ნებისმიერი კომერციული ბანკი და, არაპირდაპირ, პრაქტიკულად ნებისმიერი ინდუსტრია; ეს საფრთხე უფრო ძლიერია რაც უფრო მყარია ბიზნესი. სახელმწიფოს ასევე შეუძლია მათი დახმარება და გამდიდრების ხელშეწყობა, ისე, რომ თითქოს ისინი უკვე ძალიან მდიდრები არიან. ამგვარად, უფრო მეტი შეიძლება დაკარგოს ნინაღმდევობით და მიიღოს თანხმობისგან, უფრო მეტად ინტენსიური იქნება ეკონომიკური ელიტის მცდელობა სახელმწიფოს აპარატის გაფილტვრისა და სახელმწიფოს ლიდერებისთვის ბიზნეს სამყაროში არსებული ფინანსური ინტერესების აღიარების იძულება. ბანკები და მრეწველები პოლიტიკოსები ხდებიან; და პოლიტიკოსები ბანკისგანა და ინდუსტრიაში იკავებენ ადგილს. სოციალური სისტემის წარმოშობით, რომელიც თანამედროვე მსოფლიოსთვის არის დამახასიათებელი, სახელმწიფო და მასთან დაახლოებული საბანკო და ბიზნეს ლიდერთა კლასები ექსპლუატაციას უწევენ საზოგადოების დანარჩენ ნევრებს.^{19, 20}

¹⁹ მარქსისტულ ტრადიციამ, სოციალური განვითარების ამ საფეხურს „მონოპოლისტურ კაპიტალიზმს“ უწოდებენ, „ფინანსური კაპიტალიზმი“ ანუ „სახელმწიფოს მონოპოლისტურ კაპიტალიზმი“. მარქსისტული ანალიზის ანღლიური ნაწილი ზოგად ღირებულება. სახელმწიფოსა და ბიზნესებს შორის კავშირის გამოამკარავებაში, ისინი როგორც წესი არსებული ეკონომიკური წესრიგის უფრო რეალისტურ სურათს ხატავენ ვიდრე სხვა მეოცნებე „ბურჟუა ეკონომისტები“. ანალიტიკურად, თითქმის ყველაფერს შეცდომით იგებენ და სინამდვილეს თედდაყირა აყენებენ. ტრადიციულად, სწორი მარქსისტული ხედვა ექსპლუატაციაზე რადიკალური ჩაურეგლობის ლიბერალიზმის მსგავსი იყო, მაგალითად ჩარლზ კომტესა და ჩარლზ დუნოიერის მიერ გამოხატული. მათ მიაჩნდათ, რომ არ არსებობდა ანტაგონისტური ინტერესები კაპიტალისტებს, როგორც წარმოების ფაქტორების და შრომითი ძალების მფლობელებს შორის, არამედ, ეს არსებობს საზოგადოებაში მწარმოებლებს შორის, რაც ოჯახურ მეწარმეობებს, მწარმოებლებს და კონტრაქტორებს გულისხმობს, როგორც ბიზნესმენების ისე მუშათა ჩათვლით, ასევე მათ შორის ვინც სიმდიდრეს არამწარმოებლური გზით და/ან არაკონტრაქტუალური გზით იძენს. ესენი კი სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ პრივილეგირებული ჯგუფებია, მაგალითად ფეოდალი მონარქოფლობელები. ეს განსხვავება ალიარა თავდაპირველად სენ სიმონმა, რომელიც ერთ დროს ფეოციდია კომტესა და დუნოიერის გავლენას, და რომელიმე საბაზრო ბიზნესმენები დაახარისხა ფეოდალ მფლობელებსა და სხვა პრივილეგირებულ ჯგუფებთან ერთად, როგორც ექსპლუატატორები. ეს აღწერა მარქსმა სენ სიმონისგან აიღო და შეაერთა იგი იმით, რომ მხოლოდ კაპიტალისტები გამოაცხადა ექსპლუატატორებად და ყველა მუშა ექსპლუატირებულად, ამართლებდა ამ ხედვას რიკარდოსულ შრომითი ღირებულების თეორიით და ქარბი ღირებულების თეორიით. ძირითადად, ექსპლუატაციაზე მსგავსი ხედვა ტიპური დარჩა მარქსიზმისთვის დღემდე, მიუხედავად ბემ-ბავერკის მარქსის ექსპლუატაციური თეორიის განანადგურებელი უარყოფისა და მისი ფაქტორების ფასების და პროდუქციის ფასების შორის განსხვავებაზე სარგებლის განმარტების მიხედვით. დღემდე, როცა მარქსისტული თეორეტიკოსები საუბრობენ მონოპოლიური კაპიტალიზმის ექსპლუატაციურ ხასიათზე, ისინი შეიშებენ საფუძველს ხედავენ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების განგრძობით არსებობაში. თუ მაინც ალიარებენ გარკვეული ხარისხით სახელმწიფოს აპარატის დამოუკიდებლობას მონოპოლიური კაპიტალიზმის კლასისგან (როგორც არის „სახელმწიფო მონოპოლიური კაპიტალიზმის“ ევრსიაში), მათთვის სახელმწიფო არაა ის ვინც კაპიტალისტურ ექსპლუატაციას შესაძლებელს ქნის; არამედ ეს არის ფაქტი, რომ სახელმწიფო ორგანიზაცია რომელიც კაპიტალისტების ვინორ სარგებლებს უფრო დიდ იდეალურ უნივერსალურ კაპიტალისტურ სარგებლებად (ideelle Gesamtkapitalist) გარდაქმნის. სინამდვილე საწინააღმდეგოა: სახელმწიფო, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, ექსპლუატაციური ორგანიზაციაა, და კაპიტალისტებს შეუძლიათ ჩაერთონ ექსპლუატაციაში მხოლოდ მაშინ თუ ისინი უარს იტყვიან კაპიტალისტებად და შეუერთდებიან სახელმწიფო ძალებს. როცა სახელმწიფო მონოპოლიური კაპიტალიზმზეა საუბარი, უფრო სწორია არსებულ სისტემას „სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მონოპოლიური სოციალიზმი“ ან თუნდაც „ბურჟუაზიული სოციალიზმი“ ვუწოდოთ. მარქსისტული კვლევები იხ. Rudolf Hilferding, *Finance Capital* (London: Routledge and Kegan Paul, 1981); V.I. Lenin, *Imperialism Las Stage of Capitalism* (Moscow: Foreign Languages Publishing House, 1947); Paul M. Sweezy, *The Theory of Capitalis Development* (New York: Monthly Review Press, 1942); Paul A. Baran და Paul M. Sweezy, *Monopoly Capital* (new York: Monthly Review Press, 1966); Ernest Mandel, *Marxist Economic Theory* (London: Merlin, 1962); Late Capitalism (London: New Left Books, 1975); Herbert Meisner, ed., *Bürgerliche Ökonomie ohne Perspektive* (East Berlin: Dietz, 1976); მარქსიზმის გამოყენებით კლასიკური ლიბერალური კლასის გარყვნილების ანალიზზე იხ. Murray N. Rothbard, „Left and Right“ in *Egalitarianism As a Revolt Against Nature and Other Essays* (Washington, D.C.: Libertarian Review Press, 1974); მარქსისტული ექსპლუატაციის თეორიის კრიტიკაზე იხ. Eugen von Böhm-Bawerk, *Karl Marx and the Close of His System*, ed. Paul M. Sweezy (New York: Augustus M. Kelley, 1948).

საერთაშორისო პოლიტიკა და საერთაშორისო მონეტარული წესრიგი

ადამიანის ეკონომიკურ ინტერესებს, ე.ი. მის სურვილს გაზარდოს შემოსავლები და სიმდიდრე წარმოებისა და გაცვლის საშუალებით, მიეყვარათ უნივერსალურად გამოყენებადი სავაჭრო ფულის – ოქროს და თავისუფალი საბანკო სისტემის აუცილებლობამდე.

ადამიანის პოლიტიკურ ინტერესებს (ე.ი. მის ინტერესებს გაზარდოს შემოსავლები და სიმდიდრე მწარმოებლების და კონტრაქტორების ექსპლოატაციის ხარჯზე) მიეყვარათ სახელმწიფოს ფორმაციამდე, ოქროს სტანდარტის დესტრუქციამდე და საბანკო სისტემის და ფულის მონოპოლიზაციამდე.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ყალიბდება, როგორც ექსპლოატაციისა და თაღლითობის მონოპოლისტი, ახალი პრობლემები იჩენს თავს. თუნდაც მისი მონოპოლისტური მდგომარეობა დაცული იყოს მოცემული ტერიტორიის ფარგლებში, კონკურენცია ქვეყნებს შორის, რომლებიც სხვა ტერიტორიაზე ახორციელებენ იგივეს, მაინც არსებობს. სწორედ ეს კონკურენციაა, რომელიც გარკვეულ ლიმიტებს უწესებს ამათუიშ მთავრობის ექსპლოატაციურ ძალაუფლებას. ერთი მხრივ, ის შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს ხმა მისცენ მთავრობის წინააღმდეგ ამ ტერიტორიის დატოვებით თუ ისინი თვლიან, რომ სხვა ტერიტორია სთავაზობს მათ ნაკლებად ექსპლოატაციურ საცხოვრებელ პირობებს, ან თუ სხვა სახელმწიფოებს მიიჩნევენ ნაკლებად მჩაგვრელებად. იზრდება ალბათობა იმისა, რომ სახელმწიფოს სუბიექტებმა ითანამშრომლონ ასეთ უცხოელ კონკურენტებთან მათზე "უპირატესობის" მინიჭებით. ეს ორივე შესაძლებლობა თითოეული სახელმწიფოს წინაშე სასიცოცხლო პრობლემებს აყენებს. რადგანაც სახელმწიფო მოსახლეობის ხარჯზე ცხოვრობს, მისი წანილის დაკარგვა სახელმწიფოსთვის მოსტენციური შემოსავლის დაკარგვას ნიშნავს. ამგვარად, ნებისმიერი სახელმწიფო მიერ ინტერესების განხორციელების მცდელობა სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში საფრთხედ უნდა იქნას მიჩნეული. ამასთან, ექსპლუატაციის თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ იგებს რომელიმე მხარე, როდესაც არსებობს ექსპლუატაციის ობიექტი და ამკარად ნებისმიერი მხარდაჭერა სხვა სახელმწიფოსთვის განეულ მის შანსებს ამცირებს.

მეორე მხრივ, როდესაც არსებობს რამდენიმე კონკურენტი სახელმწიფო თითოეული სახელმწიფოს თაღლითური ძალაუფლება გარკვეულწილად იზღუდება. ფაქტობრივად, საერთაშორისო დონეზე პრობლემა ისევე წარმოიშობა, რაც პირდაპირი ანალოგია თაღლითობისათვის იმ ბარიერისა, რასაც გულისხმობს თავისუფალი საბანკო სისტემა და რომელიც

²² სახელმწიფო ინტერესების და ეკონომიკური ძალის ელიტის შორის მიმავალი ინტეგრაციის აღიარება, რომელიც მოცემულია ფულისა და საბანკო საქმიანობის მონოპოლიზებით, არ ნიშნავს იმას რომ ამ გაერთიანებით კონფლიქტები არ წარმოიშობა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სახელმწიფოსათვის ასევე აუცილებელია საკუთარი კონსტიტუციის დემოკრატიზაცია. აქვე აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული პროცესი ევალიტარიანული ან პოპულისტური გრძნობების გაღვივებას განაპირობებს, რომელიც თავად სახელმწიფოს სჭირდება ბანკების და დიდი ბიზნესის მიმართ წინააღმდეგობის გასაწევად. თუმცა, ეს სახელმწიფო-ბიზნესის კავშირების ფინანსური ბუნებაა, რომელიც ამგვარ შემთხვევას ნაკლებად მოსალოდნელს ხდის. იგი მხოლოდ საფრთხეს არ ქმნის ეკონომიკური ელიტისთვის; ის ასევე გულისხმობს სახელმწიფო შემოსავლების ფინანსურ დანაკარგებს, მაშინაც კი თუ იგი თავად სახელმწიფოს სტაბილიზაციას არ უქმნის საფრთხეს. ასე რომ ერთმანეთთან კავშირის ინიციატივა ორივე მხარეზე არსებობს იმისა, რომ შეერთდნენ და ამგვარი გრძნობებისგან გაფილტრონ პოლიტიკური პროცესი. ამის თაობაზე იხილეთ, მიუხედავად მათი შემარცხენე ხასიათისა, ინფორმაციული კვლევები: C. Wright Mills, *The Power Elite* (New York: 1965); G. William Domhoff, *Who Rules America?* (New York: 1967); E.E. Schattschneider, *The Semi-Sovereign People* (New York: Holt, 1960); Peter Bachrach and Morton Baratz, *Power and Poverty* (New York: 1970); C. Offe, *Strukturprobleme des Kapitalistischen Staates* (Frankfurt/M. Suhrkamp, 1972).

სახელმწიფოებმა შიგნით მონოპოლიზაციისა და საბანკო სისტემის კარტელიზაციის გზით მოაგვარეს. სიტუაცია თავისუფლად მცურავი გაცვლითი კურსის მქონე სხვადასხვა ეროვნული ქალაქის ფულითაა განპირობებული. თუ ერთი სახელმწიფო აყალბებს იმაზე უფრო ხშირად, ვიდრე მეორე, მისი საგადაამხდელი საშუალება იზღუდება იქამდე ვიდრე არ გაუფასურდება მეორე ვალუტის მაჩვენებლით და ასეთი სახელმწიფოსთვის ეს ნიშნავს (რასაც არ უნდა ნიშნავდეს მისი სუბიექტებისათვის), რომ მისი შემოსავალი შემცირდა სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში. ამით, მისი ძალაუფლებაც შემცირდა. ის უფრო სუსტი (მონყვლადი) ხდება კონკურენტი სახელმწიფოს თავდასხმების მიმართ (სამხედრო თუ ეკონომიკური). ბუნებრივია, არც ერთი სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის ეს და შესაბამისად ნებისმიერი მათგანის ძალადობრივი სურვილი უნდა შეიზღუდოს. მლიქნელობა, რა თქმა უნდა, კვლავაც მუდმივად გრძელდება, რადგანაც ის ყველა სახელმწიფოს ინტერესებში შედის, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ქეშმარიტად ავტონომიური თავის გადანყვეტილებებში თუ რა დოზით მოახდინოს ინფლაცია და ამასთან მუდმივად ყურადღებას აქცევს კონკურენტების ინფლაციურ პოლიტიკას, რათა მოქნილად მიუსადაგოს თავისი მოქმედებები მათსას.

იმისათვის, რომ ძალადობრივად მოპოვებული შემოსავლების მაქსიმუმაცა მოახდინოს, სახელმწიფოს ბუნებრივ ინტერესში დეეს გადააბიჯოს ორივე გარე შეზღუდვას, რომლებიც შიდა ძალაუფლებაზე ახდენენ გავლენას. კარტელიზაცია ალბათ შესაძლო გამოსავალია. თუმცა, მან, როგორც ასეთმა, ვერ უნდა გაამართლოს მონოპოლიის განმახორციელებელი სააგენტოს არარსებობის პირობებში – სახელმწიფოთაშორისი კარტელები შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი და შესაბამისად, ნაკლებად მიმზიდველია სახელმწიფოსთვის, რომელსაც უკვე აქვს ძალაუფლება და ნაკლებად ინფლაციურია მისი თაღლითური პოლიტიკისათვის.

ნებისმიერ მსგავს კარტელში განაწილებით სახელმწიფო ზიანს აყენებს საკუთარ თავს ნაკლებად წარმატებული და უფრო ინფლაციური სახელმწიფოების სასარგებლოდ. ამ პრობლემიდან მხოლოდ ერთი სტაბილური გამოსავალი არსებობს: სახელმწიფო უნდა ესწრაფოდეს ტერიტორიების ზრდისკენ, დაასუსტოს კონკურენტები და როგორც მისი საბოლოო მიზანი, მსოფლიო მთავრობად დაიმკვიდროს თავი. ამის პარალელურად, ეცადოს საკუთარი ქალაქის ფული სხვა ტერიტორიებზეც გამოიყენონ და საბოლოოდ იგი მსოფლიო საგადაამხდელი საშუალებად აქციოს, რომელიც იქნება მისივე საკუთარი მსოფლიო ბანკის კონტროლის ქვეშ.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზნები შესრულდება, სახელმწიფო იარსებებს თავისი ინტერესების მიხედვით. ამ გზაზე ბევრი დაბრკოლება არსებობს, მათ უარყოფითი შედეგები შეიძლება მოუტანონ სახელმწიფოს და საჭირო გახდეს იმაზე ნაკლებს დასჯერდეს, ვიდრე ზემოხსენებული საუკეთესო გამოსავალი. თუმცა, ვიდრე სახელმწიფო არსებობს, ამგვარი ინტერესები ეფექტურია და გაგებულ უნდა იქნეს, როგორც წარსული განვითარების, ისევე მომავალი ტენდენციების სწორ ინტერპრეტაციად (რაც არ უნდა იყოს, რამდენიმე საუკუნე დასაჭირდა სახელმწიფოს, რომ მიეღწია მისი შიდა თაღლითური ძალადობისათვის).

სახელმწიფოს ორი ინტეგრირებული მიზნიდან პირველის შესრულების საშუალება არის ომი. ომი და სახელმწიფო მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.²¹ სახელმწიფო არ არის მხოლოდ ექსპლოატაციური ფორმა, მის წამყვან წარმომადგენლებს შესაძლოა არ გააჩნდეთ პრინციპული მიზნები შეიძინონ არაპროდუქტიული (არამწარმოებლური) და არასაკო-

²¹ სახელმწიფოსა და ომის საკითხებზე იხ. Ekkhardt Krippendorff, *Staat and Krieg* (Frankfurt/M.: Suhrkamp, 1985); Charles Tilly, "War Making and State Making as Organized Crime", in Peter Evans, et al. Eds., *Bringing the State Back In* (Cambridge University Press, 1985); Robert Higgs, *Crisis and Leviathan* (New York: Oxford University Press, 1987).

ნტრაქტო საკუთრება – სხვა შემთხვევაში, ისინი არ გააკეთებდნენ იმას, რასაც აკეთებენ, რადგან სახელმწიფო უბრალოდ დაიშლება. საკვირველი არ იქნება, რომ მათ არ ჰქონდეთ ტერიტორიული ექსპანსიით ექსპლოატაციის ფუნდამენტური მიზანი ომის საშუალებით. ფაქტიურად, ომი არის შემდგომი ცეცხლის შეწყვეტის აუცილებელი და ლოგიკური წინაპირობა და მისი საკუთარი შიდა, ინსტიტუციონალური ექსპლოატაციური სისტემა არაფერია, თუ არა ლეგიტიმური ცეცხლის შეწყვეტა, ე.ი. წინა დაპყრობების შედეგი. გარდა ამისა, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები, ისინი ასევე არიან იმ საშუალებების მმართველები, რომლებიც ზრდიან სახელმწიფოს აგრესიული სურვილების სისრულეში მოყვანის შანსს. ბუნებრივია, თუ ერთი არ იხდის სხვისი სარისკო საქმეებისთვის, მაგრამ სხვას აიძულებს ასე მოიქცეს, ან თუ ვინმეს შეუძლია უბრალოდ არაფრისგან შექმნას ფონდები, იგი ძალიან რისკავს და არის იმაზე მეტად ომის მოსურნე, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა.

ბუნებით უფრო აგრესიული ინსტიტუტი, ვიდრე რომელიმე ნორმალური ბიზნესია, რომელმაც უნდა დააფინანსოს სახელმწიფოს ომები ნებაყოფლობითი ტრანზაქციებით შემოსავლის მოპოვებით, დაუყოვნებლივ დადგება ფინანსური შედეგების წინაშე. თუ მისი რომელიმე კლიენტი, უკმაყოფილების გამო, ომის პოლიტიკის საპასუხოდ, შესყიდევებს შეამცირებს, სახელმწიფო მაინც არ არის საგარეო აგრესიის განხორციელებაში შეზღუდვებისგან სრულიად თავისუფალი. ომები სახელმწიფოს გაჩენისთანავე წარმოიშობა, იმის მიუხედავად, არის თუ არა მასზე მოთხოვნა. მაგრამ სახელმწიფოს მიერ ომის გაჩაღებას ზღუდავს საზოგადოებრივი აზრი. თუმცა, არსებობენ სახელმწიფოს მიერ ომის წარმოების მსურველებიც. ცხადია, იმისათვის, რომ სახელმწიფოთაშორისი ომი წარმატებით განხორციელდეს სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსები, რაც მის მოქმედებებს უფრო მდგრადს გახდის. თუმცა, ეს რესურსები მხოლოდ მწარმოებელი მოსახლეობის მიერ შეიძლება იქნას მიწოდებული. ამგვარად, რესურსების დასაცავად აუცილებელია ომების მოგება და ომის დროს წარმოების ვარდნის თავიდან აცილება. საზოგადოებრივი აზრი კვლავაც გადამწყვეტი ადგილი უკავია, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ წარმოებული ომის მიმართ ხალხის მხარდაჭერა არსებობს, შეიძლება ომის გაგრძელება და შესაძლო მოგებაც. საბანკო სისტემისა და საწარმოო დაწესებულებათა მხრიდან მხარდაჭერის მოპოვება ადვილია, თუ საგარეო აგრესია მათ პირდება შემდგომ წარმატებულ საქმიანობას, რომლის ღირებულება შეიძლება დადგინდეს საკმაო ხარისხის სიზუსტით. ყველა ვერ იქნება მხარდამჭერი, ზოგს სურს, რომ გარკვეული ტერიტორია იყოს დაპყრობილი; ან შეიძლება ზოგს სურდეს, რომ ქვეყანა C-ზე უფრო მეტად B-ს შეუტონ; ან ვინმე შეიძლება პირინციპულად ეწინააღმდეგებოდეს ომს. ზოგადად, არსებობს მოლოდინი, რომ სახელმწიფოს გამარჯვებასთან ერთად ბიზნეს და საბანკო ელიტა მმართველ კლასად ჩამოყალიბდეს დიდ ტერიტორიაზე, რომელიც შესაბამისად ფინანსური ექსპლუატაციისთვის თავის შესაძლებლობებს აფართოვებს, შესაბამისად, ელიტა დიდი ყურადღებას დაუთმობს ომის არჩევანს.

მაგრამ მაინც მათი მხარდაჭერა არც ერთ შემთხვევაში საკმარისი არაა. ომის დროს, უფრო მეტად ვიდრე მშვიდობიან პერიოდში, სახელმწიფო დამოკიდებულია თითოეული ადამიანის მუშაობის სურვილზე და წარმოებაზე (ომის პერიოდში არ უნდა არსებობდნენ უსაქმურები). ამ შემთხვევაში, ყველა სახელმწიფო ცდილობს ხელი შეუწყოს ნაციონალისტური იდეოლოგიების შექმნას და მხარდაჭერას, თავი წარმოაჩინოს ერის უმთავრესი ღირებულებების დამცველად. აღნიშნული გამიზნულია საზოგადოებრივი იდენტიფიცირების ხელშესაწყობად ერთი სპეციფიკური სახელმწიფოს ფარგლებში, რაც აუცილებელია სხვადასხვა ერების ეთნიკური, ლინგვისტური და კულტურული ჯგუფების დამოუკიდებლობისათვის.

თუმცა, მოსახლეობის შრომის მწარმოებლურობის შესანარჩუნებლად უფრო რეალურად საჭიროა ომისთვის საჭირო რესურსები. სხვა სახელმწიფოებს მოჩვენებითი მხარდაჭერა გააჩნიათ ბიზნეს ელიტის მხრიდან; და მათაც შექმნეს საკუთარ ტერიტორიებზე ნაციონალიზმის სულისკვეთება. ანტიგონისტური ქვეყნები თავდაპირველად აკონტროლებენ განსაზღვრული ზომის მოსახლეობას და ტერიტორიას შესაბამისი ფულადი შეწირულობით. მათი გამარჯვება ან მარცხი საზოგადოების ეკონომიკური სიმდიდრესთან, ეკონომიკური განვითარების ხარისხთან და კაპიტალის დაგროვებასთანაა დაკავშირებული. ამგვარი სახელმწიფოები ომზე გამარჯვებით ცდილობენ პარაზიტულად გამოეფინებინათ ეკონომიკურ სიმდიდრეზე. თუმცა, ამისათვის სიმდიდრის და კაპიტალის ფორმირების პირობები შესაბამის ტერიტორიებზე ადრეც უნდა არსებობდეს. სახელმწიფოები კარგს არაფერს აკეთებენ ამ მიმართულებით. პირიქით, სიმდიდრისა და კაპიტალის დაგროვებაში სახელმწიფო ზიანის მომტანია. სიმდიდრე და კაპიტალი წარმოიშობა მხოლოდ საოჯახო მეურნეობების, წარმოების და შეთანხმებების საფუძველზე, და ასევე საოჯახო მეურნეობების, მწარმოებლების და კონტრაქტორების შედარებით დაბალი ხარისხის ექსპლოატაციით. ამით სახელმწიფო მხარს უჭერს კაპიტალის ფორმაციას, რაც მას დამატებით რესურსებს აძლევს უცხოელ მოქიშეებთან შედარებით სამხედრო უპირატესობის თვალსაზრისით. ამასთან, ომის მოსაგებად შედარებით მაღალი ხარისხის შიდა ლიბერალიზმია საჭირო.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჩანდეს, რაც უფრო მეტად ლიბერალურია²² სახელმწიფო, მით უფრო მეტი ალბათობით ჩაერთვება გარეშე აგრესიაში. შიდა ლიბერალიზმი ამდიდრებს საზოგადოებას; მდიდარი საზოგადოების დაბეგვრა ამდიდრებს სახელმწიფოს და მდიდარი სახელმწიფო უფრო მეტ ექსპანსიურ ომებს აწარმოებს. მდიდარი ქვეყნის ექსპანსიური სურვილი უფრო ძლიერდება, თუ იგი წარმატებით აყალიბებს ნაციონალისტურ-“გამათავისუფლებელი” იდეოლოგიის საზოგადოებას. ეს იდეოლოგია ყველაფერზე ზევით საზოგადოების ზოგად შეიდა თავისუფლებას და მის შედარებით მაღალი ცხოვრების სტანდარტს აყენებს.

შეიძლება უფრო მეტი სპეციფიკური ითქვას ლიბერალიზმზე, როგორც იმპერიალიზმის წარმატების აუცილებელ საშუალებაზე. მეომარ ქვეყანას უნდა გააჩნდეს ეფექტური ეკონომიკა, რითაც იგი ცდილობს თავის კონკურენტებს გაუსწროს საერთაშორისო არენაზე. რეგულირებები, ისევე როგორც გადასახადების და კისრება გულისხმობს არასამეწარმეო და არაკონტრაქტული შემოსავლების მიღებას და ამგვარად ისინი აზარალებენ საოჯახო მეურნეობებს, მწარმოებლებსა და კონტრაქტორებს. თუმცა, გადასახადებზე ბევრად ნაკლებად საზიანო რეგულირებებს განსაკუთრებული მახასიათებლები გააჩნიათ, კერძოდ, იგი საჭიროებს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლს. იგი მოითხოვს სახელმწიფოს მიერ გადასახადების მართვას, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს იგი მონეტარულ შემოსავალს არ აძლევს (უბრალოდ იგი ძალაუფლების უნის დაკმაყოფილებაა. მაგალითად, როცა A თავად მატერიალურ სარგებელს ვერ ხედავს და უკმადავს B-ს და C-ს ორმხრივად სასარგებლო ვაჭრობაში ჩაერთონ). მეორე მხრივ, გადასახადებით მიღებული წლიური შემოსავლის გადაწინააღმდეგობა ზრდის მთავრობის ეკონომიკურ ბერკეტებს. რადგანაც საგადასახადო პოლიტიკას და რეგულირების გარეშე გადასახადებს დიდი მონეტარული შემოსავალი მოაქვს სახელმწიფოსთვის (მეტი რესურსით კი ომის მცდელობა იზრდება!) ვიდრე რეგულირების პოლიტიკას, სახელმწიფოებისათვის უფრო ხელსაყრელია ეკონომიკის შედარებითი დერეგულირების პოლიტიკის გატარება.²³

²² ტერმინი „ლიბერალი“ აქ გამოყენებულია ტრადიციული ევროპული და არა ამჟამინდელი ამერიკული (როგორც „სოციალისტის“ ან „სოციალ-დემოკრატის“ სინონიმ) მნიშვნელობით.

²³ შიდა დერეგულირების პოლიტიკასა და გაზრდილ გარე აგრესიულობას შორის კავშირის ძალზედ კარგი მაგალითია რეგანის ადმინისტრაცია.

სახელმწიფოს ბუნების და საერთაშორისო პოლიტიკის ამ თეორიული განხილვების ფონზე, ისტორიის დიდი ნაწილი ერთ ნერტილში კონცენტრირდება. საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოთაშორისი ომების უწყვეტი სერია მკაფიოდ ადასტურებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოს აგრესიულ ბუნებას. ისტორია დრამატულად წარმოგვიჩენს ომის შედეგად სახელმწიფოების გაზრდილ კონცენტრაციას: სახელმწიფოების აგრესიულმა ექსპანსიონიზმმა საზღვრების რაკეტვა, სუსტი სახელმწიფოების რიცხვის შემცირება და იმ ქვეყნების ტერიტორიული ზრდა გამოიწვია, რომელთაც გადაარჩენა მოახერხეს. მართალია, ჯერჯერობით ერთი მსოფლიო სახელმწიფო არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ ამ მიმართულებით ტენდენცია უდავოდ არსებობს. კერძოდ, ისტორია ხაზს უსვამს ლიბერალიზმის მნიშვნელობას იმპერიის ზრდაში: ასე შეიძლება აიხსნას მსოფლიოს მასშტაბით პირველი ევროპული ქვეყნის ალზევებაც. ბერძნების და სტოიკოსთა ფილოსოფიის ძველ ინტელექტუალურ ტრადიციებზე, ისევე როგორც რომაულ კანონებზე, დასავლეთ ევროპაში ბუნებითი უფლებების და ლიბერალიზმის იდეოლოგია წარმოიშვა.²⁴ ლიბერალიზმმა დიდი გავლენა მოახდინა იმ ქვეყნების საზოგადოებრივ აზროვნებაზე, სადაც სახელმწიფოს ექსპლუატაციური ძალები დასუსტებული იყო, წმიდა თომა აკვინელის, ლუი დე მოლინას, ფრანსისკო სუარესის, გვიანი XVI ს-ის ესპანური სქოლასტიკოსის, პუგო გროციუსის, სამელ პუფენდორფის და ჯონ ლოკის ფილოსოფიის საშუალებით; ამ ქვეყნების ძალა კიდევ უფრო დაასუსტა იმ ფაქტმა, რომ ევროპა ხასიათდებოდა მალაკონკურენტული, თითქმის ანარქიული საერთაშორისო სისტემით, მრავალი მოქიშე პატარა ზომის სახელმწიფოებითა და ფეოდალური სამთავროებით. სწორედ ამ სიტუაციიდან წარმოიშვა კაპიტალიზმი.²⁵ სახელმწიფოების სისუსტის გამო, საოჯახო მეურნეობებმა, მწარმოებლებმა და კონტრაქტორებმა კაპიტალის დაგროვება, მანამდე უცნობი სარგებლების ზრდის გამოყენება დაიწყეს; ისტორიაში პირველად გამოიკვეთა მოსახლეობის მუდმივი ზრდა; მოსახლეობის ზრდასთან ერთად თანდათანობით მაგრამ უწყვეტად გაიზარდა ცხოვრების დონის სტანდარტი, საბოლოოდ კი წარმოიშვა ის, რასაც ინდუსტრიულ რევოლუციას ვუნოდებთ. კაპიტალისტურ საზოგადოებებზე დაყრდნობით დასავლეთ ევროპის სუსტი, ლიბერალური სახელმწიფოები დედამიწაზე ყველაზე მდიდარ ქვეყნებად იქცნენ. მათ ხელში არსებულმა სიმდიდრემ შემდგომ იმპერიალისტური სურვილების აფეთქება გამოიწვია, რამაც მსოფლიო ისტორიაში პირველად ევროპის სახელმწიფოები ისეთ უნიკალურ მსოფლიო ძალად ჩამოაყალიბა, რომლებიც საკუთარ ჰეგემონურ მმართველობას სხვადასხვა კონტინენტებზე ავრცელებდნენ.

ამის მსგავსად აიხსნება დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებს შორის ინგლისის გამორჩეული როლი. ბრიტანეთის ლიბერალური სახელმწიფო ყველაზე წარმატებული იმპერიალისტი გახდა.²⁶ ინგლისის (და დასავლეთ ევროპის) შედარებითი დაკნინება და მსოფლიოს მონიწივე იმპერიალისტურ ძალად აშშ-ს ალზევება იმავე თეორიით განხორციელდა. ამერიკაში, რომელსაც არ ჰქონდა ფეოდალური წარსული, ლიბერალიზმი ძალიან პოპულარული გახდა. სახელმწიფო ძალაუფლება ძალიან სუსტად იყო გამოხატული და შეიძლება ითქვას თითქმის არ იგრძნობოდა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად, სხვა ქვეყნებთან შედარებით ეკონომიკური ზრდა აქ თვალსაჩინო იყო; ცხოვრების სტანდარტები გაუმჯობესდა; მოსახლეობა გაიზარდა; ცხოვრების დონემ და მოსახლეობის რაოდენობამ

²⁴ ამაზე იხილეთ Hans-Hermann Hoppe, "The Economics and Sociology of Taxation", *Journal Des Economistes et des Etudes Humaines* 1, N 2 (1990), თავი 2.

²⁵ კაპიტალიზმის წარმოშობაში „პოლიტიკური ანარქიზმის“ მნიშვნელობაზე იხ. Jean Baechler, *The Origins of Capitalism* (New York: St. Martin's, 1976), თავი 7.

²⁶ ბრიტანეთის იმპერიალიზმზე იხ. Lance E. Davis and Robert A. Huttenback, *Mammon and the Pursuit Empire: The Political Economy of British Imperialism 1860-1912* (Cambridge: Cambridge University Press, 1986).

თანდათანობით ევროპის ქვეყნებისას გადააჭარბა. თანადროულად, XIX ს-ის დასაწყისში ინგლისმა და დასავლეთ ევროპამ ეტატიზმის აღზევება განიცადა, რაც ევროპულ სცენაზე სოციალისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბების შედეგი იყო. ამერიკაში ნაკლებად ექსპლუატირებული სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოებული ეკონომიკური დოვლათი შინაგანად სუსტ აშშ-ს სამთავრობო აპარატს ნელ-ნელა გამდიდრების საშუალებას აძლევდა. ამერიკა ყველაზე საზრიანი სახელმწიფო აღმოჩნდა, რომელმაც საკუთარი რესურსები გარე აგრესიისკენ მიმართა და გაბატონებულ ძალად ჩამოყალიბდა მსოფლიოში: პირდაპირ თუ ირიბად სამხედრო დომინირებით და ჰეგემონური კონტროლით მსოფლიოს დიდ ნაწილზე (საბჭოთა კავშირის, ჩინეთის და მათი სატილიტების გამოკლებით).²⁷ აშშ-ის ლიბერალური მთავრობის აგრესიული ექსპანსიონიზმი XIX საუკუნეშივე გამოაშკარავდა. მას შემდეგ, რაც 1801 წელს აშშ-ის მთავრობამ საზღვაო ფლოტი დამსჯელი მისიით შორეულ ტრიპოლში გაგზავნა, არც ერთი წელი არ გასულა ისე, რომ აშშ-ს მთავრობა არ ჩარეულიყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის საქმეებში.²⁸ მან სამი ძირითადი ომი აწარმოა: ინგლისის წინააღმდეგ (1812); მექსიკის წინააღმდეგ (1846-48), სადაც მექსიკამ ტერიტორიის ნახევარი დაკარგა და ესპანეთის წინააღმდეგ (1898), რასაც შედეგად კუბისა და ფილიპინების ოკუპაცია მოჰყვა. სამოქალაქო ომიც, ექსპანსიონისტურ ხასიათს ატარებდა შედარებით ლიბერალური ჩრდილოეთის მიერ კონფედერაციული შტატების წინააღმდეგ. თუმცა, მსოფლიო გაბატონებაზე დიდი ნაბიჯები მხოლოდ მეოცე საუკუნეში გადაიდგა, როცა აშშ I და II მსოფლიო ომებში ჩაერთო. ორივე ომმა დაამტკიცა აშშ-ს უპირატესობა ევროპულ სახელმწიფოებზე. აშშ-მ განსაზღვრა, როგორც მოგება ისე დანაკარგები, ორივე ომი შედარებით ლიბერალური აშშ-ის მთავრობის გამარჯვებით დასრულდა. აშშ ნაკლებ გადასახადებსა და ნაკლებად რეგულირებულ ეკონომიკას ეფუძნებოდა, მაშინ როცა სხვა ქვეყნების უმეტესობა სოციალისტურ, ავტორიტარულ ევროპულ ქვეყნებს (სსრკ-ს ჩათვლით) წარმოადგენდნენ და მძიმე გადასახადებითა და რეგულირებული ეკონომიკით ხასიათდებოდნენ. II მსოფლიო ომის დასასრულს აშშ-მ მსოფლიო ჰეგემონობას მიაღწია. II მსოფლიო ომის განმავლობაშიც და მის შემდეგაც აშშ ინტენსიურად აგრძელებდა ექსპანსიონიზმს ლაოსში, კუბაში, კონგოში, ბრიტანეთის გვინეაში, დომინიკის რესპუბლიკაში, ვიეტნამში, ჩილეში, გრენადასა და ნიკარაგუაში.²⁹

ისტორია სახელმწიფოს თაღლითობის შიდა ძალებსა და გარეგან აგრესიულ პოლიტიკას შორის პირდაპირი კავშირის მკაფიო ილუსტრირებას ახდენს, ასევე ააშკარავებს სახელმწიფოს ექსპანსიონისტური სურვილების მიმართ საბანკო და ბიზნეს ელიტების მხარდაჭერას. აშშ-ის სამხედრო ძალის აღზევებაში უდიდესი როლი I მსოფლიო ომმა ითამაშა. აშშ-ს მთავრობა ვერ ჩაერთვებოდა და ვერც წარმატებით დაასრულებდა ევროპულ ომს, რომ არა 1913 წელს ფედერალური სარეზერვო სისტემის, ანუ ცენტრალური ბანკის დაკანონება. ამის გასაკეთებლად იგი რესურსების ნაკლებობას განიცდიდა. ცენტრალური სარეზერვო სისტემის არსებობით შესაძლებელი გახდა ომის ეკონომიკაზე მსუბუქად გადასვლა და ასევე ომში უფრო სიღრმისეულად ჩართვა, შედეგად კი I მსოფლიო ომის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გამანადგურებელ ომად იქცა. ფედერალურ სარეზერვო სისტემას გულმოდგინედ უჭერდნენ მხარს საბანკო ესტაბლიშმენტის წარმომადგენლები (კერძოდ როქფელერების სახლი, მორგანი, და ქუნი, ლოები და კომპანია). ამგვარად, აშშ-ის ომში ჩართვის პოლიტიკის მხარდამჭერები ეკონომიკური ელიტის ფარგლებში მრავლად

²⁷ ამასთან დაკავშირებით იხ. E. Krippendorff, *Staat and Krieg*, გვ. 97-116.

²⁸ ცხრილი იხ. Ekkehart Krippendorff, *Die amerikanische Strategie* (Frankfurt/M. Suhrkamp, 1970), გვ. 43.

²⁹ მეოცე საუკუნის აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე, იხ. Leonard P. Liggit, "American Foreign Policy and National Security Management", Radosh და Rothbard, *A New History of Leviathan*; Rothbard, *For a New Liberty*, თავი 14.

პყავდა (მაგ. ჯეი. პი. მორგანი და კომპანია, როგორც ინგლისის ბანკის აგენტი და ბრიტანული და ფრანგული ობლიგაციების მონოპოლისტური დამზღვევი, ასევე უმსხვილესი შეიარაღების მწარმოებლები, უილსონის ადმინისტრაციაში ისეთი ძლიერი სახელები, როგორცა ვ. ჯ. მაქაუდუ, ხაზინის მდივანი, უილსონის სიძე; პოლკოვნიკი ფ. მ. პაუსი, უილსონის საგარეო პოლიტიკის საიდუმლო მრჩეველი; და ბ. სტრონგი, ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველი).²⁰

თანამედროვე ეკონომიკური წესრიგის აღდგენას მხოლოდ ერთი ელემენტი აკლია და ეს არის ფული. სამხედრო გზით საკუთარი ტერიტორიის გაფართოება სახელმწიფოს ბუნებრივ ინტერესს წარმოადგენს და ამგვარად, ამ ტენდენციის ირგვლივ სახელმწიფოების კონცენტრირება მეტ-ნაკლებად კიდევ იქნება. სახელმწიფოს ინტერესია "მონეტარულ იმპერიალიზმში" (რაც ნიშნავს საკუთარი თალღითური ძალაუფლების უფრო დიდ ტერიტორიებზე გავრცელებას) ჩართვა; ასე რომ, მსოფლიოში ერთი საერთო ქალაქის ფულის არსებობის ტენდენციაც სრულიად მოსალოდნელია. ინტერესები და ტენდენციები ერთმანეთს ავსებენ. ერთი მხრივ, საერთაშორისო თალღითური კარტელისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მარტივად დამარცხდება, თუ მას ზურგს სამხედრო ესტაბლიშმენტის დომინირება და იერარქია არ უმაგრებს ზურგს. გარე და შიდა ეკონომიკური ზენოლა კარტელს გახეთქავს. თუმცა, სამხედრო ძალაუფლებით შესაძლებელი ხდება ინფლაციური კარტელის ჩამოყალიბებაც. მეორე მხრივ, როცა სამხედრო დომინირება ამგვარი კარტელის არსებობას ხდის შესაძლებელს, გაბატონებულ სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი ექსპლუატაციური ძალა სხვა ტერიტორიებზეც გაავრცელოს ომისა და დაპყრობის გარეშე. ფაქტიურად, გაყალბების საერთაშორისო კარტელიზაცია გაბატონებულ ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს უფრო რთული (ნაკლებად ხილული) საშუალებები გამოიყენოს იმაში, რისი მიღწევაც მხოლოდ ომით და დაპყრობით შეუძლებელია.

პირველ რიგში გაბატონებული ქვეყანა (სახელმწიფო, რომელსაც სხვა სახელმწიფოს სამხედრო გზით დამარცხება შეუძლია) გამოიყენებს თავის უმთავრეს ძალას, რომ საერთაშორისოდ კოორდინირებული ინფლაციის პოლიტიკა გააძლიეროს. ცენტრალური ბანკი გაყალბების პროცესს იწყებს და გაბატონებული ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს ნაბრძანები აქვს ინფლაცია მოახდინონ გაბატონებულ ქვეყანასთან ერთად. პრაქტიკულად, გაბატონებული სახელმწიფოს ქალაქის ფული უცხოურ ცენტრალურ ბანკებში სარეზერვო საგადამხდელო საშუალებად გამოიყენება, და ისინი იძულებულნი არიან იგი საკუთარი ინფლაციური ქმედებების საფუძვლად გამოიყენონ.

შეზღუდული არა ფაქტიური მოთხოვნით, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივი აზრით, გაბატონებული ქვეყნისთვის შედარებით იოლია ამ მიზნის მიღწევა. პირდაპირი ტერიტორიული დაპყრობა და საკუთარი საგადამხდელო საშუალების უცხო ტერიტორიებზე პირდაპირი დანერგვა შეიძლება მიუღებელი იყოს უცხოური საზოგადოებრივი აზრისათვის. თუმცა, გაბატონებულ სახელმწიფოს გააჩნია უცხო ქვეყნის განადგურების ძალა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მისი სრული დაპყრობისათვის. ამასთან, გაბატონებული სახელმწიფო მონეტარული იმპერიალიზმით ძალიან ადვილად აღწევს წარმატებას.

სავარაუდოდ შიდა წინააღმდეგობაც არ ექნება. მთავრობა ამ გადაწყვეტილებით თავად იქნება კმაყოფილი. როცა საკუთარი საგადამხდელო საშუალება უცხოურ ბანკებში უკვე სარეზერვო საგადამხდელო საშუალებად გამოიყენება, რაზეც შემდგომ პირამიდასავით სხვადასხვა ეროვნულ საგადამხდელო საშუალებებს აწყობენ, მისთვის შესაძლებელი ხდება რომ თითქმის ხარჯის გარეშე ამუშაოს უცხოური საკუთრების მფლობელები და შემოსავ-

²⁰ Rothbard, *Mystery of Banking*, გვ. 230-47; Charles Tansill, *America Goes to War* (Boston: Little, Brown, 1938), თავები 2-4.

ლის გამცემები. მისივე საკუთარი საბანკო და ბიზნეს ელიტა თანახმაა მიიღოს ასეთი ღონისძიებები, რადგან მათაც, შეუძლიათ უსაფრთხოდ მონაწილეობის მიღება უცხოეთის ექსპლუატაციის პროცესში. ბანკები ამ საქმეში ერთუზიანობით არიან ჩართულნი. საზოგადოების დიდ ნაწილს წარმოდგენა არ აქვს რა ხდება, ან უცხოელების ექსპლუატაციის ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საკუთარ შიდა პრობლემებთან შედარებით.

გარეგნულად, საქმე უფრო რთულად გამოიყურება. მონეტარული რეჟიმის შედეგად გაბატონებული სახელმწიფო კარგავს რესურსებს იმ ქვეყანაზე, რომელსაც აკონტროლებს. მაგრამ კონტროლის ერთიანად დაკარგვის საშუალებების გამო, იგი ამჯობინებს დათანხმდეს სქემას, რომლითაც არა მხოლოდ ძალაუფლებას შეინარჩუნებს, არამედ საკუთარი მოსახლეობის საგადამხდელი საშუალების ინფლაციით თალღითური ექპორტობაცია განაგრძოს ყველაზე უფრო გაბატონებული სახელმწიფოს ქალაქის ფულის შექმნით. არსებითად იგივე მიზეზით საბანკო და ბიზნეს ელიტები, როგორც ყალბი ფულის პირველი მიმღებები, ლებულობენ ამ გადაწყვეტილებას. დაპყრობილი ქვეყნების საზოგადოება, რომელიც ორმაგი ექსპლუატაციის სუბიექტია სხვა ქვეყნის ელიტებისა და საკუთარი სახელმწიფოსა და ელიტების მხრიდან, გაუთვინობიერებელია და უჭირს გარკვევა, თუ რატომაა მათი ეკონომიკა გაბატონებულ ერზე დამოკიდებული და განიცდის სტაგნაციას.

საერთაშორისო მონეტარულ სისტემაში ქალაქის საგადამხდელი საშუალებას გაბატონებული მდგომარეობა უკავია, ხოლო გაცვლითი კურსები ეროვნულ საგადამხდელი საშუალებებს შორის თავისუფლად მერყეობს. ერთი მხრივ, ეს არ აკმაყოფილებს გაბატონებულ ქვეყანას, რადგან ამ პირობებში შესაძლებელია სხვებთან მიმართებაში საკუთარი საგადამხდელი საშუალების გაუფასურება, რაც მის როლს საფრთხეს უქმნის. გაცვლითი კურსები ექსკლუზიურად სხვადასხვა ცენტრალური ბანკების ინფლაციონისტური პოლიტიკით არ დგინდება. იგი განისაზღვრება მსყიდველობითუნარიანობით.³¹ მაშინაც კი, თუ დამოკიდებული ცენტრალური ბანკი გაბატონებულ ცენტრალურ ბანკთან ერთად საკუთარი სურვილით ზრდის კურსს, სხვა ფაქტორებს (მაგალითად, გადასახადების და რეგულირების დაბალი დონე) მაინც ძალუძთ საკუთარი საგადამხდელი საშუალება გაამყარონ გაბატონებული ქვეყნის საგადამხდელი საშუალების სანინააღმდეგოდ.

მეორე მხრივ, თავისუფლად მერყევი მრავალი საგადამხდელი საშუალების არსებობა ფულის ნამდვილ მიზანთან მიმართებაში სრულიად შეუსაბამოა. იგი ქმნის ინფორმაციულ ქაოსს, შეუძლებელს ხდის რაციონალურ ეკონომიკურ გათვლებს და შესაბამისად წარმოების სისტემაში წარმოშობს უუნარობას, სადაც დომინანტი ქვეყანა პარაზიტულად განისვენებს.

ამგვარად, გაბატონებული პოზიციის უზრუნველსაყოფად და ექსპლუატირებით მითვისებული შემოსავლის მაქსიმუმიზირებისთვის გაბატონებული ქვეყანა აუცილებლად შეეცდება დაარსოს საერთაშორისო და უნივერსალური საგადამხდელი საშუალება მონოპოლისტურად კონტროლირებადი ან პირდაპირ საკუთარი ცენტრალური ბანკის მეშვეობით ან ირიბად საერთაშორისო ან მსოფლიო ბანკის მეშვეობით, რომელზეც მისი ცენტრალური ბანკი განახორციელებს კონტროლს.

ამ მიზნის მიღწევას ვაზზე ზოგერთი დაბრკოლებები წარმოიშობა. თუმცა, როცა პირველი ნაბიჯი წარმატებით გადაიდგმება, დანარჩენი დაბრკოლებები უკვე გადაულახავად აღარ გამოიყურება. გაბატონებული სახელმწიფო ასეთ პირობებში კარგავს გადაწყვეტილების მიღებაზე გარკვეულ უფლებას. მაგრამ იგი კომპენსირდება იმით, რომ მისი ეკონომიკაც უფრო ნაყოფიერად იფუნქციონირებს, თუ საერთაშორისო ვაჭრობაში დათვლადი ქაოსი შემცირდება. შემდგომ, საბანკო და ბიზნეს ელიტები ორივე ქვეყანაში ამგვარ

³¹ მსყიდველობითი უნარის თანახმობით თეორიაზე იხ. Mises, *Human Action*, გვ. 452-58; Rothbard, *Man, Economy, and State*, გვ. 715-22.

მონეტარულ რეჟიმს მხარს დაუჭერენ და ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე არსებულ კავშირებს გამოიყენებენ ამ პოლიტიკის მიღების ხელშეწყობისთვის. ბანკები და ინდუსტრიული ფირმები წარმოების და გაცვლის საშუალებით ასევე ფულის კეთების ბიზნესში არიან ჩართულნი. თავისუფლად მერყევი გაცვლითი კურსები ხელოვნურ შეფერხებას წარმოადგენენ მათი ეკონომიკური ინტერესის მიღწევაში. მათ დიდი ბიზნესები შეუსაბამოდ აღაქვამენ, რადგან მათთვის საგარეო ვაჭრობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ფაქტობრივად, ყველაზე მკაცრი წინააღმდეგობა საერთაშორისო საგადამხდელი საშუალების შემოღებაში მოსალოდნელია არა სახელმწიფოებისგან და ეკონომიკური ელიტიზისგან, არამედ ჩვეულებრივი ადამიანებისგან. ამ მხრივ, რადგან საერთაშორისო საგადამხდელი საშუალება გულისხმობს უკვე მიჩვეულის დათმობას, იგი წინააღმდეგება ნაციონალიზმს, რომელსაც ყველა სახელმწიფო ასე შედგრად იცავდა ამდენი ხნის განმავლობაში. ეს განსაკუთრებით პრობლემა იქნება თუ მოსახლეობა ყველა დამოკიდებულ ქვეყანაში იძულებული იქნება პირდაპირ გაბატონებული ქვეყნის საგადამხდელი საშუალება მიიღოს, რადგან ამგვარი მონეტარული სისტემის ხაზგასმული იმპერიალისტური ბუნება უკვე საშიშად ამკარა გამოხატულებას. გარკვეული ხარისხის დიპლომატიით და მომთმენი პროპაგანდით ეს პრობლემაც გადაიჭრება. ახალი საგადამხდელი საშუალება ახალი სახელით უნდა შეიქმნას და განისაზღვროს არსებული ეროვნული საგადამხდელი საშუალების ფარგლებში იმისთვის, რომ არ აღძრას ნაციონალისტური ან ანტიიმპერიალისტური გრძნობები. ეს ახალი საგადამხდელი საშუალება უფრო მეტად ღირებული უნდა იყოს სხვა საგადამხდელი საშუალებებთან შედარებით (რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულია ახალი საგადამხდელი საშუალების თვალსაზრისით) იმისთვის, რომ ეროვნული ფულები ბრუნვიდან გამოაძევეს (გრემამის კანონის შესაბამისად)²². ამასთან, სახელმწიფოს და ეკონომიკური ელიტები მუდმივად უნდა მოუწოდებდნენ მოსახლეობას, რომ ნაციონალისტური გრძნობების მიუხედავად, თავისუფლად მერყევი ეროვნული ფული ანაქრონიზმს წარმოადგენს, რომელიც რაციონალურ ეკონომიკურ გათვლას ამახინჯებს და ყველას ინტერესშია საერთაშორისოდ გამოყენებადი ფული ქონდეს ხელთ, რომელსაც ვაშლისცემს საერთაშორისო საბანკო სისტემა გაბატონებული სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის მმართველობის ქვეშ. საზოგადოებრივი აზრის ზოგიერთი გადამწყვეტი ცვლილების, კერძო საკუთრების და მყარი ფულის ორიენტაციის მიმართულების და შესაბამისად მზარდი ანტისახელმწიფოებრივი სიფხიზლის გამოკლებით, გაბატონებულ სახელმწიფოს ამ სრულიად საერთაშორისო გაყალბების მიღწევას ვერაფერი შეუშლის ხელს. მსოფლიო ფულის არსებობით, მსოფლიო ბანკით, რომელსაც გაბატონებული ქვეყნის ცენტრალური ბანკი აკონტროლებს, მიღწეულია საბოლოო მიზანი - მსოფლიო მთავრობის დამკვიდრება, რომელსაც საყოველთაო კონტროლი აქვს არა მხოლოდ გაყალბებაზე, არამედ გადასახადებზეც და რეგულირებებზეც.

დიდი ბრიტანეთი, როგორც ყველაზე უფრო იმპერიალისტური სახელმწიფო, გადავიდა სტერლინგურ იმპერიალიზმზე. ბრიტანეთის მიერ დამორჩილებული ქვეყნები იძულებულნი იყვნენ რეზერვები სტერლინგური ბალანსით ლონდონში შეენახათ, რომელსაც ინგლისის ბანკი ოქროში გადაცვლიდა. ამ გზით ქვეყნებს შეეძლოთ ეროვნული საგადამხდელი საშუალებები ფუნტზე მაღლა დაეყენებინათ, და ბრიტანეთს კი შეეძლო სტერლინგის ბანკნოტები გაემსხვილებინათ ოქროზე მაღლა ოქროს ამონურვის შიშის გარეშე. ბრიტანეთის დაცემით და მისი კონკურენტი აშშ-ს, როგორც მსოფლიოში წამყვანი სამხედრო ძალის აღზევებით, სტერლინგური იმპერიალიზმი თანდათანობით დოლარის იმპერიალიზმმა ჩაანაცვლა. II მსოფლიო იმის დასასრულს, აშშ-ს გაბატონება მსოფლიოს უმეტეს ნაწილზე გავრცელდა

²² გრემამის კანონზე იხ. Mises, *Theory of Money and Credit*, გვ. 75, 77; *Human Action*, გვ. 781-83; Rothbard, *Power and Market*, გვ. 29-31.

და ძირითადად აღიარება ბრეტონ ვუდის ხელშეკრულებით ჰმოვა. დოლარი მსოფლიო სარეზერვო საგადახდელო საშუალება გახდა.³³ მცირე ხანს აშშ ოფიციალურად ინარჩუნებდა უცხოური ცენტრალური ბანკების დოლარების ოქროში გამოსყიდვის საშუალებას და ეს გარკვეული ხარისხით მის ინფლაციურ პოტენციალს ზღუდავდა. აშშ, როგორც გაბატონებული საერთაშორისო სამხედრო ძალის (ამასობაში ფორმალურადაც დადგინდა მრავალი სამხედრო პაქტით, მათგან განსაკუთრებით ალსანიშნავია ნატო) პოზიციამ უფლება მისცა უცხოური მთავრობებისთვის აეძულებინა გამოსასყიდის უფლების გამოყენება, ისე რომ გამოსყიდვას ან ნაწილობრივ ან საერთოდ არ მოითხოვდნენ, რომ დოლარის ინფლაცია საკონტრაქტო შედეგების დასახვის გარეშე მომხდარიყო. როცა მისმა თალთალთურმა პოლიტიკამ უცხოური მთავრობები ნაქაქა, უფრო გამბედავნი გამხდარიყვნენ ოქროს შექენის მცდელობისას და ფასებზე ევაჭრათ, აშშ-ს მთავრობამ სამხედრო ძალის დემონსტრირებით მოჩვენებით პოლიტიკას თავი დაანება და საკუთარი ბანკნოტები უიმედოდ და განადგების უუნაროდ გამოაცხადა. ამით, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ავტონომიური გამყალბების პოზიცია დაიკავა მთლიან საერთაშორისო საბანკო სისტემაში.³⁴

დოლარის სტანდარტის იმპერიალისტურ ბუნებაზე გავლენა ისეთი ინსტრუმენტებით ხორციელდება, როგორცაა საერთაშორისო მონეტარული ფონდი (IMF), რეკონტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), საერთაშორისო დანაზოგებისთვის ბანკი (BIS).³⁵ ფული და კრედიტი, თავდაპირველად აშშ-ზე დამოკიდებულ ინსტიტუტებს გაივლის და შედეგ მდის უცხოურ მთავრობებთან, რომლებიც ეროვნულ საგადახდელო საშუალებებს ზრდიან და ამ ფულს უკვე საკუთარ კარტელიზებულ საბანკო სისტემას გადასცემენ, შემდგომ ამატებენ გაყალბების დოზას, გადასცემენ ფაფორიტ ბიზნეს წრეებს და ესე ტალღისებურად ბოლოს ეკონომიკურ პერიფერიებს გადაეცემა. ფულის გადინების პარალელურად ხდება შემოსავლის და სიმდიდრის გადანაწილების საპირისპირო პროცესი, პერიფერიიდან ეროვნულ ბიზნესებში, საბანკო ელიტებში და სხვადასხვა ეროვნულ სახელმწიფოებში ისევე, როგორც დომინირებული ტერიტორიებიდან აშშ-ს მთავრობასა და აშშ-ს საბანკო და ბიზნეს ესტაბლიშმენტში, როგორც მსოფლიოს დაფინანსების ცენტრში, გროვდება.

სოციალდემოკრატიული თვალსაზრისით საინტერესოა ამ ურთიერთდაკავშირებული პროცესების შედეგები ფეოდალურ საზოგადოებებში. ასეთ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით აფრიკაში, აზიაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, არსებობენ ფეოდალური მიწათმფლობელების ან ინდუსტრიული მაგნატების კლასები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფო აპარატს და ძირითადად დედაქალაქში ცხოვრობენ; და დამოკიდებული გლეხობის კლასი, რომელიც სოფლად ცხოვრობს და ინახავს სახელმწიფოს, ფეოდალურ ელიტას და დედაქალაქს, მიწის იჯარის გადახდით.³⁶ დოლარის იმპერიალიზმი ფეოდალური წესების მხარდაჭერას და პარაზიტული ფეოდალური კასტის და დედაქალაქის მიერ გაღარიბებული გლეხობის და სოფლის ექსპლუატაციაში მონაწილეობას ნიშნავს. იგი მიწის რეფორმისათვის ნებისმიერ განმათავისუფლებელ მოძრაობას ახშობს. ფაქტობრივად, მესამე მსოფლიოს ტიპური ციკლი, შეუბრალებელი მთავრობის შევიწროება, რევოლუციური მოძრაობები, სამოქალაქო ომი, გახანგრძლივებული ეკონომიკური დამოკიდებულება, მასობრივი სიღარიბე წარმოიშვა და შენარჩუნდა აშშ-ის გაბატონებული საერთაშორისო მონეტარული სისტემის მეშვეობით.

³³ ბრეტონ ვუდის სისტემის მიერ დოლარის სტანდარტის შემოღებაზე იხ. Henry Hazlitt, *From Bretton Woods to World Inflation* (Chicago: Regnery, 1984).

³⁴ 1971 წლიდან, როდესაც ოქროს სტანდარტი საბოლოოდ იქნა შეჩერებული, უფრო მეტი ფული შეიქმნა, ვიდრე მანამდე იყო დაგროვილი ყველა ერის მიერ მთელი ისტორიის მანძილზე.

³⁵ ამ ინსტიტუტების იმპერიალისტურ ბუნებაზე იხ. აგრეთვე Gabriel Kolko, *The Politics of War, The World and United States Foreign Policy 1943-1945* (New York: Random House, 1968), გვ. 242-340).

³⁶ იხ. Paul A. Baran, *Political Economy of Growth* (New York: Monthly Review Press, 1957), თავები V-VI.

1971 წლიდან ადგილი ჰქონდა მონეტარული ექსპანსიონიზმის მეორე ეტაპის რიგ მცდელობებს. 1960-ეე თავისუფლად მცურავი ვალუტა ნამდვილად არ ქმნის პრობლემას, რადგან უმეტესობა დოლარის წინააღმდეგ შიდა მიზეზების გამო არ დგას საფრთხის წინაშე ამგვარად შესაბამისი სახელმწიფოს ძალა აშშ-ს მთავრობასთან მიმართებაში არ ძლიერდება, ან ისეთ მცირე როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობაში, რომ მათი არსებობით გამოწვეული დათვლითი ქაოსი უმნიშვნელოა. თუმცა, დასავლეთ ევროპული სახელმწიფოები და იაპონია მათი საგადამხდელო საშუალებების შედარებითი სიძლიერის და საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი როლის გამო ნამდვილად პრობლემას წარმოადგენენ. სწორედ ამ სახელმწიფოების გამო აშშ ცდილობდა მსოფლიო ვალუტის შექმნას, რომელიც ეკონომიკური გათვლების რაციონალიზებას უწყობს ხელს და ამავდროულად აშშ-ს დომინირებას იცავს და ხელს უწყობს მისი შემდგომი ინფლაციონისტური ძალაუფლების ზრდას. სპეციალური სასესიო წესების (SDRs) შექმნა, თავდაპირველად თექვსმეტი და შემდგომი ხუთი წამყვანი ექპორტიორი სახელმწიფოს მიერ, რომელიც IMF-მა გამოაქვეყნა, ერთი მსოფლიო საგადამხდელო საშუალებების მისწრაფება და ერთი მსოფლიო ბანკის შექმნისკენ სელა იყო აშშ-ს დომინირებით.³⁷ კიდევ ერთი ბიძგი ამ მიზნისკენ ტრილატერული კომისიის (TC) ქმედებები იყო, რომელიც 1973 წელს დევიდ როტფელდის საბჭოს ნაწილად საგარეო ურთიერთობებისთვის დაარსდა. TC, რომელიც შედგება ჩრდილოეთ ამერიკიდან, დასავლეთ ევროპიდან და იაპონიიდან 300 გავლენიანი პოლიტიკოსისგან, ბანკირისგან, ბიზნესმენებისგან, აგრეთვე ინტელექტუალებისგან და ჟურნალისტებისგან, მსოფლიო ქალაქის ფულის და მსოფლიოს ცენტრალური ბანკის შექნა უმთავრეს განსახილველ საკითხად დაისახა.³⁸ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა, ბანკირ-მრეწველების ასოციაციებმა TC-სთან ერთად იგივე მიზანი დაისახეს და ამ მიზნის მისაღწევად ისეთი შუალედური ნაბიჯები გადადგეს, როგორცაა ევროპის მოქმედების კომისია, ევროპის მონეტარული კავშირის ასოციაცია, ევროპული გაერთიანების საბანკო ფედერაცია, ECU საბანკო ასოციაცია, ბაზელის კომიტეტი და ვილტონის საბანკო ჯგუფი. გარკვეულ წარმატებებსაც ჰქონდა ადგილი. 1979 წელს, ახლად შექმნილი ევროპული საგადამხდელო საშუალების ერთეული (ECU) ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ეგიდით გამოშვებული, პირველად გამოჩნდა. იგი განსაზღვრული იყო, როგორც ათი ევროპული საგადამხდელო საშუალების საპირწონე. მას მხარს უჭერდნენ შემდეგი ორგანიზაციები: ევროპული მონეტარული სისტემა, ევროპის საინვესტიციო ბანკი, მსოფლიო ბანკთაშორისო ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოება და ევროპის მონეტარული თანამშრომლობის ბანკი. ECU ეროვნული საგადამხდელო საშუალებებისგან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი გახდა. მულტინაციონალური ბანკებმა და კორპორაციებმა ანგარიშის ნაწილად და სესხის საშუალებად ECU-ს გამოყენება მიზნადვლად მიიჩნიეს: მრავალ საგადამხდელო საშუალებებთან შედარებით უსაგადამხდელო საშუალების - ECU, იენი და დოლარის შემთხვევაში ეკონომიკური გათვლა შედარებით უფრო ზუსტია.

³⁷ nb. Hazlitt, From Bretton Woods to World Inflation.

³⁸ ტრილატერულ კომისიაში გამოჩენილი ამერიკელი წევრები გახლათ დევიდ ემ აბშირი (პრეზიდენტის მრჩეველი); ფრენკ ცი ქარლერი (ეროვნული თავდაცვის მრჩეველი); ჯეი სი ვაითჰედი (ელჩი ჩინეთში); ჯორჯ ბუმი (პრეზიდენტის); პოლ ეი ვოლქერი (ფედ-ის ყოფილი თავჯდომარე); ვან კირკპატრიკი (ყოფილი ელჩი გაეროში); დევიდ ეი სტოქმენი (OMB-ის ყოფილი უფროსი); კასპარ ვანბურგერი (თავდაცვის ყოფილი მდივანი); ვი მაიქლ ბლუმენთალი (ხაზისნის ყოფილი უფროსი); ზბიგნეე ბრეზინსკი (ეროვნული თავდაცვის ყოფილი მრჩეველი); პაროლდ ბრაუნი (თავდაცვის ყოფილი მდივანი); ჯიმი კარტერი (ყოფილი პრეზიდენტი); რიჩარდ ნ. კუპერი (სახელმწიფოს ეკონომიკური და მონეტარული საქმეების მდივნის ყოფილი მოადგილე); ეოლტერ მონდელი (ყოფილი ვიცე პრეზიდენტი); ანთონი მ სოლომონი (მონეტარულ საქმეთა ხაზის მდივნის ყოფილი მოადგილე); სარუს ვანსი (ყოფილი სახელმწიფო მდივანი); ენდროუ იანგი (ყოფილი ელჩი გაეროში); ლეინ ეი ქირლანდი (AFL-CIO-ს უფროსი); ფლორა ლუისი (New York Times); თომას ჯონსონი (Los Angeles Times); ჯორჯ ვილი, ABC ტელევიზია და Newsweek.

1998 წელს, მთავრობათაშორისი ოფიციალური შეთანხმების შედეგად ევროპის ცენტრალური ბანკი დაფუძნდა და ECU ევროპული საგადამხდელო საშუალება გახდა, რომელიც ევროპული ქვეყნების ფულს ანაცვლებდა.³⁹

ევროპაში, დათვლის ქაოსის მოგვარებით, ევროპული მყარი საგადამხდელო საშუალების ქვეყნების ნეიტრალურობით და კარტელის ფარგლებში შესუსტებით, რომელიც ბუნებით ნაკლებად ინფლაციურ ქვეყნებს წყალობს, ისე რომ აშშ-ის ჰეგემონობისგან დაიცვას ევროპის კონტინენტი, ცოტა რამ დარჩა გასაკეთებელი. ძირითადად, სამი ცენტრალური ბანკით და საგადამხდელო საშუალებით და აშშ-ს დომინირებით ევროპასა და იაპონიაზე, საყარა-უნდო კანდიდატებად აშშ-ს დომინირებული მსოფლიო ცენტრალური ბანკით რჩებიან IMP და BIS: და მათი ეგიდით, დოლარი, ECU და იენი, „ფენიქსები“ (და რაც არ უნდა ერქვას) გადაიქცევიან ერთი მსოფლიო ქალაქის ფულად. საზოგადოებრივი აზრი, როგორც მთავრობაზე ზემოქმედების ძალა არსებით ცვლილებას და ზრდას განიცდის და საზოგადოება იწყებს იმ გაკვეთილის გაგებას, რომლის ახსნაც ამ წერილით შევეცადეთ: რომ ეკონომიკური რაციონალურობა, ისევე როგორც სამართლიანობა და მორალი ითხოვს საყოველთაო ოქროს სტანდარტს და თავისუფალ, 100 %-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო საქმიანობას, ისევე როგორც თავისუფალ ბაზარს მთელი მსოფლიოს მასშტაბით; და მსოფლიო მთავრობა, მსოფლიო ცენტრალური ბანკი და მსოფლიო ქალაქის ფული უნივერსალური ღირებულებების თაობაზე გამანადგურებელი წარმოდგენის სანინალამდეგოდ - სინამდვილეში უნივერსალიზებას, ექსპლუატაციის ინტენსიფიცირებას, გაყალბებას და ეკონომიკურ დესტრუქციას ნიშნავს.⁴⁰

³⁹ Jeffrey Tucker, "The Contributions of Menger and Mises to the Foundation of Austrian Monetary Theory Together With One Modern Application," (ხელნაწერი 1988), იგი წარადგინეს კერძო მენარმთა განათლების ასოციაციის ყოველწლიურ შეჯამებულ კონფერენციაზე, ქლეველანდი, ოჰაიო; და Ron Paul, "The Coming World Monetary Order," საექსპლუატაციო მოხსენება Ron Paul Investment Letter (1988). გამორჩეული აერთიანებული მხარის უჭერდნენ ევროპის ცენტრალური ბანკის ჩამოყალიბების იდეას, ECU-ს და მსოფლიო ერთი საერთო საგადამხდელო საშუალებას: გეი აგნელი, FIAT, TC-ის თავჯდომარე; ჯეი დეფლასიუ, BIS, TC-ის თავჯდომარე; ჯეი ფითზერალდი, ირლანდიის ყოფილი პრემიერ მინისტრი, TC; ლ. სოლანა, ესპანეთის ეროვნული საბანკის ყოფილი კომპანიის პრეზიდენტი, TC; ჯ. სორნი, ევროპული გაერთიანების პრეზიდენტი და ლუქსემბურგის ყოფილი პრემიერ მინისტრი, TC; ნ. თიგესერი, ეკონომიკის პროფესორი, კომუნისტური უნივერსიტეტი, TC; უ. აგნელი, FIAT-ის ვიცე-პრეზიდენტი; ე. ბალადოუ, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი; ნ. ბრედლი, Dillon Read Investments; ჯ. ქალაპანი, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი; ქ. ქარსთენსი, დასავლეთ გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი; ფ. ქოფეი, ამსტერდამის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი; ე. დავიგნონი, ყოფილი ევრო კომისარი; ჯ. დელორსი, ევროპის თანამეგობრობის ყოფილი პრეზიდენტი; ე. დუსენბერგი, BIS-ის პრეზიდენტი; ლ. ფაბიუსი, საფრანგეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი; ჯ. რ. ფურთუ, Rhône-Poulenc-ის პრეზიდენტი; რ. დ. ლა ფემერე, ბანკი დე ფრანსის ყოფილი მმართველი; ე. გისქიარდ დ'ესტანიგი, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი; ჩ. გუდპართი, ლონდონის ეკონომიკის სკოლის საბანკო მეცნიერების პროფესორი; პ. გუიშმარტიერ, ევროპული თანამეგობრობის ECU-ს პროექტის დირექტორი; ე. პისი, ყოფილი ბრინატილი პრემიერ მინისტრი; პ. ქონშთამი, ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტის ყოფილი პრეზიდენტი, ფლორენცია; ე. გუს, დოიჩე ბანკის პრეზიდენტი; ნ. ლოუსონი, ხაზინის ბრინატილი კანცლერი; ლ. მ. ლევექუ, Credit Lyonnais-ის პრეზიდენტი; ლ. ლუჩინი, Confindustria Italy-ს პრეზიდენტი; ფ. მაულუ, კორპორაციული და სამომხმარებლო საქმეთა ბრიტანული მინისტრი; პ. მენტერე, ევროპული კრედიტის თავჯდომარე, საფრანგეთი; პ. ლ. მერქლე, Bosch GmbH-ის თავჯდომარე, დასავლეთ გერმანია; ფ. მიტერანი, საფრანგეთის პრეზიდენტი; ფ. მონე, ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი; პ. ორტალი, ტოტალ ოილის პრეზიდენტი და ევროკავშირის ყოფილი კომისარი; რ. რამბერე, Credit Lyonnais; პ. სმადტი, დასავლეთ გერმანიის ყოფილი კანცლერი და die ZEIT-ის რედაქტორი; პ. შეი, BAT ინდუსტრიების თავჯდომარე; ჯ. სოლვეი, სოლვეის თავჯდომარე, ბელგია; პ. ჯ. ფოგელი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარე; ჯ. ჟოლსტრა, ნიდერლანდების ბანკის ყოფილი პრეზიდენტი.

⁴⁰ ჯეფრი თაქერმა (მიუხედავად ინსტიტუტის დიდი გავლენა მოახდინა საერთაშორისო მონეტარული სისტემის დინამიკაზე ჩემი წარმოდგენის ჩამოყალიბებაზე - ხშირი განხილვებით და ასევე იმით რომ უფლება მომცა ამასთან დაკავშირებულ მის კვლევებს სრულად ხელმისაწვდომი ყოფილიყო ჩემთვის. გაუმარტავებელი იმის თქმა, რომ ყველა ხარვეზი მხოლოდ მე მეკუთვნის.

ჯორჯ სელჯინი

1957



ჯორჯ სელჯინი (George A. Selgin) - ჯორჯიის უნივერსიტეტის ტერის ბიზნესის სკოლის ასოცირებული პროფესორი, კატონის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, „Econ Journal Watch“-ის ასოცირებული რედაქტორი.

სელჯინის კვლევის ძირითადი სფეროა მონეტარული და საბანკო თეორია, მონეტარული ისტორია და მაკროეკონომიკა. იგი გახლავთ თანამედროვე თავისუფალი საბანკო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც ეყრდნობა ფრიდრიხ ჰაიეკის შრომებს ფულის დენაციონალიზაციისა და საგადამხდელი საშუალების არჩევანის შესახებ.

მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „კარგი ფული: ბირმინგემის ლილების ხელოსნები, სამეფო ზარაფხანა, და თანამედროვე მონეტების დასაწყისი“ (2008), „ბანკების დერეგულირება და მონეტარული წესრიგი“ (1996); „ნულზე ნაკლები: ეკონომიკის ზრდის პირობებში ფასების დაცემის არგუმენტები“ (1997); „საკითხავი ფულზე და საბანკო საქმეზე“ (1995); „თავისუფალი საბანკო საქმიანობის თეორია: ფულის მიწოდება კონკურენტუნარიანი ბანკოტების გამოშვების პირობებში“ (1988).



ლოურენს უაითი

ლოურენს ჰ. უაითი (Lawrence H. White) - ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი, "Review of Austrian Economics"-ის ასოცირებული რედაქტორი, კატოლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი.

ლოურენს ჰ. უაითი ითვლება თავისუფალი საბანკო საქმიანობის ისტორიისა და თეორიის სპეციალისტად. თავის შრომებში იგი მხარს უჭერს ფედერალური სარეზერ-

ვო სისტემის გაუქმებას და კერძო, კონკურენტული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას.

უაითზე დიდი გავლენა მოახდინა ავსტრიულმა ეკონომიკურმა სკოლამ. იგი საკუთარ თავს მიიჩნევს "ეკონომისტად, რომელიც აფასებს ავსტრიის ტრადიციებს." მან გაანალიზა თავისუფალი საბანკო სისტემის თეორია და ისტორია, სადაც კომერციული ბანკები და საბაზრო ძალები აკონტროლებენ საბანკო მომსახურების უზრუნველყოფას. იგი მხარს უჭერს "ფულის მინოდების დეპოლიტიზირებას", ხაზს უსვამს "მონეტარული მექანიზმების თავისუფალ ბაზარზე" სრულყოფილად მუშაობის შესაძლებლობებს.

უაითის შრომებიდან აღსანიშნავია: "თავისუფალი საბანკო საქმიანობა ბრიტანეთში: თეორია, გამოცდილება და დებატები" (2009), "მონეტარული ინსტიტუტების თეორია" (1999), "კონკურენცია და საგადამხდელი საშუალება: ესეები თავისუფალ საბანკო საქმიანობაზე და ფულზე" (1992).

ჯორჯ სელჯინი და ლოურენს უაითი

ფისკალური თეორია მონეტარულ სისტემაში სახელმწიფოს როლის შესახებ¹

თარგმნა ნინო გორგაძემ

I. შესავალი

«მეოცე საუკუნის ბოლომდე ეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად ფისკალური მოსაზრებებით ყალიბდებოდა... ფისკალურმა გადაწყვეტილებებმა გავლენა მოახდინა წარმოების შექმნასა და გაქრობაზე.. მაშინაც კი, როდესაც ეს არ ყოფილა მათი მიზანი, და ამ გზით უშუალოდ განაპირობა თანამედროვე ეკონომიკის ჩამოყალიბება.»

შუმპეტერი. 1954

რატომ თამაშობს სახელმწიფო აქტიურ როლს ფულად სისტემაში? კერძოდ, რატომ აქვთ ეროვნულ მთავრობებს თითქმის ყველგან მონეტებისა და ქალაქის ფულის გამოშვების ერთობილოვანი უფლება და კეთილშობილი ლითონები რატომ ჩაანაცვლეს დეკრეტული ფულით, როგორც საბანკო სისტემის სარეზერვო ფულით? რატომ არ მოახდინეს მათ (განვითარებულ ქვეყნებში, მაინც) მიმდინარე ანგარიშების გახსნის ნაციონალიზაცია, კერძო ბანკების დაბეგვრისა და რეგულირების სანაცვლოდ?

ამ კითხვებზე სტანდარტული პასუხები მოუთითებენ ბაზრის ნაკლოვანებებზე (ბუნებრივი მონოპოლიები, გარეგანი ფაქტორები, ან ინფორმაციის ასიმეტრია), რამაც შეიძლება ფულის არარეგულირებადი კერძო წარმოება არაეფექტიანი, არასტაბილური და შეუძლებელი გახადოს. ბაზრის ნაკლოვანებების განმარტება გულისხმობს, რომ სახელმწიფო მართავს მონეტარულ ინსტიტუტებს, რათა დაიცვას ფულის მფლობელები უფრო ეფექტური და სტაბილური გადახდების სისტემის უზრუნველყოფით, ვიდრე ეს იქნებოდა თავისუფალი ბაზრის პირობებში. ამგვარად, ფულის გამოშვებისთვის კერძო კონკურენცია არაა დაშვებული, რადგან ბაზარი აუცილებლად წარუმატებელი იქნება (ან ისტორიულად იყო წარუმატებელი) ამ სფეროში და სადეპოზიტო ბანკების სამართლებრივი შეზღუდვები აუცილებელია აღნიშნულ დარგში ბაზრის ჩავარდნების თავიდან ასაცილებლად.

მოცემული ნაშრომი გვანდის სამ მიზეზს იმისათვის, რომ ეჭვი შევიტანოთ ფულადი სისტემის ფუნქციონირების ახსნისას ბაზრის ჩავარდნის თეორიის ადექვატურობაში. პირველი, ეკონომიკის ისტორიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ფულისა და საბანკო რეგულირებების სახეებს და მათი მიღების ვადებს ბაზრის დასაბუთებულ ჩავარდნებთან ნაკლები უშუალო კავშირი აქვთ. შესწავლილი რეგულირებები (მაგალითად, სარეზერვო მოთხოვნები, რომლებიც უფრო "ყინავენ" ფულად რესურსებს, ვიდრე ზრდიან მათი ლიკვიდურობას) უძღუნის არიან გამოსასწორონ ნაკლოვანებები, რომელთა გამოც უნდა მომხდარიყო მათი დანესება. მეორე, ფულის ისტორიკოსებმა გამოიკვლიეს, რომ თავისუფალ ბაზართან ახლოს მდგომი ფულადი სისტემები, სულ მცირე, ისეთივე წარმატებულები იყვნენ, როგორც

¹ ნერილი გამოქვეყნდა ჟურნალ "Economic Inquiry", 1999 წელს (Oxford University Press vol. 37, issue 1).

შეზღუდვებზე დაფუძნებულები. და ბოლოს, ფულის თეორეტიკოსები აღნიშნავენ ფულის საკითხებში ბაზრის ჩავარდნებთან დაკავშირებით თეორიული არგუმენტების სისუსტეს.²

თუ ბაზრის ჩავარდნების ახსნა ეჭვს იწვევს, მაშინ როგორ შეიძლება ავსხსნათ მონეტარულ სფეროში სახელმწიფოს როლი? ჩარლზ კინდლბერგერმა (1994, XI) პირდაპირ დაასახელა პრობლემა: ეკონომისტებს, რომლებსაც საეჭვოდ მიაჩნიათ ბაზრის ჩავარდნის თეორიები «მოუწვევთ განმარტება, თუ რითი აიხსნება ერთი მწარმოებლისთვის ისტორიულად მინიჭებული უპირატესობა». ჩვენ ვთავაზობთ ფისკალურ პიპოთეზას: სახელმწიფო ფულის მიწოდებას თავის თავზე იღებს და ფულისა და ანაბრების კერძო მიწოდებას კრძალავს, არა ბაზრის ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, არამედ, ფულის მოჭრიდან ე.წ. სენიორაჟის მისაღებად და შეღავათიანი სესხებით საკუთარი თავის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს მონეტარული მონოპოლია და საბანკო რეგულირებები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საგადასახადო სისტემის ნაწილი. «ერთი მწარმოებლისთვის ისტორიულად მინიჭებული უპირატესობა» ეს გახლავთ ფისკალური სტრუქტურების და არა მომხმარებლების უპირატესობა.³

ეკონომიკის ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, ხშირად აღიარებენ კონკრეტული მონეტარული ღონისძიებების უკან ფისკალური მოტივების არსებობას, განსაკუთრებით ანტიკურ და შუა საუკუნეების ავტოკრატიულ რეჟიმებში. განვითარებადი ქვეყნების ანალიტიკოსები აღიარებენ, რომ «ფინანსური რეპრესიების» პოლიტიკის მიზანია ხელი შეუწყოს «ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთაც მათ ვთავაზობს შეუძლია ფულის მოჭრით მნიშვნელოვანი სენიორაჟის მითვისება» (ფრაი (1988); ჯოვანი და დე მელი (1993)). ჩვენ კიდევ უფრო წინ წავალთ იმის დასაბუთებაში, რომ ფისკალურმა ძალეებმა მთელი ისტორიის მანძილზე და ბევრ ქვეყანაში, მათ შორის დღეისათვის განვითარებულ დემოკრატიებშიც კი, ფაქტობრივად თავის თავზე მოიარგეს ფულის წარმოება. ამ მიზნით ისეთი სამართლებრივი შეზღუდვების გამოყენება, როგორიცაა სარეზერვო მოთხოვნებისა და სარგებლის განაკვეთის ზედა ზღვარის დადგენა, საგარეო ფულადი გაცვლებზე ზედამხედველობა და ფულის წარმოების მონოპოლიზება, აბრკოლებენ ეფექტიანობას, მაგრამ ზრდიან შემოსავლებს.

რაციონალური დიქტატორის მოდელი

ჩვენი ჰიპოთეზის განსავითარებლად, ვამკვიდრებთ იტალიელი ფისკალური თეორეტიკოსის, ამილჩარე პუვიანის (Amilcare Puviani) ნაშრომებში აღმოჩენილ მეთოდს. ბიუქენენის (Buchanan [1960, 64]) მიხედვით, პუვიანი ცდილობდა გამოეთვალა სახელმწიფოს საერთო საგადასახადო მექანიზმები «ორი მარტივი შეკითხვის» დასმით. პირველი, რა ტიპის საგადასახადო სისტემას დანერგავდა «რაციონალური დიქტატორი» თუ მისი მიზანი იქნებოდა «გადასახადის გადამხდელი საზოგადოების უმალღესი ხარისხით ექსპლუატირება», მაქსიმალური შემოსავლების მიღება შესაძლო საზოგადოებრივი წინააღმდეგობის საფრთხის გათვალისწინებით? მეორე, ფაქტობრივი საგადასახადო სისტემა რამდენად შეესაბამება რაციონალური დიქტატორის (ან «ლევიათანის») ჩანაფიქრს? პუვიანიმ იტალიის გაერთიანების შემდგომ პერიოდში აღმოაჩინა შესაბამისობის მაღალი ხარისხი რეალურ საგადასახადო სისტემასა და მის მიერ წარმოდგე-

² სელჯინი (Selgin) და უაითი (White) [1994] კელევა შეესაბამება ისტორიულ და თეორიულ ლიტერატურას

³ დაშორიშორება ფისკალური ორგანოებისა და მოქალაქე-მომხმარებლების უპირატესობებს შორის გულისხმობს რომ პოლიტიკური „ბაზარი“ განსაკუთრებით არ ზრუნავს ისეთი კანონების გაუქმებაზე, რომლებიც ამცირებენ მთლიან სიმდიდრეს. „ჩიკაგოსა“ და „ვირჯინიას“ შორის დაპირისპირების შესახებ და მოსაზრებები ამ ფართო კითხვაზე იხილეთ ლოტი (Lott) [1997].

ნილ მოდელს შორის⁴. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ფისკალური მიდგომა ასევე გამოსადეგია მონეტარული მექანიზმის ასახსნელად.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ ვასაბუთებთ თითქოს მთავრობებმა საგანგებოდ შეიმუშავეს მონეტარული სისტემა, რომელიც იმთავითვე უშუალოდ ფისკალური შედეგების მისაღწევად იყო ჩაფიქრებული. ასეთი შეხედულება წინააღმდეგობაში მთავრობის მონეტარული როლის ისტორიულ განვითარებასთან. ამის მაგივრად, ჩვენ უფრო დეტალურად გვსურს დასაბუთება, რომ შემოსავლის მაძიებელმა მთავრობებმა მოხერხებულად შეცვალეს კერძო ბაზრის მიერ ჩამოყალიბებული მექანიზმები⁵. შემოსავლის გაზრდის ხელშემწყობი ცვლილებები მკვიდრდება, ხოლო სხვები დაინიშნებას მიეცემა. შედეგად, სისტემები იმგვარად გამოიყურება, თითქოს ისინი თავიდანვე განკუთვნილია სახელმწიფოსთვის შემოსავლების მონტანაზე. მონეტარული სისტემის "რაციონალური დიქტატორის" მოდელი სწორედ ამ "თითქოსდა" პრინციპით უნდა იქნეს გაგებული.

II. სენიორაჟის გამაძლიერებელი ინსტიტუტები

არსებულ ლიტერატურაში განხილულია შემოსავლის გაზრდის ისეთი ხერხი, როგორცაა სენიორაჟი ან ინფლაციური ფინანსები. ძირითადი კონცეფცია მარტივია: სახელმწიფო იღებს მოგებას ახალი საბაზისო ფულის წარმოების ხარჯზე, რომლის წარმოების ხარჯი ნაკლებია ვიდრე წარმოებული ფულის ღირებულება. მთავრობა აფინანსებს საკუთარ ხარჯებს საბაზისო ფულის ახალი ერთეულების მიმოქცევაში გაშვებით⁶. საბაზისო ფულის ამგვარი ექსპანსია განაპირობებს საბაზო ფულის მფლობელების მიერ გადასახადის არაპირდაპირი სახით გადახდას არსებული ფულადი ბალანსების ღირებულების შემცირების შედეგად, ლიტერატურის უმეტეს ნაწილში საბაზო ფულის ექსპანსიის მაჩვენებელი განხილულია, როგორც მთავრობის მიერ არჩეული ცვლადი და უკვე არსებული მონეტარული ინსტიტუტები მოცემულთან მიიჩნევა. ძირითადი ძალისხმევა მიმართულია მაჩვენებელზე, რომელიც მაქსიმალურს გახდის სენიორაჟს, ან მინიმუმამდე დაიყვანს საგადასახადო ტვირთს, შემოსავლების შეზღუდვის გათვალისწინებით. ამის საპირისპიროდ, ჩვენ ვიკვლევთ, თუ რა სახის მონეტარული ინსტიტუტები ზრდიან სენიორაჟს.

საერთოდ რატომ შევაგროვოთ სენიორაჟი?

რამოდენიმე თავისებურება სენიორაჟს შემოსავლების გასაზრდელად მიზიდველ ხერხად აქცევს. პირველი, ფულად ბალანსებზე გადასახადები შეიძლება იყოს თავსებადი რემსის წესთან, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ყველა შემოსავლის ზედმეტი წილის

⁴ ლევი [1988] გვთავაზობს პუვიანის თანამედროვე ახსნას ფისკალური ძარცვის თეზისის სახით. „ძარცვის“ ჰიპოთეზის ალტერნატივა არის კერძო რენტის მაძიებლობა: სახელმწიფო იცავს განსაკუთრებულ ინტერესებს კონკურენციის აკრძალვის გზით. ეს ჰიპოთეზა გუვხმარება აფხანათ საკანონმდებლო აკრძალვების არსებობა კერძო ბანკებზე. მაგრამ ნაკლებად ხსნის მონეტების კერძო ჭედვის და ბანკის გამოშვების ელიმინაციას ბაზრიდან სახელმწიფო-მართავი მონოპოლიის სასარგებლოდ.

⁵ კერძო ბაზრის მონეტარული სისტემის (სავარაუდო) ევოლუცია სახელმწიფოს ჩარევის არარსებობისას იხილეთ სელჯინი (Selgin) და უაითი (White) [1987].

⁶ საბიუჯეტო შეზღუდვები დეკრეტული ფულის გამომშვები მთავრობისთვის არის $G = T + [\Delta]D + [\Delta]H$, სადაც G სახელმწიფო დანახარჯები (ვალის ჩათვლით), T საგადასახადო შემოსავლები, $[\Delta]D$ არის ცვლილება საზოგადოების ვალის პროცენტებში (არასახელმწიფო) $[\Delta]H$ არის სენიორაჟი, ცვლილება საზოგადოების არასაპროცენტო ვალში (დეკრეტულ საბაზისო ფულში). შესავალი სენიორაჟში იხ. მაკკულოქის McCulloch [1982] სახელმძღვანელო. მაკკულოქი აღნიშნავს, რომ ტერმინი „სენიორაჟი“, ფრანგულიდან სენიორი ან ლორე, ასახავს ფეოდალური ლორდების პრაქტიკას დაბალი ხარისხის მონეტების მონოპოლიური წარმოებისგან მოგების მიღებას და ამ მონეტების წომინალური ღირებულებით იძულებით სავალდებულო აღიარებას.

მინიმიზირებას გულისხმობს. ზოგი თეორეტიკოსი მაინც ამტკიცებს, რომ როცა ფული აღიარებულია შუამავალ საქონლად, ნებისმიერი პოზიტიური ინფლაციური გადასახადი არაფექტურია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ითვალისწინებს შემოსავლების დადებითად შეზღუდვას. ოპტიმალური ინფლაციის დონე ამიტომ არის ნულის ტოლი (ბანაიანი (1994); კორეია და ტელესი (1996)). თუ ასეა, სენიორაჟის შეგროვება და მონეტარული ინსტიტუტების საბოლოო ფორმირება, შეუძლებელია იყოს გამართლებული ფისკალური ეფექტიანობის საფუძველზე⁷.

მეორე, სენიორაჟი არის შედარებით «ფარული» გადასახადი. თუ საზოგადოება ინფლაციის მიზეზად სხვა ფაქტორებს ადანაშაულებს, ვიდრე მთავრობის მონეტარულ პოლიტიკას, შემოსავლების მოცემული რაოდენობისათვის ინფლაციური გადასახადის მიერ პროვოცირებული პოლიტიკური წინააღმდეგობა შესაძლოა ნაკლები იყოს, ვიდრე უფრო აშკარა გადასახადების შემთხვევაში. რაციონალური დიქტატორი დაინტერესებულია მაქსიმალურად გადაარჩინოს თავისი ადგილი ხელისუფლებაში, ამოიღოს სენიორაჟი იმ დონემდე, სანამდე ერთ დოლარზე ან შემოსავლის ერთეულზე არსებული ზღვრული პოლიტიკური წინააღმდეგობა ალტერნატიულ გადასახადებზე არსებულს არ გაუტოლდება. ამის შემდეგ, ინფლაციური გადასახადის გამოყენება შეიძლება იმ წერტილის ზემოთაც კი, სადაც მისი ზღვრული ტვირთი უტოლდება სხვა გადასახადების დონეს.

საბოლოოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბაზისო ფულის ნომინალურ ფონდებში ცვლილებები შეიძლება გააკეთდეს მოულოდნელად, ისინი ანესებენ ეპიკატალის (ex-post capital) გადასახადს სახელმწიფოს არაინდექსირებულ ნომინალურ ვალდებულებებზე, მათ შორის საბაზისო ფულზეც. ასეთ გადასახადს შეუძლია სწრაფად გაზარდოს მნიშვნელოვანი შემოსავლები, რაც სენიორაჟს განსაკუთრებულად ღირებულ ფინანსურ რესურსად აქცევს ისეთი კრიტიკული შემთხვევების დროს, როგორცაა ამბოხება ან გარე სამხედრო საფრთხეები, რომლებიც ემუქრებიან ქვეყნის გადარჩენას (გლასნერი 1997). შემოსავლის გაზრდის უნიკალური სიჩქარე გვეხმარება ავხსნათ, თუ რატომ გადაარჩა საბაზისო ფულის სახელმწიფო მონოპოლია თანამედროვე დრომდე, მაშინ როცა სხვა საქონელზე, მაგალითად მარილზე, სახელმწიფო მონოპოლიები შეიცვალა კერძო მწარმოებლების დაბეგვრით. მოგვიანებით განვიხილავთ მოულოდნელ ინფლაციასა და მისი მუდმივობის საკითხს.

სენიორაჟი სასაქონლო ფულიდან

ფისკალური მიზნებისათვის რა სახის გარე მონეტარულ რეჟიმს აირჩევდა რაციონალური დიქტატორი? სენიორაჟის წარმოქმნის პოტენციალს იძლევიან კეთილშობილი ლითონები, მათი გაყალბების (ხარისხის გაუარესების) გზით. საბაზო (არაძვირფასი) ლითონის დამატებით, 100 ვერცხლის მონეტა შეიძლება გადაკეთდეს 105 (150 ან 200) ვიზუალურად მსგავს მონეტებად. იმ მონეტების შემდგომი გაყალბება, რომლებიც მთლიანად არაძვირფასი ლითონებისაგან შედგება, შეუძლებელია. კაურის ნიჟარა ან წინაკის მარცვალი, რომელიც არის ბუნებრივად არსებული ერთეული, არ შეიძლება მარტივად გადაკეთდეს ან სახელი გადაერქვას. თუ მოცემულ მომენტში ქალაქის ფულს არ ვანვიხილავთ და გვერდზე ვადავდებით, ფისკალური მოსაზრებები რაციონალურ დიქტატორს კეთილშობილი ლითონების მხარეს გადახრის, სხვა სახის სასაქონლო ფულთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ადრეული ცნობილი მონეტები კერძო პირების მიერ ინარჩუნებოდა, ანტიკური მმართველები ეძებდნენ შემოსავლების ახალ წყაროებს (და მონე-

⁷ ალკაზარის (Alcazar) [1994] ზოგადი ემპირიული ნაშრომი - რეალური სენიორაჟის დონე შეესაბამება თუ არა ოპტიმალური გადასახადების მოდელს. უმეტეს ქვეყნებში არ შეესაბამება.

ტაზე მმართველის სახელის ან სახის გამოსახვის შედეგად პროპაგანდას აწარმოებდნენ), რომლებმაც საკუთარ თავს მალე მიანიჭეს ფულის ჭრაში კანონიერი მონოპოლია (ბურნსი, 1965). მონოპოლიური ფულის ჭრა წარმოქმნის სენიორაჟს იმ მეტალეებისაგან, რომლიდანაც იჭრება და ექვემდებარება შემდეგ ტროლობას:

$M = PQ + C + S$, სადაც, M არის მონეტების განსაზღვრული რაოდენობისთვის დანესებული ნომინალური ღირებულება (მაგ. 100 მილიონი), P არის ნომინალური ფასი, რომელსაც იხდის ზარაფხანა (ფულის მჭრელი) კეთილშობილი ლითონების უნციაში, Q არის კეთილშობილი ლითონების უნციების რაოდენობა, რომელიც საჭიროა მონეტების განსაზღვრული რაოდენობის წარმოებისათვის, C არის ფულის წარმოების მოსალოდნელი საშუალო ხარჯი და S არის ნომინალური სენიორაჟი. მოჭრილი ყოველი შილინგის ღირებულებიდან, PQ -ს უხდიან ინდივიდებს ვინც შემოიტანა ძვირფასი ლითონი, C ფარავს წარმოების სხვა დანახარჯებს და S -ს მოაქვს მოგება გამომშვებისათვის. მთლიანი ნლიური სენიორაჟი დამოკიდებულია იმაზე, თუ მონეტების რა რაოდენობა იწარმოება ნლიურად.

ნომინალური დიდი სენიორაჟი მიიღება გაყალბებისას, როდესაც Q მცირდება მოცემულ M -ის მიმართ. როდესაც შუასაუკუნეების მთავრობები მონეტებში ვერცხლის შემადგენლობას ამცირებდნენ, მონეტის შემადგენლობაში უბრალო ლითონებს ამატებდნენ, რითაც მონეტის სინმინდესს ამცირებდნენ მაგრამ არა ზომას. ამგვარი მონეტების მოჭრის ხარჯები ნაკლები იყო, რადგან ამ მონეტების მოსაჭრელად იგივე ყალიბი გამოიყენებოდა, რაც წინათ, და ახალი მონეტების ჩართვა ბრუნვაში უფრო ადვილი იყო, რადგან ისინი ჰგავდნენ ძველს. კეთილშობილი ლითონის შემადგენლობის შემცირებას შეეძლო რაღაც პერიოდის განმავლობაში შეუმჩნეველად ჩაეარა და მოკლევადიან პერიოდში რეალური შემოსავლები გაეზარდა. შიგადაშიგ, ყოველი ახალი შილინგი შესაძლოა უბრალოდ უფრო მაღალი ნომინალური ღირებულების მქონედ გამოცხადებულიყო, ანუ M გაზრდილიყო მოცემული Q -სთან მმართველში⁶. ყოველ მოჭრაზე უფრო დიდი სენიორაჟი შეიძლება იქნეს მიღებულ გაყალბების გარეშე P -ს შემცირებით, ანუ შეიძლება ყოველ შილინგში ეჭრებოდა ნაკლები ღირებულების მქონე მონეტები, მაგრამ ვერცხლის მომწოდებელს ყოველ ჯერზე შედარებით ნაკლები აუნაზღაურდეს.

სენიორაჟი, ისევე როგორც ზემოთაღნიშნული ან რენტა მონეტების წარმოებაში, ვერ იარსებებს ამ წარმოებაში ჩართვის სამართლებრივი შეზღუდვების გარეშე. სახელმწიფოს მიერ მონეტების წარმოების ძალადობრივი მონოპოლიის ფისკალური მოტივები გარკვეული ანგარიში განაპირობებს. მონეტების კონკურენტულ წარმოების შემთხვევაში, როდესაც უცვლელია მოგების სიდიდე, კონკურენცია აიძულებს ფასს გაუტოლდეს ზღვრულ და საშუალო დანახარჯს ანუ $M = PQ + C$. ფულის ყოველი მწარმოებელი, მონარქის ჩათვლით, მიიღებს ნულთან სენიორაჟს თუ კონკურირებდა მწარმოებლებს შეეძლებათ გვერდისგვერდ იმუშაონ, ხოლო კეთილშობილი ლითონის მფლობელებს ექნებოდათ ფულის მჭრელის თავისუფალი არჩევანის უფლება და არ შეიზღუდებოდა არასახელმწიფო მონეტების მიმოქცევა, ყოველი მონეტა შეფასდება ძვირფასი ლითონის შემადგენლობით. რამოდენიმე ისტორიული შემთხვევა არსებობს, როდესაც კერძო კონკურირებადი ზარაფხანების არსებობა დაშვებული იყო (მაგ. ოქროს ციბე-ცხელების დროს კალიფორნიაში) და არ გამორღეინილა არცერთი ნაკლოვანება, მაგალითად, თაღლითობა, ან არასაკმარისი სტანდარტიზაცია, რომელიც ბაზრის ჩავარდნად შეიძლება ჩაითვალოს და ზოგჯერ, გამოიყენება მონეტების წარმოებაში სახელმწიფოს ჩარევის გასამართლებლად⁷.

⁶ აღნიშნავთ, რომ შუასაუკუნეების მონეტებზე, როგორც წესი, არ გამოისახებოდა ციფრები, არამედ მხოლოდ გრაფიკული იდენტიფიკაციის ემბლემები.

⁷ 1850-იან წლებში კალიფორნიის ოქროთი გამოჭედილი კერძო მონეტების ბევრი ბრენდი დომინირებდა დადგენილ ოქროს დოლარის ერთეულზე. ნაშრომებმა „დანამდვილებით აღმოაჩინეს“ რომ მონეტების ოქროს შემადგენლობა ძალიან ახლოს იყო დადგენილ ოქროს სტანდარტთან და მონეტების უმეტესობა აშკარად შეცდომით აღემატებოდა სტანდარტს (კაგინი (Kagzin) [1981, 239-42]).

სახელმწიფოს მიერ მონეტების წარმოების ეფექტიანობის თეორია წინასწარმეტყველებს, რომ ფულადი სისტემები სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში განსხვავებული იქნებიან, თუნდაც მონეტების წარმოების ეკონომიკური მასშტაბის განსხვავების გამო. ფისკალური პიპოთეზა, პირიქით, წინასწარმეტყველებს, რომ მონეტარულ სისტემებს ექნებათ ექსკლუზიური ტერიტორიები, რომლებიც გაფართოვდებიან და შეერყმებიან სუვერენულ სფეროებთან. შუა საუკუნეების მონეტების წარმოების ისტორია ეთანხმება ფისკალურ პიპოთეზას. შუა საუკუნეების ევროპელი მონარქები მოითხოვდნენ, რომ მონეტების წყედვის უფლება ექსკლუზიურად მხოლოდ მონარქებს ქონოდათ (ასე მაგალითად, ბისონი (1979) "ფულის მოჭრის ერთპიროვნულ უფლება"-ზე საუბრობდა), იმ შემთხვევაშიც კი, როცა წარმოების მასშტაბის დანაკარგები მათ უბიძგებს, რომ მონეტების მოჭრა ადგილობრივ ზარაფხანებს მიანდონ. ადრეულ შუა საუკუნეებში მეფეებსა და დიდებულებს ძალიან უჭირდათ მონეტების დამოუკიდებელი მწარმოებლებისთვის საქმიანობის ამკრძალავი კანონების აღსრულება. ასეთი «მონეტარული უფლების ფრაგმენტირება» გამოწვეული იყო არა მონეტების წარმოების მასშტაბის ცვლილებით, არამედ «შეესაბამებოდა ტერიტორიული ძალაუფლების ფრაგმენტირებას» (ბისონი, 1979, 3). როდესაც მეფეები ძალაუფლებას რომელიმე სათავადოზე ავრცელებდნენ, მათი ერთ-ერთი პირველი მიზანი «მონეტების წარმოებაზე კონტროლის დამყარება იყო» (გლასნერი; 1997, 27).

ბევრი მმართველი აგრეთვე ანკვებდა სამართლებრივ შეზღუდვებს, რომლებიც გამიზნული იყო შედარებით ნაკლები ხარისხის მონეტების ნომინალური ღირებულებით გამოშვებით მიღებული მოგების უზრუნველსაყოფაზე. ბოიერ-ქსამბო და სხვები [1994, 49-59] აღნიშნავენ: «XVI საუკუნემდე, უმეტეს ქვეყანაში, დიდებულები კრძალავდნენ მონეტების აწოდებას და აიძულებდნენ მოსახლეობას მათ აღიარებას დამლისა და წარწერის შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც მონეტა მოცვეთილი იყო». მაშინაც კი, როდესაც მოგვიანებით დაშვებულ იქნა მონეტების აწოდება (ნაკლები მონეტების ზარაფხანაში დაბრუნების ნახალისებისთვის), მიმოქცევაში არსებული მონეტების ღირებულების შეფასება წონის და არა რაოდენობის მიხედვით, "განგებ იქნა აკრძალული". გადახდების განხორციელება ამათუ იმ დიდებულის მონეტისგან განსხვავებული მონეტებში, აგრეთვე კონტრაქტები, რომლებშიც მითითებული იყო ლითონის ზოდის წონის მიხედვით გადახდა, კანონმდებელმა ცხადდებოდა. მონეტების კარგებად და ცუდებად დახარისხება დანაშაულად ითვლებოდა, რომელსაც «სისტემატურად სიკვდილით დასჯა მოყვებოდა». მსგავსი შეზღუდვების არსებობისას ეფექტიანობის გაზრდის ლოგიკური ახსნა ძნელი წარმოსადგენია.

ფისკალურ პიპოთეზას შეესაბამება ორი მიზეზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, თუ რატომ ანიჭებდნენ უპირატესობას წარსულში მონარქები ზარაფხანის მონოპოლიზებას, კერძო ზარაფხანების დაბეგვრასთან შედარებით. პირველი, როგორც ვერტიკალური ინტეგრაციის თანამედროვე თეორია გვთავაზობს, (სახელმწიფოს მიერ) ვერტიკალურად ინტეგრირებული ფულის წარმოების დროს მონიტორინგსა და აღსრულებისთანა დაკავშირებული პრობლემები შედარებით ნაკლებია. მეორე, სენიორაჟის დონის შეიძლება განხორციელდეს უფრო დაბალი დანახარჯებით ვიდრე ზარაფხანის დაბეგვრის გაზრდით, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ფულის წარმოებაზე გაზრდილი გადასახადები იქნება უფრო გამჭვირვალე, უფრო კონცენტრირებული, უფრო პიროვნული და შესაბამისად, უფრო მეტ პოლიტიკურ წინააღმდეგობას გამოიწვევს, ვიდრე თავად მონეტის გაყალბება. ორივე მოსაზრება განსაკუთრებით აქტუალურია კრიტიკული ფისკალური სიტუაციების დროს, როდესაც შემოსავლები დაუყოვნებლივ უნდა გაიზარდოს. საუფორდის (Spufford) ციფრები (1988) გვიჩვენებენ, რომ შუა საუკუნეების ომების დროს, ზარაფხანის მფლობელი მმართველები თავიანთ შემოსავლებს 60-92%-ით სწორდ გაყალბებით ზრდიდნენ.

კრიტიკულ ფისკალურ მდგომარეობასთან გამკლავების მნიშვნელობა ასევე ხსნის, თუ რატომ ურჩევნია დაუცველ რაციონალურ დიქტატორს ზარაფხანის ფლობაზე მონოპო-

ლია, ვიდრე მისი გაყიდვა ან სათანადო მონოპოლიური უფლებების გადაცემა კერძო მწარმოებლებზე. ფრენშიზინგის ალტერნატივა ნინასნარ აფიქსირებს გადასახდებებს იმაზე, რაც სხვა შემთხვევაში ცვალებადი იქნებოდა, მაგრამ გამორიცხავს უეცარ ინფლაციას და შესაბამისად, კაპიტალის მითვისებას. ამდენად, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ცენტრალური მთავრობები, როგორც წესი, ინარჩუნებენ ზარაფხანებზე ოპერატიულ კონტროლს.

ადგილობრივი მონეტა საერთაშორისოს საპირისპიროდ

ხელისუფლება, რომელიც მონეტების მონოპოლიური წარმოებიდან სენიორაჟს ეძებს, შეუძლია იმოქმედოს, როგორც დისკრიმინაციულმა მონოპოლისტმა მაშინ, როცა მოთხოვნის ელასტიურობა მათი გაუფასურების დონესთან მიმართებაში ცვალებადია მონეტების მიხედვით: შემოსავლის მაქსიმიზაციის მაჩვენებელი შედარებით ელასტიური მოთხოვნის მქონე მონეტებისათვის უფრო დაბალია. ევროპაში, ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში, ადგილობრივ ზარაფხანებში გამოშვებული დაბალი ღირებულების ან "წერილი" ვერცხლის მონეტები თითქმის მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე იცვლებოდა. იმავე ზარაფხანაში გამოშვებული უფრო მაღალი ღირებულების მქონე მონეტები ძირითადად საერთაშორისო ბაზრებზე გამოიყენებოდა (სიპოლა, 1956), სადაც იგი კონკურენციას უწევდა უცხოურ მონეტებს¹⁰. რადგან მაღალი ღირებულების მონეტებზე მოთხოვნა გაცილებით ელასტიური იყო, რაციონალური დიქტატორი ძვირადღირებული მონეტების სენიორაჟს უფრო ნაკლებ მნიშვნელობას მიანიჭებდა (ანუ ნაკლები სისხრით ვაყალბებდა).

შუასაუკუნეების ევროპული მთავრობები ოქროს მონეტებისგან, შესაბამისად, ნაკლებ სენიორაჟს იღებდნენ, ვიდრე ვერცხლის მონეტებისგან და მსხვილი დენომინაციის ვერცხლის მონეტების გაყალბება უფრო იშვიათი იყო, ვიდრე მცირესი¹¹. ზარაფხანები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ საკუთარი «საერთაშორისო» ფულის (monete grosse) ხარისხი, მაშინაც კი, როდესაც უმონყალოდ აყალბებდნენ ადგილობრივად გამოყენებად წერილ მონეტებს. ესპანეთის მთავრობა, მაგალითად, ბევრი ეცადა შეენარჩუნებინა თავისი ვერცხლის მონეტების ლითონების შემადგენლობა, რომელიც 15-ე საუკუნის ბოლომდე ევროპის (და ახალ აღმოჩენილი ამერიკის კონტინენტის) ყველაზე სტაბილური და მოთხოვნადი ფული გახლდათ, მაშინ როცა აქტიურად აყალბებდა ბრინჯაოს წერილ მონეტებს, რომელზედაც ლოკალური მონოპოლია ქონდა (მოტომურა, 1994). ინგლისის მთავრობა აყალბებდა ზოგიერთ წერილ მონეტა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მსხვილი დენომინაციის მონეტების, განსაკუთრებით სტერლინგს, საერთაშორისო რეპუტაციას (მეიპოუ, 1992).

დეკრეტული ფული სასაქონლო ფულის საპირისპიროდ

სენიორაჟის მიღების შესაძლებლობის გამო, ქალაქის ფულს სასაქონლო ფულთან შედარებით სამი მიზეზის გამო ანიჭებენ უპირატესობას. პირველი, მთავრობა მიმოქცევაში არსებული მონეტების დეკრეტული ფულით ჩანაცვლებისგან ერთჯერად მოგებას ღებუ-

¹⁰ ტრანსპორტირების დანახარჯები და ჯარიმები დაკავშირებული საგადამხდელო კანონებთან (რომლებიც უფრო მარტივად განხორციელდა ადგილობრივი ტრანსპორტისთვის), მცირე დენომინაციის უცხოური მონეტების იმპორტს ადგილობრივი მოხმარებისათვის არაეკონომიურს ხდის. საგადამხდელო საშუალებების კანონები აიძულებენ ადგილობრივი მონეტების აღიარებას ნომინალური ღირებულების მიხედვით, რაც თავიდან ასაცილებლად უფრო რთული იყო მცირე დენომინაციის მონეტებისათვის, რადგან ანონილი მონეტები ნაკლებად გამოსაყენებადი იყვნენ მცირე ტრანსპორტისთვის.

¹¹ ის ფაქტი, რომ პოლიტიკურად გავლენიანი არისტოკრატები იყვნენ მაღალი ღირებულების მონეტების კანონიერ/პირინციპული მომხმარებლები (სიპოლა (Cipolla) [1956, 26]), რომლებიც აწვდიდნენ მმართველებს განსაკუთრებული საზოგადოებრივი არჩევანის მიზეზს, ამ მონეტების გაყალბებისგან თავის შეკავებისათვის იმ მასშტაბით როგორც მცირე მონეტებისა.

ლობს¹². მეორე, დეკრეტული ფულის გამოშვება სენიორაჟის უწყვეტ ნაკადად მიღების უფრო იაფი გზაა. მესამე, დეკრეტულ ფულზე მოთხოვნა უფრო ნაკლებად ელასტიურია, რადგან მომხმარებელი ნებისმიერი უცხოური ვალუტის ადგილობრივ გარემოში გამოყენების მცდელობისას აწყდება დიდ დანახარჯებს. განვიხილოთ ბოლო ორი მიზეზი.

სენიორაჟის ყველაზე მომგებიანი გზა ისეთი ფულის წარმოებაა, რომელიც შეიძლება ინარმოოს (ნომინალურ ერთეულებში) რესურსების ნულოვანი ღირებულებით და რომელიც ნომინალური რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ნებისმიერ სასურველ სიდიდემდე. პრინციპში, ფულის ნომინალური ერთეულები ვერცხლის სტანდარტის პირობებშიც შეიძლება ინარმოოს, ვერცხლის რენვის ხარჯების ზრდის გარეშე და ფულის ნომინალური ზრდა შეიძლება გაკონტროლდეს მუდმივი გაყალბებით, ანუ მონეტაში სუფთა ვერცხლის შემცველობის თანდათანობითი შემცირებით. მაგრამ ზარაფხანამ, რომელსაც სურს გაყალბებით დიდი წლიური მოგების მიღება, უკვე არსებული ფულის მარაგის დიდი ნაწილი თავიდან უნდა მოჭრას. ამდენად, პრაქტიკულად, მონეტების მოჭრით მათი ნომინალური მარაგის გაზრდა 5%-ით გაცილებით ძვირადღირებული ღონისძიებაა, ვიდრე დეკრეტული ფულის ნომინალური რაოდენობის გაზრდა 5%-ით, რასაც მხოლოდ საბუღალტრო წიგნში ჩანანერი და უფრო მაღალი ნომინალის ქალაქის ნიშნების დაბეჭდვა სჭირდება.

გაყალბების პროცესი ასევე იწვევს საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვან წინააღმდეგობას. გადასახადების აკრებაზე არანაკლები ძალისხმევა სჭირდება, რომ ბაზრის მონაწილეებმა ახალი (გაყალბებული) მონეტების წონით და არა ნომინალური ღირებულებით შეაფასონ და გაცვალონ. შესაბამისად, ამ გზით მოხდეს მათი ნახალისება, რომ ორივე, ძველ, ადგილობრივ მონეტას და უცხოურ მონეტას მოექცნენ ისე, როგორც ფულის მოჭრისთვის საჭირო უბრალო ნედლეულს. ფულის ხელახალი მოჭრით შემოპარებული გადასახადი აშკარავდება მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება ახალი მონეტის შემადგენლობაში ძვირფასი ლითონის შემცველობის შემცირების შესახებ. სენიორაჟის ნაკადი შეიძლება უფრო მარტივად და უფრო შეუმჩნეველად შეიძლება იქნას მიღებული დეკრეტული ფულის მეშვეობით, რომელთა ნომინალური რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს უბრალოდ ცირკულაციაში არსებული ერთეულების მსგავსი, ახალი ერთეულების ჩაშვებით, ძველი ვალუტის ამოღების ან დევალვაციის გარეშე. არავინ შეენიანაღმდეგება ახლადგამოშვებული ერთეულის ძველი ერთეულის ტოლ ღირებულებად აღიარებას - რადგან ისინი იდენტურები არიან სასაქონლო შემადგენლობით და ახასიათებთ ურთიერთჩანაცვლებადობა - ასე, რომ აღარაა საჭირო პირდაპირი იძულება.

გარდა ამისა, დეკრეტული ფული საზოგადოებას ალტერნატიულ საბაზო ფულზე გადასვლის უფრო ნაკლებ შესაძლებლობას სთავაზობს. ვერცხლის სტანდარტის პირობებში, ალტერნატიული მონეტები ყოველთვის შეიძლება დაექვემდებაროს შეფასებას (თუნდაც არაკანონიერად) წონის მიხედვით. უცხოური ფულის ადგილობრივით შეცვლა შედარებით მარტივი საკითხია, ამისთვის ისინი ვერცხლის შემცველობის მიხედვით ეტალონური წონის, ე. წ. „წარმოსახვითი ფულის“ ერთეულში უნდა დაითვალოს. თუ ადგილობრივი ფული საგრძობლად გაუფასურდება, მოვაჭრეები, რომლებიც ფასებს აწესებენ წონით ერთეულებში, ბუნებრივად არჩევენ უფრო სტაბილურ უცხოურ მონეტებს, რომლებსაც, როგორც გაცივლის საშუალებებს, ნაკლები სიხშირით ესაჭიროებათ ანონვა და შემოწმება. ამის საპირისპიროდ, მოვაჭრეები რომლებიც გაცივლის საშუალებად ადგილობრივიდან ალტერნატიულ

¹² მთავრობა იღებს კაპიტალისგან შემოსავლებს მაშინაც კი როდესაც იგი არ ყიდის თავის მონეტარულ ოქროს მარაგებს. (ცენტრალური ბანკის ბალანსი ტიპიურად ნიღბავს მის შემოსავლებს დეკრეტული ფულის ცენტრალური ბანკის „ვალდებულებებს“, სახით აღრიცხვით; ვითომ და ცენტრალური ბანკის ფულადი ნიშნები ყოფილიყო კვლავაც უზრუნველყოფილი.) ამ დრომდე ცენტრალური ბანკების წარუმატებლობა ოქროს მარაგების ლიკვიდაციაში ბრეტონ ვუდსის სისტემის მეშვეობით ათწლეულების შემდეგაც კი ართულებს მარტივი ფისკალური პერსპექტივიდან.

ქალაქის საგადაამხდელი საშუალებას აირჩევენ, აღმოაჩენენ, რომ არ არსებობს მარტივი საერთო საზომი. ანგარიშის საერთო ერთეულის გამოყენებასთან დაკავშირებული ჯაჭვური ეფექტი იცავს დადგენილ საგადაამხდელი საშუალებას მაღალი ტრანსაქციული დანახარჯების დანახებით მათზე, ვინც პირველი ეცდება, რომ უარი თქვას მასზე (სელჯინი, 1997). ალტერნატიული საგადაამხდელი საშუალების გაცვლებში გამოყენება გულისხმობს მისი გაცვლითი ღირებულების ცოდნას. მაგრამ, სანამ ეს ცოდნა ხელმისაწვდომი გახდება, ან უკიდურეს შემთხვევაში, სანამ ადგილობრივი ერთეული ბოლომდე არასაიმედო გახდება, როგორც ანგარიშის ერთეული (როგორც მაღალი ინფლაციისას), ინდივიდებს მცირე სტიმულები გააჩნიათ მისდონ გაცვლით კურსს არსებულ და ალტერნატიულ საგადაამხდელი საშუალებებს შორის. ამგვარად, ადგილობრივი გაცვლების „დოლარიზაციამდე“, ინფლაცია ხშირად იღებდა საკმაოდ მძიმე სახეს.

რადგან დეკრეტული ფულის დროს ვალუტის ჩანაცვლება და მასზე მოთხოვნის ელასტიურობა ადგილობრივ საბაზო ფულზე მცირდება, ფისკალური ჰიპოთეზის პროგნოზით, ინფლაციის დონე იზრდება დეკრეტული სტანდარტის დროს, ვიდრე ლითონის სტანდარტისას (რომელიც უშვებს ინფლაციურ ფინანსებს გაყალბების გზით). ეს პროგნოზი სასაქონლო ფულისა და დეკრეტული ფულის შედარებით წარმოიშვა და ისტორიულად 1600 წლიდან იწყება (როლენსი და ებერი, 1994).

დეკრეტული ფულის მონოპოლიური წარმოება

რატომ ხდება, რომ შემოსავლის მაძიებელი სახელმწიფო მონოპოლიურად აწარმოებს დეკრეტულ ფულს; იმის მაგივრად, რომ კერძო მწარმოებლები დაბეგროს? არსებობს საფუძველი ჩავთვალოთ, რომ აქაც იგივე მიზეზებთან გვაქვს საქმე, როგორც სენიორაჟის მაძიებელი მთავრობის შემთხვევაში, რომელიც უპირატესობას ფულის მონოპოლიურ წარმოებას ანიჭებს, ვიდრე კერძო ზარაფხანების დაბეგრას. დეკრეტული ფულის შემთხვევაში უფრო ფუნდამენტური მიზეზი არსებობს: დეკრეტული ფულის წარმოებაში ღია კონკურენციას დღესდღეობით მცირე ჰიპოთეტური შესაძლებლობა გააჩნია და პრაქტიკაში შეიძლება არამყარი აღმოჩნდეს. თუ დეკრეტული ფულის „კონკურენტული მიწოდება“ გულისხმობს დეკრეტული დოლარის ბანკნოტების წარმოების სფეროში თავისუფალ შესვლას - რაც კანონიერად გაყალბების ექვივალენტია - ყოველი გამყალბებელი აწარმოებს ბანკნოტებს მანამდე, სანამ ყველაზე მაღალი ნომინაციის ღირებულება არ გაუტოლდება მის შემცველობაში არსებული ქალაქის და მელნის ღირებულებას. დენომინაციების ზედა ზღვარის არარსებობის შემთხვევაში, დოლარის წარმოებიდან მიღებული მოგება იარსებებს მანამ, სანამ დოლარი არ გაუფასურდება (ფრიდმენი, 1960). გარდა ამისა, სასაქონლო ნიშნის დაცვით სრულყოფილად კონკურენტულად ფორმებს შეუძლიათ გამოიყვანონ ნიშნის დაცვით სრულყოფილად კონკურენტულად ატარებს ამოცნობადი ბრენდის სახელს, მაგრამ ერთმანეთის სრულყოფილ შემცველებებს წარმოადგენენ (კლანი, 1974; ტაუბი 1985). შედეგი კელავაც იქნება წონასწორობა ეკონომიკური მოგების გარეშე, ან (იმ შემთხვევაში, როცა თაღლითობის ალკვეთის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობს) პოლიტიკური ღირებულების მქონე ფული, რომელსაც მოაქვს უკუგების კონკურენტული ნორმა ან (იმ შემთხვევაში, როცა არსებობს დროებითი არამდგრადობის პრობლემა ან „თაღლითობის ალკვეთა არ ხერხდება“) იმავე გაუფასურებული ფულის შედეგით, როგორც ლეგალიზებული გაყალბების შემთხვევაში (სელჯინი და უაითი, 1994).

დეკრეტული ფულის წარმოებიდან მონოპოლისტური შემოსავლები, არსებითად, შეიძლება მოპოვებული იქნას დეკრეტული ფულის მწარმოებელი ინსტიტუტების ჯგუფის მიერ, რომელთა ფულის საერთო გაბრუნება განისაზღვრება მონოპოლისტის შემოსავლების მაქსიმიზაციის დონეზე. აღნიშნული მექანიზმის პრინციპული უარყოფითი მხარე არის ის, რომ იგი საჭიროებს ძვირადღირებულ მონიტორინგს კარტილების ინდივიდუალური ნევრე-

ბის მიერ შესაძლო თაღლითობის თავიდან ასაცილებლად (დადგენილზე მეტის გამოშვება). 19-ე საუკუნის ბოლოს იტალია გვთავაზობს შემთხვევას, სადაც კარტელური მიდგომა არასტაბილური აღმოჩნდა. რისორჯიმენტოს შემდეგ, იტალიის ახალმანაცონალურმა მთავრობამ, ადრეული წარუმატებელი მცდელობებისას ვერ შეძლო შეექმნა ერთიანი საემისიო ბანკი, მიანიჭა რა მას (შემდგომში გაუნაღებადი) ერთადერთი საგადამხდელო საშუალების სტატუსი ექვსი დაფუძნებული ბანკის ფულად ნიშნებს, მათ მიერ სახელმწიფოს ვალის დაფარვისთვის სანაცვლოდ. სისტემა დაინერგა კარტელის წევრის, რომის ბანკის გამო, რომელიც გამოაშქარებულ იქნა თაღლითობაში, კერძოდ, ფარულად გაზარდა ბანკნოტების რაოდენობა, დუბლირებული სერიული ნომრის მქონე ბანკნოტების გამოშვების გზით (სანუჩი, 1989).

შეზღუდვები შემცვლელებზე

ეროვნული დეკრეტული ფულის მწარმოებლების შესაძლებლობები, რომ მიიღონ სენიორაჟი, ნაციონალური ზარაფხანების მსგავსად, ლიმიტირებულია ადგილობრივი საბაზო ფულის შემცვლელების ხელმისაწვდომობით. პოტენციური შემცვლელები მოიცავენ უცხოურ ვალუტას. როგორც ზემოთ აღინიშნა, შუასაუკუნეების ევროპის ადგილობრივი და საერთაშორისო მონეტების საპირისპიროდ, საერთაშორისო ვალუტაში ჩანაცვლების შესაძლებლობები ზრდის ადგილობრივ ფულზე მოთხოვნის ელასტიურობას. ისინი შესაბამისად ამცირებენ მაქსიმალურად მუდმივ რეალურ სენიორაჟს. რაციონალური დიქტატორი გარკვეულ ზომებს ღებულობს ვალუტის ჩანაცვლების შეზღუდვისთვის, ამისათვის კი შეუძლია გამოიყენოს ზედამხედველობა საგარეო ფულად გაცვლებზე და კანონი ერთადერთ საგადამხდელო საშუალების შესახებ (ნიკოლსი, 1974). ქვეყნები, რომლებიც დაშინებულნი არიან საგადამხდელო საშუალების ჩანაცვლების შედეგად სენიორაჟის დაკარგვით, რადან ისინი სხვა მიზეზების გამო იძულებულნი არიან გააუქმონ ბარიერები კაპიტალის თავისუფლად მოძრაობისთვის, შეუძლიათ სცადონ კარტელის ფორმირება - მულტინაციონალური ცენტრალური ბანკის სახით - და გაიყონ მისი სენიორაჟი. ევროპული ცენტრალური ბანკის შექმნისკენ მოძრაობას შეიძლება ფისკალური ინტერპრეტაცია მიეცეს.

ადგილობრივი საბაზო ფულის მსგავსი შემცვლელების მეორე კომპლექტი შედგება კერძო ფინანსური აქტივებისგან, მათ შორის გაცვლის ფუნქციის მქონე კერძო ბანკნოტებისა და ანაბრებისგან. აქაც რაციონალური დიქტატორი ღებულობს შემცვლელების შეზღუდვის ზომებს, ან საერთოდ აკრძალავს ყველა მათგანს (როგორც ხშირად ხდება ხოლმე კერძო ბანკნოტებთან მიმართებით); ან აკრძალავს მათზე სარგებლის მიღებას (როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე საბანკო ანაბრებთან მიმართებით); ან კიდევ სხვა გზებით აკრძალავს მათ ხელმისაწვდომობას ან მიმზიდველობას.

გარდა ამისა, საბანკო ვალდებულებები შეიძლება უბრალოდ დაიბეგროს - მაგალითად, სარეზერვო მოთხოვნებით. სასაქონლო ან დეკრეტული საბაზო ფულის კონკურენტული კერძო მწარმოებლებისგან განსხვავებით, კერძო საბანკო მომსახურება არ ართმევს მთავრობას ინფლაციის დონით მანიპულირების შესაძლებლობას. როდესაც ბანკნოტები დაფუძნებული არიან უზრუნველყოფილი დეკრეტული ფულით, მათი გავრცელების დონე დამოკიდებულია მხოლოდ დეკრეტული ფულის გავრცელების დონეზე. დეკრეტული საბაზო ფულის უზრუნველყოფილი შემცვლელების გამოშვებაზე კერძო ფირმებისთვის უფლების მინიჭებისას, რაციონალური დიქტატორი არ ართმევს თავის თავს მოკლევადიანი სენიორაჟის მიღების შესაძლებლობას უეცარი ინფლაციის გზით.

დაიერსის და სეივინგის (1986) მიხედვით, თუ საბანკო ანაბრები და საგადამხდელო საშუალება სრულყოფილი შემცვლელია და თუ მთავრობა, ისევე ეფექტიანია ფულის წარ-

მოებაში, როგორც კერძო ფირმები, მაშინ მთავრობამ შეიძლება მიიღოს იგივე სტაბილური შემოსავლები რეზერვების პოზიტიური კოეფიციენტის ან გადასახადის ისეთი ნაირსახეობის დაწესებით, როგორცაა „სალიცენზიო მოსაკრებელი“ კერძო საბანკო ინდუსტრიაზე, რომელიც მთლიანობაში შეზღუდავს საბანკო სექტორს. ისტორიულად, მთავრობები ჩვეულებრივ ახდენდნენ კერძო ბანკნოტების წარმოების შეზღუდავას, ამასთან ერთად დაშვებული იყო კერძო საბანკო ანაბრებისა და დეკრეტული ფულის თანაარსებობა. აღნიშნულის პირდაპირი ახსნა, რაც თავსებადია რაციონალური დიქტატორის მოდელთან, არის ის რომ მოსახლეობა ისე ექცევა ალიარებულ ბანკნოტებს, როგორც საბაზისო ფულის მსგავს შემცველებებს. ისტორიულად, კერძო ბანკნოტების შედარებით შეუზღუდავი გამოშვებისას, მაგ., შოტლანდიასა და კანადაში, კომერციულმა ბანკნოტებმა შეცვალეს მონეტები (კანადაში სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ე.წ. „დომინიონი“ ფულადი ნიშანი) თითქმის ყველგან, სადაც მათი დენომინაცია ემთხვეოდა. ამიტომ მთავრობა ზრდის მის გადასახადზე დაფუძნებულ სენიორაჟს კერძო ფულადი ნიშნების აკრძალვის გზით¹².

საბანკო ანაბრები, კი პირიქით, არ არიან საბაზისო ფულის ამავე დონის შემცველები და კონკურირებად კერძო ბანკებს შეუძლიათ ჩვეულებრივ აწარმოონ ანაბრები და სხვა საბანკო სერვისები უფრო ეფექტურად ვიდრე ეს სახელმწიფოს შეუძლია¹⁴. კერძო ბანკებისათვის დაწესებულ გადასახადებს სავარაუდოდ მეტი შემოსავლის მოტანა შეუძლია ვიდრე კერძო საბანკო მომსახურების აკრძალვას, რომელიც მხოლოდ ოდნავ გაზრდიდა სენიორაჟს. შედეგად, როგორც გლასნერი (1989, 33) აღნიშნავდა, ფისკალური მიზნების გამო „მთავრობების უმეტესობას ურჩევნიათ მისცენ ბანკებს ოპერირების უფლება და გამოიყენონ ისინი კრედიტის წყაროდ, ვიდრე აკრძალონ ისინი ან თავად მართონ ისინი“.

ამგვარად, ფისკალურ მოსაზრებებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სახემწიფოს მიერ კონკურენტულ საფუძველზე ანაბრების მიღების დაშვებას (რომლებიც ექვემდებარება სარეზერვო მოთხოვნებით ან სხვა ისეთი საშუალებებით რეგულირებას, რომელთა მიზანია პირდაპირ თუ ირიბად დაბეგრონ საბანკო ანაბრები) მაშინ, როცა კრძალავს განაღდებად კერძო ბანკნოტებს.

III. ფულის განაღდების უარყოფა და დროებითი შეუთავსებლობის პრობლემა

მთავრობებს, როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ შეუძლიათ მოიძიონ შემოსავლები მყისიერი ინფლაციის მეშვეობით, რომელიც ფულზე „კაპიტალის გადასახადის“ მსგავსად მოქმედებს. კაპიტალის დაბეგრის ეფექტს ფულის წარმოების მოკლევადიანი გააქტიურება იწვევს. ფულადი ნაშთების მფლობელები განიცდიან რეალური ღირებულების დანაკარგს, რადგან ფასების დონე მოსალოდნელზე მეტად იმატებს. მყისიერი ინფლაცია შესაძლებელს ხდის მოკლე დროში უფრო მეტი რეალური შემოსავალი გამოიმუშავებას, მაგრამ უფრო მცირე სტაბილური სენიორაჟის ხარჯზე, თუკი საზოგადოებ კოთხელა ცვლილებებს მალაღი ინფლაციის პერიოდის დადგომის რისკს და ამიტომ, არაპიკური ინფლაციის დროსაც შედარებით

¹² ფედერალური სარეზერვო სისტემის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გამოიკვლიეს ელექტრონული გადახდები, მათი როლი კერძო საგადასახადო საშუალების თავიდან შემოღებაში. განცხადებაში, რომელიც ეხება სენიორაჟს, აღან გრინსპანი (Alan Greenspan [1997, 49-50]) წუხდა ახალი ელექტრონული საგადასახადო საშუალების ჩანაცვლების გამო, რომელიც შეიძლება გამხდარიყო „სენიორაჟის მარტივი გადახრა სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორისაკენ“. უაითი და ბოდრო (White and Bodreaux) [1998] ამტკიცებდნენ, რომ (არა საფასო) კონკურენცია სენიორაჟის „გადახრისათვის“ არის ეფექტიანი, მანამ სანამ საგადასახადო საშუალების ნაციონალიზაცია სენიორაჟისათვის მოიცავს არაეფექტურად დაბალ ხარისხს.

¹⁴ აშშ-ში შტატებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი სახელმწიფოს მიერ მართვად კომერციულ ბანკებზე 1860 წლამდე რამდენი ათწლეულით ადრე. ბანკების უმეტესობა იმდენად არა კომპეტენტურად იმართებოდა, რომ გააჩნდათ ფინანსური დანაკარგები მიუხედავად მონოპოლიური პრივილეგიებისა

მცირე რაოდენობით დაიტოვებს რეალურ საბაზისო ფულს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ინფლაციის დონე სტაბილურად მიიჩნევა.

რაციონალური დიქტატორი აღმოაჩენს, რომ კაპიტალის დაბეგვრის მსგავსი მყისიერი ინფლაცია ყველაზე ხელსაყრელია საგანგებო შემთხვევების (განსაკუთრებით ომის) დროს, რადგან მიმდინარე შემოსავლების მიღებას ანიჭებს უპირატესობას მომავალ შემოსავლებთან შედარებით, რაც ძალაუფლებით შენარჩუნების სურვილითაა განირობებული (გლასნერი 1989). კაპიტალის ამგვარი დაბეგვრა მიმზიდველია ისეთი მთავრობისთვის, რომელიც მომავალში მისაღებ შემოსავლებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ან ისეთისთვის, რომელიც ამ გადასახადის გარეშე დიდხანს ველარ იარსებებს. აღნიშნულ მოსაზრებასთან შესაბამისობაშია ცუკერმანის და სხვების (1992) აღმოჩენასთან იმის შესახებ, რომ ინფლაციის დონე და სენიორაჟის შემოსავლებზე დაყრდნობა პოზიტიურ კორელაციაშია პოლიტიკურ არასტაბილურობასა და პოლარიზაციასთან. არასტაბილური და პოლარიზებული პოლიტიკური სისტემის ქვეყნებში, მთავრობები მზად არიან მსხვერპლად გაიღონ ინფლაციის სამერმისო საგადასახადო ბაზა, რათა შეინარჩუნონ ძალაუფლება, რადგან ასეთი სტრატეგია არამართო უნარჩუნებს მთავრობაში ყოფნას, არამედ ეხმარება „განსაზღვროს მომავალი, მათთვის მიუღებელი მთავრობება“ (ცუკერმანი და სხვები, 1992, 538). ზოგადად, რაციონალური დიქტატორს არ შეუძლია გამორიცხოს მომავალში კრიტიკულ ფისკალურ მდგომარეობასთან დაპირისპირების ალბათობა და ამგვარად მიანიჭებს ღირებულებას ისეთ მონეტარულ ნყოფას, რომელიც მას მისცემს საშუალებას გამოიყენოს ინფლაციური კაპიტალის დაბეგვრა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვეულებრივ დროს იგი მცირე სენიორაჟს აგროვებს (გლასნერი, 1997).

მიუხედავად ამისა, მყისიერი ინფლაციით კაპიტალის დაბეგვრის სტრატეგია დროში არამდგრადია: მას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქვს მეტი შემოსავლები (მიმდინარე ღირებულებით) ვიდრე მდორე ინფლაციას, როცა ამოგება მოსალოდნელზე მეტია. მყისიერი ინფლაციით კაპიტალის დაბეგვრის შედეგები, რომელიც წარმოადგენს „ოპტიმალურს“ ყოველი რაციონალური დიქტატორისათვის, რომელიც განხილულ იქნა მისი წინამორბედებისაგან და შთამომავლებისაგან განცალკევებლად, შეიძლება იყოს სუბოპტიმალური ყველა მომდევნო მმართველისთვისაც. თუ საზოგადოებას ეშინია, რომ მთავრობა მიითვისებს მათი ფულადი ქონების დიდ ნაწილს, ისინი შეამცირებენ რეალურ ბალანსებს (და საერთოდ გაანულებენ, თუკი მთლიანი ექსპოპრიაციას ელიიან), რითაც მაქსიმალურ შეამცირებენ ბაზას ყველა მომდევნო მთავრობის მიერ მდორე ინფლაციით დაბეგვრას.

ფულის განაღდების უარყოფის შემთხვევაში დროებითი შეუთავსებლობის პრობლემის გამო, რაციონალურ დიქტატორი ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ფულადი პოლიტიკა ნებისმიერ მმართველობაზე უფრო გრძელვადიანი იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაციონალურ დიქტატორს სურს, რომ მყისიერი ინფლაციის განხორციელება შეეძლოს, მაგრამ ასევე სურს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ სავარაუდოდ ამას არ განახორციელებს.

ძლიერი დიქტატორის შემთხვევაში, რომელსაც გააჩნია მომხრეების კარგად ორგანიზებული გუნდი, რომლებიც განუსაზღვრელი ვადით გაატარებენ მის პოლიტიკას, მაგრამ ამავე დროს არსებობს გარეშე სამხედრო საფრთხის საშიშროება, საზოგადოებას შეუძლია გაიაზროს, რომ იგი უფრო მეტს დაკარგავს, ვიდრე მოიპოვებს ინფლაციური ფულის გამოუყენებლობის შემთხვევაში. მეორეს მხრივ, მოკლევადიანი დიქტატორები (და დემოკრატიული რეჟიმების მმართველები) ჩვეულებრივ უძღვრნი არიან, რომ მსგავსი ღონისძიებების განხორციელონ და ამგვარად, სხვა გამოსავლებს ეძებენ. ამ მხრივ, ერთ-ერთი ისტორიული გადაწყვეტაა ლითონის სტანდარტის პირობითი შენარჩუნება იყო, რომელიც კრიტიკულ ფისკალურ შემთხვევებში, ცენტრალური ბანკების მიერ წარმოებული

ქალაქის ფულის ნიშნების დათქმული პარიტეტით განაღდების შეჩერებას გულისხმობდა¹⁵.

აღნიშნული მექანიზმის ნაკლოვანებებს წარმოადგენს არაკრიზისულ დროს საგრძობი სენიორატის წარმოების უუნარობა და საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისათვის მაღალი დანახარჯები (პოსტკრიზისული დეფლაციის შემთხვევაში), რაც ძველი პარიტეტის შენარჩუნების ვალდებულებას უკავშირდება. სხვა გამოსავალს წარმოადგენს „დამოუკიდებელი“ უფლებამოსილი მონეტარული ორგანოს შექმნა, იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკურად კონკურენტული მხარეები არ არიან ძალიან პოლარიზებული (ამგვარად მზად არიან ითანამშრომლონ სასურველი შედეგის მისაღწევად). „დამოუკიდებელი“ მონეტარული ორგანო მოიაზრება, როგორც ბიზნეს კორპორაცია და წესით უნდა მოქმედებდეს გაცილებით გრძელვადიანი გათვლით, ვიდრე მისი ამჟამინდელი დირექტორის უფლებამოსილების ვადა. დამოუკიდებელი მონეტარული ორგანოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილება უმეტესწილად მაშინ მიიღება, როდესაც კონკურენტ პოლიტიკურ პარტიებს ინფლაციით დასაბეგრი ბაზის აღდგენასთან დაკავშირებული თანამშრომლობის შედეგად დასაკარგი არაფერი აქვთ. ასეთი ვითარება მაგალითად, მყისიერი ინფლაციის შემდეგ, როდესაც კაპიტალის ღირებულების განცდელი დანაკარგი საგრძობლად ზრდის საზოგადოების მიერ სამომავლოდ მაღალი ინფლაციის მოლოდინს. ამიტომ, ისტორიულად ასე ჩამოყალიბდა, რომ შედარებით მძიმე ინფლაციის შემდეგ, დემოკრატიული მთავრობები ცენტრალურ ბანკებს ერთგვარ დამოუკიდებლობას ანიჭებენ. მაგ. რაიხსბანკმა დამოუკიდებლობა მიიღო გერმანიაში ჰიბერინფლაციის დასრულებისას. აშშ-ში ფედერალურ რეზერვს ხაზინისგან უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭა II მსოფლიო ომის შემდგომი ინფლაციის საპასუხოდ. ჩვენი არგუმენტის საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკები, წარმოადგენენ რა პოლიტიკური თანხმობის მექანიზმის, უფრო ხშირად არსებობენ პლურალისტულ დემოკრატიებში, ვიდრე ავტორიტარულ ქვეყნებში, სადაც მმართველობა უყადოა. მთლიანობაში ეს მოსაზრება შეესაბამება 1980-იანი წლების მონაცემებს. ცუკერმანის (1992) მიერ გამოკვლეული 46 ცენტრალური ბანკის ჩამონათვალიდან, 14 ყველაზე დამოუკიდებელი ბანკი ლიბერალური დემოკრატიების ქვეყნებში არსებობდა, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს უნგრეთი. დანარჩენი 32 ნაკლებად დამოუკიდებელი ბანკიდან 16 ფუნქციონირებდა ისეთ ქვეყნებში, რომლებიც 1980-იანი წლების განმავლობაში ითვლებოდნენ ავტორიტარულ ქვეყნებად, ხოლო ექვსი ბანკი არსებობდა ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ავტორიტარული იყვნენ ათწლეულის დასაწყისში¹⁶.

ფისკალური ჰიპოთეზით, ცენტრალური ბანკების აბსოლუტური დამოუკიდებლობა ნაკლებად შესაძლებელია და მისი ვარაუდით, ფისკალური საჭიროებების შემთხვევაში, მათი დამოუკიდებლობა ფაქტიურად უქმდება. მაგალითად, რაიხსბანკმა დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა ჰიტლერის გადაიარაღების პროცესის დროს, ხოლო ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ დამოუკიდებლობა დაკარგა ორივე მსოფლიო ომის დროს (საილა, 1988).

IV. მონეტარული მექანიზმების ევოლუცია

ერთი შეხედვით, დღევანდელ მონეტარულ ინსტიტუტებში შეინიშნება რაციონალური დიქტატორის მოდელით გაკეთებულ პროგნოზთან რამდენიმე აშკარა მსგავსება. პრაქტიკულად ყველგან საბაზისო ფულმა მიიღო ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული დეკრეტული ფუ-

¹⁵ გლასერი (Glasner) [1997, 39] აღნიშნავდა, რომ „დროში არამდგრადობის პრობლემის აღიარებამ შეიძლება დაკვივმაროს“... 1930-იანი წლების წინა მთავრობების ...”მოჩვენებით ირაციონალური ოქროს სტანდარტის რაციონალურ მიმავრება/ფიქსაციაში”.

¹⁶ რეიმიზმის ტიპების შესახებ ინფორმაცია აღებულია „დერბისშირი და დერბისშირი“-სგან (Derbyshire and Derbyshire) [1996]. ცუკერმანის (Cukierman) კვლევა არ შეიცავს უმეტესობა კომუნისტურ ქვეყანას, რომლებსაც გააჩნდათ შედარებით დამოკიდებული ცენტრალური ბანკები.

ლის ან საკრედიტო ანაბრის სახე¹⁷. ცენტრალური ბანკები სარგებლობენ თავიანთი მთავრობების მიერ მინიჭებული ექსკლუზიური მონოპოლიური პრივილეგიებით, შესაბამისად, სენიორაჟის დინ ნაწილს თავიანთ სპონსორ მთავრობებს უბრუნებენ. სავალუტო არეალები ეროვნულ პოლიტიკურ საზღვრებთან არიან შესაბამისობაში, ვიდრე რატიონალური სავალუტო არეალის თეორიით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. ჩვეულებრივ, არ არსებობს ისეთი კანონი, ან წესები, რომლებიც შეუძლიათ მოახდინონ ცენტრალური ბანკის მიერ ფულადი ბაზის გაფართოვების შესაძლებლობის შეზღუდვა. კერძო ფირმებს ეკრძალებათ განაღდებდნენ ბანკოტების გამოშვება. მეორეს მხრივ, ბანკებს აქვთ უფლება მიანდონ საჩეკო ანაბრები, სარეზერვო მოთხოვნებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით.

რატომ მიიღეს მონეტარულმა ინსტიტუტებმა ისეთი ფორმა, რაც ასე კარგად შეესაბამება სახელმწიფოს ფისკალურ შედეგებს? პასუხი, რომლის მიხედვით, სენიორაჟის განუწყვეტელი მაქსიმიზაციის დაინტერესებული მთავრობები, იმთავითვე ფისკალური ამოცანებიდან გამომდინარე ქმნიან მონეტარული მექანიზმების, ადექვატურისგან საკმაოდ შორს იქნებოდა. ჩვენი მტკიცებით, ფისკალური მოტივები პირდაპირ ხსნიან იმას, თუ რატომ ახდენდნენ ზოგიერთი მმართველები მონეტების ჭრის მონოპოლიზებას, რითაც მოგვიანებით ქალაქის ფულის მონოპოლიზებისათვის ქმნიდნენ პრეცედენტს. მაგრამ ფისკალური მოტივები სრულად ვერ ითვალისწინებენ თანამიმდევრულობას და მოჩვენებით შემთხვევითობას, რომელთან ერთადაც შემოსავლების გაზრდისკენ მიმართული რეფორმები მნიშვნელოვან და კულმინაციას დეკრეტული ფულის მონოპოლიური გამოშვებისას აღწევს.

თამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით ინდუსტრიული დემოკრატიების მთავრობები სენიორაჟის მაქსიმიზაციის მუდმივად არ ცდილობენ (ასეთ შემთხვევაში ინფლაციის დონე გაცილებით მაღალი იქნება). თუმცა, მონეტარულ ინსტიტუტებს უნარი შესწევთ საზოგადოებისგან მაქსიმუმი სენიორაჟი ამოიღონ. სინამდვილეში, სენიორაჟის ამოღების ერთ-ერთი საკმაოდ ეფექტური მეთოდი - დეკრეტული ფულის მონოპოლიური გამოშვება - მხოლოდ მეოცე საუკუნის განმავლობაში გახდა მონეტარული სისტემების პერმანენტული მეთოდი.

სენიორაჟის ზრდისთვის მონეტარული ინსტიტუტების თანმიმდევრული და არაჯანსაღი განვითარების ჩვეულებრივ ახსნა შედგება საში ნაწილისგან. პირველი მდგომარეობა იმაში, რომ სახელმწიფო მონეტარული ინსტიტუტები უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ კერძო ბაზრის განვითარებაში ნაბიჯ-ნაბიჯ და შეპარულად განხორციელებული ცვლილებების შედეგებს, საბანკო სექტორის გაზრდის, ქალაქის ფულის ჩანაცვლებისა და ოქროსა და ვერცხლის მიმდინარე ანგარიშების ჩათვლით. უფრო გულახდილად რომ ვთქვათ, წინაინდუსტრიული ეპოქის „ლევიათანის მსგავს“ მთავრობებს უბრალოდ არ შეეძლოთ მსგავსი ტექნოლოგიური განვითარებისაგან სარგებლის მიღება და ამგვარად კმაყოფილდებოდნენ შედარებით მცირე სენიორაჟის შემოსავლებით, რომელიც მიიღებოდა ზარაფხანებზე მონოპოლიის ფლობის შედეგად.

საბოლოოდ, როგორც ზემოთ იყო ახსნილი, უცხოური საგადასხდელი საშუალებებით ჩანაცვლების გაზრდილობა შესაძლებლობამ მონეტის მოჭრის მონოპოლიის გამოყენება შემოსავლებისათვის არამომგებიანი გახადა, რამაც მთავრობებს შემოსავლის წყაროების, განსაკუთრებით საგანგებო შემთხვევებისათვის შემოსავლების სხვა გზების ძიებისკენ უბიძგა. შემოსავლების ერთ-ერთ ასეთ წყაროს წარმოადგენდა საბანკო ინდუსტრია, რომელიც თავიდან გააზრებული იყო არა როგორც სენიორაჟის მიღების საშუალება, არამედ როგორც სასურველ დროს სესხის აღების წყარო. ჩვეულებრივ, მსგავსი სესხები გაიცემოდა მონოპოლი-

¹⁷ მიუხედავ იმისა, რომ ჰონგ კონგი (ყავადა 2 კერძო ფულადი ნიშნის გამოშვები კონტინენტის მიერ დაპყრობამდე), შოტლანდია (2) და ჩრდ. ირლანდია (4) დღესაც ინარჩუნებენ ფულადი ნიშნების კერძო გამოშვების, ხოლო ყოველ ქვეყანაში საბაზისო ფული დეკრეტულია (დოლარი ან სტერლინგი). ჩვენ მოველით, რომ ჰონგ კონგში კერძო ბანკოტები თანდათან შემცირდება, რადგან იგი მოექცა ჩინეთის მმართველობის ქვეშ. შოტლანდია და ჩრდ. ირლანდიაში სენიორაჟის 100%-ის ამოღება ხდება ზღვრული სარეზერვო მოთხოვნებით (ინგლისის ბანკის არასპაროცენტო ვალდებულებებით) ფულადი ნიშნების წინააღმდეგ.

ური პრივილეგიების მიღების სანაცვლოდ, განსაკუთრებით ფულადი ნიშნების წარმოების სფეროში (სმოთი, 1990). ბანკებისთვის ფულის წარმოების მონოპოლიური უფლებით აღჭურვა (ცენტრალური ბანკები) და როგორც სენიორაჟის მნიშვნელოვანი წყაროს გამოყენება, მოგვიანებით დაიწყო, რაც დაკავშირებულია იმ აღმორჩენასთან, რომ ასეთ ბანკებს (კონკურენტული ბანკებისგან განსხვავებით) შეუძლიათ შედეგადად დაუსჯელად შეწყვიტონ გადახდები, რითაც გზას უხსნიან დეკრეტული ფულის წარმოშობას.

ჩვენი ჰიპოთეზით, სენიორაჟის მიღებისთვის დეკრეტული ფულის გამოყენება XX საუკუნემდე¹⁸ შესაძლებელი არ იყო, რადგან (განაღდებადი) ბანკოტები ჯერ არ იყო ფართოდ აღიარებული, მითუმეტეს ფინანსურად ნაკლები განითარებულ ადგილებში. ამიტომ ასეთი ადგილებში ვერ განხორციელდებოდა მცისიერი ინფლაციის შედეგად კაპიტალის დაბეგვრა, სახელმწიფოს მხრიდან ბანკოტების გამოშვების მონოპოლიზებითა და სახელმწიფო ფულადი ნიშნების განარდების მუდმივი შეჩერებით. როგორც არდანტი (1975, 192) აღნიშნავს: „განვითარებული ეკონომიკა იყო წინაპრობა. საბანკო ნიშნები მისაღები უნდა ყოფილიყო ყველა სფეროში, რომ სახელმწიფოს შეეძლებოდა თავისი სამხედროებისათვის, ჩინოვნიკებისათვის, გლეხებისთვის ქალაქის ფულით გადაეხადა. საფრანგეთს XVII საუკუნეში არ გააჩნდა ფულის მინოდების სფეროში წარმატებული სახელმწიფო მანიპულაციების პირობები“. 1797-1821 წწ. აკრძალვის პერიოდის განმავლობაში, მაშინ როდესაც გაერთიანებული სამეფოს სარეზერვო ფონდით კი ინგლისის ბანკის ფულადი ნიშნის სტანდარტს ეყრდნობოდა, ჩრდ. ირლანდია მისდევდა ოქროს მონეტების სტანდარტს, რაც ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ბანკოტები ფართოდ არ მოიხმარებოდა. კალიფორნია ასევე ინარჩუნებდა ოქროს მონეტების სტანდარტს ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდში, ხოლო მწვანე ქალაქის დოლარს მხოლოდ ფასდაკლებით აღიარებდა და ამგვარად, მწვანე ქალაქის დოლარზე სენიორაჟიდან თავისი იცავდა.

მეორე ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობები, განსაკუთრებით დემოკრატიული სახელმწიფოები, ყველაზე მეტად არიან მონადინებული სენიორაჟისათვის მიიღონ შემოსავლები და მონეტარულ სისტემებს მეტი სენიორაჟის გამოშვებისათვის საგანგებო მდგომარეობების, განსაკუთრებით ომიანობის დროს ცვლიან. მსგავსი საგანგებო შემთხვევები წარმოადგენენ ფისკალურ კატალიზატორს სენიორაჟის გაზრდის ინოვაციებისათვის, რომლებსაც სხვა შემთხვევაში საზოგადოებრივმა წინააღმდეგობამ შეიძლება ხელი შეუშალოს. ამგვარად, ფისკალური ჰიპოთეზით, სასაქონლო ფულიდან დეკრეტულ ფულზე გადასვლას ადგილი აქვს კრიტიკული ფისკალურ მდგომარეობის კვალდაკვალ¹⁹. ბევრ ქვეყანაში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ოქროსა და ვერცხლის სტანდარტის გაუქმება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ბანკების დაფარვას გზით განხორციელდა. ინგლისის და საფრანგეთის ბანკები და შედეგის რიკსბანკი წარმნიშობდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ბანკების კარგად ცნობილი მაგალითებს, რომლებიც შექმნიან მთავრობისთვის სესხის გასაცემად, მათთვის სასურველი პირობებით. გარკვეული დროის შემდეგ, კანონმდებლობით მათ მიენიჭათ ფულადი ნიშნების გამოშვების მონოპოლია, შესაბამისად, პრივილეგირებული ბანკების ვალდებულებები გადაიქცა მძლავრ ფულად. ევროპის ბევრ ქვეყანაში ეს ნაბიჯი გადაიდგა 19-ე საუკუნის ბოლოსთვის. დეკრეტული ფულის შექმნა შესაძლებელი გახდა ცენტრალური ბანკების ვალდებულებების გასტუმრების შეჩერებით, რომელიც ნაკარნახევი იყო I მსოფლიო ომის

¹⁸ იყო დროებითი შეჩერების პერიოდები (მაგ. ნაპოლეონის ომები ბრიტანეთში, სამოქალაქო ომი აშშ-ში), მაგრამ ფულადი ნიშნები, რომლებიც მოსალოდნელი იყო რომ გახდებოდნენ უზრუნველყოფილინი მომავალ-ში არ წარმოადგენდნენ დეკრეტულ ფულს. დეკრეტული ფულისაგან განსხვავებით, დროებით შეჩერებულ ფულად ნიშანს გააჩნია უფრო ნაკლები ვალდებულება თავის მიმდინარე ღირებულების მიმართ დაქვრებული მისი მომავალი გამოყენების საშუალების მოსალოდნელი დისკონტრებული ღირებულებით. მთავრობა იძულებულია მოახდინოს გამოსყიდვისათვის საჭირო საკმარისი საქონლის (ხელთავები) აკუმულირება. თუ „ანტიკური და პატივსაცემი თანასწორობა“ თავიდან უნდა დადგინდეს, მთავრობის პოტენციური კაპიტალის მიღებისა ლიმიტირებული შესაძლო მისაღები პროცენტით (ან შესაძლო თავიდან ასაცილებელი სესხის პროცენტით), შეჩერების/ბანკოტის დროს მისი რეზერვებიდან სესხებით ან ხარჯვით.

¹⁹ კროუნი (Chown) [1994, 201] ახდენს თავისი დაკვირვებების დოკუმენტირებას.

კრიტიკული ფისკალური მდგომარეობით²⁰. აშშ-ში, სადაც ცენტრალური ბანკის ვალდებულებებმა მოგვიანებით მოიპოვეს ნდობა, დეკრეტული ფულის დამკვიდრება დიდი დეპრესიის დროინდელი სავალალო ფისკალური მდგომარეობის დადგომამდე გადაიდა. ფისკალური ჰიპოთეზის წამყვანი ალტერნატივა იყო შეხედულება, რომ მთავრობის მიერ დეკრეტული ფულის შექმნის მიზანია ბაზრის ნაკლოვანებების გამოსწორება უფრო ეფექტიანი მონეტარული სტანდარტის შექმნით და არ გვთავაზობს ახსნა-განმარტებას დეკრეტული ფულისკენ გადადგმული ნაბიჯების ისტორიული თანმიმდევრობის აღწერისთვის.

ჩვენი მტკიცების მესამე, ბოლო ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ როცა მიმდინარეობს რეფორმა, რომლის მიზანი აუფრო მეტი შემოსავლების მიღება, მას გადარჩენის უფრო დიდი შანსი აქვს ვიდრე სხვა მექანიზმებს, მაშინაც კი, როცა იგი სინამდვილეში წარმოადგენს არეულობის წყაროს. გლასნერის (1997, 36) მტკიცებით, იმ ადრეულმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ სენიორაჟზე „გააუქმებეს თავიანთი გადაარჩენის შანსები სამხედრო კონკურენციაში“. მშვიდობიანობის დროსაც, ფისკალურად მომგებიანი ინოვაციები განსაკუთრებულად ხანგრძლივი და გამძლე აღმოჩნდებოდა იმიტომ, რომ ისინი სარგებლობდნენ ძლიერი ინტერესთა ჯგუფების მხარდაჭერით: სახელმწიფო დაკვეთების შემსრულებლების, ფისკალური სტრუქტურების და თავად მარეგულირებლების მიერ. შემოსავლების გაზრდისაკენ მიმართული ცვლილებების თანდათანობითი ზრდის შედეგი კულმინაციას აღწევს სისტემაში, რომელიც გამოიყურება „თითქოსდა“ ისინი თავიდანვე ყოფილიყვნენ შექმნილი მხოლოდ სახელმწიფოს შემოსავლების მაქსიმიზაციისთვის.

ამ არგუმენტებით, სენიორაჟის ზრდისათვის ინსტიტუციური სისტემების შექმნის საკითხი განიხილება იმ ქვეყნებში, რომლებიც ნაკლებ ფისკალურ კრიზისს და განსაკუთრებით გარე სამხედრო საფრთხეს აწყდებიან. ცენტრალური საბანკო სისტემა ადრევე წარმოიშვა ევროპის მეომარ ქვეყნებში და მხოლოდ მოგვიანებით შეეცა ცარიაში, ჩრდ. ამერიკაში, ავსტრალიასა და ახ. ზელანდიაში.

V. დასკვნა

ფისკალური მოსაზრებები გვიხსნიან ფულთან მიმართებაში სახელმწიფოს როლის ძირითად კონტურებს და მათ ევოლუციას საუკუნეების განმავლობაში. იგი გვიხსნის არა წარსული ან მიმდინარე მექანიზმის ყველა ორგანიზაციულ დეტალს, ან ალტერნატიული მოსაზრებების უნივერსალურ სისწორეს, არამედ ფისკალური ჰიპოთეზა გულისხმობს გამოსადეგარი „ვალდებულებების შეუსრულებლობის წესს“. ის უკეთ შეესაბამება საერთო ისტორიულ ფაქტებს ვიდრე მისი წამყვანი კონკურენტი - საბაზრო ჩავარდნის ჰიპოთეზა. ის მკვლევარები, რომლებიც ეძებენ მთავრობის როლის ახსნას მონეტარულ სისტემაში აუცილებლად უნდა „მისდიონ ფულს“: მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ფინანსური შედეგები.

ამ მოსაზრებების ჩამოყალიბებისას, ჩვენ მივიღეთ სასარგებლო კომენტარები ჯონ ლოტისგან, დევიდ გლასნერისგან, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კაროლინის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემინარის მონაწილეებისაგან და სხვებისგან.


²⁰ ადრეული შეჩერება/ბანკროტი - ინგლისის ბანკი ნაპოლეონის ომის დროს, აშშ ეროვნული ბანკები სამოქალაქო ომის დროს - ასევე იყვნენ ასოცირებულნი კრიტიკულ ფისკალურ მდგომარეობებთან, მაგრამ საბოლოოდ მოსდევდა სრული განახლება ომამდელი პერიოდის თანასწორობისა.

გია ჯანდიერი

1961

გია ჯანდიერი (Gia Jandieri) - "ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს" თანადამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი.

1983 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი, ხოლო 1993 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციის ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში (1993-1996), საფინანსო დეპარტამენტის უფროსად საქართველოს პარლამენტში (1996-2000), ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ეროვნული ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის კოორდინატორად (2000-2001), აგრეთვე, სტრატეგიული კვლევების ცენტრში. კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა სასწავლებლებში. გაელილი აქვს სტაჟირება საფრანგეთში, შვედეთში, აშშ-ში; გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ჟურნალებში. არის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციების, ისევე, როგორც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დამფუძნებელი და წევრი. 2004 წლიდან არის კრებულ "თავისუფლების ბიბლი-ოთეკის" თანადამფუძნებელი და სარედაქციო საბჭოს წევრი, ელექტრონული გვერდის www.nesgeorgia.org რედაქტორი.



გია ჯანდიერი

შეიძლება თუ არა ცენტრალური ბანკის ნდობა?

2010 წლის 29 ნოემბერი

ბოლო ხანებში მონეტარულ საკითხებზე დისკუსიებში ბევრი ყურადღება ექცევა ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის საკითხს. ითვლება, რომ ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელი უნდა იყოს მის საქმიანობაში, რათა ასცდეს პოლიტიზაციას და მისი გადაწყვეტილებები მხოლოდ ეკონომიკურ ხასიათს ატარებდეს.

შეიძლება თუ არა ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებები მხოლოდ ეკონომიკურ საჭიროებებზე იყოს აგებული და არა პოლიტიკურზე? ამ კითხვის პასუხზე და კიდევ ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა პრობლემების გადაწყვეტაზე სერიოზულადაა დამოკიდებული, თუ რამდენად შეიძლება ვენდოთ ცენტრალურ ბანკს.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის იდეა საკმაოდ გაურკვეველია - ეს ინსტიტუტი სახელმწიფოს რომ არ ეკუთვნოდეს შესაძლებელია ამაზე უფრო ადვილად გვემსჯელო, მაგრამ მისი საჯარო ხასიათი, დაფინანსების მიღების წესები, კანონით განსაზღვრული საქმიანობის წესების ჩარჩოები და ხელისუფლებასთან ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ იმას მიგვანიშნებს, რომ ის სახელმწიფო დანესებულებაა გარკვეული თავისებურებით და ავტონომიით.

თვით დამოუკიდებლობა, სახელმწიფო აპარატის შიგნით, ერთობ ბუნდოვანი საკითხია. ჯერ ერთი, მისი დამოუკიდებლობა არაფერში არგია რიგით მოქალაქეებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი საკუთარი საქმიანობით მათ პრობლემებს უქმნის. ამ შემთხვევაში მოსახლეობას არ აინტერესებს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი და საკუთარ გულსწყრომას და უნდობლობას მთავრობისაკენ მიმართავს. ასევე, თუ პირიქით, ცენტრალური ბანკი სწორად მოქმედებს, სპეცილისტიების გარდა არავის ახსენდება, რომ ეს მისი დამსახურებაა და ცხადია, უფრო მეტად, არსებული პოლიტიკური ძალაუფლების დამსახურებად აღიქმება.

გაუგებარია თეორიულადაც, როგორ უნდა იქნას მიღწეული ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა. თუ დამოუკიდებლობას არ ჩავთვლით აბსოლუტურ ტერმინად და დავუშვებთ, რომ მას შესაძლებელია სხვადასხვა ზომა და ხარისხი ჰქონდეს, მაშინ შესაძლებელია ვიგულისხმობთ, რომ თეორიულად, შესაძლებელია (სადმე) ისეთი მთავრობა იქნას არჩეული, რომელიც ცენტრალური ბანკის საქმიანობაში ჩარევას არ მოახდენს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დარწმუნებული იქნება, რომ მის მიერ დაშვებული შეცდომები აისახება მომავალი არჩევნების შედეგებზე.

თუმცა მოდით ამ დაშვების ალბათობა გავიაზროთ. ამ დაშვების შესასრულებლად საჭიროა:

მთავრობა დემოკრატიულად იქნას არჩეული – ანუ მოსახლეობის დიდი ნაწილი მონაწილეობს, მათი ხმები არ იკარგება და არ ყალბდება.

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კარგად გრძნობს საკუთარ პასუხისმგებლობას და არის პოლიტიკურად და ეკონომიკურად კარგად განათლებული.

არჩეული პოლიტიკოსების დიდი ნაწილი კარგად ერკვევა ეკონომიკურ და მონეტარულ საკითხებში.

პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარე უარს ამბობენ არსებული ძალაუფლების გამოყენებაზე, რადგანაც ხვდებიან, რომ აირჩევენ თუ არა მათ,

ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანია ადამიანების მდგომარეობა ქვეყანაში, მოკლე და გრძელი პერსპექტივით. ისინი არ დაუშვებენ ადამიანების ინფლაციურ ძარცვას მაშინაც კი, თუ ეს სახელმწიფოს ინტერესში მოეჩვენებათ.

პოლიტიკოსთა უმრავლესობა ალტრუსტია, არასოდეს გამოიყენებს საკუთარ თანამდებობას საკუთარი თუ მეგობრების სასარგებლოდ. ისინი არ დაუშვებენ საკუთარი ინტერესებისათვის საჯარო ინსტიტუტების გამოყენებას, საკუთარი მეგობრების და ნათესავების მხარდაჭერას და ა.შ.

არ არსებობს არავითარი ინტერეს-ჯგუფები, რომლებიც საკუთარ სარგებელს ლობირებენ მთავრობის გადაწყვეტილებებში. არავინ ფიქრობს, რომ მოკლევადიანი უპირატესობა არ არის საინტერესო, რადგან ის მომავალში შექმნის პრობლემებს.

ეს დაშვებები უფრო რთული გასაკეთებელია იმ ქვეყნებში, რომელთაც სულ ახლახანს დაიწყეს დემოკრატიის ინსტიტუტის გამოყენება. აქ ორი საკითხია მნიშვნელოვანი: პირველი – არსებობს მოსაზრება, რომ დემოკრატიის ხალხის სასარგებლოდ მუშაობა უფრო მოსალოდნელია, როდესაც ადამიანებს მეტი გამოცდილება აქვთ, – ამომრჩეველებს ტყუილ-მართლის გასარჩევად, ხოლო არჩეულებს იმის განსაზღვრისათვის თუ სად გადის ამომრჩეველთა მთომენის საზღვარი. მეორე, – ამომრჩეველებს, ახალ დემოკრატიებში, ნაკლები პასუხისმგებლობა აქვთ, რომ საკუთარ საქმედ ჩათვალონ მთავრობის ყოველი ნაბიჯის კონტროლი, იოლად არ დათმონ საკუთარი თავისუფლებები სახელმწიფოს სასარგებლოდ. მათ დროის საკმაო პერიოდი კიდევ დასჭირდებათ, რათა დარწმუნდნენ, რომ მთავრობა მათი მსახური და არა პირიქით. ეს ყველაფერი რომ შესრულდება, მას შემდეგ კიდევ ბევრი პრობლემა დარჩება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საზოგადოებრივი არჩევანისუფლი – ამომრჩეველები ყოველთვის მაქსიმალურ ყურადღებას და ცოდნას უნდა იჩინდნენ და დიდი მოტივაცია უნდა ჰქონდეთ, რათა გაერკვნენ პარტიებისა და ცალკეული კანდიდატების პროგრამებში, რამდენად ისინი მათს ინტერესებს ემსახურებიან, და ასევე, მათი ინტერესები გრძელვადიანი უნდა იყოს, და არ უნდა წამოეგონ მოკლევადიან მახეებს.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის კიდევ ერთი, წმინდად ტექნიკური პრობლემაა, როგორ უნდა მოხდეს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ნებისმიერი მცდელობა მთავრობის რომელიმე ინსტიტუტი დამოუკიდებლად მოქმედებდეს, როგორც ითქვა, მთავრობის მიერ დასმულ ერთ საკითხთან ფერხდება – ვისი იქნება პასუხისმგებლობა ამ ინსტიტუტის საქმიანობის ცუდ შედეგებზე, თუმცა, ამას გარდა, კითხვა სხვაგვარადაც შეიძლება დაესვათ: როგორი მექანიზმით იქმნება საერთოდ ასეთი ინსტიტუტი. მოდით განვიხილოთ ძირითადი ვერსიები:

ა. ცენტრალური ბანკის მმართველი საბჭო დაინიშნება პარლამენტის მიერ. როგორი წესით? უმრავლესობის მხარდაჭერით? მაშინ ეს საბჭო ტენდენციურად ჩაითვლება, რადგან იგი ასახავს მმართველი გუნდის მხარდაჭერას. დაუშვათ ოპოზიციას – უმცირესობას ყავდეს საკუთარი წარმომადგენელი, მაგრამ გაურკვეველია როგორ მოხდება ყველას წარმომადგენლობა, და თანაც ამ წესით საბჭო სერიოზულად პოლიტიზებული ხდება.

ბ. ქვეყნის პრეზიდენტმა დაინიშნოს საბჭოს წევრები – ეს ოპოზიციისათვის მიუღებელია – მათ მეტი წარმომადგენლობა უნდათ, თუნდაც პრეზიდენტი პირდაპირი არჩევნებით იყოს არჩეული. თუმცა უნდა ვალიაროთ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური კონტროლისა და პოლიტიკური კონკურენციის შესაძლებლობები ამ შემთხვევაში ამკარა საფრთხის ქვეშაა.

გ. ხალხმა აირჩიოს – ნაკლებად საჯარაუდოა, ასეთი ინსტიტუტების სიმრავლე (საარჩევნო კომისიები, სასამართლოები, სტატისტიკის, მარეგულირებელი ორგანოები და სხვ.) და მათი საბჭოს წევრების არჩევნების სიძვირე ამის შესაძლებლობას და ალბათობას ამცირებს.

როგორც ჩანს, საკმაოდ დაბალია იმის ალბათობა, რომ ახლადდამწყები დემოკრატიული საზოგადოებები ადვილად მოძებნიან ამ საკითხში რაიმე კონსენსუსს. პირიქით, შესაძლებელია ასეთი ინსტიტუტების დამოუკიდებლობა დავივიწყოთ და ვიცოდეთ კონკრეტულად ვისი პასუხისმგებლობის სფეროა ეს და ვის უნდა მივმართოთ, თუ ცენტრალური ბანკის საქმიანობა არ გვაკმაყოფილებს. ამას აქვს კიდევ ერთი მხარე, რომელიც ამომრჩეველმა კარგად უნდა გაითვალისწინოს. კერძო სექტორისაგან განსხვავებით საჯარო სექტორში არჩევანი საკმაოდ შეზღუდულია იმით, რომ რთულია არასწორი გადაწყვეტილების დიველსის შექაჩვით. მაგალითად, საექციო საზოგადოებაში არასწორი გადაწყვეტილება მერქეტორების არჩევნების დროს მარტივი გამოსასწორებელია, თუმცა დანახარჯიანი – აქციონერს უფლება აქვს დაუყოვნებლივ გაყიდოს საკუთარი აქცია. ამომრჩეველი პოლიტიკაში ასეთ "ფუფუნებას" მოკლებულია და მისი დანახარჯი გაცილებით დიდია. ეს, თავის მხრივ, ამომრჩევლის სურვილს, კარგად გაერკვიოს უნდა აძლიერებდეს – პრეზიდენტს საქართველოში 5 წელი ველარ შეცვლი, მაგრამ შემდგომი პრაქტიკიდან გამომდინარე – ასევე ამცირებს, შედეგიდან გამომდინარე ამომრჩეველი უფრო რაციონალური ხდება, რათა არ დახარჯოს ზედმეტი დრო, ენერჯია და რესურსი კანდიდატების მეტ ცოდნაში.

ასე მკვეთრად და დაშორებული ცენტრალური ბანკი მის ძირითად ამომრჩეველთან, მენაბრესთან და უბრალოდ მისი დაბეჭდილი ფულის მომხმარებელთან.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის პრობლემების გარდა არსებობს სხვა წმინდა საკითხებიც, მაგალითად, გადაწყვეტილებათა საჯაროობა. ცენტრალური ბანკის მიერ წარმოებული მონეტარული თუ გაცვლითი კურსის პოლიტიკა მოიცავს ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საბანკო სფეროში სერიოზულ ინტერვენციებს ნიშნავს, ხშირად სერიოზული შედეგებით. ისტორიული გამოცდილებიდან და ასეთი ინტერვენციების ზომებიდან გამომდინარე, (მცირე ზომის ოპერაციებს აზრიც კი არ აქვს) ბევრი შეეცდება ასეთი გადაწყვეტილებების შედეგების პროგნოზირებას, რამაც შესაძლებელია საფუძვლიანი ან უსაფუძვლო პანიკა შექმნას ბაზარზე, რისი დაწყნარება სხვა მოქმედებებთან იქნება დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში საფინანსო საქმიანობა ხელოვნურად შეიძლება გაძვირდეს, რაც ბაზარზეც შესაბამისად აისახება. ამ არასასურველ შედეგებს უმჯობესია ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებები ნაკლებად საჯარო იყოს და შენიღბული. მეტიც, იმის გამო, რომ ცენტრალურ ბანკს ბევრი ასეთი ბუნდოვანი გადაწყვეტილების მიღება უხდება, მას არ შეუძლია ყოველდღიურად ათანხმოს ისინი პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ყოველსაათობრივად, არც ისაა ლოგიკური, ყოველ ასეთ გადაწყვეტილებაზე ხელისუფლებას მიმართოს კანონმდებლობის შესაცვლელად. ამიტომ სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ცენტრალურ ბანკს მოქმედების მეტი თავისუფლება სჭირდება – მაღალი დისკრეცია და ფართო არჩევანი კანონის ფარგლებში. ეს მის დამოუკიდებლობას აფართოებს, თუმცა საერთოდ არ ზრდის მისდამი ნდობას, რადგან ამჟამაა მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური კონტროლის ქვეშიდან გასხლტომა. პოლიტიკური კონტროლი აქ ამჟამად ცუდად ყლერის, მაგრამ თუ ამაზე უარს ვამბობთ, მაშინ კარგად უნდა გავიაზროთ საერთოდ რა საჭიროა პარლამენტი.

არსებობს ასევე საკმაო რწმენა, რომ გარკვეულ შემთხვევებში მთავრობას სხვა გზა არ ექნება გარდა მონეტარული და საკურსო პოლიტიკის იქეთკენ მიმართვისა, რომ საკუთარი ვალუტა ხელოვნურად გააუფასურონ ან გაამყარონ, ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე. უფრო მოპულარულია, მაგალითად, საკუთარი საგადამხდელი საშუალების გაუფასურების გზა, რომელიც თითო-ქოს ხელს შეუნყობს საექსპორტო პოლიტიკას. აქ სხვადასხვა ფუნდამენტური პრობლემა ჩნდება:

1. საგადამხდელი საშუალების გაუფასურებით ექსპორტის წახალისება პირდაპირ ნიშნავს საკუთარი მოსახლეობის ხარჯზე იმპორტის ქვეყნის მოსახლეობისათვის შეღავათის დაწესებას – გაუფასურებული საკუთარი საგადამხდელი საშუალებით ადგილობრივი მოსახლეობა უკვე ნაკლებს ყიდულობს, ხოლო უცხოელებს შესაძლებლობა უჩნდებათ იმპორტირებული საქონელი უფრო დაბალ ფასში შეიძინონ, ვიდრე იგი დაჯდა, სწორედ ექსპორტის ქვეყნის მოსახლეობის ხარჯზე.

2. შედეგად, მოსახლეობა თავს აარიდებს საკუთარ საგადამხდელი საშუალების გამოყენებას, რომელიც ნდობას კარგავს, ოპერაციები და გარიგებები ძირითადად უცხოურ მყარ საგადამხდელი საშუალებაში მოხდება. მთავრობა იძულებული უნდა გახდეს შემოიღოს მონეტარული კონტროლი.

3. ასეთი გადაწყვეტილება საგადამხდელი საშუალების ხელოვნურად გაიაფებისა, შესაძლებელია ყველამ ერთდროულად მიიღოს და მაშინ მას არანაირი აზრი არ ექნება. ქვეყნები, რომელთა საექსპორტო პოტენციალი ასეთი პოლიტიკით შემცირდება, შეეცდებიან სავაჭრო სანქციებით დაცვან საკუთარი ბაზარი. ერთობილივი მცდელობა ინფლაციით მიაღწიონ უპირატესობას, ზოგიერთს მაინც მისცემს მეტ სარგებელს, მაგრამ ეს რულეტის მსგავსი თამაშია – მოგების ალბათობა დაბალია. შესაძლებელია სარგებლის ნაცვლად დიდი ზარალიც მიიღოს.

არსებობს ცენტრალური ბანკის სხვა ფუნქციებიც, რომლებიც წმინდა და ხელშეუხებელ საკითხებად ითვლება. მაგალითად მის მიერ კომერციული ბანკების კონტროლი და რეგულირება. მაგალითად გავრცელებული მოსაზრებით, რომელიც ადამიანის ინსტიქტური რეაქციიდან მოდის ამჯობინოს მოკლევადიანი სიკეთე გრძელვადიანს, რომ თითქოს შესაძლებელია ბანკების საქმიანობის გარანტირება სარეზერვო ფონდიდან, არამხოლოდ ეკონომიკური ანალიზი, არამედ უბრალო არითმეტიკული გამოთვლა გვარწმუნებს, რომ ეს პირიქითაა. ცენტრალური ბანკის გარანტია სარეზერვო ფონდიდან დააფინანსოს რისკების ნაწილი, გამოათავისუფლებს იმ რესურსს, რომელიც ამ რისკის უზრუნველყოფისათვის ეკუთვნობდა ბანკს და ახალი სარისკო საქმეებისაკენ მიმართავს მას, ანუ, მაგალითად, თუ სარეზერვო გარანტიის მიცემამდე ბანკის რისკი 5% არ აღემატებოდა, 2%-იანი გარანტირების შემთხვევაში მისი გამოათავისუფლებული რესურსი 2%-ის ოდენობით, ახლა უკვე სხვა საქმიანობისათვის გადაარჩა და ბანკს შეუძლია ის უფრო მაღალ რისკებშიც გამოიყენოს, 5%-იანი რისკის ნაცვლად უკვე 7%-იანი რისკის მქონე საქმეები დააფინანსოს და სხვა.

ცენტრალური ბანკის ყველაზე საკუთარ პასუხისმგებლობად მის მიერ ფულის ბეჭდვა აღიქმება. ზემოთ აღწერილი პოლიტიკური პრობლემები საეჭვოდ ხდის ამ საქმიანობის ხარისხიანად განხორციელების პოლიტიკურ ნებას და შესაძლებლობას, მაგრამ არსებობს უფრო სერიოზული ეკონომიკური პრობლემაც, რომელიც ცენტრალური ბანკის მონეტარულ საქმიანობას კიდევ უფრო საეჭვოდ ხდის. ცენტრალური ბანკი, როდესაც იგი თუნდაც ყველაზე კეთილი ზრახვებით მოქმედებს და ცდილობს ეკონომიკური ინფორმაცია მოაგროვოს და ასე მიიღოს ეკონომიკისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებები, იგივე შეცდომას უშვებს, როგორც ცენტრალური დამგვემავები საბჭოთა იმპერიაში. ეკონომისტები დაბეჯითებით გამტკიცებთ, რომ ცოდნა, რომელიც საჭიროა ასეთი გადაწყვეტილებებისათვის მუდმივად ცვალებადია და თანაც მყისიერად ადაპტირებადი ახალ გარემოებებთან, გაბნეულია მილიონობით ადამიანთა გონებაში და სუბიექტურია. შესაბამისად, ერთი ან თუნდაც ბევრი გენიალური ადამიანის შესაძლებლობას აღემატება მისი მოპოვება, დამუშავება და გადაწყვეტილებებისათვის გამოყენება. სწორი გადაწყვეტილებებისათვის საჭიროა მილიონობით ადამიანის ცოდნის გამოყენება, რომელიც არ შედგება მხოლოდ ფორმალური ინფორმაციისაგან, არამედ უნარ-ჩვევების, ტრადიციების,

მემკვიდრეობით მიღებული და სხვა ცოდნისაგან, გემოვნების და სურვილების მყისიერი ცვლილებებისაგან და ა.შ. ინფორმაცია, რომელიც ცენტრალურ ბანკს სჭირდება ეხება მილიონობით ადამიანის პრეფერენციებს, მათს მიმდინარე გადაწყვეტილებებს და ხედვას მომავალზე.

ცენტრალურ ბანკს უნდა ჰქონდეს საშუალება დაიჭიროს ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის მრავალი სპეციალისტი, რომლებიც ამავედროულად კეთილსინდისიერნიც იქნებიან იმ ხარისხით, რომ არასოდეს გამოიყენებენ ბოროტად საკუთარ დისკრეციულ ძალაუფლებას.

ამავდროულად, უნდა გვახსოვდეს, რომ ღია საბანკო და მონეტარულ სივრცეში მოსალოდნელია უცხოური ბანკებისა და საგადაამხდელი საშუალების თავისუფალი შემოდინება, რომელიც კონკურენციას გაუწევს ჩვენი ცენტრალური ბანკის პოლიტიკას. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ცენტრალური ბანკი კონკურენციის ქვეშაა, მეტიც მისი კონკურენტები მხოლოდ მეზობელი ქვეყნების ცენტრალურ ბანკები კი არ არიან, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ცენტრალური ბანკები თავისი საგადაამხდელი საშუალებებით, მონეტარული და გადაცვლის კურსის პოლიტიკებით. ანუ, ჩვენი ცენტრალური ბანკის პოლიტიკა თუ არ იქნება სხვა ქვეყნების, მათ შორის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული მყარი საგადაამხდელი საშუალებების ქვეყნების ცენტრალური ბანკების კონკურენტული, მაშინ მისი მოქმედება მალალაბათურად ზიანის მომტანი აღმოჩნდება.

ამ ლოგიკის შედეგია, და ამას მრავალი ცნობილი მონეტარული ეკონომისტი აღიარებს, რომ მცირე ზომის ქვეყნებმა უბრალოდ სხვა ქვეყნების საგადაამხდელი საშუალებები უნდა გამოიყენონ, ან ერთ-ერთი ან კონკურენცია დაუშვან. მაგალითად, ევროს ავტორად ცნობილი რობერტ მანდელი შარშან თბილისში სტუმრობისას თავის ლექციაში ძირითადად აღიარებდა ასეთ აუცილებლობას, თუმცა კრიზისის გამო ასეთი გადაწყვეტილებებისაგან თავის შეკავებისა-კენ მოუწონდა პატარა ქვეყნების მთავრობებს. მისი ვიზიტის მეორე დღეს მან ლოგიკური უნოდა ჩემს კითხვას – ვთქვათ დოლარის პოლიტიკა არასწორია, მისი გამოყენებით პატარა ქვეყანა ამ არასწორ პოლიტიკასაც გაუწევს იმპორტს. ეს სწორია, მაგრამ თუ ადგილობრივი ცენტრალური ბანკი საკუთარი პოლიტიკის განხორციელებას შეეცდება დოლარის შეცდომის გასაწვრივებად, არ იქნება უფრო საშიში თუ ადგილობრივი ცენტრალური ბანკი უფრო დიდ შეცდომას დაუშვებს და უფრო გაართულებს და გააღრმავებს დოლართან დაკავშირებულ შეცდომას საკუთარი ქვეყნის მოსახლეობისათვის?

რეალურად, ცენტრალური ბანკის/მთავრობის მიერ ფულის ბეჭდვა გაცილებით უფრო ფუნდამენტური პრობლემაა. იმაზე რომ არ ვისაუბროთ, რომ მთავრობის მიერ ამ ფუნქციის მითვისება სრულიად უკანონოა – ადამიანის თავისუფლება შეზღუდულია, იმით რომ მის ნაცვლად მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას რა უნდა იყოს გაცვლის საშუალება. აქედან მოდის ამ მოქმედების შედეგიც – მთავრობა არამხოლოდ გვაძლებს მისი ფული გამოიყენოთ, არამედ, რადგანაც ჩვენ აღარ გვაქვს არჩევანი, ამ მდგომარეობით ისარგებლოს, უმეტესად "ბოროტად". ფულის მასის ზრდის ტემპით მანიპულირება, რომელიც ცენტრალური ბანკის მთავარი იარაღია, შესაძლებელია გარკვეული გავლენის მოხდენა ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ამაზე შესაძლებელია კამათიც, რამდენად მოსალოდნელია ეს გავლენა დადებითი იყოს, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში. მაგრამ, მნიშვნელობა არ აქვს გაუმჯობესდება თუ გაუარესდება ეკონომიკა, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ფულის მასის მანიპულირების შედეგად მოვლენების დანახარჯის ტვირთის აღება ჩვეულებრივ ადამიანებს უწევთ.

შესაძლებელია ვინმეს ეგონოს, რომ ინფლაციური თუ დეფლაციური მოვლენების დანახარჯების ტვირთის გადატანა ჩვეულებრივ მოქალაქეებზე პრობლემის თანმდევი ან უფრო

მეტიც, შედეგობრივი მხარეა. მაგრამ ისტორია პირიქით გვეუბნება: ცენტრალური ბანკების წარმოშობა, ფულის ბეჭდვის უფლების მონოპოლიზება და ფულის მასის მანიპულირება შედეგად კი არა, მიზანი იყო. ბევრ შემთხვევაში ინფლაცია ხალხისგან რესურსების ამოქაჩვის გამარტივებული მეთოდი იყო, გადამტებული ხარჯების დასაფარად, ისეთი როგორც მოია ან კრიზისები. ეს დაკანონებულ ძარცვაა, რომელიც მოსახლეობისაგან ფარული მეთოდით ხდება.

ფულის მასის მანიპულირების გზით ეკონომიკის მართვის მომხრეთა ერთი ნაწილი, რომელთაც ქეინზიანელებს ეძახიან, დარწმუნებული არიან, რომ სახელმწიფო ხარჯების ზრდასა და ფულის მინორდებას გაზრდით შესაძლებელია ეკონომიკური პროგრესის დაჩქარება. სინამდვილეში, უფრო ღრმა თეორიაში რომ არ ჩავიჭრეთ, მთავრობა ამ გზით ცდილობს მოსახლეობის ხელში არსებული რესურსები საკუთარ ხელში მოაქციოს, საკუთარი მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების (დროებით) ჩასაცხრობად. ისევე და ისევე მოსახლეობის პირდაპირი ძარცვის გზით, რადგანაც ხედავს, რომ მოსახლეობა არ არის მზად მეტი რესურსები გაილოს მთავრობის ამ გადაწყვეტილებებისათვის.

მთავრობის მიერ ცენტრალური ბანკისაგან სესხის აღება ასევე გავრცელებული გზაა სამთავრობო საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარად, როდესაც მთავრობა უფრო მეტ ხარჯებს გვემავს ვიდრე შემოსავალს ელოდება. სესხის აღებით ცენტრალური ბანკისაგან სესხის აღება ამავდროულად ცენტრალური ბანკის ლიკვიდურობასაც ამცირებს, ადვილი წარმოსადგენია ის პოლიტიკური წნეხი, რომელსაც ასეთ შემთხვევაში განიცდის ეს უკანასკნელი – ბოლო გახმაურებული ასეთი შემთხვევა არგენტინაში წელს(აც) მოხდა, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტმა რამოდენიმე მილიარდი დოლარი მოსთხოვა ცენტრალურ ბანკს მთავრობის ვალების გასასტუმრებლად.

ცენტრალური ბანკის მარეგულირებელი ფუნქციები რომ განვიხილოთ, სახელმწიფო რეგულირების იმავე პრობლემებს მივადგებით, რომელიც ამ საქმიანობისათვისა და მასხისათებელი. მარეგულირებლების უნარი სწორად გაერკვიონ რეგულირების დოზაში, რეგულირების ხასიათში, მეთოდებსა და გზებში, არ უნდა ახდენდეს უკვე რეგულირებისათვის პრივილეგიების შექმნას ბაზარზე ახლად შემოსული მონაწილეების სანაწარმდეგოდ. ასევე, რეგულირების ორომტრიალში ყველას ავინყდება მთავარი მიზანი, რისთვისაც რეგულირებას იგონებენ – მომხმარებლის ინტერესი, მთელი აქცენტრი გადატანილია ბაზრის მონაწილე საქონლისა და მომსახურების გამყიდველთა ინტერესებზე, ხოლო მყიდველები მეორეხარისხოვან როლში რჩებიან.

რეგულირებას ასევე სხვა მრავალი პრობლემაც აქვს, მაგ., პასუხისმგებლობის გადატანა მარეგულირებლის (სინამდვილეში სახელმწიფოს) მიმართულებით - თუ რეგულირება დაწესებულია, ყველას ტენდენცია აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა ამ რეგულირების უკან დაშალოს, ეს სწორია ყველა მხარისთვის, სახელმწიფოს, მარეგულირებლის, გამყიდველისა და მყიდველისათვისაც. მარეგულირებლის მიერ დაწესებული ნორმები ხელოვნურია და გამყიდველებისათვის (ამ შემთხვევაში ბანკებისათვის) მთავარი ის კი არ არის მომხმარებლებს კარგი სერვისები შესთავაზონ, არამედ მარეგულირებელი ნორმები შეასრულონ.

ცენტრალური ბანკის ერთ-ერთი მარეგულირებელი ფუნქცია დაკავშირებულია მის უნართან გადაარჩინონ გაკოტრების წინაშე არსებული ბანკები. საერთოდ ითვლება, და ამას უფრო ემოციური ნიადაგი აქვს, რომ ბანკების ჯანმრთელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათი გაკოტრების შემთხვევაში სხვა ბევრი უდანაშაულოც დაზარალდება (მაგალითად მეანბრებები) და საერთოდ ეკონომიკის კოლაფსი შეიძლება გამოიწვიოს. აქ ალბათ იგულისხმება, რომ ბანკების ერთი ნაწილი განსაკუთრებულად დიდი ზომისაა და მათი კოლაფსი მთლიანად ეკონომიკას დააზიანებს, თუმცა გაუგებარია რატომ არ უნდა შექმნა მაშინ ასეთივე გარანტია იგივე ზომის სხვა სანარმოებისათვის – მათაც შესაძლე-

გვეუბნება, რომ ამ რისკს არ აზღვევენ, ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკის მიერ გარანტიის გაცემა ბანკებისათვის რისკის განვეის ნებართვაა მენაბრეთა ხარჯზე. აქაც, ისევე, როგორც ზემოთ ვთქვი, სურვილი მექნებოდა მეფიქრა, რომ ვინც ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების გადაზღვევა მოიფიქრა მხოლოდ კეთილი ზრახვები ჰქონდა, თუმცა, სამწუხაროდ ეჭვი იმისა, რომ ეს გადაზღვევა ბანკების უფრო კარგად გაკონტროლების მიზნით იქნა მოფიქრებული საკმაოდ საფუძვლიანი ჩანს. სხვა შემთხვევაში, მაგ., რატომ უნდა უნდოდეთ კომერციულ ბანკებს ნავიდნენ ზედმეტ რისკზე, რომელსაც სადაზღვევო კომპანიები არ აზღვევენ. აქ პასუხი ნათელი ჩანს – ამის მიზეზი ისაა, რომ ცენტრალური ბანკისა და მთავრობის გარკვეული მოქმედებები, რომელიც გამიზნულია ხარჯვის გააქტიურებაზე, იმაზე უფრო მაღალ რისკებზე წასვლას აიძულებს ეკონომიკურ აგენტებს, ვიდრე მის გარეშე - შედეგად, გაზრდილი რისკები დაზღვეულ უნდა იქნას - იმავე მენაბრეთა, აქციონერთა და გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე. ამ მოვლენას მორალურ საფრთხეს უწოდებენ – როდესაც ადამიანს აიძულებენ ხელოვნურად შექმნას რისკის ფაქტორი, რომელსაც წინასწარ იცის სხვა გადაიხდის.

რა მოტივაციით უნდა ხელმძღვანელობდეს ცენტრალური ბანკის თანამშრომელი, რათა მან ბანკების ხელოვნურად გაზრდილი რისკები შეინიშნოს, გაურკვეველია, მით უმეტეს, როდესაც მას ამისთვის არც და ვერც დასჯიან. მაგრამ, სამაგიეროდ, საკმაოდ გარკვეულია ის, თუ რა აიძულებს კერძო მენაბრეებს, აქციონერებს და მენეჯერებს, უკეთესად იმოქმედონ და პასუხისმგებლობა აიღონ – საკუთარი მოგების სურვილი და კონკურენტები.

უნდობლობის არგუმენტები, რომელიც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი, დიდი ხანია არსებობს და ამ სტრიქონების ავტორს არ მიუძღვის პირდაპირი დამსახურება მათს აღმოჩენაში. ისიც ნათელია, რომ ამ არგუმენტებს ბევრი ოპონენტი ყავთ. ჩემი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ინსტიტუტი, რომელიც არც კონკურენციის ქვეშაა – გარე კონკურენტების გავლენა მცირეა, და არც ფორმალური მონიტორინგის შესაძლებლობა არსებობს მასზე, ისტორიული გამოცდილება, რომელიც მოსახლეობის დაზარალების უფრო მეტ ფაქტს მოიცავს ვიდრე სარგებელს, ცენტრალური ბანკის სანდოობას არ ამალღებს და მის საქმიანობაზე დისკუსიას ტაბუ უნდა მოეხსნას.

აკაკი ცომაია

1974



აკაკი ცომაია (Akaki Tsomaia) - 1996 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 2000 წ. მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2002-2003 წლებში სწავლობდა ლუდვიგ მიზეზის სახელობის უნივერსიტეტში. 2000-2002 წლებში ახალი ეკონომიკური სკოლის თანადამფუძნებელი, 2000-2007 წლებში თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, 2003-2004 წლებში კავკასიის აკადემიური ცენტრის პროფესორი, 2006-2007 წლებში ილიას სახელობის უნივერსიტეტის დეკანი, 2008 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, 2006-2009 წლებში გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორი, 2010 წლის აგვისტოდან ფულბრაიტის პროგრამით მკვლევარი პროფესორი ფლორიდის უნივერსიტეტში.

აკაკი ცომაიას ძირითადი შრომებია: „გარდამავალი ეკონომიკები და საქართველო გარდამავალ პროცესში“ (2007), „ეკონომიკური თავისუფლება და ლიბერალიზაცია“ (2008), „გლობალიზაციის პროცესი საერთაშორისო ბიზნესში“ (2003), „მსოფლიოს მონეტარული სისტემა და საქართველოს მონეტარული პოლიტიკა“ (2004), „სტრატეგიული მენეჯმენტი“ (სახელმძღვანელო).

აკაკი ცომაია

თანამედროვე მონეტარიზმი და ეკონომიკური თავისუფლება?

ალან გრინსპენი, რომელმაც 1987 წელს პოლ ვოლკერი აშშ–ს ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეცვალა, ჯერ კიდევ 1966 წელს, ნაშრომში „ოქრო და ეკონომიკური თავისუფლება“ ავითარებდა მოსაზრებას, რომ მხოლოდ ოქროს სტანდარტის პირობებში არის შესაძლებელი გამართული მონეტარული სისტემის ფუნქციონირება.

ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში ახორციელებდა ქალაქის ფულის მიწოდების პოლიტიკას ნერს ოქროს სტანდარტზე, რომელიც გულისხმობს თავისუფალი ბაზრის უპირატესობას და ფულზე ფასნარმოქმნის იგივე მექანიზმს, როგორც ეს ხდება ნებისმიერ სხვა საქონელზე საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ოქროს სტანდარტი ამსხვერვებს მთებს ფულის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის შესახებ და კატეგორიულად ენიანაღმდეგება სახელმწიფოს ამ სფეროში რაიმე ფორმით მონაწილეობას. ფაქტიურად, „მონეტარული პოლიტიკის“, დღეს ამ მეტად პოპულარული იარაღის გამოყენება ე. წ. მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ყოველგვარ აზრს კარგავს. ალან გრინსპენი ასევე აღნიშნავს, რომ სრულყოფილი ოქროს სტანდარტის პირობებში საზოგადოებას არასოდეს უცხოვრია. თუმცა, იგი ასევე მისტროს პერიოდს პირველ მსოფლიო ომამდე, როდესაც საბანკო სისტემა აშშ–ს ეკონომიკაში იყო გაცვლიებით უფრო თავისუფალი და დაცული, ვიდრე დღეს¹.

ფართოდ გავრცელებული ტენდენციაა, რომ 1930–იან და 70–იანი წლების ეკონომიკური კრიზისების გამოწვევი მიზეზები გადააბრალონ ოქროს სტანდარტსა და ბრეტონ ვუდსის სისტემას. თუმცა, სწორედ მათი უმრავლესობა, ვინც ამას თავდაუზოგავად აკეთებს, ხედავს იმასაც, რომ რამოდენიმე წლის წინ დაწყებული ბოლო მსოფლიო კრიზისი არის სწორედ ქალაქის ფულის და თანამედროვე მონეტარიზმის დამსახურება. ამ მეტად რთული მოვლენის გასაანალიზებლად პირველ რიგში უნდა გავიაზროთ, თუ რა არის ფული საზოგადოებისთვის.

ფული სხვა საქონლისგან იმით განსხვავდება, რომ იგი გაცვლის საშუალებაა, ღირებულების საზომის ფუნქციას ასრულებს და დაგროვების საშუალებაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფული ადამიანებს იმისთვის სჭირდებათ, რომ რაციონალური არჩევანის გაკეთებისას ერთი საქონელი გაცვალონ მეორეში, მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტების ღირებულების შესახებ და შეძლონ დანაზოგების ფორმირება მომავალში შესყიდვების განსახორციელებლად. ფული რათქმუნდა აქტივია და იგი ყველაზე ლიკვიდურია სხვა საქონელთან შედარებით. ადამიანების სურვილი განახორციელონ ყოველივე აღნიშნული ქმნის ფულზე მოთხოვნას. ადამიანები თავიანთ შემოსავალს ზომიერად ფულში, რადგან მათთვის ეს საზომი უფრო პრაქტიკულია, თუმცა ბევრი ფულის ქონა არ ნიშნავს სიმდიდრეს ავტომატურად. ბევრი რამ დამოკიდებულია ფულის ნონაზეც ანუ ფულის ფასზეც, რაც თავისთავად განსაზღვრულია მიწოდებული ფულის რაოდენობით. ეს ასე რომ არ იყოს, კუპონების ეპოქაში ყველანი მდიდრები ვიქნებოდით. მაშასადამე, ფულზე ფასი არის ის ძირითადი ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ნებისმიერი გადაწყვეტილება ეკონომიკური გარიგებების წარმოებისას. ადამიანი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად მუდმივად აკე-


¹ Gold and Economic Freedom, Alan Geenspan, 1966

თებს არჩევანს. იგი საკუთარი რისკის ფასად ცვლის ერთ საქონელს მეორეში და შედეგად მდიდრდება ან ღარიბდება. საზოგადოდ, როდესაც ხდება რომელიმე ერთ საქონელზე ფასის დამახინჯება, იგი ნაკლებ ზიანს აყენებს იმ ეკონომიკურ გარიგებებს, რომელშიც ეს საქონელი არ მონაწილეობს. მაგალითად, თუ მოულოდნელი წყალდიდობის გამო მსოფლიოში ხორბლის მოსავალი განახევრდა, ეს ფაქტი ხორბლის ღირებულებას გაზრდის, რადგან ხორბლის მიწოდება ბაზარზე მკვეთრად შემცირდება, რაც თავისთავად გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს საოჯახო მეურნეობების მომავალ გადანაცვლებებზე. კერძოდ, ნაკლებად შემოსავლიან ოჯახებში ხორბლისა და სხვა პროდუქტების მოხმარების პროპორციები შესაძლოა შეიცვალოს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მოულოდნელად მთავრობა დაბეჭდავს ბევრ ფულს, ეს ფაქტი შეცვლის არა მხოლოდ მოხმარების პროპორციებს, არამედ საზოგადოებაში დაგროვილ სიმდიდრეს გადაანაწილებს შემთხვევით და წარმოქმნის ინფლაციასთან დაკავშირებულ დამატებით დანახარჯებს. ამის მიზეზი არის ის, რომ ფული მონაწილეობს ნებისმიერ ეკონომიკურ გარიგებაში, იგი ეხება ყველა პროდუქტსა და მომსახურებას, ხოლო ფულზე ფასი გარიგებაში მონაწილე ადამიანებისათვის ხდება ხელმიწუნდომელი, არასტაბილური და უცნობი. მაშასადამე რაციონალური არჩევანის გაკეთებაში, სწორი გადანაცვლებების ფორმირებაში, მომავალი საქმიანობის უკეთესად დაგეგმვაში, შესაბამისად ეკონომიკის ზრდისა და ცხოვრების მაღალი პირობების უზრუნველყოფაში ფულზე ფასის სტაბილურობის საკითხს ცენტრალური ადგილი უკავია. როგორ მივაღწიოთ ფულზე ფასის სტაბილურობას?

ფულზე ფასის წარმოქმნა თავისუფალი ბაზრის პირობებში – ცნობილია, რომ თავისუფალ ბაზარზე ნებისმიერ საქონელზე ფასწარმოქმნა ხდება მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე. ადამიანები საქონელს ცვლიან მათი რეალური ღირებულების მიხედვით, რაც დამოკიდებულია ამ საქონლის ზღვრულ სარგებლიანობაზე. განვიხილოთ მაგალითი. დავუშვათ, ნიკას სჭირდება ხორბალი, ხოლო პავლეს შეუძლია მოიყვანოს ხორბალი დიდი რაოდენობით, თუ გამოიყენებს ნიკას შრომას. ბუნებრივია, ნიკას სურს გარკვეული დროის განმავლობაში იმუშაოს პავლეს სასარგებლოდ გარკვეული რაოდენობის ხორბლის სანაცვლოდ. რამდენი საათი უნდა იმუშაოს ნიკამ, რომ მიიღოს 1 კგ ხორბალი? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ზღვრული შემოსავლისა და ხარჯის ანალიზი. ნიკა თავის შრომას აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენი დამატებითი კილოგრამი ხორბლის შემოსავალს მიიღებს იგი ყოველი დამატებითი საათის მუშაობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ნიკა ქმნის მოთხოვნას ხორბალზე. პავლე ნიკას შრომას აფასებს იმის მიხედვით, თუ დამატებით რა რაოდენობის ხორბალი იქმნება ნიკას ყოველ დამატებით 1 საათის შრომაზე. შესაბამისად, პავლე ქმნის ხორბლის მიწოდებას ბაზარზე. გარიგება შედეგად იმ ფასზე, სადაც როგორც ნიკა, ისე პავლე ამ გარიგების შედეგად მიიღებენ ყველაზე მაღალ სარგებელს. ეს იქნება ამ ორი ადამიანის რაციონალური არჩევანი. ამდენად, მათი კეთილდღეობა გარიგებამდე არსებულ პერიოდთან შედარებით გაიზარდება (მაგალითად, არსებული გარემოებების პირობებში ნიკას 1 კგ ხორბალი უტოლდება პავლეს 2 სთ-იან შრომას). მაგალითი შედარებით გავართულოთ და დავუშვათ, რომ საზოგადოებას წარმოადგენს არა მხოლოდ ნიკა და პავლე, არამედ ასევე ნინო, გიორგი და მარიკა. ნინო აწარმოებს რძის პროდუქტებს. მარიკა ხელოვანია და ქმნის სხვადასხვა დეკორაციებს, ხოლო გიორგი ეწევა მეცხოველეობას და ამრავლებს ცხვარს. იმისათვის, რომ თითოეული ადამიანის კეთილდღეობა იყოს მაქსიმალური, თითოეულს სურს ისარგებლოს ჩვენს მიერ დასახელებული ხუთივე პროდუქტით. ბუნებრივია, თითოეულმა მათგანმა შესაძლებელია შექმნას ნატურალური მეურნეობა, სადაც შეეცდება სხვებთან კოოპერირების გარეშე შექმნას ხუთივე პროდუქტი, თუმცა

თითოეულის ეკონომიკური კეთილდღეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ ისინი მოახდენენ სპეციალიზაციას იმ სფეროებში, სადაც სხვებთან მიმართებაში შედარებით უპირატესობა გააჩნიათ. მაგალითად, პავლემ რძის პროდუქტების წარმოებაში არ უნდა დახარჯოს ის დრო, რომელსაც იგი გამოიყენებდა ხორბლის წარმოებაში. დროის ერთეულში პავლე უფრო მეტ ხორბალს ქმნის, ვიდრე რძის პროდუქტს. ამდენად, თუ პავლე ზედმეტ ხორბალს გაცვლის რძის პროდუქტებში, პავლეს უფრო მეტი რძის პროდუქტი და ხორბალი შეეხვდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, რომ პავლეს ორივე პროდუქტის წარმოება დაენყო. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ ადამიანებსა და პროდუქტებზეც. ფაქტიურად, სპეციალიზაცია არის შრომის დანაწილების საფუძველი. ხოლო თავისუფალი საზოგადოება იქმნება შრომის რაციონალური დანაწილების შედეგად. როდესაც თავისუფალი კონკურენციის პირობებში საზოგადოებაში წარმოებული საქონლის სახეობები და რიცხვი იზრდება, ბარტერული გაცვლა არის მეტად მოუქნელი და არაეფექტიანი. მაგალითად, დავუშვათ მარიკას დეკორაციები მოსწონს მხოლოდ ნიკას და გიორგის. იმისათვის, რომ ნიკამ და გიორგიმ შეისყიდონ დეკორაციები, სანაცვლოდ ნიკამ უნდა დათმოს შრომის, ხოლო გიორგიმ ცხერის გარკვეული რაოდენობა. თუმცა, თუ დავუშვებთ იმასაც, რომ მარიკასთვის ნიკას შრომა გამოუყენებელია და ცხერის ხორცსაც ასევე არ შეეძლება, გარიგება არ შედგება და

ნახახი 1.1



არცერთი ადამიანის კეთილდღეობა არ გაიზრდება. ამ შემთხვევაში საზოგადოების ყველა წევრი ეძებს იმ პროდუქტს, რომელსაც იყენებს ყველა ადამიანი. დავუშვათ ჩვენი მაგალითის შემთხვევაში ხორბალი არის სწორედ ასეთი პროდუქტი. მაშასადამე, ნიკას და გიორგის ხორბალი სჭირდებათ არა მხოლოდ იმისთვის, რომ იგი საკვებად მოიხმარონ, არამედ იმისთვისაც, რომ მარიკასგან დეკორაციები შეისყიდონ, რადგან მარიკა დეკორაციებს ცვლის სწორედ ხორბალში. ამ შემთხვევაში ხორბალი იქნის განსაკუთრებული საქონლის სტატუსს, რომელსაც თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ფული, რადგან გარდა ამ საქონლის აქამდე არსებული დანიშნულებისა, იგი ასრულებს გაცვლის და აქედან გამომდინარე, დაგროვებისა და ღირებულების საზომის ფუნქციასაც. ბუნებრივია, თითოეული ადამიანი ცდილობს ხორბალს შეუსაბამოს ყველა სხვა საქონელი. კერძოდ, რაციონალური არჩევანის გასაკეთებლად განსაზღვროს

თუ რა რაოდენობის შრომა, დეკორაცია, ცხვარი და რძის ნაწარმი გაცვალოს 1 კგ ხორბალში. სწორედ ასეთი ლოგიკით წარმოებს ფულზე ფასნარმოქმნა თავისუფალი ბაზრის პირობებში.

არის თუ არა ფულზე ფასი სტაბილური ან შესაძლებელია თუ არა, რომ გაცვლის დროს 1 კგ ხორბალში გამოხატული თანაფარდობა საქონლის რაოდენობებს შორის შეიცვალოს? ამ კითხვაზე საპასუხოდ მივმართოთ შემდეგ მსჯელობას: ჩვენი მაგალითის შემთხვევაში პავლე აღმოჩნდა ფულილეგირებული მდგომარეობაში, რადგან იგი ქმნის პროდუქტს, რომელიც ასრულებს ფულის ფუნქციას. თუმცა, პავლეს კეთილდღეობა ამ ფაქტის გამო მაინც არ შეიცვლება. თუ პავლეს ექნება ბევრი ფული ის შეძლებს უფრო მეტი რაოდენობის საქონლის შექმნას, მაგრამ ამას პავლე მოახერხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვები შეძლებენ უფრო მეტი რაოდენობის საქონლის შექმნას. მეტი საქონლის წარმოება კი დამოკიდებულია ადამიანის რაციონალურ არჩევანზე. დამატებითი შრომის საფასურად ადამიანმა უნდა მიიღოს დამატებითი შემოსავალი, რაც მის კეთილდღეობას გაზრდის. შესაბამისად, თუ ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას შექმნას უფრო მეტი პროდუქტი, იგი ქმნის უფრო მეტ მოთხოვნას ფულზე და მხოლოდ ეს ფაქტორი უზიძგებს პავლეს აწარმოოს უფრო მეტი ხორბალი. სხვა შემთხვევაში პავლე თავისი დროის ნაწილს დახარჯავს შრომაზე, რომელიც მისთვის უსარგებლო და გამოუყენებელი იქნება, რაც მას დააზარალებს. ადამიანი კი ყოველთვის ცდილობს, რომ გააკეთოს რაციონალური არჩევანი, რადგან მისი მიზანი არის კეთილდღეობის გაზრდა და არა მისი შემცირება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ პავლე ხორბლის ერთადერთი მწარმოებელია, მან შესაძლებელია არც გაზარდოს ფულის მიწოდება (ხორბლის წარმოება) ბაზარზე. კერძოდ, მაქსიმალური მოგების მიზნით აწარმოოს იმ რაოდენობის ხორბალი, რომელზეც მისი სარგებელი მაქსიმალური იქნება (დაანგოს მონოპოლიური ფასი). რა მოხდება ამ შემთხვევაში? რატიმაუნდა ხორბალი გაძვირდება. წარმოიქმნება საზოგადოებრივი დანაკარგები და კეთილდღეობის გარკვეული ნაწილი დაიკარგება. თუმცა, ეს ყველაფერი ხდება ხორბლის, როგორც საქონელთან და არა ფულთან მიმართებაში. საზოგადოება ხორბალს გარდა ფულისა, მოიხმარს მისი პირდაპირი დანიშნულებითაც. საზოგადოებას ხორბალი სჭირდება საკვებადაც. კეთილდღეობის შემცირების ფაქტი ამ კონტექსტში უკავშირდება იმ ვარაუდს, რომ შექმნილი ხორბლის რაოდენობა საკვები დანიშნულებით უფრო მეტი იქნებოდა, პავლეს რომ უფრო მეტი ხორბალი ეწარმოებინა, მაგრამ პავლემ უფრო ნაკლები შრომის საფასურად მიიღო ის სარგებელი, რომელიც მას სურდა. კეთილდღეობის ის ნაწილი, რომელიც საზოგადოებამ დაკარგა წარმოდგენილია ნახაზზე 1.1.

შეცვლის თუ არა ხორბლის დეფიციტი საზოგადოების კეთილდღეობას იმ კონტექსტში, რომ საზოგადოებას ხორბალი სჭირდება არა როგორც საკვები, არამედ როგორც ფული? ხორბლის გაძვირება გულისხმობს, რომ 1 კგ ხორბალში უფრო მეტი რაოდენობის საქონელი და მომსახურება იცვლება. მაშასადამე, ადამიანებს გარიგებისთვის სჭირდებათ უფრო ნაკლები რაოდენობის ხორბალი იმისათვის, რომ გააკეთონ რაციონალური არჩევანი. ხორბლის ფასი იზრდება ნიშნავს, რომ ხორბლის მსყიდველობითი უნარი იზრდება და ამდენად, ფასები წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე მცირდება. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებას ახლა უფრო ნაკლები ხორბალი აქვს, ვიდრე ისურვებდა რომ ჰქონდეს, მაგრამ ამავდროს ფასები საქონელსა და მომსახურებაზე შემცირებულია, რადგან მათ უფრო ნაკლები ხორბალი სჭირდებათ ეკონომიკური გარიგებების სანარმოებლად, საზოგადოების კეთილდღეობა უცვლელი რჩება.

ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც პავლემ უფრო მეტი რაოდენობის ხორბალი შექმნა, ვიდრე ეს საზოგადოებას სურდა. პავლე ცალსახად დაზარალდება, რადგან იგი დახარჯავს უფრო მეტ შრომას, ხოლო სანაცვლოდ მიიღებს ნაკლებ პროდუქტს. ხორბლის,

როგორც საკვები პროდუქტის დანიშნულების კონტექსტში პავლეს კეთილდღეობა შემცირდება. ამდენად, თუ პავლე ნორმალური ადამიანია, იგი არ მიაყენებს თავისთავს ზიანს. დავეშვათ პავლე არანორმალურია და მან გადაწყვიტა უფრო მეტი ხორბალი შექმნას, ვიდრე ეს საზოგადოებას სჭირდება. ბუნებრივია, საზოგადოების კეთილდღეობა ამ შემთხვევაშიც არ შეიცვლება. მეტი ხორბლის წარმოება ნიშნავს, რომ 1 კგ ხორბლის სანაცვლოდ უფრო ნაკლები რაოდენობის საქონელი გაიცვლება. მაშასადამე, ადამიანებს აქვთ უფრო მეტი ხორბალი და ასევე სჭირდებათ უფრო მეტი ხორბალი რაციონალური არჩევანის გასაკეთებლად. ფაქტიურად, საქონელი ბაზარზე ძვირდება და ამ მოვლენას ინფლაცია ეწოდება. მაგრამ ადამიანებს უფრო მეტი ფული (ხორბალი) აქვთ ვიდრე ადრე ქონდათ და ეს მათ ეკონომიკურ გარეგნებზე არანაირ გავლენას არ მოახდენს. ამდენად, ასეთი ინფლაცია სულაც არ არის საშიში საზოგადოებისთვის. რაც არ უნდა მოიმოქმედოს პავლე, ფულის მსყიდველობითუნარიანობის ცვლილება არ შეცვლის არაფერს და შესაბამისად ვერ იქონიებს გავლენას გაცვლის პროცესში ადამიანების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალბათობა იმის, რომ პავლე არანორმალურია, თითქმის ნულის ტოლია, რადგან პავლემ შეძლო ისეთი საქონლის წარმოება, რომელიც საზოგადოებაში დიდი მოთხოვნით სარგებლობს, ხოლო ეს კი შესაძლებელია თუ ადამიანი სწორად აფასებს ალტერნატივებს და ახერხებს რაციონალური არჩევანის გაკეთებას.

კლასიკური დიხოტომიის თანახმად, ნომინალური ცვლადები ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს რეალურ მაჩვენებლებზე. თავისუფალი ბაზრის პირობებში (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი მონოპოლიურია) არაადექვატური ცვლილება ფულის მიწოდებაში ცვლის ფულის ფასს, მაგრამ ეს ფაქტი ვერ ცვლის საქონლის რეალური ღირებულებით მაჩვენებლებს. მაგალითად, თუ 1ლიტრი რძე ღირს 1 კგ ხორბალი, ხოლო 1 კგ ხორცი ღირს 5 კგ ხორბალი, მაშინ ბარტერული გაცვლის პირობებში 1 კგ ხორცი გადაიცვლება 5 ლ რძეში. თუ არანორმალური პავლე გაზრდის ხორბლის წარმოებას, მაშინ პირობითად 1ლიტრი რძე გაძვირდება და გახდება 2 კგ ხორბალი, შესაბამისად, 1 კგ ხორცი იქნება 10 კგ ხორბალი. შესაბამისად, 1 კგ ხორცი კვლავ გადაიცვლება 5 ლ რძეში. ანალოგიურად, თუ რაციონალური პავლე შეეცდება მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით მონოპოლიური ძალაუფლების გამოყენებას და ხორბლის წარმოების შემცირებას, რძეც და ხორციც გაიადფდება, ხოლო დამყარებული პარიტეტი $1/5$ -თან არ შეიცვლება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავისუფალ ბაზარზე ფასები გრძელვადიან პერიოდში სტაბილურია, ხოლო მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელია ინფლაცია (ფასების შემცირება) და ასევე, პრაქტიკულად უნდა გამოვრიცხოთ ინფლაცია (ფასების გაზრდა).

საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა საზოგადოებებში ფულის როლს ასრულებდა თამბაქო, ხორბალი, ფერადი მეტალები, ცხვარი და სხვ. თუმცა, ოქრომ და ვერცხლმა ყველაზე კარგად იტვირთა ფულის ფუნქცია. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე სახელმწიფოთა უმრავლესობამ ერთხმად აღიარეს ოქროს ფულად გამოყენების უპირატესობა სხვა საქონელთან შედარებით, რამაც ოქრო (და ნაწილობრივ ვერცხლიც) მრავალი საუკუნის წინ აქცია მსოფლიო ფულად. საზოგადოებაში არასოდეს წარმოქმნილა თანამედროვე მონეტარული მსოფლიოს პარიტეტის წარმოების მოთხოვნა, რადგან ფულის საბაზრო ფასწარმოქმნის პირობებში ინფლაციას საზოგადოება არასოდეს შეუწუხებია მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სისტემა იყო თავისუფალი ყოველგვარი ცენტრალური ბანკის ზენოლისგან და შეზღუდვებისგან. ინფლაცია ეს არის ზედმეტი ფულის მასის შედეგი, ხოლო ბანკი თავისთავად დამატებითი ფულის ემისიის წყარო. იმისათვის, რომ ბანკმა არ წარმოქმნას მეტი ფული, ვიდრე ეს საზოგადოებას სჭირდება, ამიტომ იგი უნდა იყოს მკაცრი კონტროლის

² <http://www.ecb.eu/press/key/date/2009/html/sp090427.en.html>


ქვეშ – ეს არის ნეოკონისიანელებისა და ნეოკლასიკოსების პოლიტიკური გარიგების შედეგად წარმოქმნილი თეორია, რომელიც ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს დღეს მსოფლიოში. გადავხედოთ, პრესას, მედია საშუალებებს და პოლიტიკოსების გადაწყვეტილებებს 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ. ევროკავშირის ცენტრალური ბანკი სიამაყით აცხადებდა (Jean-Claude Trichet, President of the ECB, at the Chatham House Global Financial Forum New York, 27 April 2009), რომ მან შეძლო ევროს სტაბილურობის შენარჩუნება კრიზისის პერიოდში უფრო მეტად, ვიდრე ეს აშშ-ს ცენტრალურმა სარეზერვო სისტემამ მოახერხა. ევროპის კომერციული ბანკების ფინანსური სისტემა გაცილებით უფრო მდგრადია და კომერციულ ბანკებს არ ელოდებოდა ის, რაც ამერიკულ უმსხვილეს კომპანიებს დაემართათ. ამის მიზეზი კი ევროკავშირის ცენტრალური ბანკის შემზღუდავი პოლიტიკაა, რომელმაც მონეტარისტული ბერკეტების გამოყენებით შეძლო ფულის მასაზე მკაცრი კონტროლის დანერგვა.

ეს არგუმენტები დამაჯერებელი იქნებოდა ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელმაც არ იცის თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და რა როლს ასრულებს ფული საზოგადოებაში. ინფლაცია არ შეიძლება იყოს თავისუფალი ბაზრის შედეგი და ამას ადასტურებს პერიოდი, როდესაც ფულზე ფასწარმოქმნა ხდებოდა თავისუფალი ბაზრის პირობებში. სინამდვილეში საბანკო სისტემა უფრო მეტად დაცული არის იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად იზღუდება.

რა არის ბანკი? – კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ადამიანებს გაუჩნდათ დანაზოგების შექმნის მოთხოვნილება. საოჯახო მეურნეობები იღებენ გადაწყვეტილებას, რომ მათ შემოსავლის გარკვეული ნაწილი დახარჯონ მომავალში საქონლისა და მომსახურების შესაძენად. მაგალითად, თუ თქვენ გაქვთ სურვილი დაისვენოთ ხანგრძლივი შრომისა და გადაღლილობის შემდეგ, მუშაობის პერიოდში თქვენი შემოსავლის ნაწილი არ უნდა დახარჯოთ და შეინახოთ იმ დღისთვის, როდესაც დასვენების პერიოდი დადგება. უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე, ადამიანები ფულის სახლში შენახვას აჯობებენ ბუნებრივ სპეციალიზირებულ დაწესებულებებს, რომლებიც გარკვეულ საფასურად ასეთ მომსახურებას სთავაზობდნენ. თავდაპირველად ბანკი იყო სწორედ დანაზოგების წყარო. თუმცა, კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც სურდათ დაეხარჯათ უფრო მეტი, ვიდრე მიმდინარე პერიოდში მათი შემოსავალი ამის საშუალებას იძლეოდა. საოჯახო მეურნეობები მზად იყვნენ აელოთ სესხი გარკვეულ საფასურად იმ იმედით, რომ ვალს მომავალი შემოსავლებით გაისტუმრებდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ ჭარბი კაპიტალი ჰქონდა ბანკს, მან იტვირთა მთავარი კრედიტორის ფუნქცია. ფაქტიურად, ბანკმა შეძლო დამზოგველების და კრედიტორის ადების მსურველთა ორიბი დაკავშირება. საზოგადოებაში გაჩნდა ახალი ტიპის ეკონომიკური გარიგებები, ხოლო ბანკი იქცა ბიზნესის განვითარების ძირითად წყაროდ. ასე ჩამოყალიბდა ფულის და კაპიტალის ბაზარი. ფასი ამ ბაზარზე, რომელსაც სარგებლის განაკვეთი ეწოდება, წარმოიქმნება ზუსტად ისე, როგორც ნებისმიერ სხვა საქონელზე, სადაც ფულის მიწოდებას ბანკის მეშვეობით ახდენენ ის საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც მოცემულ ეტაპზე სურთ დანაზოგების ფორმირება, ხოლო ფულზე მოთხოვნას ქმნიან ის ადამიანები, რომლებსაც სურთ მოცემულ პერიოდში უფრო მეტი ფულის დახარჯვა წარმოქმნილი ვალის მომავალი შემოსავლებით გასტუმრების ხარჯზე. ბანკი გარკვეულ საფასურად იზიდავს ანაბრებს და უფრო მაღალ ფასად გასცემს კრედიტებს. სხვაობას ეწოდება საბანკო შემოსავალი, რასაც ეფუძნება საბანკო ბიზნესი. მაშასადამე, თითოეული ბანკის ინტერესში შედის, რომ გაასესხოს დიდი რაოდენობით ფული იმისათვის, რომ მომავალში ორგანიზაცია უზრუნველყოს უფრო მაღალი შემოსავლებით.

ამ თვალსაზრისით, ბანკი მართლაც შეიძლება განვიხილოთ ზედმეტი ფულის მასისა და მაშასადამე ინფლაციის წყაროდ. დავუშვათ, გიორგიმ გადაწყვიტა დანაზოგის გაკეთება 3 წლის ვადით და ბანკში 100 ლარი შეიტანა. ბანკმა წინოს 100 ლარი ასესხა. დანაზოგზე სარგებლის მიღების მიზნით წინომ 100 ლარი მეორე ბანკში შეიტანა. მეორე ბანკს ასევე გაუჩნდა 100 ლარის შემოსავალი, რომელიც შეუძლია, რომ გაასესხოს მესამე პირზე. ფაქტიურად, სესხად გაცემული ფული აჭარბებს იმ რაოდენობას, რომელიც ყველა ბანკში ერთად

ნახაზი 12




ფიზიკურად ფიგურირებს, როგორც ანაბარი, რაც შეიძლება გახდეს ინფლაციის წყარო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბანკი არასოდეს არ გასცემს საბანკო ანაბრის რაოდენობის კრედიტს. დაზღვევის მიზნით, ბანკები ქმნიან რეზერვებს. როგორც გიორგიმ, ასევე წინომ, უნდა მიიღონ სარგებელი იმისთვის, რომ ისინი თავიანთ საკუთრებას ანდობენ ბანკებს. შესაბამისად ბანკებმა ამ ვალდებულების შესრულების მიზნით 100 ლარის ანაბრიდან უნდა დაიტოვონ თანხის გარკვეული ნაწილი (მაგალითად 10 ლარი). გაცემული კრედიტის რაოდენობა უფრო ნაკლები იქნება, რაც ხელს შეუშლის ზედმეტი ფულის გარჩენას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფულის მიწოდება მაინც გაიზარდება ფულის მულტიპლიკატორის ეფექტით. მაგალითად, თუ ბანკი ყოველი 100 ლარიდან არეზერვებს 10 ლარს, ანუ 10%-ს, გასესხებული ფულის მაქსიმალური რაოდენობა შესაძლოა გახდეს 1000 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებაში არ იზრდება წარმოების დონე, მაშინ მივიღებთ სიტუაციას, რომელიც ძალზე ნააგავს არანორმალური პავლეს ისტორიას. ლარის მსყიდველობითი უნარი შემცირდება და პროდუქტი ბაზარზე გაძვირდება. ე.ი. ადგილი ექნება ინფლაციას. თეორიული მსჯელობის დონეზე ასეთი რამ მართლაც შეიძლება რომ მოხდეს, მაგრამ რამდენად დიდია ამის ალბათობა? თუმცა, სანამ ამ კითხვას ვუპასუხებთ, ასეთი დაშვების შემთხვევაშიც კი ინფლაცია არ არის საშიში საზოგადოებისთვის გრძელვადიან პერიოდში, რასაც ასევე შევეცდებით, რომ ჩვენს მსჯელობაში დავასაბუთოთ.

რაციონალური არჩევანი ეს არის ადამიანის კონკრეტული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება კი ყოველთვის ეფუძნება მომავალში განსახორციელებელ ქმედებას, რომელიც უნდა შესრულდეს ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად და ამდენად, იგი ყოველთვის რისკის შემცველია. რისკი უკავშირდება ალბათობას, რომ მომავალში გადადგმული ნაბიჯე-

ბი განაპირობებს მოსალოდნელ შედეგებს. გადანყვეტილება შედეგის მომტანია, თუ ადამიანი ეფექტურად მიმართავს რესურსებს ორგანიზაციული გარემოს შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისა და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით. თავისუფალ ბაზარს ქმნიან სწორედ ის ადამიანები, რომლებიც ახერხებენ რაციონალური არჩევანის გაკეთებას. ამდენად, თავისუფალ ბაზარზე საოჯახო მეურნეობები სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების საფუძველზე ცდილობენ დაიკაონ ის საბაზრო სეგმენტი; სადაც კონკურენტებთან მიმართებაში ექნებათ შედარებით უპირატესობა. მაშასადამე ბანკი, რომელსაც ენდობა თავისუფალი საზოგადოება ყოველთვის აკეთებს რაციონალურ არჩევანს. ბანკის შემოსავალი იზრდება, როდესაც ახერხებს კრედიტების ზუსტი ადრესატისათვის მიწოდებას. სარგებლის განაკვეთი არის სწორედ ის ფენომენი, რომელიც ზედმეტი ფულის წარმოქმნის რისკს მინიმუმამდე ამცირებს. სარგებლის განაკვეთის დონის მიხედვით დანაზოგებისა და ინვესტიციების რაოდენობა ყოველთვის გრძელვადიან წონასწორობაშია. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებაში დანაზოგების რაოდენობა შემცირდება, ეს ფაქტი წარმოქმნის სესხზე დეფიციტს, რის გამოც სარგებლის განაკვეთი გაიზრდება, ხოლო სესხის ამლების მსურველთა რიცხვი შემცირდება. ამდენად, დანაზოგები და ინვესტიციები კვლავ გრძელვადიან წონასწორობაში იქნება (ნახაზი 1.2).

ბანკი ეძებს ისეთ კლიენტებს, რომლებსაც შეუძლია დროის გარკვეულ მონაკვეთში სესხი გადააქციოს უფრო დიდ აქტივად. ფაქტიურად, სარგებლის განაკვეთის მიხედვით ბანკი ეძებს რაციონალურ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ კეთილდღეობის გაზრდა და არა შემცირება. შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია აღმოვჩინოთ სიტუაციაში, როდესაც წარმოებული ინვესტიციების რაოდენობა აღემატება არსებულ დანაზოგებს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბაზარზე ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ბანკი, მოგების სურვილი ამოძრავებს მას არ შექმნას ინფლაცია. თუ თეორიულ დონეზე მანაც დაეუშვებთ, რომ ბანკებმა ირიბი გზით შესაძლოა გაზარდონ ფულის მიწოდება, მაშინ ცალსახაა, რომ

ნახაზი 13



¹ http://ka.wikipedia.org/wiki/დიდი_დეპრესია

ისევე, როგორც პავლეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს არანორმალურ ბანკებთან, რომლებიც მიზანმიმართულად ცდილობენ საკუთარი თავის გაკოტრებას, რაც არარეალურია.

როდესაც უამრავი კრიტიკოსი ჩვენი არგუმენტების გაბათილებას ვერ შეძლებს, ჩაულრმავედა ეკონომიკის ისტორიის გაკვეთილებს და რიხიანი დამაჯერებლობით მიგვითითებს მსოფლიო ეკონომიკური წარსულის ორ დიდ მონაკვეთზე: მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დიდ დეპრესიასა და 70-იანი წლების მონეტარული სისტემის კრახზე. განვიხილოთ თითოეული მათგანი და მეცნიერულად გავაანალიზოთ თუ რასთან გვაქვს საქმე.

დიდი დეპრესია – ეს ყო მასიური გლობალური ეკონომიკური ვარდნა, რომელიც გრძელდებოდა 1929 წლიდან დაახლოებით 10 წლის განმავლობაში. მან გამოიწვია უამრავი ბანკის გაკოტრება, რეკორდული უმუშევრობა, ისევე, როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ინდუსტრიული წარმოების, აქციათა ბაზარზე ფასთა და ასევე პრაქტიკულად ეკონომიკის ზრდის ყველა პარამეტრის მკვეთრი ვარდნა. ვარდნის პიკი მიღწეულ იქნა უკვე 1933 წელს, თუმცა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქნა შესაძლებელი ისეთი ინდიკატორების, როგორიცაა ინდუსტრიული წარმოება, საწარმოო აქციათა ფასებისა და გლობალური ერთობლივი შიდა პროდუქტის 1929 წლის დონეზე აყვანა. სახელწოდება "დიდი დეპრესია" ამ მოვლენისთვის დარქმეულ იქნა იმ მიზეზის გამო, რომ ეს იყო ინდუსტრიული ქვეყნების ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ვარდნა წარმოებასა და პროდუქტიულობაში, და რომ მისი ეფექტი საგრძნობლად მტკივნეული იყო მთელ ინდუსტრიულ მსოფლიოსა და მათი სავაჭრო პარტნიორებისთვის განვითარებად ქვეყნებში. დიდი დეპრესიის მიზეზებზე ბევრი დაინერა. უმთავრეს მიზეზად არასწორი მონეტარული პოლიტიკა სახელდება. ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია დეფლაცია. სწორედ დეფლაცია გახდა დიდი დეპრესიის მიზეზი?

დეფლაცია ეს არის ინფლაციის საპირისპირო მოვლენა, როდესაც ფასები საქონელსა და მომსახურებაზე მცირდება. თუ თავისუფალ ბაზარზე ინფლაციის გამოწვევა თეორიულად შეუძლიათ მხოლოდ არანორმალურ ადამიანებს, დეფლაცია ბაზრის თანმდევი პრაქტიკული და მოკლევადიანი მოვლენაა. როდესაც რაციონალური გადაწყვეტილებების რიცხვი მატულობს, იზრდება წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების რაოდენობა, რაც იწვევს ეკონომიკურ ზრდას. შესაბამისად, მოკლევადიანი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ, რის შედეგადაც წარმოების დონე იზრდება, ხოლო ფასები პროდუქტებზე მცირდება. კლასიკური დიხოტომიის თანახმად, ფასები ნეიტრალურია რეალურ მაჩვენებლებთან მიმართებაში. ფაქტიურად, ფასების შემცირებამ არანაირი გავლენა არ უნდა მოახდინოს შემდგომ ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა, მოკლევადიან პერიოდში ფასების შემცირება მაინც ახდენს გარკვეულ გავლენას წარმოების დონეზე, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელს უშლის გაზრდილი კეთილდღეობის შენარჩუნებას. ეკონომიკურ თეორიაში, გრაფიკულად მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი აღმავალია, ხოლო გრძელვადიანი მიწოდების მრუდი – ვერტიკალური (ნახაზი 1.3).

განსხვავებას შედეგებში მოკლევადიან და გრძელვადიან მიწოდებას შორის ხსნის ე.წ. საზოგადოების დროებითი ილუზიები, რომელიც უკავშირდება ცრუ ალქმის, ხისტი ხელფასებისა და ფასების თეორიებს. მაგალითად, როდესაც პავლე ალმოაჩენს, რომ ბაზარზე ხორბლის ფასები დაეცემა, იგი შეეცდება ხორბლის წარმოების შემცირებას, რადგან ხორბალი აღარ არის მისთვის ისეთი მომგებიანი, როგორც ეს იყო მაღალი ფასების პირობებში. გარკვეული პერიოდის შემდეგ პავლე ასევე შეამჩნევს, რომ ფასები შემცირდა არა მხოლოდ ხორბალზე, არამედ ყველა პროდუქტზე. ფაქტიურად შემცირდა არა მხოლოდ პავლეს შემოსავალი, არამედ პავლეს ხარჯებიც. ამდენად, ხორბლის წარმოების შემცირება აზრს

კარგავს და პავლეს მოტივაცია ანარჩოს უფრო მეტი ხორბალი მკეთებდა იზრდება. დროის იმ მონაკვეთში, როდესაც პავლე ფიქრობს ქარბი ხორბლის მოშორებას, ეს ხელს უწყობს ნარმოების დონის შემცირებას და უმუშევრობის ზრდას, რასაც ეკონომიკაში რეცესიას უწოდებენ. ამდენად, დეფლაცია არის რეცესიის მიზეზი. ხოლო რეცესიას მწვავე ფორმით უწოდებენ დეპრესიას. ფულის თავისუფალ ბაზარზე, როგორც წესი, ადგილი აქვს დეფლაციას და არა ინფლაციას. როდესაც ერთობლივი მიწოდება იზრდება, ერთი მხრივ, პავლე ცდილობს ხორბლის ნარმოების გაზრდასაც, რადგან მას სურს, რომ თავად ისარგებლოს გაზრდილი კეთილდღეობითაც. თუმცა, ხორბლის ნამეტი აბალანსებს გაზრდილი კეთილდღეობის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც პავლეს შეეხება. დანარჩენი საზოგადოებისთვის ზრუნვა პავლეს ინტერესში არ შედის. მეორე მხრივ, მოკლევადიან პერიოდში, პავლე სხვების მსგავსად იმყოფება ილუზიებში და ამჩნევს რა ხორბალზე ფასების კლების ტენდენციას კარგავს უფრო მეტი ხორბლის ნარმოების მოტივაციას. ამდენად, ფულის თავისუფალ ბაზარზე მოსალოდნელია, რომ ერთობლივი მოთხოვნა შედარებით უფრო ნელა გაიზრდება, ვიდრე ერთობლივი მიწოდება, რაც გამოიწვევს დეფლაციას და აქედან გამომდინარე, შესაძლოა რეცესიასაც მოკლევადიან პერიოდში. თუმცა, ასეთი დეფლაცია (ისევე, როგორც ინფლაცია) სულაც არ არის საშიში საზოგადოებაში შემდეგი მიზეზების გამო:

1. ფული მიწოდება მათ, ვინც ქმნის ფულზე მოთხოვნას. შესაბამისად, შეუძლებელია ქონების შემთხვევითი გადანაწილება;
 2. დროთა განმავლობაში საზოგადოება ამჩნევს, რომ იკლებს ფასი არა კონკრეტულ პროდუქტზე, არამედ ეკონომიკაში მცირდება ფასების დონე, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანების კეთილდღეობა გაიზარდა (და არა შემცირდა).
 3. ფასები პროდუქტზე უფრო ადვილად იზრდება, ვიდრე მცირდება. ეს საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრება ხელს უშლის მოკლევადიანი რეცესიის ნარმოქმნას
 4. დროთა განმავლობაში საზოგადოება ეგუება ფასების დონის შემცირებას ერთობლივი მიწოდების ზრდის შედეგად. განსხვავება ადამიანების მოლოდინსა და ფაქტიურ რეალობას შორის თანდათანობით მცირდება. შესაბამისად, მცირდება როგორც მოკლევადიანი რეცესიის დროის მონაკვეთი, ასევე რყევის ამპლიტუდაც (მ. ფრიდმენის მოლოდინის თეორია)
- მაშასადამე, ფულის თავისუფალი ბაზრის პირობებში შეუძლებელია მოკლევადიანი რეცესია გადაიტყვეს დეპრესიად. უფრო მეტიც, რაც უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებს თავისუფალი ბაზარი, მით უფრო მეტად მცირდება მოკლევადიანი პერიოდების ნარმოქმნის ალბათობაც.

რამ გამოიწვია დიდი დეპრესია? – როგორც აღვნიშნეთ, მთავრობის არასწორმა მონეტარულმა პოლიტიკამ. ეს არის პიტერ ტემინის შეფასება და მასში ეჭვი არავის ეპარება. ფულის ბაზარი, კლასიკური გაგებით არასოდეს ყოფილა თავისუფალი. მთავრობა მიზანმიმართულად და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ამცირებდა ფულის მიწოდებას. ფულის მიწოდების შემცირება ნიშნავს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას (ნახაზი 1.3). როგორ ნახაზიდან ირკვევა, როდესაც მთავრობა ამცირებს ფულის მიწოდებას, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარცხნივ. რაც იწვევს პროდუქტებზე ფასების დონის შემცირებას და რეცესიის ნარმოქმნას დროის მოკლევადიან პერიოდში. მას შემდეგ, როდესაც საზოგადოება გადალახავს ცრუ აღქმის ბარიერს, უმუშევრობა კვლავ დაუბრუნდება მის ბუნებრივ დონეს. მაგრამ ასეთი დეფლაცია (ისევე, როგორც ინფლაცია) უქმნის ძალზე დიდ საშიშროებას ადამიანების კეთილდღეობას შემდეგ მიზეზთა გამო:

1. ფულის მიწოდების მკვეთრი ცვლილება იწვევს საზოგადოებაში პანიკის შექმნას. ინფლაციის დროს, როდესაც ფული სწრაფად კარგავს მსყიდველობით უნარს, წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება ადამიანების რიცხვი, რომელიც ცდილობს ფულის მოშორებას, რაც კიდევ უფრო მეტად იწვევს ფულის მიწოდების გაზრდასა და ფულზე მოთხოვნის შემცირებას. ინფლაციის შედეგების გაანალიზება მკითხველისთვის უფრო მარტივია, რადგან ჩვენ ყველანი ვიმყოფებით ინფლაციის ეპოქაში. საპირისპირო მიმართულებით, მაგრამ იგივე მწვავე შედეგი დგება დეფლაციის შემთხვევაშიც. ფულის მიწოდების მკვეთრი შემცირება იწვევს პანიკას პროდუქციის წარმოებლებში. ფულზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება და წწარმოებლები ცდილობენ პროდუქციის მოშორებას ნაბიძგი ფასად. რაც იწვევს უმუშევრობის მკვეთრ გაზრდას და წარმოების დონის დიდი დაზიანებით შემცირებას. ერთობლივი მიწოდების რაოდენობის შემცირება მოკლევადიანი მოვლენაა, რადგან საზოგადოება დროთა განმავლობაში ახერხებს შოკიდან გამოსვლას, ხდება ფასების შემცირების მიზეზებს და უმუშევრობა კვლავ უბრუნდება მის ბუნებრივ დონეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა მის მიერ დაშვებული შეცდომის საპასუხოდ არ უშვებს მეორე შეცდომას და არ განაგრძობს ფულის მიწოდების შემცირების პოლიტიკის შეჩერებას. მონეტარულში ხელს უშლის ახალი გრძელვადიანი წონასწორობის წარმოქმნას, ხოლო ხანგრძლივი პანიკა გარდაქმნის რეცესიას დეპრესიად.

2. ქონების შემთხვევითი გადანაწილება – ისევე, როგორც ინფლირების, ასევე ერთობლივი მოთხოვნის შემცირების პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში ეკონომიკაში რესურსები და დაგროვილი სიმდიდრე ნაწილდება შემთხვევით. როდესაც ფასი პროდუქტზე მცირდება მთავრობის მიერ ფულის მიწოდების შემცირების შედეგად, ახალი გრძელვადიანი წონასწორობის წარმოქმნამდე ფასი არ წარმოადგენს საბაზრო ინფორმაციის მატარებელს. რის გამოც იზრდება არარააციონალური გადანყვებილებების რიცხვი. შედეგად, არჩევანის გაკეთებასა და საქონელთა გაცვლის პროცესში დიდი ალბათობით რესურსების მესაკუთრეები ხდებიან ნაკლებად ეფექტური ადამიანები, რომლებიც შედარებით უყარათოდ ახდენენ მათ გამოყენებას, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც მათ განკარგავდნენ მანამდე, სანამ მთავრობის მონეტარული ინტერვენციები განხორციელდებოდა. ეს ფაქტი კი ხელს უშლის მომავალში კეთილდღეობის მატებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანების ცხოვრების დონე ეხლა უკვე ნაკლებად მოიმატებს, ვიდრე ეს მოხდებოდა თავისუფალი ბაზრის ბირობებში.

ამ ფაქტორებმა განაპირობა სწორედ დიდი დეპრესიის წარმოქმნა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში კენისიანური პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება იაფი კრედიტის თეორიას და ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, გამოიწვევდა მოკლევადიან ეკონომიკურ ბუმს. საზოგადოებრივი ცნობიერება შეიცვლებოდა 180 გრადუსით. ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა (ნახაზი 1,3) გამოიწვევდა ფასების დონის მატებას, მაგრამ ამავე დროს დასაქმების მკვეთრ ზრდას დიდი დეპრესიის ფონზე დროის მოკლევადიან პერიოდში. იმდენად გაიზარდა საზოგადოების ცირე მოლოდინები წარმოებულ პოლიტიკის მიმართ, რომ მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ამ ილუზიების ტყვეობაში იმყოფება. დიდი დეპრესიის შემდეგ, ეკონომიკური აღმასვლა დაიწყო არა ეკონომიკის ინფლირირების შედეგად, არამედ იმ მიზეზით, რომ სამთავრობო ინტერვენციები შენედა, ფასები პროდუქტებზე გახდა საბაზრო და მაშასადამე, რეალური ინფორმაციის მატარებელი. ერთობლივი მიწოდების მრუდი გახდა ვერტიკალური და ფასების ახალ დონეზე, უმუშევრობა დაუბრუნდა მის ბუნებრივ დონეს. ახალმა გრძელვადიანმა წონასწორობამ მნიშვნელოვნად გაზარდა რაციონალური გადანყვებილების რიცხვი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ბაზარი

მთლიანად აუთვისებელი იყო, რამაც ხელი შეუწყო საბაზრო ქვეყნების სწრაფ განვითარებას. დროთა განმავლობაში, 70-იანი წლების კრიზისმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ კეისინიანიური ეკონომიკის შედეგი ვერ იქნებოდა საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვების საფუძველი. ასპარეზზე გამორჩნდნენ ნეოკლასიკოსები, რომელთაც კლასიკოსებისა და ლიბერალიზმის მიმდევრების ფილოსოფია საზოგადოებას ახალი კუთხით დაანახეს, თუმცა ფულის თავისუფალი ბაზრის თემა სამუდამოდ დაიხურა და იგი თითქოს კლასიკური ლიბერალიზმის წიაღში დაიმარხა.

რა მოხდებოდა, რომ პავლეს მიზანმიმართულად და პერმანენტულად დაეწყო ხორბლის მიწოდების შემცირება? – რა მნიშვნელობა აქვს, ამას მთავრობა გააკეთებს თუ რესურსების მესაკუთრე ადამიანი, მთავრობაშიც ხომ ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებებს. განსხვავება ისაა, რომ პავლეს, როგორც ხორბლის მესაკუთრეს ამოძრავებს მოგების მიღების სურვილი, ამიტომ მისი გადაწყვეტილება უკავშირდება რისკს, რომელიც კომპენსირდება მომავალი შემოსავლებით. მთავრობაში მყოფი ადამიანები მოქმედებენ ე.წ. საზოგადოებრივი ინტერესებით. ამდენად, მათი გადაწყვეტილებები არ არის რისკის შემცველი. მათ კეთილდღეობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ერთადერთი რამ, რაც შეიძლება მთავრობას შეეხოს, ეს არის საზოგადოებრივი წდობის შემცირება და ისიც მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებში, რომელიც სრულდება არჩევნებში ხმის მიცემით. ამ შემთხვევაში რისკი და შემოსავალი არ არის ერთმანეთის პროპორციული. ეს ორი ფენომენი არ აბალანსებს ერთმანეთს და ამიტომაც არის საშიში. ამდენად, ალბათობა იმის, რომ პავლე მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ძალზე მცირეა. იმ შემთხვევაში, თუ პავლე მაინც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებებს, მაღალი მოგების მიღების წყურვილი უზრდის მოტივაციას სხვა ადამიანებს დაიწყონ ხორბლის წარმოება. მით უარესი პავლესთვის. მას ეყოლება კონკურენტები და მოუწევს კეთილდღეობის ნაწილის მათთვის განაწილება. მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც მონეტარიზმის მომხრეებს მოყავთ ფულის მიწოდების საკითხებში მთავრობის აქტიური როლის წარმოსაჩვენად არის ის, რომ ერთობლივი მიწოდების პროპორციულად, მთავრობას შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა. თუ პავლეს ინტერესს არ წარმოადგენს ეს, მთავრობა ვალდებულია განახორციელოს საზოგადოებრივი დაკვეთიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში, საზოგადოება აღარ იქნება დამოკიდებული პავლეზე და მოკლევადიანი რეცესიებიც აღარ წარმოიქმნება. აღნიშნული მოსაზრება გახდა თანამედროვე მონეტარიზმის წარმოქმნის ერთ-ერთი წინაპირობა. თუ გვაკეთებთ ასეთ დაშვებას, რომ ამ საკითხში მთავრობას უმტიკონვენულოდ შეუძლია პავლეს ჩანაცვლება, მაშინ საზოგადოების სარგებელი მართლაც გაიზრდება. ჩვენ შევეცდებით, რომ უპასუხოთ არ დაგტოვოთ არცერთი მოსაზრება, მაგრამ მანამდე განვიხილოთ ბრეტონ ვუდსის და „ოქროს სტანდარტის“ სისტემები.

ოქროს სტანდარტი – ეს არის სისტემა, რომელშიც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ფულის მონეტები გადაცვალოს ოქროში ფიქსირებული, უცვლელი პროპორციით და შეუზღუდავი რაოდენობით. ფაქტიურად, ფულის მიწოდების გაზრდა მთავრობას შეუძლია მხოლოდ ოქროს რეზერვების მიხედვით. ამ შემთხვევაში ფულის მწარმოებელი არის მთავრობა, მაგრამ მისი ქმედება ფულთან მიმართებაში შეზღუდულია. მთავრობის ფუნქცია არის ის, რომ გარიგების პროცესში მონაწილე ოქროს, რომელიც გამოხატულია წონით ერთეულებში, ჩაანაცვლოს სპეციალური ხერხით დაბეჭდილი მონეტები, რომელიც ერთი მხრივ, წარმოაჩენს ქვეყანას და სახელმწიფოებრიობას, ხოლო მეორე მხრივ, მას როგორც ფულს აქვს უფრო პრაქტიკული გამოყენება, რადგან უფრო ადვილად ხდება მათი მიმოქცე-

ვა, დაგროვება და სხვა. იმ გაგებით, რასაც ჩვენ ვუნოდეთ ფულის თავისუფალი ბაზარი, პრაქტიკაში არც არასოდეს განხორციელებულა, თუმცა ასეული წლების განმავლობაში მსოფლიო ბაზარზე დომინირებდა ოქროს სტანდარტი. შეუზღუდავი რაოდენობით ოქროს ფულში გამოსყიდვა ქმნიდა ინფლაციის თეორიულ საშიშროებას. იმ შემთხვევაში, თუ ოქროს მიწოდება მკვეთრად გაიზარდებოდა, მაშინ ერთობლივი მიწოდება გადააჭარბებდა ერთობლივ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი მოტივაცია უბიძგებდა ადამიანებს საკუთარი სიცოცხლის ფასად ეპოვნათ ოქროს საბადოები, ოქრო ყოველთვის დეფიციტურ იყო პროდუქტი იყო მსოფლიო ბაზარზე. ბუნებრივია, ოქროს სტანდარტი განსხვავდება ჩვენს მიერ ფანხილული ფულის თავისუფალი ბაზრის მექანიზმისგან, მაგრამ თავისი შინაარსითა და ფილოსოფიით ეს სისტემა ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ფულის თავისუფალ ბაზარს. პავლეს და დანარჩენი ოთხი ადამიანის ისტორიას მივამატოთ მთავრობა, რომელიც მხოლოდ აღრიცხავს საზოგადოებაში მომხდარ გარიგებებს ოფიციალური მონეტების მეშვეობით. პავლე აწარმოებს ოქროს და მას მთავრობა შეუზღუდავი რაოდენობით უცვლის მონეტებში ფიქსირებული პროპორციით, რომელსაც შესაძლებელია ვუნოდოთ ფული. რადგან მონეტასა და ოქროს შორის დამოკიდებულება არის ფიქსირებული, ეკონომიკური გარიგებების შინაარსზე ეს ფაქტი არანაირ გავლენას არ ახდენს. გამომდინარე აქედან, ოქროს სტანდარტის სისტემას თავისუფლად შეგვიძლია ვუნოდოთ ფულის თავისუფალი ბაზარი. როდესაც კრიტიკოსები ოქროს სტანდარტის არაეფექტიანობაზე საუბრობენ, ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად დიდი დეპრესიის გარდა, 70-იანი წლების კრიზისი და ბრეტონ ვუდსის სისტემის კრაზი მოყავთ.

ბრეტონ ვუდსის სისტემა – ჯონ მეინარდ კეინსმა მსოფლიო შეცვალა. ფულის ბაზარმა დაკარგა თავისუფლება მას შემდეგ, რაც შეიქმნა საერთაშორისო მონეტარული ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი. ოქროს, როგორც სასაქონლო რეზერვს ჩაენაცვლა აშშ დოლარი – დეკრეტული ფული. შინაარსობრივად თითქოს არაფერი შეცვლილა. თუ აქამდე სახელმწიფოები ფულის მიწოდებას ზრდიდნენ ოქროს რეზერვების მეშვეობით, ახლა იგივეს გაკეთება შეეძლოთ აშშ დოლარის მიხედვით. რა მნიშვნელობა აქვს, გარიგებებს ადამიანები განახორციელებენ ოქროში თუ აშშ დოლარში, ფულზე მოთხოვნას ხომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ფაქტორები განაპირობებს. განსხვავება ისაა, რომ ასპარეზზე გამოჩნდა დეკრეტული ფული, რომელ-მაც იკისრა რეზერვის ფუნქცია. ოქრო სასაქონლო ფულია და მას კერძო მესაკუთრე ყავს. ოქრო შეზღუდული რესურსია. კერძო მესაკუთრე ზრდის ფულის მიწოდებას მეტი მოგების მოტივით. შესაძლებელია რეზერვის რაოდენობა არ იყოს საკმარისი, ვიდრე ფულზე მოთხოვნა, მაგრამ ფულის მიწოდება ვერასოდეს გადააჭარბებს ფულზე მოთხოვნას (არანორმალური პავლე). სულ სხვა ვითარება იქმნება ქალაქის ფულთან მიმართებაში. ქალაქის ფული არ არის სასაქონლო ღირებულების მატარებელი. დეკრეტული ფულის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ფულის მნიშვნელობით. ქალაქის ფულზე ვერ დანერტ წერილებს, კანონ-პროექტებს, ვერ დაბეჭდავთ წიგნებს. იგი უვარგისია, როგორც პროდუქტი. ამდენად, დეკრეტულ ფულზე, როგორც საქონელზე არ წარმოიქმნება მოთხოვნა და ადამიანები მას არ ყიდულობენ, რადგან არ სჭირდებათ. თავისუფალ ბაზარზე მხოლოდ საქონელმა შეიძლება იტვირთოს ფულის როლი. მეორე არსებითი განსხვავება არის ის, რომ დეკრეტული ფულის შემთხვევაში მთავრობა ფულის მიწოდების დროს არის მუდმივი მონოპოლისტი. ფულის ბაზარზე მას გააჩნია მიწოდების შეუცვლელი ძალაუფლება. ბუნებრივია, ეს თავისუფალ ბაზარზეც შეიძლება მოხდეს, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში. მოგების მაღალი ნორმა უბიძგებს სხვა ადამიანებს შეაღწიონ ფულის ბაზარზე.

თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფულის ბაზარზე მონოპოლისტი კერძო მესაკუთრეა, ძალზე მცირეა იმის ალბათობა, რომ ოდესმე ფულის მიწოდება გადააჭარბებს მასზე მოთხოვნას, რადგან ამით ზარალდება მხოლოდ კერძო მესაკუთრე. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სასაქონლო ფული შეზღუდული აქტივია. მესამე, ყველაზე არსებითი განსხვავება არის, რომ დეკრეტული ფული სულაც არ არის შეზღუდული რესურსი და მთავრობას საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია განზოგადოებული რაოდენობით დაბეჭდოს და მიიწოდოს საზოგადოებას. კრტიკოსები ალბათ იტყვიან, რომ ეს მსჯელობა თუ სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ადამიანები დანაზოგებს უნდა ქმნიდნენ ოქროში ან ნებისმიერ სხვა საქონელში უფრო მეტად, ვიდრე აშშ დოლარებში, ევროში, ფუნტ სტერლინგებში და სხვ. საქმე ის არის, რომ ქალაქის ფულს ზურგს უმაგრებს სახელმწიფო აპარატი. სახელმწიფო თავისთავად, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველი, არის დამსჯელი ინსტიტუტი და შეუბრალებელი ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს ხედვით, საზოგადოებრივი ინტერესი შეიძლება იყოს ქალაქის ფული, როგორც ერთადერთი ანგარიშსწორების საშუალება საზოგადოებისთვის. ამ საკითხში ადამიანებს არა აქვთ არჩევანის საშუალება და მათ მხოლოდ რჩებათ ერთადერთი იმედი, რომ სახელმწიფო არასოდეს იმოქმედებს საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ. როდესაც დეკრეტული ფული იქცევა ანგარიშსწორების ერთადერთ საშუალებად, იგი ყველაზე ლიკვიდური აქტივი ხდება, რადგან ფული, თავისი შინაარსით, პირველ რიგში ასრულებს მიმოქცევას და საქონელთა შორის გაცვლის ფუნქციას. ბუნებრივია, დანაზოგების გაკეთებისას, ადამიანი პირველ რიგში ითვისალისწინებს სწორედ იმ გარემოებას, რომ საჭიროებისამებრ შეძლოს საქონლის რაც შეიძლება სწრაფად შესყიდვა, თუმცა თუ იგი ნდობას დაკარგავს სახელმწიფოს მიმართ, შეიძლება მიიღოს სხვა გადაწყვეტილებაც. თუ არ ენდობით ლარს, შეგიძლიათ დანაზოგი შექმნათ ევროში, მაგრამ თუ არ ენდობით არცერთ საგადამხდელ საშუალებას, შეგიძლიათ შეიძინოთ უძრავი ქონება. მაგრამ, თუ მომავალში დაგჭირდათ დანაზოგის მეშვეობით საქონლის სწრაფად შესყიდვა, უძრავი ქონების გაყიდვა დროის მოკლე პერიოდში გაგიჭირდებათ. ამრიგად, გასაკვირი არ არის, რომ ადამიანების უმრავლესობა დანაზოგებს ქმნის ლიკვიდურ აქტივებში და უფრო მეტად იმ საგადამხდელ საშუალებაში, რომელ სახელმწიფოსაც უფრო მეტად ენდობა. მაშასადამე, დეკრეტული ფული არის უფრო მოცემულობა, ვიდრე თეორიული ანალიზით გამოწვეული პრაგმატული გადანყვებილების შედეგი. ადამიანები დეკრეტულ ფულს ბრმად არასოდეს უცხადებენ ნდობას. ოქროს სტანდარტის დროს ადამიანებმა იცოდნენ, რომ ისინი მიიღებდნენ იმ რაოდენობის ფულს, რა რაოდენობის ოქროსაც მიანდებდნენ მთავრობას. შესაბამისად, მთავრობა ვერ ახდენდა გავლენას ფულის მიწოდებაზე მანამდე, სანამ რეზერვის ფუნქცია არ იკისრა ქალაქის ფულმა (აშშ დოლარი). რაოდენაც პარადოქსული არ უნდა იყოს, მოქალაქეებმა რეზერვის წყაროდ ოქრო – ანუ სასაქონლო ფული მიიჩნიეს, ხოლო ამ მოქალაქეთა მთავრობებმა – აშშ დოლარი, ანუ ქალაქის ფული. ოქროს სტანდარტის დროს კერძო მესაკუთრე ქმნიდა ფულის მიწოდებას. ბრეტონ ვუდსის სისტემის შემთხვევაში აშშ-ს მთავრობას (შეგნებულად არ ვახსენებთ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რადგან იგი მხოლოდ განტყეების ვაცის ფუნქციას ასრულებდა, რომლის სახელსაც ამოფარებული აშშ-ს მთავრობა შეუზღუდავად მოქმედებდა) უნდა ემოქმედა მსოფლიო საზოგადოებების ინტერესებიდან გამომდინარე. მაშასადამე, ეს ორი სისტემა მხოლოდ ფორმით გავს ერთმანეთს, ხოლო შინაარსი კი აბსოლუტურად განსხვავებულია. ნოსტრადამუსის წინანსარმეტყველება არ სჭირდებოდა იმას, რომ ბრეტონ ვუდსის სისტემა განწირული იყო კრაზისთვის. მიეყვით მოვლენებს ქრონოლოგიურად. სისტემის ისტორია იყოფა ორ პერიოდად: დოლარის ნაკლებობის

პერიოდი და დოლარის სიჭარბის პერიოდი. პირველი პერიოდი გაგრძელდა 1958 წლამდე, მეორე კი - 1971 წლამდე. 1950-1956 წლებში დიდი სესხები არ გაცემულა. პირველ პერიოდში, რომელსაც ხშირად აშშ-ის ერთპიროვნული მენეჯმენტის პერიოდსაც უწოდებენ, როგორც ეთქვით, აღინიშნებოდა დოლარის, როგორც მსოფლიოს ძირითადი საგადასხდელო საშუალების, ნაკლებობა. თავად აშშ-ში ვაჭრობა გამალებით იზრდებოდა და სერიოზული ეკონომიკური აღმავლობა იწყებოდა. მაგრამ იმისათვის, რომ სისტემას ემუშავა, საჭირო იყო ეს პროცესი ევროპაშიც დაწყებულიყო და მომხდარიყო დოლარის გადინება. დოლარის გადინება მოხდა აშშ-ის დახმარების პროგრამებით: ტრუმენის გეგმა საბერძნეთისა და თურქეთის დასახმარებლად, დახმარება განვითარებად სახელმწიფოებს და, ყველაზე მნიშვნელოვანს, მარშალის გეგმა, რომლის ფარგლებშიც თექვსმეტმა ევროპულმა სახელმწიფომ მიიღო დახმარება 1948-1952წწ. 17 მილიარდი დოლარის ოდენობით. ქვეყნიდან გასული ფული ნაწილობრივ კვლავ ქვეყანაში ბრუნდებოდა ამერიკული საქონლისა და სერვისის შეძენის გზით. სისტემა მუშაობდა. ევროპისა და იაპონიის ეკონომიკები აღორძინდა. 1950 წელს საერთაშორისო მონეტარულმა ფონდმა, რომელიც ფაქტიურად უმოქმედო იყო აშშ-ის ერთპიროვნული მენეჯმენტის პერიოდში, დაიწყო უფრო აქტიური როლის შესრულება. 1958 წლიდან იწყება დოლარის სიჭარბის, ანუ ბრეტონ ვუდსის მეორე პერიოდი, რომელსაც ხშირად უწოდებენ მრავალმხრივ მენეჯმენტს აშშ-ის ლიდერობით. დოლარი აღარ იყო ერთადერთი ძლიერი საგადასხდელო საშუალება. ევროპა და იაპონია თანმიმდევრულად ვითარდებოდნენ და 1959 წლის ბოლოსთვის მათი რეზერვები აშშ-სას მიუახლოვდა. აშშ-ის ოქროს მარაგმა დაიკლო 24,4 მილიარდი დოლარიდან 1948 წელს 19,5 მილიარდ დოლარამდე 1959 წლის ბოლოსთვის. უცხოეთში აკუმულირებული დოლარის მარაგი გაიზარდა 7,3 მილიარდიდან 1948 წელს 19,4 მილიარდამდე 1959 წელს. 1960 წლის ნოემბერში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სპეკულანტებმა დოლარი გადაახურდავეს ოქროზე. ეს არ ნიშნავდა დოლარის გაუფასურებას. ამერიკა კვლავ ლიდერი იყო და მისი ეკონომიკა ჯანმრთელი, თუმცა ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ ამერიკას აღარ შეეძლო ერთპიროვნულად ემართა საფინანსო სისტემა და საჭირო გახდა სხვა წევრების აქტიური ჩაბმა. ჯერ ევროპული საგადასხდელო საშუალებების გაძლიერება, შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, 1964 წელს, იაპონიის საგადასხდელო საშუალების გამყარებამ და კონვერტაბელურად გადაქცევამ დაბადა ამ ქვეყნებში სურვილი, რომ მათთან აღარ აკუმულირებულიყო აშშ დოლარი. ამიტომ ამ ქვეყნებმა ინტენსიურად დაიწყეს დოლარისგან გათავისუფლება. ბრეტონ ვუდსის სისტემის მსხვერვის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ აშშ დოლარის მიწოდება ოქროს მარაგებს მკვეთრად გადააჭარბა. ბუნებრივია, ოქროს არსებული მარაგების ფონზე აშშ-ს მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში ვედარ შეინარჩუნებდა ოქროსა და დოლარს შორის ფიქსირებულ დამოკიდებულებას. 1971 წლის 15 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა ნიქსონმა, საერთაშორისო მონეტარული სისტემის სხვა წევრებთან შეთანხმების გარეშე, ცალმხრივად გამოაცხადა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა: შეჩერდა დოლარის კონვერტაცია ოქროსთან მიმართებაში. ეს ფაქტიურად ბრეტონ ვუდსის დასასრული იყო⁴.

თანამედროვე მონეტარიზმის დაბადება – მსოფლიო ისევე შეიცვალა. კვლავ აქტუალური გახდა კლასიკური დიხოტომიის თემა. მილტონ ფრედმენის „მოლოდინის თეორიამ“ ნეტრილი დაუსვა ფილიპსის, სამუელსონის და სხვათა ილუზიებს, რომელიც

⁴ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6933>

ეფუძნებოდა ფულის მიწოდების მეშვეობით უმუშევრობის შემცირებას. დაიბადა მონეტარული ნეიტრალიტეტის ფორმულაც: გაჩნდა ტერმინი მაკრო მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ფულის მიწოდების ზრდას ძალზე დიდი სიფრთხილით ეკიდება. დღეს, როდესაც საუბრობენ ფულის მიწოდებაზე, მხედველობაში იღებენ ბიუჯეტის დეფიციტის, სავალუტო კურსების მერყეობის, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის და სხვა მაჩვენებლებს. ნეოკლასიკურმა სკოლამ შეძლო ფულის ბაზარზე სახელმწიფო ინტერვენციების შეზღუდვა. ამ თვალსაზრისით, დღეს საზოგადოებრივი კონტროლი ძლიერია. ფულის დაბეჭდვა ეს ისეთი თემაა, რომელსაც ბევრი მთავრობა დიდი სიფრთხილით ეკიდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავარი, რომელიც ეხება ფულზე საკუთრების საკითხს არ შეცვლილა. ფული კვლავ დეკრეტულია. იგი საზოგადოებრივი საკუთრებაა და მის მიწოდებაზე კონტროლსაც მართალია შეზღუდულად, მაგრამ მთავრობა ახორციელებს. დიდი პოპულარობა შეიძინა იდეოლოგიამ, რომლის საფუძველზეც ასპარეზზე გამოჩნდა ძლიერი ეროვნული ბანკი, რომელმაც მთავრობისგან დამოუკიდებლად უნდა მართოს ფულის მიწოდების პოლიტიკა. უფრო მეტიც, ფულის კონტროლი ზღუდავს არა მხოლოდ მთავრობის სურვილს დაბეჭდოს ფული, არამედ საბანკო სისტემასაც, საკუთარი შეხედულებისამებრ გასცეს კრედიტი, რადგან ბანკი, როგორც აღვნიშნეთ, თეორიულ დონეზე შესაძლებელია ხელს უწყობდეს ფულის ირიბი მეთოდებით ზრდას. თანამედროვე მონეტარიზმის პირობებში ცენტრალურ ბანკებს აქვთ სამი ძირითადი ფუნქცია: 1) იგი არეგულირებს საბანკო სისტემას, რათა ბანკებმა განახორციელონ „უსაფრთხო“ საბანკო ოპერაციები; 2) მოქმედებს როგორც ბანკების ბანკი, აძლევს სესხს კომერციულ ბანკებს; 3) ახორციელებს ფულის მიწოდების პოლიტიკას უმთავრესად ღია საბაზრო ოპერაციების და სავალდებულო რეზერვების ნორმის ცვლილების მეშვეობით. თავად ფაქტი, რომ პრობლემის მთავარ შემქმნელად ფულის მიწოდების თვალსაზრისით მოიაზრება არა მთავრობა, არამედ ბანკი იმის მანიშნებელია, რომ დღეს მსოფლიოს პოლიტიკური ელიტა კვლავ უნდობლობას უცხადებს თავისუფალ საბაზრო სისტემას. ჩვენს მიერ მოტანილი უამრავი არგუმენტის მიუხედავად, იძულებულები ვართ ვამტკიცოთ, რომ გრძელვადიან პერიოდში მონეტარიზმის ეს შექანიზმი საზოგადოებას კიდევ უფრო ძვირი დაუჯდება.

თავდაპირველად გავაკეთოთ დაშვება, რომ მსოფლიოს ყველა განვითარებულ საზოგადოებაში, მთავრობას ესმის რა ფულის მიწოდების მნიშვნელობა დიდი სიფრთხილით ეკიდება ამ საკითხს და უფლებამოსილების დელეგირებას ახდენს ცენტრალურ ბანკზე, რომელთა მიწვევების კომპეტენტურობაშიც ეჭვი არ გვეპარება. შესაბამისად, ისინი შესაძური სიზუსტით აანალიზებენ რა ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს იღებენ უტყუარ გადაწყვეტილებებს. უფრო მეტიც, ცენტრალური ბანკი უმკლავდება მოკლევადიან ეკონომიკურ რყევებს და ეკონომიკას აბრუნებს წონასწორობის რეჟიმში. ფულის მიწოდება იზრდება მხოლოდ ეკონომიკური ზრდის პროპორციულად. თუ ეს არ არის ზღაპარი და რეალობაა, მაშინ ინფლაციის პრობლემაც მოხსნილია და ეკონომიკაც იდეალური.

ინფლაცია კი დავამარცხეთ, მაგრამ რის ხარჯზე? ცენტრალური ბანკი არეგულირებს საბანკო სისტემას ნიშნავს იმას, რომ ცენტრალური ბანკი აწესებს ფასს კაპი-ტალის ბაზარზე. სარგებლის განაკვეთი ხომ კონკრეტული პროდუქტის ფასია. ეს არის ფასი, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას დღევანდელი დანაზოგებისა და მომავალი ინვესტიციების შესახებ. ინვესტიცია ეკონომიკის ზრდის წყაროა. თავისუფალ ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების რაოდენობა ერთმანეთს შეესაბამება და ამას განსაზღვრავს ფასი. მაღალი სარგებლის განაკვეთი ამცირებს ინვესტიციებს, ხოლო დაბალი სარგებლის განაკვეთი არ ზრდის ინვესტიციებს იმაზე მეტად, ვიდრე ეს ეკონომიკას იმ მომენტისათვის შეუძლია

და სანაცვლოდ ინვესტორს ინფლაციას. მენარმემ პროდუქტი უნდა გაყიდოს იმ ფასად, რომ გაყიდული პროდუქტისა და ფასის ნამრავლმა მას მისცეს ყველაზე მაღალი შემოსავალი. ფასი მენარმისთვის არის ამ ინფორმაციის მატარებელი. ცენტრალური ბანკი არ ეწევა სამენარმეო საქმიანობას, ხოლო სარგებლის განაკვეთი არის ინფლაციის შიშის შედეგი. შიშის ხარისხის გაზომვა შეუძლებელია. თითოეულ ადამიანში იგი სხვადასხვა დონით ვლინდება. შიშის რაც უფრო მაღალი განცდა აქვს მენეჯერს, მით უფრო მოსალოდნელია სარგებლის განაკვეთის გაზრდა ბაზარზე. მაშასადამე, ამ შემთხვევაში სარგებლის განაკვეთი არ გვანჯერს რეალურ ინფორმაციას ინვესტიციების მსურველების შესახებ. ეს ფაქტი უარყოფითად მოქმედებს მომავალ ეკონომიკურ გარიგებებზე. ბევრი ადამიანი ველარ ახერხებს რაციონალური არჩევანის გაკეთებას და კეთილდღეობა აღარ მატულობს იმ რაოდენობით, როგორც ეს მოხერხდებოდა თავისუფალ ბაზარზე. „ცენტრალური ბანკი აიძულებს კომერციულ ბანკებს, რომ განახორციელონ უსაფრთხო საბანკო ოპერაციები“. ეს უფრო ლოზუნგია, ვიდრე რეალობა. ტერმინი „უსაფრთხო“ პირობითი ცნებაა. მენარმე შეიძლება შეცდეს და გაკოტრდეს. ბანკმა შესაძლებელია მიიღოს არაეფექტიანი გადაწყვეტილებები და მოუწიოს ბაზრის დატოვება. ამ ისტორიაში ჩნდება ცენტრალური ბანკი, რომელიც არ აძლევს კომერციულ ბანკს არასწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. მაშასადამე, გადაწყვეტილებებს იღებს ცენტრალური ბანკი. იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ბანკი არ ეწევა რისკს, არ ამოძრავებს მოგების მიღების მოტივი, სად უფრო მაღალია არაეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა – კომერციულ თუ ცენტრალურ ბანკში? მონეტარიზმის აპოლოგეტები ტერმინ „უსაფრთხოებაში“ ასევე გულისხმობენ იმასაც, რომ ცენტრალური ბანკი გვევლინება საგადამხდელო საშუალებების რეზერვების წყაროდ. ამდენად, ძალაუფლების მქონე ცენტრალურ ბანკს შეუძლია გაკოტრების პირას მყოფი კომერციული ბანკის გადარჩენა, რადგან კომერციული ბანკის უკან დგას უამრავი კლიენტი, რომელიც ანაბრები შესაძლებელია უკავლოდ გაქრეს. ბუნებრივია, ასეთი რამ მართლაც შეიძლება მოხდეს. არასწორი გადაწყვეტილება ზარალს ნიშნავს. ზარალი უკვე ფაქტია, რასაც ვერაფერს მოუხერხებ. იგი შეიძლება დამალო ერთგან, მაგრამ აუცილებლად თავს იჩენს სხვაგან. იგი საზოგადოების რომელიმე ნაწილს მაინც შეეხება. გაკოტრების პირას მყოფი ბანკის დახმარება შეუნარჩუნებს ბანკის კლიენტებს შემოსავალს. მაგრამ ეს შემოსავალი დააკლდებათ იმ ადამიანებს, რომლებმაც საზოგადოებრივი დანაზოგები შექმნეს. ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია არა ზარალის ადრესატი და ვინაობა, არამედ მისი სიდიდე განსხვავებით პოლიტიკისგან, სადაც სხვა სურათი გვაქვს. თუ ეროვნული ბანკი არ შეეცდება კომერციული ბანკის გადარჩენას, მაშინ ეს ზარალი აშკარა იქნება და საზოგადოების გარკვეული ნაწილის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს, რამაც შესაძლებელია შეარყიოს პოლიტიკური რეჟიმიც. მეორე შემთხვევაში, კი საზოგადოების მხრიდან ამ ფაქტს რეაგირება არ ექნება, რადგან ზარალი უხილავია. უფრო მეტიც, ალაპარაკდებიან ცენტრალურ ბანკსა და მთავრობაზე, როგორც საზოგადოების ერთადერთ მხსნელზე, ხოლო თავისუფალი საბაზრო სისტემა კვლავ მწვავე კრიტიკის ობიექტად გადაიქცევა. თანამედროვე მონეტარიზმის პირობებში შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ საბანკო სისტემა ძლიერია, მაგრამ მხოლოდ მაღალი სარგებლის განაკვეთის ფონზე. საკმარისია, ამუშავდეს იაფი კრედიტის ფორმულა, რომ ეს მითი მომენტალურად დაინგრევა. ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან თავისუფალი ბაზარია. თავისუფალი ბაზარი კი არ ცნობს ქალაქის ფულს. კომერციული ბანკები ამ შემთხვევაში მართლაც იქცევიან ფულის უკონტროლო მიწოდების წყაროდ. ასეთი რამ ვერ მოხდება მხოლოდ სასაქონლო ფულის შემთხვევაში. ფაქტიურად, თანამედროვე ეკონომიკური ელიტის წარმომადგენლებმა მონახეს ოპტიმალური პოლიტიკური, მაგრამ

ცუდი ეკონომიკური გამოსავალი. დისკრე-ტული ფულის პირობებში საბანკო სისტემა ვერ იქნება თავისუფალი. ყველა კომერციული ბანკი დღეს ასრულებს ცენტრალური ბანკის ფილიალის ფუნქციას. ეს მოცემულობაა და ამას საზოგადოება უნდა შეეგუოს. გავიხსენოთ ალან გრინსპენის ფიქრები. რატომ მისტირის აშშ-ს ბანკთაშორის ბანკის მმართველი ოქროს სტანდარტს? პასუხი ცალსახაა – თავისუფალი და ყველაზე უსაფრთხო საბანკო სისტემა იმ პერიოდში.

დავამარცხეთ კი ინფლაცია? – დაუბრუნდეთ მსჯელობის იმ ნაწილს, სადაც მთავრობის მიმართ გავაკეთეთ რამოდენიმე დაშვება. პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებთ იმ მოსაზრებაზე, რომ ცენტრალური ბანკი შემამურებელი სიზუსტით ახერხებს ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას ერთობლივი მიზნების საპასუხოდ. დაუშვათ, რომ ცენტრალური ბანკის კომპეტენტურობაში ეჭვი არ გვეპარება. მონეტარული პოლიტიკა ეკონომიკაზე ხომ დაგვიანებით მოქმედებს. როგორც აღვნიშნეთ, მონეტარული პოლიტიკის მთავარ იარაღს წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის ცვლილება, რაც თავის მხრივ გააღვენას ახდენს ხარჯებზე, განსაკუთრებით კი კომერციულ ინვესტიციებზე. როგორც წესი, ადამიანები თავიანთ გეგმებს წინასწარ ადგენენ. შესაბამისად, სარგებლის განაკვეთის ცვლილებას სჭირდება დრო. ცნობილია, რომ მონეტარული პოლიტიკის შედეგები ვლინდება სულ მცირე 6 თვის დაგვიანებით მაინც. გარდა ამისა, ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას ასევე დიდი დრო სჭირდება. დრო უმთავრესი ფაქტორია კონკრეტულ ვითარებაში. თუ ეკონომიკა საჭიროებდა სტაბილიზირებას 6 თვის წინ, არავინ იცის ეს ფაქტორი რა გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე 6 თვის შემდეგ. ამდენად, შეუძლებელია ეკონომიკური ციკლების აღმოფხვრა, როგორი კომპეტენტური მთავრობაც არ უნდა გვყავდეს. გარდა ამისა, ნუ დაგვიანდება პოლიტიკური ციკლების თემაც. მონეტარული პოლიტიკის გამოყენება შესაძლებელია არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მიზნითაც. თუ ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი თანაუგრძნობს პრეზიდენტს, რომელიც ხელმწიფედ იყრის კენჭს, შეუძლია იაფი კრედიტის პოლიტიკა განახორციელოს, რაც არჩევნების პერიოდში შექმნის ეკონომიკური აქტივობის მოჩვენებით ბუმს. და ეს ყველაფერი შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ხერხდება ეკონომიკისთვის ზუსტი დიაგნოზის დასმა. წარმოიდგინეთ, რა მოცულობის ინფორმაცია უნდა გაანალიზოთ იმისათვის, რომ მიიღოთ ზუსტი სურათი თუ რა ხდება ეკონომიკაში. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი – როგორი მათემატიკური აპარატიც არ უნდა გამოიყენოთ, ეს მიახლოებითი მარჯონებელი მაინც და უფრო ტენდენციის აღმნიშვნელი. იგი გაძლევთ კონბინირებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას შეადგენდა დროის გარკვეულ შუალედში ერთი ადამიანის შემოსავალი. დაუშვათ, ზუსტად ვიანგარიშეთ, მაშინ ასევე გვაინტერესებს დროის ამ შუალედში თითოეულმა ადამიანმა რამდენი დაზოგა და რამდენი დახარჯა და ა.შ. შეუძლებელია 100%-იანი სიზუსტით ეკონომიკის მდგომარეობის შეფასება. რა მოცულობით გავზარდოთ ან შევამციროთ ფულის მიწოდება? – გადაწყვეტილების მიღების დროს ვარაუდებს უნდა დავეყრდნოთ. ამიტომ, ძალიან ხშირად ეკონომისტები, რომლებიც ეკონომიკურ სტაბილიზირებას ცდილობენ, სრულიად სანაწილმდეგო შედეგს იღებენ. ეკონომიკური რყევების მასშტაბები კი არ მცირდება, არამედ იზრდება. ჩვენ ყველანი ვიმყოფებით დიადი ინფლაციის ეპოქაში. ფასები მომავალშიც გაიზრდება და თანამედროვე მონეტარიზმის პირობებში ამას უნდა შეეგუოთ.

ყოველივე ამას ადამიანი კიდევ აიტანდა, ყველაფერს გაუძლებდა და თვალს დახუჭავდა, რომ არა შემამფოთებელი მოლოდინები შემდეგ შემთხვევაზე: თუ ავირჩიეთ არაკომპეტენტური მთავრობა, რა შეიძლება მოხდეს? და ბოლოს, რომელიმე დიდი ქვეყნის მთავრობამ

მოულოდნელად რომ დაბეჭდოს დიდი რაოდენობის ფული? – განა ვინმეს შეუძლია ამტიკიცოს, რომ ასეთი რამ შეუძლებელია მოხდეს.

სწორედ ამ მიზეზთა გამო, თანამედროვე მონეტარიაში ბრეტონ ვუდსის სისტემის ბედს გაიზიარებს და ამის პირველი ნიშნები გამოჩნდა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს. პარადოქსია, მაგრამ ეს კრიზისი ისევე თავისუფალ ბაზარს დაბრალდა. პოლიტიკოსებმა ყველაფერი ჩვეული შემართებით შეფუთეს და გვამცნეს, რომ აშშ-ს მთავრობა ნაკლებად აქცევდა ყურადღებას კომერციული ბანკების საქმიანობას და შედეგიც სახეზეაო. მოუსმინეთ ალან გრინსპენს. თავისუფალი საბანკო სისტემა აღარ არსებობს. ფულთან დაკავშირებულ გადანყვეტილებებს დიდი ხანია პოლიტიკოსები იღებენ მენარმეების სანაცვლოდ. ევროპის საფინანსო სისტემა მაღალი სარგებლის განაკვეთის ფასად ინარჩუნებს საბანკო აქტივებს. საკმარისია იაფი კრედიტის ფორმულა ამუშავდეს, რომ ზუსტად იგივე მოხდება, რაც აშშ-ში. მის ამუშავებას კი უბრალოდ დრო სჭირდება. ევროპას დიდი ხანია ანუხებს სტაგნაციური ეკონომიკა. ბევრი უკვე ხმამაღლა საუბრობს, რომ ველარ ახორციელებენ მომგებიან პროექტებს კრედიტის სიძვირის გამო. მთავარია, ეს თემა პოლიტიკურად მომნიშვნელოვან და ერთ მშვენიერ დღეს არჩენების გზით, ევროპა მიიღებს მთავრობას, რომელიც შეამცირებს სარგებლის განაკვეთს საფინანსო ბაზარზე და კიდევ ერთი „წყალდიდობა“ გარდაუვალია.

მიემართავ ყველას, ვისთვისაც ფასეულია თავისუფლება და ლიბერალიზმი. კიდევ რამდენი „მონეტარული წყალდიდობა“ უნდა გადაიტანოს კაცობრიობამ იმისათვის, რომ ყველამ ერთხმად დავინწყოთ თუნდაც მსჯელობა ფულის თავისუფალ ბაზარზე?

ლიტერატურა

1. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც. დიოგენე, თბილისი, 2008
2. Political Economy, Public Policy and Monetary Economics: Ludwig von Mises and the Austrian Tradition (Routledge Studies in the History of Economics) by Richard M. Ebeling (Hardcover - Feb 1, 2010)
3. Economic Freedom by F.A. Hayek (Cambridge: Basil Blackwell, 1991)
4. Cashflow Quadrant: Rich Dad's Guide to Financial Freedom by Robert T. Kiyosaki, and Sharon L. Lechter (Paperback - Apr 1, 2000)
5. Money Drunk, Money Sober; 90 Days to Financial Freedom by Mark Bryan, and Julia Cameron (Paperback - Feb 9, 1999)
6. Gold and Economic Freedom, Alan Geenspan, 1966-7. L. V. Mises. "The Theory of Money and Credit", 1912
7. Murray N. Rothbard. "The Case for a Genuine Gold Dollar," in Llewellyn H. Rockwell, 1985
8. Jörg Guido Hülsmann "Monetary Policy and the Free Market".

ჰენრი ჰეზლიტი

1894 - 1993

ჰენრი ჰეზლიტი (Henry Hazlitt) - ამერიკელი ეკონომისტი, მწერალი, ჟურნალისტი, ლიბერტარიანელი მოაზროვნე.

ჰენრი სტიუარტ ჰეზლიტი დაიბადა 1894 წლის 28 ნოემბერს, ფილადელფიაში. მამა ადრე გარდაეცვალა. ექვსი წლის ასაკში დედამ კერძო კოლეჯში გააგზავნა, სადაც უმამოდ დარჩენილ, ნიჭიერ ბავშვებს უფასოდ ლეზულობდნენ. მისი ოცნება იყო ფსიქოლოგი გამხდარიყო, მაგრამ ფინანსური მდგომარეობის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა ნიუ იორკის საქალაქო კოლეჯის ლამის სკოლა და სამუშაო ეძებნა. გამოიცვალა მრავალი სამუშაო ადგილი. ბოლოს სტენოგრაფისტად მოუწყო "The Wall Street Journal"-ში.

შემდგომ წლებში მუშაობდა "New York Evening Post" (1916-1918), "Mechanics & Metals National Bank" (1919-1920), "New York Evening Mail" (1921-1923), "New York Herald" (1923-1924), "New York Sun" (1924-1929). 1930 წელს იპეზლიტი მიიწვიეს მემარცხენე ორიენტაციის ჟურნალ "The Nation"-ში. თუმცა, ამერიკელ სოციალისტთან ლუსი ფიშერთან გამართულ კამათისას საკითხზე, თუ რამდენად მისაღები იყო ქვეყნის ეკონომიკისათვის რუხეულტის ახალი კურსი ჰეზლიტიმა 1933 წელს დატოვა რედაქტორის პოსტი.

შემდგომ წლებში ჰეზლიტი მუშაობდა ჟურნალებში: "The American Mercury"-ის (1933-1934), "The New York Times" (1934-1946), "Newsweek" (1946-1949). ამ პერიოდში გამოვიდა მისი აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება რაიმე ფორმით სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლზე, კეინზიანურ სახელმწიფო სტიმულირების ზომებზე. ამ წლებში გაიცნო და დაუმეგობრდა აშშ-ში ემიგრირებულ აესტრიელ ეკონომისტს ლუდვიგ ფონ მიზესს. ბრეტონ ვუდსის შეთანხმების კატეგორიული მიუღებლობის გამო მას უარი უთხრეს "The New York Times"-ში მუშაობაზე. 1946 წელს გამოვიდა მისი წიგნი "ეკონომიკა ერთ გაკვეთილად", რომელიც მისი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ნაწარმოები გახდა - ერთი წლის განმავლობაში 4-ჯერ გამოვიდა და მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა.

1946 წელს ლეონარდ რიდთან ერთად ჩამოაყალიბა ეკონომიკური განათლების ფონდი, რომლის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. 1947 წელს ფრიდრიხ ჰაიეკის მიწვევით დაესწრო მონ პელერინის საზოგადოების საორგანიზაციო შეხვედრას შვეიცარიაში.

1950 წელს ჰეზლიტიმა ჯონ ჩემბერლენთან ერთად დაარსა ჟურნალი "The Freeman", რომელიც 1956 წელს "ეკონომიკური განათლების ფონდის" ჟურნალს "Ideas on Liberty" შეუერთდა და დაარსებულ იქნა ახალი ყოველთვიური ჟურნალი "The Freeman: Ideas on Liberty", რომელთანაც ჰეზლიტი განაგრძობდა თანამშრომლობას.

მისი ძირითადი შრომებია: "ფიქრი, როგორც მეცნიერება" (1915), "გზა ნებისყოფისკენ" (1922), "კრიტიკის ანატომია" (1933), "დოლარი გადაარჩენს მსოფლიოს?" (1947), "დიდი იდეა" (1951), "ახალი ეკონომიკის" წარუმატებლობა: კეინზიანური შეცდომების ანალიზი" (1959), "მორალის საფუძვლები" (1964)

ჰენრი ჰეზლიტი გარდაიცვალა 1993 წლის 8 ივლისს, 98 წლის ასაკში.



ჰენრი ჰეზლიტი

‘იდეალური ფულის ძიებაში’

თარგმნა ნინო გორგაძემ

საუკუნეზე მეტია ეკონომისტიები „ეთამაშებიან“ იდეალური ფულის გამოგონების იდეას. მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვერცერთი მათგანი ვერ შეთანხმებულა მსგავსი ფულის ბუნების დეტალურ აღწერილობაზე. მაგრამ ისინი მოცემული მომენტისთვის თანხმდებიან სულ მცირე ერთ ნეგატიურ ასპექტზე. არა მგონია რომ არსებობდეს ერთი ეკონომისტი მაინც, რომელიც დაიცავს საერთაშორისო ან ამერიკულ მონეტარულ სისტემებს არსებული სახით. ლიად არავინ დაიცავს გაცვლითი კურსების ყოველდღიურ და საათობრივ რყევებს, იმპორტის, ექსპორტის ან ადგილობრივი მუდმივად მზარდი ფასების პროგნოზირების შეუძლებლობას. გაზეთის მკითხველებს ემინიათ, რომ სამომხმარებლო ფასები მომავალ წელს იქნება უფრო მაღალი და კიდევ უფრო გაიზრდება შემდგომ წლებში. ქუჩაში უზარალო გამველესაც კი ზოგადად გააჩნია იმის შეგრძნება, რომ მსოფლიო მიექანება მონეტარული ქაოსისაკენ.

მაგრამ პრობლემის მოგვარების გზების მხრივ მცირედი თანხმობაც არ გვაქვს. ზოგი ეთანხმება იმას, რომ ინფლაცია არის ცუდი. დიახ, მაგრამ ის არაა ისეთივე ცუდი, როგორც დეპრესია და უმუშევრობა; და სულ მცირე ის დროებით გადადებს უფრო დიდ უბედურებას, ასე რომ, ჩვენ უნდა გვექონდეს მხოლოდ ცოტათი მეტი ინფლაცია, სანამ ეს უბედურება ჩვენ გვემუქრება. დანარჩენებიც ეთანხმებიან იმას, რომ ინფლაცია ცუდია; მაგრამ ეს არაა დაკავშირებული მონეტარულ სისტემასთან. ფასების ზრდა გამყიდველების გაუმადლარობისა და სიძუნწის შედეგია; მათი შეჩერება შესაძლებელია ფასებზე კონტროლის დანესების გზით. სხვებიც ეთანხმებიან რომ ინფლაცია ცუდია; დიახ, იგი შედეგია ფულისა და კრედიტის რაოდენობის გაზრდისა. მაგრამ იგი არა თავად მონეტარული სისტემის, არამედ ამაზე პასუხისმგებელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების შეცდომის ბრალია.

მათ შორისაც კი ვინც თავად მონეტარულ სისტემაში გარკვეული პრობლემების არსებობას აღიარებს, ამ სისტემაში გასატარებელი რეფორმების შესახებ სრული თანხმობა არაა. შემოთავაზებულია აღნიშნული რეფორმების საკმაოდ ბევრი სახე.

მიუხედავად ამისა, რეფორმატორები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფიან. ერთი მათგანი საერთოდ არ ეხება ოქროს, ვერცხლს ან სხვა რომელიმე სასაქონლო სტანდარტს, მაგრამ ტოვებს საგადამხდელო საშუალების გამოშვებისა და კონტროლის უფლებას ექსკლუზიურად სახელმწიფოს ხელში. მეორე ჯგუფი ოქროს სტანდარტის რომელიმე ფორმას დაუბრუნებოდა.

ეს ორი ჯგუფი შეიძლება დაიყოს ორ სკოლად. ერთ-ერთს მე ვუნობდებ ეტატიზმის (სახელმწიფო ჩარევების მომხრეების) ან დეკრეტული/ქალაქის ფულის ჯგუფს, რომელიც ყველაფერს ანდობს სახელმწიფოს მონეტარული სტრუქტურების კეთილგონიერებას და დაუქვემდებარებდა აღნიშნულ ინსტიტუტებს მკაცრ რაოდენობრივ კონტროლს. და ოქროს ჯგუფშიც, ასევე, ერთი სკოლა დაუშვებს კერძო ბანკირებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ბუნდოვან, მაგრამ ფართო ლიმიტებით მოქმედების თავისუფლებას, ხოლო მეორე აღნიშნულ თავისუფალ ქმედებებზე დაანებს მკაცრ და გარკვეულ ლიმიტებს.

ასე რომ ჩვენ გვაქვს მონეტარული თეორიების ოთხი სკოლა და ყოველი მონეტარული წინადადება შეიძლება განხილულ იქნას რომელიმე მათგანის თვალსაწიერიდან.

უკონტროლო ქალაქის ფული

ნება მიბოძეთ დავინყო პირველი სკოლით, ქალაქის ფულის მომხრე ეტატიტებით, რომლებიც ფულის ბუნების, რაოდენობისა და ღირებულების კონტროლს პოლიტიკოსების მიერ დანიშნულ ბიუროკრატებს ანდობენ. იგი ყველაზე უარესი, მაგრამ ერთადერთი მონეტარული სისტემაა, რომელიც დღეს დომინირებს მსოფლიოში. ამ სისტემამ მოიტანა უნივერსალური ინფლაცია, უპრეცედენტო გაურკვეველობა და ეკონომიკის ნგრევა.

ეს შემთხვევითობა არ გახლავთ, არამედ იმ წინასწარ მოფიქრებული სისტემის შედეგია, რომელიც მიღებულ იქნა ბრეტონ ვუდსის 1944 წლის კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ 44 ქვეყნის წარმომადგენლები, აშშ-დან პარი დექსტერისა და ინგლისიდან ლორდ კეინსის მეთაურობით. მისი ფორმალური მიზანი იყო „საერთაშორისო თანამშრომლობის“ გაზრდა და - გინდ დაიჯერეთ გინდ არა - საგადამხდელი საშუალებებისა და გაცვლითი კურსების „სტაბილიზაცია“.

მთავარ არქიტექტორს გულწრფელად სჯეროდა (თუმცა აშკარად არ აღიარებდა), რომ დადებითი შედეგი ყველაზე კარგად მხოლოდ მონეტარული სისტემიდან ოქროს ეტაპობრივი ამოგდებით მიიღწევა. ასე, რომ მათ გადაიყვანეს მსოფლიო არა ოქროს, არამედ დოლარის სტანდარტზე. ყველა სხვა საგადამხდელი საშუალების ღირებულება შენარჩუნდებოდა მათი ამერიკულ დოლარზე ოფიციალურად ფიქსირებული გაცვლითი კურსით გადაცვლის უზრუნველყოფით.

სისტემას ჯერ კიდევ აკავშირებდა ერთი ძაფი ოქროსთან. დოლარი თავისთავად იცვლებოდა ოქროზე 35\$ უნციით. მაგრამ აღნიშნული ძაფი ორგზის დასუსტდა. სხვა ქვეყნებს შეეძლოთ თავიანთი საგადამხდელი საშუალებების გამყარება დოლართან მიმართებაში, არა თავისუფალი საერთაშორისო მონეტარული ბაზრის მეშვეობით, არამედ (როგორც მსოფლიო ომის წინანდელი ოქროს სტანდარტისას), არამედ სახელმწიფოს მიერ დოლარის ყიდვით ან გაყიდვით - ანუ საგადამხდელი საშუალებების კურსის ხელოვნური უზრუნველყოფით. ხოლო თავად დოლარი აღარ იყო ნებისმიერი მფლობელის მიერ ოქროზე თავისუფლად გადაცვლადი; იგი გადაცვლადი იყო მხოლოდ უცხოური ცენტრალური ბანკებისათვის. აშშ-ს ასევე შეეძლო (კონფიდენციალურად) გამოეყენებინა თავისი უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა, რომელიც თავის დროზე გამოიყენა კიდევ, და უსირცხვილოდ მიეთითებინა ნებისმიერი ცენტრალური ბანკისთვის რომ ოქროზე მოთხოვნა მეგობრულ ქმედებად არ იქნებოდა განხილული.

ასე რომ, რამდენიმე წლით ბრეტონ ვუდსის სისტემით შენარჩუნებული ხელოვნური სტაბილურობა არ იყო ყოველი ქვეყნის რეალური მცდელობის შედეგი შენარჩუნებინა თავისი საგადამხდელი საშუალების სიმყარე - ჭარბი რაოდენობით ფულისა და კრედიტის გამოშვებისაგან თავის შეკავების გზით - არამედ სახელმწიფოს მიერ საგადამხდელი საშუალებების კურსის ხელოვნური უზრუნველყოფითა და ჯენტლმენური შეთანხმებით ე.წ. „ვაშლებიანი ურმის არგადაყირავების“ შესახებ.

ასეთი სისტემა არაგონივრული, მტკივნეული და არასტაბილურია. სისტემას შეეძლო შენარჩუნებინა სტაბილურობის სახე მხოლოდ ძლიერი საგადამხდელი საშუალებების მიერ უფრო სუსტი საგადამხდელი საშუალებების მუდმივი გადარჩენის გზით. აშშ-ს ბევრჯერ გადაურჩენია ბრიტანეთი მილიონობით დოლარის სესხებით ან მილიონობით ფუნტის შესყიდვით. იგივე კეთდებოდა სხვა ნებისმიერი ვალუტისათვის კრიზისის დროს. მაგრამ ძლიერი საგადამხდელი საშუალებების გამოყენება სუსტი საგადამხდელი საშუალებების დასახმარებლად ასუსტებს თავად ძლიერ საგადამხდელი საშუალებებს. როცა აშშ-ს ხაზი-

ნამ შეისყიდა დოლარებით მილიონობით ფუნტი, სინამდვილეში მან მიიღო ეს დოლარები მათი უბრალოდ დაბეჭდვით.

ამიტომ, როცა დოლარმა, როგორც ჩვენი წინდაუხედაობის შედეგმა, დაიწყო გაუარესება, და როდესაც ჩვენ 1971 წლის აგვისტოში ღიად ვთქვით უარი ოქროს სტანდარტზე, ამან სხვა ქვეყნებზეც იქონია გავლენა. მაგალითად გერმანიას, ბრეტონ ვუდსის შეთანხმების მიხედვით, უნდა შეესყიდა მილიარდობით დოლარი გერმანული მარკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესანარჩუნებლად. და საიდან იღებდა გერმანია მილიარდობით მარკას მილიარდობით დოლარის შესასყიდად? ცხადია ბეჭდავდა მათ.

ასე რომ სწრაფი ინფლაციის მქონე ქვეყნები თითქმის სისტემატურად ახდენდნენ თავისი ინფლაციის ექსპორტს ნელი ინფლაციის მქონე ქვეყნებში. და ეს თითქმის სისტემატიურად აყენებდა მსოფლიოს ინფლაციური ქაოსის წინაშე.

ფაქტურად ძლიერი საგადამხდელი საშუალების მქონე ქვეყნები, მაშინაც კი, როდესაც ისინი ბრეტონ ვუდსის შეთანხმების თანამად ვალდებულნი იყვნენ შეესყიდათ უფრო სუსტი საგადამხდელი საშუალებები, მათ შესაძენად არ ზრდდნენ საკუთარი ფულის მიწოდებას. არც გერმანია და არც სხვა ქვეყანა რომელიც ყიდულობდა დოლარებს არ იყო ვალდებული გამოეყენებინა ისინი ცენტრალური ბანკის „მარაგის“ გასაზრდელად, რომელთა საშუალებითაც ისინი გაზრდიდნენ საკუთარი საგადამხდელი საშუალების მიწოდებას. მათ შეეძლოთ მოეხდინათ დოლარების რეზერვების „სტირლიზაცია“ ან დოლარების ასე მასობრივად შესყიდვის დროს შეემცირებინათ სამთავრობო ხარჯები ან გაეზარდათ გადასახადები, მაგრამ არ დაებეჭდათ გერმანული მარკები. მაგრამ ეს იქნებოდა ძალიან მძიმე გადაწყვეტილება. იგი საფრთხეს უქმნიდა მთავრობის ფუნქციონირებას. ამიტომაც აირჩიეს ნაკლებად წინააღმდეგობრივი გზა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუ ჩვენ გვინდა საფუძველი ჩავუყაროთ ნებისმიერ პერმანენტულ და მყარ ფინანსურ რეფორმას, უნდა გავათვითცნობიეროთ, რომ მიმდინარე მსოფლიო ინფლაციური ქაოსი უბრალო შემთხვევითობას არ წარმოადენს. იგი საერთაშორისო მონეტარული ფონდის სისტემის საწინააღმდეგოდ კი არ ხდება, არამედ პირიქით, სწორედ ამ სისტემის გამო. ეს ფაქტობრივად თითქმის გარდაუვალი შედეგია.

თანაზომიერი რღვევა

სწორედ ასეთი სახის საერთაშორისო თანამშრომლობამ მიიყვანა იგი განადგურებამდე. ის ქვეყნები, რომელთა პოლიტიკასაც ისინი ქრონიკულ მონეტარულ კრიზისამდე მიყავდა, უნდა დაჯარიმებულიყვნენ ამისათვის. არამყარი საგადამხდელი საშუალებები არ უნდა ყოფილიყვნენ მხარდაჭერილნი სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ. იმის გამო, რომ არამყარი საგადამხდელი საშუალების მქონე ქვეყნებმა იცოდნენ, რომ ამერიკული ან საერთაშორისო მხარდაჭერა მაინც გავრცელდებოდა მათზე, საკუთარი თავი უფრო დიდ პრობლემებში გაახვიეს. სისტემა განწირული იყო ჩაყარვამდე, მაგრამ არსებობდა ღია მოლაპარაკება მისი ფუნდამენტური არამყარობის იგნორირების შესახებ. 1949 წლის სექტემბერში ბრიტანულმა ფუნტმა განიცადა დევალვაცია 30%-ით 4.03\$-დან 2.80\$-მდე. ამის შემდეგ 25 სხვა ქვეყნის საგადამხდელი საშუალებამაც განიცადა დევალვაცია სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში. 1967 წლის ნოემბერში ბრიტანულმა ფუნტმა კიდევ ერთხელ განიცადა დევალვაცია, ამჯერად 2.80\$-დან 2.40\$-მდე. ფაქტობრივად, საერთაშორისო მონეტარული ფონდის საქმიანობის დაწყებიდან, 1946 წელს, ასობით წვერი ქვეყნის საგადამხდელი საშუალებამ განიცადა დევალვაცია. იგი თავის ყოველთვიურ ბიულეტენში მილიონობით სტატისტიკურ ინფორმაციას ავრცელებს, მაგრამ დღემდე უჩუტად არ აქვეყნებს ერთ ციფრს - მსგავსი დევალვაციების საერთო რაოდენობას.

ზედმეტია მტკიცება, თუ რაოდენ ცუდი იყო ბრეტონ ვუდსის სისტემა. იმ ბოლოკრატიკის გარდა, რომელთა სამსახურიც საფრთხის ქვეშ დგება, სერიოზულად არავენ იფიქრებს მის გამოსწორებაზე. სისტემა მკედარია. სამწუხაროდ, არავენ იზრუნა მის დასაფლავებაზე.

მონეტარის ტემი

ნება მიბოძეთ ე.წ. მონეტარის ტემის შემოთავაზება განვიხილოთ. ორი რამ შეიძლება ითქვას მონეტარის ტემის სასარგებლოდ. პირველი, ისინი აღიარებენ ახლო კავშირს ფულის რაოდენობასა და ფულადი ერთეულის მსყიდველობითუნარიანობას შორის. მეორე, ისინი აღიარებენ ფულის გამოშვებაზე მკაცრი და სრული კონტროლის დაწესებას. მაგრამ მათ მოსაზრებებსა და საკანონმდებლო შემოთავაზებებს სერიოზული სისუსტეები გააჩნიათ.

მართალია, რომ ფულის გამოშვებასა და ფულადი ერთეულის მსყიდველობითუნარიანობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მაგრამ არ ნარმოადგენს სიმართლეს ის, რომ დამოკიდებულება არის უკუპროპორციული ან სხვა ნებისმიერ შემთხვევაში ფიქსირებული და საიმედო. ისიც არაა მართალი, რომ არსებობს ფიქსირებული „ჩამორჩენა“ ფულის მიწოდების გარკვეული პროცენტით „ზრდასა“ და ფასების იგივე პროცენტით ზრდას შორის. სტატისტიკა, რომელსაც ეს დასკვნა ეფუძნება ძალიან არაადექვატურია. ისინი არ მოიცავენ საგადამხდელო საშუალებების საკმარის რაოდენობას ხანგრძლივი პერიოდისათვის.

რა სხედს ტიპური ინფლაციის დროს? მაგალითად, მართალია თუ არა რომ ინფლაციის სანყის სტადიაზე სამომხმარებლო ფასები არ იზრდება ისევე სწრაფად, როგორც იზრდება ფულის მიწოდება ინფლაციის გვიან სტადიაზე?

მონეტარის ტემი მსგავს შედარებებს ნარმოადგენენ, როგორც არასამართლიანს და არარეღევანტურს. მათი აზრით, რასაც ისინი გვთავაზობენ სულაც არაა დაკავშირებული ინფლაციასთან. მათთვის ინფლაცია განისაზღვრება არა როგორც ფულის მიწოდების ზრდა, არამედ მხოლოდ როგორც ფასების ზრდა. მათი შემოთავაზებაა ფულადი მასის ზრდა 3-დან 5%-მდე ყოველწლიურად, რათა არ მოხდეს ფასების „დონის“ ვარდნა. ისინი გვთავაზობენ ფულადი მასის ყოველწლიურ ზრდას ეკონომიკის ზრდის კომპენსირებისათვის, 3% ან მეტით ნლოურად.

მონეტარის ტემის შემოთავაზება ეფუძნება მცდარ ფაქტობრივ დაშვებებს. არ არსებობს აეტომატური და სტაბილური ყოველწლიური ზრდა „პროდუქტიულობაში“ 3%-ით ან ნებისმიერი სხვა ფიქსირებული რიცხვით. აშშ-ს ბოლო წლებში არსებული პროდუქტიულობის ზრდა არის დანაზოგების, ინვესტიციების და ტექნიკური პროგრესის შედეგი. არცერთი მათგანი არაა აეტომატური. თან, ფაქტობრივად, ბოლო ორი წლის განმავლობაში „პროდუქტიულობის“ კლებას აქვს ადგილი.

გარდა არსებული უზარმაზარი სტატისტიკური და მათემატიკური პრობლემებისა, რომელთა მასშტაბებიც არ მადლევენ უფრო საფუძვლიანი განხილვის საშუალებას, ფასების „დონის“ შენარჩუნება საეტყო მიზანია. იგი ეფუძნება დაშვებას, რომ ფასების დაცემა როგორღაც არის „დეფლაციური“ და ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში რეცესიის ნარმოქმნას უწყობს ხელს. ეს დაშვება საკმაოდ საეტყოა. როდესაც ფულადი მასა არ იზრდება, ფასების დაცემა არის ნორმალური შედეგი ნარმოების ზდისა და ეკონომიკური პროგრესის. მათ აუცილებლად არ მივყავართ რეცესიისაკენ, რადგან ფასების დაცემა თავისთავად არის ნარმოების დანახარჯების შემციირების შედეგი. მოგების რეალური მარჯა არ მციირდება. ნომინალური ფულადი ხელფასი შეიძლება არ გაიზარდოს, მაგრამ რეალური ხელფასი გაიზრდება, რადგან იგივე ფულის რაოდენობით შეიძლება მეტის შექენა. ფასების დაცემა მზარდი კეთილდღეობის განუყოფელი ნიშანი იყო მთელი ისტორიის განმავლობაში.

კავშირები: ძალაუფლების ბოროტად გამოყენება

მონეტარისტები ახდენენ შიშის ლეგიტიმაციას იმის შესახებ, რომ ძლევამოსილი და აგრესიული პროფკავშირები არ დაკმაყოფილდებიან ფულადი ხელფასის გაზრდილი მსყიდველობითუნარიანობით. გადაჭარბებულ ხელფასები მაინც განაპირობებენ უმუშევრობას და რეცესიას. მაგრამ მსგავსი საფრთხე ყველა შემთხვევაში იარსებებს ნებისმიერი მონეტარული სისტემის ქვეშ, მანამდე სანამ ჩვენ შევინარჩუნებთ არსებულ ცალმხრივ პრომის კანონ-მდებლობას და პროფკავშირების იდეოლოგიას.

მონეტარისტების შემოთავაზების საკვანძო და ფატალური ნაკლოვანება არის უკიდურესი პოლიტიკური მიაჩნობა. ის ფულის რაოდენობის, ხარისხის და მსყიდველობითუნარიანობის კონტროლის ძალაუფლებას ექსკლუზიურად მთავრობის ხელში აქცევს.

დავამატებ, რომ იგი მთლიანად უტოვებს მათ ამ ძალაუფლებას მოქმედების თავისუფლების და თვითნებური კაპრიზის სახით. თუმცა, მონეტარისტები უარყოფენ ამას. ისინი ფიქრობენ, რომ შეზღუდვები მონეტარული მენეჯერების მოქმედების თავისუფლებას და სამუშაოს შინაარსს მკაცრი წესებით. მათი აზრით, მენეჯერებმა უნდა გაზარდონ ფულადი მასა მხოლოდ 2, 3, 4 ან 5%-ით, რაც აისახება შესაბამის კანონში ან კონსტიტუციაში.

აღნიშნული გახლავთ მონეტარისტების ყოყმანის ნიშანი, რადგან მათ არ გადაუწყვეტიათ ეს ციფრი უნდა იყოს ბიუროკრატების ორიენტირი, დაფიქსირებული კანონმდებლობაში თუ კონსტიტუციაში. ასევე მათ ჯერ კიდევ არ განუხაზვარიანთ თავად რიცხვი უნდა იყოს 2, 3, 4 თუ 5. მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ ერთიანობა თავიანთ რიცხვში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავიანთ შემოთავაზებებს მაქსიმალურ ბუნდოვნებას მიანიჭებენ.

უწყვეტი პოლიტიკური წნეხი

ამკარაა, რომ ამ სისტემის პარამეტრების აღიარების შემდეგ ადგილი ექნება უწყვეტ პოლიტიკურ წნეხს ინფლაციაზე. მტკიცებას, რომ ფულის მასის ყოველწლიური 2%-იანი ზრდა საკმარისია, ეჭვქვეშ აყენებენ კოლეგები, რადგან იგი შესაძლოა ზედმეტად დაბალი იყოს და გამოიწვიოს რეცესია. 3%-ის მომხრეებს ასევე მოუწევთ განუწყვეტელი ბრძოლა ხან 4%-ის, ხანაც 5%-ის მომხრეების წინააღმდეგ. რეცესია ყოველთვის დაბრალდება ფულის არსებული მასის ზრდის დაბალ განაკვეთს. შემდეგ კი ისევე განახლება კამათი მისი გაზრდის შესახებ.

აღნიშნული მხოლოდ ჩემი წარმოსახვის შედეგი არ არის. 1975 წლის 20 თებერვალს შერნი ფორდ მეორემ, თავისი საავტომობილო კომპანიის არასახარბიელო წლიური ანგარიშის პრეზენტაციისას აღნიშნა, რომ აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც „უზრუნველყოფდნენ ეკონომიკის დინამიურ განვითარებას“. ამასთან ერთად, მან აღნიშნა, რომ „ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უნდა გაზარდოს ფულადი მასის ზრდის ტემპები 6-8%-ით.

ასეთი მაგალითებიდან მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანე. ზემოაღნიშნული იყო განსაკუთრებით ინსტრუქციული, რადგან მოდიოდა ბიზნესმენისგან და არა პოლიტიკოსისგან.

ერთი თვის შემდეგ უფრო საოცარი რამ მოხდა. 18 მარტს, აშშ სენატმა ერთსულოვნად, მნ ხმა 0-ს წინააღმდეგ, მიიღო რეზოლუცია, რომელიც აიძულებდა ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველობას გაეზარდა ფულის მიწოდება „იმ მოცულობით, რომელიც საჭირო იქნებოდა სწრაფი ეკონომიკური აღმასვლის უზრუნველსაყოფად“. ასევე იგი მას სთხოვდა ყოველ ექვს თვეში სენატის საბანკო კომიტეტთან კონსულტაციების წარმოებას ფულის მიწოდების „მიზნებსა და გეგმებზე“. ფაქტობრივად ეს იყო განკარგულება ფედერალური სარეზერვო სისტემისათვის ინფლაციის გაგრძელების შესახებ. იგი ასევე წარმოადგენდა გზავნილს ფედერალური სარეზერვო სისტემისადმი, რომ თუ მათ ადრე თავი დამოუკიდებელ ორგანოდ მიაჩნდათ, ახლა უნდა დაემორჩილონ პოლიტიკოსებს. აღნიშნული რეზოლუციის არსი მოგვიანებით დამტკიცებულ იქნა კონგრესის მიერ.

მონეტარისტების პროგრამა აუცილებლად აქცევს მონეტარულ სისტემას პოლიტიკურ ფეხბურთად. რას უნდა მოველოდეთ სხვას? განა არ წარმოადგენს უმაღლესი დონის მიაზიტობას განზრახ მიანიჭოს სახელმწიფოს ფულის მინოდების განსაზღვრის ძალაუფლება და შემდეგ მოელოდე, რომ არსებული ბიუროკრატები არ გამოიყენებენ ამ ძალაუფლებას საკუთარი თანამდებობის მაქსიმალურად დიდი ხნით შენარჩუნების მიზნით?

მყარი მონეტარული სისტემის პირველი აუცილებელი მოთხოვნა ფულის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრაზე პოლიტიკოსისათვის მინიმალური ძალაუფლების მინიჭება.

ყოველივე ამას მიყვავართ ოქროსაკენ. ოქროს, როგორც ფულის სტანდარტის კარგად ცნობილ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ იგი ახდენს მონეტარული ერთეულის მინოდებას და მსყიდველობითუნარიანობას მთავრობის, პოლიტიკური პარტიების და ინტერესთა ჯგუფებისაგან დამოუკიდებლად. ოქროს უდიდესი ღირსება მის შეზღუდულობაშია; მისი რაოდენობა ბუნებრივადაა შეზღუდული; მისი მოძიება, მოპოვება და წარმოება ძვირია, იგი ვერ შეიქმნება პოლიტიკური განკარგულებით ან კაპრიზით. და ბოლოს, სწორედ ოქროს სტანდარტის ღირსებაა ის, რომ იგი ანებსებს ლიმიტს საკრედიტო ექსპანსიაზე.

ნაწილობრივი თუ სრული რეზერვი?

არსებობს ოქროს სტანდარტის ორი ძირითადი სახე. ერთია ნაწილობრივი რეზერვირების სისტემა და მეორეა სუფთა ოქროს ანუ 100%-იანი სარეზერვო სისტემა.

ნაწილობრივი რეზერვირების სისტემა განვითარდა და დომინირებდა დასავლეთის სამყაროში საუკუნის განმავლობაში 1815-1915 წლებში. ეს არის ის, რასაც ეხლა კლასიკურ ოქროს სტანდარტს ვეძახით. მას გააჩნია ე.წ. ელასტიურობის უპირატესობა. მან შესაძლებელი გახადა ბიზნეს ციკლები, ანუ აღმავლობისა და დაცემის განმეორებადი ციკლები.

ნაწილობრივი რეზერვირების სისტემის პირობებში, რაც ტიპურად ხდება მოცემულ ქვეყანაში, ვთქვათ რურითანიაში, მსესხებელს მიეცემა სესხი ბანკიდან, მოთხოვნადი დეპოზიტის ფორმით და ის დაბანდდება სხვადასხვა საწარმოებში. ამგვარად წარმოქმნილი ახალი ფული, ბიზნესისა და დასაქმების ტემპების შენელების შემდეგ, გაზრდის რურითანიის ფასებს. რურითანია გახდება ხელსაყრელი ადგილი ექსპორტისათვის, მაგრამ არასახარბიელო იმპორტისათვის. საგადასახადო ან სავაჭრო ბალანსი არასახარბიელო ხდება. ეს გამოიწვევს რურითანიის საგადახდებლო საშუალების გაცვლითი კურსის დაცემას, ოქროს საექსპორტო ნიშნულის“ მიღწევამდე. შემდეგ ოქრო გაედინება სხვა ქვეყნებში, რის შესაჩერებლადაც სარგებლები (მოგების განაკვეთი) რურითანიაში გაიზრდება. უფრო მაღალი სარგებლით ან უფრო მცირე ოქროს ბაზით, საგადახდებლო საშუალების მოცულობა შემცირდება, რაც იწვევს დეფლაციას და კრიზისს, რასაც მოსდევს ეკონომიკური ვარდნა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ოქროს სტანდარტის ნაწილობრივი რეზერვირების სისტემა თითქმის სისტემატიურად ქმნის გამოცოცხლებისა და დაცემის ციკლებს.

მსგავსი სისტემის ქვეშ მოქმედებს მუდმივი პოლიტიკური წნეხი სარგებლების ან სარეზერვო მოთხოვნების დასაწევად, ასე რომ საკრედიტო ექსპანსია - ანუ ინფლაცია - შეიძლება წახალისებულ იქნას ან გაგრძელდეს. ალბად საკრედიტო ექსპანსიის შესაძლებლობა ნაწილობრივი რეზერვირების სისტემის დიდ უპირატესობად ითვლება. მაგრამ გამორჩენილია ის ფაქტი, რომ არა აქვს მნიშვნელობა რამდენი ხნის განმავლობაში არის დანესებული მოთხოვნილი კანონიერი რეზერვი, ბუნებრივია აუცილებლად მივალწვეთ იმ ნიშნულს, როცა დასაშვები კანონიერი საკრედიტო ექსპანსია იქნება მიღწეული. შემდგომ ადგილი ექნება გარდაუვალ პოლიტიკურ ზენოლას საჭირო რეზერვების პროცენტის დაწევის მიზნით.

ეს გახლდათ აშშ-ში არსებული სისტემის ისტორია. ფედერალური სარეზერვო სისტემის აქტის შედეგი და ნაწილობრივი განზრახვაც იყო გაეზარდა საკრედიტო ექსპანსიის პოტენ-

ციური მოცულობა. ნევრი ბანკებისათვის მოთხოვნილი რეზერვები ახალი ფედერალური რეზერვის აქტის პირობებში ეროვნული ბანკებისთვის მანამდე არსებული 15-25% განაკვეთი შემცირდა 12-18%-მდე ფედერალური სარეზერვო სისტემის ახალი ნევრი ბანკებისათვის. 1917 წელს ნევრი ბანკებისათვის სავალდებულო რეზერვები კიდევ შემცირდა 7-13%-მდე.

საკრედიტო პირამიდა

მაგრამ ამოტრიალებული საკრედიტო პირამიდის თავზე, რომლის შექმნის უფლებაც ქონდათ მინიჭებული ნევრ ბანკებს, ახლადშექმნილ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკებს, რომლებიც ფლობდნენ ნევრი ბანკების რეზერვებს, ნება დაერთოთ თავად აღემართათ ამოტრიალებული საკრედიტო პირამიდა. სარეზერვო ბანკების სავალდებულო რეზერვები შეადგენდა ანაბრების 35% და მათ მიერ გამოშვებული ბანკნოტების 40% ოქროში.

მოგვიანებით ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელობა ბანკებისთვის სარეზერვო მოთხოვნების დაწესების საკითხში უფრო მკაცრი გახდა (მაგ., 1936 წლიდან მათი მოცულობა მკვეთრად იზრდებოდა). მაგრამ ისინი ძალიან შემწყნარებელი იყვნენ საკუთარი სარეზერვო საჭიროებების დაწესებისას. 1945 წლის ივნისიდან 1965 წლის მარტამდე სარეზერვო მოთხოვნების განაკვეთმა 35-40%-დან 25%-მდე დაინია. შემდეგ საერთოდ გაუქმდა.

ასე იყო წარსულში. რა იქნება მომავალში?

თუ მსოფლიოს, ან ამ ქვეყანას მაინც ოდესმე დაუბრუნდება სალი აზროვნება და გადაწყვეტს აღადგინოს ოქროს სტანდარტი, მაშინ ნაწილობრივი რეზერვირების სისტემა უნდა გაუქმდეს. დაეუშვათ, აშშ მთავრობამ მიიღოს ეს გადაწყვეტილება, ცხადია, იგი არ გაანადგურებს არსებულ ფიდუციარულ ფულსა და კრედიტს ან მათ გამყარებულ ნაწილს, გამანადგურებელი და უსარგებლო დეფლაციის გარეშე. მაგრამ იგი მთავრობას შეაჩერებს ფიდუციარულ/გაუმყარებელი სავადამხდელი საშუალებების გამოშვებისაგან. დაეუშვათ, რომ მთავრობამ შემდეგში შეძლოს ოქროსა და დოლარის რეალური კონვერტაციის კოეფიციენტით დაფიქსირება, რაც იქნებოდა მდგრადი და თავისთავად არ გამოიწვევდა ინფლაციას ან დეფლაციას. აშშ შეუძლია დაუბრუნდეს მყარ სავადამხდელი საშუალებას და მყარ ოქროს ბაზისს.

თუმცა, ინფლაციასა და გაურკვეველ დემაგოგიაში ჩაძირულ დღევანდელ სამყაროში მსგავსი განვითარების ალბათობა პრაქტიკულად ნულის ტოლია. პრობლემის გადასაწყვეტად, ჩემი აზრით, მთავრობა პასუხისმგებლური გახდება და დაიწყებს მოქალაქეთა გრძელვადიან ინტერესზე დაფუძნებული ქმედებების განხორციელებას, ნაცვლად სპეციალური ჯგუფების მხოლოდ მოკლევადიან ინტერესზე, რაც დღეისათვის სასწაულს ემსგავსება.

მაგრამ პერსპექტივა არაა უიმედო. დასაწყისში აღვნიშნე, რომ საუკუნეზე მეტია რაც ზოგი ეკონომისტი ცდილობს შექმნას იდეალური ფული, თუმცა ვერც ამაზე შეთანხმდნენ და ვერც წარმატება მოიპოვეს მათ სქემებმა, რისი მიზეზი მათ მიერ დაშვებული მცდარი ვარაუდია, რომ მონეტარული სისტემის შექმნა და „ადმინისტრირება“ სახელმწიფოს პეროგატივაა.

ეს იდეა თითქმის უნივერსალურ ცრურწმენად ჩამოყალიბდა. ყველა თანხმდება იმაზე, რომ მონეტარული სისტემა შექმნილია ძალაუფლების მქონე პოლიტიკოსების სათამაშოდ.

მონეტარული „რეფორმატორების“ შემოთავაზებები წარუმატებელი აღმოჩნდა ორი ძირითადი მიზეზის გამო. უპირველესად მცდარი იყო მათი აზრი მონეტარული სისტემის ფუნქციაზე, რომლის მიხედვით, ფულის ხარისხის უმთავრესი მაჩვენებელია მისი „ნეიტრალურობა“, რომელიც საუკეთესოდ მიიღწევა მაშინ, თუ ისინი ქმნიან ისეთ ფულს, რომელსაც მიყვარათ მუდმივი და უცვლელი ფასების დონისაკენ.

ეს გახლდათ ირვინ ფიშერის მიზანი 1920-იან წლებში თავისი „კომპენსირებადი დოლარი“. აგრეთვე, მისი თანამედროვე მიმდევრების მიზანსაც, „მონეტარისტები“ და მათი შემოთავაზება სახელმწიფოს მიერ მართული ფულის მინოვების ზრდა წლიური 3-5%-ით „ფასების ფონის“ სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

ეს მიზანი თავისთავად საკამათოა. უფრო სერიოზული შეცდომაა მათ მიერ შემოთავაზებული ამ მიზნის მიღწევის მეთოდი: ოფისში მყოფი პოლიტიკოსებისათვის ძალაუფლების მინიჭება, რომლითაც ისინი მოახდენენ საგადამხდელო საშუალების მანიპულირებას მონეტარისტების მიერ წინასწარ შემოთავაზებული ფორმულის მიხედვით.

ეგოისტი პოლიტიკოსები

მსგავსი რეფორმატორები ვერ აღიარებენ იმას, რომ თუ პოლიტიკოსებმა და მათ მიერ დანიშნულმა პირებმა მსგავსი ძალაუფლება ერთხელ ჩაიდგეს ხელში, ისინი ნაკლებად გამოიყენებენ ამ ძალაუფლებას რეფორმატორების მიზნების განხორციელებისათვის, და უფრო მეტად საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის იზრუნებენ. პოლიტიკოსების მიზანია საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება, რასაც ხელს უწყობს მათ მიერ მიღებული კანონ-მდებლობა და რომელიც მიმართულია ფულის გამოშვების ზრდაზე, რადგან ეს:

1. გაზრდის „მსყიდველუნარიანობას“, ვაჭრობის მოცულობას და დასაქმებას;
2. შეინარჩუნებს ფასების ისეთივე სწრაფ ზრდას, როგორც პროფკავშირების ზეწოლა ზრდის ხელფასებს, რითაც ხანგრძლივი დასაქმება შესაძლებელი ხდება;
3. სუბსიდირებსა და სხვა ტიპის დახმარების მიცემა სპეციალურ ინტერესთა ჯგუფებისათვის გადასახადების დაუყოვნებლივი ზრდის გარეშე. ამგვარად, საუკეთესო პოლიტიკა ძალაუფლების მქონე პოლიტიკოსებისთვის გახლავთ ინფლაციის ქონა.

ამრიგად, რწმენა იმის შესახებ, რომ მონეტარული სისტემის შექმნა და მენეჯმენტი უნდა იყოს სახელმწიფოს ანუ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსების პრეროგატივა, არის მცდარიც და დამლუპველიც. უფრო რეალურია, რომ მთავრობა მონეტარული სფეროსაგან რაც შეიძლება შორს იყოს. ლიბერტარიანელებმა, უპირველესად, დაუინტერესებინეს მოთხოვნონ ნებაყოფლობითი კერძო კონტრაქტების ოქროში გადახდის ან ოქროს ლირებულებაში გამოხატვის უზრუნველყოფა საკანონმდებლო დონეზე.

ოქროზე გადასვლა

რა მოხდება ამ შემთხვევაში, როდესაც ინფლაციის დონე გაიზრდება ან უფრო გაურკვეველი გახდება. ამერიკელები შეეცდებიან გაზარდონ გრძელვადიანი კონტრაქტების ოქროში დადება, რადგან გამყიდველსაც და მყიდველსაც ნაკლები სურვილი ექნება გრძელვადიანი კონტრაქტები დოლარში ან ნებისმიერ სხვა გაუმყარებელ საგადამხდელო საშუალებაში დადონ.

ეს განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო კონტრაქტებისათვის. მყიდველმა ან მეველემ ამ უნდა შეინახოს ოქროს გარკვეული რეზერვი ან დადოს ოქროს შესყიდვის ფორვარდული კონტრაქტი ან იყიდოს ოქრო ღია ბაზარზე თავისი ქალაქის ფულით, როცა კონტრაქტის გადახდის დრო მოვა. დროის განმავლობაში, თუ ინფლაცია გრძელდება, სულ უფრო მეტი მიმდინარე გარიგება დაიდება ოქროში.

ამგვარად, გაუმყარებელი ქალაქის ფულის გვერდით წარმოიქმნება კერძო ადგილობრივი და საერთაშორისო ოქროს სტანდარტი. ყოველი ქვეყანა, რომელიც დაუშვებს ამ სისტემას, მოექცევა ორმაგ მონეტარულ სისტემაში, სადაც ყოველდღე შეიცვლება საბაზრო ურთიერთობა ორ ფულს შორის. საბოლოოდ გაჩნდება ოქროს კერძო ფულის სისტემა, რომელ-

ზე გადასვლაზე შესაძლებელი გახდება სახელმწიფოს ფულის გაუფასურების შემდეგ - როგორც ეს მოხდა გერმანიაში 1923 წლის ნოემბერში და სხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს.

კერძო ოქროს სტანდარტი?

შეიძლება არსებობდეს მსგავსი კერძო ოქროს სტანდარტი? ისტორიამ უკვე უპასუხა ამკითხვას. კერძო ოქროს მონეტები და საგადამხდელი საშუალებები არსებობდნენ მთავრობების მიერ ფინანსური სისტემის ხელში ჩაგდებაზე, ანუ მათ ნაციონალიზებამდე. ამ ნაბიჯს შედეგები და მთავრობები ასაბუთებდნენ იმით, რომ არსებულ კერძო მონეტებს არ გააჩნდათ ერთიანი და მარტივად ამოსაცნობი ზომა, წონა და შტამპი. შესაბამისად, ოქროს ხარისხის გამოცნობა, ან საერთოდ იყო თუ არა მონეტა ოქრო მარტივად ვერ ხერხდებოდა. კერძო მონეტები იყო ცუდად დამუშავებული და შესაძლებელი იყო მისი ადვილად გაყალბება. ამასთან, ყალბი მონეტის სასამართლოში გასაჩივრება რთულ პროცესს წარმოადგენდა. მეფეები შეთანხმდნენ ერთგვაროვანი მონეტების გამოშვებაზე, რომელსაც ამოსაცნობად დატანილი ექნებოდა სამეფო შტამპი. გამყალბებლების წინააღმდეგ დანესდებოდა მკაცრი კონტროლი, ბიზნეს ტრანსაქციები გახდებოდა უფრო ეფექტური, რომლებზეც გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდებოდა. მოსახლეობას შეეძლო დაყრდნობოდა ასეთ ფულს.

მთვრობის მიერ ფულის გამოშვების მომხრე მეორე არგუმენტი ეხება ხურდა მონეტებს, კერძოდ მცირე ოქროს მონეტების დამზადებით შესაძლებელია მილიონობით ტრანსაქციის განხორციელება, მაგ., 1 დოქი რძის ან პურის ყიდვა, შეუძლებელი, საკამათო და უაზროა.

საჭირო იყო სტანდარტული ერთეულის ნახევარის, მეოთხედის, მეათედის ან მეათედის შესაბამისი ხურდა მონეტების გამოშვება, რომლებიც მიუხედავად მათი რეალური ღირებულებისა, ან თუ რისგან იქნებოდნენ დამზადებულნი, გახდებოდა კანონიერად აღიარებული და განაღდებადი შესაბამისი კურსის მიხედვით ოქროს მონეტებში.

ჩემი ვარაუდით, ძნელი იქნებოდა ამ ყველაფრის უზრუნველყოფა მხოლოდ კერძო ვალუტის პირობებში, როდესაც ყველას აქვს უფლება გამოჰქედოს თავისი მონეტა და გარანტირებულად გადაცვალოს იგი ოქროში. კერძო მონეტების წარმოებას ალბად შეუძლია მსგავსი პრობლემის გადაჭრა, მაგრამ მე ვაღიარებ, რომ პირადად მე არ შემიძლია ვიფიქრო სხვა გადაწყვეტაზე, რომელიც არ იქნებოდა რთული, დამამძიმებელი ან არასაიმედო.

ცხადია, რომ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ან სახელმწიფოს მიერ რეგულირებად მონეტების გამოშვებას გააჩნია გარკვეული უპირატესობები. მაგრამ ამისათვის გარკვეული საფასურია გადასახდელი, რაც შედარებით დაბალი იყო XIX ს-ში და 1914 წლამდე, მაგრამ დღეს სახელმწიფოს მიერ ფულის კონტროლის ფასი ყველგან ძალიან დიდია.

პრობლემა მხოლოდ ფინანსური სფეროთი არ შემოიფარგლება. იგი სახელმწიფო პრობლემაა. სახელმწიფო საჭიროა შიდა და გარე ძალადობის, აგრესიის აღსაკვეთად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამასთან, ძალაუფლების მქონე ადამიანთა ბოლომდე ნდობა შეუძლებელია. არცერთი ძალაუფლება არაა დაზღვეული ბოროტად გამოყენებისგან, და რაც უფრო დიდია ძალაუფლება, მით უფრო დიდია მისი ბოროტად გამოყენების ალბათობა. ამიტომაც, მთავრობას მინიმალური ძალაუფლება უნდა მიენიჭოს. ყველა მთავრობა ცდილობს გამოიყენოს მცირედი უფლებებიც კი მისივე ძალაუფლების გასაზრდელად. ცხადია, 1914 წლის შემდეგ მომხდარმა ომებმა მთავრობების უმეტესობა თითქმის ყოვლისშემძლე გახადა.

სახელმწიფოს ამ ფართო პრობლემის განხილვა სტატისის საზღვრებს სცდება. რთულია განსაზღვრო, თუ რომელი მონეტარული სისტემაა ყველაზე ოპტიმალური. პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროა მოვიფიქროთ - თუ როგორ გამოვვლიჯოთ პოლიტიკოსებს ხელიდან მონეტარული სისტემა. უდავოა, სანამ სახელმწიფოს ექნება მონეტარული პოლიტიკის მართვის მთავარი სადავეები, მყარი საგადამხდელი საშუალების ქონა შეუძლებელია.

ფრიდრიხ ოგუუსტ ფონ ჰაიეკი

1899 - 1992



ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი (Friedrich August Hayek) 20-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომისტი, ფილოსოფოსი, "ავსტრიული ეკონომიკური სკოლის" უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი.

ფრიდრიხ ჰაიეკი დაიბადა 1899 წლის 8 მაისს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დედაქალაქ ვენაში. მამამისი მუნიციპალური ჯანდაცვის სამსახურში მუშაობდა ექიმად. დედა ფილოსოფოსის ლუდვიგ ვიდგენშტეინის ახლო ნათესავი გახლდათ. ჰაიეკი ადრეული პერიოდისავე გაეცნო საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიურ წიგნებს. განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ჰიუგო დე ვრიეს ნაშრომებმა გენეტიკასა და ევოლუციაზე. აგრეთვე ლუდვიგ ფოიერბახის ფილოსოფიურმა წერილებმა, არისტოტელეს ეთიკამ.

1917 წელს ავგუსტ ჰაიეკი ავსტრია-უნგრეთის ჯარში მსახურობდა და იტალიის საზღვარზე იბრძოდა, სადაც გამოჩენილი მამაცობისათვის დააჯილდოვეს კიდეც. ჯარის შემდეგ ჰაიეკმა გადაწყვიტა აკადემიურ კარიერას გაჰყოლოდა. 1921-23 წლებში ჰაიეკმა სამართლის და პოლიტიკური მეცნიერების დოქტორანტურა დამთავრა ვენის უნივერსიტეტში. ჰაიეკი სწავლობდა კონსტანტინ ფონ მონაკოვის ტეინის ანატომიის ინსტიტუტში, სადაც განსაკუთრებით დაინტერესდა ერნსტ მახის ნაშრომებით. სწორედ ამ პერიოდის გავლენით დაინერა შრომა "მგრძნობელობითი წესრიგი" (გამოქვეყნდა 1952 წელს).

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ფრიდრიხ ჰაიეკი ავსტრიის მთავრობამ მრჩეულად აიყვანა სენ-ჟერმენის ხელშეკრულების იურიდიულ და ეკონომიკურ საკითხებზე სამუშაოდ. 1923-24 წლებში, იგი მიიწვიეს ნიუ იორკის უნივერსიტეტში, პროფესორ იერემია იენკის მკვლევარ ასისტენტად. იმავე პერიოდში მუშაობდა აშშ-ის ფედერალური რეზერვების ოპერაციების საკითხებზე.

1927-1931 წლებში ჰაიეკი ავსტრიის ეკონომიური კვლევების ინსტიტუტის დირექტორია, მოღვაწეობდა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში (1931 - 1950), ჩიკაგოსა (1950-1962), და ფრაიბურგის (1962-1969) უნივერსიტეტებში.

მისი შრომებიდან აღსანიშნავია: "ფასები და წარმოება" (1931), "გზა ბატონყმობისკენ" (1944), "ინდივიდუალიზმი და ეკონომიკური წყობა" (1948), "სენსორული წესრიგი" (1952), "თავისუფლების კონსტიტუცია" (1960), "კანონი, კანონმდებლობა და თავისუფლება" (ტრილოგია, 1973-1976), "ცოდნის მოჩვენება" (1974), "ფულის დენაციონალიზაცია" (1978).

ღრმად მეცნიერულმა კვლევებმა, ორიგინალურმა მიდგომებმა და თავისუფლების იდეალებისათვის მიზანმიმართულმა ბრძოლამ, მას უდიდესი აღიარება მოუტანა. ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის 1974 წლს ჰაიეკს მიანიჭეს ნობელის პრიზი.

ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ ჰაიეკი

საგადამხდლო საშუალების არჩევანი, ინფლაციის შეჩერების გზა¹

თარგმნა ხათუნა ახოზაძემ

I. ფული, კეინზი და ისტორია²

თანამედროვე მონეტარული პრობლემების სათავე დაკავშირებულია ლორდ კეინზთან და მის მოწაფეებთან, რომლებმაც მეცნიერული ძალა მიანიჭეს საუკუნოვან ცრურწმენას - ფულის ხარჯვის ზრდით ხანგრძლივი კეთილდღეობის და სრული დასაქმების მიღწევის შესახებ. კეინზის წინამორბედი ეკონომისტები ორი საუკუნის მანძილზე ეწინააღმდეგებოდნენ ამ ცრურწმენას და გარკვეული წარმატებითაც³. მას დიდი ხნის მანძილზე დომინანტური მდგომარეობა ეკავა. თუმცა, ისტორიის ეს პერიოდი უმთავრესად ინფლაციითაა ცნობილი; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე წარმატებული სამრეწველო სისტემების ზრდის და ოქროს სტანდარტის ზეობის პერიოდში, რაც დაახლოებით ორასი წელი გაგრძელდა (ბრიტანეთში დაახლოებით 1714-1914 წწ, აშშ-ში დაახლოებით 1749-1939 წწ), ფასები თითქმის არ შეცვლილა. ამ პერიოდის დასასრულს ფასები ისეთივე დარჩა, როგორც დასაწყისში იყო.

მონეტარული სტაბილურობის ამ უნიკალურ პერიოდში ოქროს სტანდარტმა ფულად-საკრედიტო რეგულირების ისეთი წესრიგი დაამყარა, რომელიც გამოირიცხავდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რასაც წინათ ასე ხშირად ჰქონდა ადგილი. მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოცდილება მკვეთრად არ განსხვავებებოდა აღნიშნულისაგან: როგორც მსენია, ჩინეთის კანონმდებლობა ყოველთვის ცდილობდა აეკრძალა ქალაქის ფული (ცხადია, უშედეგოდ), ევროპელებს მიერ მის გამოგონებამდე დიდი ხნით ადრე.

კეინზიანური რეაბილიტაცია

ჯონ მეინარდ კეინზი დიდი ინტელექტის, მაგრამ ეკონომიკურ თეორიაში ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანი იყო. სწორედ მან აღადგინა ის თვალსაზრისი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ახირებდა ითვლებოდა და რომელსაც თვითონ იზიარებდა. კეინზი ცდილობდა ახალი თეორიებით გაემართლებინა ერთი შეხედვით დამაჯერებელი, ინტუიციური რწმენა, რომელიც ადრე მრავალ საქმიან ადამიანს გააჩნდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ფასების მექანიზმის მკაცრ ანალიზს ვერ უძლებს: რადგან ყველა სახის შრომას არ შეიძლება ერთგვაროვანი ფასი ჰქონდეს, სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების გათანაბრება არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მოთხოვნის რეგულირებით. დასაქმების მოცულობა

¹ 1975 წლის 25 სექტემბერს შეიქცარიაში, ლოზანას უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვა სახელწოდებით "საერთაშორისო ფული", "უენევის ოქრო და მონეტარული კონფერენცია" (Geneva Gold and Monetary Conference). პირველად 1976 წლის თებერვალში გამოქვეყნდა ჟურნალში "ეკონომიკურ საქმეთა ინსტიტუტი" ("The Institute of Economic Affairs").

² სათაურები და ქვესათაურები ჩავამატეთ მკითხველთა დასახმარებლად, განსაკუთრებით არაკონომისტებისთვის, ვინც პროფესორ ჰაიეკის ნაშრომებს არ იცნობს. ლექციის დედანში ეს არ არის, (რედ.)

³ ეს შენიშვნა გაკეთებულია პროფესორ ჰაიეკის წერილში, 'A Comment on Keynes, Beveridge and Keynesian Economics', page 23. (რედ.)

ეკონომიკის თითოეულ სექტორში შესაბამის მოთხოვნა-მიწოდებაზე დამოკიდებული, აქედან გამომდინარე, ხელფასის სტრუქტურაზე და სექტორებს შორის მოთხოვნილების დაბალანდებაზე. სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ უკვე რამდენი ხანია კეინზის მეოთხე ვერაფერს შევლის უმუშევრობას, უფრო მეტიც, აუარესებს მდგომარეობას.

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის და ბრწყინვალე პოლიემისტის იდეამ, მწვავე უმუშევრობის პერმანენტულად პრევენციის იაფი და იოლი საშუალებების შესახებ, იმთავითვე დაიპყრო საზოგადოებრივი აზრი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, პროფესიონალური აზრიც. ბატონმა ჯონ ჰიკსმა ისიც კი შემოგვთავაზა, ამ საუკუნის მესამე მეოთხედისთვის, 1950-დან 1975 წლები, დაგვერქმია კეინზის ეპოქა, მეორე მეოთხედი პიტერის ეპოქას წარმოადგენდა⁴. კეინზის მიერ მიყენებული ზიანი იმდენად დიდად არ მიმჩნია, რომ ამას იმსახურებდეს. თუმცა, კეინზის ორთოდოქსალური თეორიისადმი ყოველგვარი წინააღმდეგობის განწევა, მისი მოქმედების მთელი ხნის მანძილზე, უშედეგო აღმოჩნდა.

პირადი აღიარება

ხშირად საკუთარ თავს ვადანაშაულებ, რომ კეინზის თეორიული მსოფლმხედველობის პირველი ვერსიის კრიტიკას, რომელსაც ამდენი დრო და ენერჯია შევალე, შემდეგ თავი დაეანებე და ბრძოლა შევეწყვიტე. მხოლოდ ჩემი კრიტიკის მეორე ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ მითხრა მან, რომ აზრი შეიცვალა და უკვე აღარ სწამდა 1930 წელს "ფულის ტრაქტატიში" გამოთქმული აზრების (მეჩვენება, რომ ცოტა უსამართლო იყო საკუთარი თავის მიმართ, რადგან მე მაინც მიმჩნია, რომ ტრაქტატის II ტომი მისი საუკეთესო ნაშრომია).

ყოველ შემთხვევაში, მაშინ საჭიროდ არ ჩავთვალე კეინზის კრიტიკას დაებრუნებოდი, რადგან ჩანდა, რომ შეხედულებას ისევ შეიცვლიდა. როდესაც მისმა ახალმა წერილმა - "ზოგადი თეორია", რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა - პროფესიული აზრის დიდი ნაწილი დაიპყრო და ჩემთვის ღრმად პატივსაცემმა ზოგიერთმა კოლეგამაც კი მხარი დაუჭირა კეინზიანურ ბრეტონ ვუდის შეთანხმებას, თითქმის მთლიანად გამოვეთქმე დებატებს, რადგან ორთოდოქსული ფლანგის თითქმის ერთსულგვანი მოსაზრებისგან განსხვავებული აზრის გამოთქმა უბრალოდ შესაძლებლობას წამართმევდა სხვა, იმ დროისათვის ჩემთვის უფრო საინტერესო საკითხებს გავცნობოდი (თუმცა მიმჩნია, რომ ზოგიერთი საუკეთესო ბრიტანელი ეკონომისტის ბრეტონ ვუდისადმი მხარდაჭერა უფრო პატრიოტიზმით იყო გამოწვეული - იმ იმედით, რომ იგი სარგებლობას მოუტანდა ბრიტანეთს ომისშემდგომი სირთულეების დასაძლევად - ვიდრე იმ რწმენით, რომ დაამყარებდა დამაკმაყოფილებელ საერთაშორისო მონეტარულ წესრიგს).

II. როგორ იქმნება უმუშევრობა

36 წლის წინ, ურთიერთგანსხვავებული მიდგომების გარდამტეხი მომენტის შესახებ ვწერდი:

"შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს უარყოფილა აზრი მონეტარული ექსპანსიის მეშვეობით დასაქმების სწრაფი ზრდის და უმოკლეს დროში "სრული დასაქმების" მიღწევის შესაძლებლობაზე - განსაკუთრებით იმ ეკონომისტების მხრიდან, რომელთა მსოფლმხედველობაზე გავლენა იქონია დიდი ინფლაციის გამოცდილებამ. ამის სანაწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზით მიღწეული სრული დასაქმება თავისი არსით არასტაბილურს წარმო-

⁴ John Hicks, *The Crisis in Keynesian Economics*, Oxford University Press, 1974, გვ.1.

ადგენს და ასეთი საშუალებებით სამუშაო ადგილების შექმნა ნიშნავს რყევების სამარად-
 ჟამოდ დამკვიდრებას. შესაძლოა, შეიქმნას ისეთი უიმედო ვითარება, რომ მართლაც საჭი-
 რო გახდეს ნებისმიერ ფასად დასაქმების ზრდა, თუნდაც მოკლე პერიოდით. ეს სწორედ ის
 მდგომარეობაა, რა მდგომარეობაშიც დოქტორ ბრუნინგი თვითონ აღმოჩნდა გერმანიაში
 1932 წელს, როდესაც უგუნური საშუალებაც გამართლებულია. მაგრამ ეკონომისტმა არ
 უნდა დამალოს ის ფაქტი, რომ მონეტარული პოლიტიკის მეშვეობით მოკლე დროში მაქსი-
 მალური დასაქმების მიღწევა არსებითად სასწრაფო პოლიტიკაა, როდესაც არაფე-
 რი აქვს დასაკარგი და ყველაფერი აკეთებ მხოლოდ მოკლე დროში სულის მოსათქმელად⁵.

მათ პასუხად, ვინც არასწორი ინფორმაციის გავრცელებით მიზანმიმართულად ამახინ-
 ჯებს ჩემს მოსაზრებებს, ვისაც სურს ისეთ დემონადაც კი გამოიყვანოს, რომლის გავლენა
 კონსერვატიულ პარტიებზე საშიშია, მსურს კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი ცხრა თვის წინ
 სტოკჰოლმში ნობელის პრიზის ლექციაზე წარმოქმულ სიტყვებს:

"სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ მცდარი თეორიული თვალსაზრისის გამო ჩვენ
 რთულ პოზიციაში აღმოვჩნდით და ძალია არ შეგვეწვეს უმუშევრობის ახალი ტალღის შემო-
 ტევა აღვეკეთოთ: არა იმიტომ, რომ, ჩემი მოსაზრებით, რომელსაც ხშირად არასწორ
 ინტერპრეტაციას აძლევენ, ეს უმუშევრობა განზრახ არის გამოწვეული ინფლაციის
 წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ იმიტომ, რომ როგორც კი ინფლაცია შენელებდა, ის
 აუცილებლად მოგვევლინება, როგორც წარსული მცდარი პოლიტიკის დიდად სამწუხარო
 მაგრამ გარდაუვალი შედეგი"⁶.

უმუშევრობა "სრული დასაქმების პოლიტიკის" გზით

უმუშევრობის შექმნა იმ გზით, რასაც "სრული დასაქმების პოლიტიკა" ჰქვია საკმაოდ
 რთული პროცესია. თავისი არსით, იგი მოთხოვნის დანაწილების დროებითი ცვლილებების
 გზით იქმნება, რისთვისაც როგორც უმუშევრებს, ისე უკვე დასაქმებულებს ისეთ სამუშა-
 იებზე იყენებენ, რომლებიც ინფლაციის დასრულებისთანავე ქრებიან.

1914 წლამდე, რეციდიული კრიზისების პერიოდში, კრედიტის ექსპანსია ძირითადად
 სამრეწველო ინვესტიციების დაფინანსებას ხმარდებოდა, ჭარბწარმოება და შესაბამისი
 უმუშევრობა კი უმთავრესად სანარმოო საშუალებების წარმოების სფეროებში შეინიშნე-
 ბოდა. აღნიშნულისგან განსხვავებით, უკანასკნელი ათწლეულების პერიოდში განვითარე-
 ბული ინფლაციური პროცესები შედარებით რთულ ხასიათს ატარებენ.

1920-იანი წლების საწყისი პერიოდის ანალიზიდან ნათელია, თუ რაში მდგომარეობს
 დიდი ინფლაციის არსი, რაშიც ჩემი ვენელი თანამედროვეებიც დამიდასტურებენ: ქალაქის
 ცნობილი ყავახანები, რომლებიც საუკეთესო ცენტრალური ადგილებიდან ახალმა საბანკო
 ოფისებმა განდევნეს, "კრიზისის სტაბილიზაციის" შემდეგ, ისევ დაუბრუნდნენ თავიანთ
 ადგილებს, ხოლო ბანკები დაიხურა ან მათი რაოდენობა შემცირდა და ათასობით ბანკის
 მოხელე უმუშევართა რიგებს შეუერთდა.

დაკარგული თაობა

თორია, რომელიც სრული დასაქმების პოლიტიკას უდევს საფუძვლად, ბოლო წლებში
 დაგროვილი გამოცდილების გამო, სრულიად დისკრედიტირებულია. შესაბამისად, ეკონო-

⁵ F.A. Hayek, *Profits, Interest and Investment*, Routledge & Kegan Paul, London, 1939, გვ. 63n.

⁶ F.A. Hayek, 'The Pretence of Knowledge', Nobel Memorial Prize Lecture 1974, reprinted in *Full Employment at Any Price?*, Occasional Paper 45, IEA, 1975, გვ. 37.

მისტიკა და ინყეს საკუთარი საბედისწერო ინტელექტუალური დეფექტების ძიება, რომლებიც მათ თავიდანვე ერთობლივად უნდა განეხილათ. მაგრამ ვიშობ, აღნიშნული თეორია მომავალშიც ბევრ პრობლემას შეგვიქმნის: მან დაგვიტოვა ეკონომისტთა დაკარგული თაობა, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერაფერი ისწავლეს. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სწორედ ასეთი ეკონომისტებისგან ჩვენი ფულის დაცვაა, რომლებიც საკუთარი პოპულარობის ასამაღლებლად ისევ გვთავაზობენ მოკლევადიანი ეფექტურობის შარლატანურ საშუალებებს. ასეთი მიდგომები კიდევ დიდხანს შემორჩებათ დაბრმავებულ თეორეტიკოსებს, რომელნიც მუდამ არიან დარწმუნებულნი, რომ ხსნის ვასალები მხოლოდ მათ ხელშია.

1863-ის პენი

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ რესპექტაბელური ინტელექტუალები უკვე ვეღარ განაგრძობენ კეინზიანური დოქტრინის სწრაფი დამასვლის უარყოფას, იგი ისევ სერიოზულ საფრთხეს უქმნის გონივრული მონეტარული პოლიტიკის შესაძლებლობებს. საზოგადოებას ჯერ კიდევ ბოლომდე არ გაუაზრებია, რამდენად გამოუსწორებელია მცდარი პოლიტიკით გამოწვეული ზიანი, განსაკუთრებით ბრიტანეთში, ქვეყანაში, სადაც ეს თეორია წარმოიშვა. ფინანსური რესპექტაბელურობის შეგრძნება, რაც ერთ დროს ბრიტანული მონეტარული პოლიტიკისთვის იყო დამახასიათებელი, სწრაფად გაქრა. მთელი მსოფლიოსთვის მისაბაძი მაგალითის ნაცვლად სულ რამდენიმე წელიწადში ბრიტანეთი სხვა ქვეყნებისთვის გაფრთხილების მაგალითად იქცა.

მისი დაცემის მოწმე სულ ახლახანს, საკუთარ სახლში გაეხდი, ერთი კურიოზული შემთხვევის წყალობით: ჩემი სანერი მაგიდის უჯრაში 1863 წლით დათარიღებული ერთ-პენიანი ვიპოვე, რომელიც სულ რაღაც 12 წლის წინ, ანუ იმ დროს, როდესაც ის ზუსტად ასი წლის იყო, ლონდონის ავტობუსის კონდუქტორმა ხურდაში მომცა, მე კი გერმანიაში დაბრუნებისას თან წავიღე და ჩემს სტუდენტებს ვაჩვენე, როგორც ხანგრძლივი მონეტარული სტაბილურობის ნიშანი. დარწმუნებული ვარ, ამან მათზე სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ იგივეს ახლა ვეღარ გავიმეორებ, მონეტარული სტაბილურობის ნიშნულად ბრიტანეთს ვერ დავასახელებ, რადგან ამაზე, ალბათ, უეჭველი დამცინებენ.

III. ფულის პოლიტიკური კონტროლის სისუსტე

ბრძენი ადამიანი უსათუოდ გაანალიზებს შემდეგ გარემოებას: ინგლისის ბანკის ნაციონალიზაციიდან არანაკლებ 30 წლის მანძილზე ფუნტი სტერლინგის მსყიდველობითი უნარი ისე შემცირდა, რომ რაც იყო უკვე მის ერთ მეოთხედსაც აღარ უდრის. ადრე თუ გვიან ყველგან ცხადი გახდა, რომ მთავრობის მიერ ფულის რაოდენობის გაკონტროლებას ფატალური შედეგი მოაქვს. კითხვის დასმის სურვილიც არ მაქვს: განათლებული და მთლიანად დამოუკიდებელი ეროვნული ან საერთაშორისო მონეტარული ხელისუფლება უფრო უკეთესად გააკეთებდა, ვიდრე საერთაშორისო ოქროს სტანდარტი? მცირეოდენი იმედიც კი არ მესახება, რომ პოლიტიკური წნეხის ქვეშ მყოფი რომელიმე მთავრობა ან რომელიმე ინსტიტუტი ამ მხრივ ოდესმე რამეს შეძლებს.

გვთავაზობს ინტერესები საზიანოა

მთავრობების მიმართ არასოდეს მქონია დიდი ილუზიები. უნდა ვალიარო, მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ხელისუფლების მიმართ შეხედულება არ შემიცვლია,

პირიქით, რაც დრო გადის, უფრო უარესდება: რაც უფრო გონივრულად ცდილობენ იმოქმედონ (ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ დადგენილ წესს დაემორჩილონ), მით უფრო მეტი ზიანი მოაქვთ - რადგან ისინი, როგორც ცნობილია, მხოლოდ კონკრეტულ მიზნებს ემსახურებიან (ნაცვლად თვითრეგულირებადი სპონტანური წესრიგის შენარჩუნებისა) და ნაკლებად ახერხებული კერძო ჯგუფების ინტერესების მსახურებისგან თავის დაღწევას. ყველა ორგანიზებული ჯგუფური ინტერესების მოთხოვნები საზიანოა - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აპროტესტებენ იმ შეზღუდვებს, რომლებიც საკუთარი ინტერესების საზიანოდ და სხვა ჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ. მე ვერაფერს დამარწმუნებ, რომ რომელიმე ქვეყანაში საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ძირითადად განათლებული და პატიოსანი ადამიანები არიან და ეკავები. საქმე იმაში გახლავთ, რომ თუ მთავრობას პოლიტიკური უმრავლესობის სახით ხელისუფლებაში დარჩენა სურს, სხვა გზა არ აქვს გარდა თავისი ძალაუფლების კონკრეტული ჯგუფის სასარგებლოდ გამოყენებისა - ერთ-ერთი ძლიერი მოტივი კი ყოველთვის დამატებითი ფულის მოპოვებაა დამატებით განუღებელი ხარჯებისთვის. თუმცა, რაც არ უნდა მავნე იყოს ინფლაცია, როგორც ჩანს, ყოველთვის არსებობენ ადამიანთა მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომელთა მხარდაჭერაც პირველ რიგში უმრავლესობაში ყოფნის მოსურნე მთავრობას სჭირდება. ისინი ცდილობენ მოკლე პერიოდში დიდი მოგება მიიღონ, მაშინაც კი როცა თავდაპირველად, მცირე ხნით აიცილებენ შემოსავლების დაკარგვას, რადგან ადამიანის ხასიათიდან გამომდინარე, ადვილი დასაჯერებელია, საგანგებო მდგომარეობიდან თავის დაღწევის შემდეგ მისი დროებითობა.

ინფლაციისადმი წინააღმდეგობის აღდგენა

ხელისუფლების მიერ რაც შეიძლება მეტი რაოდენობის და იაფი ფულის გამოშვების უფლება ისეთი პოლიტიკური ძალითაა გამყარებული, რომ მონეტარული ორგანოები ვერასდროს ვერ ახერხებდნენ წინააღმდეგობის გაწევას, გარდა ისეთი გამონაკლისისა, როდესაც მონეტარული ორგანოები აბსოლუტურ წინააღმდეგობას ღირსეულად უწევდნენ და პოლიტიკურ ძალეს ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას არ აძლევდნენ. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდება, როდესაც ეს ინტერესები მეინარდის სულ უფრო და უფრო ამოუცნობ იმიჯს შეეხება. დღეისათვის, უფრო გადაუდებელი სხვა აუცილებლობა არ არსებობს, ვიდრე კეინზიანი ზმის პოპულარული ფორმების შემოტყვევებისგან ახალი, დამცავი მექანიზმების შემუშავება, ანუ მთავრობის შეზღუდვის შეცვლა, ან აღდგენა რომელიც მისივე თეორიის ზეგავლენით სისტემატურად ინგეროდა. ოქროს სტანდარტის, დაბალანსებული ბიუჯეტის, დეფიციტური ქვეყნებისთვის აუცილებლობიდან გამომდინარე ფულის მიმოქცევის შემცირების და "საერთაშორისო ლიკვიდურობის" მარაგის შემცირების მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა ხელისუფლების ასეთი სახის ზენოლებზე მონეტარული ორგანოების დაუმორჩილებლობა. ინფლაციის საწინააღმდეგო, ასეთი სახის უსაფრთხოების ზომები წარმომადგენლობით ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევდა წინააღმდეგობა გაენია გავლენიანი ჯგუფების მიერ მეტი ფულის მოთხოვნაზე. თუმცა, იგი უგულებელყოფილ იქნა იმ ეკონომისტების მიერ, რომელთა წარმოდგენით, თუ მთავრობები მექანიკური წესების ბორკილებისგან გათავისუფლდებიან, შეძლებენ უფრო გონივრულად იმოქმედონ საზოგადოების სასიკეთოდ.

არ ვარ დარწმუნებული, რომ არსებული მდგომარეობა რაიმე საშუალებით გამოსწორდება: ან ახალი, საერთაშორისო მონეტარული წესრიგის დამყარებით, ან საერთაშორისო სავალუტო ორგანოების ან თუნდაც საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ისეთივე კონკ-

რეტული მექანიზმების ან პოლიტიკური სისტემის შემოღებით, როგორც ოქროს სტანდარტია. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ოქროს სტანდარტის ხელახლა შემოღების ნებისმიერი მცდელობა მოკლე ხანში მარცხით დასრულდება და ოქროს საერთაშორისო სტანდარტის იდეალის დისკრედიტაციას კიდევ უფრო გააღრმავებს. მთავარია მთელი საზოგადოების დარწმუნება, რომ ზომიერი სტაბილურობის მისაღწევად შიგადაშიგ გარკვეული გადაუდებელი და მტკიცეული ზომების მიღებაა საჭირო. ამ მხრივ, მთავრობის იმედი ნაკლებად უნდა გვექონდეს, რადგან მას უფლება აქვს განსაზღვროს ფულის რაოდენობა, რის გამოც კიდევ დიდხანს ექნება ზენოლის, ან იაფი ფულის ცთუნება.

ფულის დაცვა პოლიტიკისგან

პოლიტიკოსისთვის, რომელიც კინზის მოდიფიცირებული პრინციპით მოქმედებს, მთავარია ხელისუფლებაში ხანგრძლივი დროით დარჩენა. ასეთ პოლიტიკოსს არ აღეგებს ის გარემოება, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ მიმართული მისი პროგრამა მომავალში უფრო მეტ უმუშევრობას წარმოშობს. ამაში კი იმ პოლიტიკოსებს კი არ დაადანაშაულებენ, ვინც ინფლაცია გამოიწვია, არამედ მათ, ვინც ის შეაჩერა. არანაკლები საფრთხის შემცველია დემოკრატიული სისტემა, სადაც მთავრობა იძულებულია ამომრჩეველთა ნებას დაჰყვეს და ისე იმოქმედოს, რომ შეინარჩუნოს ხალხის ნდობა. ჩვენი ერთადერთი იმედია სტაბილური ფული და მისი მიღწევისათვის ისეთი საშუალებების პოვნა, რომელიც დაიცავს ფულს პოლიტიკისგან. ისტორიულად, ოქროს სტანდარტის 200-წლიანი პერიოდის გამოკლებით, პრაქტიკულად ყველა მთავრობა იყენებდა თავის ექსკლუზიურ უფლებას, ფული გამოეშვა ხალხის მოსატყუებლად და გასაძარცვავად. ნაკლები საფუძველი არსებობს იმედი ვიქონიოთ, რომ მთავრობა უფრო სანდო გახდება, რამდენადაც ხალხს არჩევანი არ აქვს გარდა იმისა, რომ ის ფული გამოიყენოს, რომელსაც მთავრობა იძლევა. ჩვენ ვერ მივანდობთ სახიფათო ბერკეტებს პოლიტიკური უმრავლესობის მქონე იმ სახელმწიფო სისტემებს, სადაც მხოლოდ უმრავლესობის აზრით ხელმძღვანელობენ და სადაც რომელიმე დიდმა ჯგუფმა, "პოლიტიკური აუცილებლობიდან" გამომდინარე, შეიძლება მთავრობას დაემუქროს ხმების არმიცემით. საბედნიეროდ, შიში ნაადრევია. იმედი მაქვს, მთავრობები ზოგიერთი მნიშვნელოვანი ჯგუფის სასიამოვნოდ იბრძოლებენ, თუმცა, ფული ნამდვილად ძალიან საშიში იარაღია და მას პოლიტიკოსების ან ეკონომისტების საეჭვო გონიერულობას ვერ მივანდობთ.

საშიში მონოპოლია

ყველაზე საშიშს და ალსაკვეთს ფულის გამოშვების უფლება კი არ წარმოადგენს, არამედ მთავრობის ექსკლუზიური უფლება და ძალაუფლება, ხალხს იძულებით თავს მოახვიოს ფულის გამოყენება და კონკრეტულ ფასად მისი მიღება. მთავრობის ასეთ მონოპოლიას, საფოსტო მონოპოლიის მსგავსად, ხალხის სიკეთეზე ზრუნვა კი არ უდევს საფუძველად, არამედ მხოლოდ მთავრობის კომერციული ძალაუფლების გაზრდის სურვილი. ვეჭვობ მას ოდესმე ვინმესთვის რაიმე სიკეთე გაეკეთებინოს, გარდა მმართველთა და მათი რჩეულებისა. მთელი ისტორიის მანძილზე მთავრობებს არასოდეს უზრუნველათ ფულის უსაფრთხოებაზე და არც ჩვენთვის მოუციათ ასეთი უსაფრთხო ფული. ფული უფრო უსაფრთხო იქნებოდა, როდესაც მთავრობას საერთოდ არ ექნებოდა მის გამოშვებაზე ექსკლუზიური უფლება.

ფულის არჩევანი კონტრაქტით გადახდისას

რატომ არ აძლევენ ხალხს ფულის თავისუფალი არჩევანის საშუალებას, თუ რომელი ფულის გამოყენება სურთ? რატომ არ უნდა ჰქონდეთ მათ უფლება თავად გადაწყვიტონ - ფრანკებზე, ფუნტებზე, დოლარებზე, გერმანულ მარკებზე თუ ოქროს უნციებზე ურჩევნი-ათ ყიდვა-გაყიდვა. არაფერი მაქვს სანინაალმდეგო, რომ მთავრობამ გამოუშვას ფული, მაგრამ მიმარჩნია, რომ ზიანის მომტანია როგორც მათი მონოპოლიური უფლება, ასევე, ისეთი უფლებები, რომელიც ზღუდავს, თუ რა სახის ფულით შეიძლება კონტრაქტი დაიდოს ტერიტორიის შიგნით, ან ზღუდავს ტარიფის დადგენას, თუ რა კურსით უნდა მოხდეს ფულის გაცვლა.

ჩემი აზრით, ამჟამად მხოლოდ ის დაგვრჩენია ვინატროთ, რომ მთავრობებმა, მაგალი-თად, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ან თუნდაც ატლანტიკის საბჭოს სახელმწი-ფოებმა ვალდებულება აიღონ ერთმანეთის მიმართ, რომ არ შეზღუდავენ თავიანთ ტერი-ტორიებზე ერთმანეთის ან სხვა რომელიმე საგადამხდელო საშუალების თავისუფლად გა-მოყენებას, მათ შორის ყიდვა-გაყიდვას ნებისმიერ ფასად, ხოლო ანგარიშების საწარმოებ-ლად, საბუღალტრო ერთეულად გამოიყენებენ ნებისმიერ ფულს. უტოპიური ევროპული საგადამხდელო საშუალების ერთეულის ნაცვლად, მხოლოდ ეს აზრი მგრევენება, როგორც პრაქტიკულ ისე სასურველ გადაწყვეტილებად. აღნიშნულის მისაღწევად, საჭიროა ბანკებს მიეცეთ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ფილიალების თავისუფლად დაფუძნების უფლება.

მთავრობა და კანონიერი საგადამხდელო საშუალება

ეს შეთავაზება, შესაძლოა, ერთი შეხედვით აბსურდული ეჩვენოს მათ, ვინც "კანონიერი საგადამხდელო საშუალების" კონცეფციაზეა აღზრდილი. რამდენად აუცილებელია, რომ კანონის მიხედვით, მხოლოდ ერთი სახის ფული გამოცხადდეს კანონიერ ფულად? იგი, შესაძლოა, მაშინ იყოს გამართლებული, როდესაც მთავრობა ფულს არ უშვებს. აგრეთვე, უნდა აღინიშოს, თუ რამდენი უნდა იყოს მისაღები იმ ფულის გამოყენება აღებული ვალის გასწორების მიზნით. მასში უნდა განისაზღვროს აგრეთვე რა სახით გასწორდება არასაკონ-ტრაქტო კანონიერი ვალდებულებანი, მაგალითად, გადასახადები ან ზიანი და სამართალ-დარღვევები. მაგრამ არ არსებობს არანაირი საბაბი, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს ხალხს თავისუფლად დადოს კონტრაქტი ნებისმიერი სახის ფულზე, ანარმოოს ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვა ნებისმიერი სახის ფულით, რომელსაც ისინი აირჩევენ, ან რატომ უნდა იყ-ვენენ ისინი იძულებული ყიდვა გაყიდვა ანარმოონ მხოლოდ მთავრობის მიერ დადგენილ კონკრეტულ ფულზე. მთავრობის მიერ ფულის ხოლოტად გამოყენებას ვერაფერი ვერ გააკონტროლებს უფრო უკეთ, ვიდრე ის, რომ ხალხს უფლება ექნება უარი თქვას იმ ფულზე, რომელსაც არ ენდობა და აირჩევს მას, რომლისაც სჯერა. არც მთავრობას ექნება უფრო ძლიერი მოტივი საკუთარი ფულის სტაბილურობის მისაღწევად, ვიდრე ის, რომ ეცოდინება, რაც უფრო ნაკლები მარაგი ექნება, მით უფრო გაიზრდება მოთხოვნილება მასზე. აქედან გამომდინარე, მთავრობას (ან მის საგადამხდელო საშუალების სამსახურებს) უნდა ჩამოერთვას ის უფლება, რაც ფულს არაკონკურენტულ გარემოში აყენებს: როდესაც მთავრობა ვერ შეძლებს ფულის გაუფასურების დამალვას, შეეცდება პირობები უფრო გაამკაცროს. ზოგიერთი მკითხველი იკითხავს: ასეთ სისტემაში, ძველი სისტემის მსგავსად, ცუდი ფული კარგს განდევნის თუ არა? ეს ეგრეთწოდებული "გრეშემის კანონის" დარღვევა იქნება. ეს ხომ ფულის ერთ-ერთი უძველესი მექანიზმია, იმდენად ძველი, რომ 2 400 წლის წინ არისტოფანე თავის კომედიებში ამბობდა "პოლიტიკოსებსაც და მონეტებსაც ერთნა-

ირად ეხება, რადგან ცუდი კარგს დევნისო⁷. მაგრამ ჭეშმარიტება ის არის, რაც დღესაც კი სწორად არ ესმით: "გრემემის კანონი" მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს, როდესაც არის სახის კანონიერად აღიარებული ფულს შორის გაცვლის კურსი ხელოვნურად, კანონით არის დადგენილი. მოვლენები სრულიად საპირისპიროდ განვითარდება, როდესაც ხალხს მიეცემა სხვადასხვა სახის ფულის ნებისმიერი კურსით, რაზედაც ისინი შეთანხმდებიან, თავისუფლად გაცვლის საშუალება. აღნიშნული მრავალჯერ შეინიშნებოდა დიდი ინფლაციების დროს, როდესაც მთავრობა უმკაცრესი სასჯელითაც კი იმუქრებოდა, თუმცა, მაინც ვერ აღკვეთა სახელმწიფო ფულის ნაცვლად სხვა სახის ფულის გამოყენება - ისეთი სახის საქონლისაც კი, როგორც სიგარეტი ან სასმელია - რაც ამკარად გულისხმობს, რომ კარგი ფული მუდამ დევნის ცულდ⁸.

თავისუფალი მონეტარული სისტემის სიკეთე

ზემოაღნიშნულის დაკანონებით, ეროვნული ფულის შესამჩნევად გაუფასურებისას, ყველა მაშინვე უარს იტყვის მის გამოყენებაზე და იმ საგადამხდელო საშუალებით დაიწყებს ვაჭრობას, რომელსაც ენდობა. აღნიშნული კი განსაკუთრებით დამსაქმებლების ინტერესებში შედის, რადგან საერთო შეთანხმების საფუძველზე დაქირავებულს შესთავაზებს არა ისეთ ხელფასს, რომელიც ფასების ზრდას ითვალისწინებს, არამედ ხელფასს გადაიხდის ისეთ ვალუტაში, რომელსაც ენდობიან და რომელიც, შესაძლოა, რაციონალური განაგარიშების საფუძველიც გახდეს. ამით მთავრობას თავისი საგადამხდელო საშუალების გაუფასურების გზით ხელფასის უზომოდ ზრდის უფლება აღარ ექნება და აქედან გამომდინარე, ვერც უმუშევრობას გამოიწვევს. დამსაქმებლებსაც აღარ ექნებათ ეროვნული საგადამხდელო საშუალებების სამსახურების დახმარების იმედი, იმ შემთხვევაში, როდესაც დაქირავებულებს უფრო მეტის გადახდას შეპირდებიან, ვიდრე მათ ეს რეალურად შეუძლიათ.

არ არსებობს არანაირი საბაბი, რომ ასეთი შეთანხმება ნეგატიურად იმოქმედებს უბრალო ადამიანებზე, რომლებმაც არც კი იციან, როგორ მოეპყრან ან როგორ იმოგონ სხვა სახის ფული. რა კი მალაზიის მფლობელებს ეცოდინებათ, რომ დაუბრკოლებლად შეძლებენ არსებული კურსით გადაცვალონ მათთვის სასურველ ნებისმიერ საგადამხდელო საშუალებაზე, ისინი უყოყმანოდ გაყიდიან თავის საქონელს ნებისმიერ ფულზე. მთავრობის უკანონო ქმედება ბევრად უფრო სწრაფად იჩენს თავს, როდესაც ფასების ზრდა მხოლოდ მის მიერ გამოშვებული ფულითაა განპირობებული. ხალხისთვის ცხადი გახდება, მათზე გადახდილი ფულის ღირებულებაზე მთავრობა პასუხისმგებელი. მალე მთელ მსოფლიოში დაიწყებენ ელექტროკალკულატორების გამოყენებას, რომელიც წამებში გამოითვლის მიმდინარე კურსით ნებისმიერი საგადამხდელო საშუალების ექვივალენტ ფასს. როდესაც ეროვნული მთავრობა არასწორად აბრუნებს მის მიერ გამოშვებულ საგადამხდელო საშუალებას, ალბათ მისი გამოყენებაც გაგრძელდება ყოველდღიურ საცალო ვაჭრობაში. აღნიშნული გავლენას ახდენს არა იმდენად საცალო ვაჭრობაზე, რამდენადაც სურვილზე, ფლობდნენ სხვადასხვა სახის საგადამხდელო საშუალებას. მთელი ბიზნესის და კაპიტალ-გარიგებათა ძირითადი ტენდენცია უფრო სანდო სტანდარტზე სწრაფად გადასვლა (და ანგარიშების და აღრიცხვის მის საფუძველზე აგება) იქნება, რაც ეროვნულ მონეტარულ პოლიტიკას სწორი გზით წარმართავს.

⁷ Aristophanes, *Frogs*, 891-898, in Frere's translation: ფილოსოფოსი დიოგენე ფულს "კანონმდებელთა" წარდის თამაშს უწოდებდა.

⁸ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ინფლაციის დროს, როდესაც ხალხმა მარკების ნაცვლად დოლარის და სხვა მყარი ვალუტის გამოყენება დაიწყო გერმანელი ფინანსისტი (მისტერ ვისერიენგი, თუ სწორად მახსოვს) ამბობდა, რომ გრემემის კანონი ცრუა და სინამდვილეში პირიქით არისო.

V. გრძელვადიანი მონეტარული სტაბილურობა

ბოლოს, ალბათ, იმ ქვეყნების საგადამხდელო საშუალებები, რომლებიც პატიოსან მონეტარულ პოლიტიკას მისდევენ, თანდათან ჩაანაცვლებენ ნაკლებ სანდო საგადამხდელო საშუალებას. ფინანსური კეთილსინდისიერების რეპუტაციის მოპოვება შესაშური წინდახედულება იქნება ყველა ფულის გამომშვები ორგანიზაციისთვის, რადგან მათ ეცოდინებათ, რომ პატიოსანი გზიდან თუნდაც მცირედი გადახვევა, მათ პროდუქტზე მოთხოვნილებას შეამცირებს. შიშის რაიმე საბაბის არსებობის არ მჯერა, რომ საგადამხდელო საშუალების საყოველთაო აღიარებისთვის ასეთი კონკურენტული პირობები დეფლაციის ტენდენციას ან ფულის ღირებულების ზრდას გამოიწვევენ. არავინ მოინდომებს იმ საგადამხდელო საშუალებაში სესხის აღებას ან ვალებში ჩაეარდნას, რომლის ფასიც მოსალოდნელია აინიოს და იმ საგადამხდელო საშუალებაში გასესხებისგან თავს შეიკავებს, რომლის ფასიც მოსალოდნელია გაუფასურდეს. მოსახერხებელი იმ საგადამხდელო საშუალების სასარგებლოდ საქმის წარმოებაა, რომელიც, სავარაუდოდ, სტაბილურ ფასს შეინარჩუნებს. როდესაც მთავრობა და ფულის გამომშვები სხვა ორგანიზაციები ფულისა და გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმებისთვის ერთმანეთთან ჯანსაღ კონკურენციას იმყოფებიან, შეიქმნება გრძელვადიანი სტაბილურობისადმი ნდობა.

"უნივერსალურად სასურველი"

მთლად დარწმუნებული არ ვარ, რომ სამივე ფულისთვის ასეთ კონკურენციაში მთავრობის მიერ გამოშვებული საგადამხდელო საშუალება აჯობებს, თუ სხვა ისეთ ერთეულს ექნება მეტი უპირატესობა, როგორც მაგალითად ოქროს უნციაა. როგორც ჩანს, არ არის გამორიცხული, რომ ოქრო საბოლოოდ ისევე დაიმკვიდრებს თავის ადგილს, როგორც "უნივერსალურად სასურველი ყველა კულტურასა და ყველა დროში", როგორც მას იაკობ ბრონოვსკიმ უწოდა ახლახანს გამოცემულ თავის ბრწყინვალე წიგნში "ადამიანთა აღზევება"⁹. ეს კი მაშინ მიიღწევა, როდესაც ადამიანებს მიეცემათ სრული თავისუფლება, თავად გადამწყვიტონ რა გამოიყენონ საკუთარ სტანდარტად და გაცვლის საერთო საშუალება. ყოველ შემთხვევაში, ეს გზა უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ოქროს სტანდარტის აღდგენის ნებისმიერი ორგანიზებული მცდელობა.

სრული ეფექტიანობისთვის საგადამხდელო საშუალების თავისუფალი საერთაშორისო ბაზარი-ბანკების მომსახურებაზე უნდა გავრცელდეს, რადგან საბანკო ანაბრები, რომელიც კონტროლს ექვემდებარება, დღეს ადამიანთა უმრავლესობის ლიკვიდური აქტივების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს. ეს გარემოება, ბოლო ასიოდე წლის მანძილზე, ოქროს სტანდარტს საშუალებას არ აძლევდა სრულფასოვნად შეესრულებინა საერთაშორისო საგადამხდელო საშუალების ფუნქცია, რადგან ქვეყანაში ნებისმიერი შემოდინება ან გადინება გაცილებით უფრო დიდი ეროვნული საკრედიტო ფულის პროპორციულ გაზრდას ან შემცირებას მოითხოვს, რაც განურჩეველ გავლენას ახდენს მთელ ეკონომიკაზე და არა მხოლოდ კონკრეტულ საქონელზე მოთხოვნის ზრდა-შემცირებაზე, რაც თავის მხრივ, იმპორტსა და ექსპორტს შორის ახალ წონასწორობას მოითხოვს. ჭეშმარიტად საერთაშორისო საბანკო სისტემის შემთხვევაში ფული შეიძლება პირდაპირ გადაირიცხოს.

ეს, სავარაუდოდ, ყველაზე ეფექტურ წესრიგს დაამყარებს მთავრობაში, თუ დროზე მიხედება საკუთარი პოლიტიკის გავლენის მნიშვნელობას ქვეყანაში ინვესტიციების მო-

⁹ Jacob Bronowski, *The Ascent of Man*, BBC Publications, London 1973.

ზიდვაზე. ახლახანს ინგლისურად წაეკითხე 250 წლის წინანდელი ვიგების ტრაქტატი: "კინ უნდა დააარსოს ბანკი დესპოტურ ქვეყანაში ანუ ვის ვანდოთ ჩვენი ფული მუდმივად?"¹⁰. ტრაქტატში, სხვათაშორის, ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ 50 წლის წინ დიდმა ფრანგმა ბანკირმა ჟან ბაპტიტს ტავერნიერმა მსოფლიოს გარშემო ხანგრძლივი მოგზაურობისას დაგროვილი მთელი თავისი სიმდიდრე იმაში დააბანდა, რასაც მწერლები "შეიცარიის უნაყოფო კლდეებს" უწოდებენ. როდესაც ლუის XIV მიზეზი ჰკითხა, მას ეყო გამბედაობა და უთხრა "მინდოდა რამე მქონოდა, რასაც ჩემი სახელი ერქმეოდაო!" შეეცარიის აყვავებას, როგორც ჩანს, უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი, ვიდრე ადამიანების უმრავლესობას ჰგონია.

ფულით თავისუფალი გარიგება უკეთესია ვიდრე მონეტარული გაერთიანებები

მე მირჩევია ყველა ფულადი გარიგება ყოველგვარი მონეტარული გაერთიანებებისგან თავისუფალი იყოს, რადგან ეს უკანასკნელი საერთაშორისო საგადაამხდელი სამუალების საშესაბურის რეგულირებას მოითხოვს, რომელიც დარწმუნებული ვარ, რომ არც პრაქტიკულია და არც სასურველი - და ეროვნულ მთავრობაზე არცთუ უფრო სანდო. მიმაჩნია, რომ ჯანსაღი მარცვლილი დევს ფართოდ გავრცელებულ არაკეთილგანწყობაში იმ მოსაზრების მიმართ, რომ სუვერენული ძალაუფლება მივანიჭოთ ან სულ ცოტა განკარგვის უფლება მივცეთ რომელიმე საერთაშორისო ორგანოს. ჩვენ გჭირდება არა ძალაუფლების მქონე საერთაშორისო ხელისუფლება, არამედ საერთაშორისო ორგანიზაცია (ან უფრო სწორად, ეფექტურად მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულება), რომელსაც შეუძლია მთავრობებს ისეთი ქმედებები აუკრძალოს, რამაც შესაძლოა სხვა ადამიანებს ზიანი მოუტანოს. სხვადასხვა ფულით (ან ფულის ნიშნებით) ვაჭრობის (და მათი ფლობის) შეზღუდვების ეფექტიანი აკრძალვა ბოლოსდაბოლოს შესაძლებელს გახდის, რომ ტარიფების, ან საქონლისა და ადამიანების მოძრაობის სხვა დაბრკოლებათა არ არსებობა ჭკუმაართად თავისუფალ სავაჭრო სამოქმედო სივრცეს ანუ საერთო ბაზარს უზრუნველყოფს - და მასში მონაწილე ქვეყნებში უფრო მეტ ნდობას დაბადებს.

ახლა ყველაზე მთავარი ფულადი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა, რომელიც პირველად 40 წლის წინ გააკრიტიკე¹¹. ფულადი სოციალიზმის მონეტარულ სოციალიზმად გადაქცევა უფრო საშიშია, რადგან ორივე თვალსაზრისში ახლო მსგავსებაა. ვიმედოვნებ, სრულ თავისუფლებამდე დიდი დრო არაა დარჩენილი, როდესაც ნებისმიერი ფულით ვაჭრობა თავისუფალი ქვეყნის არსებით ნიშნად ჩაითვლება¹².

აღბათ ფიქრობთ, რომ მონეტარული პოლიტიკის გაუქმებას გთავაზობთ. არც მთლად შემცდარხართ. სხვა თვალსაზრისითაც მე იმ დასკვნამდე მივიღე, რომ უმჯობესია სახელმწიფომ ფულთან მიმართებაში იურიდიული კანონების ჩარჩო შექმნას, რომლის ფარგლებშიც ხალხი ისეთი მონეტარული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას შეძლებს, როგორიც მათთვის უმჯობესი იქნება. მიმაჩნია, რომ რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა მთავრობა ფულის საქმეში, გაცილებით უკეთ გამოვა საქმე. ეერძო საწარმოსაც აღბათ გაცილებით უკეთესი შესაძლებლობა ექნება, ვიდრე ოდესმე.

¹⁰ Thomas Gordon and John Trenchard, The Cato Letters, letters dated 12 May, 1722, and 3 February, 1721 respectively, published in collected editions, London, 1724, and later.

¹¹ Monetary Nationalism and International Stability, Longmans, London, 1937.

¹² შესაძლოა, ერთი შეხედვით მოგეჩვენოთ, რომ ეს აზრი ახლანდელი სიტემით მიღებულ გაცვლით კურსს ეწინააღმდეგება, მაგრამ ასე არ არის. ახლანდელი ფიქსირებული კურსი ჩემი აზრით საჭიროა, რადგან ეროვნულ მთავრობებს თავის ტერიტორიაზე საგადაამხდელი სამუალების გამოშვების და მასზე კონტროლის მონოპოლია აქვთ. მაგრამ როდესაც ისინი ფულის სხვა გამოშვებებთან კონკურენციის წესებს თანაბრად დემორჩილებიან ეს საჭირო აღარ იქნება.



ჯეფრი მ. ჰერბენერი

1955

ჯეფრი მ. ჰერბენერი (Jeffrey M. Herbener) ამერიკელი ეკონომისტი, ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი.

ჰერბენერი ეკონომიკას სწავლობდა ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პიტსბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ლექტორად მუშაობისას გაეცნო ფრიდრიხ ჰაიეკის, ხოლო მოგვიანებით ლუდვიგ

ფონ მიზესის, მარი როთბარდის შრომებს. პიტსბურგის უნივერსიტეტის გარდა ასწავლიდა ვაშინგტონის და ჯეფერსონის კოლეჯებში.

ჯეფრი ჰერბენერი გროუვის საქალაქო კოლეჯის (Grove City College) ეკონომიკურ მეცნიერებათა პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (პენსილვანია) და მიზესის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელია (ობერნი, ალაბამა), სადაც ხელმძღვანელობს ინსტიტუტის "ავსტრიული მკვლევარების კონფერენციას". იგი ასევე თანაგამომცემელია ჟურნალისა "Quarterly Journal of Austrian Economics".

ჰერბენერმა გააკრიტიკა ფილიპსის მრუდი, რომლის მიხედვით ფულადი ანაზღაურების ცვლილებასა და უმუშევრობას შორის არსებობს უკუკავშირი.

ჯეფრი ჰერბენერის მთავარი შრომებია: "დროის უპირატესობა და ინტერესი", "ამერიკელი ავსტრიელები", "მარქსისა და კეინსის უტოპიანიზმი", "ახალი ვამპირული ეკონომიკა: ბანკები და ინვესტიციების სოციალიზაცია", "სახელმწიფო მედიცინა", "პარეტოს წესი და კეთილდღეობის ეკონომიკა", "მწარმეობის როლი დესოციალიზაციაში"

ჯეფრი ჰერბენერი

ინფლაციის ეპოქის შემდგომ: ავსტრიელი ეკონომისტების წინადადებები ფულადი რეფორმების თაობაზე¹

თარგმნა თეონა ლავრელაშვილმა

თუკი უკანასკნელი 30 წლის მანძილზე განვითარებული ეკონომიკური მოვლენები კვლავაც მნიშვნელოვანია, მაშინ ფულადი სისტემის რეფორმა გადაუდებელია. საერთაშორისო მონეტარული სისტემა XIX ს-ის ოქროს სტანდარტიდან მოყოლებული (რაც არ ნარმოადგენდა იდეა-ლურს) სრულ დეგრადირებას განიცდიდა, ხოლო საბოლოო კრახს 1960 წლების ბოლოს ბრეტონ ვუდსის რეჟიმის დამხობისას მიაღწია. პრეზიდენტმა ნიქსონმა ოქროს ფანჯრის დახურვით 1971 წელს დააჩქარა მსოფლიოს ფულადი სისტემის გახლეჩვა. "თავისუფლად" მერყევა საგადამხდელი საშუალებამ არა მხოლოდ საერთაშორისო ეკონომიკური კეთილდღეობის მარცხი განაპირობა, არამედ მონეტარული ინფლაციისთვის ხუნდების მოხსნით გაამწვავა შექმნილი არასტაბილურობა. ბრეტონ ვუდსის სისტემაში არებული გადამეტებული საგადამხდელი საშუალების ინფლაციით გამოწვეული პერიოდული დევალვაციის გამო, ცენტრალურმა ბანკებმა არნახული მსოფლიო მონეტარული ინფლაცია განიცადეს.

იმედები, რომ ეს ყოველივე შეიცვლებოდა 1980-იან წლებში საერთაშორისო დოლარის სარეზერვო სისტემის რეკონსტრუქციით, არ გამართლდა, და ჩანს, რომ ამან უფრო მეტი არასტაბილურობა შესძინა მსოფლიოს. იაპონელებმა 1980-იანი წლების მეორე ნახევარში სცადეს იენაზე დაფუძნებული ეკონომიკური გამოცოცხლების მეშვეობით ისევ შეექმნათ II მსოფლიო ომის დროინდელი რეგიონული დომინირება აღმოსავლეთ აზიაში, რაც არ განხორციელდა, რადგან ამერიკულმა კაპიტალის ბაზარმა კრახი განიცადა და სუსტი დოლარის პოლიტიკა განაპირობა. ხოლო მომდევნო მყარი დოლარის პოლიტიკა კონცენტრირებული იყო უცხოური დოლარის შექმნის სტიმულირებაზე. იენამ ვერ შეძლო დოლარისთვის კონკურენციის განწევა აღმოსავლეთ აზიაში და ინფლაციის გამო მანაც სრული კრახი განიცადა. სარგებლების ზრდამ და 1980-იან წლებში საკრედიტო გაფართოებამ სერიოზული არაეფექტური ინვესტიციები განაპირობა იაპონურ ეკონომიკაში, რამაც სააქციო ბაზარზე საშინელ მარცხს მისცა ბიძგი. იაპონიის მთავრობამ არაეფექტური ინვესტიციების სრული ლიკვიდაციით, განსაკუთრებით საბანკო სისტემაში, დაამყარა ეკონომიკური სტაგნაცია, რომელიც ახლა უკვე მეორე დეკადშია. დოლარის ეკონომიკურმა "შთანთქმამ" სამხრეთ აზიაში, მექსიკაში, სამხრეთ ამერიკაში, აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში, აგრეთვე რუსეთში 1990-იან წლებში, ბიძგი მისცა ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ სწრაფი ტემპებით დოლარის მარაგის გაფართოებას. საკრედიტო გაფართოების ხარჯზე არაეფექტური ინვესტიციების გამოცოცხლება ამერიკის გარეთ 1990-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელდა. იმ ქვეყნებს, რომლებმაც მოახერხეს საგადამხდელი საშუალების ახალ სადოლარო

¹ წერილი გამოქვეყნდა ავსტრიელი ეკონომიკის კვარტალურ ჟურნალში (The Quarterly Journal of Austrian Economics Vol. 5, No. 4 (Winter 2002): 5-19 5

სისტემასთან სტაბილიზაცია, ცალკე პრობლემად დამატებით საკუთარი საგადამხდელო საშუალების ინფლაცია. საყრდენი მოირღვა ჯერ მექსიკაში, შემდეგ რუსეთში, შემდეგ სამხრეთ აზიაში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში. აღნიშნულ ქვეყნებში ფასების განადგურებას მოჰყვა შიდა საგადამხდელო საშუალების ინფლაცია, პროცენტული განაკვეთის გაზრდა, ფინანსური ბაზრის განადგურება და სრული ეკონომიკური ლიკვიდაცია. დოლარის სარეზერვო სისტემის ამგვარი განადგურების შემდეგ, დოლარის ინფლაცია ამერიკაში 1990-იანი წლების მოგვიანებით პერიოდში შეინიშნებოდა. შიდა საკრედიტო გაფართოება 1995 წელს დაიწყო და 2000 წლამდე გაგრძელდა. შედეგად Dow Jones-ის საშუალო საკრედიტო მაჩვენებელი 40 პროცენტამდე დაეარდა, ხოლო NASDAQ-ის 80 %-დე. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ მოვლენებმა საერთაშორისო ფულადი სისტემის გაკოტრება განაპირობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომისტისათვის ყველაზე ღირებულ სამუშაოდ უკეთესი ფულადი სიტემის რეფორმის შემოთავაზება წარმოადგენს. ამიტომ შანს სენჰოლცი აღიარებულ უნდა იქნას, როგორ ყველაზე თავდადებული მკვლევარი, რომელმაც თავისი მეტად გამორჩეული აკადემიური მოღვაწეობის წლების უმეტესი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი ფულადი სისტემის შესწავლას შეაღწია. 1995 წელს ის წერდა:

"ჯანსაღი ფულადი პოლიტიკისაკენ შემობრუნება უაღრესად მნიშვნელოვანია. ჯანსაღი ფულის გარეშე ვერ მივიღებთ ეკონომიკურ აღორძინებას, კეთილდღეობას, ვერანაირ ეკონომიკურ შეთანხმებას, ვერც სამუშაო ძალის საერთაშორისო განაწილებას და ვერც გაერთიანებას. ჯანსაღი ფული არის ინდივიდუალური თავისუფლების ქვაკუთხედი. ჯანსაღი ფული არის ლითონი. ეს არის ოქროს ფული". (Senholz 1995, გვ. 296). ფულადი რეფორმის მნიშვნელობის გააზრებით სენჰოლცისათვის ცხადი გახდა მისი მიზანი.

ფულადი რეფორმის ავსტრიული თეორია

სენჰოლცმა მშვენივრად უწყობდა მენგერის (1976) და მიზესის (1980) ფულის თეორია. ეკონომიკურ რეფორმასთან მიმართებაში მათი მთავარი იდეა საბაზრო ეკონომიკაში ფულის ორგანული ჩართვის უზრუნველყოფაა. იგი წარმოადგენს კერძო საკუთრების ნაწილს, ნებაყოფლობითი გაცვლის წესრიგს. შესაბამისად, სახელმწიფოს ჩარევა ფულის წარმოშობის, განვითარების და სრულყოფის პროცესში უსარგებლოა. გაცვლის საშუალებად კი ბარტერულ ბაზარზე კარგად გაყიდვადი საქონელი უნდა იყოს მიღებული. მენარმეებს მხოლოდ ამ პირობებში შეუძლიათ სარგებლის მიღება. გაუნაღდებადი ფული არ შეიძლება წარმოადგენდეს გაცვლა-გამოცვლის საშუალებას. უფრო მეტიც, რადგან ამ ფულით ვერ ხერხდება ვაჭრობა, ახლად გამოშვებული ფული, როგორც გაცვლის საშუალება, ნაკლებად ღირებული იქნება, ლოგიკურად კი უნდა არსებობდეს შემცველი, რომელსაც გაცვლის როლი ექნება. ავსტრიელი ეკონომისტები ერთმანეთს ედავებიან, თუ რა უნდა იყოს ფულის შემცველი, რაც განაპირობებს ფულადი სისტემის სხვადასხვა წინადადებების არსებობას. მათ ქვემოთ განვიხილავთ. ეკონომისტები თანხმდებიან, რომ ფულის შემცველის კერძო მწარმოებელი კანონიერად ვერ შეძლებს გადასახადების ანულირებას და ამის მეშვეობით ფულის შემცველის კვლავ ფულად გარდაქმნას. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია კერძო საკუთრებაზე დაუსჯელი ძალადობა და ფულის შემცველის ფულად გადაქცევა მისი პერმანენტული გამოსყიდვით.

დროთა განმავლობაში ვაჭრები უარს ამბობდნენ ისეთ საშუალებაზე, რომელიც გაცვლა-გამოცვლის როლს შეასრულებდა. ოქროს და ვერცხლის უმაღლესი ხარისხის გამძლეობის, გაყოფადობის, პორტატიულობის და შედარებით სტაბილური გაცვლითი

ლირებულების გამო, ვაჭრები მათ საქონელთან ერთად ფულად მიიჩნევდნენ. ცხადია, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე მონომეტალური სტანდარტის დემონტიზირება ვერ მოხდებოდა, რადგანაც ოქროსა და ვერცხლის მონეტებს გააჩნიათ სხვადასხვა გაცვლითი ღირებულება. ოქროს ფარდობითი წონის მაღალი ღირებულება შეუძლებელს ხდის მის გამოქვდვას დაბალი ფასის საქონლის შესაძენად. ამის ნაცვლად ვაჭრები ოქროს მაღალი ღირებულების პროდუქციის შესასყიდვად გამოიყენებდნენ, ხოლო ვერცხლს - შედარებით დაბალი ღირებულების პროდუქციისთვის. მონეტათა წარმოება რეგულირდება ბაზარზე მოგებითა და ნაგებით, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი საქონელის პროდუქცია. თუკი ოქროსა და ვერცხლზე ღირებულება ისე გაიზარდა, რომ გადააჭარბებს წარმოების ღირებულებას, ზარაფხანებიც გაზრდიან მონეტების რაოდენობას. მათი დამატებითი პროდუქცია ფულის გაცვლითი ღირებულების ხარისხს დაბლა დასწევდა, ხოლო მათი დამატებითი მოთხოვნა ფასს მაღლა ასწევდა, და მათი დამატებითი კაპიტალური ინვესტიციები ტარიფებს დაადაბლებდა ვიდრე გაფართოებული ოპერაციების დიდი მოგება იარსებებდა. რადგან ვაჭრები ფიდეუციალური გაცვლით საშუალებას ეძებენ, ისინი მოითხოვენ ფულის შემცველს. იმ შემთხვევაში, თუ ისინი დიდ თანხებს გადაიხდიან ფულის შემცველის საწარმოებლად, მაშინ ბანკებიც მოახერხებდნენ მათ მომარაგებას. რადგანაც დასახელებული ღირებულების მიუხედავად ფულის შემცველის წარმოების ღირებულება იგივე იქნება, მხოლოდ უფრო დიდ ნიშნებზე მოთხოვნა დაკმაყოფილდება. ხოლო თუკი მოთხოვნა ფულის მცირე ნიშნების შესაცვლელად საკმარისი იქნება, ისე რომ ვერცხლის მონეტებს ჩაენაცვლოს, მაშინ ოქროს სტანდარტი ფულადი რეჟიმის სახით მოგვევლინება, რომელიც თავისუფლად აირჩიეს მომხმარებლებმა ბაზარზე. საბოლოო ჯამში საბაზრო ეკონომიკის მონეტარული სისტემა, სადაც ფულიც და ფულის შემცველიც ბაზრის განუყოფელი ნაწილია, იქნება სასაქონლო სტანდარტი, როგორც ოქროს ან ოქროს ან ვერცხლის მონეტები ფულის სახით.

მოცემულ ბაზისურ თეორიულ ჩარჩოებში ავსტრიელი ავტორები ორ ძირითად საკითხში არ ეთანხმებიან ერთმანეთს². ერთ-ერთია ფულის წმინდობის იდეენტურობა. ზოგი კმაყოფილია სახელმწიფოს მიერ წარმოებული ფულით, ხოლო ზოგის აზრით, მხოლოდ კერძო საწარმოს მიერ წარმოებული ფულია ბაზრისათვის შეთავსებადი. ჰაიეკი (1976, გვ. 42-46, 99-101) ნებას დართავდა სახელმწიფოს, გამოეშვა უზრუნველყოფილი ფული დოლარის საგადამხდელი საშუალებაში, რომელიც კონკურენტისა გაუნედა კერძო საწარმოების მიერ გამოშვებულ ფულს ე.წ. "დუკატს". თავისუფალი საბანკო სისტემის თანამედროვე მომხრე მკვლევარიც წინ არ აღუდგებოდა სახელმწიფოს, რომ მას ეწარმოებინა უზრუნველყოფილი ფული, ვიდრე მისი აქციები შენახული იქნებოდა ან მხოლოდ საბანკო რეზერვებისათვის იქნებოდა გამოყენებული (სელჯინი 1988, გვ. 167-68; უაითი 1989, გვ. 14)³. ჰაიეკის მსგავსად სენპოლცი (1985, გვ. 77-83) იცავს იდეას ბაზარზე ფულის კონკურენტიაობის შესახებ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კერძო კომპანიები აწარმოებენ ოქროს მონეტებს, ხოლო სახელმწიფო - უზრუნველყოფილ ფულს, და გააუქმებს კანონიერ საგადამხდელი საშუალებებს ან სხვა რაიმე დაბრკოლებებს კერძო ფულის წარმოებისათვის. ლუდვიგ ფონ მიზესი უფრო შორს წავიდოდა

² ყველა ავსტრიელი ეკონომისტი იცავდა მენგერის მიერ ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს. იხილეთ მიზესი (1980, გვ. 41-49); როთბარდი (1983, გვ. 8-13); სენპოლცი (1992, გვ. 19-34); უაითი და სელჯინი (1989, გვ. 218-21).

³ სელჯინი (1988, გვ. 171) ამტკიცებს, რომ ნამდვილი ფულისათვის საჭიროა სახელმწიფომ არ გამოუშვას უზრუნველყოფილი ქალაქის ფული, არამედ იყოს ოქრო ან კერძო მწარმოებისაგან შექმნილი უზრუნველყოფილი ქალაქის ფული. უაითი (1989, გვ. 161-63) ფიქრობს, რომ თითქმის ყველაფერი შეიძლება იქნას ფულად გამოყენებული.

და სახელმწიფოს ფულადი რეჟიმისგან დაიხსნა. იგი უშვებდა "კონვერსიულ სააგენტოს", რომელიც კერძოდ ნაწარმოები ოქროსა და ვერცხლის მონეტებს გამოჰყვავდა და მოთხოვნის შესაბამისად გადააქცევდა ნომინალური ღირებულების ქალაქის ფულის შემცვლელად (Mises 1980, გვ. 487-88; 492-94). მხოლოდ მარი როთბარდი დაჟინებით ამტკიცებდა ფულის კერძო წარმოების აუცილებლობას. მისი იდეალი წმინდა ოქროს სტანდარტია. ამის განსახორციელებლად ის დოლარს ოქროს ფასად გამოისყიდდა და დაშლიდა ფედერალურ სარეზერვო სისტემას. მოხდებოდა რა სახელმწიფოს აქციების პრივატიზება, კერძო საწარმოები გამოჰყვავდნენ მონეტებსა და ფულის ბანკნოტებს (როთბარდი 1994 გვ. 146-51).

აქტორებს განსვავებული ხედვა აქვთ ფულის შემცვლელის არსზეც. თავისუფალი საბანკო სისტემის თანამედროვე მომხრეები აცხადებენ, რომ ფულის შემცვლელის არსი, ბანკნოტების თუ ფიდუციალური გაცვლის საშუალებების სახით, არის თავისუფლების უფლების გამოხატულება. მიზეზის და სენჰოლცის პოზიცია ურყევია, რომ ფულის გამომცემლებს არ აქვთ კანონიერი უფლება, გამოუშვან ფიდუციალური ფული. მათ უფლება აქვთ გამოუშვან მხოლოდ ისეთი ფული, რომლის გამოსყიდვაც შესაძლებელი იქნება. სენჰოლცი წერს: 'ფულის გამომცემლები, არ აქვს მნიშვნელობა საჯარო თუ კერძო, საგადამხდელო საშუალებას ინარჩუნებენ მხოლოდ მისი გამოსყიდვის შემთხვევაში. ბანი ყიდულობს ოქროს იმ რაოდენობას, რაც საწინააღმდეგოა საგადამხდელო საშუალებისა თუ დეპოზიტის და ყიდის მოთხოვნის შესაბამისად. შედეგად ის არც ეროვნული მომსახურების როლში გვევლინება, არც საგადამხდელო საშუალების პროტექციონისტად. ის უბრალოდ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებს ფულის შემცვლელის გაცემის თაობაზე (1985, გვ. 69)'. უფრო მეტიც, "საბანკო თავისუფლების" მომხრეების მსგავსად სენჰოლციც აცხადებს, რომ ბანკებს ბუნებრივი შეზღუდვა აქვთ დაწესებული ფიდუციალური თანხის გამოცემისას. ის წერდა, რომ: "გამოსყიდვის მოთხოვნა და ოქროს რეზერვების გადინების საშიშროება გამოიწვევს ფულის შემცვლელის მწარმოებლების შეზღუდვას ინფლაციური გაფართოების თვალსაზრისით (Seenholtz 1985, გვ. 69-70)".

ამის საპირისპიროდ კი მიზეზი თვლიდა, რომ თავისუფალ საბანკო სისტემას ფიდუციალური გაცვლის საშუალებაზე უსასრულოდ შექმლო ინფლაციის მოხდენა. ის წერდა, რომ "ფიდუციალური გაცვლის საშუალებას წრიულად მოძრაობისას ბუნებრივ საზღვრები არ აქვს", ის მხოლოდ საბანკო სისტემის მიერ გატარებული პოლიტიკის ჩარჩოებში ექცევა. საკრედიტო ბაზრის საშუალებით ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოცემით თავისუფალ საბანკო სისტემას შეუძლია პოტენციური კონფლიქტის შემცირება და ფულის გაძლიერება, და აქედან გამომდინარე, როგორც კრედიტზე, აგრეთვე ფულზე მოთხოვნის გაზრდა. შესაბამისად, მიზეზი არ თვლიდა, რომ არსებობდა რაიმე შეზღუდვები თავისუფალ საბანკო სისტემაში ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოცემასთან დაკავშირებით და აღნიშნული სისტემა ავტომატურად მოერგებოდა ფულის მოთხოვნასთან დაკავშირებულ ცვლილებებს. ეს ცვლილებები შეიძლება მოხდეს მხოლოდ კონკურენტულ, თავისუფალ საბანკო სისტემაში, სადაც ბანკები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არიან, ჰყავთ მცირე კლიენტურა და არ შესწევთ სხვა ბანკებთან კოორდინაციის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტულ, დამოუკიდებელ ბანკებს შესაძლოა, ჰქონდეს შეზღუდვები ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოცემასთან დაკავშირებით, მიზეზი თვლიდა, რომ თავისუფალ ბაზრებს შეუძლიათ იმოქმედონ როგორც კარტელი (1980, გვ. 331-53) და მოახდინონ განუსაზღვრელი ინფლაცია ფიდუციალური გაცვლის საშუალებაზე. როგორც ჩანს, მიზეზი დარწმუნდა (1980, გვ. 346-47 და 491), რომ კონკურენტული საბანკო პირობები თეორიულად ვერ ჩამოყალიბდებოდა II მსოფლიო ომის შემდგომდროინდელ ამერიკულ ეკონომიკაში, რადგან მონეტარული ინფლაციის თავიდან ასაცილებლად მის მიერ

წარმოდგენილი მონეტარული რეფორმა კანონიერად შეზღუდავდა ფულის შემცველის ფულის მონუმობებად გამოშვებას. როთბარდი კი პირიქით ამტკიცებდა, რომ ფიდუციალური გაცვლის საშუალება არის თაღლითური და მამასადამე შეუწყნარებელი საბაზრო ეკონომიკაში (Rothbard 1994, გვ. 33–45).

ფულადი რეფორმის მიზანი

მართალია, ავსტრიელი ავტორები შეთანხმდნენ, რომ რეფორმამ უნდა აღადგინოს ფულადი საბაზრო რეჟიმი, მათი აზრთა სხვაობა იმ საკითხებში, როგორცაა ვინ უნდა აწარმოოს ფული და რა სახე უნდა ჰქონდეს ფულის შემცველს, აძნელებს სახელმწიფოს მიერ რეფორმის გატარების პროცესს. აგრეთვე, რეფორმაზე გავლენას ახდენს კერძო საკუთრების ბუნებაზე განსხვავებული შეხედულებები. ჰაიეკი (1973) კერძო საკუთრებას მხოლოდ ინსტრუმენტული გზით განიხილავს. საბაზრო საზოგადოების მიერ მისმა მიღებამ განაპირობა მისი საკმარისად განვითარება, კაცობრიობის ეკოლუციურ განვითარებაში არასაბაზრო საზოგადოებასთან კონკურენციის მიზნით. კერძო საკუთრება მხოლოდ კაცობრიობის გამოგონებაა და მის მიზანს ემსახურება. მიზესი კერძო საკუთრებას მიიჩნევს, როგორც ღირებულ მიზანს, მაგალითად შრომის გადანაწილების შექმნა, შენარჩუნება და განვითარება, რაც აუცილებელია კაცობრიობის განვითარებისათვის. თუ ჰაიეკი თვლის, რომ კერძო საკუთრებას აქვს ინსტრუმენტული ღირებულება, მიზესს მიაჩნია რომ, კერძო საკუთრება ადამიანის ბუნებას ემყარება. ჰაიეკის საპირისპიროდ მიზესი კერძო საკუთრების უფლებებსა და ბაზარს მიიჩნევს, არა როგორც სპონტანური განვითარების, არამედ კაცობრიობის გონების პროდუქტს, მაშასადამე ის ქვემდებარება რაციონალური კვლევით "კონსტრუქტივისტულ" სრულყოფას (მიზესი 1998, გვ. 32–41, 199, 264–70, 650–53, 755–56; 1985, გვ. 18–20, 33–34, 60–70). როთბარდისთვის და სენპოლცისთვის კერძო საკუთრება საშუალებაა და შედეგიც. ესაა ბუნებრივი თუ მორალური კანონი და მაშასადამე სამართლიანობის ნაწილი. კერძო საკუთრება არა მხოლოდ აღადგენს საბაზრო ეკონომიკას და ეკონომიკურ ოპერაციებს, არამედ ადამიანის უფლებებს. სენპოლცი წერს:

"დასავლეთის საზოგადოების ისტორია წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლებისა და საკენ ლტოლვასა და მბრძანებელთა მიერ წესრიგის იძულებას შორის ბრძოლას. ბრძოლა ფულისათვის ამ საბედისწერო დაპირისპირების ნაწილად უნდა იქნას აღქმული. როდესაც ადამიანები იბრძვიან თავისუფლებისათვის, თვითდამკვიდრებისათვის, ისინი იბრძვიან, მოიპოვონ თავისუფლება ფულთან დაკავშირებულ საკითხებში, ან სულ მცირე, აიძულონ მთავრობა, იყენენ პატიოსანი მონეტარული საკითხებში (სენპოლცი, 1985, გვ. 61)".

სენპოლცისთვის და როთბარდისთვის ბაზრის აღდგენა ნიშნავს კერძო საკუთრების დაცვას აგრესიისგან. მათი აზრით, კერძო საკუთრება ბუნებრივი წესრიგის, საბაზრო ეკონომიკის ნაწილია და მისი დაცვა სამართლიანობის გამოვლინებაა. თუმცა, როთბარდი (1999) კერძო საკუთრებას ადამიანის ბუნებასთან აკავშირებს, ხოლო სენპოლცი ხაზს უსვამს, რომ საკუთრების წყაროს წარმოადგენს ბაზარზე წარმოება. ის წერს: "ისტორიის მანძილზე, კერძო საკუთრება მივიღეთ ადამიანის მიერ უპატრონო ნივთების მითვისებით ან წინა მეპატრონეთა კონფისკაციით, ადამიანის ენერჯითა და უნარებით. მაგრამ გაცვლით ეკონომიკაში პროდუქციის კერძო მესაკუთრებობა ფუნდამენტალური ინსტიტუტია. ის წარმოიქმნა წარმოებისგან და ასე იწყებს არსებობას. კერძო საკუთრება ნიშნავს საკუთრების სერვისებზე სრულ კონტროლს. ეს არაა განსაკუთრებული უპირატესობა მხოლოდ მფლობელთა კლასისათვის. იგი ბუნებრივი ინსტიტუტია, რომელიც აწესრიგებს პროდუქციას და სამუშაო ძალის გადანაწილებას (სენპოლცი, 1982, გვ. 1–3)". უფრო მეტიც, როთბარ-

დი კერძო საკუთრებასთან დაკავშირებულ შეხედულებებს უკავშირებს ჰუგო გროციუსის და ჯონ ლოკის ბუნებრივი კანონების კონცეფციას, ხოლო სენშოლცი ეყრდნობა საღმრთო წერილს. ის წერს: "საბაზრო წესრიგი, კაპიტალიზმის ეთიკურ კითხვებზე პასუხებს ჰპოვებს იუდაიზმისა და ქრისტიანობის მორალურ კოდექსში. კერძო მესაკუთრეობა უკავშირდება ათ მცნებას, უფრო ზუსტად კი მერვეს - არა იქურდო და მეექვსე მცნებას - არა კაც კლა. საქონლის გაცვლა-გამოცვლისას მხარეებმა არ უნდა მოატყუონ ერთმანეთი. მათ არც ყალბი ჩვენებები უნდა მისცენ, როგორც მეცხრე მცნებაში წერია (სენშოლცი, 1990, გვ. 1-2)".

როთბარდი თვლის, რომ კერძო საკუთრება ადამიანის ბუნებრივი საკუთრების უფლებიდან მომდინარეობს, როდესაც ის საკუთარი ძალითა და შრომით იძენს გარკვეულ საგნებს. იწყებს რა ადამიანი თავდაპირველად ბუნებისგან რესურსის ათვისებას, შემდეგ იყენებს საკუთარ შრომას, როთბარდის აზრით, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ლეგიტიმური პატრონი ჰყავს რესურსს, იმ შემთხვევაშიც, როცა რესურსის წარმოება იწყებენ გარკვეული ჯგუფები. შესაძლოა ეს რთულად იქნას აღქმული, თუმცა ყველა შემთხვევაში რესურსს მხოლოდ ერთი კანონიერი მფლობელი ჰყავს. მენარმე ფლობს პროდუქციას, მუშა - გამომუშავებულ ხელფასს და ა.შ. ამის გათვალისწინებით როთბარდი კერძო საკუთრებას უფრო თავგამოდებით იცავს, ვიდრე სხვა ავტორები. როთბარდი აცხადებს, რომ ფიდეუციალური გაცვლის საშუალება თაღლითობაა. ხელშეკრულებაზე უფლების ხაზგასმით, სენშოლცი და "საბანკო თავისუფლების" მომხრეები აღიარებენ საკუთრების შექმნას და უარყოფენ როთბარდის შეხედულებებს საკუთრების უფლებასთან მიმართებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სენშოლცი და მიზეის აცხადებენ, რომ საბაზრო ეკონომიკაში ბანკებს ფულის შემცველების წარმოების უფლება აქვთ, რომლის მოთხოვნის შესაბამისად გამოსყიდვა არის შესაძლებელი, ხოლო "საბანკო თავისუფლების" მომხრეები ფიქრობენ, რომ აღნიშნული უფლება ვრცელდება ფულის შემცველებზეც, რომლებიც საგაღდებულო არაა მოთხოვნის მიხედვით იყოს გამოსყიდვადი. ჰაიეკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხელშეკრულებას, რითაც მენარმეებს შეუძლიათ ჩაერთონ კონკურენტულ პროცესში. ჰაიეკი (1976) ხელშეკრულების უფლებასთან ერთად ასკენის, რომ ბანკებს უზრუნველყოფილი ქალაქის ფულის გარდა სხვა ფინანსური საშუალებების წარმოებაც შეუძლიათ, რომლებსაც გამოყენებას ცდილობენ კონკურენტუნარიან პროცესში.

თავდაპირველად მიზეის არ ამტკიცებდა წმინდა კერძო საკუთრებას ფულის სფეროში და მას მიზნის მიღწევის საშუალებად მიიჩნევდა. სანაცვლოდ ის ისეთი სისტემის შექმნის მომხრე იყო, სადაც სახელმწიფო ოქროს მონეტები და კერძოდ გამოშვებული ფიდეუციალური გაცვლის საშუალება შეიქმნებოდა. სენშოლსის მსგავსად ის თვლიდა, რომ კერძო საკუთრება წინააღმდეგ ფულის შემცველების წარმოებაზე კანონიერ უფლებას, რამდენადაც ისინი მოთხოვნის შესაბამისად გამოსყიდვადია. შემდეგ გააცნობიერა, რომ ასეთი სისტემა მისი მონეტარული რეფორმის მიზანს ვერ მიაღწევდა, რადგან არ შეიცავდა ინფლაციურ სტიმულს. მტკიცედ დამკვიდრებული კანონის თანახმად, სახელმწიფო ნაბიჯ-ნაბიჯ მაინც გადაიხრება ინფლაციური მონეტარული რეჟიმისაკენ, რომლითაც თავად ბაზარი ნადგურდება. ოქროს მონეტების მოჭრის ძალაუფლების დააკუთრებით, სახელმწიფო შეეცდებოდა ჩაახშოს კერძო ზარაფხანების მიერ მონეტების მოჭრა გარკვეული გადასახადების დანესებით. ფულის წარმოებაზე დომინანტური მდგომარეობა მის მონეტებს გახდიდა გადახდის კანონიერ საშუალებად და ფულის გაყალბებით სენიორაჟის მიღების შესაძლებლობას მისცემდა. ასევე, თუ სახელმწიფოს ექნება ძალაუფლება, აწარმოოს ფულის შემცველები, იგი ჩაახშობდა კერძო ბანკების მიერ ფულის გამოშვებას, დაბეჭდვის აკრძალვით ან მოსაკრებლების დანესებით. როდესაც სახელმწიფო ფულის შემცველის დომინანტი მწარმოებელი გახდება, ის გააუქმებს განაღდებას, რომ ახლა უკვე არაუზრუნველყოფილი ქალაქის ფულის რაოდენობის გაზრდით მიიღოს

შემოსაღებები. მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო უბრალოდ შეამცირებს ბანკებზე მარეგულირებელ ზედამხედველობას, რომელთაც შეუძლიათ ფიდუციარული გაცვლის საშუალების გამოშვება, იგი საბოლოოდ მოახდენს საბანკო სისტემის კარტილებად ფორმირებას და ამით ნება მიეცემა მოახდინოს მონეტარული ინფლაციის კოორდინაცია.

მიზნის დასკვნით, ფულადი რეფორმის მიზანი უნდა იყოს საბაზრო ეკონომიკის ფულადი რეჟიმის აღდგენა, თავისი ყველაზე წმინდა სახით. სახელმწიფოს არ უნდა დარჩეს ფუნქცია, რომლითაც როგორც პლაცდარმიდან განახორციელებს თავდასხმას ბაზრის ფულად სისტემაზე. ის წერს: "სალი ფული დღეს ნიშნავს იმას, რასაც ნიშნავდა XIX ს-ში - ოქროს სტანდარტს. ოქროს სტანდარტის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ფულადი ერთეულის მსყიდველუნარიანობა არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ჩარევებზე. იგი "ეკონომიკური მეფეების" ხელიდან გლეჯს ყველაზე მრისხანე ინსტრუმენტს. შეუძლებელს ხდის ფულის რაოდენობის ზრდას. (მიზესი, 1980, გვ. 480)".

მონეტარული ინფლაციის ნებისმიერი შესაძლო წყაროს თავიდან ასაცილებლად მიზესი მზად იყო შეეზღუდა კერძო საკუთრების კანონიერი უფლებები, და ფიქრობდა, რომ ბანკებს უნდა ეწარმოებინათ ფიდუციალური გაცვლის საშუალება. რადგან იგი თვლიდა, რომ ფიდუციალურ გაცვლის საშუალების გამოშვებას კოორდინირებულ საბანკო სისტემაში არ აქვს შეზღუდვები, და ასეთი სისტემა თეორიულად თუ ისტორიულად ამერიკის ეკონომიკაში დაფუძნდა, ის მოუწოდებდა ფიდუციალური გაცვლის საშუალების შემდგომი გამომცემის სპეციალური კანონიერი აკრძალვისაკენ. ამერიკაში ფულადი რეფორმის შესახებ ის წერდა; "პირველი ნაბიჯი უნდა იყოს რადიკალური, დაუყოვნებლივ უარის თქმა ნებისმიერ შემდგომ ინფლაციაზე. დოლარის ოდენობა არ უნდა გაიზარდოს მისი შემდგომი გამოშვებით. ბანკებს უფლება არ უნდა მიეცეთ გაზარდონ ანაბრების საერთო რაოდენობა. ეს ნიშნავს 100% მყარ რეზერვირებას ყველა მომავალი ანაბრებისათვის, ანუ რეფორმის პირველსავე დღეებში არც ერთი ანაბარი უკვე აღარ არსებობს (მიზესი, 1980, გვ. 491)".

სენპოლცი, წინააღმდეგ მიზესისა და მსგავსად პიეკისა, რეფორმის მიზნად მიიჩნევს სახელმწიფოს უსამართლო მონოპოლიის შემცირებას ფულის სფეროში, ის წერს: "ძირითადი მიზანი ყოველთვის უნდა იყოს ფულის მონოდების მონოპოლების და კანონიერი გადახდის საშუალების იძულების გაუქმება. ადამიანს აქვს უფლება უზრუნველყოს საკუთარი არსებობა, რომლის ყოველგვარი შეზღუდვა მეფის, ან სახალხო ასამბლეის მხრიდან, ტრანზის ტოლფასია (სენპოლცი, 1985, გვ. 77)".

სენპოლცი მიზესის მსგავსად ფიქრობდა, რომ ფულადი რეფორმის მიზანია ფულადი ინფლაციის თავიდან აცილება. მაგრამ მან უარყო მიზესის პოზიცია, რომ კერძო საკუთრება მიზნის მიღწევის საშუალებაა, და აქედან გამომდინარე, უარყო მისი სტრატეგია შემცირებინა ფულადი ინფლაცია სპეციალური, კანონიერი აკრძალვების საშუალებით. სენპოლცი დაეყრდნო მხოლოდ იმ ხედვას, რომ გამოსყიდვის ვალდებულება შეამცირებდა ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოცემას ფულად სისტემაში, და ეს აკრძალავდა მონოპოლიურ უპირატესობას ფულის წარმოებაში და ბანკებს ფიდუციარული გაცვლის საშუალების გამოშვების ნებას დართავდა, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება.

მონეტარული რეფორმის შემოთავაზებები

როტბარდი გვთავაზობს ფედერალური ანაბრების სადაზღვევო კორპორაციის და ფედერალური სარეზერვო სისტემის გაუქმებას, ფულადი ვალდებულებების გადახდისათვის საკუთარი აქტივების ლიკვიდაციას და მისი მარეგულირებელი ფუნქციების გაუქმებას. ფედერალური სარეზერვო სისტემის მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები და სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ქაღალდის აქტივები უნდა გაუქმდეს,

ხოლო მისი ოქროს მარაგი ხელახლა შეფასებულ იქნას ყველა ფედერალური სარეზერვო ბანკნოტების და ანაბრების 100 პროცენტით გამოსასყიდად. არსებული ოქროს მარაგით უნდა უზრუნველყონ უკვე მოჭრილი ბანკნოტები და ანაბრები და განალღებულ იქნას ხაზინის მიერ ფედერალური სარეზერვო სისტემის ოქროს მარაგიდან გამოჭრილი ახალი მონეტებით. ამის შემდგომ ბანკებს ექნებათ საკუთარი რეზერვები, ოქროში სრულად განალღებადი და სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, სპეციალური პრივილეგიების გარეშე შეძლებენ შეინარჩუნონ ფულის შემცველები. ეს უზრუნველყოფა ნარმოადგენს შუალედურ ნაბიჯს 100 %-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც როთბარდი (1994, გვ. 146-51) სავარაუდოდ ეტაპად მიიჩნევდა დროის მონაკვეთში აუცილებელი რეზერვების ნორმის გასაზრდელად. 100 %-იანი სარეზერვო საბანკო სისტემის სწრაფად მისაღწევად, როთბარდი დოლარის ოქროდ შესყიდვის კურსის განსაზღვრის იდეას იცავს, რათა ყველა საბანკო ანაბარი, ასევე ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკნოტები და ანაბრები, გამოსყიდულ იქნას ფედერალური სარეზერვო სისტემის ოქროს აქციებით. შედეგად, კანონით საბოლოოდ აიკრძალება ფიდუციარული გაცვლის საშუალების ნარმოება (როთბარდი 1992, გვ. 12-14; 1983, გვ. 254-69).

როგორც როთბარდი აღნიშნავს, გადაუჭრელ საკითხად რჩება ის, თუ რომელია უმჯობესი, შევეგუოთ დეფლაციას, რასაც ფიდუციარული გაცვლის საშუალების დაუყოვნებელი შემცირება გამოიწვევს, თუ ბანკებს გადაეცეს მნიშვნელოვანი სიმდიდრე ყველა მისი ფულის შემცველების ოქროს მარაგით გამყარებით.

მონეტარული დეფლაციის უპირატესობა და კრედიტის თანმხლები შემცირება პირდაპირ აღადგენს ფულისა და კრედიტის ბაზრის ეკონომიურობას. კრედიტის შეკვეცის გარეშე 100 %-იანი რეზერვირების პრინციპის აღსადგენად, ბანკებს არასდროს ექნებათ კრედიტების ფინანსური შესამავლის როლი, თუმცა სანაცვლოდ შეინარჩუნებენ მიმოქცევაში არსებული კრედიტის განსაზღვრულ რაოდენობას. არსებული ფიდუციარული გაცვლის საშუალებებისა და მიმოქცევადი კრედიტის დატოვება აჩერებს არაფუქტურის ინვესტიციების შემობრუნებას ნინა საკრედიტო ექსპანსიასთან შედარებით, რაც ნარმოების სტრუქტურაში ფიდუციარული გაცვლის საშუალების გამოშვებაზე დაფუძნებული და ამახინჯებს სამომავლო ინვესტიციებსა თუ დანაზოგებს, მაშინაც, როცა იგი მხოლოდ სასაქონლო კრედიტებსა თუ მონეტარულ ბანკნოტებსა დაფუძნებული. უფრო მეტიც, პროდუქციის რესტრუქტურის ზაცია, რომელიც როთბარდის რეფორმის მიხედვით განხორციელდება ბაზარზე, არ გამოიციხავს ეკონომიკური გამოცოცხლების შემდეგ სრულ გაკოტრებას. და როდესაც ბანკები ფინანსური ზენოლის ქვეშ აღარ იქნებიან, რომელიც მათ გაკოტრებისაკენ უბიძგებს, უფრო ადვილად გამოვლენ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. რესტრუქტურის ზაციის მნიშვნელობა შეიძლება შემცირდეს, თუ ბანკები 100 %-ით რეზერვირების პრინციპით მოქმედ სისტემას შექმნიან, გასაყიდად სახაზინო ფასიანი ქაღალდების და მოკლევადიანი სესხების და არა გრძელვადიანი სესხების არჩევით. ხოლო თუკი გაკოტრების სიდიდე გადააჭარბებს ტიპიურ ნორმას, შესაძლო უარყოფითი შედეგები დამოკიდებულია სახელმწიფოს ჩარევის ხარისხზე, ვიდრე ლიკვიდაციის და რესტრუქტურის ზაციის სიდიდეზე, რომელიც საჭიროა ნარმოების სტრუქტურის აღსადგენად. მაშასადამე, ლიკვიდაციის თავიდან აცილებაზე მეტად საჭიროა სახელმწიფოს ჩარევის აღმოფხვრა. ასევე სახელმწიფო იზრდება ისეთი გიგანტური პროპორციებით, რომ ნარმოების სტრუქტურის ლიკვიდაცია და რესტრუქტურის ზაცია ვითარდება სახელმწიფოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი სანყის პოზიციაში დაბრუნების შედეგად. ნარმოიდგინეთ რესტრუქტურის ზაცია, რომელიც განვითარდებოდა ავსტრიელი ეკონომისტების მიერ შემოთავაზებული რეფორმების შედეგად, თუკი სახელმწიფოს ბიუჯეტს 90 პროცენტით შეკვეცავდნენ, ან სახელმწიფო პროგრამას 90 %-ით შეამცირებდნენ. ამ შემთხვევაში ჩაურევლობის დაცვა ნებისმიერ სხვა სფეროში სახელმწიფოს სანყის პოზიციაში დაბრუნების წინააღმდეგ

არგუმენტად ვერ მიიღება, გარდა მონეტარული რეფორმისა, რადგან ეს სტატუს ქვოს თანაბარია. უმეტეს შემთხვევაში მომხრეები ისეთი რეფორმის შემოღებას ითხოვენ, რომელიც შეარბილებდა გარდაქმნის დარტყმას. როთბარდასაც კი, რომელიც რეფორმის საკითხებში არ იყო თანმიმდევრული, სურდა გაეთვალისწინებინა თანმიმდევრული გეგმები. მაგრამ მისი შემოთავაზებები უფრო რადიკალური იყო და ძირითადად მარნც ფულად რეფორმაზე იყო ორიენტირებული. თუკი არაადეფლაციური ვარიანტი მიჩნეულია გონივრულ და საუკეთესო ნიშნად (ასე მაგალითად, სახელმწიფო ჩარევების აღმოფხვრა, რომელიც აუცილებელია ხანგრძლივი და მტკივნეული ლიკვიდაციისა და რესტრუქტურული ზაციის თავიდან ასაცილებლად, თავისი დეფლაციური შემოთავაზებების მეშვეობით არ წარმოადგენს პოლიტიკურად შესაძლებელს, ან იმიტომ რომ გარდამავალ პერიოდში, რომელშიც ბანკები თანდათანობით ზრდიან საკუთარ რეზერვებს 100 პროცენტამდე თანდათანობით დეფლაციური შემოთავაზებების საფუძველზე, სახელმწიფოს უტოვებს შესაძლებლობის ფანჯარას დაამტკიცოს თავისი ძალაუფლება მონეტარულ საკითხებზე), მაშინ მთელი სიმდიდრე მიდის ბანკებისკენ, რასაც როთბარდი უსამართლოდ მიიჩნევს და ბანკებმა უნდა დათმონ ნაწილი ოქროს იმ რეზერვებისა, რომელთაც იღებს ფედერალური სარეზერვო სისტემისგან. ეს გაცვლა-გამოცვლა კიდევ ერთი დადებითი მხარე იქნებოდა, კერძოდ ფედერალური სარეზერვო სისტემის გაკოტრების შემთხვევაში ეროვნული ვალეტიც გაუქმდებოდა.

მიზეზის რეფორმა ისეთი ღრმა არაა, როგორც როთბარდისა, მაგრამ მისი მიზანიც ისაა, რომ არ დაუშვას ფულადი ინფლაცია და საკრედიტო გაფართოება. ეს შესაძლოა გაკეთდეს ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხების აქციების გაყინვით და ფიდუციარული გაცვლის საშუალების შემდგომი გამოცემის აკრძალვით. ამასთანავე, ოქროს ბაზარი თავისუფალი უნდა იყოს სახელმწიფოს ჩარევისგან, რათა მიღწეულ იქნას საბაზრო პირობები. მიზეზი გვთავაზობს კონვერსაციის სააგენტოს დაარსებას, რომელიც დოლარს ოქროს შესაბამის აქციად გადააქცევს. ოქროს მონეტის გაცვლით საშუალებად გადაქცევისას და შესაბამისად, სახელმწიფოს ფულად რეჟიმში ჩარევის პასუხის გაცემისას მიზეზი გვთავაზობს ფედერალური სარეზერვო სისტემის საგადამხდელო საშუალების მიმოქცევიდან გამოსვლას ისე, რომ ხალხმა თავად გამოიყენოს ოქროს მონეტები ნაღდ ბალანსებში ტრანზაქციის განხორციელებისას. კონვერსაციის სააგენტოს შექმნა, გამოსცეს ახალი მცირე და დიდი ლირებულების სესხები საბაზრო აქციების გაზრდისას ან როცა ძველს უკვე ყაველი გაუვა და აღარ ექნება გამოყენებითი ღირებულება.

გარდა იმისა, რომ მიზეზი მომავალი ფულადი ინფლაციის თავიდან ასაცილებლად კრძალავდა ფიდუციარული გაცვლის საშუალების ყოველ შემდგომ გამოცემას, იგი მინეტარული დეფლაციის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილად მიიჩნევდა არსებული ფიდუციარული გაცვლის საშუალებების ექსპლუატაციაში დატოვებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, არადეფლაციურ პროგრამას აქვს ნაკლი, რომ წარმოების სტრუქტურაში ყინავს არაეფექტურ ინვესტიციებს და მომავალ ინვესტიციებსა თუ დანაზოგებს ნაკლებად ეკონომიურს ხდის, ვიდრე ის იქნებოდა სრული ლიკვიდაციისა და რესტრუქტურული ზაციის შემთხვევაში. უფრო მეტიც, მიზეზის რეფორმა სახელმწიფოს უტოვებს შესაძლებლობას ისევ შეინარჩუნოს თავისი როლი დროთა განმავლობაში ინფლაციური მონეტარული რეჟიმის აღსადგენად. მიუხედავად იმისა, რომ ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ჩარევებისგან დამოუკიდებლობის მომხრეა, ვიდრე ბანკებზე მისი მარეგულირებელი უფლებამოსილება არსებობს, ცენტრალური საბანკო სისტემის ძალაუფლება ისევ სახეზეა. ამგვარად კონვერსიულ სააგენტოს შექმნა გააფართოვოს საკუთარი ძალაუფლება და "კრიზისის" პერიოდში დახმარება გაუწიოს სახელმწიფოს. მიზეზის თქმით (1998, გვ. 851-57), სახელმწიფოს

ნებისმიერი დონის ჩარევა საფრთხილოა გარკვეული დროის შემდეგ მისი გაფართოების ან შეკეცის გამო. ამიტომ, უმჯობესია, საერთოდ გამოირიცხოს ჩარევა.

"საბანკო თავისუფლების" მომხრეების რეფორმის პროგრამა ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკოტებს მიიჩნევს ნამდვილ ფულად, რაც საბოლოოდ განთავსდება მხოლოდ როგორც საბანკო რეზერვები, ხოლო თავისუფალ ბანკებს შესაძლებლობა ექნებათ თავად ანარმონ მოთხოვნის შესაბამისად გამოსყიდვადი ბანკოტები და გადააქციოს ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხად. ხოლო როდესაც სახალხო მოთხოვნა ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხებზე გაიზრდება, მისი აქციები პერმამენტულად გაიყინება და ბანკის რეზერვებში ექსკლუზიურად შეინახება, ხოლო საბანკო რეგულირებები, სარეზერვო მოთხოვნები, საბანკო დივერსიფიკაცია ანულირდება. საბანკო ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხი, რომ გამოდევნოს, როგორც გაცვლის საშუალება, რაზეც "საბანკო თავისუფლების" მომხრეები ვერ თანხმდებიან, რადგან მათ უკვე ის გაცვლის საშუალებად აღიარეს, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მათ სპეციალური არახელსაყრელი პირობები უნდა დააკისროს, მათ შორის, ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხების ზომის შეცვლა, ნითელი მელნით დაბეჭდება, ან ძველი ლირებულებით გამოშვება. როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკოტები მიმოქცევაშია, აქციებიც გაიყინება და ფედერალური სარეზერვო საბჭო და ფედერალური ლია საბაზრო კომიტეტიც გაუქმდება, ფედერალური სარეზერვო სისტემის ანგარიშსწორების ოპერაციებიც პრივატიზებული იქნება. ანგარიშსწორების პალატაც ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხების პრივატიზებას მოახდენს, ასევე საბანკო ვალდებულებების დაზღვევაც ბაზარზე დარჩება. სახელმწიფო არც მაშინ უნდა ჩაერიოს, როცა ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხები ჩაენაცვლება ფულს, ოქროს, ვერცხლს ან უცხოურ საგამომხდლო საშუალებას, თუნდაც კერძოდ გამოშვებული ქალაქის ფულს.

მართალია, ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხების საბანკო სესხებით ჩანაცვლება ფულის საშუალებად გარკვეულ პრობლემებს აწყდება, მაგრამ "საბანკო თავისუფლების" მომხრეების აღნიშნული შემოთავაზება დიდად პრობლემური მაინც არ არის. არაა მარტივი, მყარად დამკვიდრებული საგნის მეორე, თუნდაც უკეთესად ჩამოყალიბებული საგნით შეცვლა. მაგალითად, ცილების გამო ინდაური რომ აირჩიო ნინილის მაგივრად. პირიქით, ეს პრობლემაა, როდესაც შექმნა რალაც, რაც არ არის გაცვლის საშუალება და იგი აქციო ასეთ საშუალებად. მიზნის თქმით, ერთეული რომ აქციო გაცვლის საშუალებად, ის მოთხოვნის შესაბამისად უნდა იყოს გამოსყიდვადი. და ეს პრაქტიკამ უნდა დაამკვიდროს, ასე თუ მოხერხდება კლიენტის შეძენა. საბაზრო ეკონომიკაში ბანკებს შეუძლიათ, ანარმონ ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მომგებიანი იქნება და კლიენტის მოთხოვნებს შეესაბამება. მაგრამ მათ არ შეუძლიათ ანაზღაურების სარგებლები გამოიყენონ მათთვის, რომლებიც მათი მომხმარებლები არაა. თუკი სარგებელი მომხმარებელზე გათვლილი, ერთდროულად ის ვერ გაითვლება მათზე, რომლებიც მათი მომხმარებელი არაა და პირიქით. თუ სარგებელი აქვს მომხმარებელს, არამომხმარებელი ვერ ღებულობს სარგებლებს, რომელიც საკმარისი იქნება დაძლიოს ფულის შემცვლელი მიღების ღირებულება (თუ ფიდუციარული გაცვლის საშუალების შესაძლებლობა არ არის, მაშინ ბანკებსა და მათ მომხმარებლებს თალლითობა აქვთ ჩადენილი არამომხმარებლების მიმართ და თუ ფიდუციარული გაცვლის საშუალება არ არსებობს, მაშინ ბანკებს არანაირი სტიმული არ გააჩნიათ, რომ გასცენ სარგებელი). არამომხმარებელს კი ყოველთვის უნდა ჰქონდეს ალტერნატივა ფულის მოთხოვნაზე, თუკი სხვა ბანკები აღმოაჩენენ, რომ მათ ფულზე მოთხოვნა საკმარად დიდია მისი გამოცემის ხარჯების დასაფარად. თუ სტიმული არამომხმარებელზე მიდის, მაშინ მომხმარებელს არ აქვს ფიდუციარული გაცვლის საშუალების ფულის შემცვლელის მოთხოვნის სტიმული. ეს ნიშნავს, რომ ძნელია

გაარკვიო, თუ როგორ შეუძლიათ ფულის შემცველებმა თავად ფული გამოაძევეონ საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

უფრო მეტიც, როგორც აღვნიშნეთ, "საბანკო თავისუფლების" მომხრეების რეფორმის ამუშავება დაამკვიდრებს კარტიკულზეულ საბანკო სისტემას, და არა კონკურენტულ, დამოუკიდებელ ბანკებს. მაშინადაც ეს შეუზღუდავ ფულად ინფლაციაში გადაიზრდებოდა და საკრედიტო გაფართოებას გამოიწვევდა. ამის გამო ისევე რეფორმირება ვახდებოდა საჭირო და სახელმწიფოც ჩაერგოდა. რეფორმის მიხედვით, სახელმწიფოს როლი უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე ამას მიზეზი წარმოიდგენდა. მაგ., როდესაც საბანკო სესხების ტრანზაქციის პერიოდში ფედერალური სარეზერვო სისტემა ინარჩუნებს კონტროლს საკუთარ სესხებზე, მას შეუძლია დაელოდოს მისი მთლიანად გაკონტროლების შესაძლებლობას. მაშინაც კი, როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემის რეზერვები საბანკო რეზერვი ხდება, ფედერალური სარეზერვო სისტემა მაინც ინარჩუნებს პოზიციას. ეს ფინანსური კრიზისის მომასწავებელი იქნება, რასაც ბანკირებმა თვალი უნდა გაუსწორონ.

ჰაიეკის მიერ შემოთავაზებული რეფორმა მოგვიწოდებს ფულის გამოცემაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემცირებას. მისი აზრით, ყველა კერძო ბანკსა საკუთარი ფული უნდა აწარმოოს, რომლის ღირებულებაც იქნება სტაბილური, და რომელსაც თავად მომხმარებელი შეაფასებს როგორც გაცვლის საშუალებას. როდესაც მომხმარებელი დაინახავენ, რომ კერძო ბანკების ფულით უფრო მეტად სტაბილურია, ვიდრე სახელმწიფოსი, ისინი ბანკის მიერ წაწარმოებულ ფულს გამოიყენებენ და ამით მოხდება სახელმწიფო ფულის ჩანაცვლება ბანკის ფულით. ჰაიეკის მიხედვით (1976, გვ. 92-101), რეფორმაში ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება სწორედ ხალხის აზრია სახელმწიფო ფულთან დაკავშირებით. "ფულის თავისუფალი მოძრაობა" საჭიროა, ისევე როგორც XIX საუკუნეში დაარწმუნეს ხალხი "თავსუფალი ვაჭრობის" იდეაში და შედეგად საზოგადოებამ უარყო მიერკანტელიზმი და აირჩია თავისუფალი ბაზარი.

ჰაიეკის რეფორმა უფრო მეტად ეგუება ახალი ფულის გაჩენის იდეას, ვიდრე იმ "საბანკო თავისუფლების" მომხრეებისა, რომელთაც უარყვეს მენჯერისა და მიზეზის დოქტრინები. ამის გათვალისწინებით, თუ ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხი არის ფული, ბანკები ვერ იპოვიან მომხმარებლებს მხოლოდ მათ მიერ წარმოებულ ქალაქის ფულით, ენ. "დუკატი", იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ არ აქვთ საბაზრო ღირებულება. და თუკი მომხმარებელი მათ გამოიყენებს დოლარის საგადასმდელო საშუალებაში, ის მაინც ვერ გახდება გაცვლის საშუალება. აღნიშნული გაცვლის საშუალება საბაზრო ეკონომიკაში მხოლოდ ფულის ბანკოტები გახდება. მაგრამ შემდეგ ეს სერთიფიკატი ქალაქის ფული გახდება მხოლოდ მაშინ, თუ პერმანენტულად მოხდება გამოსყიდვის ანულირება, ეს კი არის ქმედება, რომელიც არღვევს კერძო საკუთრების უფლებებს. ჰაიეკი არა საბაზრო ეკონომიკას, არამედ შერეულ ეკონომიკას ამკვიდრებს, რადგან ის სახელმწიფოს ნებას რთავს შეებრძოლოს კერძო ფულის მწარმოებლებს. ეს კი წმინდა საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას ამახინჯებს. რადგანაც სახელმწიფოს აქვს ძალაუფლება, მას საშუალება ეძლევა გვერდი აუქციოს ეკონომიკურ გაანგარიშებას გარკვეული ხარისხით. არც ერთ კერძო მემწარმეს არ შეუძლია დაფაროს დანაკარგები ან გაზარდოს დაფინანსება საგადასახადო შემოსავლებიდან. ჩაურევლობის მონიანალმდეგენის მტკიცებით, საბაზრო ეკონომიკა აღდგება სახელმწიფოს მიერ მრეწველობის გარკვეულ სფეროებში განხორციელებული ჩარევებით, თუნდაც კერძო საწარმოების კონკურენციისაგან არაკანონიერი დაცვით. ასე მაგალითად, პირველი კლასის საფოსტო მიწოდებაზე პრივილეგიის გაუქმება ამ მომსახურებაში თავისუფალ ბაზარს ვერ აღადგენს, რადგან სახელმწიფო ეყრდნობა გადასახადებზე დაფუძნებულ სუბსიდიებს. საბაზრო ეკონომიკა ვერ დამკვიდრდება, თუკი ყველა სანარმო არ გახდება კერძო.

შერეული ეკონომიკის დროს სახელმწიფო უფრო ინარჩუნებს დომინირებულ როლს მონეტარულ საკითხებში, ხოლო მიზნის და "საბანკო თავისუფლების" მომხრეების რეფორმის პროგრამით უფრო ნაკლებად, რადგან მას მხოლოდ დამხმარე როლი ეკისრება. ჰაიეკის მიხედვით, ყველა სახელმწიფო წინასწარ ჭკრეტს შესაძლო კონკურენციას, და ფულსაც ამ მიმართულებით აწარმოებს. ხელსაყრელ მომენტში კი კანონიერი საგადამხდელო საშუალებების ინიციატივით გამოვა და კვლავ ინფლაციას დაინყებს.

სენშოლციის შემოთავაზება ჰაიეკის მსგავსია. მას სურს სახელმწიფოს ფულზე მონოპოლია შეამციროს და ფულის კერძო წარმოების სისტემა დაამკვიდროს. "ჩვენ არ გვინდა კანონი რეფორმებზე, არც ახალი კანონები, არც სახელმწიფო კორპორაციები. მხოლოდ თავისუფლება" - წერს სენშოლცი. "გზა არის მოკლე და პირდაპირი, და მაინც უტოდიწირობითა და ცრურწმენით გამოწვეულ წინააღმდეგობაზე, პოლიტიკური სიხარბითა და ძალაუფლების დაუშრეტელ წყურვილზე დამოკიდებული. მის გადასალახავად ბევრი წელია საჭირო." ჰაიეკის მსგავსად, სენშოლციც სწამს, რომ რეფორმამ ყველა ფრონტზე უნდა იბრძოლოს "ფულის თავისუფალი მოძრაობის საშუალებით", რაც ხორციელდება "ინფორმაციით, განათლებით, კანონმდებლობით, კამათით". საბოლოო მიზანია "ყველა კანონის, ყველა მონოპოლიური საბანკო პრივილეგიის გაუქმება", რაც ბაზარზე კერძო ფულის განვითარების პირობების შექმნას ნიშნავს. ფულის თავისუფალი ბაზრის დამკვიდრებით სენშოლციის არგუმენტით "კარგი ფული განდევნის ცუდ ფულს". თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში, სენშოლცი დარწმუნებულია (1985, გვ.77-83), რომ ხალხი ოქროს აირჩევს.

მართალია აღნიშნული შემოთავაზება ძალიან დიდი დაბრკოლებების წინაშე არ დგას, მაგრამ გარკვეული პრობლემური საკითხები მაინც რჩება. პირველი, მაგალითად ჰაიეკის შემოთავაზება საბაზრო ეკონომიკას კი არ აღადგენს, არამედ ამკვიდრებს შერეულ ეკონომიკას. შესაბამისად სახელმწიფოს შეუძლია საგადასახო სუბსიდირების ძალაუფლება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. თუკი სახელმწიფოს ექნებოდა შესაძლებლობა, ებრძოლა ოქროსა და ვერცხლის მონეტების წარმოებას, რა თქმა უნდა ის ამას შესარულდება. ეს კი განაპირობებდა მის დომინირებას ფულის წარმოებაზე. ახალი შესაძლებლობის მიცემის შემდეგ კი სახელმწიფო, ნაბიჯ-ნაბიჯ ქალაქის ფულს გამოსცემდა. მართალია, თუკი სახელმწიფო თავად აწარმოებდა ოქროს ან ვერცხლის მონეტებს, ეს უმჯობესი იქნებოდა არსებული ქალაქის ფულთან შედარებით, მაგრამ საბოლოო მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩებოდა, ფულადი რეფორმა საბაზრო ეკონომიკაში ვერ განხორციელდებოდა.

მეორე, არსებული ფულადი რეჟიმიდან ოქროს სტანდარტზე გადასვლა სხვადასხვა პრობლემებს წარმოშობს. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში ფულის განვითარება ორი პრინციპისაგან შედგება. იმ საქონლის სელექცია, რომელიც ყველაზე მეტად ერგება გაცვლას, ანუ არის გაცვლის საშუალება (სავარაუდოდ ოქრო), და სხვადასხვა სახის ფულის შემცირება. მომხმარებლები კი ერთი საქონლით არჩევენ აწარმოონ გაცვლა-გამოცვლა. სენშოლციის შემოთავაზება კი ბოძეს აძლევს ამ ტენდენციის უკან დახევის, რადგან ის სხვადასხვა ფულის გამოყენების მომხრეა გაცვლის საშუალებად. თუმცა ოქროს მაღალი ხარისხი ბიოქეტურად განისაზღვრება. შესაბამისად ოქროს ფულად გადაქცევა ნამდვილად შესაძლებელია. ეს უფრო ექვექტიანი იქნება, თუკი პირდაპირ აღდგება ოქროს სტანდარტი დოლარის ოქროდ გამოსყიდვით და შემდეგ კერძო საწარმოებზე ნებართვის გაცემით, რომ კონკურენცია გასწიოს მონეტარული სტანდარტის ფარგლებში, რომელიც საბოლოოდ მაინც წარმოიქმნება. ამგვარი მოდფიკაციით უპირატესობა მიენიჭება ერთგვაროვან ფულს, რადგან ვაჭრებს საშუალება მიეცემათ გაცვლის საშუალებად აირჩიონ ნებისმიერი საქონელი. მაგრამ ისინი იძულებული იქნებიან აირჩიონ ის საქონელი, რომელიც ოქროსთან

შედარებით აღმატებულია გაცვლის საშუალების თვალსაზრისით, და შესაბამისად, გონიერულობის ფარგლებში გამოაძევოს ოქრო, როგორც ფული.

ამის გარდა, დოლარის არსებული გაბატონებული პოზიცია გარდამავალ პერიოდში კერძო საწარმოებისათვის კიდევ ერთ პრობლემას აწყდება. მაშინაც კი, როდესაც სენჰოლცის შემოთავაზების მიხედვით, მენარმეები ოქროს აირჩევენ, მათ ფულს მაინც გაუძნელდება დოლართან კონკურენციის განევა. გარდამავალი პერიოდი, როდესაც ოქრო თანდათანობით იკავებს დოლარის ადგილს, შესაძლოა გახანგრძლივდეს სახელმწიფოს მიერ დოლარის მსყიდველობისუნარიანობის გაზრდის მეშვეობით, მაგალითად ინფლაციის შეჩერებით, დოლარსა და ოქროს შორის გაცვლის თანაფარდობის გაზრდით, ოქროს გაყიდვის მეშვეობით. ყველა შემთხვევაში ეს გარდამავალი პერიოდი არ წარმოადგენს აუცილებელს. როდესაც დოლარი გადაიქცევა ოქროთი გამოსყიდვადი, ოქრო თავისთავად გახდება ფული.

საბოლოოდ, სენჰოლცის შემოთავაზებით გარდამავალ პერიოდში ფულადი დეფლაციის პრობლემა არ ქრება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის აკრიტიკება ისეთ შემოთავაზებებს, რომლებიც საჭიროებენ ასეთ დეფლაციას, თუმცა მისი წინადადებებიც იმავე პრობლემის შემცველია, მაგრამ არა ისეთი სიმძიმის, როგორსაც როთბარდის მოსაზრებები მოითხოვენ. საბანკო სისტემის თავისუფლება რომ აღდგეს, უნდა შემცირდეს ფედერალური სარეზერვო სისტემის მარეგულირებელი ფუნქცია, ფულის წარმოებაზე უფლების დატოვების შემთხვევაშიც კი. ფედერალური სარეზერვო სისტემის კოორდინაციის გაუღწივით, საბანკო რეზერვებმა ისტორიულად უპრეცედენტო დონემდე იკლო. თავისუფალი, დამოუკიდებელი და კონკურენტული საბანკო სისტემის აღდგენა გულისხმობს საბანკო რეზერვების არსებული დონის 10 %-ით გაზრდას. მე-19 საუკუნეშიც კი, ნახევრადკარტილიზებულ საბანკო სისტემაში, ბანკები, როგორც წესი, ცდილობდნენ რეზერვები შეენარჩუნებინათ ფულის შემცვლელების 25-დან 40 პროცენტამდე. თუმცა რეზერვების დაგროვება ისეთივე დეფლაციურ პროცესს მოითხოვს, როგორც როთბარდის შემოთავაზების მუხედვით ხდება. ბანკებმა უნდა შეამცირონ ფიდუციალური გაცვლის საშუალების გამოცემა და მიმოქცევაში არსებული კრედიტები სესხების ლიკვიდაციით, და შესაბამისად, საწარმოების სტრუქტურის გარდაქმნით.

დასკვნა

ავსტრიელი ეკონომისტების მიხედვით, მონეტარული რეფორმის მიზანი საბაზრო ეკონომიკის აღდგენაა. ბაზარზე ფული უნდა დაუბრუნდეს თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურებს, როგორც ეს აღწერილი აქვთ მენგერსა და მიზესს. ფულადი რეფორმის თანახმად, მონეტარულ საკითხებში სახელმწიფოს არანაირი როლი არ უნდა დარჩეს. განხილული შემოთავაზებებიდან ყველაზე მეტად როთბარდის რეფორმა აღწევს ამ მიზანს. დოლარი ოქროთი გამოსყიდვადი უნდა გახდეს ფიქსირებული კურსით. ფედერალური სარეზერვო სისტემის საგადამხდელი საშუალება შემდგომ ფულის შემცვლელი უნდა გახდეს ფულის შემცვლელების სხვა ფორმებთან ერთად. გამოსყიდვის განაკვეთი უნდა დამკვიდრდეს ოქროს 100 პროცენტისანი რეზერვების პრინციპის შექმნით, წინააღმდეგ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკოტებისა და ანაბრებისა, ან ფულის ყველა შემცვლელისა. შემდეგ ბანკები აწარმოებენ ხაზინის ფასიანი ქაღალდების გაცემა-გამოცვლას ოქროს რეზერვების საშუალებით. უნდა გაუქმდეს სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევითი მცდელობა, რომელიც ხელს უშლის წარმოების სტრუქტურის ლიკვიდაციას და რეორგანიზაციას. ყველაზე მნიშვნელოვანია ფედერალური სარეზერვო სისტემის გაუქმება, აგრეთვე კანონის ძალით აღკვეთილ უნდა იქნეს სახელმწიფოს მცდელობა,

საკუთარი მონეტარული ოპერაციებით კონკურენცია გაუნთოს კერძო მენარმეებს, ან მოახდინოს ფინანსური ინსტიტუტების რეგულირება ნებისმიერ ასპექტში.

ფედერალური სარეზერვო სისტემის ლიკვიდაციის ფარგლებში, ბანკების კონსორციუმმა, ან მენარმეთა კერძო ჯგუფმა უნდა შეიძინონ ფედერალური სარეზერვო სისტემის კლირინგისა და აუდიტის მონაწილეობები, რათა ეს საქმიანობა გახადონ კერძო. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა მისი წამგებიანობა, კერძო მენარმეები უნდა გაერთიანდნენ ამ მომსახურების განხრის მიზნით.

კერძო ზარაფხანები მონეტებს მოგებისა და დანაკარგების შესაბამისად ანარმობენ, რაც განისაზღვრება ფულზე მოთხოვნით. ბანკებს კანონის ძალით შეეძლებათ ფულის ბანკნოტების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების წარმოება. ყველა ეს საკითხი დარეგულირდება მოგებისა და დანაკარგების შესაბამისად. ფიდეციალური გაცვლის საშუალების ყოველგვარი წარმოება არაკანონიერად უნდა გამოცხადდეს.

არ აქვს მნიშვნელობა, რა სახის რეფორმა განხორციელდება, სახელმწიფო მაინც ყველანაირად ეცდება გაზარდოს საკუთარი როლი და მიიღოს მაქსიმალური სარგებელი არსებული სისტემიდან. რეფორმის გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელმწიფოს რამდენად ექნება თავისი ძალაუფლების აღდგენის შესაძლებლობა.

რა შინაარსის მქონე რეფორმაც არ უნდა იქნას მიღებული საბაზრო მონეტარული რეჟიმის აღსადგენად, საბოლოოდ, ყველა ავტორი ეთანხმება სენპოლციის აზრს: "თავისუფლების პირობებში ფულსა და საბანკო ინდუსტრიას შეუძლია შექმნას მყარი საგადამხდლო საშუალება, ისევე, როგორც სხვა ინდუსტრიებს შეუძლიათ დაამზადონ ეფექტური და სანდო პროდუქტი. ფულის და საბანკო სისტემის თავისუფლება არის ის პრინციპები, რომელიც უნდა გაუძღვეს ჩვენს თითოეულ ნაბიჯს (1985, გვ.83)".

ლიტერატურა:

- Hayek, F.A. 1976. *The Denationalization of Money*. London: Institute of Economic Affairs.
1973. *Law, Legislation, and Liberty*. Vol. 1 Chicago: University of Chicago Press.
- Hoppe, Hans-Hermann, Jörg Guido Hülsmann, and Walter Block. 1998. "Against Fiduciary Media." *Quarterly Journal of Austrian Economics* 1 (1).
- Menger, Carl. [1871] 1976. *Principles of Economics*. New York: New York University Press.
- Mises, Ludwig von. [1949] 1998. *Human Action: A Treatise on Economics*. Scholar's Edition. Auburn, Ala.: Ludwig von Mises Institute.
[1927] 1985. *Liberalism*. 3rd ed. Irvington-on-Hudson, N.Y.: Foundation for Economic Education.
[1912] 1980. *The Theory of Money and Credit*. Indianapolis, Ind.: Liberty Fund.
- Rockwell, Jr, Llewellyn, H., ed. 1992. *The Gold Standard: An Austrian Perspective*. Lexington, Mass.

პაატა შეშელიძე

1968

პაატა შეშელიძე (Paata Sheshelidze) - "ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს" თანადამფუძნებელი და პრეზიდენტი.

1992 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1989 წელს ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა კომუნისტური საგანმანათლებლო სისტემის წინააღმდეგ. მაშინ-



დელი ძალისხმევა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი რეფორმებით გასრულდა: შესაძლებელი გახდა, საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებების სწავლება. მისი პირადი მონაწილეობით დაფუძნდა უნივერსიტეტში "მაკროეკონომიკის" სპეც-ჯგუფი, შემუშავდა სათანადო სასწავლო პროგრამა.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, საქართველოს პარლამენტში, ფინანსთა სამინისტროში, საგზაო ფონდში, სახელმწიფო რადიოში (პროგრამა "პიკის საათის" ეკონომიკური ექსპერტი, 1991-1995 წწ.) არის ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1989 წ.), ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის წევრი (1994 წლიდან). რამოდენიმეჯერ მიღებული აქვს საერთაშორისო სტეპენდია, გაიარა სამეცნიერო სტაჟირებები და ტრენინგები სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებში, მათ შორის, კოლორადოს უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო ინსტიტუტში (ა.შ.შ., კოლორადო, ბოლდერი, 1994 წ.); ლუდვიგ ფონ მიზესის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში (ა.შ.შ., ალაბამა, ოუბურნი, 2001 წ.); თეოდორ პეუსის აკადემიაში (გ.ფ.რ., გუმერსბახი, 2003). 2001 წლიდან არის ეკონომიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება "ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს" თანადამფუძნებელი და პრეზიდენტი. 2001-2010წლებში ამ ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული აქვს 351 საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონალური მამულები სემინარები ეკონომიკის, პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფიის, ორგანიზაციული მენეჯმენტის და სხვა საკითხებში. კრებულის "თავისუფლების ბიბლიოთეკა" თანადამფუძნებელი და 2004-2010 წლებში მისი მთავარი რედაქტორი.

გამოქვეყნებული არქვს 70-ზე მეტი საგაზეთო სტატია და ჩატარებული აქვს 275-ზე მეტი საჯარო ლექცია და მოხსენება – ეკონომიკის, პოლიტიკის და სოციალური ფილოსოფიის საკითხებში. არის 10-მდე კრებულისა და წიგნის მთავარი რედაქტორი.

პაატა შეშელიძე

ფული, რეფორმა და მომავალი¹

დეკემბერი, 2010

შესავალი

ფული, სამეტყველო და სამწერლობო ენების შემდეგ, ყველაზე დიდი აღმოჩენაა, რომელმაც ადამიანებს თანამშრომლობა გაუადვილა და საყოფაცხოვრებო კეთილდღეობის მკვეთრი გაუმჯობესება შესაძლებელი გახადა: ენის გარეშე ადამიანები სათანადოდ ვერ გაუზიარებდნენ ერთმანეთს მოსაზრებებს და ვერ გაავრცელებდნენ ცოდნას, ხოლო ფულის გარეშე ვერ განახორცილებდნენ შრომის დანაწილებას და ვერ გააფართოვებდნენ საქონელგაცვლას.

ფულის ეკონომიკური შინაარსისა და სოციალური მნიშვნელობის შეფასებისთვის, აუცილებელია პასუხი ვაეცეს კითხვებს: რა არის ფული, როგორ წარმოიშვა, როგორ განვითარდა, როგორია მისი ანმყო და სავარაუდოდ, როგორი იქნება მისი მომავალი? ასევე, საჭიროა, არსებითად იქნეს გააზრებული თუ როგორ მუშაობს თანამედროვე ფულადი სისტემა, რომ ნათლად იქნეს წარმოდგენილი თუ რატომ არის აუცილებელი მისი რეფორმა და რამდენად შესაძლებელია ეს.

რა არის და როგორ წარმოიშვა ფული?

ადამიანები საგნებს დანიშნულებას უძებნიან და ამ გზით საქონლად გარდაქმნიან.¹ შემდეგ, მათ ან თავად იყენებენ, სამომხმარებლო ან სანარმოო დანიშნულებით, ან ამ უფლებას სხვებს უთმობენ. დათმობას შესაძლოა ჩუქების, ანუ უსასყიდლო გადაცემის ან გაცვლის სახე ქონდეს, ხოლო გაცვლას, სამაგიეროს მიღების სანაცვლოდ დათმობას - პირდაპირი ან ირიბი ხასიათი.

პირდაპირი გაცვლა მონაწილეთა ინტერესთა უშუალო დამთხვევას გულისხმობს: თითოეულს აქვთ ზუსტად ის, რაც მეორეს სჭირდება. მაგრამ, ასეთი დამთხვევების აღბათობა შედარებით დაბალია, რაც გაცვლით ურთიერთობებს ზღუდავს და აფერხებს.

ირიბი გაცვლა გულისხმობს, რომ საქონელი ჯერ შუალედურ საქონელზე იცვლება იმ იმედით, რომ მას, შემდგომ, ადრე თუ გვიან, საჭირო საქონელზე გადაცვლიან. ამ გზით გაცვლა დროსა და სივრცეში იყოფა, ხოლო გაცვლითი ურთიერთობები ხშირი და მრავალფეროვანი ხდება.

შუალედური საქონელი თავისი არსით გაცვლის საშუალებას წარმოადგენს. გაცვლის საშუალებებად, სხვადასხვა გაყიდვადობის მქონე საქონელთა შორის, ბაზარზე ყველაზე მეტად გაყიდვადები ირჩეოდა. სხვადასხვა დროს და ადგილზე გაცვლის საშუალებად სხვა-

¹ წინამდებარე ნაშრომში გადმოცემული მოსაზრებები ეფუძნება და ანეითარებს ავსტრიული ეკონომიკური სკოლის მიდგომას, რომლის მიხედვით ფული საბაზრო თანამშრომლობის, ლოგიკური, მაგრამ დაუგეგმავი შედეგია და რომ თავისუფალი საზოგადოების ფული - ოქროა. ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ფულის თეორიის საფუძვლები კარლ მენგერის "ფულის წარმოშობა"-სა (1875) და ლუდვიგ ფონ მიზისის "ფულისა და კრედიტის თეორია"-ში (1912) იქნა ჩამოყალიბებული. თეორიის სრულყოფასა და პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფრიდრიხ ფონ ჰაიეკმა, მარი როთბარდმა, პანს-პერმან პოპემ, ჯოზეფ სალერნომ, გიოდ პულსმანმა და სხვებმა.

დასხვა საქონელი გამოიყენებოდა: პირუტყვი, ნიჟარები, ბრინჯის მარცვლები, თევზი, ქურქები, სამეურნეო იარაღები და ა.შ. თუმცა თითოეულ მათგანს, უკვე ჰქონდა გარკვეული ღირებულება ადამიანების თვალში, რადგან მათ უკვე იყენებდნენ სხვა დანიშნულებით – მოთხო-ნილებების პირდაპირი დაკმაყოფილების ან წარმოების მიზნით.

გაცვლითი ურთიერთობების საზღვრების და მოცულობის გაფართოებაში, გაცვლის ისეთი საშუალებების აუცილებლობა წარმოშვა, რომელიც საყოველთაოდ, ანუ სხვადასხვა მხარესა და ხალხში იქნებოდა აღიარებული. ისტორიულად, ასეთი, საყოველთაოდ აღიარებულ გაცვლით საშუალებებად, ანუ ერთაშორის ყველაზე გაცვლად საქონლად, საბოლოო ჯამში, ერთმანეთის პარალელურად ჩამოყალიბდა ისეთი კეთილშობილი ლითონები, როგორებიცაა სპილენძი, ვეცხლი და ოქრო (შესაბამისად, მცირე, საშუალო და მსხვილი გარიგებებისთვის). არჩევანი ამ ლითონების მყარი ფიზიკური და ქიმიური თვისებების, მათი დამუშავების და საყოფაცხოვრებო გამოყენების გზების აღმოჩენის და საყოველთაოდ აღიარების შედეგად გაკეთდა. გარდა ამისა, გადამწყვეტი პირობა ამ ლითონების ბუნებრივი იშვიათობა იყო.

სწორედ გაცვლის საყოველთაოდ აღიარებული საშუალება, ანუ ერთაშორის დონეზე ყველაზე გაყიდვადი საქონელი არის ფული. ანუ, გაცვლის ყველა საშუალება ჯერ კიდევ როდია ფული, რადგან მათი გამოყენება შემოიფარგლება გარკვეული სივრცით ან დროით, რომლის მიღმა ისინი გაცვლის საშუალების დანიშნულებას აღარ ასრულებენ და მხოლოდ რიგით საქონლად იცვლებიან ან საერთოდ არ გამოიყენებიან. ფული კი არის ისეთი გაცვლის საშუალება, რომელიც ყველგან უშუალოდ გამოყენება გაცვლებში და სხვა რომელიმე გაცვლის საშუალებაზე გადაცვლას არ საჭიროებს. შესაბამისად, ყველა თვისება, რომელიც აქეთ გაცვლის საშუალებებს, აქვს ფულს; მაგრამ გაცვლის საშუალებებს ფულის ყველა თვისება არ გააჩნიათ.

ამგვარად, გაცვლის საშუალებების ევოლუცია ფულამდე ეს არის გზა ძვირფას ლითონებამდე, როგორც გაცვლის საყოველთაოდ აღიარებულ საშუალებებამდე. არსებითად, სწორედ ოქროს, როგორც გაცვლის საშუალებას ეწოდა ფული და სინამდვილეში, ფულს ქონდა ოქროს, როგორც საქონლის სახე. ფული და ოქრო ბევრ ენაში სინონიმებიც კი იყო და არის. მეტიც, ოქროს (და სხვა კეთილშობილი ლითონების) ფლობა სიმდიდრის ნიშანი გახდა: ოქროს (და სხვა კეთილშობილი ლითონების), როგორც ფულის მფლობელს არ საჭიროებოდა მათი ჯერ ნიჟარებზე, ბრინჯის მარცვლებზე ან პირუტყვზე გადაცვლა, რომ შემდგომ მათი მეშვეობით საჭირო საქონელი შეეძინა; ოქრო (და სხვა კეთილშობილი ლითონები) თავად წარმოადგენენ გაცვლის საუკეთესო, ყველაზე გაყიდვად საშუალებას საზღვრების გარეშე.

ფულის ღირებულება

გაცვლის საშუალებაზე მოთხოვნას, ანუ მზაობას, რომ მასზე რომელიმე საქონელი ან მომსახურება იქნეს გაცვლილი, სარგებლის მოლოდინი განსაზღვრავს. სარგებელი კი იმაშია, რომ მისი გაცვლა, მოგვიანებით, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე ყველაზე ნაკლები დანახარჯებით შეიძლება. ეს ნიშნავს, რომ, რაც უფრო გაყიდვადია გაცვლის საშუალება, მით მეტია სარგებლის მიღების ალბათობა და ამიტომ, მისი ღირებულებაც მაღალია.

ამა თუ იმ საქონლის ღირებულებას, მის მიერ ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი განაპირობებს, რაც, თავის მხრივ სუბიექტური შეფასების საგანია. შესაბამისად, კეთილშობილი ლითონების, ანუ გაცვლის საყოველთაოდ აღიარებული საშუალებების ღირებულება, ადამიანების უდიდესი უმრავლესობის აზრით, ყველა სხვა გაცვლის საშუალების ღირებულებაზე მეტია. სწორედ ამიტომ იქნენ ისინი ბაზარზე ყველაზე გაყიდვად საქონლად და დაუბრკოლებლად გამოიყენებიან არაპირდაპირი გაცვლების დროს.

გაცვლითი ურთიერთობების კიდევ უფრო გამარტივების მცდელობებმა, ფულის გამოყენების დახვეწა გამოიწვია: კეთილშობილი ლითონების სტანდარტული ფორმის ფიგურებად, როგორც წესი მონეტებად და ზოდებად ჩამოსხმა და მათზე საგანგებო დამლების დატანამ, კიდევ უფრო გაამარტივა გაცვლები, რადგან ასეთი გზით, გაცვლის მონაწილეებს ინფორმაციის მიღება და დამუშავება გაუიოლდათ. დადამლული მონეტა ან ზოდი იძლევა ინფორმაციას მისი წონისა და შემადგენლობის შესახებ, რაც მისი გადამონშების დანახარჯებს ამცირებს. შესაბამისად, დადამლული მონეტებისა და ზოდების საცვლელი ღირებულება კიდევ უფრო მაღალი გახდა, ვიდრე იმავე წონის და ხარისხის ლითონის უფორმო და დაუდამლავი ზოდების. შედეგად, ფულის სტანდარტიზაცია, ერთგვაროვანი ზომა-წონისა და ხარისხის ნიშნებად – მონეტებად და ზოდებად მოჭრა საბაზრო მოთხოვნაზე მიმწოდებელთა პასუხი იყო

რა არის ფასი?

საქონლის ფასი არის მასზე გაცვლილი სხვა ერთგვაროვანი საქონლის რაოდენობა. თუ 1 ვაშლი იცვლება 3 ქლიავზე, მაშინ 1 კილოგრამი ვაშლის ფასი 3 კილოგრამი ქლიავია, ხოლო 1 კილოგრამი ქლიავის ფასი 1/3 კილოგრამი ვაშლი. ანუ, ფასი გაცვლის შედეგად დადგენილი რაოდენობრივი პროპორციაა. ამასთან, გამომდინარე გაცვლების სუბიექტური ხასიათიდან, არ არსებობს მყარი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი გაცვლითი პროპორციები: შესაძლოა, ვაშლითა და ქლიავით მოვაჭრეები, ადგილისა და დროის, ხასიათისა და გემოვნების, ინტერესებისა და გარემოებების მიხედვით, სულ სხვადასხვა გაცვლით პროპორციებზე თანხმდებოდნენ.

არაპირდაპირი, ანუ ფულადი გაცვლა სურათს არსებითად არ ცვლის: ფული ისეთივე საქონელია, როგორც ვაშლი და ქლიავი. ფულადი ფასი, ფულის ის რაოდენობაა, რომელიც გაცვლაში იქნა გამოყენებული: მაგალითად, თუ 1 კილოგრამი ვაშლის ფასი გარკვეული სინჯის ოქროს უნციის მესამედი ნაწილია, მაშინ ამავე სინჯის ოქროს უნციის ფასი 100 კილოგრამი ვაშლი იქნება. სხვა სიტყვებით, - ფულადი ფასი ეს კეთილშობილი ლითონის ის ფიზიკური რაოდენობაა, რომელიც სხვადასხვა საქონელში იცვლება. გაცვლა კი, შემადგენლობის გათვალისწინებით, წონის მიხედვით ხდება.

მაგრამ ფულადი ფასები საშუალებას იძლევა, რომ გაცვლებში საერთო, განყენებული, ერთგვაროვანი და უცვლელი ფიზიკური და ქიმიური თვისებების მქონე საზომი, ოქრო (და სხვა კეთილშობილი ლითონები) იქნეს გამოყენებული: რაკი ოქრო (და სხვა ძვირფასი ლითონები) ყველგან ერთნაირია, ყველა გარიგება სწორედ მათთან მიმართებაში განიხილება და ამ გზით იანგარიშება სხვადასხვა საქონლის ურთიერთგადაცვლის საჯარაუდო პროპორციები. შესაბამისად, ფულადი ფასები, ანუ გარკვეული სინჯის ოქროს წონით გამოხატული ფასები, მათი უნივერსალურობის გამო, მნიშვნელოვნად ამარტივებენ ანგარიშსა და გათვლას ყველასთვის, ყოველთვის და ყველგან.

ფულადი ფასი, როგორც უნივერსალური გზამკვლევი

ფასი ეს არის ინფორმაცია წარსულში შემდგარი გაცვლის შესახებ. ფასები გარიგების შედეგია. შესაბამისად, გაცვლის გარეშე ფასები არ არსებობს. ისინი ასახავენ თუ როგორი იყო მოთხოვნა, ანუ როგორი არჩევანისთვის იყო მზად მომხმარებელი. ამიტომ ფასები წარმოადგენენ გზამკვლევ მაჩვენებელს მომწოდებლებისთვის იმის შესახებ, თუ რისი შეთავაზება შეიძლება მომავალში, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, როცა საბაზრო ფასწარმოქმნა, ანუ გარიგებების თავისუფლება რაიმე გზით

იზღუდება, ინარმოება არა ის, რაც ნებაზე მომხმარებელს, არამედ ის, რაც ნებაზე შეზღუდვების დამდგენს. შესაბამისად, რესურსები აღარ ხვდება იმათ ხელში, ვინც მათ ყველაზე მეტ ღირებულებას ანიჭებს. ამდენად, ბაზარზე თავისუფალი გარიგებებით დადგენილი ფულადი ფასების გარეშე, შეუძლებელია რესურსების გამოყენება ყველაზე მაღალი ღირებულებით და დაბალი დანახარჯებით. არ არის თავისუფალი ფასები, არ არის ეკონომიკა.

ფულის ფასი, ანუ მსყიდველობითი უნარი

ფულის ღირებულება დამოკიდებულია მის გაყიდვაობაზე, რაც მომავალში საქონლის და მომსახურების შექმნის საშუალებას იძლევა. მაშასადამე, ფულის ხვალისნდელი მსყიდველობითი უნარი, მისი დღევანდელი მსყიდველობითი უნაროდან გამოიძინარეობს, დღევანდელი, გუშინდელიდან და ა.შ. ფულის ფასის რეგრესულ² ანალიზს მიყვავართ იმ მომენტამდე, როდესაც გაცვლის საშუალებად გამოყენებამდე საქონელს, ჯერ ისევე სამომხმარებლო ან სამეურნეო ღირებულება ქონდა. შესაბამისად, საქონლის, როგორც გაცვლის საშუალების ფასი, მისი უკანასკნელი ბარტერული ფასიდან გამომდინარეობს. ამგვარად, გაცვლის საშუალების ფასის დადგენა გამოცდილებით ხდება და წინა გარიგებების შესახებ საორიენტაციო ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია.

მაგალითად, სადღეისოდ ყველაზე ფართო გამოყენებადი გაცვლის საშუალების, ამერიკული დოლარის ღირებულება, რომელიც სადღეისოდ ამერიკაში ერთადერთი საგამხდლო საშუალებად დადგენილი, მომდინარეობს მისი, როგორც ოქროს შემცველის ღირებულებიდან, როგორცაა ის 1971 წლის მეორე ნახევრამდე ითვლებოდა.

თავის მხრივ, ამერიკული დოლარი, როგორც ოქროს სერტიფიკატის ღირებულება თავად ოქროს ღირებულებიდან მომდინარეობდა. ხოლო ოქროს ღირებულება, წარსულში, მისი ბარტერული ფასიდან. ამერიკული დოლარი, თავის მხრივ, ბრეტონ-ვუდის ხელშეკრულებით, სხვა ეროვნული საგამხდლო საშუალებების გასანდვებლად გამოიყენებოდა და მათი ღირებულების წყარო იყო. მათ შორის იყვნენ ის ევროპული ვალუტები, რომელთაც ევრო ჩაენაცვლათ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ევროს ღირებულების წყარო ამერიკული დოლარია.

საქონლის გამოყენების ასპარეზის ზრდა, მაგალითად ახლი დანიშნულებით გამოყენება, მასზე მოთხოვნასაც ზრდის და შესაბამისად, მისი საცვლელი ღირებულებაც იზრდება. ანალოგიურად, ამა თუ იმ საქონლის გაცვლის საშუალებად გამოყენება, ზრდის როგორც მასზე მოთხოვნას, ისე მის საცვლელ ღირებულებას, ანუ მსყიდველობით უნარს, რაც სხვა არაფერია თუ არა გაცვლის საშუალების ფასი გამოხატული იმ საქონლის რაოდენობაში, რომელიც მასზე იცვლება. ფულს, ანუ ოქროს (და სხვა ძვირფას ლითონებს), ყველა სხვა გაცვლის საშუალებებთან შედარებით, ერთ ერთულზე მეტი მსყიდველობითი უნარი გააჩნია, რადგან ის ყველაზე მეტად გაყიდვადი, ანუ საყოველთაოდ მოთხოვნადი საქონელია.

ფულის წარმოშობა და სახელმწიფო

უძველეს მონეტებზე გამოსახულმა სამეფო სიმბოლოებმა და თავად მეფეების სახეებმა შესაძლოა გვაფიქრებინოს, რომ ფული ხელისუფალთა მიერ არის შექმნილი. მაგრამ არ არსებობს არანაირი ისტორიული ცნობა ან მითი, რომელიც ამ მოსაზრებას დაასაბუთებს. ხელისუფალი ან სამხელმწიფო, სადაც ასეთი მნიშვნელოვანი რეფორმაცია მოხდა, ისტორიისთვის უცნობია. ამასთან, ფულამდე, გაცვლის საშუალებებად სხვადასხვა, ერთმანეთ-

² იხ. Ludwig von Mises, Human Action, თავი XVII, The Determination of the Purchasing Power of Money

თან კავშირის არ მქონე ცივილიზებში, სხვადასხვა საქონელი გამოიყენებოდა და პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ ყველა შემთხვევა მაინცდამაინც ხელისუფლებასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

გარდა ამისა, შეუძლებელია, რომ ფულის იდეა გამოცდის გარეშე დანერგილიყო: როგორ უნდა შერჩეულიყო საქონელი, რომელიც ფულად იქნა გამოყენებული? როგორ უნდა დადგენილიყო მისი ფასი ისე, რომ ის იმდენად მისაღები აღმოჩენილიყო მომხმარებლებისთვის და მათ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გამოიყენებინათ?

მაშასადამე, ფულის წარმოშობის უფრო საფუძვლიანი ახსნა შემდეგშია: ფული პირადი ინტერესით მომქმედი ადამიანების თანამშრომლობის, კერძოდ ბაზარზე საქონლითა და მომსახურებებით გაცვლების წინასწარ დაუგეგმავი, სპონტანური შედეგია, ისევე როგორც სამეტყველო ენა.

შესაძლოა, რომელიმე მმართველმა, სხვებზე ადრე გაიაზრა, რომ ფულისთვის სტანდარტული ფორმის მიცემა და დადამლვა, მაგალითად მონეტის მოჭრა, ინფორმაციულად უფრო ღირებულს და შესაბამისად, უფრო გაყიდვადს გახდიდა მას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ხელისუფალი ერთის მხრივ დანერგავდა არა ფულს, არამედ მის გარკვეულ ნიშანს – მონეტას, რომლის უპირატესობა გაყიდვადობაში სხვა საშუალებებთან შედარებით ჯერ კიდევ გამოსაცდელი იქნებოდა. მაშინაც კი, თუკი ის შეეცდებოდა, რომ თავისი "გამოგონება" სხვებზე ძალით გაეგრცვლებინა, მას მოუწევდა სათანადო დანახარჯების დათვლა და დარწმუნება, რომ საქმარისად დიდი ხნის განმალბაში შეეძლო ამ დანახარჯების საკუთარ თავზე აღება.

ფული და კონკურენცია

საქონლის წარმოება დაკავშირებულია დანახარჯებთან. მიმწოდებლები დანახარჯების შემცირებას ცდილობენ, მოთხოვნას, რაც შეიძლება დაბალი საფასო შეთავაზებით და მაღალი ხარისხით უპასუხონ და მომხმარებლები მიიზიდონ. კონკურენცია სხვა არაფერია თუ არა მომხმარებლის მოთხოვნილებების საუკეთესოდ დაკმაყოფილების საშუალებების ძიების პროცესი, რომელშიც ჩაბმა თავისუფალია. ხოლო, აკრძალვების არ არსებობა, ნებისმიერ მსურველს, რომელსაც აქვს ორგანიზატორის გარკვეული უნარ-ჩვევები და ხელი მიუწვდება სათანადო რესურსებზე, მიმწოდებლად გადააქცევს.

კონკურენციის გზით, წარმოება მომხმარებლების ინტერესებს მაქსიმალურად ერგება: მოთხოვნა მართავს მიწოდებას. მეცნიერება და ტექნოლოგიები მომხმარებლის სამსახურში დგება. საყოფაცხოვრებო პროგრესს ასპარეზი ეხსნება. შედეგად, ყველაზე პრეტენზიული და თავისებური მომხმარებლის ინტერესების დაკმაყოფილებაც კი შესაძლებელი ხდება.

კონკურენცია ფულის ნიშნების მიმწოდებლებს შორის უზრუნველყოფს, რომ ფულს ერთ ერთეულს მაქსიმალური ღირებულება ექნება. მაშინ როდესაც, ფულის მიწოდებაში კონკურენციის გეოგრაფიული შეზღუდვა (მაგალითად, სახელმწიფოს ანდა რეგიონის მასშტაბით) და მითუმეტეს, ხელისუფლების მიერ მისი მონოპოლიზება არსებითად საპირისპირო შედეგებით მთავრდება: ფულის მიწოდებაში მიწოდებაში მთავარი ხდება არა ხარისხი, არამედ რაოდენობა.

ფულის მიწოდებაზე მონოპოლია ინფლაციით მთავრდება, რაც სხვა არაფერია თუ არა ფულის მყიდველობითი უნარის გაუფასურება მისი ჭარბი წარმოების გზით, რაც არ არის უზრუნველყოფილი მასზე მოთხოვნით.

ფულის შემცველი და ნაწილობრივი რეზერვირება

ფულის შემცველი, არსებითად, საცავეში ან ბანკში შესანახად მიზარებული (და არა სესხად მიცემული) კეთილშობილი ლითონების ოდენობის დამადასტურებელი ცნობაა და წარმდგენზე დაუყოვნებლივი განაღების ვალდებულებას გულისხმობდა. ფულის შემცველები მალალი გაყიდვადობით ხასიათდებოდნენ და გაცვლის საშუალებად გამოიყენებოდნენ, ამიტომ მათი ხშირი განაღების აუცილებლობა არ იყო. შესაბამისად, გაჩნდა ტექნიკური საშუალება, რომ საცავეებში არსებული სასაქონლო ფულის ნაწილი საკრედიტო ოპერაციებისთვის ყოფილიყო გამოყენებული. ამგვარად ჩამოყალიბებული ე.წ. ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპი ემყარებოდა ვარაუდს, რომ საცავეებში გათავსებული კეთილშობილი ლითონების მესაკუთრეები, ყველანი ერთდროულად არ მოინდომებდნენ სათანადო შემცველების განაღდებას. შესაბამისად, საცავეში ან ბანკში შენახული ფულის ნაწილი საკრედიტო რესურსად გამოიყენებოდა, ხოლო ფულის შემცველები მხოლოდ ნაწილობრივ იყენებდნენ განაღდებადი შესაბამისი ოქროთი.

მიუხედავად ასეთი პრაქტიკის აშკარა იურიდიული წინააღმდეგობისა, რაც ერთსადა-იმევე ფულზე ორი ვალდებულების არსებობაში გამოიხატება, მან ფართო გამოყენება ჰპოვა და ამ გზით ფულის რაოდენობრივი მულტიპლიკაციის მექანიზმად იქცა. ნაწილობრივი რეზერვირების სისტემა სერტიფიკატებით დადასტურებული ფულის რაოდენობასა და საცავეში რეალურად არსებულ ფულის რაოდენობას შორის განსხვავებას გულისხმობს: შემცველებით დადასტურებული ვალდებულებები აღემატება საცავეში რეალურად არსებული კეთილშობილი ლითონების ღირებულებას. ამგვარად, ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპი მოდმივად გაკოტრების რისკის ზღვარზე მუშაობს: ვალდებულებების შესაძლო გაუნაღდებლობის შესახებ მცირედი ეჭვიც კი, შემცველების განაღების მსურველთა რაოდენობას ზრდის, ხოლო მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობას ამცირებს.

გარდა ამისა, ამ გზით ფულის შემცველების მიწოდება მნიშვნელოვნად იზრდება და ქმნის ილუზიას, რომ თითქოს უფრო მეტი ხელმისაწვდომი რესურსია, ვიდრე სინამდვილეში არის. მცდარ ინფორმაციაზე დაყნობით იგვემება უფრო მეტი პროექტი ვიდრე შეიძლება განხორციელდეს არსებული შესაძლებლობების ფარგლებში. შედეგად, ეკონომიკურ გამოცოცხლება, გარკვეული დროის შემდეგ, რესურსების უკმარისობის გამო, კრახით მთავრდება.

ფული და დღევანდლობა

რაოდენ პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყარო ეკონომიკურად და ინფორმაციულად ერთიან, ინტეგრირებულ სივრცეს წარმოადგენს, ის მოკლებულია ფულს, როგორც გაცვლის საყოველთაოდ აღიარებულ საშუალებას. ფულის მაგივრად ის იყენებს ეროვნული და რეგიონალური მასშტაბის საგადასხდელი საშუალებებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ურთიერთგადაცვლების რთული, უკიდურესად დიდი დანახარჯების მქონე ე.წ. გადახურდავების სისტემით. ასეთი ვითარება 1971 წელს ბრეტონ-ვუდის ხელშეკრულების გაუქმების შედეგად შეიქმნა, როდესაც ეროვნულმა საგადასხდელი საშუალებებმა ოქროსთან, როგორც სარეზერვო ფულთან ფორმალური³ კავშირიც კი დაკარგეს და გაცვლის ადგილობრივ საშუალებებზე გადაიქცნენ.

³ ბრეტონ-ვუდის ხელშეკრულებით ფული იყო ოქრო. ამერიკული დოლარი იყო ოქროს შემცველი, რომელიც თავის მხრივ სხვა ეროვნული საგადასხდელი საშუალებების რეზერვს წარმოადგენდა.

არსებითად, ეს იყო ნაბიჯი არა უბრალოდ უკან ეპოქისგან, როდესაც სხვადასხვა ხალხი გაცვლის საშუალებებად ნიჟარებს (ვთქვათ, სახელად ღარებს), ბრინჯის მარცვლებს (ვთქვათ, სახელად ვეროს) და პირუტყვს (ვთქვათ, სახელად დოლარს) იყენებდა. არამედ, მკვეთრი ნაბიჯი ფულის არსის, ანუ ფულის, როგორც ყველგან და ყველაზე გაყიდვადი საქონლის წინააღმდეგ. ეს იყო "ფულის მკვლელობა".

არსებითად ყველა თანამედროვე გაცვლის საშუალება, მათ შორის ლარი, დოლარი და ევრო ცალკეული ქვეყნების ან ქვეყანათაშორისი გაერთიანებების ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებულ, მაგრამ რეალური აქტივებით განაღდებადობას მოკლებული ქალაქის ნიშნებს წარმოადგენენ. მათი ღირებულების წყარო არის ის, რომ თითოეული მათგანი ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად არის დაკანონებული და მათი გამოყენება სავალდებულოა სათანადო ქვეყანასა თუ ქვეყანათაშორისი გაერთიანებაში, როგორც კერძო ისე სახელმწიფო ვალების გასტუმრებისას.

პრაქტიკულად, თანამედროვე სამყაროში გაცვლის საშუალებები სახელმწიფოების მხრიდან იძულების შედეგად გამოიყენება. გარდა ამისა, ქალაქის ნიშნებს ხელოვნურად, სახელისუფლო ბრძანებით აქვთ მიწიჭებული ნომინალური ღირებულება, რომელიც ბევრად ჩამოუვარდება მათ სასაქონლო ღირებულებას. რომ არა საგადამხდელო საშუალებებად მათი გამოყენების ვალდებულება, ისინი, მათ შორის დილარიც და ევროც, დიდხანს ვერ იარსებებდნენ. მონეტარული ნაციონალიზმი, ნაციონალიზმის მეცნიერულად ყველაზე აბსურდული გამოვლინებაა.

ქალაქის ფული

მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ ოქრო ბარბაროსული გადმონაშთია⁴, ხოლო ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული არაუზრუნველყოფილი, დეკრეტული ქალაქის ნიშნები წარმოადგენს ცივილიზაციის მიღწევას, რომელიც კაცობრიობას საშუალებას აძლევს იმდენი გაცვლის საშუალება იქონიოს, რამდენიც სჭირდება, არაუზრუნველყოფილი ქალაქის ნიშნების გაცვლის საშუალებებად გამოყენება, სინამდვილეში, კაცობრიობისთვის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად იქცა.

ილუზიამ, რომ გაცვლის საშუალებების რაოდენობრივი სიმრავლე ყოფითი პრობლემების გადაწყვეტის საშუალებაა, კაცობრიობა ჩიხში მიამწყვდია: გაცვლის საშუალებების საბჭოელო მანქანით შეიარაღებამ და ჰაერიდან ფულის შექმნის უფლებამ, პოლიტიკურ ელიტას ძალაუფლების გაფართოებისა და კერძო და საზოგადოებრივი დოვლათის თავის სასარგებლოდ გადანაწილების უპრეცედენტო საშუალება მისცა, გადასახადების და რეგულირებების პარალელურად.

რეალური დოვლათი და არა გაცვლის საშუალებები

ადამიანებს სჭირდებათ არა გაცვლის საშუალებების, არამედ რეალური დოვლათის სიმრავლე, რაც მათი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის უშუალოდ იქნება გამოყენებული. გაუნარდებადი ქალაქის ნიშნების რაოდენობრივი სიმრავლე რეალური დოვლათის გამრავლებას არ ნიშნავს. მეტიც, გაცვლის საშუალებების რაოდენობრივი ზრდა, რომელიც მოკლებულია მოთხოვნას, მისი ერთეულის გაუფასურებას, ანუ მსყიდველობითი უნარის შემცირებას და შესაბამისად, ამ გაცვლის საშუალებებთან მიმართებით

⁴ J.M. Keynes, Monetary Reform (1924), p. 172

რეალური დოვლათის და სამუშაო ძალისა სხვადასხვა მაშტაბით გაძვირებას იწვევს. გარდა ამისა, იზრდება სარგებლის განაკვეთები და რთულდება ეკონომიკური გათვლები.

ქალაქის ნიშნების ბეჭდვის დაბალი დანახარჯები და პოლიტიკური ძალაუფლების გაფართოების სურვილი, მთავრობებს მუდმივად უზიძვებს, რომ მათ წინაშე არსებული ამოცანები, საგამხდლო საშუალების ინფლაციის ხარჯზე გადაწყვიტონ. და თან ისეთი ამოცანების გადაწყვეტის სურვილსაც უღვივებს, რომელიც სხვა შემთხვევაში ვერ იქნებოდა მათი პრეროგრატივა და ან შეუძლებელია, რომ მათ მიერ იქნეს ჯეროვნად მოგვარებული.

არადა, არსებითად, გაცვლის გაუნაღდებადი საშუალებების გაფართოების ყოველი ახალი ტალღა, ფარული გადასახადის მსგავსად, მსყიდველობით უნარს აცლის რიგითი სამეურნეო სუბიექტების ნაღდ ფულსა და დანახარჯებს, ხოლო მთავრობას და მასთან დაახლოებულ ჯგუფებს საშუალებას აძლევთ, რომ საქონელი და მომსახურება გაცვლის საშუალების გაუფასურებამდე, სხვებთან შედარებით უკეთესი პირობებით შეიძინონ. ინფლაცია "პირველი ღამის უფლების" მართლაც რომ ბარბაროსული წესის ეკონომიკური ანალოგია. ის სხვა არაფერი თუ არა პოლიტიკური იარაღი, რომლის მეშვეობით ხელისუფლება რესურსებს მისთვის საჭირო ამოცანების გადასაწყვეტად დაუკითხავად და კომპენსაციის გარეშე მიმართავს.

ამ თვალსაზრისით ინფლაცია, როგორც შემოსავლის წყარო მთავრობებისთვის ბევრად უფრო ხელსაყრელია ვიდრე გადასახადები და სხვა მოსაკრებლები.

ნიშანდობლივია, რომ უფრო მეტად გავრცელებულისაგანმხდელი საშუალებების ინფლაცია, როგორც წესი არა იმდენად შიდა, არამედ გარე, განსაკუთრებით ე.წ. მესამე სამყაროს ბაზრებზე იწვევს ფასების ე.წ. საერთო დონის ზრდას. საქმე ისაა, რომ გამოშვებული ფულის დიდი ნაწილი სწორედ ამ ბაზრებისკენ მიემართება რეალური საქონლისა და მომსახურების შესყიდვების და ან დახმარებების სახით. ხოლო მესამე სამყაროს ქვეყნები ასეთ გაცვლის საშუალებებს ადგილობრივ ბაზარზე იყენებენ, საკუთარი ვალუტების პარალელურად და შესაბამისად, მათი რაოდენობრივი ზრდა გამოშვები ქვეყნის შიდა ბაზარზე გავლენას ნაკლებად ახდენს.

ცენტრალური ბანკი

ცენტრალურმა ბანკმა, ანუ ე.წ. ბანკების ბანკმა ეკონომიკა მართული და ხელისუფლებაზე დამოკიდებული გახადა. გარდა ამისა, ბანკებზე და მათ საქმიანობაზე ტოტალური კონტროლი, პრაქტიკულად ყველა ანგარიშებსა და გადარიცხვებზე მეთვალყურეობის საშუალებად, ხოლო თავად ბანკები, არსებითად საგადასახადო და უშიშროების სამსახურების აგენტებად იქცნენ.

აქტივებით განაღდებადობას მოკლებული ფულის ფაქტიურად ჰაერიდან შექმნის გზით, ცენტრალური ბანკები ერთის მხრივ აფინანსებენ მთავრობებს და მათი საბიუჯეტო დეფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენენ. მეორე მხრივ ისინი ეხმარებიან არაუფექტიან ბანკებს, განსაკუთრებით დიდ და პოლიტიკურად გავლენიან ბანკებს, რაც საბანკო სივრცეში უპასუხისმგებლო, რისკიანი გადაწყვეტილებებს ზრდას უწყობს ხელს. შედეგად, ბანკები მომჭირნეობისა და დაგროვების ნაცლად, ხარჯვას ახალისებენ და მფლანგველობას აჯილდოვებენ: "იზორედ, დააგროვე და შეიძინეს" მაგივრად; "გამორჩი, ისეხე და დაისვენეს" ფილოსოფია ბატონობს: ხვალღი იფიქროს ხვალისა პრინციპით. მეტი და მეტი ვალის აღება წინა ვალების დასაფარად და კომფორტული ცხოვრების შესანარჩუნებლად - კეთილდღეობის ილუზიას ქმნის. თუმცა ეს მომავალი თაობების ხარჯზე ცხოვრებას ნიშნავს და ერთხელაც იქნება დასავალალოდ დამთავრდება.

ნიშანდობლივია, რომ ოქროს პირობებში, სავაჭრო დეფიციტი მოკლევადიანი მოვლენაა – არავის არ შეუძლია ხანგრძლივად შეინარჩუნოს მდგომარეობა, როდესაც ხარჯავს მეტს, ვიდრე გაცემს, მაშინ როდესაც ცენტრალური ბანკების პირობებში, დეფიციტი მუდმივად ინფლაციის, ანუ გაუნარღებადი ქალაღის ნიშნების მასის გაზრდის გზით ე.წ ფარული გადასახადის მოკრებით იფარება.

კუდი მელისის სამსახური

არაუზრუნველყოფილი ქალაღის ნიშნების ბექდვის აუცილებლობის, არსებითად კი ინფლაციის გამართლება თავისთავად არის ქცეული დამოუკიდებელ ინდუსტრიად: განათლების სისტემა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელთა თანამშრომლების მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ არის დამოკიდებული საბიუჯეტო დოტაციებზე ან სარგებლობენ სხვადასხვა სახის ინსტიტუციონალური პრივილეგიით, პრაქტიკულად, არა ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელების, არამედ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებითა დაკავებული. მაგრამ ქალაღის არაუზრუნველყოფილი ნიშნების გაცვლის საშუალებებად გამოყენება და თანამდევნი ინფლაციური ეპოქა, სულ რაღაც მე-40-ე წელია რაც გრძელდება და სულაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ისტორიის დასასრულია: რამდენი ადამიანი აირჩევა ქალაღის არაუზრუნველყოფილ ნიშნებს გაცვლის საშუალებად, მათ რომ თავისუფალი არჩევანი ჰქონდეთ? სავარაუდოდ არცერთი, რადგან ქალაღის ნიშანი, რომელსაც არც მაღალი სასაქონლო ღირებულება აქვს და არც ვინმეს ვალდებულებას წარმოადგენს, ჩვეულებრივი თაბახის ფურცლის დადაბნილი ნაგლეჯია და არა გაცვლის საშუალება. სრულიად უნაყოფოა საწინააღმდეგოს მტკიცება და მითუმეტეს ამ მიზნით მოწმებებად საკუთარი კუდის მოყვანაზე რესურსების ფლანგვა. ბევრად უკეთესია, რომ ვარაუდები პრაქტიკულად, ანუ არაუზრუნველყოფილი ქალაღის ნიშნების ერთადერთი საგადახდელო საშუალებად გამოყენების შესახებ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მოთხოვნების გაუქმებით და თავისუფალი კონკურენციის დაშვებით შემოწმდეს.

გაუნაღებადი ქალაღის ნიშნის ტიპიური მაგალითი - ლარი

ლარი, საქართველოში გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალებაა.

ეროვნულ ბანკს კი გააჩნია საქართველოში ფულის, მათ შორის სამახსოვრო და საინვესტიციო ნიშნების და მონეტების გამოშვების ერთპიროვნული უფლება. ის უშუალოდ აკონტროლებს ლარის ნაღდი ფულის მარაგს და ადგენს ემისიის გეგმას. ამასთან, ლარი წარმოადგენს ეროვნული ბანკის უპირობო ვალდებულებას ნომინალური ღირებულებით.⁵

სხვა სიტყვებით, ლარი არის დეკრეტული, არაუზრუნველყოფილი, მონოპოლიის მიერ გამოშვებული ლოკალური გაცვლის საშუალება, რომლის სხვა ქვეყნების ბაზრებზე გამოყენება დაკავშირებულია კონვერტაციასთან დაკავშირებულ უდიდეს დანახარჯებთან. გარდა ამისა, ისმის ორი კითხვა: - რატომ უნდა იყვნენ შეზღუდული მოვაჭრეები, რომ გარიგებები მათთვის მისაღები ფორმით დადონ და ამ გზით შემცივრდეს მათი დანახარჯები? - თუკი ვინმეს სჭირდება, რომ ლარი, როგორც სახელმწიფოებრიობის სიმბოლო არსებობდეს, მაშინ რატომ არ უნდა იყოს ის ოქროსი? ასეთ შემთხვევაში ხომ, საჭირო არ იქნებოდა საკანონმდებლო იძულება და ხარჯიანი ცენტრალური ბანკის არსებობა; ამასთან, რაც მთავარია, აღმოიფხვრებოდა ინფლაცია და გაუნაღებადი ქალაღის ნიშნების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების გავლენა საკრედიტო რესურსების ფასის ზრდაზე.

⁵ კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, თავი V, მუხლები 34 და 38. ინფორმაციის წყარო (http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=3762)

მთავარი კითხვა

დღეს მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს არის არა ის, თუ რა მოხდება თუკი ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად დადგენის გაუქმდება. რადგან პასუხი ამ კითხვაზე ნათელი და მარტივია – თავისუფალი მოვაჭრეები გაცვლის საშუალებად კეთილშობილი ლითონების გამოყენებას აღადგენენ. არამედ ის, თუ რატომ უკვე დღეს არ გამოიყენებიან ფულად ოქრო და სხვა კეთილშობილი ლითონები, შეზღუდვების მიუხედავად? ეს კითხვა საბაზრო ურთიერთობების წესისა და ლოგიკიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვით, გაზრდილი დანახარჯების (აქრძალვის) მიუხედავად, მოთხოვნის (ოქროზე, როგორც გაცვლის საშუალებაზე) შემთხვევაში, მიწოდება (ოქროს მონეტებისა და ზოდების ფორმით) მაინც უნდა არსებობდეს და შესაბამისად, ოქრო მაინც უნდა ასრულებდეს ფულის ფუნქციებს.

ვითარების საფუძვლიანი შესწავლა შემდეგი პასუხების საშუალებას იძლევა:

ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ ოქრო და სხვა კეთილშობილი ლითონები არ გამოიყენებიან, როგორც გაცვლის კანონიერი საშუალებები, მათგან დამზადებული მონეტები და ზოდები ყოველდღიური საბითუმო და საცალო ვაჭრობის საგანია. ბევრი ქვეყნის ხელისუფლება დღესაც ბეჭდავს და თავისუფლად ყიდის ოქროს მონეტებს და ზოდებს. მათი ფასები სხვადასხვა გაცვლის საშუალების (ამერიკული დოლარი, ბრიტანული ფუნტი, ევრო და ა.შ.) მეშვეობით დგინდება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზოგადად ფასნარმოქმნაზე. წინდახედული მოვაჭრეები და ინვესტორები ოქროში გადათვლილი სასაქონლო ფასებით ამონმბებენ თავიანთ განგარიშებებს და ადგენენ გეგმებს.

მეორე, ოქრო და სხვა კეთილშობილი ლითონები ასრულებს დაგროვების საშუალების ფუნქციას და ამ გზით, სხვა გაცვლის საშუალებებისთვის, ღირებულების საზომს წარმოადგენენ.

მესამე - სანამ გაუნაღდებადი ქალაღის ნიშნების რეალური ღირებულება ბევრად ჩამოუვარდება მათ ნომინალურ, დეკრეტით მინიჭებულ ღირებულებას და მათი მეშვეობით გადასახადების გადახდა შესაძლებელი იქნება, მათ ექნებათ გამოყენება გაცვლით ურთიერთობებში. თუმცა, ყველა შეეცდება, რომ რაც შეიძლება სწრაფად დახარჯოს და სამაგიეროდ, საკუთარი შემოსავლების იმ ნაწილით, რომელიც მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას არ ხმარდება, სხვადასხვა სახის აქტივები, მათ შორის ოქრო, უძრავი ქონება და სხვადასხვა კომპანიების აქციები შეიძინონ. მითუმეტეს, რომ მომხმარებელთა მოლოდინები გაუნარდებადი ქალაღის ნიშნების გაუფასურების შესახებ წლიდან-წლამდე იზრდება⁴ და მათი მსყიდველობითი უნარის დაცემისგან დაცვა შემოსავლების მქონე პრაქტიკულად ყველა ადამიანის ამოცანად არის ქცეული. სხვა სიტყვებით, გამოხატულია არაუზრუნვეყოფილი ქალაღის ნიშნებიდან "გაქცევის" ტენდენცია, მათი მეშვეობით დანახოების კეთების მაგივრად.

მაშასადამე, ოქროს დღესაც აქვთ ფულის გარკვეული ფუნქციები და ფულად მისი სრულფასოვანი გამოყენება უბრალოდ დროის და სამენარმეო გამჭრიახობის საკითხია.

⁴ მაგალითად, ბრეტონ-ვუღის ხელშეკრულებების გაუქმებიდან, ერთი უნცია ოქროს ფასი ოცდათხუთმეტი ამერიკული დოლარიდან ათას ოთხას ამერიკულ დოლარამდე გაიზარდა 2010 წლის დეკემბერისთვის (www.goldprice.org). ანუ, დოლარის ერთი ერთეული მსყიდველობითი უნარი გასული 40 წლის განმავლობაში 40-ჯერ დაეცა. განსაკუთრებულად სწრაფი ტემპი დოლარის ოქროს მიმართ გაუფასურებას 2008 წლის მეორე ნახევრიდან, ანუ ფინანსური კრიზისის გამოაშკარავებიდან ჰქონდა: ერთი უნცია ოქროს ფასი 2008 წლის 24 ოქტომბრიდან 712 ამერიკული დოლარიდან, 2010 წლის 29 დეკემბერისთვის 1412 ამერიკულ დოლარამდე გაიზარდა. ანუ თითქმის გაორმაგდა (www.usagold.com)

რეფორმა

თანამედროვე ფულადი სისტემის რეფორმა აუცილებელია, იმისათვის რომ არსებული სისტემის გარდაუვალი კრახის შედეგად ეკონომიკური კრიზისი იქნეს აცილებული. თუმცა, პოსტრეტონ-ვუდსული მონეტარული სისტემის მოახლოებული კრახის გამოკვეთილი სიმპტომების გარეშე, როგორც ჩანს, ასეთი სახელმწიფო რეფორმის გატარების მოტივაცია საკმარისად დიდი არაა, როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო წრეებში. 2008 წლის ე.წ. ფინანსური კრიზისი ჯერ კიდევ გააზრების სტადიაშია და მისი რეალური მიზეზების შესახებ ცოდნა ბევრისთვის არაა ხელმისაწვდომი.

მეტიც, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლიტიკური წრეები, მიუხედავად იმისა მმართველობაში არიან თუ მხოლოდ ოცნებობენ ამაზე, ნებაყოფლობით შეეღიონ ძალაუფლების იმ ნაწილს, რომელსაც გაცვლის საშუალებების რაოდენობრივი მანიპულირება აძლევთ. მათ ინსტიტუტურად ესმით, რომ ის ვინც ფულის მიწოდებას მართავს, ხალხსაც ის მართავს.⁷ ალბათ ამიტომაც, 2008 წლიდან, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევა, სახელმწიფო ხარჯები, სუბსიდირება და ინფლაცია კიდევ უფრო გაიზარდა.

როგორი იქნება განვითარება?

რეფორმა, სავარაუდოდ, უფრო ბაზარზე შექმნილი რეალობის, ფაქტიური მდგომარეობის აღიარების სახეს მიიღებს: გაუნაღდებადი ქალაქის ნიშნის გაუფასურების სულ უფრო მზარდი ტემპი, რასაც ამ მოვლენის არსის შესახებ ინფორმაციის და სათანადო ცოდნის გავრცელებაც დაერთება, სამეურნეო ურთიერთობებში ჩართულ ყველაზე რაციონალურ და გაბედულ ადამიანებს, დანაშაულების და შემოსავლების დაცვის საშუალებების ძებნისკენ უბიძგებს. შედეგად, სახელმწიფო ფულადი სისტემის პარალელურად, შესაძლოა იატაკქვეშეთშიც კი, კერძო, სასაქონლო ფულის გამოყენება დაიწყება და თანდათან, გაცვლების უმრავლესობაში ჩაანაცვლებს გაცვლის დეკრეტულ საშუალებებს.⁸

ეს იქნება სპონტანური, მართლაც რომ საბაზრო რეფორმა: მოთხოვნა სასაქონლო ფულზე გადანონის საკანონმდებლო მოთხოვნას გაუნაღდება ქალაქის ნიშნის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ადმინისტრაციული რესურსი ვერ შეაკავებს საბაზრო, ანუ რეალურად სახალხო მოთხოვნით შექმნილ "უკანონობას" და მას უბრალოდ გზას დაუთმობს. ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული ბარიერები ველარ შეაფერხებს საბაზრო მოთხოვნას.

რეფორმა არ გულისხმობს ცენტრალიზებულ ინსტიტუციონალურ ცვლილებას, რომელიც ამჟამად არსებულ სისტემას, რაღაც ახალ ფორმას მისცემს. მას არ ენება ახალი სისტემის მიზანმიმართული შენების ხასიათი. მას უფრო არსებულის დეკონსტრუქციის სახე ექნება, რომლის პარალელურად, საბაზრო კონკურენციისა და მრავალფეროვნებისთვის გაიხსნება ასპარეზო. რეფორმა არ ჩაიკეტება რომელიმე სახელმწიფოს ჩარჩოებში – მას საკუთარი ინტერესით მოხელმძღვანელე კერძო პირები განაზოცრევენ და მათ მიერ შექმნილი ინსტიტუტები გააერცელებენ. ბაზარზე სპონტანურად ჩამოყალიბდება ისეთი ფულადი სისტემა, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნებს.

⁷James A. Garfield. "He who controls the money supply of a nation controls the nation".

⁸ზუსტად ისე, როგორც დღეს, მიუხედავად საკანონმდებლო შეზღუდვებისა, მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს სამეურნეო სუბიექტები რეალურ გათვლებსა და გაცვლებში ხელმისაწვდომ ვალუტებს შორის ყველაზე მყარს (ჩვეულებრივ ამერიკულ დოლარს) იყენებენ და არა უბრალოდ ადგილობრივს და სავალდებულოს.

ოქრო – თავისუფლების ფული

გამომდინარე იქედან, რომ ფულისთვის საჭირო ყველაზე მეტი ნიშან-თვისება კეთილშობილ ლითონებს გააჩნიათ, ყველაზე დიდი ალბათობით, გაცვლის საყოველთაო საშუალებებად მათი გამოყენება აღდგება. სწორედ ისინი პასუხობენ ყველაზე მეტად იმ მოთხოვნებს, რომლებიც ფულს შეესაბამებიან: მიწოდების ბუნებრივი შეზღუდულობა; მაღალი ღირებულება; სანდოობა; დაყოფადობა, ღირებულების დაკარგვის გარეშე და ა.შ. თუმცა, ეს იქნება ოქროს, ვერცხლის, რომელიმე სხვა ძვირფასი ლითონის სტანდარტი, პარალელური თუ კომბინირებული მოდელი, ბაზარზე მოთხოვნის კვალობაზე გაირკვევა. ამის წინასწარ და ზუსტად განჭვრეტას არსებითი, თეორიული მნიშვნელობა არც აქვს – ლითონური ფული თავად იქნება საბაზრო პროდუქტი, საქონელი, რომლის მიწოდება ემორჩილება მოთხოვნა-მიწოდებისა და კონკურენციის ზოგად კანონზომიერებებს. უფრო საყურადღებო ისაა, რომ ფულის მიწოდება, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საქონელის შემთხვევაში, მოთხოვნა-მიწოდების წესს დაემორჩილება: შედეგად, ფულის მასის ზრდა, მისი მსყიდველობითი უნარის შეცირების ხარჯზე აღარ მოხდება, ანუ გამოირიცხება ინფლაცია და ფასების ე.წ. საერთო დონის თანმდევი მატება. მეტიც, ფასებს კლების ტენდენცია ექნებათ, კეთილშობილი ლითონების ბუნებრივი იშვიათობისა და მათი მომჭირნე მოხმარების გამო. გარდა ამისა, ტექნოლოგიური სიახლეები, ოსტატობა და მომწოდებელთა მიერ მომხმარებლების გულის მოსაგებად გაჩაღებული კონკურენცია მიწოდებას გააიანფებს, კეთილშობილი ლითონებით განაღდებადი გაცვლის საშუალებებზე მზარდი მოთხოვნის საპირისპიროდ.

ეს იქნება ფულადი სისტემა პოლიტიკის გარეშე, რაც ეკონომიკაში ფინანსურ პასუხისმგებლობას განამტკიცებს: საბიუჯეტო ვალდებულებებისა და ბანკოტი ბანკების ფულადი ემისიის ხარჯზე დაფინანსება შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, მკვეთრად შეიზღუდება რესურსების პოლიტიკური მოტივებით გადანაწილების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ, მწარმოებლებს კიდევ უფრო დაახლოვებთ მომხმარებლების ინტერესებთან და მათ სამსახურში ჩააყენებთ.

ნიშანდობლივია, რომ ეს არ იქნება რომელიმე ადრე არსებული სისტემის აღდგენა. მაგრამ ეს იქნება, წარსული გამოცდილების საფუძველზე აგებული ახალი სისტემა. მას განასხვავებს ფულის მოჭრაზე სახელმწიფო მონოპოლიის არ არსებობა – ნიშანი კერძო მწარმოებლის ისეთივე პროდუქტი იქნება, როგორც ნებისმიერი სხვა საქონელი.

დეკრეტული ნიშანიდან სასაქონლო ფულზე გადასვლა, როგორც არ უნდა მოხდეს ეს, სულაც არ ნიშნავს, რომ ყოველდღიურ მოხმარებაში კეთილშობილი ლითონების (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი) გამოყენება გახდეს აუცილებელი. კეთილშობილი ლითონები ძირითად ბანკების და სხვა მენაბრების საცავებში იქნება განთავსებული, ხოლო მომხმარებლები შესაბამისად უზრუნველყოფილი მონეტებით, ქალაღის ბანკოტებით, ელექტრონული ბარათებით და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ისარგებლებენ, ისევე როგორც ეს დღეს არის. არსებითად, ტექნიკური თვალსაზრისით, მომხმარებლისთვის ბევრი არაფერი შეიცვლება: მათ საფულებებში ისევ მონეტები, ქალაღის ბანკოტები და ელექტრონული ბარათები იდება. ცვლილებას ხარისხობრივი ხასიათი ექნება: საფულის შიგთავსი იმ ძვირფასი ლითონის ღირებულების იქნება, რომლითაც მისი უზრუნველყოფა მოხდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანად შემცირდება ე.წ. სხვადასხვა გაცვლის საშუალებების ერთმანეთზე გადახურდავების დანახარჯები: მიუხედავად ფულის ნიშნების მიწოდებლების სიმრავლისა, ფულად სპონტანურად სტანდარტიზირებული ერთგვროვანი ხარისხის კეთილშობილი ლითონები იქნება გამოყენებული.

დასკვნა

ფული გაცვლის საყოველთაოდ აღიარებული საშუალებაა. ის სხვა არაფერია თუ არა ყველაზე გაცვლადი (ანუ გაყიდვადი) საქონელი. ის წარმოიშვა ბაზარზე სავაჭრო ურთიერთობების გამრავალფეროვნების შედეგად. პირდაპირი გაცვლის დროსა და სივრცეში დაყოფა არაპირდაპირი გაცვლის, ანუ შუალედური საქონლის გამოყენებით გახდა შესაძლებელი. ისტორიულად, საყოველთაოდ აღიარებულ გაცვლით საშუალებებად, ანუ ფულად ერთმანეთის პარალელურად ჩამოყალიბდა სპილენძი, ვეცხლი და ოქრო.

გაცვლის საშუალებებს და მითუმეტეს ფულს მოვაჭრეები საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე, ნებაყოფლობით იყენებდნენ. ამას არ ჭირდება არც იძულება, არც ადმინისტრაციული დანახარჯები და არც ცენტრალური ბანკის და სახელმწიფოს სხვა სამსახურების ზედამხედველობა. შესაბამისად, სასაქონლო ფული ეკონომიკური ლოგიკის (კერძო საკუთრება, ნებაყოფილობითი თანამშრომლობა, ურთიერთსასარგებლო გაცვლა) ნაწილია, მაშინ როდესაც გაცვლის საშუალებად ქალაქის არაუზრუნველყოფილი ნიშნების კანონითა და ადმინისტრირებით დანერგვა - პოლიტიკურის (გადასახადებისა და რეგულირების ბერკეტების გამო სახელმწიფო პრივილეგირებული თანამესაკუთრება, ხოლო თანამშრომლობასა და გაცვლებს აფერხებს პოლიტიკური საზღვრები და სახელმწიფოების მიერ დადგენილი მრავალფეროვანი ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეზღუდვები).

ნაკლებად სავარაუდოა, რომ სასაქონლო ფულის აღდგენა, სადმე, სახელმწიფო ბიუროკრატის ინიციატივით მოხდეს და თან, ამას სახელმწიფოსა და ფულადი მეურნეობის სრული გამოჯენის სახე ქონდეს. სასაქონლო ფულისა და თავისუფალ საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის პოლიტიკური და ფისკალური მოტივები, სახელმწიფოს მხრიდან, მხოლოდ კომპრომისული მოდელის განხორციელების შესაძლებლობას თუ ტოვებს. ამიტომ, ფულადი მეურნეობის რეფორმას, გარკვეულ წილად, სამომხმარებლო რეველუციის სახე ექნება, რომელიც უბრალოდ პარალელურ რელობას შექმნის: გაუფასურებული საგადამხდელო საშუალებების პარალელურად, სასაქონლო ფულის ხმარება აღდგება. და თუკი, ეკონომიკური ლოგიკა პოლიტიკურზე იზეიმებს, მაშინ კერძო პირების საკუთრება პოლიტიკური ნებლობისგან ხელშეუხებელი გახდება. ეს იქნება ეკონომიკური თავისუფლების ზეობის დრო. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური თავისუფლების ფული ოქრო გახდება.

თენგიზ ვერულავა

1966



თენგიზ ვერულავა (Tengiz Verulava) - დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (1991), თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი (2000), დიდი ბრიტანეთის იორკის უნივერსიტეტის ჯანდაცვის ეკონომიკის ცენტრი (1997), გაიარა სტაჟირება გერმანიაში (მაგდებურგის სადაზღვეო კომპანია,

1999), 2008 წელს სკრენტონის უნივერსიტეტის (აშშ) პროგრამა: ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, ფინანსური სტრატეგია და რისკის მენეჯმენტი, მართული ჯანდაცვა, ანდერა-ითინგი; 1996-2007 წლებში სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფილიალის უფროსი, 2007-2008 წლებში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მრჩეველი; 2006-2011 წლებში საქართველოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დოქტორი. 2011 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი.

მონაწილეობა მიღებული აქვს მრავალ საერთაშორისო კონგრესებზე და სიმპოზიუმებზე (ნიდერლანდები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ირანი). 2001 წლიდან ჯანდაცვის ეკონომისტთა საერთაშორისო ასოციაციის (IHEA) წევრია. 2008 წლიდან შავი ზღვის ქვეყნების ჯანდაცვის ეკონომიკის, ინვესტიციების, სამართლის და ეთიკის ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია წამყვან ჟურნალებში. როგორც კონსულტანტი და მკვლევარი თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან ჯანდაცვის პოლიტიკის, ეკონომიკის, ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხებზე. მათ შორის, ალსანიშნავია, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პროექტის "ჯანდაცვის სისტემის რეფორმა პენიტენციურ სისტემა" მთავარ კოორდინატორად მუშაობა (2007-2008 წ.). ავტორია წიგნებისა: "ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა" (2003; 2009), "Health Care System in Georgia" (2001), "სოციალური დაზღვევის სისტემის თავისებურებები ნიდერლანდებში" (2000), "ჯანდაცვის სისტემა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში" (2000).

თენგიზ ვერულავა

მთავარი რედაქტორის ბოლოსიტყვაობა

წინამდებარე კრებულში, რომლის სახელწოდებაცაა "თავისუფლების ფული", თავმოყრილი გამოჩენილი ავტორების შრომები მთელი სიღრმით გვაზიარებენ სიბრძნეს თანამედროვე მონეტარული სისტემის წინაშე მდგარი პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ. და ეს სიბრძნე მდგომარეობს იმაში, რომ რაც უფრო თავისუფალია ბაზარი, მით უფრო გამართულია მონეტარული სისტემა.

ჩემთვის, როგორც მთავარი რედაქტორისთვის უაღრესად საცნაური და შემეცნებითი იყო ამ კრებულზე მუშაობა: შრომებში გარკვევითაა ასახული თანამედროვე მონეტარული სისტემის მდგომარეობა, შემოთავაზებულია დამაჯერებელი არგუმენტები მისი რეფორმირების გადაუდებელი აუცილებლობისა და შესაძლო მიმართულებების შესახებ - ფულის კონკურენტული წარმოების სასარგებლოდ და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევების სანაღმდეგოდ. ამიტომ, იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენთვისაც, როგორც მკითხველისთვის, ის გახდება სამაგიდო მრჩეველი მონეტარულ საკითხებში და გზამკვლევი ეკონომიკური თავისუფლებისკენ.